ბართელი
ბაბოთა
ლოვანი

ფუსუ დგებეაძე-ფუღარია

ჰარმონული სამყაროს რომანი

ფუცუ
დგებუაძე
ფულარია

ოქროს ბეჭედი

„ფერანი" თბილისი

1989

საინტერესო და მრავალმხრივია ქართველი საბჭოთა მწერლის ფუცუ დვეებუაძე-ფულარიას ლიტერატურული მემკვიდრეობა. მისმა მოთხრობებ-ებ, ნოველებმა, ნარკვევებმა, მოგონებებმა და რომანებმა იმთავითვე მიიქცია ქართველი მკითხველის ყურადღება.

ისტორიულ რომანში „ოქროს ბეჭედი", რომელიც მწერლის უმნიშვ-ნელოვანესი ნაწარმოებია, ასახულია სამეგრელოს წარსული.

შემდგენლები: გურამ გვერდწითელი
გურამ უანჯიკიძე

, რედაქტორი გენო კალანდია

გამომცემლობის რედაქტორი ლალი თურბანდიშვილი



აფხაზეთის მთავარი

აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძის სასახლე სოხუმის ცენტრალური მოედნიდან ამაყად გადაჰყურებდა მზის სხივებით ალივლივებულ ზღვას. სასახლის ფანჯრები ღია იყო. ზღვის ნიავს სასახლეში სიცოცხლე და ხალისი შემოჰქონდა.

მიხეილი თავის სამუშაო ოთახში იჯდა, სტუმარს ხან ქართულად, ხან რუსულად დინჯად და საქმიანად ელაპარაკებოდა. სამუშაო ოთახის გვერდით, მისაღებში, ისხდნენ დიდი ნიკოს შვილის — გიორგი დადიანის ქალიშვილები. ერთი მათგანი ალექსანდრა, შინ ცუცუდ წოდებული, მიხეილ შერვაშიძის მეუღლე, ხოლო მეორე, მისი უმცროსი და, გაუთხოვარი მაია, რომელიც დასთან სტუმრად ჩამოსულიყო. და და სიძე დიდი სიყვარულითა და პატივით ეპყრობოდნენ მაიას, უნდოდათ სულ თან ჰყოლოდათ, ყოველ შემთხვევაში, ამ გაზაფხულსა და ზაფხულზე მაინც. დები ამ წუთს ხელსაქმით იყვნენ გართული, ყური კი მიხეილის სამუშაო ოთახისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი. ცუცუმ იცოდა, თუ ვის ესაუბრებოდა მისი მეუღლე მიხეილი.

მუდამ თავდაჭერილი მაია უცნობის ხაევრდოვანმა ხმამ მოხიბლა.

— ცუცუ, გენაცვალე, ვინ არის ეს კაცი, რა მშვენიერი ხმა აქვს?

— შენ მას არ იცნობ. ის ჩვენი შორეული ნათესავია, სამეგრელოს მოავრის ლევან დადიანის ქალიშვილის — პუპის ვაჟი.

— ახ, ვიცი, ვიცი, ის ხომ შარშან ზაფხულზე კურზუში იყო სანადიროდ, შემდეგ პეტრე ბიძიას სახლშიც გამოუვლია, მამა შემთხვევით იყო იქ, ჩვენთანაც აპირებდა თურმე ჩამოსვლას, მაგრამ არ მოუხერხდა, რადგან რუსეთში მიეჩქარებოდა. მამა გულდაწყვეტილი დაბრუნდა, ძლიერ აქებდა ამ ვაჟს.

— მართლაც საქებია. მშვენიერი, თვალტანადი და თანაც ძლიერ განათლებული.

— სად იყო ეს კაცი ამდენ ხანს? — შეეკითხა მაია დას. — რა ნათესავია ჩემი სიძისა?

— ალექსი მამით შენი სიძის მკვიდრია, დედითაც ჩვენი შორეული ნათესავია.

— მგონი არც ისე ახლობელი. საზოგადოდ ქართველებმა ერთობ დიდი ნათესაობა ვიცით.

მაია ხუმრობდა, მაგრამ ცუცუ ამ საკითხს ღრმად ჩაუფიქრდა, დას სერიოზულად უპასუხა.

— იცი?.. ხუმრობა იქით იყოს და მას ცოლად რომ გაჰყვე, ურიგო არ იქნება. მე ძალიან მომწონს ალექსი. მარტო იმიტომ კი არა, რომ კარგი დედ-მამის შვილია და უაღრესად განსწავლული, ეს ხომ არის და არის. ამასთან ერთად, თავაზიანი და ფაქიზი ადამიანია — თავისი ქვეყნის პატრიოტი, შორსმჭვრეტელი, გონებამახვილი. თავისებური ბიოგრაფიაც აქვს. ბავშვობიდან რუსეთში იზრდებოდა. ალექსის ბავშვობისას აფხაზეთში თავი იჩინა არეულობამ. ამ არეულობის დროს მას ბაბუა მოუკლეს. ალექსის მამა იძულებული გახდა ბავშვი საიმედო ადგილას გაეხიზნა. ასეთ ადგილად მან პეტერბურგის ერთი შეძლებული, განათლებული ოჯახი მიიჩნია და იქ ჩაიყვანა თავისი შვილი აღსაზრდელად. იშვიათად ჩამოჰყავდა ალექსი აფხაზეთში. დედამისი, პუპი, ყოველნაირად ცდილობდა ბავშვს აფხაზური ენა არ დავიწყებოდა. როცა კი თავისი პირმშოს ნახვის საშუალება მიეცემოდა, საათობით აკითხებდა სხვადასხვა წიგნს, ხან კი სთხოვდა რუსული მწერლობის ნაწარმოებები ქართულად მოეთხრო. ალექსიც გულმოდგინედ ვარჯიშობდა. პუპის მიწერ-მოწერაც ჰქონდა ალექსის აღმზრდელებთან. თუმცა აღმზრდელებს არ სჭირდებოდათ პუპის თხოვნა, ისინიც არა ნაკლებ ცდილობდნენ ბავშვს მშობლიური და ქართული ენა არ დავიწყებოდა. ეს ოჯახი მოწინავე იდეებით იყო ცნობილი. ალექსის აღმზრდელებს კეთილმეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ რუს დეკაბრისტებთან. ამ ოჯახმა და მისმა წრემ იცოდა რა მიზეზით იყო ალექსი რუსეთში გახიზნული. ბავშვს სათუთად ექცეოდნენ, იცოდნენ თუ როგორ დათარეშობდნენ პატარა ალექ-

სის სამშობლოში თვითმპყრობელობის დამქაშები, როგორ აქცევდნენ კავკასიას მეფის რუსეთის კოლონიად. ალექსი იმ ოჯახმა შვილივით შეიყვარა და, ბოლოს სწავლადამთავრებულს, თავისი ერთადერთი ქალიშვილი მიათხოვა.

— მაშ, ცოლიანია?! — გაკვირვებით იკითხა მაიამ და გაიცინა. — მე კი მისმა ხმამ მომხიბლა. არ გამაცნოთ, თორემ მეშინია, რომ შემიყვარდეს ცოლიანი კაცი.

— შენ ადვილად ვინმე შეგიყვარდება? — დიახ, იმას ვამბობდი, წუხდა პუპი და ეაჟს ხშირად უსაყვედურებდა:

— ერთადერთი ვაჟი მყავდი, შვილო, მინდოდა ქართველი ქალი შეგერთო. შენი შვილები ქართულ ენას ვერ ისწავლიან, დედისერთა ქალს აქეთ არ გამოგატანენ.

— ნუ სწუხარ, დედა ბატონო, შვილებს აფხაზურსა და ქართულს არ დავავიწყებ. ქართველ მასწავლებელს მივუჩენ... ადამიანი რაც უფრო მეტ ენას ფლობს, მით უფრო განათლებულია. ჩვენს ქვეყანას კი განათლებული ხალხი ბლომად სჭირდება, — ეტყოდა შვილი.

არ დასცალდა ალექსის თავისი ოჯახის ისე მოწყობა, როგორც სურდა. ქორწინების მეხუთე წელს ახალგაზრდა მეუღლე გარდაეცვალა, ხოლო პატარა ბიჭუნა დედულეთში იზრდებოდა. თვითონ, საზოგადო საქმეებით გართულს, მეორე ცოლის შერთვა ფიქრადაც არ მოსდიოდა. დღენიადაგ იმ იდეების განხორციელებაზე ფიქრობდა, რომლებიც რუსეთში მოწინავე ადამიანთაგან ჰქონდა შეთვისებული.

ალექსი ხშირად დადიოდა საქართველოში, ხედებოდა მიხეილს, ნახულობდა აგრეთვე თავის ბაბუა ლევანს და მეგობრობდა ბიძებს, განსაკუთრებით გრიგოლს, რომელთანაც დაახლოებამ კიდევ უფრო გააღვივა მასში პატრიოტული გრძნობები. ახლო გაიცნო გიორგი, ბესარიონი და პეტრე დადიანები. მოიარა სამეგრელო, იმერეთი, გურია, გაეცნო ამ კუთხეების ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას.

— ეს უბრალო კაცი არ ყოფილა, ბატონო ჩემო! — დინჯად თქვა მაიამ.

ამ დროს დებს მიხეილის ოთახიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოესმათ.

დები სმენად გადაიქცნენ და აი რა გაიგონეს:

— ჩვენ არ ვვარგივართ მმართველებად, ბატონო მიხეილ! მე გაკადნიერდები და გულახდილად მოგახსენებთ: აფხაზეთის ძალ-ღონე უმთავრესად თავადების ერთმანეთისადმი მტრობასა და შურისძიებაზე იხარჯება. მთელი დასავლეთ საქართველო მოვიარე და დავრწმუნდი — ჩვენი კუთხე ყველაზე უფრო ველურად გამოიყურება. ეს იმით აიხსნება, რომ აფხაზეთს საუკუნეების მანძილზე განუკითხავად აჩანაგებდა ოსმალეთი; ახლა ხდება საქართველოსა და მისი კუთხეების საკითხის ახლებურად ვადაჭრა.

— ეს ახალი ეზა სწორედ, — განაგრძობდა ალექსი, — ჩვენთვის ყველაზე სასიფათოა. თვითმპყრობელი მეფე უკვე შეუდგა ჩვენი ხალხის ეროვნული გადაგვარების საქმიანობას; შავი ზღვის სანაპიროზე თანდათან ნადგურდებიან მკვიდრი მცხოვრებნი, მათ მამა-პაპეულ ადგილ-მამულს რუსეთის მეფის მოხელეები ინაწილებენ. ალბათ, ის ხმებიც გამართლდება, რომ აქ კაზაკ-რუსების დასახლებას აპირებენო. ასე რომ, სულ მალე, ეს მხარე მეფის რუსეთის კოლონიად გადაიქცევა.

— მმართველად არ ვვარგივართო, მეუბნები, შე დალოცვილო, თუ არაფერს გვკითხავენ, როგორ ვივარგებთ. იცი, ალექსი, ხშირად ვფიქრობ იმაზე, რომ საქართველოში ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომელსაც სწავლული ადამიანებიც კი იზიარებენ, სწორია.

— ახლა იმდენი საზოგადოებრივ აზრთა მიმდინარეობა გაჩნდა, არ ვიცი, რომელზე მეუბნებით, მიხეილ.

— რადიკალებზე მოგახსენებთ, რომელნიც ფიქრობენ: საქართველო უკვე იმდენად ძლიერია, რომ შეძლებს რუსეთის ქვეშევრდომობიდან თავი გაითავისუფლოსო.

— მივხვდი, რომელ ჯგუფზე ლაპარაკობთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ ჯგუფს მოწინააღმდეგეც აღმოაჩნდა.

— რადიკალების აზრს გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანიც კი იზიარებს თურმე.

— მაგათაც კარგად ვიცნობ და მის ოპოზიციაში მდგომ მიმდინარეობასაც. მათ „ზომიერების“ დამცველებს ეძახიან. ისინი თავკაცად ივანე აფხაზს ასახელებენ. შარშან ჩემი

რძლის, თქვენი მეუღლის მამასთან და ბიძებთან მქონდა საუბარი ამ საკითხებზე.

— ისინი, რა თქმა უნდა, „ზომიერთა“ აზრს იზიარებენ, განსაკუთრებით პეტრე დადიანი, — ღიმილით თქვა მიხეილმა.

— მართალი მოგახსენოთ, როდესაც ეს საკითხები მწვავედ იყო დასმული, მე არაფერი გამეგებოდა, მგონი, მეხუთე კლასში ვიყავი. ახლა კი, როდესაც საქართველოსა და კერძოდ აფხაზეთის მდგომარეობას უფრო შეგნებით და სიყვარულით ვეკიდები, მჯერა, რომ რადიკალებს ეგ საკითხი არც კი უნდა წამოეჭრათ.

— ალექსი, მე კი მგონია, სწორედ მაშინ უნდა წამოეჭრათ ეგ საკითხი; თუ მეფის რუსეთი ომს წააგებდა, ის იძულებული გახდებოდა საქართველოსათვის თავი დაენებებინა. ჩვენ კი უფრო მოღონიერებული ვიყავით და ჩვენს თავს წარვუძღვებოდით.

— საინტერესოა, ბატონო მიხეილ, რა ძალ-ღონით წარვუძღვებოდით ჩვენს თავს? თუ გგონიათ, რომ გამარჯვებული ირანი და ოსმალეთი თავზე ხელს გადაგვისვამდა, ეს შემცდარი აზრია. ჯერ, ბატონო ჩემო, დიდმა მეფემ და სარდალმა ერეკლემ ვერ შეძლო მათი მოგერიება, როდესაც მტერს სამხედრო მომზადება და იარაღი არ ჰქონდა; მათ ახლა რეგულარული ჯარი ჰყავთ, ჩვენ კი არა.

— რადიკალები ასე არ ფიქრობენ, ალექსი. პირიქით. ახლა თუ როგორმე რუსეთთან კავშირს გავწყვეტთ, მუსლიმანები ყოველ დათმობაზე წავლენ ქართველობის მიმართ; ისინი დარწმუნდნენ, რომ საქართველომ მათი მიზეზით გაუწოდა ხელი რუსეთს. ფრიად საშიში მეზობელი შევიქენით ოსმალებისათვის. თურქები ახლა სრულ დამოუკიდებლობას მოგვცემენ, ხოლო რუსეთი რას გვერჩის, ჩვენს კუთხეს საომარ ასპარეზად რისთვის გადააქცევს. ვიცხოვროთ მეზობლურად, გასაჭირში ერთმანეთს დავეხმაროთ, როგორც ეს რუსეთ-ირანის ომის დროს გავაკეთეთ. არავის არ ვთხოვდით დახმარებას, ოღონდ ჩვენს მიწა-წყალს შეგვარჩენდნენ, ცხოვრებას არ აგვირევდნენ.

— ბატონო მიხეილ, ახლა მთელი ჩვენი ძალა უნდა მოხმარდეს საქართველოს მოღონიერებას, ქართველი ხალხის

გამრავლებას და განათლებას. სწორედ ახლა უნდა ვესწრაფო-ოდეთ კავშირს ერთმორწმუნე რუსეთთან, რომელიც პეტრე დიდის შემდეგ ჩქარი ნაბიჯით მიიწევს წინ. ვითარდება რუსეთის მეცნიერება, კულტურა. ახლა ყოვლად შეუძლებელია ლტოლვა ოსმალეთისაკენ.

— რაც თქვენ თქვით, ყველაფერი კარგია, მაგრამ რუსეთის თვითმპყრობელობა თავის დანაპირებს რომ არ გვისრულებს? გზად და ხიდად ვჭირდებით, რათა აზიის სახელმწიფოები ადვილად დაიპყროს, — უპასუხა მიხეილმა.

— ბატონო მიხეილ, ამისათვის საჭიროა სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო გაერთიანდეს და განმტკიცდეს.

— ეს მომავლის საქმეა, ალექსი. შენ მასწავლე წამალი, რით ავიცილოთ თავიდან თუნდაც აფხაზეთში კაზაკ რუსების დასახლება, თუ ერთხელ დასახლდნენ, ხომ ვეღარ ავყრით!

როდესაც მიხეილი ამ სიტყვებს თითქოს დიდი გულისტკივილით ამბობდა, ალექსი მის სახეს აკვირდებოდა, თან ფიქრობდა: ნუთუ ყველა ის ბოროტება, რასაც ამ კაცს აწერენ, მართალიაო. ალექსის არ სჯეროდა მიხეილის ასეთი ცუდი კაცობა. თუმცა მიხეილის ოინები საქვეყნოდ იყო ცნობილი.

ჯერ კიდევ ამ სამი თვის წინათ მიხეილი თავის სამუშაო ოთახში მისი პირადი საქმეების მომგვარებელ ხასან მარღანიას განმარტოებით ესაუბრებოდა:

— როგორ ჯობია, ხასან, ვერ იქნა და ის თავადი ვეღარ მომაშორე თავიდან. რომ იცოდე, რა დიდ ფულიან მყიდველებს უჭირავთ თვალი იმ მამულზე, შენ ნახავ თუ მყიდველები მამულის პატრონს არ მიაგნებენ და იმ ძაღლთაპირს ოქროებით არ აუვსებენ ჯიბეს.

ხასანს თავი ჩაელუნა, იატაკს ისე ჩასჩერებოდა თავისი ჭროღა და ბოროტი თვალებით, თითქოს ბნელი საქმეების გასაჩარხავ აზრებს უფსკრულში ეძებსო.

— რამ ჩაგაფიქრა, ხასან? როგორც წინათ გეუბნებოდი, ან სიკვდილი ან სასამართლოს ძალით კატორღა უნდა გადავუწყვიტოთ იმ თავადს, სხვა გზა არ არის.

— მისი მკვლელობა ძნელი საქმეა, მთავარო! მას ისე ვერ მოვკლავთ, რომ არ გახმაურდეს. ბევრი ნათესავი ჰყავს,

გავლენიანი კაცია, შესაძლოა, ხათაბალას გადავეყაროთ.

— მაშ რა ვიღონოთ?

— ისე უნდა მოვახერხოთ, რომ თავადი დავაჭერინოთ, შემდეგ კატორღა და მისი ჯანი.

ძიხეილი ჩაფიქრდა, მაგრამ ხასანმა ფიქრი მალე შეაწყვეტინა.

— შევწიროთ ერთი ვინმე ბობოლა რუსი მოხელე.

— ყოჩაღ, ხასან! — ღიმილით თქვა მიხეილმა და ხასანს მხარზე ხელი დაჰკრა. — მაშ, აწი შენ იცი.

ამ საუბრის ათიოდე დღის შემდეგ ოქუმის გზაზე ასეთი ამბავი მოხდა: მეფის ერთ-ერთი მოხელე ოთხი ჯარისკაცით სოხუმიდან ოჩამჩირეში მიდიოდა. როდესაც ტყისპირს მიუახლოვდნენ, მოულოდნელად სროლა ატყდა. გაოგნებულმა მგზავრებმა განზე გაწევაც ვერ მოასწრეს, რომ მოხელე და ერთი ჯარისკაცი ცხენიდან გმინეით უგონოდ დაცვივდნენ მიწაზე. სროლა გრძელდებოდა. სამი ჯარისკაცი რაღას გაუმკლავდებოდა ტყეში თავშეფარებულ თავდამსხმელებს. ჯარისკაცები სოხუმისაკენ გაიქცნენ. ყოველივე ეს მიხეილს სასწრაფოდ აცნობეს. მთავარმა უმალვე ზომები მიიღო. მოხელე პატივით მოასვენეს და დაასაფლავეს, ხოლო მკვლელებს ძებნა დაუწყეს.

მოხელის დასაფლავებას თვით მიხეილი დაესწრო, რათა თავისი ერთგულება რუსეთის მთავრობისათვის უფრო თვალსაჩინო გაეხადა.

გასვენებიდან დაბრუნებული მიხეილი ხასანთან ერთად თავის სამუშაო ოთახში ჩაიკეტა. მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

— ძალიან მოხდენილად გაკეთდა ეს საქმე, ხასან! შენი დიდი მადლობელი ვარ. მოხელეც მოვსპეთ და მაგ საბაბით იმ თავადსაც მოვიცილებთ თავიდან. ახლა ხომ იცი რა არის საჭირო? იმ თავადზე უნდა შემოვიდეს საჩივრები პირადად ჩემთან და რუს მოხელეებთან. სასამართლოში ცოცხალი მოწმეები დაგვჭირდება... შენ ამ საქმეში ჩემი დარიგება არ გინდა.

— ახლა ესეც მიბრძანე, მთავარო, რამდენი წილი ექნება ამ მამულში საწყალ ხასანს?

— როდის დამიჩაგრიხარ, ჩემო ხასან, შენ ალბათ იცი მაგ თავადის მამული როგორ იზიდავს უცხოელებს და რუსებს. ფულიანი ხალხი დიდ თანხას გაიღებს; ახლა ხომ ფულს მეტი ფასი აქვს, ვიდრე მამულს, შენც გამდიდრდები.

ხასანს თვალები გაუბრწყინდა.

— ბატონო, თუ სასამართლო იმ თავადს გააციმბირებს ან ჩამოახრჩობს, ყველაფერი შენს ხელში არ იქნება?

— ეს მამულები, ჩემო ხასან, გასაყიდად მინდა. სამთავროს ფული არა აქვს, მიწები ცოტა შემოსავალს გვაძლევს, გზები და ხიდები ვერ გაგვიკეთებია, ლიხნის სასახლე ინგრევა, ვაჭრობა-მრეწველობა ვერ განვავითარეთ.

ხასანმა ღიმილი ძლივს შეიკავა. კარგად იცოდა, მიხეილი სამთავროზე ზრუნვით თავს არ იწუხებდა.

სულ მოკლე ხანში სასამართლომ მოხელის მკვლელობა უდანაშაულო თავადს დაუმტკიცა. მას კატორღა მიუსაჯეს, ხოლო მამული სამთავროს გადასცეს.

მიხეილმა ეს მამული რამდენიმე ნაწილად გაჰყო. ზოგი რუსეთისა და ზოგი უცხოელ მდიდარ პლანტატორებს მიყიდა, აღებული თანხიდან სამთავროს კეთილდღეობას არაფერი მოხმარებია...

სანამ დაღვრემილი ალექსი მთავრის მოღვაწეობის ამ ეპიზოდზე ფიქრობდა, მიხეილი თავჩაღუნული იჯდა, თანამოსაუბრის კეთილ, თაფლისფერ თვალებს თავის ქორისებურ მზერას იშვიათად თუ გაუსწორებდა. მიხეილს ეჭვი ჰქონდა, რომ ალექსიმ ყველაფერი იცოდა, რასაც იგი აფხაზეთში აკეთებდა. „რას მიზამს, — ფიქრობდა მიხეილი, — მაგაზე კარგი და გულადი ვაჟკაცები მომიშორებია თავიდან. ახლა, როდესაც აფხაზეთის სამთავროს არსებობის საკითხი დათვლილია და, ალბათ, მეც მალე მომიწევს აქედან გაქცევა, უნდა ვზრუნავდე ქონების შეძენაზე. უნდა მქონდეს ბევრი ფული ოჯახით უცხოეთში გადასახვეწად. არა, მამა უცხონდება რუსთა ხელმწიფეს, მე მას ფეხქვეშ გავეგები და აქ გაუქმებულ სამთავროში ლევან დადიანივით ვიბორიალებ".

მიხეილმა ალექსის ისევ აფხაზეთში კაზაკ რუსების ჩამოსახლებაზე დაუწყო საუბარი.

— ბატონო მიხეილ, მე კარგად მესმის თქვენი გულისტკი-

ვილი, მაგრამ ამაშიც ჩვენ გვიდევს ბრალი. ვინ არ დაეპატრონება მოსახლეობიდან დაცარიელებულ მიწებს. არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ აფხაზეთის მკვიდრი მცხოვრებნი ზღვის სანაპიროებზე აღარ არიან. ეს ხდება მხოლოდ დიდი ფეოდალების გავლენით, რომელნიც ადგილობრივ მოსახლეობას მთებისაკენ ერეკებიან საცხოვრებლად, ხოლო მათ მიწაწყალს რუსეთის ან უცხოეთის თავადებსა და მდიდრებს აძლევენ დიდ ფასებში. აბა, რომელი მდიდარი კაცი დაიშურებს ფულს აფხაზეთის მიწებზე აგარაკებისა და პლანტაციებისათვის.

აფხაზეთის მცხოვრებთა რიცხვის შემცირებას ძლიერ უწყობს ხელს მაჰაჯირობა, ტყეეთა გაყიდვა. თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ რამდენი ახალგაზრდა ტყეე ქალ-ვაჟი მიჰყავთ აფხაზეთიდან სტამბოლის ბაზარზე.

ხშირად ხომ თავადებიც აღარ ინდობენ ერთმანეთს. მეტი მამულის შეძენის მიზნით გავლენიანი თავადები ერთმანეთს ხოცავენ, რათა მოკლულის მამულებს თვითონ დაეპატრონონ და შემდეგ ეს მიწები ვინმე მსხვილ მემამულეს მიყიდონ.

— კაცო, შენ ამდენი ჭორები სად მოკრიფე, ალბათ დადიანებში, — ღიმილით უთხრა მიხეილმა ალექსის, გულში კი გაიფიქრა: „არ დაგიჯდება, ყმაწვილო, იაფად ამდენი ამბების ცოდნა". მას კი ისევ საქმიანი კილოთი მიმართა: — მე გთხოვთ მთავარ საგონებელ საქმეზე მიპასუხოთ. რა უნდა ვიღონოთ, რომ აფხაზეთში კაზაკ რუსების ჩამოსახლება თავიდან ავიცილოთ?

— მე მგონია, ეს საქმე მოგვარდება, ბატონო მიხეილ! გავლენიან ხალხს შეუძლია დროებით მაინც შეაჩეროს ეს საქმე. როდესაც ჩვენ კულტურულად და ეკონომიურად მაღალ საფეხურზე დავდგებით, თვით შევძლებთ დავიცვათ ჩვენი თავი, მხოლოდ საჭიროა მთელი საქართველო და მისი კუთხეები განიმსჭვალონ მამულის სიყვარულით, ერთმანეთის პატივისცემით. ჩვენ უნდა შეეიგნოთ, რომ მთელი საქართველო და მისი განაპირა ნაწილები თავისი მიმზიდველობით ყველას მადას უღვიძებს საკუთრებად გაიხადოს, თავისი ხალხით აავსოს. აფხაზები ცოტანი ვართ, ჩვენ გონებრივადაც უნდა

გავიზარდოთ და ქონებრივადაც. სხვანაირად მოვისპობით. ოსმალებმა ბევრი ცუდი ჩვევა და ცრუმორწმუნეობა დატოვეს ხალხში. ეს უნდა აღმოიფხვრას. თუ ერი მტრის ფეხით ყოველთვის გაითელა, როგორ მოუვლის საკუთარ თავს, როგორ განათლდება, როგორ შექმნის რაიმე საგანძურს, ეროვნულ კულტურას?

— ვიცი, ალექსი, მაგრამ ხელფეხშეკრული ვარ, არ არის საშუალება, რომ აფხაზეთი განათლების გზაზე დავაყენოთ. განა მე არ მინდა განვაახლო ლიხნის სასახლე, განვაახლო თვით სოხუმი, ასე ხანგრძლივად ნაჯიჯგნი და გაპარტახებული მტრის მიერ? განა არ მინდა მქონდეს კარგი ნავსადგური, კარგი გზები და ხიდები?

— მართალი ხართ, ბატონო მიხეილ, ეს ყველაფერი საჭიროა, მაგრამ ჩვენ ამის გასაკეთებლად მხოლოდ სხვის იმედზე დაყრდნობა და უნაყოფო დაპირებები ვერაფერს გვიშველის. ამისათვის სხვა წყაროების გამონახვაა საჭირო. ჩვენს მადლიან ქვეყანაში თესლი მოუსნავ მიწაზე უკულმა რომ გადაისროლო, ისიც კი გაიხარებს და აყვავდება. მე ვფიქრობ, ბუნებით უხვად დაჯილდოებულ ჩვენს მხარეში ისეთი ძვირფასი მცენარეები უნდა გავავრცელოთ, რომელთაც რუსეთსა და ევროპაში ფართო გასავალი ექნება. საქმის ასე წაყვანა საშუალებას მოგვცემს, ბატონო, ქვეყნის სიმდიდრე ხალხის საკეთილდღეოდ გამოვიყენოთ. აბა, რით გაამდიდრებს ქვეყანას სიღარიბეში გათანგული ყმა გლეხი? თავისი ძველებური ბარითა და თოხით რა ღირებულებას შექმნის? თუ ბატონების შესანახი შექმნეს და თვითონაც ძაღლურად იცხოვრეს, მეტი რა ძალა შესწევთ? აქ კი არა, რუსეთშიც არა აქვს გლეხს მიწის გაუმჯობესებული სამუშაო იარაღები. რამე სხვა წყარო უნდა გამოძებნოთ კუთხის პატრონმა და მმართველმა. კარგი იქნება გამოიწეროთ მიწის დასამუშავებელი იარაღები.

მოვაშოროთ გლეხი კავსა და სახნისს, ცარიელ მიწებზე გავაშენოთ ციტრუსები, ვაზი, კაკლის ხე, თხილი... ამას ვინ დაგვიშლის? თვითეულ თავადს ხომ უფლება აქვს თავისი მამული როგორც უნდა ისე მოიხმაროს. თუ ყოველ ოჯახში ოცი და ოცდაათი ყმა გლეხი თვეში სამი დღე იმუშავებს ამ

მიზნისათვის, გარწმუნებთ, საქმე უთუოდ გაიჩარხება. მხოლოდ გლეხს მუშაობის პირობები უნდა შეეუქმნათ.

მიხეილმა უდარდელად გაიცინა.

— მგონი, შენ მირჩევ გლეხები გაეათავისუფლო.

— თუმცა დარწმუნებული ვარ იმაში, რომ გათავისუფლებული გლეხი ქვეყანას უკეთ ააშენებს და თვითონაც ადამიანურ ცხოვრებას მიაღწევს, ამას მაინც არ გირჩევთ, რადგან თქვენ ეს არ შეგიძლიათ. მე მხოლოდ იქითკენ მოგიწოდებთ, არსებულ პირობებში გააკეთოთ ის, რისი გაკეთებაც შეიძლება.

— სალაპარაკოდ აღვილია, ჩემო ალექსი! განა არ ვიცი, როგორ ჯობია, მაგრამ არა მაქვს გასაქანი. დიდ იმედებს ვამყარებდი სამურზაყანოზე; ის მდიდარი კუთხეა, ბუნებრივი სიკეთით სავსე. სამწუხაროდ, შენც ხედავ, არ გამართლდა ჩემი იმედები. სამურზაყანო ჯერ დაღიანებს მიაკუთვნეს, რითაც გული ძალიან მატკინეს. მით უფრო საწყენი იყო, როცა იგი დადიანებსაც ჩამოართვეს და ხაზინამ საფასური მხოლოდ მათ აუნაზღაურა. განა ეს სამართლიანია?! ავხაზები აქ საუკუნეობით ცხოვრობენ და სამართლიანობა მოითხოვდა ჩვენი ხვედრი გვრგებოდა. ასეთ პირობებში მთავრად ყოფნას რა ფასი აქვს. გადაწყვეტილი მაქვს, თუკი ჩვენი მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს, მეფისნაცვალს განცხადებით მივმართო გადადგომაზე, მაგრამ წინასწარ ვიცი, ვორონცოვი თავისი დათაფლული ენით დამაშოშმინებს და პირში ჩალაგამოვლებულს გამომიშვებს. ვფიქრობ, აჯობებს ჯერ პეტერბურგში გავიგოთ, თუ რაზე გამოიტანა უმაღლესმა მთავრობამ ასეთი გადაწყვეტილება.

— ბატონო მიხეილ, არც ასე ვარგა გულის გატეხა. რა ვუყოთ, რომ სამურზაყანო ჩამოგვართვეს და რუსეთის მმართველობას გადასცეს. ეს ხომ ახალი ამბავი არაა. რუსეთის მეფე ყოველთვის ასე ფეხქვეშ თელავდა ხალხის უფლებებსა და დამოუკიდებლობას. მას არამცთუ უცხო ტომის ხალხი, თავისიც არ დაუნდვია. თუკი რუსეთში ვინმე განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე გამოჩნდა, ყველა ან ციმბირში გადაასახლა ან ჩამოახრჩო. გაიხსენეთ თუნდაც დეკაბრისტები. ყველა მათგანი რუსეთის თვითმპყრობელობის მსხვერპლი გახდა. ჩვენ სულით არ უნდა დავეცეთ. პირიქით, გვმართებს

მჭიდროდ დავუკავშიროთ ჩვენი ბედ-იღბალი, ჩვენი აზრი და მოქმედება რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს. მათთან ერთად გაერთიანებული ძალ-ღონით მთლიანად უნდა გარდაიქმნას რუსეთის სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიური სახე. უკიდურეს შემთხვევაში ხუხულასავით დაინგრევა ეს ვეებერთელა ქვეყანა.

— ალექსი, ძვირფასო, შენ, მგონი, საფრანგეთის რევოლუციის განმეორებას მოელი რუსეთში.

— რატომ არა, ბატონო, რუსი ხალხი მომთმენია, მისი ძალა მწამს, მაგრამ ამ მოთმინებასაც გაუვა ყავლი. ტყუილად არ მიცხოვრია რუსეთში, მე მათ ვიცნობ. ერთ მშვენიერ დღეს ეს წყნარი ხალხი დაიქუხებს და მისი მოწინავე ინტელიგენციის მეთაურობით შენს მეფეს ტახტიდან ჩამოაგდებს.

მიხეილი აიმრიზა. რევოლუციის პერსპექტივაზე ასე გაბედული ლაპარაკი არ ესიამოვნა, მაგრამ თან ალექსის დასაბუთებულმა საუბარმა თავისი ხალხის უნუგეშო მდგომარეობაშიც ერთგვარად ჩაახედა და უპასუხა:

— ყველაფერს ჯობია დეკაბრისტებზე ლაპარაკს თავი დავანებოთ და საქმეზე ვიფიქროთ. აფხაზეთში უცხოელთა დასახლება და სამურზაყანოს საკითხი მოსვენებას არ მაძლევს. თუკი სამურზაყანოს ღირებულების ნახევარი ჩვენც გაგვინაწილდა, მაშინ ოდნავ შეღავათი მიეცემა ჩვენს ქვეყანას. ამიტომ საჭიროა გავლენიანი პირის გამონახვა, რომელიც მინისტრს დაიყოლიებს ამაზე. შენ, ჩემო ალექსი, რუსეთში აღზრდილი კაცი ხარ, დიდი ნაცნობ-მეგობრობა გაქვს მაღალი წრის საზოგადოებასთან, მგონი, რომელიღაც მინისტრი შენი აწგარდაცვლილი მეუღლის ნათესავია და მოდი, ითავე ეს საქმე!

— ნათესავი არაა, ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარია. მისი ვაჟი კი გიმნაზიიდან ჩემი ამხანაგია. ვცადოთ, თუ რამე გამოვიდა. ამას გარდა, ბატონო მიხეილ, შენ იცი, ჩემს ვაჟს აუარებელი მამული აქვს თვით რუსეთში. მგონი იმდენივე, რამდენიც მთლიანად აფხაზეთშია. ვთხოვ ჩემს მოხუც სიდედრს გაგვიწიოს დახმარება. დიდი სურვილი აქვს მოხუცებულობა ჩვენს მშვენიერ სამშობლოში გაატაროს. საქართველოს ხილვა ამ ოჯახის წევრების ოცნებაა. მე ისინი ამ ზაფხულს აქეთ

მომყავს ბავშვიანად. მდიდრები არიან, არც კი იციან იმდენი ქონება რაში მოიხმარონ, ალბათ თვით სოხუმში აიშენებენ სახლებს.

— ოო, ეს კარგი იქნება. მაგრამ, შენი წასვლის მთავარი მიზანი მაინც აფსაზეთის ზღვის სანაპიროზე კაზაკ რუსების დასასლების შეწყვეტაა. თუმცა არის კიდევ სხვა საჩქაროდ მოსაგვარებელი საქმეებიც. როგორც გეუბნებოდი, ძალიან ცუდად გადაწყდა აფხაზეთისთვის სამურზაყანოს საკითხი. მოგეხსენებათ, სამურზაყანო რუსთა ხელმწიფემ ჩვენც ჩამოგვართვა და სამეგრელოსაც. ხოლო ფულს ხაზინა დადიანებს აძლევსო, ამბობენ. დიდი ნიკო დადიანი მაგ საქმისათვის პეტერბურგში იმყოფება კარგა ხანია და ჯერაც არ ჩამოსულა. ის ჭკვიანი და მოხერხებული კაცია, თავისთვის იბრძოლებს, რაში დაიცავს ჩვენს ინტერესებს. ჩვენ კი რა დავაშავეთ, სამურზაყანოზე ჩვენი უფლებები რისთვის უნდა დაგვეკარგოს! ეს კუთხე ჩვენც ისევე გვეკუთვნოდა, როგორც სამეგრელოს. თუ დადიანებს აძლევენ ფულს, ჩვენც უნდა მივიღოთ. ამის შესახებაც მოგიმზადებ ბარათს.

— დიდი სიამოვნებით გეახლებით, არაფერს დავიშურებ, თუკი რამეში გამოვადგები ჩემს კუთხეს.

— მჯერა შენი სიტყვების სიმართლე, მაპატიეთ მაგრამ რამდენიმე კაცი მყავს მისაღები. მანამდე შენს რძალთან მიბრძანდი, მისაღებ ოთახში, ცოტა ხანი არ მოიწყინოთ, სადილად ჩვენსას დარჩით, კიდევ განვაგრძოთ საუბარი ამ საკითხებზე.

ალექსი მიხეილის ოთახიდან გავიდა. თანდათან რწმუნდებოდა იმაში, რომ კეთილი გზით მიხეილზე არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შეიძლებოდა. „როდესაც გიცქერს, ფიქრობდა ალექსი, თითქოს გულში ისარს გიყრის. ის თავის სიბოროტით და ანგარებით ამ მშვენიერ ქვეყანას ადრე თუ გვიან დაღუპვის კარამდე მიიყვანს“.

არც მიხეილის ფიქრები იყო ალექსის მიმართ სიამითა და პატივით გამსჭვალული.

„ეს რუსეთში გაზრდილი ღლაპი ხედავ რეებს ამბობს! ფეოდალებზე ლაპარაკობდა, მაგრამ მე ვყავდი მხედველობაში. ვაი საცოდავო, ვის უპირებ ბრძოლას? ვინ გგონივარ? გაის-

რისები!“ მთავარი ხედავდა, რომ ალექსი მისთვის საშიში კაცი იყო. „ალექსი განათლებულია, მართალი და პირდაპირი ადამიანია, მაგრამ ჩემს საქმეებში ჩარევის უფლებას არ მივცემ, არა! ასეთი კაცი მე არ გამომადგება. უნდა მოვიშორო თავიდან ეს რაღაც დეკაბრისტული იდეებით თავგამოტენილი კაცი“. — ფიქრიდან გამოერკვა, ხმამაღლა დაიძახა. შემოსულ მსახურს უბრძანა:

— საქმეზე მოსული მთხოვნელები შემოუშვი!

ალექსი ამ დროს მისაღებ ოთახში იყო.

— რძალო ბატონო, — დაიწყო მან და, იქვე შველივით ამართული მაია რომ დაინახა, ოდნავ შეკრთა. ორიეე ქალს თავაზიანად მიესალმა, ცუცუს ხელზე ეამბორა. ცუცუმ უსიამოვნოდ ხელი მოხვია და შუბლზე აკოცა.

— რამდენი ხანია გელოდებით, გაიცანით — ეს ჩემი და, მაია გახლავთ.

— დიდად სასიამოვნოა, ბატონიშვილო, თქვენი გაცნობა. მე ამ ბედნიერებას ავცდი შარშან, როდესაც მამათქვენის ოჯახი ვერ გავიცანი, რუსეთში მივიჩქაროდი. ახლა თქვენი შესვედრა მოულოდნელი სიხარულია. — თქვა მან და მაიას ყურადღებით და მალულად შეაესო თვალი.

— დაბრძანდით, ჩემო მაზლო, — უთხრა ცუცუმ და თვითონაც დაჯდა. ალექსი კი ცუცუს ახლო მოეწყო სავარძელში.

— როგორ გრძნობთ თავს, რძალო ბატონო?

— კარგად, რაც ჩემი მაია ჩამომივიდა, უფრო ვერთობი: ხან ვკითხულობთ, ხან ვქარგავთ, თქვენ რამდენ ხანს დარჩებით აფხაზეთში?

— მთლად ჩემზე არ არის დამოკიდებული წასვლა ან დარჩენა. ეს უფრო მიხეილის ნებაა. დავალებებით მისტუმრებს რუსეთში. დარჩენა რომ შემეძლოს, სულ არ წავიდოდი აქედან. — ამ სიტყვებზე ალექსიმ მოკრძალებით გადახედა მაიას, ხმაც თითქოს უფრო ხავერდოვანი გაუხდა. მაიამ თავი აიღო, ალექსის შეხედა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ მალე ისევ ძირს დაეშვნენ.

— ბატონიშვილო მაია, თქვენ როგორ მოგწონთ აფხაზეთი, ჩვენი დანგრეული ქალაქი სოხუმი? სხვა თუ არაფერი გვაქვს

მოსაწონი, ზღვა მაინც მოგხიბლავთ, — თქვა ალექსიმ და თავისი ზღვისფერი თვალები ქალს შეანათა.

— მე აქ ყველაფერი მომწონს, თავადო! გზადაგზა ბევრი საინტერესო ადგილებიც ვნახე.

— ბარემ ისიც მოუყევი, გზაში რა გმირობა გამოიჩინე, როდესაც პირველად მინახულე, — სიცილით უთხრა ცუცუმ დას.

— კარგი ახლა, ცუცუ, რად გინდა, მოსაწყენია.

— პირიქით, ბატონიშვილო, მე სიამოვნებით მოვისმინე, თუ როგორ გადაარჩინეთ თქვენ გასაყიდად განკუთვნილი გოგონები. ეს ამბავი დედამ მიამბო.

— მე რას გადავარჩენდი, ჩემმა ძმებმა და მხლებლებმა გამოიჩინეს სიმარჯვე.

— ძვირფასო რძალო, თქვენს სტუმარს რომ არ მოსწყინდეს, ურიგო არ იქნება კვირას ცხენებით გავისეირნოთ. ალბათ, ბატონიშვილი მაია ყოველ სიკეთესთან ერთად კარგი ცხენოსანიც იქნება.

მაიას თვალები გაუბრწყინდა, გულში კი გაიფიქრა: ამ კაცმა საიდან იცის ცხენოსნობისადმი ჩემი სიყვარულიო.

— ვფიქრობ, თქვენი სურვილების შესრულება ადვილია, თუ ჩემი დაც ინებებს, ვეცდებით მიხეილიც წამოვიყვანოთ, სულ მუშაობს, ერთ დღეს მაინც გაერთოს.

— მე დიდი სიამოვნებით წამოვალ სასეირნოდ და ვეცდები სიძე ბატონიც დავითანხმო, — თქვა გაღიმებით მაიამ.

მიხეილს საქმეები მოესტუმრებინა, ოთახში მხიარულად შემოვიდა. ცუცუმ ქმარს მოსიყვარულე თვალებით შეხედა.

— იცი, ბატონო, ჩემს მაზლს კვირას ცხენებით გასეირნება სურს და მაია თქვენ გპატიჟობთ, მუშაობით გადატვირთულს, არ გაწყენთ ქალაქგარეთ გავლა და დასვენება.

მიხეილმა ალექსის სიცილით მიმართა:

— ალექსი, ეცადე აქ ცხენებსა და გართობაზე ილაპარაკო, თორემ საფრანგეთის რევოლუციაზე ან თუ გნებავთ დეკაბრისტებზე მსჯელობით სასახლის კარზე მაინცდამაინც პოპულარული ვერ გახდებით.

— თუ საჭიროება მოიტანს, დიახაც, ვილაპარაკებ. თქვენ კი, უფროსო ძმაო და მეგობარო, დიდად გერიდებით და პა-

ტივსა გცემთ, როგორც აფხაზეთის მთავარსა და მოსარიდებელ კაცს, თორემ რუსეთის მოწინავე ადამიანები აუგად რომ ახსენეთ, ამას უპასუხოდ არ დავტოვებდი.

— ხომ გეუბნები, შენ სტანკევიჩისა და გერცენის წრეების მიმართულებას გაცნობილი კაცი ხარ, თან ახალგაზრდა, გიტაცებს ყოველივე ეს... თეორია ერთია, პრაქტიკულად საქმეების განხორციელება კი უფრო რთული საქმეა.

დებმა ერთმანეთს გადახედეს. გერცენის სახელი მაიას მამის ოჯახშიც გაეგონა, მაგრამ მზად იყო მოესმინა ალექსისაგან უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ დიდ რუს მოღვაწეზე. მაიას ეუხერხულა, პირველი გაცნობისთანავე ეკითხა ამ მშვენიერი კაცისათვის რამე და ისიც სიძის აქ ყოფნის დროს. მიხეილმა საათი ამოიღო და დახედა.

— სადილობამდე დავბრუნდები, — ჩაილაპარაკა მან.

— მეც წამოვალ, ბატონო, — უთხრა ალექსიმ.

— შენ დამიცადე, აკი დამპირდი, რომ ჩემთან ისადილებ.

— დარჩით, ბატონო! სთხოვა ცუცუმ.

ალექსი ისევ ფეხზე იდგა. მიხეილის გასვლას ელოდებოდა, შემდეგ მასპინძელი კარებამდე მიაცილა, შემობრუნდა და თავის ადგილას დაჯდა, თითქოს ერთგვარი შვება იგრძნო და მიხეილის წასვლის შემდეგ ქალებს მიმართა:

— როგორ მოგწონთ აზრი რუსეთის მოწინავე ადამიანებზე, ბატონიშვილ გიორგის ასულნო?

— რა ვიცით, ბატონო, — უპასუხა მაიამ, — მართალი მოგახსენოთ, დიდად გარკვეული არ ვარ მაგ საკითხებში. მაინტერესებს, ვინ არის გერცენი, მისი სახელი ბევრჯერ მსმენია ჩვენს ოჯახში.

— თუ თავს არ მოგაწყენთ, მოგახსენებთ, ბატონიშვილო! გერცენი ჯერ ახალგაზრდა კაცია. „ჰერც“ — გერმანულად ნიშნავს გულს. ის მართლაც მგზნებარე გულის პატრონია. ერთი ფრანგი მასწავლებელი მას ბავშობიდანვე უნერგავდა გულში რევოლუციურ იდეებს, ხოლო მეორე მასწავლებელი — რუსი სემინარიელი უკითხავდა პუშკინის ლექსებს, აღსავსეს მეფის კანონებისადმი პროტესტით. ახალგაზრდობიდანვე ვითარდებოდა მის გულში პროგრესული იდეები. მოწინავე პიროვნებათა თაყვანისმცემელი გერცენი ჯერ კიდევ ცამეტი წლის იყო

როცა დეკაბრისტების სიკვდილით დასჯის ტრაგედია მწარედ განიცადა.

— მაშ, თქვენც გახსოვთ დეკაბრისტების ამბავი? — შეეკითხა მაია.

— რატომ არ მახსოვს! მაშინ თხუთმეტი წლისა ვიყავი. რა საშინელი განწყობილება შეიქნა ჩემი აღმზრდელების ოჯახში, როდესაც პესტელი და მისი სუთი ამხანაგი სიკვდილით დასაჯეს. რამდენჯერმე ჩემი აღმზრდელიც კი დაიბარეს ჟანდარმებმა და დაკითხეს.

— შემდეგ რა ბედი ეწია, თავადო, გერცენს? — კელავ შეეკითხა მაია.

— სულ ახალგაზრდა დააპატიმრეს და გადაასახლეს. მოიხადა სასჯელი, დაბრუნდა მოსკოვში, დაამთავრა უნივერსიტეტი და ახლაც მუშაობს მოწინავე რუს მოღვაწეებთან ერთად. ის ახლაც ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგაა განწყობილი.

— მაზლო ბატონო, თქვენ მას იცნობთ?

— გერცენს და ოგარიოვს ვინ არ იცნობს ჩვენი თაობიდან. მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტში ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ. დეკაბრისტები საქართველოშიც ბევრნი იყვნენ, უთუოდ თქვენც გაგეგონებათ მათი სახელები.

დები ინტერესით უსმენდნენ ალექსის საუბარს.

ალექსიმ ისევ ქალაქგარეთ გასეირნებაზე ჩამოაგდო საუბარი.

— შორს რომ არ იყოს, — თქვა მან, — ბატონიშვილ მაიას ლიხნის სასახლეს ვაჩვენებდით; კარგი იქნება, ეს ექსკურსია კვირას დავნიშნოთ.

— არა, შენი ჭირიმე, შორსაა, ცხენებით დავიქანცებით, — თქვა ცუცამ.

— რატომ გგონიათ, სულ ორმოცდაათი ვერსი იქნება, იმ ღამეს იქ დავისვენებთ, კარგ დროსაც გავატარებთ. — არ თმობდა ალექსი.

— ნამეტანი მფრთხალი ხარ, ცუცუ, რა არის ორმოცდაათი ვერსი, სულ ექესი-შვიდი საათიც არ დაგვჭირდება ცხენებით იქ მისვლამდე.

— კარგი, მე არ შეგიშლით ხელს, მაია, მაგრამ რამდენად ლამაზია, რომ მამიდა პუპის ვერ ვეახელით და ლიხნში ამოვ-ყოთ თავი?

— ეს კი არ გვეპატიება, თუმცა ამდენ ხანს დაღლილობა და წვიმა იყო მიზეზი. ამ დღეებში უსათუოდ უნდა ვეახლოთ მამიდას. მხოლოდ ლიხნში მგზავრობას ეს ხელს არ უშლის.

ალექსიმ და მაიამ ცუცუც დაიყოლიეს.

სადილობის დროს მაიამ არა ერთხელ დაიჭირა ალექსის თვალები, რომლებიც სიამოვნებით შესცქეროდნენ.

ლიხნის საუცხოო სასახლე, მომხიბვლელი ბუნება მაიასა და ალექსის სასიამოვნო გრძნობებს უღვიძებდათ. სილამაზის, მშვენიერებისა და სიყვარულის შეგრძნობა მათ უმახვილებ-დათ პატრიოტულ გრძნობებს, ერთმანეთისადმი ნდობას. ამ შეხვედრამ ისინი დააახლოვა და დაამეგობრა...

მაია მხიარული ბრუნდებოდა სოხუმში. ალექსი და სხვა ახალგაზრდები მოკრძალებულად მიჰყვებოდნენ ქალებს. მაია გაბედულად მიაგელვებდა ლაფშას, ხშირად სხვა მხედრებს უსწრებდა. მაია, გრძელი ამაზონკით შემოსილი, ზღაპრულ ამორძალს ჰგავდა. ალექსი მას ხანდახან დაეწეოდა და გვერ-დით გაჰყვებოდა. გზა-გზა დაქვეითდებოდნენ, შეისვენებდნენ დიდი ხის ჩრდილში. ერთ-ერთი დასვენების შემდეგ მაიამ სწრა-ფად შედგა მარცხენა ფეხი უზანგში და ის იყო, მარჯვენა ხელით ამაზონკა უნდა აეკრიფა, ფიქალო გულ-მკერდი დახა-რა, ნაწნავები მკერგზე გადმოუსრიალდა, საშიში იყო ალვირში ჩახლართულიყო. მაიას ხელებს არ ეცალა. ალექსიმ ეს შე-ნიშნა, თმებს ფროხილად ხელი შეახო და ისევ ბეჭებისკენ გადასწია, მაიამ წარბი შეიკრა და წყრომით შეხედა ალექსის.

ალექსი დაიბნა, მაგრამ არ შეიმჩნია, ისევ გვერდით გაჰ-ყვა მაიას. ახლა ჩვეულებრივ არ ლაჟვარდობდნენ მაიას თვა-ლები, ის არ ენამჭევრობდა. უხერხულობა ჩამოვარდა მათ შორის. ალექსიმ დუმილი ვეღარ აიტანა და ქალს უთხრა:

— ბატონიშვილო, ნება მიბოძეთ, ერთი ლეგენდა გიამბოთ!

მაიამ თანხმობის ნიშნად ოდნავ გაიღიმა, ბრძანეო, უპა-სუხა.

— ამორძალების დედოფალი პენტეზელია განთქმული ყოფილა თავისი გმირობით. ტროადელთა ომის მიწურულში

ის დახმარებია პარისს. გამძვინვარებულ აქილევსს მოუკლავს უცნობი გულადი მეომარი. მასვე აუხდია საომარი საჭურველი მოკლულისათვის. აქილევსს უცვნია პენტეზელია და ისე მოჯადოებულა ქალის უჩვეულო სილამაზით, რომ ქალივით ატირებულა.

დღეს თქვენ, ცხენზე მჯდომმა, პენტეზელია მომაგონეთ. თავი ვერ შევიკავე, თუ ლომგული აქილევსი ატირდა, მე გონების დაკარგვის უფლება მაინც მაქვს, როდესაც თქვენს მშვენებას ვუცქერ.

ალექსი ქალს მიუახლოვდა, თვალებში ჩააცქერდა, თითქოს უნდოდა პატიების დასტური მაიას თვალებში ამოეკითხა. მაიას ღიმილმა უსიტყვოდ შეარიგა ახალგაზრდები, სიყვარულის გრძნობა ღვივდებოდა მაიას გულშიც.

ძ მ ე ბ ი

კარგი სანახავი იყვნენ ძმები, დიდი ნიკოს ვაჟები.

მაიას მამის გიორგის ახოვან, ლამაზ ტანადობას ამშვენებდა ჭკვიანი და კეთილშობილური სახე. გიორგი ბუნებით ზრდილობიანი და დარბაისელი იყო, უყვარდა ბევრი კითხვა და წაკითხულზე მსჯელობა, მჭევრმეტყველებაც ხელს უწყობდა. გიორგი არ კმაყოფილდებოდა მარტო ქართული ლიტერატურით, ძლიერ დაინტერესებული იყო რუსული და უცხოეთის მწერლობითაც. ზედმიწევნით იცოდა ქართული ენა, ოცნებობდა იმაზე თუ როდის გარდაიქმნებოდა რუსეთის თვითმპყრობელობა და საქართველოში როგორი მართვა-გამგეობა დამყარდებოდა.

გიორგის, ცოტა არ იყოს, აინტერესებდა ხალხის ცხოვრების ამბები. ის გამოიხმობდა ჭკვიან, კარგ მოლაპარაკე გლეხებს და საუბრობდა მათთან. ერთი ასეთი გლეხთაგანი იყო მჭედელი კაზაკია ფიფია, სოფელ კორცხელის მცხოვრები. გიორგის სასახლეს ხშირად სჭირდებოდა მჭედელი. ხან ცხენები იყო დასაჭედი, ხან მიწის დასამუშავებელი იარაღი შესაკეთებელ-ასალესი. ამჟამად მან კაზაკია ახმობინა საქმისთვის და სალაპარაკოდაც.

კაზაკია მუშაობდა, ხოლო გიორგი იქვე ჩამომჯდარიყო

და უყურებდა. გიორგიმ მოულოდნელად ასეთი შეკითხვა მისცა:

— კაზაკია, მითხარი, რას ლაპარაკობენ ჩემზე სოფელში?

კაზაკია არ ელოდა ასეთ შეკითხვას, გაკვირვება არ შეიმჩნია, მაშინვე თავი ასწია და ასე უპასუხა:

— სოფელს რა აქვს სათქმელი, გარდა თქვენი სიდიადისა და კარგი კაცობისა.

— მომდურავი ბევრი მყავს?

— მომდურავი თქვენ კი არა, მეც მყავს. ბევრი მომდურავი გყავს თავადებში, საერთოდ კი მაინც ყველგან კარგ ყაბახს გეძახიან.

სადილობის დრომ მოაწია. გიორგი ადგა, მჭედელს თავის სუფრასთან დაჯდომა შესთავაზა.

— კაზაკია, რამე კარგი მითხარი.

— ბატონიშვილო, დღეს რაც ჩემს თავზე ხდება, ამაზე კარგი რა უნდა ვთქვა; თქვენთან სუფრას ვუზივარ და ცხვრის ხორცის საუკეთესო ულუფას მივირთმევ.

— აბა, ჭიქა აიღე და დაგვლოცე. ყველაზე უფროსი აქ შენა ხარ.

კაზაკია ადგა, ადღეგრძელა გიორგი ცოლ-შვილით და დასძინა:

— ბატონიშვილო, მუდამ სხვისი იმედით შრომა და ცხოვრება არ შეიძლება. დრო და ჟამი ცვალებადია. სწავლა-განათლება შემოდის, მაგრამ იგი ჩემისთანებისთვის კარჩაკეტილია, თქვენი მშვენიერი შვილები ისე მოამზადეთ, რომ ცხოვრებას საკუთარი ძალ-ღონით გაუმკლავდნენ. თქვენ დიდი სახელი და კეთილი გული მათ გააყოლეთ ცხოვრების გზაზე.

გიორგი ჩააფიქრა კაზაკიას სიტყვებმა, მაგრამ ხმის ამოღებას დუმილი არჩია.

ნასადილევს ფიფიას საჩუქრად ცხენი გამოუყვანეს. გიორგი უკანა აივნიდან უყურებდა როგორ ეჭირა კაზაკიას ლაგამი, ცხენზე კი არ ჯდებოდა.

— ბიძია, — მიმართა კაზაკიამ მეჯინიბეს, — შენს გაზრდას, რამე კიბე იქნება მანდ და მომიტანე, რომ ცხენზე ავიდე.

ყველა მიხვდა, თუ რა კიბე უნდოდა კაზაკიას.

ბიჭები ჩუმად იცინოდნენ. გიორგიმ კი ხმამაღლა გაიცინა და აივნიდან ბიჭებს გადასძახა:

— მიეცით ცხენის შესაფერი კიბე.

მეჯინიბემ იმ წუთსავე მოარბენინა ნახმარი, მაგრამ კარგი უნაგირი.

გიორგი ამას სახელისათვის აკეთებდა და არა კაზაკიას სიყვარულისათვის.

იმ საღამოს გიორგი კარგ გუნებაზე იყო. ძმების — პეტრესა და ბესარიონის მოულოდნელმა სტუმრობამ კიდევ უფრო გაახარა. დაწვრილებით მოუყვა ძმებს, თუ რა საუბარი ჰქონდა კაზაკიასთან. გიორგიმ პეტრეს საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის უმსგავსოებაზე ჩამოუგდო საუბარი.

ბესარიონი გიორგისა და პეტრესავით განათლებული არ იყო, მაგრამ ბუნებით მკვირცხლი და გამჭრიახი ეახლდათ, ცხენოსნობასა და ნიშანზე სროლაში ბადალი არა ჰყავდა. სამივე ძმა განთქმული იყო ვაჟკაცობით და კაცთმოყვარეობით. ძმების გარეგნობამ და ხასიათის სიმტკიცემ მათდამი უნდობლობით განწყობილი მთავარი დაეით დადიანიც კი მოუბიბლა. ის მათ სამ მუშკეტერს უწოდებდა. ეს სახელი მალე პოპულარული გახდა სამეგრელოს მაღალ წრეებში...

ბესარიონი ორივე ძმაზე უფრო მაღალი და ტანადი იყო, ენამახვილი და მხიარული ხასიათის. ხალხში მას დეეკაცს ეძახდნენ.

თურმე ერთხელ ბესარიონი გურიაში ესტუმრა თავის დას ეკატერინეს — გურიის მთავრის მემკვიდრის, დავით გურიელის ცოლს.

ბესარიონმა თავისი გოლიათური გარეგნობით ყველას ყურადღება მიიპყრო. გურიელის ერთ-ერთმა შინაყმა აზნაურმა გიგინეიშვილმა დადიანს ასე მიმართა:

— რას ხედავს ჩემი თვალები! რა დედამ გშობა ასეთი ღეეკაცი, ბატონიშვილო!

ბესარიონმა ჯერ არაფერი უპასუხა, მაგრამ, როდესაც გიგინეიშვილი არ მოეშვა და შეკითხვა რამდენჯერმე გაუმეორა, ბესარიონმა სიცილით უპასუხა:

— შე კაი კაცო, რას ჩამაცივდი, დედაძ აბხელა ხომ არა მშობა.

— ბატონო, ყოველ შემთხვევაში, ჩემხელა მაინც დაიბადებოდით, — მოუჭრა სიტყვა გიგინეიშვილმა.

ლაღი და მახვილი ენით დაჯილდოებული ძმები ხანდახან „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპების ზეპირ თქმაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, დადიოდნენ ტყეში; ახლად ამწვანებული ნორჩი ფოთლების შრიალითა და სურნელებით ტკბებოდნენ. ხავერდოვან მოლზე ხშირად გასრიალდებოდა ნაირფერებით ნაქსოვი ხალიჩა და იმართებოდა სჯა-ბაასი, უფრო მეტად საქართველოს სამთავროების აწმყოსა და მომავალზე.

— ბატონიშვილებო, ერთი დიდად საინტერესო ამბავი მომიყვა ამას წინათ ალექსი ფიჩხაია.

— რა ამბავია, მოგვიყევი, — ერთხმად სთხოვეს ძმებმა.

ბესარიონმა ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და დაიწყო.

— საქმე ასე ყოფილა, ბატონებო: სოფელ ზიმში ქაიხოსრო ჩიქოვანის ყმა გლეხს, კოჩაია ლემონჯავას რძლად მოუყვანია აბაშელი ქალი.

ლევანს თავისი მოენეების საშუალებით გაუგია, რომ ეს ქალი ძალიან ლამაზი ყოფილა. როდესაც გლეხი კოჩაია ლემონჯავა ქორწილს იხდიდა, დაუპატიჟებელი სტუმარი, მთავარი ლევანი თავისი ამალით მოულოდნელად მისულა. გაიკვირვა თურმე გლეხმა მთავრის სტუმრობა. მაშინვე მიმხვდარა ჭკვიანი კოჩაია, რა მიზნით იყო ლევანი მის სახლში მოსული, იმ წუთშივე ქაიხოსრო ჩიქოვანთან გაქცეულა და მოუხსენებია: თქვენ ჩემი პატრონი ხართ, ერთგულად გემსახურებით და გთხოვთ გასაჭირში გვიპატრონოთ, თუ არ დამეხმარებით, მაშინ მე ჩემსას ვიზამ. ოჯახში ბოროტი განზრახვით მოსულ ლევანს თავს შევაკლავ და მთავარსა და მის თავადიშვილებს საჯაროდ შევარცხვენ.

კოჩაია მშრომელი, მტკიცე ხასიათისა და გულადი იყო, ნათქვამს არ გადაუხვევდა. ჩიქოვანს თვითონაც შეურაცხყოფილად უგრძვნია თავი და უთქვამს:

— დამშვიდდი, კოჩა, ჩემს გლეხს რომ ვინმე დაჩაგრავს, ის მე არ მიწევს ანგარიშს. საჩქაროდ წადი შინ, ახლავე დაგეწევიო.

ქაიხოსრო თურმე მაშინვე შეჯდა ცხენზე და კოჩაიას სახ-

ლისაკენ გასწია. ხალხის საჩვენებლად ქაიხოსრომ მთავარს თაყვანი სცა და ყურში კი თურმე ჩასჩურჩულა:

— აქ რატომ მობრძანებულხარ! თუ ზიმში მოდით, ჩემთან უნდა მოსულიყავით, რა გინდოდათ კოჩაია ლემონჯავას სახლში? გადაჭრით გეუბნებით: თუ გნებავთ შინ მესტუმრეთ, არადა სასახლეში წაბრძანდით, ჩვენ გაგაცილებთ.

— ვითომ მართალია? ძალიან კი გაუბედავს მთავრისათვის. — თქვა პეტრემ.

— სრული ჭეშმარიტებაა, თქვენ თავს ვფიცავ. რამდენიმე წუთის შემდეგ ამდგარა ლევანი თავისი ამალით და ლემონჯავას ეზოდან გასულა. ქაიხოსროც აცილებდა თურმე, თან არწმუნებდა: ცხენიან-კაციანად გაგწყვეტდნენ ლემონჯავები, ქვეყნის სალაპარაკოდ გაიხდიდით თავსო.

გულმოსულ ლევანს გამცილებელი ქაიხოსრო ჩიქოვანი მალე დაუბრუნებია, თვითონ კი ზუგდიდში ჩასელამდე თურმე სულ იგინებოდა და იქადნებოდა: სოფელი ზიმი ერთიანად უნდა გავანადგურო, რაღა მთავარი ვარ, თუ ასეთ პატარა სურვილსაც ვერ შევისრულებ, პირველი ღამის უფლებით მე კი არა, უბრალო თავადებიც კი სარგებლობენო, მე კი რა გამიბედეს ესო. ან ის ქაიხოსრო რას ერეოდა ამ საქმეში, მასაც ვადაეუხდი პატივისცემასო.

— ეს ახალი ამბავია? — იკითხა წარბებშეკრულმა გიორგიმ.

— რამდენიმე თვის, ბატონო, — უპასუხა ბესარიონმა. — გიორგიმ ამოიოხრა, ყრუდ, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, უიმედოდ თქვა:

— წარმოიდგინეთ რა უბედურებაში ვართ. ასეთი კაცი უნდა მართავდეს ქვეყანას? ეს კიდევ რა სამარცხვინო საქმე მოგვსვლია! განა ის არ გვეყოფოდა, რომ სამთავრო საქმეებს ვერ უძღვებოდა ლევანი? ასეთი უზნეობა, ისიც საქვეყნოდ და მის ასაკში! — ბრაზობდა გიორგი.

ლევანის ცხოვრება და მმართველობა არათუ ასეთ ახლობლებს, როგორიც ნიკოს შვილები იყვნენ მისთვის, გარეშეებსაც აწუხებდათ. მართალია, ლევანი ერთი შეხედვით კეთილი კაცი იყო, ახლობლებისათვის უხვად ხელგაშლილი, მაგრამ მარტო ეს არ იყო საკმარისი სამთავროს გასაძღოლად. მას გარს

ეხვია მრავალი მლიქვნელი, სახალხო ქონების გამნიავებელი. ლევანმა არც კი იცოდა რა ხდებოდა მის სამთავროში.

ლევანის პირველი მრჩეველი, ანუ როგორც მას ხალხში ეძახდნენ პირველი ვეზირი, ეგრეთწოდებული დიდი ნიკო იყო. ნიკო ჯერ კიდევ ლევანის მამის — გრიგოლის სიკვდილისთანავე მცირეწლოვანი ლევანის მეურვედ იქნა დანიშნული. ის იმავე დროს სამეგრელოს საბჭოს თავმჯდომარე იყო. დიდი ნიკო თავდადებული ერთგულებითა და სიყვარულით ეკიდებოდა სამთავრო საქმეებს. მან შეადგინა კანონის წიგნი „დასტურლამა". დიდი ნიკო კარგ თვისებებს უნერგავდა მცირეწლოვან ლევანს, ამზადებდა ღირსეული მთავარი გამხდარიყო, მაგრამ მას ბუნებით დაჰყვა სუსტი ნებისყოფა, საკუთარი სურვილების აყოლა, რაც ძლიერ უშლიდა ხელს საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

ლევანი იმდენად მიმზიდველი და გულუხვი იყო, რომ მრისხანე რუსთა ხელმწიფე ნიკოლოზ პირველიც კი მოსიბლა.

ნიკოლოზ პირველი ლევანს ესტუმრა ზუგდიდში და იქ სამი დღე დარჩა. ეს ახირებულად ჩაცმული მთავარი ნიკოლოზს იზიდავდა თავისი სილამაზით, უხვი პურ-მარილით. მთავრის ასეთი ხელგაშლილობა მთელი სიმძიმით აწვებოდა გლეხებს კისერზე. მთავარი ფლანგავდა და არც კითხულობდა, თუ საიდან მოდიოდა ქონება. მან კარგად იცოდა, რომ ეს გლეხის ლუკმაპური იყო, რომელსაც პირიდან აცლიდნენ მას, მაგრამ ლევანი თვალს ხუჭავდა, არ უნდოდა ამის დანახვა.

ლევანს ძალიან უყვარდა ნადირობა. დღენიადაგ სანადიროდ ტყეში გაჭრილს სამთავრო საქმეებისათვის არც კი ეცალა. მისი სამუშაო კაბინეტი, სადაც მთხოვნელებს ლებულობდა, თითქმის სულ გამოკეტილი იყო. კვირაში ერთხელ თუ შეიხედავდა კაბინეტში, მაშინაც ჩქარობდა, თითქოს ნემსებზე იჯდა და ათიდან ერთ-ორ მთხოვნელს მიიღებდა. არც საბჭოს თავმჯდომარე დიდი ნიკო იჯდა ადგილზე. მას საგარეო საქმეების გამო ხან იმერეთში უხდებოდა მგზავრობა, ხან ქართლში, გურიაში და ზოგჯერ რუსეთშიც. ლევანს სწორედ მაშინ გაეხსნებოდა ხელ-ფეხი და უსაზღვრო გან-

ცხრომას ეძლეოდა. ნიკოს შემცველი მრჩეველი, რა თქმა უნდა, მთავარს ვერ გაუბედავდა შენიშვნის მიცემას.

— ბატონო მთავარო, — მოახსენეს ერთხელ ლევანს, — ძლიერ ცუდი ამბავი მოხდა, აბაშიდან და ძველ სენაკიდან დადიანისა და მხეიძეების ყმები ას კაცამდე აყრილან და იმერეთში გაპარულან, მეფე სოლომონს მიჰკედლებიან.

— რატომ? — იკითხა გაოცებულმა ლევანმა.

— ძლიერ მკაცრი პირობები შეუქმნიათ მათთვის მებატონეებს. მაგრად უჭერენ თურმე ქანჩებსა და ხაჯალურებს.

— რამდენჯერ ვთქვი, მაჩვენეთ ერთი რა არის ეს ქანჩი და ხაჯალური, — გაბრაზდა მთავარი. — მიმიყვანეთ ის თავადები, რომლებიც ხმარობენ ამ იარაღებს.

ლევანს თავისი ბრძანება იქვე ავიწყდებოდა. ბის მოხელეებს კი არც თავადები მოჰყავდათ, არც ქანჩები და ხაჯალურები მოჰქონდათ და გლეხების ტანჯვა-წამება ძველებურად გრძელდებოდა. გაივლიდა რამდენიმე დღე და მთავართან კვლავ ახალი შემაძრწუნებელი ამბავი მოჰქონდათ.

— ხორგიდან ოცდაათი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი გაუტაცნიათ ოსმალოსთვის მისაყიდად.

— ოხ, ოხ, — შეწუხდებოდა მთავარი, — ვერ მოვთოკე ეს წუწკი თავადები. მაგრამ, აი ჩამოვა ნიკო და მე მათ ვაჩვენებ სეირს! — დაემუქრებოდა მთავარი ყმების გამყიდველ თავადებს.

ნიკო ჩამოდიოდა, მაგრამ მთავრის მუქარა მუქარადვე რჩებოდა. თავადები მაინც თავისას აკეთებდნენ, ყმების გამკითხავი კი არავინ იყო.

— მთელი კვირაა გლეხები იცდიან, დიდო ბატონო, — მოახსენებდნენ მთავარს.

— ვინ არიან?

— თოდუები და ხეიჩიები გახლავთ.

— ვისი ყმები არიან?

— დგებუაძეების, ჩაჩიბაიების, ფალავებისა და ანჯაფარიძეების.

— რას თხოულობენ, მთელი ჯარი რომ ამღვარა და მოსულა.

— მხოლოდ ოთხი კაცი გახლავთ, დიდო ბატონო, თქვენს ნახვას თხოულობენ.

— შემოუშვით, ოღონდ დიდხანს ნუ გააჩერებთ აქ. თქვენ თავისი და წავიდნენ. დღეს ბევრი საქმე მაქვს, ბონლის ხიდი ჩანგრეულა, ხიბის წყლის გაღმა სანადიროდ ვერ გავედი, იქ ჩიჩუები მელოდებოდნენ.

გლეხები შემოიყვანეს, მთავარს მდაბლად თაყვანი სცეს.

— რაზე გარჯილხართ? — შეეკითხა მათ ლევანი.

ერთი სნიერი გლეხი წინ წარსდგა და ასე დაიწყო:

— დიდო ბატონო, ისე არ დააკლდა სიკვდილი თქვენს მტერს, რავარც გარჯა და ტანჯვა ჩვენ არ გვაკლია. გვიხსენი უსამართლობისაგან. სულსა გვხდიან, ტყავს გვაძრობენ ბატონები.

— რას უშავებთ ისეთს? — მთქნარებით შეეკითხა მთავარი.

— ჩვენ ყველაფერი დანაშაულად გვეთვლება. ავად გავხლებით — დანაშაულია, ღალის მიტანა დაგვაგვიანდება — დანაშაულია. მოსავალი ნაკლები მოგვივა, ესეც დანაშაულია.

— მოსავალი უნდა მოიყვანოთ.

— რაფერ მოიყვან, ბატონო, მოსავალს, როცა ამინდი ჩვენს ჭკუაზე არ მოდის. ჩვენ ხომ მხოლოდ შრომისათვის ვართ გაჩენილი და ყანას გულს არ დავაკლებთ.

— ჩინებულია, წადით, კარგად იმუშავეთ, ღმერთი მოწყალეა. ამინდი ხელს შეგიწყობთ და ბატონიც მადლიერი გეყოლებათ. — წამოდგა მთავარი, რითაც გლეხებს ანიშნა — მეტი სალაპარაკო არაფერი მაქვსო.

სახტად დარჩენილ გლეხებს სათქმელი პირზე შერჩათ.

მთავარი გავიდა.

ბევრი ასეთი ამბავი იცოდნენ ნიკოს შვილებმა. გიორგი ბოლთას სცემდა და თან ძმებს ელაპარაკებოდა:

— რამდენჯერ არ მოვახსენე მამას, რომ დაეთანხმებინა ლევანი გადადგომაზე, დაეჩქარებინა თავისი ძის დავითისათვის მთავრის მოვალეობის გადაცემა. დედოფალიც ხომ არა ერთხელ შემიწუხებია ამ საქმეზე საუბრით. ლევანთან არავის არაფერი არ გაუვა. ეს ყოვლად საპატიო ქალიც ვერ ახდენს გავლენას თავის მეუღლეზე.

— თორემ დავითი კი მისცემს შეღავათს გლეხებს, — თქვა ბესარიონმა გულგრილად.

— ყოველ შემთხვევაში, მამამისზე მეტს კი გააკეთებს

ხალხისთვის, განათლებული კაცია, ზნეობადაცული ახალგაზრდა, რუსეთის ცხოვრებასაც გაცნობილი. თქმა არ უნდა, მათთან უფრო მეტ საერთო ენას გამონახავს.

— ბატონო ჩემო, თუ მოისურვა დავითმა, იცოცხლე, მას გასაკეთებელი ბევრი აქვს სამთავროში.

— რატომ არ მოისურვებს, რომელ ქვეყნის მმართველს არ უნდა თავისი ქვეყნის დაწინაურება, ხიდებსა და გზებს მაინც შეაკეთებს. ვაჭრობა-მრეწველობას განავითარებს, სკოლების გახსნაზე იზრუნებს. ჩვენი ქვეყანა განა ისე ღარიბია გონებით, რომ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის ათვისების უნარი არ გაგვაჩნდეს.

— ჩემო გიორგი, ახლა არც მთლად ლევანის ნებაა ჩვენი კუთხის მოწყობა. ხომ ხედავ, ჩვენს ქვეყანას რუსთა ხელმწიფის ჩინოვნიკები განაგებენ, — უთხრა პეტრემ ძმას, პაპიროსს მოუკიდა. თითქოს უნდოდა გულში დაგროვილი ბოღმა თამბაქოს კვამლისათვის გაეყოლებინა.

— პეტრე, შენ გონიერ კაცს გეძახიან, ჩემზე მეტი ქვეყნები მოგიარია, — მიუგო გიორგიმ. — შეგიძლია ჩემზე კარგად ჩაიხედო სამთავროს საქმეში. თუ თვითმპყრობელობის წარმომადგენლები ჩვენი კუთხის კეთილმოწყობაზე არ ფიქრობენ, ესეც ლევანის ბრალია. რუსი მოხელეები არავითარ ანგარიშს არ უწევენ ლევანს. განა მხოლოდ ქეიფობითა და სუფრის გაწყობით მოიგებ რუს მოხელეთა გულს. ქვეყნის მმართველი ჭკუით და საქმით ფასდება და არა პურ-მარილით. აბა, რა ჭკუა და საქმე უნდა უჩვენოს მათ ლევანმა? დღედაღამ ნადირობისა და ქეიფის მეტს არაფერს აკეთებს.

— რატომ ვერ დავარწმუნეთ ამაში, ბატონო, ღიდი ნიკო! — სიტყვა ჩამოართვა ძმას ბესარიონმა.

— დიდი ნიკო დარწმუნებულია, მაგრამ თვალს ხუჭავს. ცუდის გაგონება არ სურს ლევანზე. ის ხომ ნიკოს აღზრდილია და შვილივით უყვარს.

— ეს რა სათქმელია, ბესარიონ, შენი ჭირიმე. — გაბრაზდა გიორგი. — საქმისადმი ასეთი მიდგომა არც მამას ეკადრება და არც ჩვენ. საქვეყნო საქმეში ერთმანეთს არ უნდა მოვერიდოთ და პირში ვუთხრათ სიმართლე. მლიქვნელობამ და პირშიფერებამ ბევრი უბედურება მოუტანა საქართველოს, გვეყოფა.

დროა პირადი ინტერესები ქვეყნის საქმეს ვანაცვალოთ. თუ ასე არ მოვიქეცით, ცუდი დღე დაგვადგება. არა, ჩვენ თვითონ უნდა ჩაერიოთ სამთავროს საქმეში, სანამ გვიან არ არის. ჩამოვიყვანოთ თბილისიდან დავითი და ვთხოვოთ უპატრონოს თავის გაღატაკებულ სამთავროს.

— ჩემო გიორგი, მამა რომ რუსეთში მიბრძანდებოდა, ხომ დაგიბარა, რუსეთიდან თბილისში გამოვიელი და დავითს მოველაპარაკებიო. აქ კიდევ ლევანს დავიყოლიებთ, დავითი მოკლე ხანში დაიბაროს და სამთავროს მართვა-გამგეობა მას გადასცესო. მოთმინება ვიქონიოთ და დაველოდოთ მის დაბრუნებას, — დაამშვიდა პეტრემ გიორგი.

გ ი ო რ გ ი

აღდგომის წინა ღამე იყო. ზუგდიდის სამთავრო ტაძრის ზარების გუგუნი შორს გაისმოდა. გუგუნი ძლიერად იჭრებოდა დადუმებულ და ჩამუქებულ ტყეში, ფოთლების შრიალსა და შარიშურს ეხმაურებოდა, სტვენაში ჩათვლემილ ბულბულსაც აკრთობდა.

ახალი მთვარის სხივები ჯერ კიდევ უძლური იყვნენ, მჭრედისფერ ღრუბლებს ვერ ებრძოდნენ. გადახრილ მთვარესთან მიყვებოდნენ სხივები, თანდათან შორდებოდნენ თემშარას, რომელსაც ულრანი ტყე შუაზე გაეჭრა, რათა ქალაქი ზუგდიდი ადვილად დაეახლოებინა სალიპარტიოსა და სამეგრელოს განაპირა ნაწილებთან.

თემშარაზე მიმავალი დიდი ნიკოს ვაჟები: გიორგი, ბესარიონი და პეტრე — თავიანთი ბედაურებითა და მრავალრიცხოვანი მხლებლებით ხმაურით არღვევდნენ ღამისა და ტყის მდუმარებას. ისინი ჩქარა მიდიოდნენ, აღდგომის ცისკარზე ზუგდიდში უნდა ყოფილიყვნენ. ნოღადან დღისით გამოვიდნენ, მთვარის სინათლის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ვერ მოზომეს; ახალმა მთვარემ მალე უღალატა მათ. თემშარას თანდათან სიბნელე იპყრობდა. ლაპარაკში გართულებს გზა ფოცხვერმა გადაუჭრა, ოდნავ შეკრთნენ ცხენები.

ბესარიონმა და გიორგიმ დამბაჩები იძრეს, ესროლეს, მაგრამ დააცილეს.

შეშინებულმა ფოცხვერმა გზის მეორე მხარეზე ამართულ ტყეს მისცა თავი.

ბესარიონმა ცხენი ტყისკენ გააქანა და ნადირს ტყვია კვლავ ესროლა; ახლა მხლებლებიც მიეშველნენ. გაეკიდნენ, ატყდა სროლა, გიორგიმ დამბაჩა შეინახა და ბესარიონსა და მის მხლებლებს მიაძახა:

— თავი დაანებეთ, ბატონო, ასე გვიან ამ ულრან ტყეში მხეცს ვინ მოძებნის?

— გამექცა, ეგ ურჯულო, — თქვა გულმოსულმა ბესარიონმა და ძმებს მიუახლოვდა.

— ძლიერ ვწუხვარ, ბატონიშვილო, რომ აღდგომა დილით ნადირობა გაგიცუდდათ.

— გაგვთვალა მაგ ოხერმა. — თქვა ბესარიონმა და გულიანად გაიცინა.

გიორგიმ კი ამოიხვნეშა, ძმებს გადახედა და ნაძალადევი ღიმილით თქვა:

— რაღა ეს გვინდოდა, ისედაც საკალალოა ჩვენი საქმე. გული კარგს არ მეუბნება, სევდა შემომწოლია, ვერ ვიშორებ. სულ არ მიწევდა გული ამ საღამოს აქეთ წამოსასვლელად, ოღონდ ხათრი ვერ გაგიტეხეთ.

პეტრემ ცხენს სადაგე მოსწია, გიორგის მიუახლოვდა და ნელი ხმით უთხრა:

— რატომ ხარ, გიორგი, ასეთი მგრძნობიარე, ლევანზე რომ გულდაწყვეტილი ვართ, ეს იმას როდი ნიშნავს, საზოგადოებაში არ გავერიოთ.

— შენ ყველაზე ადრე შეატყვე ლევანს, როგორი მთავარიც იქნებოდა იგი. გახსოვს, ჯერ კიდევ ჭაბუკებს მამა გვეუბნებოდა: სასახლეში იარეთ, ლევანს დაუახლოვდითო. გვთხოვდა დავსწრებოდით თათბირებს და მსჯელობებს სამთავროს მართვა-გამგეობაზე. როცა მამა-ბატონი მოხუცდა, თავისი ადგილი შენ შემოგთავაზა. მაგრამ შენ უარი უთხარი. ეს ლევანს და ნაწილობრივ მის ვაჟებსაც არ ესიამოვნათ.

— ჩემო პეტრე, ესიამოვნათ კი არა, მას შემდეგ მე მტრად ვეგულები ლევანს. მაგრამ მაღლა ღმერთია მოწამე, რომ მე

მასთან სამტრო არაფერი მაქვს. რა უნდა მექნა. ხომ იცით ჩემი ხასიათი. მე ვერ ავიტანდი იმ ქარაფშუტობას, რაც ახლა სასახლეში ხდება. სამთავრო უპატრონოდაა მიტოვებული. ხალხის გამკითხავი არავინაა. თავადების აღვირახსნილობას საზღვარი არა აქვს.

— გიორგი, შენ თუ გული შეგტკივა ხალხზე, სამთავროზე, მაშინ სასახლეს კი არ უნდა განერიდო, პირიქით, ჩაერიო სასახლის საქმეებში.

— ხო, მაგრამ ჩემი ფიცხი ხასიათით, ალბათ, ერთი დღეც ვერ შევეწყობი ლევანს.

— ერიდები შენს თავს...

— არა მარტო ჩემს თავს, ბევრ სხვა რამესაც. ლევანი მე არ დამიჯერებს, მე მას არ დავუჯერებ, არ მოვუთმენ იმას, რასაც მამა უთმენს და ხომ იცი, ამას რა მოჰყვება.

— მაგრამ ლევანი და რუსი მოხელეები ახლაც არ გიცქერიან კარგი თვალით, შენს გამო კი ჩვენც არ ვახატივართ გულზე. მამასაც უკვე ეჭვის თვალით უყურებენ, მამას, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე სამთავროს სამსახურს შეალია. მამას მარტო ის ეყოფა დამსახურებად, რომ ჩვენს კუთხეში ის იყო ერთ-ერთი პირველი მოთავე საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. ახლა შენს გამო ლევანის კაცები ისე ხატავენ სურათებს, თითქოს არა მარტო შენ, მთელი ჩვენი ოჯახი ხმალს ლესავს რუსეთის წინააღმდეგ.

— გონიერმა რუსმა მოხელეებმა კარგად იციან, რომ მე ხმალს ვლესავ იმ აღვირახსნილი მოხელეების წინააღმდეგ, რომლებიც არაფერს ერიდებიან ხელის მოსათბობად, არც ხალხის დამცირებას, არც სისხლს, არც ტყუილს. მე ყოველთვის მზად ვარ ვებრძოლო ასეთ მძარცველებს, ვისაც არ უნდა მოხვდეს ეს გულზე — გინდ მთავარს, გინდ მთავარმართებელს. ჩემი ქვეყნის საქმეს ყველაფერს ვანაცვალებ. ლევანს ჰგონია, რომ ტახტს ვეპოტინები. ღმერთმა დამიფაროს ასეთი ფიქრისაგან. იგი თავის უგუნური მოქმედებით სამთავრო ტახტს თვითონ დაუკარგავს სამეგრელოს სამუდამოდ, თუ დავითი დროზე არ ჩამოვიყვანეთ.

— გიორგი, უნდა ერიდო ლევანს, — მიმართა ძმას ბესა-

რიონმა. ხალხში სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის ხმები, რომ თითქოს შენ ტახტს ეცილები ლევანს.

ასეთი საუბრით შევიდნენ ძმები ზუგდიდში, ეკლესიის გალავნის გარეთ დატოვეს ცხენები, თვითონ განათებულ ტაძარს მიაშურეს: საკურთხეველთან მარცხნივ ლევანი და მისი მეუღლე — წერეთლის ქალი, მართა, იდგნენ. ჭყონდიდელი წირავდა.

ტაძარში მღვდელთმსახურება მთავრდებოდა, სანთლების ალი თანდათან ძალას კარგავდა მოახლოებული განთიადის შუქზე.

ის-ის იყო ძმები მთავრის უკან დადგნენ და ხელი ასწიეს პირჯვრის გადასაწერად, რომ უცებ ხალხმა გზა უტია ვიღაცას. მეფის გენერალი სწრაფად მიეშურებოდა საკურთხეველისაკენ. აი იგი მობრუნდა, შედგა, შეხედა გიორგის.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ ღვთისაგან მირონცხებულ თვითმპყრობელ რუსთა ხელმწიფის ტახტის ორგულობისათვის. ტაძარი გარშემორტყმულია ჯარით, გირჩევთ, თქვენივე ხელით აიყაროთ იარაღი და ჩაგვაბაროთ!

გიორგიმ მთავარს შეხედა, რითაც ანიშნა — ეს შენი ნამოქმედარია თუ ამ ზიზილპიპილებით შეხუნძლული ვირთხისაო!

ატყდა საშინელი ხმაური და კივილი.

— მთავარო, დიდი ნიკოს ოჯახისათვის ეს არ უნდა გეკადრებინათ, ჩემი გვარი სამთავროს ორგული არასოდეს არ ყოფილა, — უთხრა ლევანს გიორგიმ და აღარ დააყოვნა, სმალშემართულ გენერალს ომახიანად შესძახა: ეი, ვირთხავ, ვწუხვარ, რომ იძულებული ვხდები ტაძარში ვიშიშვლო მახვილი, აი რა მოგაქვთ თქვენ ჩვენთვის, რას უჩვენებთ, რას აჩვევთ ხალხს. დამხვდი შენი ჯარით! — უმადლოდე უფალს, რომ ტაძარში ხმალს ვერ მოვიხმარ, — კვლავ ხმამაღლა შესძახა სიკვდილის შესახვედრად უშიშრად მდგარ, ხმალამოწვდილ გენერალს, თუ ვაჟკაცი ხარ, გამომყევი, გარეთ გავსწორდეთ! — გიორგიმ გასასვლელისკენ გასწია.

ბესარიონი მხარდამხარ მიჰყვებოდა ძმას. მათ ისარგებლეს აურზაურით, გალავნიდან გადმოვიდნენ და სასწრაფოდ ცხენებს მოახტნენ.

ვიდრე გენერალი და მისი ჯარი გონს მოვიდოდა, გიორგი და ბესარიონი ზუგდიდის თემშარაზე მიაგელვებდნენ დაოთხებულ ცხენებს. გიორგის აწუხებდა, რომ პეტრე მათთან არ იყო. ბესარიონი კი ამშვიდებდა: კარგია რომ პეტრე იქ დარჩა. ის შეანელებს მომხდარ არეულობას.

მართლაც პეტრე იმ ღამეს დაესწრო თათბირს, რომელზეც ბჭობდნენ თუ რა ზომები მიეღოთ გიორგის დასასჯელად.

საქმის გამწვავებას ახლა ყველა უფრთხილდებოდა, პეტრეს დაავალეს ძმას დადევნებოდა და გიორგი გენერალსა და სამთავროსთან შეერიგებინა.

პეტრე სიამოვნებით დათანხმდა. მეორე დღესვე დაედევნა ძმებს, რომელთა კვალი კურზუსკენ მიდიოდა. არავინ იცოდა, პეტრემ მიუსწრო თუ არა კურზუში გიორგის. ეს კია, რომ მარტო დაბრუნდა, ხოლო გიორგიმ თავისი ვაჟების — დავითის და კოწიას თანხლებით თავის სიმამრს სვანეთის მთავარს ისმაილ დადეშქელიანს შეაფარა თავი.

მეფის მოხელეებმა რამდენჯერმე მიმართეს დადეშქელიანს გიორგი ჩამოეყვანა, მაგრამ ის მათ ყოველთვის ერთ და იმავე პასუხს აძლევდა: გიორგი ჩემი სტუმარი და მეგობარია, მეგობრისა და სტუმრის ღალატი სჯულის ღალატზე უარესიაო.

მალე გიორგიმ თვით გადაწყვიტა თავისი საქმე. სიმამრის დახმარებით კარგ მებრძოლ ვაჟკაცებს მოუყარა თავი და თქვა:

— არაფრით არ დავზოგავ ლევანს. მან მე ქვეყნის ამრევად გამომიყვანა, სამშობლოდან გამომაგდო. ლევანი ცუდი მმართველია, მოკაშირეების თვალში ვერავითარ პატივს ვერ იმსახურებს, ლევანს ისიც კი გაუბედა გენერალმა, რომ, მისი სისხლი და ხორცი, ტაძარში შეეპყარი, დარწმუნებული ვარ, გენერალთან ლევანმა თვითონ დამაბეზღა. ჩემი დაპატიმრების განზრახვაც ლევანისაგან მოდის. ვერ გაითვალისწინა, ასეთ პირობებში დაპატიმრება რა ჩირქს მოცხებდა თვით მას და რუსეთის წარმომადგენელს. სად გაგონილა წმინდა საკურთხეველთან ადამიანის დაპატიმრება და ისიც აღდგომა დღეს!

სვანეთიდან წამოსული გიორგი ყაბარდოში გადავიდა.

ნათესავ-მოყვრების საშუალებით იქაც შეკრიბა მოხალისეები, შემდეგ თავის სიძეს — მიხეილ შერვაშიძეს, აფხაზეთის მთავარს, ესტუმრა და საქმის ვითარება საიდუმლოდ გააცნო.

მიხეილი მას გულთბილად და თანაგრძნობით შეხვდა. წააქეზა გადაეყენებინათ ლევანი და სამეგრელოს კუთხის მართვა-გამგეობას თვით გიორგი ჩადგომოდა სათავეში.

— ბატონო ჩემო, ჩემს მიზანს ოდნავადაც არ შეადგენს მთავარი გავხდე. მე ამისათვის ჩემი ხალხის ერთ წვეთ სისხლს არ დავღვრი, — უთხრა მიხეილს გიორგიმ მისი წინადადებით განაწყენებულმა. — საქართველოს რუსეთთან შეერთება ჩვენს ქვეყანას ახალ გზაზე აყენებს, ააღორძინებს. ფრიად უგონო უნდა იყო კაცი, რომ ახლა გამთავრება იფიქრო. სამთავროები მალე გაუქმდება, ვინაიდან ჩვენ რიგიანად ვერ ვუძღვებით მას. რუსეთის მეფესაც ეს უნდოდა. ჩვენ მის წისქვილზე ვასხამდით წყალს. იმის მაგივრად, რომ ერთმანეთს მხარში ამოვდგომოდით და ჩვენი ქვეყნის წინსვლაზე გვეფიქრა, მთელი ჩვენი ძალ-ღონე შეულლა და მტრობას შევალიეთ, ხალხი გავაჩანაგეთ. ჩემი ერთადერთი სურვილია ლევანის ბატონობას ბოლო მოვუღო. ჩვენი მთავარი ფუქსავატი და ენატანია ადამიანებით არის გარშემორტყმული. ისეთი მმართველი, რომელიც ერთგულს ორგულისაგან ვერ არჩევს, უნდა აილაგმოს და მე მას აელაგმავ კიდეც.

— სანამ სამთავროები გაუქმდებოდეს, ჩემო გიორგი, მანამ სამეგრელოს ხალხს თავისი დაემართება. ამიტომ გთავაზობ მე გამთაერებას. სხვა არავინ მეგულება ისეთი, რომელსაც შენსავით შესტკიოდეს გული ხალხზე, სამთავროზე. შენზე უკეთ არავინ იცნობს სამეგრელოს სამთავროს ჭირ-ვარამს. აი, ამიტომ იქნება კარგი, რომ სათავეში ჩაუდგე შენს ქვეყანას და არა იმიტომ, რომ მთავრის ადგილი გიტაცებს, ღმერთმა დამიფაროს ასეთი ფიქრისაგან.

მიხეილი ერთს ამბობდა და გულში სხვას ფიქრობდა. მას ხალხის ბედი, მისი გასაჭირი კი არ ალაპარაკებდა, თავის გამორჩენაზე ფიქრობდა, სიმამრის მეშვეობით იქნებ სამურზაყანოს საკითხი თავის სასარგებლოდ მოეგვარებინა.

რუსეთს სამურზაყანოს საფასური სამეგრელოსა და აფხაზეთისათვის გაეანაწილებინა.

— სამეგრელოს ჰყავს სამთავრო კაცი, — მიუგო მიხეილს გიორგიმ. — ის სიძის სახეზე გარკვევით კითხულობდა, თუ რა ედო გულში, რა ამოძრავებდა და რატომ აქეზებდა სიმამრს ტახტი წაერთმია ლევანისათვის და ძლივს ფარავდა თავის ზიზღს. გადაწყვიტა არ ეთხოვა ჯარი სიძისათვის, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა იქაურობა და სამეგრელოში დაბრუნებულიყო. — მთავრის წულს, დავითს, ვფიქრობ, არა ნაკლებ შესტკივა თავის სამთავროზე გული ვინემ მე და შენ, მიხეილ. ამ საკითხში, როგორც ჩანს, ჩვენი აზრები სხვადასხვაა. მე ჩემი მცირე ჯარით ხვალვე უნდა გავეშურო სამეგრელოში, მოვთხოვო ლევანს დაუყოვნებლივ გადადგეს და ტახტი დავით დადიანს ჩააბაროს.

გიორგი და მიხეილი განმარტოებით საუბრობდნენ. მიხეილის მეუღლე ცუცუ და ცოლის და მაია კი უდარდელად ისხდნენ მაიას ოთახში. მათ არაფერი იცოდნენ სამეგრელოში მომხდარ ამბებზე. ძლიერ გაიხარეს მამის ჩამოსვლით. ახლა ისინი მოუთმენლად ელოდნენ როდის დაამთავრებდა მამა მთავართან საუბარს, რომ დამტკბარიყვნენ მისი ცქერითა და ალერსით. მეორე დღეს მამამ მოულოდნელად რომ გამოუცხადა, დღეს უკან უნდა დაბრუნდეო, დები შიშმა აიტანა, გუმანით მიხვდნენ, მამის თავზე რაღაც კარგი ამბავი არ ტრიალებდა, მაგრამ დაწვრილებით გამოკითხვა ვერ გაუბედეს. გიორგიმ დილით ადრე დატოვა მთავრის სასახლე.

* * *

გიორგი თავის ჯარით ენგურგაღმა დაბანაკდა და სამეგრელოს მთავარს შეუთვალა:

— მშვიდობიანი გზით მინდოდა ტახტიდან შენი გადადგომა. ვუცდიდი მამის დაბრუნებას, რომ დავითი ჩამოეყვანა თბილისიდან და მისთვის განკუთვნილი ადგილი დაეკავებინა. მაგრამ დრო არ ითმენს. მთავრად შენი ყოფნა, მეტი არა ვთქვა, სამარცხვინოა, შენ შავი აღდგომა გამითენე არა მარტო

მე და დიდი ნიკოს ოჯახს, მის შვილებს, მთელ ხალხს. წინადადებას გაძლევ დღესვე აფრინო კაცი თბილისში და დაიბარო დავითი. შენ კი მის ჩამოსვლისთანავე დაუთმო მას ტახტი. თუ დღესვე არ მომცემ ამის დასტურს, ხვალ ლაშქარს დავძრავ სასახლისაკენ და პირდაპირ ხმალში გიწვევ!

ლევანი სრულიად მოუმზადებელი იყო ასეთი მოულოდნელი უბედურებისათვის. მას არც თავისი ჯარი ჰყავდა და არც რუსთა ხელმწიფის ჯარი ეგულებოდა ახლოს. სასწრაფოდ მოიწვია სამთავროს საბჭო; ბევრნი იმ აზრისა იყვნენ, რომ გიორგისთან ბრძოლა გაემართათ, ხოლო უმრავლესობას სურდა მოლაპარაკება ზავით დამთავრებულიყო. ლევანის მეუღლე ზურაბ წერეთლის ქალი, მართა, ყველას გულდასმით უსმენდა. მასში გაიღვიძა ძველი ქართველი ქალის ბუნებამ, მას თითქოს გადაეცა გრძნობა საუკუნეობით განთქმული კრავავი ჯაყელის, ცოქალასი და სხვა გმირი ქალებისა, რომელთა ჩარევით სახელმწიფო საქმეები გვარდებოდა, და მართამ ქმარს ასე განუცხადა:

— ნება მიბოძეთ, ბატონო ჩემო, მოსალაპარაკებლად მე წავიდე ჩემს მაზლისწულთან, გიორგისთან.

— ეს შეუძლებელია! — გაისმა ხმები, — შენ როგორ გეკადრება.

ბევრი იდავეს, მაგრამ მართამ მაინც თავისი გაიტანა. რამდენიმე მხლებლით მალე მშფოთვარე ენგურს მიადგა, ბანაკიც გამოჩნდა.

მხლებლები შეკრთნენ და მართას მოახსენეს:

— გარდა იმისა, რომ მდინარე ძლიერ ადიდებულია, შეიძლება გიორგი ბატონიშვილმა ტყვედ ჩაგვიგდოს თქვენცა და ჩვენც. ამით მას უპირატესობა მიეცემა ბრძოლაში და იძულებული გავხდებით დათმობაზე წავიდეთ.

— როგორ გეკადრებათ გიორგის ასე დამცირება, ის დიდი ნიკოს შვილია. თქვენ მდინარეს გაღმა გამიყვანეთ, გიორგი მაჩვენეთ, დანარჩენი მე ვიცი.

როგორც კი მხლებლები ფონს მიუახლოვდნენ, მართამ არავის დაუცადა, ცხენს მათრახი გადაჰკრა და ენგურის ზვირთებში შეაგდო ბედაური.

გაღმა გასულებს გიორგის ლაშქრის მზვერავები შემოხ-

ვდათ. არ იცოდნენ როგორ მიეღოთ ეს დიდებული ქალი. ბანაკში სმა გავარდა, მთავრის მეუღლე გვეახლაო. გიორგი ამ ამბავმა ძლიერ გააკვირვა, მართას მაშინვე მიეგება და გულზე ამბორი მოუნდომა. მართამ სალამი აღარ დააცალა, თვითონ ეამბორა გიორგის, როგორც დედა თავის შვილს.

— არ მინდა დავიჯერო, შვილო ჩემო, რომ ლაშქრით მოდიხარ შენს სამთავროში. რაც უნდა დიდი იყოს ის შეურაცხყოფა, რომელიც ლევანმა მოგაყენა, ეს მაინც არ გაძლევს საფუძველს შენი ხალხის სისხლი დაღვარო.

— ხალხის სისხლის დაღვრა არც მიფიქრია, მართა ბატონო. მთავრის მოქმედებაზე პასუხს ხალხი არ აგებს. — ცივად მოუჭრა სიტყვა დედოფალს გიორგიმ.

— ვიცი, შვილო, რომ ლევანი ბევრ რამეში ტყუის ხალხთანაც და შენთანაც. იმასაც ვხედავ, რომ მას არ ძალუძს სამთავროს გაუძღვეს. დიდი ნიკო რუსეთიდან დაბრუნდება თუ არა, ვაახლებთ დავითს თბილისში...

— მეტს არაფერს მოვითხოვ მთავრისაგან, — შეაწყვეტინა სიტყვა დედოფალს გიორგიმ. — დავენდობი შენს მართალ სიტყვას, დედოფალო, და დღესვე უკან დავძრავ ჩემს ლაშქარს. მაღალი ღმერთი მოწამეა, რომ მხოლოდ ხალხის და სამთავროს სიყვარულმა მაიძულა ასეთ რისკზე წავსულიყავი, სმალამოღებული მოვდგომოდი სასახლის კარიბჭეს. ამავე სიყვარულმა და არა მეუღლის დამარცხების შიშმა გაიძულათ თქვენ ამ უდროო დროს ცხენით გადმოგელახათ ადიდებული მდინარე. ბედნიერი ვარ, დიდო ქალბატონო, რომ ჩემი და თქვენი ფიქრები, ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა, ერთი მიზნისაკენ არის მიმართული. — გიორგიმ მუხლი მოიყარა დედოფლის წინ და კაბაზე ემთხვია.

აღელვებულმა მართამ სწრაფად წამოაყენა გიორგი და ღედობრივი ალერსით მკერდში ჩაიკრა. მერე თავისი ცხენი მოითხოვა. გიორგიმ თვითონ შესვა დედოფალი ცხენზე და გაღმა გაიყვანა. უკან გამობრუნებისას ფონიც არ მოუძებნია, პირდაპირ გადაეშვა ენგურის მღვრიე ტალღებში, ნაპირზე გავიდა და თავის ბანაკს მიაშურა.

ახლოვდებოდა რუსეთში ალექსის გამგზავრების დრო. მძიმე იყო შეყვარებულთათვის განშორება. ისინი თავიანთ ფიქრებს ჯერ არაკის უმხელდნენ. ალექსის მოუცლელობის გამო არ შეეძლო ახლა მაია დაენიშნა. ამას ბევრი ცერემონიალი სჭირდებოდა. მიხეილი კი ძლიერ აჩქარებდა ალექსის რუსეთში წასვლას.

ალექსი გაემგზავრა. დადიანის ქალები ყოველდღე დაპირებულ ბარათს მოელოდნენ მისგან.

რამდენიმე დღის შემდეგ მიხეილ შერვაშიძის სასახლის ეზოში ვიღაცამ ცხენი შემოაჭენა. მხედარს მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ წესისამებრ ჭიშკართან უნდა ჩამომხტარიყო. ის შუა ეზოში გადმოხტა ცხენიდან. მას სტუმრის შესახვედრად მიჩენილი ახალგაზრდა მიეგება და ცხენი ჩამოართვა.

— მთავარი შინ ბრძანდება?

— კი, ბატონო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ახალმოსული მიხეილის სამუშაო ოთახში იდგა თავდახრილი და მთავარს ხმადაბლა ესაუბრებოდა. გაფითრებული მთავარი კი ყურს უგდებდა.

— ეს რა უბედურება მომხდარა? თქვა აღელვებულმა მიხეილმა, ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, შემდეგ მოსულს უთხრა: შენ აქ დამელოდეო და ცუცუს ოთახში გავიდა.

მიხეილმა იცოდა, რომ ცუცუს ალექსი სასიძოდ მიაჩნდა და ძმასავით უყვარდა. ამიტომ თავის ფრთხილ და შენიღბულ მოქმედებას დების განწყობილებას უფარდებდა.

დები ცუცუს საწოლ ოთახში ისხდნენ, ჩუმად საუბრობდნენ. საუბრის საგანს ალექსის ბარათის დაგვიანება შეადგენდა. კარი გაიღო და მიხეილი შემოვიდა. მას ისეთი მკაცრი და გაფითრებული სახე ჰქონდა, რომ ცუცუმ მაშინვე შეამჩნია მეუღლეს აღელვება.

— რა დავემართა, ძვირფასო, ავად ხომ არა ხარ? — მზრუნველობით შეეკითხა ცუცუ.

— ავადმყოფობა კი არა, სიკვდილი მერჩია, ისეთი ამბავი მომივიდა.

— რა ამბავია?! — ერთხმად შესძახეს ქალებმა. — მაიას კი

გული უჩვეულოდ აუძგერდა. რატომღაც ეს ცუდი ამბავი ალექსის დაუკავშირა. ამაზე ფიქრიც ვერ დაამთავრა, რომ მიხეილმა მწარედ თქვა:

— ალექსი დაღუპულა!..

ცუცუმ შეკივლა, ხოლო თავზარდაცემული მაია ოთახიდან გავარდა.

ცუცუ ცრემლებს ღვრიდა, მოთქვამდა, თან ქმარს კითხვებს აყრიდა:

— სად დაღუპულა, რა მოსვლია?

— კისლოვოდსკში. იქ სადღაც უსაუზმია, შინ დაბრუნებულა და სულ ორ საათში გარდაცვლილა.

— უი, ჩემი სიკვდილი, ვაი დედამისის ბრალი! ეს რა მოსწრებია მოხუცებულობის დროს!

— დაწყნარდი, ცუცუ, შენი ჭირიმე! ახლა ჩვენ უნდა ვიზრუნოთ უბედური პუპის მოვლასა და ალექსის პატივისცემით დაკრძალვაზე. ჩვენზე ახლობელი მათ ხომ არავინა ჰყავთ!

— წამიყვანე უბედურ პუპისთან! მიცვალებულს როდის მოასვენებენ?

— სამ-ოთხ საათში.

— ოხ, ღმერთო ჩემო!..

— მაშ, გაეცი თადარიგი. მე კი ახლავე ცხენით წავალ, ალბათ მაიაც წამოვა.

— კარგი, წადი, ოღონდ ჩემს მოსვლამდე პუპის არ უთხრათ.

მიხეილმა მოსული კაცი გაისტუმრა, მერე პუპის სახლში წავიდა, ხოლო თვალცრემლიანი ცუცუ წასვლის სამზადისს შეუდგა და მაიას ოთახში შეეიდა.

მაია პირაღმა იწვა ლოგინზე. თვალები ჭერზე მიეშტერებინა, სანთლიდან ჩამოქნილს ჰგავდა: არც ცრემლი, არც ოხერა. შემოსულ დას უგონო თვალები მიაპყრო. ცუცუ წინ ჩამოუჯდა.

—მაია, ჩემი თავი გენაცვალოს, დიდი უბედურებით დაიჩრდილა შენი პირველი სიყვარული. სწორედ ახლა გმართებს მხნეობის გამოჩენა. ადექი, პუპისთან წავიდეთ!

— არა, არ შემიძლია, მაპატიე, მადროვე. ხვალ გეახლები!

ცუცუ დარწმუნდა, რომ მაიას ვერ დაითანხმებდა და ესღა უთხრა:

— მე მივდივარ, გონს მოდი, აეად არ გახდე! ნუ დაგავიწყდება, რომ ქალიშვილი ხარ და შენზე ცუდის თქმის საბაბს ნურავის მისცემ. ღმერთმა ხომ იცის, ალექსი მესამე ძმად მიმაჩნდა, შენზე ნაკლებად არ მიყვარდა, თავი უნდა შეიკავო.

მაია დას არ შეკამათებია, მხოლოდ ჰკითხა: როღის დაბრუნდებიო.

— მოასვენებენ საცოდავს და მოვალ დაღამებამდე. ოხ, ღმერთო, ეს რა დაგვემართა!

გაუჩინარება

მოულოდნელად დაღუპულ ალექსი შერვაშიძის ცხედარს მთელი ქალაქი შეეგება.

პუპი დადიანის ქალს ცუცუ და სხვა ნათესავი ქალები გვერდით ამოდგომოდნენ. მათი კიეილი და გულმდუღარე მოთქმა, რომ იტყვიან, ქვას აატირებდა.

ხალხში იმ დღესვე ხმა გავრცელდა: ალექსი მამამისივით წინასწარგანზრახვით არის მოწამლულიო.

თუ ვისი თაოსნობით მოხდა ალექსის მოწამვლა, არავინ ამბობდა, მაგრამ ეჭვი მაინც მიხეილისა და მისი ერთგული მსახურის, ბოროტ საქმეებში გაქნილი ხასანისაკენ იკაფავდა გზას.

საღამოს, როდესაც ცუცუ შინ დაბრუნდა, პირდაპირ მაიას ოთახში შევიდა. ტახტზე მჯდომი თავჩაქინდრული მაია გაშეშებული თვალებით იატაკს დასცქეროდა. მაიას ფარეშები — თუთასა და ლერწამისა ოთახში ტრიალებდნენ, მაიას თეთრეულსა და კაბებს მეშის ყუთებში აწყობდნენ.

ოთახში ფრთხილი ნაბიჯით შესული ცუცუ ისე წაადგა დას თავზე, რომ მაიას არ შეუმჩნევია.

— მაია, ძვირფასო, როგორ ხარ? — შეეკითხა ცუცუ. მაია წამოდგა.

— როგორც დამტოვე, წასასვლელად ვემზადები.

ცუცუმ დას მრისხანედ შეხედა.

— რას ამბობ, მაია? როგორ გეკადრება ასეთი საქციელი. რა დროს შენი წასვლაა, როცა ყველანი შეწუხებული ვართ ჩვენი ძვირფასი ალექსის უბედურებით. დამწვარ-დადაგული პუპი მამიდა მაინც შეიბრალე. შენი სიძე საშინლად შეწუხებულია. იმის მაგივრად, რომ მოხუც მამიდას ნუგეში ეცეთ და გაჭირვების ჟამს მხარში ამოვუდგეთ, შენ გაქცევას აპირებ, ხალხის ყბად ასაღებად იხდი საქმეს?

— არავის არაფერი არ დაგიშავდებათ, იმან იკითხოს, ვინც ასე უსამართლოდ მოჰკლეს. ვერაფრით ვერ დავრჩები. უბრძანეთ დილისთვის ცხენები ძომიმზადონ.

— მაია, გონს მოდი, რას ამბობ, ნუ გადარევ შენს სიძეს, მაგ სამარცხვინო აზრი თავიდან მოიშორე. მითხარი, რა მოხდა? ჩვენი გაჭირვება გვეყოფა. ახალ მწუხარებას ნუ დაგვატეხ თავზე, ალექსის გასვენებაზე ხომ მამა და ბიძებიც ჩამოვლენ. თვით მთავარი ლევანი ჩამობრძანდება ალბათ. ნუ ჩამაყენებ უხერხულ მდგომარეობაში ნურც მე და ნურც შენს სიძეს. ხომ იცი, მიხეილი რა სასტიკი კაცია, ის შენ არასგზით არ გაგიშვებს.

ცუცუ დას მოეხვია, სახე დაუკოცნა, მიეალერსა... ორივეს ცრემლები წასკდათ.

ცუცუ მაიას არ მოშორებია, სანამ მიხეილის მოსვლა არ მოახსენეს. მაიას გულში ორი აზრი იბრძოდა: დაუთმოს დას თუ გაემგზავროს სამეგრელოში.

საღამოს მაიას ოთახში ცუცუ და მიხეილი შევიდნენ. მთავარი შეწუხებული იყო, მაგრამ რატომღაც მაიას მისი შეწუხება არაგულწრფელად ეჩვენებოდა. თვალი მოარიდა სიძეს, ტანში გაბურძგლა. თავჩაღუნული იჯდა და მიხეილს არც ერთ სიტყვაზე პასუხს არ აძლევდა. როცა მარტო დარჩა, გადაწყვიტა სოხუმიდან გაპარულიყო. მოუსვენრობდა, სასახლის მოშხამულ ატმოსფეროში სული ეხუთებოდა, სუნთქვა უმძიმდა. რაღაც იდუმალი ძალა ყურში ჩასძახოდა. „ალექსი მიხეილის მოკლულია, ალექსი მიხეილის მოკლულიაო“. — ძალაუნებურად მეორდებოდა მის გონებაში ერთი და იგივე სიტყვები. თავზარდაცემულს ჭიასავით უღრღნიდა გულს ეჭვი. მაია თანდათან რწმუნდებოდა სიძის ვერაგობაში. ისე ეჩვენებოდა, თითქოს მთელი ქვეყანა შემოსცქეროდა ამ ბნელ ოთახში

მყოფს და აქეზებდა ემხილებინა სიძე, ეთქვა ყველასათვის, რომ მიხეილმა მოაკვლევინა ალექსი. მაია გააკეთებდა კიდევაც ამას, მაგრამ რა საბუთი ჰქონდა ხელში? რით დაამტკიცებდა თავის ეჭვებს? ვერაფრით. „ვერა, მე აქ ველარ გავჩერდები. ამ ღამესაც ველარ გავათენებ აქ". — მტკიცედ გადაწყვიტა მაიამ.

* * *

მაიას გაპარვის ამბავი დილით ელვასავით მოედო მთელ სასახლეს. შეშფოთებულ ქალბატონს მოახლე გოგონამ ლერწამისამ სადილობის წინ მაიას წერილი მოუტანა. ცუცუმ კარი ჩაიკეტა, ლოგინზე დაჯდა და კითხვას შეუდგა.

„ძვირფასო ცუცუ! — სწერდა მაია დას. — მაპატიე, ვიცი, რა დიდ ტკივილს მოგაყენებს ჩემი საქციელი, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო მოვქცეულიყავი. მიმიხვდები ალბათ, რომ ალექსისთან ერთად მოკვდა ჩემი სიყვარული და სიხარული, ის დიდი იმედებიც დაიფერფლა, რომელიც ასულდგმულებდა ჩვენს ოჯახს. შენმა ქმარმა მიხეილმა დაასამარა მამაჩემის აზრი — ყველა სამთავრო მტკიცე კავშირით გაევრთიანებინა. აფხაზეთსამეგრელო უფლებააყრილად რჩება. რა თქმა უნდა, ასეთ სახელმწიფოს ანგარიშს არავინ გაუწევს, როდის მომხდარა, რომ ძლიერი უძლურს პატივითა და სიბრალულით მოქცეოდეს. შენი სასახლის კარზე მრავალი ბნელი და არამზადა იკრიბება. რამდენი არ ეცადა მამა, მაგრამ შენს მეუღლეს ვერ ჩამოაშორა ეს ნაძირალები. მამა უფრო ხშირად თქვენთან იყო, რომ სიძეზე გავლენა მოეხდინა, ამის გამო შეიძულა იგი ლევანმა. მამის სულისკვეთებასა და მიზნებს დიდად თანაუგრძნობდა ალექსი. მისი მოკვლის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ ესეც არის".

ცუცუმ წერილი ქმარს არ უჩვენა. წერილის შინაარსი მიხეილს რომ გაეგო, მაიას მიწაში დამარხულს მოძებნიდა და შურს იძიებდა. ეს იცოდა ცუცუმ და როცა სადილად დასხდნენ, მხოლოდ ეს უსაყვედურა მეუღლეს, რომ მან მაიას მდევრები დაადევნა. რა საჭირო იყო ყოველი კუთხით მდევრების დაგზავნა და მაიას საქციელის ასე საქვეყნოდ გამოაშკა-

რავება. მე თუ დავკარგე გონება, შენ მაინც რატომ დაიბენიო.

ცუცუმ წერილის მომტანი, ტყვეობიდან დახსნილი გოგო, ლერწამისა დაიბარა და დაკითხვა დაუწყო:

— როდის მოგცა ბატონიშვილმა ეს წერილი, ლერწამისა?

— გათენებული არ იყო, ქალბატონო! — უპასუხა გოგონამ, თან დაიჩოქა და ტირილი დაიწყო.

— სად ბრძანდებოდა ჩემი და, როცა წერილი გადმოგცა?

— თავის ოთახში, ბატონო, — უპასუხა თვალცრემლიანმა გოგომ.

— მარტო იყო?

— არა, ბატონო, თუთანაც თან ახლდა.

— რას აკეთებდნენ?

— სამგზავროდ იყვნენ ჩაცმული. ბატონიშვილს დიდი შალი ეხურა, ფოჩები მიწას ეხებოდა, ჩქარობდა. ბატონიშვილმა მიბრძანა: ეს წერილი დიდ ქალბატონს სადილობის წინ გადაეციო, არ გაბედო მანამდე ამ წერილის გამოჩენა და არც არავისთან წამოგცდეს რამე, თორემ შავი დღე არ აგცდებაო. თუთანამაც დამარიგა, კრინტი არ დამეძრა. არავისთვის გამემხილა. თუ ასე არ მოიქცევიო, როგორც დაგიხსნა თაირების ტყვეობიდან ბატონიშვილმა მაიამ, ისევ გაგყიდისო.

— ძალიან გეშინია სათათრეთში გაყიდვის, ხომ? ახლა რაც იცი, ყველაფერი თქვი, თორემ ისეთ საქმეს დაგაწევ, რაც არასოდეს არ მიქნია, — დაემუქრა ცუცუ მოახლეს.

გოგო აკანკალდა.

— ღმერთი გამიწყრეს, თუ რამე დაგიმალო. როცა სასახლეში ყველანი დაწვნენ, ბატონიშვილი და თუთანა სასახლიდან გავიდნენ. ვერ იცნობდა კაცი, ისე იყო ბატონიშვილი შავ თავშალში გახვეული.

— შენი ფიქრით სად უნდა წასულიყვნენ?

— მგონი ალექსის სატირლად. ბატონიშვილს თვალებში ცრემლის ნაკვალევი ეტყობოდა. აქაც ცრემლს ვერ იკავებდა.

— ვაიმე, ჩემო დღეო, რა მესმის! ახალგაზრდა ქალი ასე უმხლებლებოდ, უპატრონოდ, შუაღამისას ახალგაზრდა კაცის სატირალში? რა იფიქრა უბედურმა ჩემმა დამ? მომჭრა თავი მეც, ჩემ ქმარსაც, მამას, ძმებს! — ფიქრობდა გულში ცუცუ და, დაზე გულმოსულს, თვალებში ცრემლიც გაუშრა.

საქალებოში ჩურჩული ატყდა. ცუცუს მოახლეები, მკერავები და მათი მეგობარი ქალები იმეორებდნენ ჭორსა და მართალს. ჭორებმა და მითქმა-მოთქმამ მოიცვა მთელი სასახლე, რამაც ყველაზე მეტი სარბიელი და გამოძახილი საქალებოში ჰპოვა.

— ეს რა უნებებია ქალბატონის დას, ალექსის სატირლად შუაღამისას მარტოდმარტო მისულა. წინდაწინ თუთანა შეუგზავნია — მხოლოდ პუპი დამხვდესო, მართლაც, მარტო პუპი დახვდა თურმე.

— ტყის დედოფალს ჰგვანებია მაია ბატონიშვილი, მთლად თეთრად ყოფილა გამოწყობილი.

— მერე, მერე, თქვი. — შესძახეს ქალებმა.

— თურმე თავისი ნაწნავები გულზე დააყარა მიცვალებულს, მერე სიყვარული შეუფიცავს.

— უი, უი რა გაუბედავს?! — გაისმა აქეთ-იქით გაკვირვებული შეძახილები.

— მაცალეთ, ქალებო, ოქროს ბეჭედი, რომელიც ალექსის პატარა თითზე ჰქონია და უბედურ მაიას დასანიშნავად ნდომებია, ბატონიშვილს წაუძვრია მიცვალებულის თითიდან და თავის მარჯვენა უსახელო თითზე წამოუგია.

— არა, ქალო, პუპის უთხოვია ბეჭედი. — გამოედავა ერთ-ერთი ქალი.

— კარგი, აცალეთ ლაპარაკი. — მოისმა ხმები.

— მერე თურმე პუპის გადაეხვია და ცრემლებით გულმკერდი დაუსველა. პუპი არ მოთქვამდა, ჩუმად ტიროდა, ბატონიშვილს თმებს უსწორებდა, თან ეუბნებოდა: დაწყნარდი, შვილო, რატომ მოდი უდროო დროს. დაბრძანდი, გენაცვალე, ნუთუ ჩემი ალექსის ჯავრმა დაგავიწყა ვინ ხარ და რა ხარ, შენ შემოგევლოს შენი პუპი.

— დიდებული ქალია მაია, თან კეთილი და გამბედავი. თუთანა და ლერწამისა მან დაიხსნა ტყვეობიდან.

— ეს ამბავი გამიგონია, მაგრამ მთლად კარგად არ ვიცი, — ჩაერია ლაპარაკში ცუცუს მკერავი, შუახნის ქალი.

— თურმე მაია ბატონიშვილი თავის ძმითა და მახლობლებით ცხენით მობრძანდებოდა აქეთ, ჩვენი მთავრის ოჯახში. ოჩამჩირეში, ზღვის პირას, პატარა ლერწამისა და მეორე,

მასზე უფროსი თუთანა ხელფეხშეკრულნი ისხდნენ და მწარედ ტიროდნენ. მათი მოთქმა თურმე მაიამ გაიგონა, დაუკვირდა, საიდან მოდიოდა ეს ხმა. ორი თურქი იქვე მიბმულ ნავს ხსნიდა ნაპირიდან, თან გოგონებს მათრახით სცემდნენ, ხმა გაეკმიდათ და მგზავრების ყურადღება არ მიექციათ.

— არიქა, გააჭენეთ ცხენები, თორემ თუ ზღვაში ჩაგვასწრეს, დაიკარგებიან გოგონებიო! — უყვირია მაიას და, სანამ მამაკაცები გონს მოვიდოდნენ, მას ცხენი აუჩქარებია, ძმისა და მხლებლების გასწრება მოუნდომებია. მაიას ძმას, დავითს და მხლებლებს ცხენით გაჭრილი ქალი შეუჩერებიათ და ყიჟინი აუტეხიათ. თურქები შეშინებულან, მოხსნილ ნავში ჩამსხდარან, მოუსვამთ ნიჩბები და გაქცეულან. ტყვეობიდან დახსნილი ქალები მაიას ოქუმში წამოუყვანია.

— ვენაცვალე მის ქალობას! დედოფლობის ღირსია, საკვირველია, რატომ იკადრა ბედნაცვალი ალექსის ასეთი სიყვარული, ან რა სახარბიელო იყო მაიასთვის ალექსის ცოლობა, განა არ იცოდა, რომ მიხეილს იგი ქვისლად არ ენდომებოდა?

— ალექსი ხომ მთავრის ოჯახის შვილი არ იყო.

მოლაპარაკეთა გვერდზე მჯდომმა ქალმა ფეხზე ფეხი დააჭირა და გადაულაპარაკა:

— შენ ენა ხომ არ გექავება, ბევრს რომ ლაპარაკობ?

— მერე, იმ ღამეს, ოქუმში მოუყვანიათ ეს ქალები, იქ მოუსვენებიათ აჩბებთან. მაიას მხლებელი ქალებისათვის ებრძანებინა მათთვის ტანისამოსი მიეცათ, სამგზავროდ ცხენები მიერთმიათ. ეს საწყალი გოგოები ამნაირად გადარჩენილან თურქების ტყვეობისაგან.

სანამ ქალები საუბრობდნენ, ცუცუს გამზრდელი, მოხუცი გადია საროსტანისა, ჩუმად იჯდა. გადია განსაკუთრებული სიმძიმით განიცდიდა სირცხვილს, რომელიც მის გაზრდილებსა და ნაამაგარ ბატონიშვილის ქალებს თავს დაატყდათ.

— ეხ, შვილებო, ჩემი გაზრდილები კიდევ უკეთესები უნდა იყვნენ, ისეთი დედ-მამის შვილები არიან. ყმის გაყიდვას დიდი ნიკოს ოჯახში ვერ ურიგდებოდნენ.

მათ ლაპარაკი არ დაემთავრებინათ, როცა საქალებოში

შუახნის ქალი შემოვიდა. მას ყველა მიესალმა. ქალმა თეთრი თავსაფარი მოიხსნა, დალალები წინ ჩამოიყარა და დაჯდა. სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაც ახალი ამბავი გაეგო და ამ ამბის მალე თქმა ეჩქარებოდა.

ქალებიც მიუხვდნენ გულისნადებს და თვალები მიაპყრეს.

— რა იცი, ეშა, ახალი, რას ამბობენ ქვეყანაზე?

— ქვეყანაზე რომ ამბობენ, ისეთი შენს მტერს.

— რაო, რაო? — შესძახეს ყოველი კუთხიდან ქალებმა. — ზოგმა საკერავზე ნემსი შეაჩერა, ზოგმა აბრეშუმის ძაფის რთვა შეწყვიტა, ზოგმა — ქარგვა.

— რაო, შენი ჭირიმე და, ალექსი მაია ბატონიშვილის საქმრო იყოვო. მთავარს ის ქვისლად არ უნდოდაო. კაცმა არ იცის რამ მოკლაო. იმის სიკვდილზე რას არ ამბობენ. მაია სიძეზე იყო გაჯავრებული და იმიტომ დატოვა აქაურობაო.

— ამ დილით, გათენებისას, კაცები თევზაობიდან ბრუნდებოდნენ თურმე, — გვიამბეს ბაღმარანში, — კელასურის პირას ვნახეთ შესანიშნავი ქალი, რომელიც თეთრად იყო გამოწყობილი. ქალი ფესშიშველი იყო. კაბა მუხლამდე აწეული ჰქონდაო. წყლის დედოფალი გვეგონა, მაგრამ როდესაც წყალში ჩავიდა და უკან ვიღაც ქალი დავინახეთ, მივსვდით, ვინც იყოვო.

— უი, ნამდვილად მაია ბატონიშვილი ყოფილა! — ერთხმად შესძახეს ქალებმა.

— დიახ, მაია ყოფილა. ჩვენს კაცებს ის წინათაც უნახავთ სასახლეში, მაშინვე უცვნიათ, მაგრამ ბუჩქებში შემალულან, რომ ბატონიშვილისათვის თავი არ ეჩვენებინათ, მორიდებიათ საწყლებს.

— ვაი, ვაი, სირცხვილო! — ამოიკვნესა ცუცუს გამზრდელმა სარისტანისამ.

წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა საქალებოში. ყველა საკუთარ ფიქრს მისცემოდა. ამ წუთში ქალები სიყვარულზე ფიქრობდნენ; ზოგს წყუროდა სიყვარულის განცდა, ზოგიც განცდილს იგონებდა.

ნიკო დადიანი, დიდ ნიკოდ წოდებული, სამეგრელოს მთავრის ლევანის უახლოესი მრჩეველი, ამჟამად პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდა. მას იქიდან მოჰქონდა რუსეთის მთავრობის დადგენილება, რომლის ძალითაც სამურზაყანო სამუდამოდ მიაკუთვნეს სამეგრელოს სამთავროს. გამარჯვებული და კარგ გუნებაზე მყოფი ნიკო პირდაპირ ლევანის ვაჟთან, დავითთან, ჩამოხტა ბინად. მისალმების შემდეგ ნიკო დავითს მოუყვა თუ რა სიძნელის გადალახვა მოუხდა იმისათვის, რომ პეტერბურგიდან წამოელო ორი წლის წინათ მოგებული სამურზაყანოს საქმის ქაღალდი.

— ახლა მეფისნაცვალს ვინახულებ, უკანასკნელ „ნებართვას“ გამოვართმევ. გადავყევით სამურზაყანოს. რამდენი სარჯები მოუნდა, პირდაპირ ვერ აგიწერ, — თქვა ნიკომ.

— დიდად სასიამოვნოა რაკი გამარჯვებული ჩამობრძანდით და შრომა არ დაგეკარგათ, — უპასუხა დავითმა.

— სამურზაყანოს გარდა, მრავალი სხვა საჭირბოროტო საქმე გვაქვს გადასაწყვეტი, დავით... თუ მომისმენ, მოგახსენებ რა მდგომარეობაშია ჩვენი სამთავრო.

— სიამოვნებით, ბიძავ ბატონო!

— მამაპაპათა ჩვენთა უბრძოლიათ და სისხლი უღვრიათ, რომ საქართველოს საზღვრები დაეცვათ. ახლა გამოდის, რომ ვისაც მივენდეთ, ვინც ჩვენ პატრონად დიდმა ერეკლემ აირჩია, ის პირობას არ გვისრულებს. ხალხი თვითმპყრობელობის უგონო და უხეში მოხელეებისაგან იტანჯება. მამაშენს ლევანს არავითარ ანგარიშს არ უწევენ... ალბათ დაიღალა მთავარი. დროა მან დაისვენოს. ამ მოხელეებთან უფრო ახალი მოქნილი დამოკიდებულებაა საჭირო, მამაშენი მათ ალღოს ვერ აუღებს, საქმეებს ისე ვერ წარმართავს როგორც მდგომარეობა უკარნახებს. ამიტომ შენ უნდა მოემზადო მამაშენის სანაცვლოდ, მთავრის საპატიო მოვალეობის მისაღებად.

— დიდად გმადლობთ, ბიძა ბატონო, ჩემზე რომ ასეთი აზრის ბრძანებულხართ, საპატიო ადგილს მთავაზობთ, მაგრამ ეს ჩემგან დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. მე თვითონ

უნდა შევამოწმო ჩემი თავი, შევძლებ თუ არა პირნათლად შე-ვასრულო სამშობლოს წინაშე მთავრის მოვალეობა.

— გეთანხმები, შვილო ჩემო. ქვეყნის მართვა ადვილი არ არის. კარგი მმართველი რომ გახდე, საჭიროა კარგად იცნობ-დე სახელმწიფოების მმართველობის სისტემას, განსაკუთრე-ბით კი შენი სამშობლოს წარსულს. უნდა გესმოდეს შენი ხალხის ავ-კარგი. ლევანი ჩემი სისხლი და ხორცია, მაგრამ ვბერდებით, არც შენოდენი განათლება გვაქვს, შენ ახალ-გაზრდა ხარ და ცოდნით აღჭურვილი. ლევანთან უკვე მქონდა ამაზე თათბირი. ნაწილობრივ დავითანხმე, რომ თავის სიცოცხ-ლეშივე გადმოგცეს სამთავროს მართვა-გამგეობა. სანამ სუ-ლი მიდგას, მეც მხარში ამოგიდგები.

დავითი ყურადღებით უსმენდა ბიძას. გული თავისი კუთხ-ისაკენ მიუწევდა, მაგრამ თბილისში მას ბევრი რამ აჩერებდა. ჯერ იყო და, თავისი თავი კიდევ არ მიაჩნდა მთავრის თანამ-დებობის შესაფერისად მომზადებული, შემდეგ, აშინებდა ეკონომიურად დაუძლურებული და პოლიტიკურად დაქუცმა-ცებული სამთავრო, რომელიც არ იყო შეკრული და ეროპი-რიანი. მსხვილი ფეოდალები მტრობასაც კი უწევდნენ მთა-ვარს. ურთიერთშორის შუღლისა და მტრობის გარდა ფეო-დალებს არაფერი ჰქონდათ საერთო, სახელმწიფო-საზოგა-დოებრივი ინტერესები დიდი ხანია არც ერთ მათგანს არ აღელვებდა. ახლა, როდესაც სამთავრო ასე საშიშარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ახალგაზრდა დავითს საქარ-თველოს დედაქალაქში კიდევ ერთი მიზეზი აყოვნებდა: ის ხშირი და სასიამოვნო სტუმარი გახლდათ პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახისა, რომელიც მაშინდელი საქართველოს კულტურის კერას წარმოადგენდა. ამ ოჯახში ხშირად იმარ-თებოდა ლიტერატურული საღამოები. შეკრებილ დიდებულ საზოგადოებას ამშვენებდნენ ალექსანდრეს ქალიშვილები და ტრფობის ცეცხლს უკიდებდნენ რჩეულ ახალგაზრდებს. და-ვითს უმძიმდა ამ წრის დატოვება, მით უმეტეს, მშვენიერი ეკატერინეს დედოფლური თავდაჭერილობა, მიმზიდველი სიმღერები მოსვენებას არ აძლევდნენ ჭაბუკს. მამის მუსიკა-ლური ლექსის სიტყვებით ამღერებული ეკატერინე განა შეიძ-ლებოდა არ შეგყვარებოდათ? ყელყარყარა ქალიშვილის მო-

ხიბვლას ტატო ბარათაშვილიც ცდილობდა. ქონებრივად ღარიბი მოხელის და ნიჭით მდიდარი პოეტისათვის უნდა დაესწრო სამეგრელოს მთავრის შვილს, თორემ... რაც უფრო მეტს ფიქრობდა დავითი ამაზე, მით უფრო ნათლად ესახებოდა აწ აოხრებული და ახლო მომავალში მისი სელმძღვანელობით ზუგდიდში ასაგები სასახლე. ეკატერინეს გარდა ამ სასახლეში სხვა დედოფალი ვერ წარმოედგინა. რუსეთის დედოფლის, ეკატერინე მეორის მონათლულს — ალექსანდრე ჭავჭავაძეს უთუოდ სადედოფლოდ გაუზრდია ქალიშვილი. დავით დღე დღეზე უპირებდა ეკატერინეს სიყვარულის გამომჟღავნებას, მაგრამ ლევანის ზვიად შვილს აფიქრებდა პასუხის მოლოდინი — ვაი, თუ!.. და გასაგებია, რა მოუმზადებელი შეხვდებოდა ის ნიკოს რჩევას. ბუნებით დინჯმა დავითმა ბიძას დანამდვილებით ვერაფერი უთხრა.

— მე მუდამ გულისყურით მივიღებ შენს რჩევა-დარიგებას, ბიძა ბატონო! ვეცდები, ყველაფერი ისე გავაკეთო, როგორც შენ მირჩევ, მაგრამ ცოტა უნდა მადროო. ასეთი დიდი საქმის გადაწყვეტა არც ისე ადვილია, არ მინდა მამამ იფიქროს, რომ მე მის თანამდებობას ვეშურები.

— ეს რა თქვი, შვილო, შენზე ასეთ ეჭვს მამა არასოდეს არ მიიტანს. ვატყობ, შენ მამის გერიდება. უფროსის წინაშე მორიდება ცუდი არ არის, მაგრამ აბა წარმოიდგინე სამთავროს მდგომარეობა. იგი დაცემის კარამდეა მისული. გული დაგეწვება დღევანდელი სამეგრელოს შემყურეს. მამაშენს ბევრი თავადი გადაუდგა, იმის გამო, რომ ღირსეულად ვერ უძღვება სამთავროს. მთავრის მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოექცა ჩემი შვილი გიორგიც. მე უფრო მისი რჩევით ჩამოვედი შენთან. დრო არ ითმენს, დავით, მიხედე შენს სამთავროს.

— ვეცდები, ბატონო ნიკო, არ დავაყოვნო. ოღონდ აქედანვე ვგრძნობ, ჩემი ჩამოსვლა და გამთავრება ბევრ თავადს გულს მოუშხამავს. წინასწარ ვაცხადებ, მე მათთან ლმობიერი ვერ ვიქნები.

— ხალხის საქმისათვის ნურც სიმკაცრის მოგერიდება, შვილო ჩემო, ნურც ლმობიერების, — მიუგო ნიკომ. — სამთავროს მტრებს მტრულად უნდა მოექცე, მოყვარეს — მოყვრულად.

დავითმა იცოდა, თუ რა უსიამოვნება დატრიალდა ზუგდიდში მამასა და გიორგის შორის, მაგრამ ნიკოს არაფერი უთხრა, მოერიდა, იფიქრა: თვითონ გაიგებს და თვითონვე განსჯისო.

ნიკო წამოდგა, საათს დახედა.

— ალექსანდრე ჭავჭავაძისას სადილად მელოდებიან, უნდა დაგტოვო, დავით.

— საღამოს მეც იქ გეახლებით, — უთხრა დავითმა სტუმარს და ისიც წამოდგა, — ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი ამ საღამოს განსაკუთრებით მიმზიდველი იქნება. ამაღამ ტატო ბარათაშვილი ახალ ლექსებს კითხულობს.

— ძლიერ გამახარე, ჩემო დავით, ბევრი კარგი გამიგონია ბარათაშვილზე, როგორც ნიჭიერ მგოსანზე. მისი ნათლობის სახელი მგონი ნიკოლოზია. მე, ერთი პატარა კაცი, მუდამჟამს პოლიტიკური ამბებითა და ყოფაცხოვრების საქმეებით თავმობეზრებული, ერთხელ პოეზიითაც დავტკბები, ჩვენი ყურით მოვისმენ საამაყო ახალგაზრდა მგოსნის ლექსებს.

— ვფიქრობ, ისიამოვნებთ! მართლაც დიდი ნაშრომი ბრძანდებით, უთუოდ მოგიხდებათ გართობა.

გულში კი სხვანაირად გაჰკრა დავითს. დიდი ნიკო დღეს მის სანუკვარ ეკატერინეს გაიცნობდა.

* * *

მდიდრული ელფერით გამოირჩეოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლე თბილისის შუაგულში. იგი საუკეთესო არქიტექტურული ხელოვნებით იყო ნაგები. მისი ევროპული გემოვნებით მორთული დარბაზები უამრავ მეგობარსა და სტუმარს იტევდა. ალექსანდრე ჭავჭავაძის მდიდარი ოჯახი არა მარტო სტუმართმოყვარეობით იზიდავდა თბილისის მოწინავე საზოგადოებას — თავისი ლიტერატურული სალონით, სულიერი და გონებრივი საგანძურით კიდევ უფრო საყვარელი იყო ყველა მათგანისათვის. საქართველოსა და რუსეთის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულებს ნახავდით ალექსანდრე ჭავჭავაძის სამუშაო ოთახში, მის განთქმულ სალონსა და დიდ სასადილოში.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი მრავალი სახის

პოლიტიკური ცვლილებებითა და კულტურული ძვრებით აღინიშნა. ეს აბები ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში დიდ გამოძახილს პოულობდა. ხშირად მსჯელობდნენ აქ იმაზე, თუ რა ბედი მოელოდა რუსეთს და კერძოდ საქართველოს, იყო თუ არა მოსალოდნელი რუსეთში მმართველობის სისტემის შეცვლა, შეუმსუბუქდებოდა თუ არა ყმა-გლეხებს ცხოვრების პირობები, დარჩებოდა თუ არა თავადაზნაურული პრივილეგიები. ყველას ასულდგმულებდა ის იმედი, რომ პროგრესული რუსეთის ბედთან ქართლის ბედის დაკავშირება სიკეთესა და ბედნიერებას მოუტანდა საქართველოს. მით უფრო, რომ რუსეთიდან ჩამოსული მოღვაწეები, რომელნიც ოდნავ მაინც ლიბერალურად აზროვნებდნენ, თანაგრძნობით უახლოვდებოდნენ საქართველოს მოწინავე საზოგადოებას, იზიარებდნენ მის ჭირსა და ლხინს. თუმცა ჩამოსულთა შორის ცოტანი როდი იყვნენ თვითმპყრობელური სულისკვეთებით გაჟღენთილი მოხელეებიც, რომელთაც საქართველოს ბედნიერება ჩირად არ უღირდათ. ისინი საქართველოს ისე უყურებდნენ, როგორც კოლონიას, მოსახლეობაში არავითარი მკაცრი ზომების მიღებას არ ერიდებოდნენ, რის გამოც ხალხის სიძულვილი დაიმსახურეს. მათი მოქმედება სოფლებსა და ქალაქებში იწვევდა პროტესტს, ხშირად აჯანყებასაც. სავალალო გახდა უცოდინარობა რუსული ენისა, რომელიც უკვე ყოველ დაწესებულებაში შემოღებული იყო და, რომელსაც თვით თავადაზნაურებიც იშვიათად იყენენ დაუფლებულნი.

სხვა მებატონეებთან შედარებით, ალექსანდრე ჭავჭავაძე გლეხებს ადამიანურად ექცეოდა. შრომის ანაზღაურებაშიც ბევრი მომდურავი არ ჰყავდა, ამიტომ საქართველოს ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ მასთან გლეხები სამუშაოდ. ნიჭიერ პოეტს ხალხი სიყვარულით ამკობდა:

ბატონია, თავადია კახისა,
გამკითხავი ღარიბის და გლახისა,
ალექსანდრე ჭავჭავაძე ქებული
ხელმწიფისგან სახელგანდიდებული.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სიყვარული თითქოს შვილებზე გადავიდაო, ჭკუა-გონებითა და უჩვეულო სილამაზით დაჯილ-

დოებული მისი ქალიშვილები მთელი საქართველოს სათაყვანებელი იყვნენ. ალექსანდრეს სახელგანთქმულ სალონს ამშვენებდნენ მეუღლე სალომე, ქალიშვილები — ნინო, ეკატერინე და სოფიო.

* * *

სადილის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძე სტუმრებს სამუშაო ოთახში შეუძღვა. ახალგაზრდები კი სადარბაზო ოთახისკენ გაიკრიფნენ. მარტო სადარბაზო ოთახის მოწყობილობა იყო საკმარისი მხიარული განწყობილების შესაქმნელად. მნახველს აჯადოებდა მითოლოგიური სურათებით მოხატული ოთახის კედლები. იმასაც ამბობდნენ, რომ კედელზე გაკრული ეს უჩვეულო შპალერი თითქოს ეკატერინე ბებერეს ეჩუქებინოს ჭავჭავაძეებისათვის.

ახალგაზრდების შესვლისთანავე დარბაზი სიხარულით აივსო.

ალექსანდრეს უფროსი ქალიშვილი, კდემამოსილი ნინო, გრიბოედოვის ქვრივი, ფორტეპიანოსთან დაჯდა. ის შვიდი წლის წინათ დაქვრივდა. თავის სასახელო ქმართან მხოლოდ რამდენიმე თვე არგუნა ბედმა ყოფნა. ცას მოწყვეტილი ვარსკვლავივით მოულოდნელად ხელიდან გამოეცალა ღირსეული მეუღლე და რჩეული მამულიშვილი. ქმრის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება ნინოს მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა, საზოგადოებაში ყოველთვის თავი მორიდებულად ეჭირა, თავისი მწუხარებით და წუწუნით არ უნდოდა სხვები შეეწუხებინა. ფორტეპიანოსთან მჯდარი კლავიშებზე ბროლის თითებს ნელა ათამაშებდა და უმცროსი დის — ეკატერინეს გამოსვლას ელოდებოდა.

აჰა, გამოჩნდა მაღალი, ნარნარი ეკატერინე, ყველას მიესალმა, შემდეგ ნინოს გვერდით შედგა. როიალის ახლოს თანდათან ახალგაზრდათა ჯგუფი შეიკრიბა. მხოლოდ ერთი იჯდა მათ შორის თავდახრილი, განმარტოებით ჩუმად კუთხეში, ეკატერინეს ხმის ყოველი ბგერა მას ჟრუანტელს ჰგვრიდა.

როგორ დაბლის ხმით დაგეფდე,
რომ შენს მეტს არვის ვასმენდე,
სარკიც მხოლოდ შენ გაძლიო,
სულიც შენს ბუჩქზე დავლიო.

ნიკოლოზ ბარათაშვილს სულსა და გულში სწვდებოდა მგრძნობიარე სიტყვები. ეკატერინემ მისკენ მიიხედა. ბარათაშვილი შეირხა და ადგომა დააპირა. ამ დროს დარბაზში ალექსანდრეს მეუღლე სალომე შემოვიდა. მეგობარ ქალებთან ერთად ყველანი ადგნენ და თავი მდაბლად დაუკრეს. სალომეს ჯერ კიდევ დასთამაშებდა სახეზე მშვენიერების შუქი.

— შვილებო, ეს რა მოგსვლიათ, რომ თქვენ ორი ჭღერიხართ და სხვები კი მოწყენილები არიან? ნინო, კატენკა, განა სტუმრებს ასე ართობენ? ნინო, გეთაყვა რამე საცეკვაო დაუკარი და ვაჟებიც გაერთობიან.

— მისი უგანათლებულესობა დავით დადიანი მობრძანდა! — საკმაოდ ხმამაღლა თქვა შემოსულმა მსახურმა.

— თხოვეთ, მობრძანდეს! — თქვა სალომემ. რამდენიმე წუთში დარბაზში დავითი შემოვიდა. ყველას საერთო სალამი მისცა, სალომე ჭავჭავაძესა და მის გვერდში მყოფ მანდილოსნებს კი ხელზე ეამბორა. შემდეგ ახალგაზრდებს მიესალმა და დაუფარავი აღტაცებით შედგა ეკატერინეს წინ, მაგრამ მისი აღტაცება უმალვე ჩაქრა: ქალიშვილის სევდით სავსე თვალები იმ კუთხისკენ იყურებოდა, სადაც ტატო ბარათაშვილი იჯდა. პოეტისკენ თვალმიპყრობილ ეკატერინეს დავითის შემოსვლა არც კი შეუნიშნავს.

— კატენკა! — მიმართა დავითმა ყრუ ხმით.

— კარგი ჰქენი, რომ მობრძანდი, დავით, — მობრუნდა დადიანისაკენ ეკატერინე, — მე ძალიან მაინტერესებს შენი აზრი ტატოს ლექსებზე.

— დარწმუნებული ვარ, ეკატერინე, რომ ტატო ამაღამ კარგ ლექსებს წაგვიკითხავს.

— შენ ხომ გიყვარს ლექსები, დავით?

დავითმა თავის დახრით მისცა დასტური.

— ტატოს ლექსები რაღაც ზღაპრულია. ჩანს, ჩვენი მგოსანი ღელავს, ერთი მივალ მასთან. მაპატიე, მაგრამ უნდა დაგტოვო.

ეკატერინე მსუბუქი ნაბიჯით და ჰაეროვანი ტანის რხევით ტატოსაკენ გაეშურა.

დავითს ეგონა მთელი დარბაზი დაცინვით შეჰყურებდა, ეკატერინემ ასე რომ მიატოვა, მაგრამ ნინოს მეტს არავის შეუმჩნევია. ნინომ კი დადიანის სახეზე უმალვე ამოიკითხა ეჭვისა და შეურაცხყოფის ნაღველი.

— ბატონო დავით, — მიმართა ნინომ ნაზი ხმით დადიანს და თავის გვერდით სავარძელზე მიუთითა, — როგორ მოგვანატრეთ თავი. რამდენი ხანია ჩვენსა არა ყოფილხართ.

დავითს არაფერი უთქვამს. იგი მძიმედ ჩაეშვა სავარძელში. ცდილობდა გამხიარულებულიყო, ნინოს არაფერი შეენიშნა, მაგრამ ვერ ახერხებდა...

— მე დედას ვთხოვე ცეკვების დაწყებამდე წაიკითხო ლექსები. რას იტყვი, ტატო?

— როგორც გინდა, კატერინა.

— ღელავ?

— ძალიან!

— მეც გული ამოვარდნაზე მაქვს.

— გმადლობთ თანაგრძნობისათვის, კატერინა, — გაიღიმა ტატომ.

— დავით დადიანი დარწმუნებულია, რომ შენ კარგ ლექსებს წაიკითხავ.

დავითის ხსენებაზე ტატოს უმალვე გაუქრა ღიმილი.

დავითი კი ერთი წამითაც არ აშორებდა თვალს ეკატერინეს და ტატოს. ცდილობდა მისი ქურდული მზერა არავის დაეჭირა, მაგრამ ნინო კარგად ხედავდა, თუ რა ხდებოდა დადიანის გულში და ცდილობდა გაერთო თავადი.

— თურმე ზუგდიდში აპირებთ გამგზავრებას, დავით. დღეს ჩვენს სტუმრებს შორის ბრძანდება სამეგრელოს მთავრის მრჩეველი, დიდი ნიკო. თუ არ ვცდები, ასე ეძახიან მას სამეგრელოში.

— დიახ, დიდ ნიკოს ეძახიან.

— ამბობენ, სპეციალურად თქვენს წასაყვანად ჩამობრძანდაო.

ვიდრე ნინო გრიბოედოვისა და დავით დადიანი საუბრობდნენ, დარბაზის მეორე მხარეს ეკატერინე და ტატო განმარ-

ტოებით ისხდნენ. ტატო ალბომში ლექსს უწერდა ეკატერინეს, თან დროდადრო გაბრწყინებულ თვალებს აპყრობდა მისთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს. „თავად ჭავჭავაძის ასულს ეკატერინეს", — ასე წააწერა ლექსს. წერა დაამთავრა, წამოდგა, ალბომი ეკატერინეს გადასცა. ქალიშვილი გააოცა ასე ექსპრომტად დაწერილი ლექსის სიდიდემ და შინაარსმა.

— ტატო, გეთაყვა, ასე სწრაფად რამხელა ლექსი დაგიწერია? — აღტაცებით უთხრა ეკატერინემ და ლექსს დაეწაფა. კითხვამ ისე გაიტაცა, რომ თავი მარტო ეგონა და უკანასკნელი სტრიქონები ხმამაღლა აღმოხდა:

მახსოვს სიამით,
ოდეს ტკბილი ხმით,
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე,
პირმცინარითა,
სინარნარითა,
მგოსნის ყარიბ გულს ესხივმფინარე.

ეკატერინე აღტაცებაში მოიყვანა ლექსმა. სიხარულისაგან დაბნეულს ენა დაება. ვერ ახერხებდა ვერაფრის თქმას. მადლობითა და რაღაც გამოუცნობი სინანულით შეჰყურებდა ტატოს.

დარბაზის კარები გაიღო. გამოჩნდა ნიკო დადიანი. მას შემოყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, ერისთავები — გიორგი და და რაფაელ, ორბელიანები — გრიგოლ და ვახტანგი, ჩოლოყაშვილი, ტორნაუ და სხვა მეგობრები. ალექსანდრე რიხიანად შემოვიდა ოთახში და სიხალისესთან ერთად საყვედურიც შემოიტანა.

— რა მოგივიდათ, ახალგაზრდებო! გამოდის, მე თუ არა ვარ, თქვენ სტუმრებს ვერ გაართობთ, — თქვა სიცილით, — არც ცეკვა, არც სიმღერა. კატენკა, სადა ხარ, ქალო!

ეკატერინე მამას შეეგება და სერიოზული კილოთი დაუწყო საუბარი. მორიდებულად მიუახლოვდა მათ ნიკოლოზ ბარათაშვილი. დარბაზი თანდათან სტუმრებით ივსებოდა. აგერ გამოჩნდნენ ქართველ ქალთა დამამშვენებლები მანანა და მაიკო ორბელიანები. ყველანი დასხდნენ. გიორგი ერისთავი ნინო გრიბოედოვას აღტაცებულ თვალებს ვერ აშორებდა, მაგრამ

ნინო ისეთი მოწყენილი იყო, დავით დადიანს ძლივს ართობდა, მისთვის კატენკასგან დაკლებული ყურადღება რომ შეევსო.

„რალა ახლა გაუჩნდა ტატოსთან სასაუბრო, ხვალ ვერ ნახავს? უგანათლებულესი თავადი ხელში შემატოვა, თითქოს სულ არ აინტერესებს მასთან ყოფნა. რა თავქარიანია!" — ფიქრობდა ნინო.

* * *

სალონში ყველას ჰქონდა მიჩენილი თავისი ადგილი. ნიკო დადიანი სალომემ თავის გვერდით მოისვა და ზუგდიდის ამბების გამოკითხვა დაუწყო. მალე მათ საუბარს ალექსანდრე ჭავჭავაძემ შეუშალა ხელი:

— ბატონებო, მოგეხსენებათ, მე ძლიერ მოყვარული ვარ ცეკვისა და სიმღერის, საერთოდ ლხინის, მაგრამ მთლად ნუნუას მოყვარულად ნუ ჩამთვლით. მე სხვა ლხინი კიდევ უფრო მიყვარს, ლხინი პოეზიისა. ლხინი გონებისა ყველაფერზე უფრო ძვირფასია და ჩვენც ამალამ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას დავეწაფოთ. მე მჯერა, ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის პოეზია კატენკას სიმღერაზე უფრო დაგატკბობთ!

ალექსანდრეს სიტყვამ ყველანი აღტაცებაში მოიყვანა, ხოლო თვით პოეტი, ყოველთვის მოძრაი და სიცოცხლით სავსე, მოკრძალებულად იდგა და სევდიანი თვალებით გამოიყურებოდა.

ეკატერინემ ტატოს თავისი ხელით წინ დაუდგა პატარა მაგიდა. ფორტეპიანოზე მდგარი ვერცხლის შანდალი მაგიდაზე გადადგა.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ნიკოლოზ ბარათაშვილმა წაიკითხა ახალი ლექსები: „ვპოვე ტაძარი", „ბულბული ვარდზე"...

ნიკო დადიანი სმენად იყო გადაქცეული, მაგრამ ამავე დროს თვალს არ აშორებდა დავითს, რომელიც ეკატერინეს გვერდით იდგა, როგორც მისი მონა-მორჩილი და ეკატერინეს მეტს ვერავის ხედავდა გარშემო. „იგი ალბათ არც პოეტს უსმენს ახლა" — გაიფიქრა ნიკომ და სიაბის ტალკვესმა გაჰკრა გულში. ამ ახალგაზრდებზე ზუგდიდსა და თავის სოფელ

ჭკადუაშში გაეგო, რომ მათ შეუღლების სურვილი ჰქონდათ. მაშინ ყურადღება არ მიუქცევია, ახლა კი ფიქრობდა: „გარდა იმისა, რომ ეს ქალი მშვენიერებაა, ხომ სასიკეთო საქმე იქნება ჩვენი კუთხისათვის გარსევან ჭავჭავაძის ოჯახთან დამოყვრება. თვით ალექსანდრე ნამდვილი ქართველი მამულიშვილი, გავლენიანი და ყოვლად კეთილშობილი კაცია. ის ერთიორად წინ წაწევს ჩვენს კუთხეს. დავითი, რა თქმა უნდა, ყოველ სიკეთეს დაეწაფება. თბილისი ხომ სათავეა ქართული კულტურისა და განათლების. ამ საქმით კი საქართველოს შორეული კუთხეები უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს“.

ნიკო დადიანს ასეთი ფიქრები უტრიალებდა თავში. მაგრამ თან ტატოს ლექსების ერთი სტრიქონი არ გამორჩენია. „იგი ნამდვილი, ჭეშმარიტი პოეტია“, — ფიქრობდა ნიკო.

ლექსებით აღფრთოვანებული სტუმრები გამარჯვებას ულოცავდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილს. არავის სურდა ცეკვა, თამაში, ყველა ლექსების შთაბეჭდილებებით იყო მოცული. უნდოდათ განმარტოებულიყვნენ და დიდხანს ლექსების ტკბეობაში ყოფილიყვნენ. ლექსებით აღძრული სევდა და სიტყვის მუსიკალობა ღრმად ჩაებეჭდათ გულში...

მალე დადიანები გამოეთხოვნენ მასპინძელს, გამოთხოვებისას ალექსანდრემ ნიკოს სთხოვა:

— თავადო, ნება მიბოძეთ ხვალ დილით თქვენს ბინაში გეახლოთ.

— დიდად მასიამოვნებთ, ბატონო ალექსანდრე, — თავაზიანად უპასუხა დადიანმა ჭავჭავაძეს.

წინა დღეს დაწყებული საუბარი დილას კვლავ განაგრძო ნიკომ დავითთან:

— მართალი გითხრა დიდებული ოჯახი აქვს ალექსანდრეს, ან რა ქალიშვილები ჰყავს. ეკატერინე ნამდვილი სადედოფლოა. სამეგრელოს კი ახლა, როგორც არასდროს, მთავარიც ჭკვიანი სჭირდება და დედოფალიც. ამ დილით წერილი მივიღე ზუგდიდიდან. გიორგი, ჩემი შვილი, ულტიმატუმს უყენებს ლევანს. სთხოვს გადადგეს და ტახტი შენ დაგითმოს. გიორგი მარტო არ არის, შვილო ჩემო. ამ აზრისაა თავადებისა და ხალხის დიდი ნაწილი. უნდა წამოხვიდე ჩემთან ერთად, დავით. თუ შენ ახლავე არ მიგაჩნია მიზანშეწონილად გამთავ-

რება, ხალხს მაინც ეჩვენე. გადახედე სამთავროს საქმეს, დაფიქრდი. მერე როგორც გონება გაგიჭრის და მოვალეობის გრძნობა გიკარნახებს, ისე მოიქეცი.

დავითი დინჯი და ცოტა გულცივი კაციც იყო, მაგრამ ნიკოს სიტყვებმა მას მტკიცედ გადააწყვეტინა მესამე დღეს სამეგრელოში გამგზავრებულიყო.

ალექსანდრე ჭავჭავაძე დილის თორმეტ ს

ვად ის ძალას მიმართავს. ეს შესაძლოა ახალგაზრდული სიფიცხის ბრალი იყოს. მთავარია კარგი საქმისათვის, ხალხის საქმისათვის იბრძოდე. თქვენი და დავითის გადაწყვეტილება მოსაწონია. დავითი დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროს და მიხედოს თავის სამთავროს, დავითი განათლებული, ნიჭიერი ახალგაზრდაა. მე იმედი მაქვს იგი ურიგოდ არ წარმართავს სამთავროს საქმეს.

— ჩვენც ასე ვფიქრობთ, ბატონო ალექსანდრე... მაგრამ ჩემი შვილი არ უნდა აჩქარებულიყო, მოხუცი მთავრის ასე აბუჩად აგდება რა საკადრისია. გარდა ამისა, რომ ლევანი მთავარია, ბიძადაც მოხვდება გიორგის.

— ბიძებმა და მამებმა ბევრი რამ უნდა დავუთმოთ შვილებს, ჩემო ნიკო, თუ ისინი საღ გზას ადგანან ხალხის სამსახურში.

— მაგის იმედი კი მაქვს, ბატონო ალექსანდრე, რომ გიორგი მხოლოდ თავისი კუთხისა და სამთავროს ინტერესებმა აიძულა მიემართა ამ გზისათვის.

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეა. გისურვებთ კეთილ მგზავრობას. ჩვენ აქ და თქვენ იქ, ხელიხელჩაკიდებულებმა ერთი საქმე უნდა ვაკეთოთ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. თუ რაიმეში გამოგადგეთ, მიმსახურეთ.

* * *

მეორე დღეს ნიკო და დავით დადიანი დილაადრიან გაუდგნენ გზას სამეგრელოსაკენ.

როცა ნიკო და დავითი ზუგდიდის სასახლეში შევიდნენ, ლევანი სასტუმრო ოთახში იჯდა რამდენიმე ახლობელი თავადით. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდი პატივისცემით შეხვდნენ ნიკოს. დავითის მოულოდნელმა ჩამოსვლამ კი მშობლები სიხარულით აავსო. მართალია, მართამ პირობა მისცა გიორგის, ლევანი დაუყოვნებლივ გამოიწვევდა თბილისიდან დავითს, მაგრამ სასახლეში ჯერ ეს საკითხი გადაწყვეტილი არ იყო. მთავრის კაცთა ერთი ნაწილი ლევანის გადადგომის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. არც ლევანს სურდა გიორგის მუქარით გადადგომა და ახლა შვილი რომ მოულოდნელად

ესტუმრა, უსაზღვრო სიხარულმა მოიცვა მოხუცი მამა. დავითის დანახვაზე ერთბაშად ამოერეცხა გულიდან პატივ-მოყვარეობის გრძნობა. ახლა სულ ერთი იყო მისთვის, თუ ვინ რას იფიქრებდა. ევროპულად ჩაცმულ და აღზრდილ შვილთან მან, ცოტა არ იყოს, უმწეობა და სისუსტე იგრძნო, „აი, ვისი ჭკუა და გონება უნდა განაგებდეს სამთავროს", — ფიქრობდა ლევანი სიამაყითა და აღტაცებით. გადაწყვიტა მთელი სამეგ-რელო რომ წასულიყო წინააღმდეგი, სამთავრო მაინც დავი-თისათვის გადაეცა. „მეფის მოხელეებს დავითი თუ გაართმევს თავს, თორემ მე რაღას გავხდები. ისე გამომაცლიან ხელიდან სამთავროს, რომ ვერც გავიგებ" — ფიქრობდა გულში მოხუცი მთავარი.

ცუდის მაუწყებელნი

განთიადი მოახლოებულიყო, როცა ტოჩი მარშანიამ, თემ-ყვა ათმავამ და მათმა მხლებლებმა გაოფლილი ცხენები შეა-გელვეს ოდიშში. ზუგდიდიდან მიხეილ შერვაშიძის წარგზა-ვნილები ჭკადუაშში ეშურებოდნენ გიორგი დადიანის სასახ-ლეში. როგორც კი სასახლის ჯებირ-თხრილს მიადგნენ, ცხე-ნები შეაჩერეს. მთელი ღამე უძილობით და მგზავრობით დაღ-ლილებს მხოლოდ ახლა გაახსენდათ გიორგის ეზოში შესვლის სიძნელე. სასახლეში წესად იყო მიღებული, რაც არ უნდა ზარი ერეკათ, გათენებამდე სტუმარს თხრილზე ხიდს არ გაუღებდნენ. მაინც სცადეს, ცხენებიდან ჩამოხტნენ.

ათმავამ პალოზე დამაგრებული ჯოხი მთელი ძალ-ღონით მოზიდა. ზარის ხმაზე ნაგაზი აყეფდა.

შილიფ შურღაია, რომელიც ლევან დადიანს გამოქცეოდა და თავი გიორგისათვის შეეფარებინა, გუშაგებისა და სასახ-ლის მცველების უფროსად ითვლებოდა. ის მტკიცე ხასიათის კაცი იყო, უშიშარი და ერთგული: თუ მის ადამიანურ ღირსე-ბებს დააფასებდნენ, მტლად დაედებოდა ყველას, სამაგიეროდ, აგდებასა და ღალატს თუ ვინმეს შეამჩნევდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, არ დაზოგავდა.

თოფმომართული შილიფი თხრილის ჯებირისკენ გაემარ-

თა, აფხაზეთიდან მოსული სტუმრები კი დაწყებულ საუბარს განაგრძობდნენ:

— როგორ ფიქრობ, თემყვა, ვითომ ეს ამბავი ჩვენს მთავარსა და მის სიმამრს, გიორგი ბატონიშვილს ერთმანეთს გადაამტერებს?

— მე მგონია, კი, — უპასუხა თემყვამ.

— ეს ძალიან ცუდია, როგორც იყო სამეგრელოს სამთავროდან ეს ერთი დიდი კაცი დაგვიმოყვრდა და ამ კავშირის დაკარგვა არ იქნება კარგი ჩვენთვის, ჩემო თემყვა.

— რატომ ფიქრობ ასე, ტოჩი, თუ მთავარი მიხეილი და გიორგი ბატონიშვილი ერთმანეთს წაეკიდებიან, შეიძლება აფხაზეთისათვის უკეთესიც იქნეს.

მათი საუბარი შეწყვიტა შილიფ შურღაის შეძახილმა:

— მტერი ხარ თუ მოყვარე!

— მოყვარე! — უპასუხა თემყვამ და თავისი სახელი და გვარი უთხრა. შილიფმა თოფი დაუშვა და ახლა უფრო თავაზიანად გადასძახა:

— რამე ცუდი ამბავი ხომ არ მოგაქვთ, ბატონო?

— ცუდი არაფერი, გიორგი ბატონიშვილს ვეახელით, თუ შეიძლება მალე გაგვიდევით ხიდი, გვეჩქარება ბატონის ნახვა, — უთხრა ტოჩიმ.

შილიფმა ცას ახედა და უპასუხა:

— ახლავე, ბატონო, სანამ ბიჭებს მოვიყვან, გათენდება კიდეც. თქვენისთანა კარგი სტუმარი ყველა ჩემს კეთილს მოსვლოდეს...

შილიფი შურდულივით გაექანა სასახლისაკენ, ხოლო ტოჩიმ საუბარი განაგრძო:

— გარკვევით მითხარი, თემყვა, შენი ფიქრით, რატომ იქნება კარგი გიორგისა და ჩვენი მთავრის მიხეილის წაკიდება?

— როგორ არ იქნება კარგი, ბატონო! გიორგი და მიხეილი რომ ერთმანეთს გადაემტერებოდეს, მთავარი ერთხელ და სამუდამოდ მოშორდება სამეგრელოსა და ქართლის გავლენას. მაშინ მეფის მოხელეებს აღეკვეთებათ ფეხი აფხაზეთიდან. რა უბედურებამ შეაყვარა დადიანებს საქართველო და რუსე-

თი! თვითონ მათ გზას მიჰყვებიან და ჩვენს მთავარსაც იქით ეწევიან. ის დალოცვილი გიორგი დადიანი და მისი ძმები ყველაფერს ზომავენ და წონიან: თუ სადმე დიდი სამთავროა, ან დიდი კაცი, ყველა მაგათი მოყვარეა. ან აქეთ მოჰყავთ დიდი კაცის ქალები, ან თავიანთ ქალებს ათხოვებენ სხვადასხვა სამთავროში. დათვალე, რამდენი დადიანის ქალი იყო აფხაზეთში გამოთხოვილი: კესარია, გიორგის და, ალიბეგ შერვაშიძის ცოლი, მეორე მისი და ეკატერინე, გურიის მთავარს ჰყავდა. პუპი, ლევან დადიანის ქალიშვილი და კიდევ რამდენი, ვინ მოთვლის. ეს ქალები მამაკაცებივით საქვეყნო საქმეებში ერევიან. წახდა ქვეყანა, რა ქალის საქმეა ქვეყნის საქმეებში მონაწილეობის მიღება? რომ ვუკვირდები, ისევ ძველი დრო ჯობია, ბატონო ტოჩი. — ეუბნებოდა თემყვა და გამოცდილი თვალებით უყურებდა მარშანიას, უნდოდა მოეგონებინა მისთვის, თუ რამდენი სარფიანი საქმე უკეთებიათ ერთად. ტოჩის ახლა არ უნდოდა გულახდილი ყოფილიყო ძველ მეგობართან და უპასუხა:

— რა გითხრა, ჩემო თემყვა, იცი? ახლა სხვა დრო დადგა, რაკი მთავარმა შეგვირიგა მარშანიები და ჩვენც სიტყვა მიეცით მისი ერთგული ვიყოთ, ყველაფერი დავიეიწყოთ. ცხადია, მარშანიებს შერვაშიძეები საიმედოდ არ უნდა მიგვაჩნდეს. ჯერ მიხეილმა რამდენი მიწა-წყალი წაგვართვა. მან რუსის წყალობით გაიმარჯვა, თორემ რას დაგვაკლებდა. თურქები ხომ ჩვენ გვიჭერდნენ მხარს. მახსოვს, თემყვა, რას არ გვპირდებოდნენ ის ურჯულოები, თუ შერვაშიძეს სამთავროს წავართმევდით, კიდევ კარგი, რომ არ ვენდეთ, აშკარად გვატყუებდნენ.

— როგორც გინდა, ისე თქვი, ბატონო ტოჩი, არ მიდის კარგად აფხაზეთის საქმე. ვყოფილიყავით ჩვენს ნებაზე, რად გვინდოდა ამდენი დავიდარაბა, ამდენი ბატონი. მე ვერ გამიგია, ვისი თაოსნობით მოხდა აფხაზეთის რუსეთთან შეერთება.

— ეჰ, ჩემო თემყვა, ეს საკითხი ყველაზე უფრო ჭკვიანმა მეფემ და სარდალმა ერეკლემ გადაწყვიტა. ვის არ უნდა თავი მეფედ და ცოლი დედოფლად, მაგრამ, ალბათ, სხვანაირად არ შეიძლებოდა, ამიტომაც რუსეთის ხელმწიფის ძალას შეაფარა თავი.

— მერე, ბატონო, კაცი რომ მოგენდოს და მფარველობა გთხოვოს, შენ მგლად უნდა გადაიქცე?

მხედრები საუბარმა ისე გაიტაცა, რომ განთიადის სინათლეც ვერ შეამჩნიეს. როდესაც სასახლეს გახედეს, დაინახეს, რომ იქიდან ოთხი ფეხებაკაპიწებული მეჯინიბე მოდიოდა, მათ შილიფ შურღაია მოუძღვებოდა. სასწრაფოდ გაიშალა ხიდი; შილიფი გამოღმა გამოვიდა, სტუმრებს მდაბლად თავი დაუკრა, ხელი ჩამოართვა, მან დაგვიანებისათვის ბოდიში მოიხადა, თავაზიანი პატიჟით სტუმრები წინ გაუშვა, მათი მხლებლები კი გაოფლილ ცხენებს რომ დაატარებდნენ, გააფრთხილა: სწრაფად მოგვყევით, თორემ ხიდს ახსნიანო.

სტუმრები გაკვირვებულები იყვნენ: რა დავიდარაბა ყოფილა საჭირო დადიანს რომ ეახლოო.

გიორგი დადიანს ზარის ხმამ და ძაღლის ყეფამ ძილი გაუტეხა. ისიც გათენებას მოუთმენლად ელოდებოდა უდროოდ მოსული სტუმრების ვინაობა რომ გაეგო. არ იცოდა რა ამბავი მოჰქონდათ სტუმრებს, თუმცა კარგი არსაიდან იყო მოსალოდნელი.

როგორც კი განთიადმა გიორგის საწოლ ოთახში შეანათა, იგი სწრაფად ადგა, ჩაიცვა და სასახლის მოურავის გოჩა ხვიტიას სადგომისკენ წავიდა. ეზოში შილიფ შურღაია შემოხვდა. შილიფმა ბატონის დანახვისთანავე თავზე წაკრული ყაბალახი წაიძრო, შავი გრუზა თმა გაისწორა და მორჩილი თვალები გიორგის მიაპყრო.

— შილიფ, ვინ დაგვიფრთხო ძილი მე და შენ? — ჰკითხა გიორგიმ.

— ტოჩი მარშანია და თემყვა ათმავა გეახლათ, ბატონო, აფხაზეთიდან, — უპასუხა მან.

„ვითომ რაშია საქმე? ქალიშვილები არ მყავდეს ავად, ან პატარა გიორგის არ უჭირდეს რამე", — გაიფიქრა გიორგიმ.

ტოჩი და თემყვა გიორგის მისაღებ ოთახში შეევიდნენ.

ფიქრებში გართული გიორგი უცებ გამოერკვა, ადგა, ნაბიჯი წინ წადგა და მოსულებს მცდელი თვალებით შეხედა. მათი თვალები კი სასიამოვნოს არაფერს მეტყველებდნენ. მარშანია მაინც არ დაიბნა: ბატონიშვილს მკერდზე ეამბორა, თავდახრილი ათმავა კი კარებთან კედელს აეკრა.

— ჩემო თემყვა, ყოჩაღად ყოფილხარ, მოდი აქეთ! — მიმიმართა მას გიორგიმ.

თემყვას იატაკზე ფეხი არ დაუდგამს, ისე გაჩნდა გიორგის წინ, თაყვანი სცა და შემდეგ ისევ კარებთან დადგა მოკრძალებულად.

გიორგიმ სტუმრებს დაჯდომა შესთავაზა. ტოჩი დაჯდა, მაგრამ ისევ სწრაფად წამოდგა.

— ბატონიშვილო, ძლიერ ვწუხვარ, რომ კარგი ამბის მაუწყებლად არ მოვსულვართ, — დაიწყო მარშანიამ, — მაგრამ უნდა მოგახსენოთ ჩვენი გაჭირვება: ბატონიშვილი მაია გუშინ დილით სასახლიდან წავიდა და აღარ დაბრუნებულა. მთავარმა ყოველი კუთხით მდევრები დააგზავნა, არც მკვდარია და არც ცოცხალი. შიში და სირცხვილი ჰკლავს: სად გავაღო თვალი, რა პირით შევხედო მამა ბატონსო, — აქარგა ენა აფხაზმა. — დიდი ქალბატონი ჭკუაზე აღარ არის, სულ თქვენ გახსენებთ, იძახის: მამას აცნობეთ, თუ ჩემი და ცოცხალია, მამა ბატონს არაფერი დაემალებაო.

სანამ ტოჩი ლაპარაკობდა, გიორგი წარბშეკრული უსმენდა, შემდეგ ციელად ჩაილაპარაკა:

— ვითომ შეგვარცხვინა მეცა და სიძეც?

— ეს როგორ მოხდებოდა! ბატონიშვილი მაია ისეთი ჭკვიანია და აუჩქარებელი, რომ არასოდეს არ შეცდება, — უპასუხა მარშანიამ.

— მაშ რა დაემართა?

— ვერაფერს მოგახსენებთ, ბატონო, სასახლის გარშემო მითქმა-მოთქმა როდი გამოლეულა, მაგრამ ახლა მაია ბატონიშვილის ასეთ უეცარ გაუჩინარებას ვერაფრით ხსნიან.

— ხომ არაფერი აწყენინეს, თუ იცი? მაია ცოტა პატივმოყვარეა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონიშვილო! მთავარსა და მის მეუღლეს მაია თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ.

— ეგ მართალია, ტოჩი, მაგრამ... — გიორგი ბოლთას სცემდა ოთახში, უცებ შეჩერდა, მარშანიას თვალებში შეხედა. — სასახლის კარზე მაინც რას ამბობენ, იქნებ რაიმე ეჭვებს გამოთქვამენ?

— სასახლის კარზე ტირილი და წუხილია. ქალბატონს კაცისშვილის დანახვა არ სურს. მიხეილს ეუბნება, „გარეთ თავი არ გამოგვეყოფა, თუ დღეს-ხვალ მაიას კვალს არ მივაგენითო". სად არ გაგზავნეს მდევრები, ნოღაში, ბატონიშვილის საგასამზრდელოში, საჩაჩიბაიოში, სვანეთში. ეხ, ისიც უნდა ვთქვა: არეული და შეწუხებული იყო აფხაზეთი იმ უბედურებით, რომელიც ამ დღეებში მოხდა.

— რა მოხდა აფხაზეთში?! — გაკვირვებით შეეკითხა გიორგი.

— ბატონიშვილო, დიდი უბედურება დაგვატყდა თავზე. ჩვენი საიმედო შვილი ალექსი შერვაშიძე, რომელიც მთავარმა ხელმწიფესთან მოსალაპარაკებლად რუსეთში გამგზავნა, გზაში გარდაცვლილა, კისლოვოდსკის მახლობლად. ის უბედური რომ მოასვენეს, სწორედ იმ ღამეს გაუჩინარდა მაია ბატონიშვილი. მთავარი და დიდი ქალბატონი შესაცხადებლად ბრძანდებოდნენ პუპი დადიანის ქალთან. მაია ბატონიშვილი იმათთან ერთად არ წაბრძანებულა სატირალში, — ტოჩიმ თითქოს რაღაც მეტი თქვაო, საუბარი უცებ შეწყვიტა.

გიორგის დაკვირვებულ გონებას არ გამოეპარა მარშანიას საუბრის კილო.

— დიდი უბედურება მომხდარა! რა ვაჟკაცი და პატიოსანი ადამიანი დაღუპულა. საცოდავი პუპი! ნეტავ ეს არ გამეგონა, — თქვა გიორგიმ და განიერი ბეჭები უსიამოვნოდ შეარხია. კვლავ ოთახში გაიარ-გამოიარა, შემდეგ სტუმრებს მიმართა:

— ალბათ მთელი ღამის უძინარი ხართ, ისაუზმეთ და მოისვენეთ. ამ სიტყვებზე გიორგი ოთახიდან გავიდა.

* * *

ჯერ კიდევ სასახლეში სადილად არ დამსხდარიყვნენ, როცა ეზოში ზარის ხმა გაისმა. ცოტა ხნის შემდეგ სასადილო ოთახში ნოღადან მოსული ვარლამ გაბედავა შემოვიდა, მაიას ბიძაშვილი. მან ყველას მორჩილებით თავი დაუკრა.

დაიწყო სადილობა. სასახლეს ჩვეულებრივი ელფერი ედო. გიორგი თავის ჯავრს სტუმრებს არ უჩვენებდა, ცდილობდა მხიარული ყოფილიყო და მისთვის ჩვეული სილაღითა და დარბაისლობით უძღვებოდა სუფრას. ვარლამმა ერთი შეხედ-

ვით შეატყო, თუ რა ბოღმა ტრიალებდა გიორგის გულში, მაგრამ არ შეიმჩნია. სუფრას მიუჯდა და უმალ საერთო მხიარულებას აჰყვა.

ნასადილევს გიორგი თავის ოთახში წავიდა, ვარლამი თან გაჰყვა.

— რას მეტყვი საიმედოს, ვარლამ, რა დაემართა შენს გაზრდილს, — უთხრა გიორგიმ მორდუს, როგორც კი განმარტოვდნენ.

— კარგს ვერაფერს მოგახსენებ, ბატონიშვილო! ჩემს სახლში პირდაპირ ქრისტეს ტირილია. დედაჩემი კვილით იკლებს იქაურობას, მეც შენს დიდებას ვეახელი, გავიგო, თუ რას მიბრძანებ, როგორ მოვიქცე.

— ვერაფერს ვიზამთ, რაკი მოახლე თან მიჰყვება, უთუოდ ცოცხალია, ადრე თუ გვიან სადმე გამოჩნდება. ახლა მთავარი ისაა, რომ დედამისმა და სასახლემ არ გაიგოს ეს უბედურება. შემარცხვინა თქვენმა გაზრდილმა, ყელი გამომჭრა, ქვეყნის სალაპარაკო გამხადა. შენ გაბრუნდი შინ და, თუ რაიმე გაიგო, მაცნობე, ძიძა კი დაამშვიდე: გიორგის სულ არ ეშინია-თქო.

გიორგიმ ტოჩის და თემყვასაც იგივე უთხრა წასვლისას, ხოლო დამატებით ცუცუსთან ეს დააბარა:

— მაიას თუ რამე ცუდი შეემთხვა, შენც ცოცხლად დაკარგული იქნები ჩემთვის, მოვკვდები, ნუ დამიტირებ-თქო.

* * *

სასახლეში ყველა გრძნობდა, რომ ბატონიშვილი უგუნებოდ იყო, გიორგი სულ განმარტოებით დასეირნობდა თავის დიდ აივანზე, ხან კითხულობდა, ხან წერდა, მაგრამ როცა შვილზე დარდი ძლიერ შემოაწვებოდა, თავის საყვარელ ტყეს მიაშურებდა და ნადირობას გულს აყოლებდა.

ჭკადუაშის ფართო მინდორი ხშირ ტყეს ეკვროდა. თვალშეუდგამი მუხნარი და წიფლნარი ნადირთათვის საუკეთესო თავშესაფარი იყო. გიორგი დადიანის ტყე მდიდარი იყო ნადირით. შველი, ქურციკი, მელა, ტურა, ჯოგებად ცხოვრობდნენ ულრანი ტყის სილრმეში. აქ დათვიც კარგად გრძნობდა თავს, რადგან ზამთარ-ზაფხულ გამოულეველი ჰქონდა თაფლი. არც

ფრინველების ჭიკჭიკი და ყვავილების სურნელება აკლდა ამ ტყეს, რის გამოც მისი პატრონი თავისუფალ დროს ხან მარტო, ხანაც მეგობრებთან ერთად ხშირად ესტუმრებოდა აქაურობას და ბუნების წიაღში მშვიდად ისვენებდა.

ტყე უფრო მომხიბვლელი იყო მთვარიან ღამეებში, როდესაც იქ სრული დუმილი ისადგურებდა. მხოლოდ ბულბულების სტვენა და ნიავის ნელი ქროლვა არღვევდა სიჩუმეს. ფოთლებით დაბურულ ტყეში მთვარის შუქი მიწამდე ძლივს ატანდა. მწვანე მოლი ხავერდივით ელამუნებოდა ადამიანის გულს. ამ ტყეს ხშირად აფხაზეთისა და გურიის სამთავროებიდან გამოქცეულნიც აფარებდნენ თავს.

გიორგის მთელი დასავლეთ საქართველო იცნობდა, როგორც იმ დროის კვალობაზე განათლებულ და ნაკითხ კაცს, თან ვაჟკაცობითაც განთქმულს. მას ბევრი რაინდული თვისება ჰქონდა. გლეხობაში გიორგის არაერთი ნათლული ჰყავდა. გიორგის შვილების ძიძა-აღმზრდელად გახდომა ყოველმხრივ გაჩანაგებულ გლეხებს დიდ ბედნიერებად მიაჩნდათ. გიორგის სახით გლეხი მფარველს პოულობდა, ხოლო თავადი კი, როგორც ფეოდალი, მდაბიოთა შრომითა და სამსახურით უხვად სარგებლობდა.

გიორგი დადიანის სასახლეში დევნილებიც პოულობდნენ თავშესაფარს. ესენი იყვნენ გამოქცეული ყმები ან ღარიბი აზნაურები. მებატონესთან მათი დაბრუნება ნიშნავდა სასტიკი სასჯელის მიღებას, ხაჯალურებითა და ქანჩებით წამებას ან ოსმალეთში გაყიდვას. გიორგის ოჯახში ვერავინ შებედავდა გაქცეული ყმის საძებრად შემოსვლას.

მინდორში, ტყის დასაწყისთან წრე იყო მოხაზული თხრილით, რომელიც მეორე თავით ისევ ტყეს უერთდებოდა. მხოლოდ რამდენიმე ადგილზე წყდებოდა თხრილი სქლად ჩამწკრივებული მუხებით, რომელთა შორის კაცი ძლივს გაეტეოდა. ვიწრო ადგილები ქვის ჯებირებით იყო ამოვსებული და ამოკირული.

ჯებირის მარჯვნივ, საცხოვრებელი სახლის უკან, ციხე იყო ამართული, რომელიც გაჭირვების დროს სამას-ოთხას კაცს დაიტევდა. ამაყად გადმოჰყურებდა ენგურის ჭალებს ხავსითა და სუროთი შემობურული ციხე. დღე-ღამე შეიარაღე-

ბული გუშაგები დარაჯობდნენ ურდულებით დაგმანულ რკინის დიდ ჭიშკარს.

თხრილი, რომელიც დიდ ეზოს ზღუდავდა, სიღრმით და სიგანით ორ საჟენს აღემატებოდა.

იქ ჩავარდნილი პირუტყვი ცოცხალი ვერ გადარჩებოდა. ბევრ კარგ ცხენოსანს უცდია ბედი ამ თხრილზე გადამხტარიყო, მაგრამ ამაოდ, იგი მარცხით მთავრდებოდა. გიორგიმ აკრძალა ასეთი „თავის შექცევა". გიორგი დადიანის ეზო ას ქცევას აღემატებოდა. ეზოში ჩადგმული ხის დიდი ოდა და აქა-იქ გაბნეული პატარა სახლები მიუწვდომელი და შეუვალი იყო, რომ იტყვიან, ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა. დაღამების შემდეგ წინა ეზო თითქოს არც კი არსებობდა. ვინც გიორგის პატივს სცემდა, უდროო დროს სასახლეში არ მოვიდოდა, რათა უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეგდო არც თავი და არც მასპინძელი. რარიგ საპატიოც არ უნდა ყოფილიყო სტუმარი, დღე და ღამის გაყრის შემდეგ ყმები ხიდს არავის გაუდებდნენ.

მსგავსი ცხოვრება ძველი ფეოდალების ოჯახში არც ისე იშვიათი მოვლენა იყო, მაგრამ გიორგის ოჯახის ასეთ დაცვას სხვა მიზეზები ჰქონდა.

გიორგი დადიანი თავისი ძმებით — პეტრეთი და ბესარიონით სამეგრელოში გავლენით სარგებლობდა. ამას მათი მამის დიდი ნიკოს სახელიც უწყობდა ხელს.

დიდ ნიკოს არა მარტო სამეგრელოში, მთელ საქართველოში და თვით რუსეთშიც იცნობდნენ თავისი „დასტურლამათი" და ისტორიული ნარკვევებით.

ნიკოს ოჯახი მჭიდრო ნათესაური კავშირით იყო დაახლოებული საქართველოს დიდ ფეოდალებთან. ნიკოს ქალიშვილი კესარია სამურზაყანოს მფლობელ შერვაშიძეს ჰყავდა ცოლად. გიორგის ქალიშვილი ცუცუ აფხაზეთის მთავრის მიხეილის მეუღლე იყო. მაგრამ მრავალ ნათესაობასა და მოყვარეს შორის გიორგის მაინც ბლომად ჰყავდა მოწინააღმდეგენი თვით მთავრის ოჯახის წევრებსა და სამთავროსთან დაახლოებულ თავადაზნაურებში. ძმებს შორის გიორგი ყველაზე შეუპოვარი იყო. ასეთმა თვისებებმა გიორგის მრავალი მოწინააღმდეგე გაუჩინა.

მიხეილის სასახლიდან გამოქცეულმა მაიამ თავის ძიძისა და მორდუს სახლს შეაფარა თავი სამეგრელოში. იმ დროს, როცა ნოღაში ძიძიშვილები აბინავებდნენ მონაზენად აღკვეცილ მაიას, სოხუმში ალექსი შერვაშიძის გასვენების სამგლოვიარო ცერემონიალი იმართებოდა.

ალექსის ასვენებდნენ აფხაზური წესით. სეფადან დაწყებული ჭიშკრამდე შავად შემოსილი მამაკაცები ორმხრივად იყვნენ ჩამწკრივებული. მიცვალებული ხალიჩებით და ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით მორთულ ფანჩატურში ესვენა. მიცვალებულთან ახლო ნათესავები და მეგობრები იდგნენ, რადგან ალექსი შერვაშიძეს მამა და ძმა არა ჰყავდა. ჭირისუფლის ადგილზე ხუფმოხდილ კუბოს თავთან მიხეილი იდგა. მიხეილის უკან დიდგვაროვანი ფეოდალები განლაგებულიყვნენ.

ეზოში ადამიანთა ტევა არ იყო. მოდიოდა და მოდიოდა მოტირალთა ნიაღვარი, თან მოჰყავდათ შავად შესუდრული ხარები.

ახალმოსული მამაკაცი თუ ახლობელი იყო ან საპატიო, დედის წინ გაჩერდებოდა, მიუსამძიმრებდა, ან მორიდებულად ჩაივლიდა „ავა-ვას“ ძახილით.

მამაკაცთა ორ მწკრივს შორის გამოჩნდებოდნენ თმაგაშლილი ქალები დასისხლიანებულ-დაკაწრული ლოყებით, რომლებიც მიცვალებულს გულზე ბღუჯა-ბღუჯა თმებს აყრიდნენ. პუპი დადიანის ქალს მოეხვეოდნენ მუხლებზე, იტირებდნენ გრძნობით სავსე სიტყვებით, შემდეგ ან იქვე ან უკანა რიგებში დასხდებოდნენ და ნელი ხმით მოთქმას გააბამდნენ. ეს მოთქმაც რიგრიგობით იწყებოდა და მთავრდებოდა. რომელიმე კარგი მომთქმელი ქალი ნაზად აიღებდა ორივე ხელს, ოდნავ შეკუმშავდა, თავზე შემოირტყამდა და ნელი ხმით დაიწყებდა „ავავას“, მერე მოულოდნელად შეცვლიდა კილოს, თანდათან სევდა მძლავრდებოდა იმის ხმაში, ქვითინად იქცეოდა. ამ ქვითინს ის „ეხ-ეხ-ს“ დააყოლებდა, რომელსაც იმავე ხმით, მოძახილივით, სხვა ქალებიც აჰყვებოდნენ. პირველი მომთქმელი გაჩერდებოდა, მას მეორე ქალი ჩამოართმევდა მოთქმას, რომელიმე მის სიტყვას გამოიჭერდა, ამაზე ახალ სიტყვებს

აკინძავდა, კრიალოსანივით ამარცვლავდა, სევდას და გულის ვარამს ისევ ახალ სევდას დაუმატებდა. ასე მწყობრად, განუწყვეტლად და ნაზად გადადიოდა ეს მოთქმა ერთი ქალიდან მეორეზე. ქალები მოთქმას მხოლოდ მაშინ შეწყვეტდნენ, როდესაც ვინმე საპატიო პიროვნება ჭირისუფლის წინ შეჩერდებოდა, რომ სამძიმრის თქმა ეცლიათ და პუპისთვის საშუალება მიეცათ თვითონ დაეტირა თავისი ძვირფასი შვილი. მოტირალები რიგრიგობით მიჰყავდათ სეფაში, სადაც გაწყობილი სუფრა სავსე იყო პურ-ღვინით და სამარხვო სანოვაგით.

მოსული მტირალი ჭიშკართან ჩამოხტებოდა ცხენიდან, მას აქ ცხენს ჩამოართმევდნენ საგანგებოდ მიჩენილი, შავებში ჩაცმული ახალგაზრდა ვაჟები, რომელნიც აღვირს უნაგირის ტახტზე გადააგდებდნენ და ცხენს დიდ მინდორზე საბალახოდ გაუშვებდნენ, ეზოში შემოსულები შედგამდნენ თუ არა ფეხს მამაკაცთა მწკრივში, გაისმოდა გულშემზარავი შეძახილები: „ავავა, ავავა“ და შუბლზე ხელის შემოკვრით მიდიოდნენ ფანჩატურისაკენ, ხოლო გაღმა-გამოღმა მწკრივად მდგარი ნათესავ-მოყვრები თავზე ხელისცემითვე უპასუხებდნენ. კუბოს ბოლოში მიწაზე დამხობილიყო ალექსის პირდასისხლიანებული ძიძა, რომელსაც კივილისაგან ხმა სრულიად ჩახლეჩოდა. უგონოდ ახელდა თვალებს და ყოველ მომტირებელს ჩაწყვეტილი ხმით ეტყოდა: „ნანა, ალექსი, ჩემი თვალის სინათლე აღარა მყავსო“ — და ძუძუებს იგლეჯდა...

ლევანსა და სხვა დადიანებს აფხაზეთის მთავრისაგან ალექსის სატირალზე მოსაწვევი ქაღალდები ნიკოსა და დავითის ჩამოსვლის შემდეგ მოუვიდათ.

ყველაფერი წინდაწინ იყო გამოანგარიშებული მიხეილის მიერ, ალექსის დასაფლავებამდე კიდევ ოთხი დღე რჩებოდა. ასე რომ, სამეგრელოს მთავარს საკმაო დრო ჰქონდა ღირსეულად მომზადებულიყო დასაფლავებაზე ჩამოსასვლელად. ლევანიც უმალ შეუდგა მზადებას. შეადგინა სია დიდგვარიან ფეოდალებისა, რომლებიც თან უნდა ხლებოდნენ მთავარს და მხარი დაემშვენებინათ მისთვის. გარდა ამისა, ლევანმა სასწრაფოდ დაიბარა ეპისკოპოსი ჭყონდიდელი.

გიორგიმ გადაწყვიტა სატირალში არ წასულიყო, თავის

დედობილს მართას ბოდიშისა და სამძიმრის წერილი მისწერა, უხსნიდა თავის უხერხულ მდგომარეობას მაიას საქციელის გამო.

სატირალში წასვლის ორი დღით ადრე ზუგდიდში სამეგრელოს ყოველი კუთხიდან შეიკრიბნენ ლევანის მიერ მოწვეული პირები. ისინი დილით ადრე უნდა გასულიყვნენ ზუგდიდიდან, რომ სოხუმში დროულად ჩაეღწიათ.

სტუმრები სასახლის სხვადასხვა ოთახში იყვნენ განლაგებული.

მართა ჭყონდიდელთან და თავის ვაჟთან დავითთან საუბრობდა.

— სულიერო მამავ, — ეუბნებოდა დედოფალი ჭყონდიდელს. — ჩემი უბედური შვილიშვილი აუცილებლად ვიღაც ბოროტის მიერაა მოკლული. საზოგადოდ, მოგეხსენებათ, ოსმალების მრავალი წლის ბატონობამ აფხაზეთს ბევრი უსიამოვნება მოუტანა. ხალხში დათესა შურღლი და უბედურება. გადაკიდა ერთმანეთს ძმები და ნათესავები. მათი სარწმუნოება, მოგეხსენებათ, მკაცრია, ვერ გამიგია რას ემსხვერპლა ობლობაში გაზრდილი ჩემი ალექსი.

— მართალსა ბრძანებთ, — ამოიხვნეშა ჭყონდიდელმა, — საქართველოს უმშვენიერეს კუთხეს — აფხაზეთს, საქართველო ვერ ექცევა ჯეროვანი ყურადღებით, თორემ იქ ასე ძლიერად არ უნდა მოეკიდა ფეხი ოსმალთა ზნე-ჩვეულებებს.

— საინტერესოა, რა მდგომარეობაშია თვით სოხუმი და საერთოდ ლიხნის მხარე. ის სოფლები ხომ აფხაზეთის გულია? — შეეკითხა დედას დავითი.

— იქ, შვილო აფხაზები იმ ზომამდე არიან გამუსულმანებული, რომ მშობლიურ ენაზე თურმე არც კი ლაპარაკობენ. — გულისტკივილით თქვა მართამ.

— ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, — დაიწყო მისთვის ჩვეული სიდინჯით ჭყონდიდელმა და დავითს მიუბრუნდა. — რომ ხალხი თავის რჯულს და ენას დავუბრუნოთ.

— ეს არც ისე იოლი საქმეა, დიდ შრომას, გონივრულ მოქმედებას და ხანგრძლივ დროს მოითხოვს. მოგეხსენებათ, აფხაზეთის მთავარი მიხეილი და ბევრი დიდგვარიანი

ფეოდალი ამაში ხელს არ გვიმართავს. ოსმალებს, როგორც წინათ, ახლაც ჰყავთ ხელისშემწყობნი თვით აფხაზეთის სამთავროში. ისინი ოსმალეთთან ერთად საუკუნეების მანძილზე აბნელებდნენ ხალხის გონებას, ტანჯავდნენ აფხაზებს თავიანთი ფანატიზმით. უღირსი ჩვეულებანი: ძალმომრეობა, მრავალცოლიანობა და ბევრი სხვა სიავე, მტკიცედ ჩაბეჭდილია მათ გულში. ალექსის სატირალში მოსული აფხაზების ერთ მეათედსაც არ ექნება ნანახი ჩვენი ტრადიციული საღვთო ჩვეულებანი. ქრისტიანობა ხომ მარტო სარწმუნოება არ არის, ეს ამავე დროს კაცობრიობის მიერ მრავალი საუკუნის მანძილზე შექმნილი კულტურაა. ჩვენ ახლა ხელსაყრელი დრო გვაქვს ალექსის პატივისცემის ნიშნად აფხაზებს ქრისტიანობა მივაღებინოთ. ალექსი ისე უყვარდა ხალხს, ისეთ პატივს სცემდა, რომ ბევრი აფხაზი არა მარტო რჯულს გამოიცვლის მისთვის, სიცოცხლესაც გაწირავს.

— მხოლოდ ერთი რამის გათვალისწინებაა საჭირო, ბატონო დავით, — ჩაურთო ჭყონდიდელმა. — მომზადებული უნდა გვყავდეს ჩვენი თანამგზავრი გავლენიანი პირები, რომელნიც კარგ განწყობილებაში არიან აფხაზეთის თავკაცებთან. ამას კიდევ შედარებით ადვილად მოევლება, შვილო ჩემო, მთავარია თვით მიხეილთან საერთო ენის გამონახვა.

— არა მგონია მიხეილთან საერთო ენა გამოვნახოთ. ჩვენ უნდა ვეცადოთ ხალხის მიმხრობას, — დაფიქრებით თქვა დავითმა და განაგრძო. — მე მოსვენებას არ მაძლევს ალექსის საიდუმლოებით მოცული, უცნაური სიკვდილი. ალექსი დაუძინებელი მტერი იყო იმ აფხაზებისა, რომელთაც ოსმალეთისკენ უჭირავთ თვალი. მე დარწმუნებული ვარ, ალექსი მოკლულია!

— რას ამბობ შვილო! — გაიოცა ჭყონდიდელმა.

დედამ შეშფოთებით შეხედა შვილს.

დავითმა განაგრძო:

— თუ ჩვენ აღმოვაჩენთ ალექსის მკვლელს, იმის კვალსაც მივაგნებთ, თუ რატომ მოკლეს იგი. როცა ხალხი ალექსის მოკვლის მიზეზს გაიგებს, მისი მობრუნება ოსმალეთიდან ჩვენკენ უფრო გაადვილდება...

* * *

სამეგრელოს რჩეულ თავადაზნაურობას წინ ლევან ბატონი და ეპისკოპოსი ჭყონდიდელი მიუძღოდა. მთავარს მარჯვნივ მიჰყვებოდა უფროსი ვაჟი, დავითი, რომელიც მამის მიერ უკვე სამეგრელოს მთავრად იყო გამზადებული. მარცხნივ გრიგოლი — შუათანა ვაჟი, შემდეგ ყველაზე უმცროსი, სულ ახალგაზრდა კონსტანტინე, რომელიც რუსეთიდან ახალდაბრუნებული იყო. ნელ-ნელა მიჰყვებოდნენ გრძელ გზას, ზოგიერთ სოფლებში ჩერდებოდნენ.

პუპი მოუთმენლად ელოდა მამას, ძმებს, თავისიანებს. რას მოუტანდა მათი მოსვლა? მისი თვალის სინათლე ალექსის ხომ არ გაუცოცხლებდა? გამწარებული დედა მარტო შვილის სიკვდილით როდი იყო ზარდაცემული. ამ უბედურებას ემატებოდა შიში: ალექსის უეცარ სიკვდილს რაიმე უბედურება არ გამოეწვია აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის. შვილის სიკვდილი თუ წვავდა, როგორც დედას, როგორც ქვეყნის ბედიღბლით დაინტერესებულ ქალს ისიც ტანჯავდა, რომ მისი შვილის მიერ დაწყებული საქმეები არ დასამარებულიყო. ან დასაფლავების დღესაც რამე ცუდი არ მომხდარიყო ამდენი სხვადასხვა აზრისა და ჯურის ხალხის თავმოყრით.

ხალხი თავის აზრს გამოთქვამდა მომხდარ უბედურებაზე. ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა უფრო გამწვავდა, როდესაც სამეგრელოს მთავარი და მისი შვილები გამოჩნდნენ. დამხდურნი შესახვედრად დაეწყვნენ. ზოგი ძალიან გულგრილად უყურებდა ალექსის სიკვდილს. კარგად ესმოდა, რომ ასეთი ძლიერი მეტოქის ჩამოშორება მათ ხელ-ფეხს უხსნიდა სამოქმედოდ.

თვით თავადი მიხეილი დიდად დამწუხრებულად აჩვენებდა ხალხს თავს. როდესაც ლევანი და მისი შვილები ჭიშკართან გამოჩნდნენ, ის საპატიო თავადებით მიეგება მათ.

შვებით შემოსილი მიხეილი ყველას პატივით მიესალმა. პეტრეს განსაკუთრებით თავმდაბლად ეამბორა მკერდზე და მორიდებით ჰკითხა:

— ბატონო პეტრე, გიორგი რომ არ მობრძანდა, რაიმე ხომ არ შეემთხვა?

— არა, ბატონო, — უპასუხა პეტრემ, — თქვენთვის ძნელმისახვედრი არ უნდა იყოს მისი მოუსვლელობის მიზეზი.

მაშინღა მიხვდა მიხეილი, რომ მაიას გამო სიმამრის გული და ნდობა სამუდამოდ დაჰკარგა.

ჭყონდიდელი და ლევანი თავისი ახლობლებით მათთვის განკუთვნილ ოთახში მიიწვიეს. ჭყონდიდელმა სუფრა აკურთხა. მიცვალებულს შენდობა მისცა, წესისამებრ პურს ღვინო დააპკურეს. მიხეილი თავს დასტრიალებდა სტუმრებს, უფრო დავითს ეკედლებოდა, რადგან იცოდა, რომ დავითი მალე მთავარი გახდებოდა, მისი გულის მონადირება უფრო საჭირო იყო, ვიდრე ლევანისა, რომელიც ტახტს ტოვებდა.

გვერდით მჯდომ მიხეილს დავითმა ასე მიმართა:

— ალბათ თქვენი სიმამრი ძალზე უგუნებოდ ბრძანდება, რომ პუპის შვილი არ იტირა, არც ჩვენ გაგვიწია ანგარიში.

დავითს ასეთი ნართაულით უნდოდა ალექსის სიკვდილზე გავრცელებული ხმები შეემოწმებინა.

— რა ბრძანებაა, ალბათ უგუნებოდაა ჩემი სიმამრი. მაიამ თავისი უმსგავსო საქციელით მეც შემარცხვინა, დამამცირა და, მით უმეტეს, მამამისიც შეურაცხყო.

ამ ლაპარაკს ყური მოჰკრა კონსტანტინემ. სუფრიდან ადგომის შემდეგ ახალგაზრდა და დაუდეგარი კონსტანტინე დავითს მოსვენებას არ აძლევდა.

— ხომ თავის ცოლისდაზე გელაპარაკებოდა მიხეილი? რარიგ მაინტერესებს ამ ქალიშვილის ნახვა?

— რა დროს ამაზე ლაპარაკია, როცა ჩვენი პუპი ასე შეწუხებული გვყავს, — წყენით უთხრა დავითმა უმცროს ძმას.

ალექსის ცხედარი ჯერ კიდევ ფანჩატურში ესვენა, როდესაც გუდაუთელი აფხაზები ეპისკოპოსს ეკლესიაში შეუყვანეს. ჭყონდიდელი მათ თარჯიმნის მეშვეობით ქადაგით და თხოვნით უხსნიდა, თუ რამდენად უფრო კაცთმოყვარე და ლმობიერი იყო ქრისტეს ცნება, ვიდრე მაჰმადიანებისა. სთხოვდა მიეღოთ ქრისტიანული სარწმუნოება. შემდეგ ეუბნებოდა, რომ ალექსი, რომელიც აფხაზი ხალხის საქმისათვის იბრძოდა, ქრისტიანი იყო და მის ერთ-ერთ ოცნებას მუსულმან თანამემამულეთა გაქრისტიანება შეადგენდა. უჩვენებდა ძვირფას ფრესკებს, ჯვარცმულ იესოს, ქრისტიანობისათვის თავ-

დადებულ წმინდანებს, საკურთხეველზე დასვენებულ ოქროდ-მოჭედილ ხატებს. საეკლესიოც კი ახდენდა მაჰმადიან აფხაზებზე შთაბეჭდილებებს. ჯერ კიდევ ალექსის ცხედარი გამოსვენებული არ იყო, რომ აფხაზების ერთი ნაწილი ქრისტიანებად მოინათლნენ.

პუპის გულს მალამოდ ეცხებოდა ეს ამბავი. ჩემს მკვდარ ალექსისაც სარგებლობა მოაქვს თავისი ქვეყნისთვისო, — თვალცრემლიანი ეუბნებოდა იგი თავის მამას ლევანს და ძმებს.

ალექსის დაკრძალვის მეორე დღესაც არ ილეოდა მოსანათლავი აფხაზები ალექსის კარის ეკლესიაში. რაკი ხმა გავარდა, ნათელასთან ერთად ეპისკოპოსი და მისი კრებული მშვენივრად გალობენო, თან მონათლულებს ურიგებდნენ ოქროცურვილ ჯვრებს, პატარა ხატებს ჯვარცმის გამოსახულებით, ამ უჩვეულოდ მოწყობილ და კელაპტრებივით განათებულ პატარა ეკლესიას უამრავი ხალხი მოაწყდა. მიხეილის მეუღლე ცუცუ, მამიდამისი კესარია — ოჩამჩირიდან ჩამოსული და სხვა დედაქალები მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ მაჰმადიან აფხაზთა გაქრისტიანებაში.

დადიანები რამდენიმე დღე დარჩნენ აფხაზეთში. მიხეილმა ისინი დიდი პატივით მიიწვია თავის სასახლეში, რომელიც ევროპულ ყაიდაზე ჰქონდა მოწყობილი. აფხაზეთის მთავარმა არაფერი დაიშურა სტუმრებისათვის. იგი აფხაზების გაქრისტიანებაშიც უწყობდა ხელს დავით დადიანს და ჭყონდიდელს. მაგრამ ამას იმიტომ კი არ აკეთებდა, რომ მაჰმადიან აფხაზთა სჯულის შეცვლა უნდოდა, ამით დავითის გულის მოგებას ცდილობდა, თან ეჩქარებოდა აფხაზეთიდან მათი წასვლა, ეშინოდა ალექსის მკვლელობის შენიღბული ამბავი არ გამოაშკარავებულიყო.

მართალია, მიხეილს საშიშ მოწინააღმდეგედ მიაჩნდა ალექსი, მაგრამ ჯერჯერობით მისი თავიდან მოშორება არ უფიქრია. მთავარს უნდოდა ალექსის ხელით ჯერ თავისი საქმე მოეგვარებინა და მხოლოდ ამის შემდეგ გასწორებოდა მას.

მთავარმა ალექსის ბევრი დავალება მისცა რუსეთში გამგზავრების წინ. მიხეილის მიზანი იყო თვალი აეხვია მეფისათვის, მოჩვენებითი ხრიკებით მოეგო მისი გული და ამით

დროებით მაინც შეეყოვნებინა აფხაზეთის სამთავროს გაუქმება.

ალექსი ფრიად კმაყოფილი მიემგზავრებოდა აფხაზეთიდან. მართალია, მიხეილის გულწრფელობაში მას ეჭვი ეპარებოდა, მაგრამ, რასაც მთავარი ამჯერად ავალებდა და რის გაკეთებასაც სთხოვდა, ამაში ხომ საეჭვო არაფერი იყო. ჯერჯერობით ესეც საკმარისად მიაჩნდა ალექსის თავის ქვეყანაში რუსეთის საუკეთესო შვილების მოწინავე აზრების დასანერგავად.

ყველაზე მეტად მიხეილს ალექსი ახლა იმისათვის სჭირდებოდა, რომ სამურზაყანოს ფულის მიღების საქმეში დახმარებოდა. ამიტომ გაისტუმრა იგი ასე ფიცხლად რუსეთში.

მაგრამ, მისდა უნებურად, საქმე უკუღმა შეტრიალდა. მიხეილის საიდუმლოების და ბნელი საქმეების მოთავემ ხასანმა იცოდა, რომ მთავარს ადრე თუ გვიან ალექსი თავიდან უნდა მოეშორებინა, იფიქრა ამ საქმის გასაკეთებლად ყველაზე ხელსაყრელი დრო ახლა არისო, ალექსის ფეხდაფეხ გაჰყვა სოხუმიდან და კისლოვოდსკში მოუსწრაფა სიცოცხლე.

დადიანები აფხაზეთიდან ისე დაბრუნდნენ, რომ ალექსის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი ვერ გაიგეს. ერთი რამ კი მათთვის უდავო იყო: ალექსის მკვლელობაში მიხეილი აშკარად ერია. მაგრამ, რადგან ამის დასამტკიცებელი საბუთი ჯერჯერობით არ გააჩნდათ, გაჩუმება არჩიეს.

სამთავროში დაბრუნებისთანავე ლევანმა საბჭო შეკრიბა, რათა დავითისათვის სამთავრო გადაეცა. როდესაც ნიკო დადიანმა შეკრებილთ სამთავროს ვითარება და ხაზინის მდგომარეობა გააცნო, ყველა მწუხარებამ მოიცვა. სამთავრო განადგურებამდე იყო მისული. სახაზინოს თხუთმეტი ათასი მანეთი ვალი ედო.

დავითი წარბშეკრული უსმენდა ნიკო დადიანს, რომელიც ნათლად და ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემდა შეკრებილთ სამთავროს სურათს. დავითი ხედავდა, რომ იგი დღეს სამთავროს ტახტზე კი არ ადიოდა, სამთავროს მძიმე უღელში ებმებოდა. სიამოვნებით იტყოდა უარს სამთავროს მიღებაზე, რომ თავისი ძმების — გრიგოლისა და კონსტანტინეს იმედი ჰქონოდა სამთავროს გაძღოლისა; სამთავროს კი ახლა, როგორც არასდროს, სჭირდება გულშემატკივარი პატრონი,

ნასწავლი, რუსეთის მოწინავე საზოგადოების იდეებით გამსჭვალული. „არა, არა მაქვს უფლება უარი ვთქვა სამთავროს პატრონობაზე", — ფიქრობდა დავითი და იგი გულში უკვე გეგმებს აწყობდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა პირველ რიგში, როგორ გადაეხადა ხაზინის ვალი, როგორ გაეყვანა გზები, აეშენებინა ხიდები, სკოლები. ნიკო დადიანის მიერ ჩამოტანილი, სამურზაყანოში მიღებული ფული ყველაფერს ამას, რასაკვირველია, არ ეყოფოდა. თხუთმეტი ათასი ჯერჯერობით ვალად რჩებოდა.

ხალხი დავით დადიანის გამთავრებას ერთგვარი იმედით შეხვდა. ყველაზე მეტად ამ ამბით გიორგი დადიანი იყო კმაყოფილი. თუმცა მისი გული საყვარელი ქალიშვილის ამბით იყო მოშხამული. მაგრამ დავითის ტახტზე ასვლამ რამდენიმე ხნით გადაავიწყა პირადი მწუხარებაც და ლევანთან მოსული უთანხმოებაც.

* * *

მიხეილ შერვაშიძის სასახლიდან გამოქცეულ ქვეითად მიმავალ მაიას გზაზე ბევრი ჭირი გადახდა. ტყე-ტყე, ბილიკ-ბილიკ დღითა და ღამით მიმავალ მაიას ერთადერთი ნუგეში მისი ერთგული მოახლე თუთანა იყო. რამდენიმე დღე გულდამწუხრებული ხეტიალით მაია ისე იყო დაღლილი, რომ თავისი მშვენიერი ნაწნავები მძიმე ტვირთად აწვა ზურგზე. ქლიავისფერი თვალები ხან ცრემლით ევსებოდა, ხან რისხვით.

ასეთ წუთებში ლამაზი ბაგე უჩვეულოდ მაგრად ეკუმშებოდა. თვალებს მოშორებოდა ის ხალისი და ცეცხლი, რომელიც ალექსის ერთადერთ ამბორს აღებეჭდა სულ რამდენიმე დღის წინათ.

წარბები მალიმალ ეღუშებოდა. მაია შესვენებისას შალს მოიხდიდა, შენამულ ფართო შუბლსა და ფიქალ ღაწვებს ცხვირსახოცით მოიწმენდდა, თითიდან, რომელიც სპილოს ძვლისაგან გამოთლილს ჰგავდა, ბეჭედს მოიძრობდა და დიდხანს უცქეროდა; შემდეგ სწრაფად ადგებოდა და კვლავ გზას განაგრძობდა.

* * *

საკმაოდ ბნელოდა. ახალი მთვარე მკრთალად უნათებდა გზას მაიას და თუთანას. ისინი მშვიდობით შევიდნენ სოფელ ნოღაში. შორიდან მოჩანდა ნოღას ციხე, რომელიც სოფელს მაღლიდან გადმოჰყურებდა. ეკლესიის ახლოს მიწაში ღრმად ფესვებგადგმული დიდი ცაცხვი იდგა, მის ჩრდილქვეშ თუნდ ასი კაცი დაისვენებდა. აქა-იქ მიწიდან ამოჩრილი ფესვები, ზოგი ფართო, ზოგი ზურგიანი სკამისმაგვარი, მგზავრს დასასვენებლად იწვევდა.

მაიაც აქ ჩამოჯდა, ციხეს თვალს არ აშორებდა, მას უკავშირებდა ხალხის ძლიერებას, სამშობლოს სიყვარულს. ამ ცაცხვის ძირში ყოველთვის იმართებოდა „ჯარიანობა“ და ღამის თევა, ჭიაკოკონობა. მაიას ძიძის სახლში უდარდელად გატარებული ბავშვობა მოაგონდა, მერე მამის ოჯახში გავლილი დღეები და ნებივრობა გაიხსენა.

ერთხელ თექესმეტი წლის მაია დიდი ხნის უნახავ ძიძას ესტუმრა.

ძიძიშვილებმა, მაიკომ და ტატუმ, მარილიანი კვერები გამოაცხვეს, მაიასაც აჭამეს, რომ იმ ღამეს საბედო დასიზმრებოდა. აკი დაესიზმრა კიდეც. მაშინ ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. მას შემდეგ ხუთმა წელმა განვლო, მაიას კი გუშინდელი დღესავით ახსოვს, სიზმარში მშვენიერ ვაჟკაცს ცხენოსნობაში რომ ეჯიბრებოდა. მხედარი ცხენიდან ჩამოვარდა. მაიას გაუხარდა, რომ ვაჟკაცს ცხენოსნობაში აჯობა. მაგრამ ამ დროს უცხოდ ჩაცმული კაცი შეეფეთა. მაიას შეეშინდა და გამოეღვიძა. არც მაშინ აუხსნეს ძიძიშვილებმა ეს სიზმარი კარგად — საქმრო არ მოგიკვდესო, ეხუმრებოდნენ.

„რა საოცრად დაემთხვა სიზმარი სინამდვილეს“, — ფიქრობდა გულმოშხამული ქალი.

კიდევ რამდენი რამ მოაგონდა მაიას ბავშვობასა და ქალიშვილობაში ბედნიერად გატარებული დღეებიდან.

როგორ უყვარდა ძიძის ოჯახი, თვით სოფელი ნოღა. განსაკუთრებით ეს დიდი ცაცხვი თავისი ფესვებით; როგორ ოცნებობდა, რომ ალექსის აქ მოიყვანდა და უჩვენებდა ამ ადგილებს, სადაც ბედნიერი ბავშვობა გაატარა. ხელები მუხ-

ლებზე შემოიხვია, ბეჭედი შეიგრძნო, ახლა ბეჭედზე გადაიტანა ფიქრი.

რუსეთში წასვლის დროს როგორ სთხოვდა ალექსი ეს ბეჭედი მაიას დაეტოვებინა, თითზედაც მოაზომა, სახე გაუბრწყინდა და თქვა: მთლად შენი თითის ზომა ყოფილაო. ტანში ურუანტელმა დაურბინა ალექსის გამოთხოვების მოგონებით.

რუსეთში გამგზავრებისას ალექსი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გამოეთხოვა ცუცუს, მერე მაიასთან მივიდა და მოულოდნელად ხელზე აკოცა. ქალიშვილი დაიბნა, ვერც ხმის ამოღება მოასწრო, ვერც გაბრაზება, ვინაიდან ალექსი უეცრად მაიას გაშორდა, ისევ ცუცუსთან მივიდა და უთხრა:

— ბატონიშვილო და ბატონის მეუღლევ, შენ ჩემთვის დედაც ხარ და რძალიც, მაია ჩემი სიცოცხლეა. მე უკვე ოცდათორმეტი წლის კაცი ვარ, ასეთი სიყვარული ჩემს გულს არ გამოუცდია. შენ გაბარებ ჩემს მაიას, ჩემს სიცოცხლეს.

— დაწყნარდი, ძმაო, ვაჟკაცს არ ეპატიება ასეთი გულჩვილობა.

— მე უკადრისი რამ არ ჩამიდენია არასოდეს, ახლა მე თვითონ არ მომწონს ჩემი სისუსტე, მაგრამ რა ვქნა. ეს გრძნობა ჩემს ძალას აღემატება, როგორც კი რუსეთიდან დაბრუნდები, ჩვენ ჯვარს დავიწერთ. გიორგის მოციქულს გავუგზავნი, ნუთუ უარს მეტყვის?

— რად გეტყვის უარს. შენ საქმე დაამთავრე რიგიანად, მშვიდობით დაბრუნდი და ყველაფერი მოგვარდება, რაკი ერთმანეთი გიყვართ...

მაიას ახლა გული დაწყდა, რომ ცუცუს მკაცრი წერილი მისწერა.

„რა ბრალი ჰქონდა ცუცუს. ის გულუბრყვილო ქალია, თავის ბოროტ ქმარს ვერ იცნობს, ენდობა. იქნებ ცუცუს გულახდილობამ იმსხვერპლა ალექსი? მიხეილი წინააღმდეგი იყო ჩვენი შეუღლებისა. იქნებ მე ვიმსხვერპლე ალექსი? გული არ მიწევს სამგზავროდ“ — აი, რაზე ფიქრობდა ცაცხვის ჩრდილში ჩამომჯდარი მაია.

ტკბილ-მწარე მოგონებებისა და ხანგრძლივი სიარულისაგან მოქანცული მაია თუთანას თანხლებით ძიძის ეზოში ჩუმად შევიდა.

კარგად ახსოვდა გამზრდელების ოჯახში დამკვიდრებული ჩვეულება, რომ ვახშმობამდე ძაღლებს არ აუშვებდნენ. ფეხაკრეფით მიუახლოვდა ოდას. სახედაკაწრული ძიძა დაბალ სკამზე იჯდა კერის პირას, იქვე შორიახლო მისი რძალი, დიმიტრი გაბედავას ცოლი ნინო და სხვა შინაურები უსხდნენ ცეცხლს.

ძიძა ნელი ხმით მოთქვამდა და ბუტბუტებდა: „სადა ხარ გაზრდილო, ჩემო თვალის სინათლეე?“

მაიას მოთქმა ესმოდა. წინასწარ არ გააფრთხილა მასპინძლები, კარი წყნარად შეაღო და ნელი ნაბიჯით შევიდა ოთახში.

იქ მყოფმა ქალებმა დაინახეს თუ არა მაია და თუთანა, ერთხმად შეჰკივლეს. შიში და სიხარული ერთმანეთში აირია. ზეწამოჭრილი ძიძა მალე გამოერკვა. გაზრდილს მოეხვია და მის საკოცნელად დახრილ მაიას მარჯვენა ხელი რამდენჯერმე შემოავლო თავზე.

— შემოგევლოს ძიძა, ცოცხალი გნახე, აწი თუნდაც მოვკვდე, არ მენანება.

მაია მკერდზე მიეკრა ძიძას, დაკაწრული ღაწვები დაუკოცნა. მერე უსიტყვოდ დაეშვა გრძელ ტახტზე. შეშინებული ძიძა არაფერს ეკითხებოდა, რადგან ხედავდა ადამიანის ფერი არ ედო მაიას. ფეხებთან დაუჯდა და მუხლებზე მოეხვია.

ნინო შორიახლო იჯდა, თავი ზედმეტად მიაჩნდა აქ: „ვინ იცის, რა უნდა გაუზიაროს ძიძას, მე ხელს ვუშლი“. — გაიფიქრა და წამოდგა.

— ნინო ბიცოლა, შენი დასამალავი რა მაქვს, იყავი ჩვენთან. ძიძა, ვახშამი დაგვიჩქარონ, ძალიან მშია.

ძიძიშვილი მაიკო სწრაფად წამოდგა. ამ წუთში იქნებაო ყველაფერი, — თქვა სიხარულით და ოთახიდან გავიდა, მაიამ კი ისევ ქალებს მიმართა:

— დღეს ოთხშაბათია, არა? სრული ეროი კვირაა, ხეირიანი

საჭმელი და ძილი არ გეღირსებია. გზაც ხშირად გეშლებოდა. საწყალი თუთანა მარჯვედ იყო, ციყვივით ძვრებოდა ეკალ-ბარდებში, ერთნაირად უჭრიდა თვალი ბინდში და სინათლეში. თქვენ, ალბათ, მეორე დღესვე შეიტყვეთ ჩემი ამბავი, გამომა-დევნეს კაცები, ხომ?

— კი, შენი ჭირიმე. შენი მორდუს ძმა იმ დღესვე გაეშურა შენს საძებნელად. — უპასუხა ნინომ.

სანამ მაიას გაქცევის შიში თავზარსა სცემდა, ძიძა სხვაზე არაფერზე ფიქრობდა, ოღონდაც იგი ცოცხალი ენახა, ახლა რო-დესაც მაიას უვნებელს ხედავდა, მასში თავმოყვარეობის გრძნო-ბამ გაიღვიძა. ეს გაპარვა და ტყე-ღრეში მხლებელი ქალის ამარა ყაჩაღივით ხეტიალი არ მოსდიოდა ჭკუაში დედაკაცებ-ში გაზრდილ დარეჯანს. თავჩაქინდრული იჯდა და ფიქრობდა:

„განა ამისათვის მომწონდა თავი მაიას ძიძაობით, რომ ხანში შესულს თავზე ასეთი სირცხვილი დამტეხოდა? ამ ამ-ბავს ხომ მთელი ქვეყანა გაიგებს, ჩემი გვარის ქალები ისედაც შურით მიცქეროდნენ, რომ დიდი ნიკოს შვილიშვილი ჩემი ძუძუთი გავზარდე. გიორგისა და მისი ცოლის წყალობით ასე წელში გავიმართე, ოდა ავიშენეთ, კვამლიან სახლში ვინ გამაზრდეევინებდა მაიას. მათი დამოყვრების პატივით ორი ქა-ლიშვილი აზნაურებს მივათხოვე, უფროსი ქალიშვილი ჩაჩი-ბაიამაც სიამოვნებით შეირთო. ჩემი უფროსი ვაჟი, ვარლამი, უფრო ხშირად სასახლეშია. უმცროსი ძუძუდან მოვიგლეჯე და ჩემს მოგვარე ქალს გავაზრდევინე, ისიც შეჩვენებულ ჯოღორია დგებიას ძმის ცოლს — ჯგერენაიას. ამ კუთხეში ჩემი ქმარ-შვილი აზნაურებს ტოლს აღარ უდებენ ცხენ-უნაგირით, ჩოხა-ახალუხით. ადრე დავქვრივდი, მაგრამ ქვრივ-ობლობა არ უგრძვნია ჩემს ოჯახს. ახლა მტრების სასიხარულო ამბავი მომივიდა. ზეზეულად მკვდარი ვარ“.

მაიამ იგრძნო გამზრდელის რისხვა. ძიძის ასეთი ჯიუტი დუმილი ოდნავადაც არ გამოხატავდა მისადმი თანაგრძნობას და თვითონ მაიამ დაარღვია სიჩუმე:

— სად არიან ჩემი ძიძიშვილები? სად არის ბიძია დიმიტ-რი? — იკითხა მაიამ.

— ბიძათქვენი კურზუშია, ვარლამი კი კიწიაში წავიდა. ალბათ, ამ საღამოს დაბრუნდება, ჭუტულა ისევ ჭკადუაშში

გავუშვეთ. ძიძა ვერ დავამშვიდეთ, სახლში ვის დაედგომებოდა, ისეთი ცეცხლი გვეკიდებოდა, ბატონიშვილო! რაკი კარგად გვყავხარ, ამის შემდეგ ნეტავ რა შეგვაწუხებს? — მიუგო ნინომ.

ძიძა ისევ დუმდა, თავდახრილ მაიას, რომელსაც მუხლებზე დაეყრდნო მშვენიერი ხელები, არ ეფერებოდა, რადგან გულმოსული იყო მასზე.

მაიამ ღონე მოიკრიბა და ძიძას უთხრა:

— ძიძა გეტყობა ძალიან მიწყრები, რომ ჩემთან ლაპარაკი არ გსურს.

— რაზე გელაპარაკო, ძიძა გენაცვალოს, როდესაც პატარა იყავი, მაშინ არაფერი ჩაგიდენია ცუდი და საძრახისი, ახლა, როცა ოცი წლისა გახდი, შენი აჩქარება როგორ გამახარებს, რა შენი საკადრისი მოხდა, რომ არ შევეწუხებინე?

— რატომ არ გეცოდები, ძიძა? რატომ არ გიკვირს რაღ მაიძულა ასე უდიერად მოვქცეოდი ჩემს თავს, ჩემს ძვირფას მშობლებს და ნათესავებს? ჩემს საყვარელ გამზრდელებს? ვიცი, ყველანი მემდურით, მაგრამ ამაზე შემდეგ, მგონი ვახშამიც მოაქვთ.

თუთანა კუთხეში იდგა, იგი ყველას დაეიწყებოდა და, ფეხზე ჩამომწყდარი, მოქანცული თვალებით შეჰყურებდა მაიას.

— თუთანა, ფეხზე დგახარ? დაჯექი, შე უბედურო. ამ წუთში ვივახშმებთ. ამაღამ კი დაგვეძინება უშიშრად... იცი, ძიძა? გზაზე თუთანას მუხლებზე დამეძინებოდა, ის დიდხანს არ მაღვიძებდა, თვითონ კი სულ ფხიზლობდა საცოდავი.

დარეჯანმაც მხოლოდ ახლა შეამჩნია თუთანა.

— დაჯექი, შვილო, დაისვენე, ვახშამიც მალე იქნება. — შემდეგ მაიასკენ მიბრუნდა, — შვილო, ეს ის გოგო ხომ არ არის, შენ რომ თათრებს წაართვი?

— დიახ, ის გახლავთ, ძიძა. — უპასუხა მაიამ.

მაიას მისთვის მიჩნეულ ოთახში გოგოებმა დიდი სპილენძის ტაშტი დაუდგეს და ქვაბები შემოიტანეს, რომ ნამგზავრს აბაზანა მიეღო.

მაია ლოგინში ჩაწვა და ძიძა იხმო, თავის გვერდით წამოწოლა სთხოვა, თავი მკერდში ჩაუდო. დარეჯანსაც მოულბა გული, ცრემლებს ღვრიდა და ლუღლუღით ეეფერებოდა მაიას.

— გამიხსენი, შვილო, გული, რა გიჭირს, რა მოხდა?

—შემდეგ, ძიძა, ახლა დამასვენე, გონს მოვიდე.

დარეჯან ხვიჩიას ქალი ჯერ კიდევ ტკბილ ძილში იყო, რომ ძაღლების ყეფა, ცხენების ფეხის ხმა და ფრუტუნი შემოესმა. ალბათ, ვაჟები ან მაზლი დაბრუნდაო, — იფიქრა და უკანა კარებიდან გასძახა:

— რომელი ხარ?

გარედან მაშინვე გამოეხმაურნენ: ვარლამი და ჭუტულა ვართო და ორივე ვაჟი საჩქაროდ დედის ოთახში შემოვიდა. მაიას დაბრუნება მოულოცეს; ახლა იმას წუხდნენ, რომ დიმიტრი ამაოდ წავიდა სვანეთში.

— კურზუს იქით არ წავიდოდა, — დაიმედა შვილები დედამ. — იქით ჩემს მაზლს მოყვრებიცა ჰყავს. არა, ის მალე დაბრუნდება. რაკი ღმერთმა ჩემი მაია ცოცხალი მაჩვენა, რაღა მაქვს სადარდებელი. ახლა, შვილებო, რომელიმე თქვენგანი ჭკადუაშში უნდა წავიდეს, გიორგი დადიანი ნახოს და მაიას დაბრუნება ახაროს.

დაქანცულები იყვნენ, ძილი ყველაფერს ერჩივნათ, მაგრამ მაიას ამბავი აინტერესებდათ და უნდოდათ რაც შეიძლება მეტი გაეგოთ დედისაგან მის შესახებ.

ისინი ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, რომ მაია არ გაეღვიძებინათ.

მეორე დილით საუზმე მზად იყო, როდესაც მაიას გაეღვიძა. ვარლამი და ჭუტულა ცას ეწივნენ სიხარულით. მაია ღვიძლ დას ერჩივნათ. ვარლამი უფროსი ვაჟი იყო; ჭუტულა, როგორც მაიას ძუძუმტე, შეთამამებული იყო მასთან და ერთმანეთს უფრო მეგობრობდნენ.

მაია ვერ შეხვდა ძიძიშვილებს უწინდელი სიხარულითა და სიყვარულით. თავს ძალას ატანდა სჩვენებოდა მათ უდარდელი, მაგრამ ვერ ახერხებდა. ვარლამმა და ჭუტალამ ეს შეამჩნიეს. მისი მარტო დატოვება არჩიეს. ნასაუზმევს რაღაც საქმე მოიმიზეზეს და სახლიდან გავიდნენ.

ძიძა და მაია მარტო დარჩნენ.

— როგორც უკვე გითხარი, მე გადავწყვიტე აქ, შენთან დავრჩე, ჩემო საყვარელო ძიძა, — დაიწყო მაიამ დიდი ხნის დუმილის შემდეგ და თვალი ცრემლით აევსო. — მხოლოდ არა ამ ოთახში, სადაც სიხარულით სავსე დღეები გამიტარებია.

მომიდგით სახლზე მოღობილი ფაცხა, მიყიდეთ შავი ძაძა, შავად წავიდა ჩემი საქმე და შეურიგდით ჩემს უბედურებას, ჩემო ერთგულებო! ვარლამი და ნინო დღესვე წავიდნენ და მამაბატონს ეახლონ, ჩემი სურვილი და გადაწყვეტილება მოახსენონ. სთხოვონ მშობლებს ჩემი სურვილის წინააღმდეგ ნუ წავლენ, მომიტევონ და ნუ შემრისხავენ, თორემ ამ სულიერ ტანჯვას მამისა და დედის რისხვა თუ დაემატა, თავს არ ვიცოცხლებ. მე ახლა ნურავინ მინახულებს, არცა მაქვს ვინმეს ნახვის სურვილი. თან ისიც მოახსენეთ, რომ ცუცუსა და და მიხეილს არავითარი ბრალი ჩემს წინაშე არ მიუძღვით.

მეორე დღეს ვარლამი და დარეჯანის რძალი ნინო ჭკადუაშის გზას დაადგნენ, რომ გიორგი დადიანისათვის მაიას გადაწყვეტილება მოეხსენებინათ. საბრალოები, შიშით აღარ იყვნენ; გიორგის შეეძლო თავისი რისხვა მაიას ამბის მომტანებზე დაეტეხა. იმ დროს, როცა ვარლამი და ნინო მძიმე ფიქრით დანაღვლიანებულნი ჭკადუაშისკენ მიიჩქაროდნენ, მაია ჭუტულას ასეთ დავალებას აძლევდა:

— ჩემო ჭუტუ, შენ დღესვე შეუდექი თადარიგს, ჩემი ბინა ამ სახლზე უნდა მიაშენოთ. მხოლოდ განცალკევებული იყოს, დაბალი და ბნელი.

— დაიცადე, შვილო, — აცრემლებულმა ძიძამ მაიას — მოვიდეს ჩემი მაზლი და ის გააკეთებს ყველაფერს, რასაც მოისურვებ.

* * *

როდესაც ნინო და ვარლამი ჭკადუაშში მივიდნენ, ძმები: გიორგი, ბესარიონი და პეტრე დადიანები აივანზე ისხდნენ და ჭადრაკს თამაშობდნენ. ბესარიონი არ იყო კარგი მოჭადრაკე, უფრო ნარდს ეტანებოდა, გიორგი და პეტრე კი ნიადაგ ჭადრაკის თამაშში იყვნენ გართულნი და ხან ცხენს წააგებდნენ ერთმანეთთან, ხან უნაგირს.

გიორგიმ შორიდანვე იცნო ვარლამი და ნინო, შეკრთა, მაგრამ თამაში მაინც არ მიატოვა, მხოლოდ ეცადა აივანზე სტუმრების ამოსვლამდე დაეშამათებინა მოწინააღმდეგე. ნინო და ვარლამი აივანზე ამოვიდნენ, გიორგიც წამოდგა და პეტრეს უთხრა:

— კარგი, შენ უნდა წაგეგო რიგით, მაგრამ დედოფალმა მიღალატა.

გიორგი გულთბილად მიეგება სტუმრებს. პეტრე და ბესარიონიც მიესალმნენ ნინოსა და ვარლამს.

— ხომ კარგის მახარობელი ხართ? — ჰკითხა მოსულებს ბესარიონმა.

— კარგის, ბატონიშვილებო! ჩვენი გაზრდილი ჯანმრთელად და უვნებლად გახლავთ, ჩვენს სახლშია და თქვენს მშვიდობას უფალს შესთხოვს, — უპასუხა ვარლამმა და მდაბლად თავი დახარა.

სახეზე ყველას სიხარულის სხივი მოეფინა.

— დაბრძანდით, სული მოითქვით, — მიმართა მოსულებს გიორგიმ. — ვარლამის გარდა, ყველანი დასხდნენ.

— ახლა კი მიბრძანეთ, რატომ უნებებია ჩემს შვილს ეს მისთვის და ჩვენი ოჯახისათვის შეუფერებელი საქციელი? — იკითხა გიორგიმ და ნინოს გადახედა, რომელიც მოკრძალებით იჯდა, ეტყობოდა ლაპარაკის დაწყება ეძნელებოდა.

გიორგის მეუღლის ყურამდეც მიაღწია ნინოსა და ვარლამის მოსვლის ამბავმა.

დადეშქელიანის ქალს თავიდანვე გული ეუბნებოდა, რომ მაიას რაღაც უჭირდა და დედას უმალავდნენ. მან სასახლის მოურავი გოჩა ხვიტია დაიბარა, ქმართან გაგზავნა, რათა გაეგო საქმის ვითარება. გოჩა ხვიტია აივანზე გამოვიდა და ვარლამს ანიშნა, რომ მასთან მისულიყო. ვარლამისაგან გაგებული ამბით გახარებულმა გოჩამ სიხარულით თავი ვერ შეიკავა, დაავიწყდა, რომ ქალბატონმა მაიას შესახებ არაფერი იცოდა და დაუფიქრებლად უთხრა:

— ბატონიშვილი მაია კარგად ყოფილა, თავის ძიძასთან მიბრძანებულა.

შეშფოთებულმა დედამ ოჯახში დამყარებული ჩვეულება დაარღვია, აღარ დაუცადა, თუ როდის მოახსენებდნენ საქმის ვითარებას და სასწრაფოდ აივანზე გამოვიდა, ყველაზი ფეხზე წამოდგნენ.

— მშობელი დედა ვარ თუ ვინ, რომ მაწამებთ და არაფერს მეუბნებით? მითხარით, რა მჭირს! — აღელვებით მიმართა მან იქ მყოფთ.

ახოვანი ქალი, რომლის ამაღლებულ ხმას სასახლეში წლიდან წლამდე ვერავინ გაიგონებდა, თავშეუკავებელი გამხდარიყო. სიმართლითა და სათნოებით სავსე ქალი ახლა ძალიან გაბრაზებული ჩანდა. ქმარს მაინცდამაინც არ ემადლიერებოდა, რადგან ქალის გულს ხშირად ეჭვი კაწრავდა. მას გიორგი ლამაზი ქალების თაყვანისცემაში ჰყავდა შემჩნეული.

გიორგიმ წარბები შეიკრა, ხოლო პეტრე დარბაისლურად მიუახლოვდა რძალს, ხელი მოხვია და სკამზე დასვა.

— დამშვიდდი, ჩემო რძალო. ყველაფერი კარგადაა. მაიას არა უჭირს რა, ბატონიშვილი თავის ძიძის ოჯახშია. — თქვა ეს და რძალს მოკლედ უამბო მაიას გაპარვის ამბავი.

როგორც კი პეტრე გაჩუმდა, ნინო წამოიჭრა და ქალბატონს მუხლებზე მოეხვია.

— მოუტევეთ, ქალბატონო, ჩვენს გაზრდილს, ნუ გაგვირისხდებით, ნება მიბოძეთ, რაც დაგვაბარა, მოგახსენოთ!

ყველანი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. ნინომ წვრილად მოუთხრო მაიას დანაბარები.

დედ-მამა შეაძრწუნა ამ ამბავმა. ბიძებიც შეწუხდნენ, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ ერთხელვე ნათქვამს ვერავინ გადაათქმევინებდა ბავშვობიდანვე თავნება მაიას. ხოლო თუ რამ გამოიწვია მაიას ასეთი დამგლოვიარება, ყველასათვის აშკარა გახდა.

ამაზე ერთი სიტყვა არავის უთქვამს. ქალბატონი უსიტყვოდ წამოდგა და ნინო თან წაიყვანა, თავის ოთახში ბევრი იტირა.

ბიძები მრავალნაირად აფასებდნენ მაიას საქციელს, სიყვარულის განცდაში თანაუგრძნობდნენ, მხოლოდ ალექსის სიკვდილის ირგვლივ დარხეული ხმები კი არ სჯეროდათ.

* * *

გიორგის სახლიდან ნინო და ვარლამი მშვიდობით დაბრუნდნენ. მაიასა და დარეჯანს ყველაფერი უამბეს: ქალბატონი მთელი ღამე ტიროდაო, თვალის სინათლე ქალიშვილი ცოცხლად დავკარგეო, ვინ უნდა დამიტიროსო. გიორგის კი შემოუთვლია: მე და დედამისს გული მოგვიკლა, საქვეყნოდ შეგვარცხვინა, აწი ჯანდაბამდის გზა ჰქონია, გინდ თქვენთან დარჩე-

ნილა, გინდ ყმას წაჰყოლია, მისი ავისა და კარგის გამკითხავი არა ვართო.

მაიამ გულდასმით მოისმინა ყოველივე, ერთი მწარედ ამოიოხრა და მხოლოდ ესა თქვა:

— ყველაფერი გათავდა, ამიერიდან გთხოვთ ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, ნურც თქვენ შეწუხდებით, ნურც მე შემაწუხებთ.

მალე დიმიტრიც ჩამოვიდა.

სულ რამდენიმე დღეში მაიას ოთახი მოაწყვეს, შავებიც მოიტანეს. მაია როგორც კი თავის ოთახში დაბინავდა, ნინოსა და თუთანას შეაკერინა სრული და გრძელი შავი კაბები, მერე ხელში მაკრატელი აიღო, მშვენიერი ნაწნავები თავისი ხელით ძირში მოიჭრა; თუთანას უბრძანა მისთვის თავი გადაეპარსა. გადაპარსულ თავზე შავი ძაძა წაიკრა და მონაზონივით შავად შეიმოსა. ძიძამ თმის მოპარსვა რომ გაიგო, შეიცხადა, რამდენიმე დღე არც კი მიჰკარებია გაზრდილს.

— რამ გადარია ეს ქალი, — წყრებოდა დარეჯანი, —რატომ იმ დღეს არ მოვკვდი, როცა მაგას პირველად ძუძუ ვაწოვე. ის უბედური კაცი, ჩემი პატრონი არ მომკვდარიყო, ამას არ გააბედვინებდა. ახლა მოგვერია ყველას ეს თავაშვებული გოგო, — ტიროდა გამწარებული ძიძა.

მაიამ რამდენიმე ღამე ალექსიზე ფიქრში თეთრად გაათენა. დილით კი დარეჯანს თუთანა აახლა, მოსვლა სთხოვა. შემოსულ ძიძას გულში ჩაეკრა და უთხრა:

— ნება მომეცი ყველაფერი გითხრა ჩემს ალექსიზე. მე დარწმუნებული ვარ, როცა ჩემს ამბავს დაწვრილებით გაიგებ, მომიტევებ, რაც გაწყენინე. ნუ მირისხდები, ძვირფასო ძიძა!

— განრისხება რაა იმასთან შედარებით, რაც ამ დღეებში გადავიტანე შენი საქციელის გამო. სად გაგონილა თავის ასე დასჯა! როგორ შეელიე შენს მშვენიერ თმას? ან მე რატომ არ გებრალები შენი საქციელით უღმერთოდ რომ მტანჯავ?

— მომიტევე, ძიძა, შენ ხარ ჩემთვის ყველაფერი. ხომ ხედავ, მივატოვე დედ-მამა, და-ძმა, შენ მოგენდევი, ნუ მიღალატებ, ყველაფერს მოგიყვები.

— მომიყევი, იქნებ გულის დარდი შეგიმსუბუქდეს.

მაია ერთხანს ჩაფიქრდა. მერე ოდნავ გასაგონ ხმაზე აჩურჩულდა:

— რა ვქნა, ძიძა ძვირფასო, შემიყვარდა, შემიყვარდა პირველად ჩემს სიცოცხლეში ახალგაზრდა, ლამაზი, გულადი და ნასწავლი ვაჟკაცი. ჩემმა უსინდისო სიძემ სამუდამოდ ჩამომაშორა, რუსეთში გაგზავნა და ის უბედური გზაში გარდაიცვალა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემმა სიძემ, მიხეილ შერვაშიძემ მოაკვლევინა იგი. ჩემი სიძე ხარბია, გაუტანელი, მტრად გადაეკიდა ალექსის, არ გაუწია ანგარიში იმას, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, — პირში სულ ეფერებოდა, სადილად ხშირად პატიჟობდა. გულში კი არ ინდობდა იმის შიშით, რომ სამთავროში მეტი გავლენა არ მოიპოვოსო. ალექსი განათლებული კაცი იყო, იცი, ძიძა, ვიზე ვლაპარაკობ?

— როგორ არ ვიცი, პუპის ვაჟზე. დაწყნარდი, შვილო, ეს რა გიფიქრია მიხეილზე?!

— რა დამაწყნარებს, ძიძა გენაცვალე, გულში ცეცხლი მინთია. დანამდვილებით ვიცი მიხეილმა მომიკლა ალექსი და მასთან ერთად მეც სამუდამოდ დამასამარა. — მაია გაჩუმდა, მკაცრი და ულმობელი იყო მისი ფერწასული და გალახული სახე. დიდი ხნის დუმილის შემდეგ ძიძას შეხედა და თითქმის ბრძანებით უთხრა:

— მე აქ, შენთან ვრჩები სამუდამოდ. ადამიანი ამ ეზოდან გადასულს ვერ დამინახავს. ჩემი სიცოცხლე გლოვაში და მწუხარებაში უნდა გავლიო. ისეთი ადამიანი დავკარგე, ჩემი საყვარელო ძიძა, რომელსაც ვერასოდეს ვერ გამოვიტირებ. — მაიამ ისევ თავი დახარა, თვალებიდან ღაპაღუპით წამოსული ცრემლები ღაწვებს უსველებდა. მწარე მოგონების ციებცხელებაში მყოფი უყვებოდა ძიძას თუ როგორ გაიცნო და შეუყვარდა ალექსი. რა სათნო და ყურადღებიანი ადამიანი იყო იგი. როცა დაუვიწყარი ალექსის მოგონებით გულს იოხებდა, ძალაუნებურად გულქვა მიხეილის ბოროტი სახე თვალწინ დაუდგებოდა. არ ვიცი, რა ვიფიქრო, — განაგრძობდა გულდამწვარი ქალი, — მიხეილი ალექსის თითქოს თანაგრძნობით ექცეოდა, თითქოს ხელს უწყობდა სურვილების განხორციელებაში. ალექსიმ მამისეული სასახლის ეზოში დანგრეული ტაძარი შეაკეთა, განაახლა, ეპისკოპოსს მწირველი

მღვდელი გამოსთხოვა, მასვე მიანდო გლეხების ბავშვებისათვის წერა-კითხვა ესწავლებინა. მან აფხაზეთის სხვა ტაძრებზეც დიდი ფულადი შეწირულება გაიღო.

ალექსის ასეთი ადამიანური თვისებები, როგორც ჩანს, მიხეილს არ მოსწონდა, თუმცა მისადმი შურს და მტრობას არასოდეს არ ამჟღავნებდა. მაგრამ დღემდე ვერ ვომინელებია რატომ ჩააცივდა ჩემი სიძე ალექსის რუსეთში წასულიყო? რატომ თვითონ არ წავიდა? შესაძლოა იმედოვნებდა, რომ ალექსი უფრო კარგად გააკეთებდა საქმეს, ვინაიდან იქ მას გავლენიან პირებთან ჰქონდა კავშირი. მაგრამ მე ისევ ეჭვი მიღრღნის გულს: არა, არა, ძიძა! ჩემი სიძე დამოუკიდებელ მოაზროვნეს ვერ იტანს. ის შურიანი და დაუნდობელია, ჩემი უბედური ალექსი კი სულ სხვა ადამიანი იყო. მართალი, პირდაპირი, პირში მთქმელი. მთავარი გრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან ალექსი ამხელდა მის ბოროტებას, სამარცხვინო ბოძზე გააკრავდა ბნელ საქმეში ხელგაწაფული მთავრის ყველა სისაძაგლეს. ამიტომ, ბუნებრივია, მიხეილს უნდოდა მოესპო ასეთი საშიში მეტოქე და მოწინააღმდეგე. მიხეილი თავისი ბოროტი ზრახვების სისრულეში მოსაყვანად ხელსაყრელ მომენტს ეძებდა და აი გამონახა კიდეც — ალექსი შორეული რუსეთის გზას გაუყენა. თითქოს გრძნობდა აღსასრულის მოახლოებას — როგორ არ უნდოდა ჩემი მოშორება, როგორ სთხოვდა ცუცუს დაეჩქარებინა ჩვენი შეუღლება, მაგრამ ჩემი და უძლური აღმოჩნდა. მიხეილმა თავისი მუხანათობით გზა გადაგვიღობა, ჩვენი სურვილები ნიავ ქარს გაატანა. რა დამავიწყებს ალექსის უკანასკნელ სიტყვებს: „მაია, შენ შეგნებული ქალი ხარ და უნდა მომიტევო, რომ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებას ვუთმობ ჩემს დიდ გრძნობას. დროებით უნდა დაგშორდეო“...

დარეჯანი სულგანაბული უსმენდა მაიას და მის სახეზე საშინელი მწუხარება იხატებოდა.

— ვაი შენს ძიძას უბედურს! ახლა ნახე შენი პენტეზილია, დამწუხრებული, გაბოროტებული. ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას. შენ დაიღუპე, ნიჭიერი და უანგარო ადამიანი, ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწარი.

— ცოცხალი ადამიანი ყოველთვის მოძებნის სიცოცხლის

მიზანს. ჩემი ალექსი საზოგადოებრივ საქმეს შეეწირა. ახლა მე სულ იმაზე ვფიქრობ, ძიძა, რომ ნეტავ შევძლებდე ალექსის კეთილ მიზნებს უანგაროდ ვემსახურო და განვაგრძო მისი მოღვაწეობა ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ძიძა იჯდა ჩუმად, ცრემლმორეული თვალებით უყურებდა გაზრდილის ერთდროს ნაწნავებით დამშვენებულს, მაგრამ ახლა გადაპარსულს და შავი ნარმით შემოხვეულ თავს. არც უნდოდა მიეხედა იმ კედლისაკენ, სადაც წაბლისფერი სამი ნაწნავი ეკიდა.

— ახლა ხომ მომიტევებ, ჩემო ერთგულო ძიძავ! — ამოიკვნესა მაიამ.

— დაწყნარდი, ძიძა შემოგევლოს. ცხოვრება ულმობელია, თავი არ დაისნეულო. განა მე ისეთი უვიცი ვარ, რომ შენი მწუხარება ვერ გავიგო? ცეცხლი მედება შენს ტანჯვას რომ ვხედავ. ჩვენც შეგვიბრალე, ნუ გაგვამწარებ, ახლა მოისვენე, ადამიანის ფერი არ გადევს, შვილო!

ძიძა გავიდა, მარტო დარჩენილი მაია კვლავ ფიქრებს მიეცა.

მისი ფიქრები ახლა საქვეყნო ამბებს გადაწვდა. უნდოდა მოენახა თავისი უბედურების კავშირი იმ დიდ საზოგადოებრივ მოვლენებთან, რომელნიც იმ დროს საქართველოს, მის ყველა კუთხეს ერთნაირად აღელვებდა და რის მსხვერპლადაც მიაჩნდა თავისი ალექსი.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი, მართლაც, სავსე იყო უაღრესად დიდი სოციალური მოვლენებით. რუსეთთან კავშირი საქართველოს სპარსელებისა და ოსმალების შემოსევისაგან იცავდა. საქართველოს და მისი პროვინციების მმართველებიც ნდობით უცქერდნენ ერთმორწმუნე რუსეთს, მაგრამ ჯერ კიდევ აქა-იქ იყვნენ გაუთვითცნობიერებელი ბნელი პირები, რომელთა შეგნებაზე ჯერჯერობით გავლენას ვერ ახდენდნენ მოწინავე ადამიანები. ამ ადამიანებს კი გარკვევით სწამდათ საქართველოს კუთხეების ისტორიული განუყრელობა, მათი ერთმორწმუნეობა, ძველთაძველი საერთო კულტურა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათეულ წლებში სულთანი კიდევ ცდილობდა თავისი გავლენა არ დაეკარგა აფხაზეთსა

და მის მეზობელ სამფლობელოებზე. ბევრი დიდი ფეოდალი მოხიბლულა სულთნის უხვი საჩუქრებითა და დაპირებებით, ასეთი ფეოდალები თავის მხრივაც თავაზობდნენ სულთანს ლამაზ ქალ-ვაჟებს. ხალხი გმინავდა, გლეხობა დაუღალავად ებრძოდა შინაურსა და გარეშე მტერს. ხალხს არც ის აკმარეს, რომ პირუტყვივით ყიდდნენ, თურქებს საქართველოს ყოველ კუთხეში, განსაკუთრებით აფხაზეთში. ჰყავდათ თავიანთი აგენტები, რომელთა მეშვეობითაც წვრილ აზნაურებს, გლეხებსა და მათ მებატონეებსაც ბოროტი ზრახვებით ოსმალეთში ეპატიჟებოდნენ. ხალხს არც რუსეთის მეფის მოხელეები უშლიდნენ ხელს აფხაზეთიდან წასვლაში. მკვიდრი მოსახლეობისაგან შავი ზღვის თვალწარმტაცი სანაპიროების დაცლა ხომ მათი ოცნება იყო!

გლეხობისათვის უცნობი არ იყო მუსულმანების მთავრობა, მათი ძალმომრეობა, ჰარამხანებში გამეფებული არაადამიანური ცხოვრება. ისინი ოსმალეთში ნებით არ მიდიოდნენ, სამშობლოს არ ტოვებდნენ, ცდილობდნენ თავიანთ ოჯახებში დარჩენილიყვნენ და ადამიანური უფლებები მოეპოვებინათ.

თავადაზნაურობა გლეხს პირიდან ლუკმას აცლიდა, ტყავს აძრობდა, სულს ხდიდა, რომ, რაც შეიძლება, მეტი ემუშავა ყმას, მეტი მიეღო ბატონს მისგან. დაბეჩავებული გლეხობა ვეღარ აკმაყოფილებდა მუქთახორა ბატონების გაუმაძღარ სურვილს. ფეოდალები თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდნენ ერთმანეთის მიწა-წყლის მიტაცებით და გლეხების განუკითხავი ჩაგვრით. ასეთივე იყო სამურზაყანოს საკითხი, რომლის გამო დავა დიდხანს გრძელდებოდა. ამ გარემოებამ ყველაზე მეტად სამურზაყანოელი გლეხები დატანჯა და გაანადგურა. აფხაზეთის მთავარს, მიხეილს ამ დროს იმისთვისაც კიცხავდნენ, რომ რუსეთს მოჩვენებით დაემორჩილა, მისი „ჩინ-მენდალი" დაიკიდა. ამ კუთხის მოწინავე ადამიანები მიხეილისაგან მოითხოვდნენ, რომ აფხაზეთი სრულიად გაეთავისუფლებინა ოსმალეთის გავლენისაგან, უფრო მეგობრული განწყობილება ჰქონოდა საქართველოსთან და რუსეთის მოწინავე საზოგადოებასთან.

მიხეილს ამას განსაკუთრებით მისი სიმამრი, გიორგი დადიანი ურჩევდა. გიორგის საჭიროდ მიაჩნდა მთავარს ჩამო-

ეშორებინა საეჭვო პირები, რომელნიც მათზე ცუდ გავლენას ახდენდნენ. გიორგი ცდილობდა შთაეგონებინა სიძისათვის, რომ ეზრუნა აფხაზეთის ეკონომიურ წინსვლაზე, სწავლა-განათლებაზე, კულტურის აყვავებაზე.

იმხანად აფხაზეთში მოულოდნელად რამდენიმე შერვაშიძე გარდაიცვალა. მათთან მიხეილს მტრული დამოკიდებულება ჰქონდა. ხალხში ხმა დაირხა, თითქოს ამ გავლენიან პირებს მთავარი თავიდან იშორებდა, რათა მათი მამულები ხელში ჩაეგდო და აფხაზეთში უფრო თავისუფლად ებატონა...

ფიქრებში ჩაძირულ მაიას ყველა ეს ამბავი მოაგონდა. ჭორები ხომ მრავალჯერ სმენია თავისი მამის ოჯახში. ბევრჯერ უნახავს მამა და ბიძები ამ საკითხით აღელვებულნი.

„ნამდვილად მიხეილია ალექსის მკვლელი. ღმერთო ჩემო, ამ პირსისხლიანი კაცის ცოლია ჩემი და... მე კიდევ რა საშინელი წერილი მივწერე ცუცუს. მე ჩემს ალექსის უკვე მიცვალებულს ვტირი, მას კი ცოცხალი ქმარი გავუხადე სატირელი", — ამოიოხრა მაიამ.

უკვე გათენებული იყო, მაიას სადგომში მზემ შემოისედა.

მ ა ი ა

ფიქრებით მოქანცულ ძიძას თვალწინ წარმოუდგა მაიას ბავშვობა. მაია დაბადებიდანვე ლამაზი იყო.

მაიას დაბადებამდე ერთი თვით ადრე წაიყვანეს ძიძა-დარეჯანი გიორგი დადიანის სასახლეში. რამდენი ცრემლი ღვარა მაშინ საცოდავმა გლეხის ქალმა, როცა გადაწყდა, რომ სამი თვის ჭუტულა გულიდან მოეგლიჯათ მისთვის და იქვე ახლოს თავის მოყვარე მართა ჯგერენაიასათვის მიეცათ.

— არ მინდა, ბატონო, ასეთი დიდი კაცის შვილის ხელის მოკიდება, — შეეეედრა თავის ქმარს, საჩინოს, დარეჯანი. — რომ ვერ მოვუარო, ხომ დავიღუპე? ვიცი, რომ მერე ჩემს ბიჭს არ გამაკარებენ. — წუხდა დარეჯანი.

— ქალო, ხომ არ გადაირიე. ამაზე უფრო კარგ საქმეს რას გაუკეთებ ჭუტულას და შენს სხვა შვილებს? მათ საუკუნო ლუკმას დაუტოვებ, კაცებში გარეე. ეგებ იმას ფიქრობ,

რომ მეზობელი გლეხის ქალებისთანა დღეში იქნები? — უთხრა ცოლს საჩინომ.

— რაც არ უნდა იყოს, არავის არაფერს ვერჩი, დამაყენონ მაგ დალოცვილებმა ჩემს სახლში. რაღა მე ამომიჩეძა დადეშქელიანის ქალმა, მისი შვილის გაზრდას ყველა სიხარულით მოჰკიდებდა ხელს.

— მოეწონე, ქალო, — უთხრეს, სუფთა ქალია, ჯანმრთელია, ახალგაზრდაა, აზნაურების მონათლულია, ზრდილობიანიაო. აბა, ტყუილად ხომ არ მიყვარხარ, — გაეხუმრა საჩინო.

დარეჯანი ცოტათი მოალბო ქმრის ალერსიანმა სიტყვამ, მაგრამ მაინც წუწუნებდა.

— ბავშვს ერთხელ ხელს რომ მოვკიდებ, შემდეგ სახლიდან აღარ გამომიშვებენ, ოჯახი დაგვექცევა.

— დარეჯანის ჭირიმე, ნუ სწუხარ, ოთხი შვილი გვყავს, „მებერგეები" ვართ, რა ოჯახი გვაქვს, შე ქალო, ისეთი, რომ დაგვექცეს? ბავშვები წამოზრდილი არიან. მათ დედაჩემიც მოუელის. ბატონიშვილის გაზრდა კი ბევრ სიკეთეს მოგვიტანს, ბავშვებსაც ხშირად აქეთ გამოგვატანენ.

— სად უნდა მოვიყვანოთ, კაცო, დიდი კაცის შვილი ჩვენს ქოხში?

— შე ქალო, ჩვენს კვამლიან ქოხში რომ ვერ მოვიყვანთ, მეც ვიცი, მაგრამ, დიდი კაცი რომ დაგვიმოყვრდება, მერე ყველაფერი იქნება, ბუხრიან სახლსაც მალე წამოვჭიმავთ.

* * *

დარეჯანს საუკეთესო ბინა მიუჩინეს სასახლის ახლოს, სასტუმრო სახლში. ახალგაზრდა გოგონა დამხმარედ მიჰგვარეს, ჭუტულაც დედასთან ჰყავდათ, რათა მისი გასაზრდელი ბავშვის დაბადებამდე მომავალ ძიძას ძუძუ არ გაშრობოდა.

დარეჯანს წინათაც ენახა დიდკაცური ცხოვრება თავისი ნათლიის დეკანოზ ანჯაფარიძის ოჯახში, მაგრამ ისეთი მრავალრიცხოვანი და მდიდარი როგორც იყო გიორგის ოჯახი, მას ოცნებითაც არ წარმოედგინა. დარეჯანს ხშირად იხმობდა ქალბატონი, ხან აკერვინებდა, ხან აქსოვინებდა.

გიორგის ქალი შეეძინა, მაია უწოდეს სახელად. ძიძას

ახლა თვით სასახლის ერთ-ერთი ოთახი მიუჩინეს ქალბატონის საწოლი ოთახის გვერდით, ორი დღის შემდეგ მართა ჯგერენაია მოიყვანეს და ჭუტულა მას გაატანეს.

ჭუტულას გაჰყვა დარეჯანის სული და გული, ცრემლს ყლაპავდა, ერიდებოდა, რომ მის თვალზე ცრემლი არავის შეენიშნა. ფარჩა-დარაიით შემოსილ აკვანთან იჯდა დაღვრემილი და ჭუტულა აგონდებოდა. მაგრამ თანდათან შეიყვარა პატარა მაია. ლამაზი და ფუნჩულა მაია დღითი დღე მიმზიდველი ხდებოდა. ახლა დარეჯანის ქმარი ხშირად იყო სასახლეში. მას, როგორც ბატონიშვილის გამზრდელსა და ერთგულს, მოურავი ნდობით ექცეოდა, სხვადასხვა დავალებას აძლევდა.

დარეჯანი ბავშვს თავის შვილებში ვერ არჩევდა, თავზე ეკლებოდა, ცივ ნიავს არ აკარებდა. ხანდახან კი მწვავე სევდა დაეუფლებოდა ოჯახსა და შვილებზე ფიქრით.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩა დადეშქელიანის ქალს.

— ჩემი მაიას ძიძა კარგი ქალია, ერთგული, ბავშვს კარგად უვლის, მაგრამ ცოდვაა, ოჯახი ეღუპება. ბავშვი სიარულს იწყებს, ჯანმრთელია, აწი შეიძლება იქეთაც გავატანოთ, თორემ გამიგონია შეწუხებული ქალის რძე ბავშვსაც არ მოუხდებაო, — უთხრა ერთხელ მაიას დედამ გიორგის.

— მართალს ამბობ, ჩემო კარგო. ჩვენ შეუბრალებლობას ვიჩენთ, ვეტყვი მოურავს; მგონი, სახლი არ უნდა ედგეთ კარგი, დავეხმარები.

დადიანის შემწეობით ორი-სამი თვის შემდეგ საჩინომ ბუხრიანი ოდა დადგა. დარეჯანი მაიასთან ერთად დიდძალი საჩუქრებით გაისტუმრეს, მეწველი ძროხაც გაატანეს. მაია კარგად გრძნობდა თავს გაბედავების ოჯახში, ლაღად დახტოდა ფართო ეზოში, თამაშობდა ტოლებთან, გაბედავას ოჯახიც თანდათან ფართოვდებოდა. გიორგი დადიანმა ცხენიც აჩუქა ძიძას, საჩინო კი თავის მხლებლად ჩარიცხა.

უკვე ოთხი-ხუთი წლის გოგონა ისე მიეჩვია ძიძას, რომ, როცა ჭირვეულობას დაიწყებდა, სასახლეში გაგზავნით აშინებდნენ.

ბავშვი მთელი დღე თავის ძიძიშვილთან ჭუტულასთან თამაშობდა. უფროსი ძიძიშვილები — ვარლამი, ტატუ და მელიკო

მთელი დღე ბავშვების მოვლა-გართობაში იყენენ. მაია აღარ კმაყოფილდებოდა მარტო ძიძიშვილებთან თამაშით, მეზობლის ბავშვებს ხშირად მოინახულებდა.

— ძიძა, რატომ აცვია ძაბუს დახეული კაბა?

— არა აქვს, შვილო, უკეთესი და იმიტომ.

— რატომ არა აქვს, დედამ არ შეუკერა?

— დედა როგორ არ შეუკერავდა, მაგრამ საყიდელი ფული არა აქვთ.

— რატომ არ მისცა ფული მორდუმ?

ან კიდევ მოირბენდა მაია და ძიძას შესჩივლებდა:

— ძიძა, რა ვნახე, გუდუ გაბედავას ბავშვები მარტო პრასას და ციე ღომს ჭამდნენ!

— რა ქნან, შვილო, მათი დედა ღომის საცეხვავში წავიდა, ბეგარა აქვს შესასრულებელი, კერძი არ ექნებოდა მოსახარში, ყველიც არა აქვთ, აბა რა ეჭამათ?

— ყველი კატამ შეუჭამა?

— არა, ძიძა გენაცვალოს, ძროხა არა ჰყავთ.

— ვინ წაართვა?

— დამანებე, შვილო, თავი, ათასი საქმე მაქვს. — ძლივს მოიშორებდა გაზრდილს დარეჯანი.

ხუთი წლის მაია მშობლებმა შინ წაიყვანეს, მაგრამ ზაფხულს მაინც ძიძასთან ატარებდა. გაზრდილს ისე უყვარდა ძიძა, რომ ზაფხულის მოახლოებას მზის ამოსვლასავით ელოდა.

ძიძეულში მაიას ჩასვლა დიდი სიხარული იყო ძიძიშვილებისა და მეზობელი ბავშვებისათვის. პატარა მაიამ უკვე წერა-კითხვა იცოდა. ჯერ სასახლის მღვდელი ასწავლიდა შვილებს, მერე გიორგიმ ქუთაისიდან დაიბარა მასწავლებელი.

მშვენიერი მოსაუბრე მაია ჩაჯდებოდა ხოლმე ძიძიშვილებში, მეზობელ ბავშვებში და უკითხავდა მათ წიგნებს, უყვებოდა ზღაპრებს, ხოლო ჭუტულას, კითხვასაც ასწავლიდა.

მაია თანდათან დაქალიშვილდა. უფრო პატივდებულად მიჰყავდათ ჭკადუაშიდან მორდუსა და ძიძიშვილებს. ის ახლა უფრო შეგნებულად აკვირდებოდა სოფლის ცხოვრებას.

დარეჯანი მალე დაქვრივდა, მაგრამ მაინც სულით არ

დაეცა. შრომისმოყვარე ქალი დღესა და ღამეს ასწორებდა, ოჯახს კარგად უვლიდა, თავს არავის აჩაგვრინებდა.

ისეთ მრისხანე თავადს, როგორიც ჯოლორია დგებუაძე იყო, დარეჯანი არ ეპუებოდა, მეტადრე მაშინ გაცხარდებოდა, როდესაც გაიგებდა ჯოლორია ჭუტულას გამზრდელ ჯგერენაიებს უსამართლოდ მოექცაო.

— ქვეყანა ჩალით ხომ არ არის გადახურული. ჯოლორიას იქით კიდევ არიან ქვეყნის ბატონ-პატრონები, — იტყოდა დარეჯანი ისეთ ადამიანებთან, რომელნიც, დარწმუნებული იყო, მის სიტყვებს ჯოლორიას მიუტანდნენ.

— ვიცით, ვისი წელიც აქვს, თორემ... — იტყოდა ჯოლორიას ერთგული მოურავი.

— ჯოლორიას ერთი ხვიჩიას ქალი კი არა, მთელი სალიპარტიო შიშის ქვეშ ჰყავს, მაგრამ დარეჯანი მაია ბატონიშვილის ძიძაა. ჯოლორიას ისიც ეყოფა, რომ მთავარი არ წყალობს, გიორგი ბატონიშვილიც რომ გადაიმტეროს, მისთვის ხელსაყრელი არაა, მით უფრო, როგორც ამბობენ, არც გიორგის უყვარს მთავარიო. — ამბობდნენ ხალხში.

— მთავარსაც არ ახატია თურმე გულზე დიდი ნიკოს შვილები.

— ვერ გაიყვეს ქვეყანა, ვერ გაძღნენ მაგ ოხრები? — ბოღმით ამბობდნენ ბატონყმობით განაწამები ვლეხები.

თან ფალებული საიდუმლოება

დაეით დადიანის გამთავრების შემდეგ სამეგრელოს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. დავითი და დიდი ნიკო მათთვის ჩვეული სიდინჯით და წინდახედულებით შეუდგნენ სამთავროს საქმეების მოგვარებას, მაგრამ მოულოდნელად ნიკო დადიანი გარდაიცვალა და სამთავროს მართვის მთელი სიმძიმე დავითს დააწვა კისერზე.

ნიკოს სიკვდილს ყველაზე მეტად დავითის მეუღლე, დედოფალი ეკატერინე განიცდიდა. ეკატერინეს რჩევით დავითმა ნიკო დადიანის ადგილზე მისი შვილი პეტრე დადიანი დანიშნა.

პეტრე იყო დინჯი, დაფიქრებული და მშვენიერი შესა-

ხედავი ვაჟკაცი. მას მამის ბევრი კარგი თვისება ჰქონდა და ამიტომ მეუღლის წინადადება უყოყმანოდ მიიღო დავითმა.

ეკატერინეს რჩევით მთავარმა თავისი ძმები გრიგოლი და კონსტანტინე დაიბარა პეტერბურგიდან. დავითი ავადმყოფი კაცი იყო, თვითონაც გრძნობდა და საჭიროდ თვლიდა ძმები ახლოს ჰყოლოდა.

ეკატერინეს მეშვეობით სასახლის ცხოვრება დღითი დღე ევროპულ ხასიათს იღებდა. მოხუც ლევანს არ მოსწონდა სასახლის ახალი წესები. ის განმარტოებულად ცხოვრობდა. უმეტეს დროს ნადირობაში ატარებდა. მისი ეჭვი ალექსის უცნაური სიკვდილის შესახებ თანდათან ღრმავდებოდა. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ გადაწყვიტა გამგზავრებულიყო აფხაზეთში და ჩუმად გამოეძია საქმის ნამდვილი ვითარება.

დავითს უთხრა, პუპის ნახვა მომენატრა და აფხაზეთში მივდივარო. დავითმა არ ურჩია წასვლა. ამ სიშორე გზაზე ძნელია შენი ასაკის კაცისათვის მგზავრობაო. ამალას გავგზავნი და პეპის აქეთ ჩამოვაყვანინებო.

ლევანმა, რასაკვირველია, შვილს არ დაუჯერა. მეორე დღეს იგი მცირე ამალით შეუმჩნევლად გავიდა ზუგდიდიდან.

ლევანმა მთელი თვე დაჰყო პუპისთან. იგი ხშირად ბატიჟობდა მიხეილის კაცებს, ჰქონდა მათთან ხშირი სჯა-ბაასი, ზოგი მათგანი მოისყიდა კიდეც და მალე ალექსის სიკვდილის ნამდვილ მიზეზს გარდა ისიც კი გაიგო, რომ მიხეილი დიდად უკმაყოფილო იყო სამურზაყანოს საკითხის დადიანების სასარგებლოდ გადაწყვეტით და დაუქადნია: დადიანებს სისხლად ამოვადენ სამურზაყანოს ფულსო. ლევანს ამ დაქადნების არ შეშინებია, არც განაწყენებულა, მაგრამ იმ ამბავმა, რომ ალექსი მიხეილის მოკლული იყო, უსაზღვროდ აღაშფოთა ყოფილი მთავარი.

იგი საჩქაროდ გამოემგზავრა სამეგრელოში. ბუნებით მშვიდი და გულკეთილი ლევანი ცოფს ჰყრიდა, აჩქარებდა ცხენს, უნდოდა მალე ჩასულიყო და დავითისთვის გაემხილა ეს საზიზღარი საიდუმლოება.

ლევანი არ დაერიდა ადიდებულ ენგურს, არც ფონი უძებნია, პირდაპირ შეაგდო ცხენი მძვინვარე ტალღებში და მშვიდობით გავიდა მეორე ნაპირზე. მაგრამ მოხუცის ეს აჩქარებუ-

ლი საქციელი საბედისწერო აღმოჩნდა, თავიდან ფეხებამდე გაწუწული ლევანი, როგორც ჩანს, გაცივდა, შემოსული იმ საღამოსვე ლოგინში ჩაწვა, მაღალი სიცხე მისცა. სასწრაფოდ იხმო შვილები, რათა მიხეილის ამბავი მათთვის გაემხილა, მაგრამ სანამ დავითი, გრიგოლი და კონსტანტინე მივიდოდნენ, მოხუცს ბოდვა დააწყებინა, გონება დაკარგა, მეორე დილით გარდაიცვალა და თან წაიღო ალექსის მკვლელობის საიდუმლოება.

უუფლებონი

სამთავროში მომხდარი ამბები განდეგილად მცხოვრებ მაიას ყურამდეც აღწევდა. იგი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს სამეგრელოსა და აფხაზეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამავე დროს ის ბევრს კითხულობდა. მისი მცირე ბიბლიოთეკა უმთავრესად წამებულ ქალთა სათავგადასავლო წიგნებიდან შედგებოდა. ამ წიგნების კითხვით ახალგაზრდა ქალი გულს იოხებდა.

მაია თანდათან შეეჩვია მწუხარებას, მისი დაუდეგარი ბუნება უკვე მოქმედებას ითხოვდა. მაიამ საძიძიშვილოში თავი მოუყარა ახალგაზრდა გოგონებს და დაიწყო წერა-კითხვის და ხელსაქმის სწავლება. მათ შორის დიდ ყურადღებას აქცევდა უკვე მოწიფულ ქალიშვილს, თავის მოახლე თუთანას. კიდევ უფრო თბილი გრძნობა ჰქონდა მაიას ლერწამისასადმი. მის დანახვაზე ხშირად მოაგონდებოდა პატარა ათი-თორმეტი წლის გოგონა, რომელიც ცუცუს გამზრდელმა საროსტანისამ აფხაზეთში მოყვანისთანავე ლერწამისად მონათლა, არავის უკითხავს ბავშვისათვის რა ერქვა, ან ვისი შვილი იყო. მან თვითონ უთხრა გამზრდელს, ობოლი ვარ და ამით გათავდა ლერწამისას ვინაობის გამორკვევა. მაიას ლერწამისასთან დაკავშირებით აგონდებოდა ალექსის უეცარი სიკვდილი, ლერწამისას ხელით დისადმი გაგზავნილი წერილი და მტრედივით შემკრთალი გოგონა; ეს მაღალი, წერწეტა, ცისფერთვალება ქალიშვილი ყველას ხიბლავდა.

გვიან შეამჩნია მაიამ, რომ ლერწამისა ზამთარ-ზაფხულ

თავსაფრით დადიოდა; როდესაც მოახსენეს, თქვენი ძიძის ბრძანებით ატარებს თავსაფარსო, გაიცინა და ძიძას უსაყვედურა:

— რას ერჩი, ძიძა, ლერწამისას, რატომ ამალვინებ ლამაზ ნაწნავებს?

— ახლა თუ ასეთმა ბავშვებმა თმა მხრებზე არ გადაიყარეს, ისე არ დაედგომებათ? მოესწრებიან, დაუდგებათ მაგისი დროც. მაგ გოგოს ისედაც ვერ აშორებენ თვალებს ყმაწვილები. გელა ჯგერენაია, ჭუტულას ძიძიშვილი, სულ აქ ტრიალებს.

— მერე რა, ძიძა, დაგავიწყდა ახალგაზრდობა? შეიყვარონ ერთმანეთი, იყონ ბედნიერი, — თქვა მაიამ და ამოიოხრა.

— ლერწამისაზე უფროსია თუთანა, მაგრამ არ კოპწიაობს.

— ყველას ხომ ერთი ხასიათი არ ექნება, ლერწამისა ბუნებას შეუმკია გარეგნობით და ნიჭით, მშვენივრად სწავლობს წერა-კითხვას, ხელსაქმეც ეხერხება... თუთანა უფრო დინჯია. ის ხომ ჩემი ტოლია, ჩემო ძვირფასო ძიძა. ეს ქალები ჩემთვის ფრიად საყვარელი არიან, მაგონებენ ჩემს უდარდელ ცხოვრებას; რა გახარებული ვიყავი, ისინი თურქებს რომ წაართვეს ჩემმა მხლებლებმა.

მაია მშობლიური ენის დიდი მოყვარული იყო. ბევრჯერ იხუმრებდა, რაკი პოეტობით ვერ გამოვემსგავსე ჩემს მამასა და ძმებს, ქართული ენის ზედმიწევნით ცოდნა მაინც უნდა იყოს ჩემი კუთვნილებაო. მაიას მარტო ეს როდი აკმაყოფილებდა. ის ბევრ მნიშვნელოვან საერთო საქმეზე ფიქრობდა. ხშირად ძილი გაუტყდებოდა ხოლმე. ფიქრში მყოფ მაიას ერთხელ განთიადისას ასეთი საუბარი მოესმა:

— არა, მე ის უნდა მოვკლა, როგორ აწამა საბრალო მამაჩემი. ხომ შენც მოუსწარი, ჭუტულა, რამდენ ხანს აწვალა. მე დღეის შემდეგ ვაჟკაცი მქვია? ლაჩარი ვარ, მაგრამ თუ არ მოვკვდი, მაგის სისხლს დავლევ!

— დაწყნარდი, ბიჭო, აჩქარება საქმეს არ შველის. ახლა მთავარია, მამა სიკვდილს გადაარჩინო, სხვა ყველაფერს მოესწრები.

— ყაჩაღად გავიჭრები, თავს გავწირავ და მაგას მაინც არ ვაცოცხლებ!

— ნუ აჩქარდები, მამაშენს არაფერი გაუჭირდება. ახლა

შენი ძმა ბანძაში მისული იქნება. ზაქარიას მალამომ რომ არ მოარჩინოს, ისეთი ჭრილობა კაცს არ გაუგონია.

მაია გულდასმით უგდებდა ყურს საუბარს, თუმცა ბევრი ვერა გაიგო რა, რადგან ვაჟები ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. უნდოდა დაეძახა მათთვის, მაგრამ ძიძის გაღვიძებისა მოერიდა. მაიამ მხოლოდ მეორე დილას გაიგო, თუ რა აღელვებდა ასე მწარედ გელა ჯგერენაიას.

ჯოღორია დგებუაძე განთქმული იყო თავისი სიმკაცრით. მას არა ერთი და ორი ყმის ოჯახი აუწიოკებია. არა ერთი და ორი უმანკო, საქორწინოდ გამზადებული ყმა ქალი გაუუპატიურებია და გაუუბედურებია. არავის გაუგონია იმ სახის სასჯელი, რომელიც მან ერთ დღეს სცადა გელა ჯგერენაიას მამის დასასჯელად.

თურმე იმ დილით ჯოღორიას მოურავისთვის უთქვაᲒს, გაგზავნე რომელიმე ყმა კალმახის დასაჭერად და სადილად მომართვითო. მაგრამ იმ დღეს ვერ დაუჭერიათ კალმახი, განრისხებულა თავადი. სწრაფად უხმია მოურავი.

— რატომ კალმახი არ არის, მოურავო?

— ვერ დაიჭირეს, ბატონო.

— ვინ იყო გაგზავნილი?

— მიხა ჯგერენაია, ბატონო.

— დაუძახე ახლავე!

მიხა ეახლა, მაგრამ მის სახეზე ოდნავ არ ჩანდა თურმე მღელვარება და შიში. ჯოღორია უფრო გააცოფა ყმის ასეთმა გულგრილობამ.

— რატომ ვერ დაიჭირე კალმახი?

— არ მოჰყვა ბადეს, ბატონო.

— რას სულელობ, შე ბრიყვო! ტეხურში კალმახი გაწყდა? დაიჩოქე, შე ტუტუცო, და თქვი სად გადაისროლე ბადე?

— ამის თქმას რა დაჩოქება უნდა, ისე მოგახსენებ. ბონდის ხიდის ზევით მეგულებოდა კალმახი.

— არ იჩოქებ? კარგი, ვერ მიხვდი, ან ქვევით ჩაყოლოდი მდინარეს, ან მთლად წაჩხურაში წასულიყავი, თუ დაგეზარა?

— წაჩხურაში როგორ წავიდოდი, შე დალოცვილო! შენც იცი, რომ იქ მთავრის გზირები არ გვიშვებენ; სადადიანო არისო, თევზაობის ნებას არ გვაძლევენ.

ეეღარ მოითმინა ჯოღორიამ, სკამი ესროლა ჯგერენაიას და თან დაატანა:

— რას მიქვია, შე რეგვენო, სადადიანო? ვერ გაიგეთ, რომ სალიპარტოში მე ვარ უფროსი? მთავარს აქ არ ვცნობ, მაგ ბაყაყჭამიას! კალმახი რა მისი საქმეა, მან ბაყაყი მიირთვას! შენ ჩემს უჭკუო ძმასთან ავთანდილთან, მთავრის მოურავთან ერთგულობ, მთავარს რომ კუდში დასდევს! ვინ არიან ის გზირები, მე იმათ ვუჩვენებ სეირს! მოურავო, ეს ყაზახი დილეგში ჩააგდე, იქ მიხვდება თუ როგორ უნდა ბატონის სიტყვის შესრულება და ბატონთან ლაპარაკი!

ნასადილევს ჯოღორია დგებუაძე მოურავთან განმარტოვდა და დიდხანს ისაუბრეს.

* * *

ივლისის პაპანაქება იდგა. ჯოღორიას ეზო სავსე იყო გლეხებით და შინაყმებით. ჯოღორიას ახლო მეზობლები, თავადაზნაურები მოუთმენლად ელოდნენ თუ რას უპირებდა იმ დღეს ჯოღორია მიხა ჯგერენაიას. მიხა სიგრძით მიაკრეს ცხენს ისე, რომ თავ-პირი ცხენის კუდისაკენ ჰქონოდა. რაკი საჭირო იყო მეორე მხარეზეც იმავე სიმძიმის ჩამოკიდება, ჯოღორიამ აქეთ-იქით გაიხედა, უნდოდა ყმებს შორის გამოეძებნა ვინმე დიდი დამნაშავე, რომ მიხასთან ერთად დაესაჯა. შინაყმები მიუხვდნენ განზრახვას და ცხენს მეორე მხრით ხის მორი მიაკრეს, ხოლო ორი ყმა სავსე ჯამიდან თაფლს იღებდა და ხელით თეთრ ცხენს ხან გავაზე, ხან თეძოზე უსვამდა. შემდეგ ერთი მათგანი ცხენს აღვირში წვდა და წინ გაუძღვა. თაფლით შეთხუპნულ ცხენს მალე ბუზები დაეხვია. ცხენი წამდაუწუმ კუდს აშხლართუნებდა ბუზების მოსაგერიებლად და და მიხა ჯგერენაიას ცხვირპირსა და გაღეღილ გულ-მკერდში სცემდა. ნახევარი საათი მაინც ასე აწამეს მიხა. მისი გასისხლიანებული ცხვირ-პირი საშინლად ზიზღს იწვევდა ჯოღორიაში. დიდხანს ყვიროდა მიხა, ხან იხვეწებოდა მომიტევეთო, ხან ილანძღებოდა, მაგრამ ვინ იყო გამკითხავი? გელამ იმ დროს მიუსწრო მამის ტანჯვას, როდესაც უკვე უგრძნობელი მიხა ცხენიდან ჩამოხსნეს და სასახლიდან კარგა მოშორებულ ქოხში

შეიტანეს ცოცხალ-მკვდარი. გელა თავისი ხელით ბანდა მამას სისხლს და ყოველ წუთს იმეორებდა გულში ფიცს, რომ ჯოღორიაზე შურს იძიებდა.

მიხა შინ წაიყვანეს. მოხუცი დედა და ცოლი ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, სახეს იკაწრავდნენ და ჩუმად ტიროდნენ. მოხუცმა დედამ ჩვრებში გამოკრული წამლები მოძებნა, მალამო გააკეთა და შვილს ჭრილობაზე წაუცხო, ხოლო უმცროსი ვაჟი ნაშუაღამევს მეწამლე ზაქარიასთან გაგზავნეს ბანძაში მალამოს მოსატანად.

ჭუტულა გაბედავამ, რომელიც შემთხვევით შესწრებოდა ამ დავიდარებას, გელა შინ წაიყვანა. მაიამ გელას წვრილად გამოკითხა მამის დასჯის ამბავი. მაია და მთელი მისი ძიძის ოჯახი ძლიერ ააღელვა ასეთმა უმსგავსოებამ, მაგრამ გელას მამის უბედურობით ყველაზე უფრო ლერწამისა დაიტანჯა. მას სხვებზე უკეთ გაეგებოდა ყმის გასაჭირი. ლერწამისა ძლიერ გააკვირვა ჯიღორიას სითამამემ. როგორ გაბედა მან მაია ბატონიშვილის ახლოს ასეთი ცუდი საქმე ჩაედინა, მაშინ როდესაც გელას ჩემი პატრონი და მისი ძიძიშვილები კარგი თვალით უყურებენო.

* * *

დრო შეუმჩნევლად გადიოდა. გიორგიმ არ ისურვა მაიას ნახვა, დედამ კი მხოლოდ სამი წლის შემდეგ ინახულა ქალიშვილი, ძმები და ბიძაშვილები კი ხშირად აკითხავდნენ საყვარელ მაიას, მხიარულება შეჰქონდათ მის ბინაში. საკანში თითქოს ადამიანებთან ყოფნის სურვილი ღვივდებოდა, მაიას მხოლოდ წიგნები და ხელსაქმე აღარ აკმაყოფილებდა, ხალხში ყოფნა სწყუროდა, ცხოვრებისა და მათი ჭირ-ვარამის გაგება-გაზიარება უნდოდა.

ამიტომ ძიძას, ძიძიშვილებს თავისი ოთახიდან დიდხანს არ უშვებდა, მოაყოლებდა ქვეყნის ამბებს. საუბარი უფრო ხშირად მთავრის ოჯახს, იქაურ ჭორსა და მართალს შეეხებოდა.

ერთხელ ჭუტულა მოჰყვა დავით დადიანის ძმის, კონსტანტინე დადიანის ნადირობის ამბავს. აღწერა კონსტანტინეს ლამაზი გარეგნობა, ჩაცმულობა, მისი ცხენ-უნაგირი, ისიც არ დაივიწყა, თუ როგორ უტევდა ბატონიშვილი მწევარ-მეძებ-

რებს, რა ბოხი ხმა ჰქონდა. აქ ჭუტულამ ჩაახველა და კოწ-სტანტინეს წაბაძვით მწევარს ბოხი ხმით დაუძახა.

დედამ დატუქსა, ვის უბედავ, შე უზრდელო დაცინვას, შენი ბიძაშვილები ხომ არ გგონიაო. ძიძა მაიას მიუბრუნდა:

— მართლაც მშვენიერი ვაჟკაცია, ორივე ძმაზე უკეთესი შესახედავია.

ძიძის გულში უეცრად რაღაცამ გაიელვა, მაგრამ არ გამო-ამჟღავნა გულისნადები, ისე უსიტყვოდ შეაცქერდა მაიას. იგრძნო ძიძის თვალები რაღაცას ემუდარებოდა მას.

ახალგაზრდა ქალი შეკრთა, თითქოს ძიძის გულში ჩაიხე-და, ნაფიქრს მიუხვდა, ძიძამ ეს შენიშნა, საქმე მოიმიზეზა და ოთახიდან გავიდა.

მარტო დარჩენილმა მაიამ ახლა საკუთარ გულში ჩაიხედა, წუთით ძიძისადმი გულისწყრომაც იგრძნო. იმის წამოდგენა-მაც კი შეაშინა, რომ მან ალექსის უღალატოს და ვინმე მო-ეწონოს. აბეზარი ფიქრები გულიდან განდევნა.

* * *

მაიასთან სულ უფრო ხშირად ჰყვებოდნენ კონსტანტინეს ამბავს. მაიას ეს სიამოვნებდა. თავადაც გრძნობდა, რომ მასში ქალის ბუნება იღვიძებდა. თრგუნავდა გრძნობას, რომელიც სიამოვნებასა და ცხოვრების ინტერესს უღვიძებდა, თუნდაც წუთიერად. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეეით არაფერსა და არავისზე არ ფიქრობდა. ატყობდა თავის არსებაში რაღაც ახალი გრძნობა იბადებოდა.

გიორგის ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი თავისი ქალიშვილის ცხოვრებაზე, მაგრამ თითქოს არ იცისო, უყურადღებოდ ტოვებდა ყოველივეს. ბოლო ხანებში გიორგის გული გაუტყ-და. მისი თავმოყვარეობა შეილახა, როგორც ოჯახური უსია-მოვნებით, ისე მის გარშემო შექმნილი მითქმა-მოთქმით. მისი მოწინააღმდეგენი ავრცელებდნენ, თითქოს გიორგის შეუვალ ეზოსა და სასახლეში თავშესაფარს პოულობდნენ მთავრის მოწინააღმდეგენი. ლევან დადიანი იმდენი ეცადა, რომ თავის სიცოცხლეშივე დაარწმუნა დავითი გიორგის ორგულობაში. ეჭვიანმა მთავარმა მიუხედავად იმისა, რომ გიორგის დიდ

პატივს სცემდა, მისგან თავი შორს დაიჭირა. ამბობდნენ დიდი ნიკოს სიკვდილი სწორედ იმან დააჩქარა, რომ მისი გაზრდილი დავითი ასე განერიდა გიორგის და მის ძმებსო.

მართალია, დავითმა კარგად იცოდა, რომ მისი გამთავრების დაჩქარებაში ყველაზე მეტი ღვაწლი გიორგი დადიანს მიუძღოდა, მაგრამ მაინც ვერ მოიბრუნა მისკენ გული. თუმცა სადღაც გულის სიღრმეში უყვარდა გიორგი, მისი ძმები და ოჯახი. გიორგისთან დაახლოებას არც იმან შეუწყო ხელი, რომ გიორგის ძმა, პეტრე, დავითის მრჩეველი იყო და დიდი ნიკოს ადგილი ეკავა.

გიორგიმ იცოდა, თუ როგორ უყურებდა დავითი მას, წუხდა, რომ დავითი მამის მიერ შეცდომაში იყო შეყვანილი, მაგრამ თავმოყვარე თავადი თავის თავს ნებას არ აძლევდა მისულიყო მასთან და ახსნა-განმარტება მიეცა.

ჭკადუაშსა და ზუგდიდს შორის მცირე მანძილი იყო, მაგრამ მაინც არ დადიოდა სასახლეში, არ ღებულობდა მონაწილეობას იმ წვეულებებსა და ნადიმებში, რომლებსაც ეკატერინე დედოფალი ხშირად მართავდა და რომელზეც ყოველთვის იწვევდა გიორგი დადიანს თავის მეუღლესთან ერთად.

ეკატერინეს გაგონილი ჰქონდა გიორგის მწიგნობრობის ამბავი, ისიც იცოდა, რომ იგი ლექსებს წერდა და ამიტომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურულ სალონში აღზრდილი ქალისთვის გიორგი დადიანი, რასაკვირველია, სასურველი სტუმარი იქნებოდა.

ეკატერინეს, რომელმაც თავისი მშვენიერი ახალგაზრდობა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე გრიბოედოვის და ორბელიანების საზოგადოებაში გაატარა, ახლა აქ, დადიანების სასახლეში, სადაც მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებზე და სამთავროს მართვა-გამგეობის ვარდაქმნაზე იყო მსჯელობა, მოწყენილობა და სევდა იპყრობდა.

დავითს არ ეცალა ეზრუნა ახალგაზრდა მეუღლის მოვლისა და გართობისათვის, ამიტომ ეს საქმე თავის ძმას კონსტანტინეს მიანდო, პეტერბურგში დიდხანს ნამყოფ და იქაურ კულტურასა და განათლებას ნაზიარებ კონსტანტინეს ამ მხრივ დიდი სამსახური შეეძლო გაეწია თავისი რძლისათვის. მათ ბევრი რამ აერთიანებდათ: ევროპული აღზრდა, რუსული და ქართუ-

ლი ლიტერატურის ცოდნა და სიყვარული, საერთო ნაცნობები პეტერბურგიდან და თბილისიდან; იმდროინდელი ევროპული წვეულებების, სალონების წეს-ჩვეულების ზედმიწევნით ცოდნა და მხიარულებისა და დროს ტარების სურვილი.

სამეგრელოს თავადები, მათი ცოლები და შვილები აღტაცებულნი იყვნენ ეკატერინეს სილამაზით, მისი ხელგაშლილობით, მისი განათლებით და ყველაფერი იმით, რაც მან სასახლის ცხოვრებაში შეიტანა.

დავითი იშვიათად იღებდა მონაწილეობას ოჯახურ ზეიმებსა და მხიარულებაში. მთავრის მეუღლე და მისი მაზლი ხშირად დადიოდნენ სასეირნოდ თავიანთი ამალით. დავითი კი, მრჩევლებითა და ხელქვეითებით გარემოცული, ასეთ დროს თავდახრილი იჯდა თავის სამუშაო ოთახში და სამთავრო საქმეებს არჩევდა ან კითხულობდა.

კონსტანტინე ბატონიშვილი ძმის ოჯახში დროს ტარებით როდი კმაყოფილდებოდა. ის, საუკეთესო ბედაურზე მჯდარი, რჩეული მხლებლებით დაჰქროდა სამეგრელოს ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში. ყოველ თავადს ან აზნაურს დიდ ბედნიერებად მიაჩნდა თუ კონსტანტინე პატივს დადებდა და ესტუმრებოდა. იმართებოდა დაუსრულებელი სადილ-ვახშამი, ნადირობა, ყაბახზე სროლა.

კონსტანტინეს სტუმრიანობის მთელი სიმძიმე სოფელს აწვებოდა თავზე, როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივად. ყმა ქალი ხომ ადამიანად არ ითვლებოდა. ქეიფის შემდეგ კონსტანტინესა და მის მხლებლებს ყმა ქალებს მიჰგვრიდნენ გასართობად. ესეც რომ მობეზრდებოდა, კონსტანტინე მოხუც მასპინძლებს ან მხლებლებს გვერდით მოისვამდა და ძველ ამბებს მოაყოლებდა.

ერთხელ კონსტანტინე ტარიელ ჩიქოვანთან იყო სტუმრად. ტარიელ ჩიქოვანი მთავრის ოჯახის ძველი მეგობარი იყო. ტარიელი ხშირად უძღვნიდა კონსტანტინეს ხან უცხო ნახელავ თოფ-იარაღს, ხან მწევარ-მეძებარს.

სამაგიეროდ, კონსტანტინე მას რამდენიმე კომლ გლეხს აჩუქებდა ხოლმე. ნასადილევს ტარიელმა სტუმარს დავითზე და მის საქმეებზე ჩამოუგდო საუბარი.

— გონივრულად უძღვის სამთავროს ბატონიშვილი, წაღმა

შეატრიალა ჩვენი საქმე. სამთავროს მტრებიც საგრძნობლად შემცირდნენ...

— მტერი მაინცა ჰყავს მთავარს, — თქვა ერთ-ერთმა სტუმარმა. — მას თავისიანებიც არ ინდობენ, მაგალითად გიორგი დადიანი. მართალია, აშკარად არა მტრობს, მაგრამ ყველა ვგრძნობთ, სძულს მთავრის ოჯახი.

— მაშ პეტრეს ასე რად იახლოებს მთავარი, თუ მისი ძმა მტერია? — იკითხა გუძა ჩიქოვანმა.

— არა, თავადო, — ჩაერია საუბარში სალიპარტიოელი თავადი, — გიორგი და მისი ძმები დავითს არ უღალატებენ. რაც შეეხება პეტრეს, ის ბრძენი კაცია. მთავარმა იცის მისი ფასი და პატივსა სცემს.

— გიორგი, პეტრე და ბესარიონი, სამეგრელოს ეს „სამი" მუშკეტერი" მტკიცე და უდრეკი ხასიათისა არიან, — განაგრძობდა ტარიელი, — თავმოყვარენი; შვილებიც მათ დაემსგავსნენ. ყველამ იცით ალბათ მაიას ამბავი. მონაზონივით ცხოვრობს და იმ უბედურ თქვენს დისწულს შეწირა თავი.

— საკვირველი სულგრძელობა გამოიჩინა გიორგიმ თავისი ქალიშვილის მიმართ, — ჩაერია ლაპარაკში პეტრე ფაღავა.

— სწორედ გითხრათ, არ გავაბედვინებდი ქალიშვილს კი არა, ვაჟიშვილსაც ასეთ საქციელს, — უკმაყოფილოდ თქვა ბახვა ჩიქოვანმა.

— ვერაფერს გახდებოდი, თავადო! — უპასუხა თეთრწვერა აზნაურმა, ფარნა გაბუნიამ. ხომ გაგიგონიათ, ბატონებო, თუ ქალმა გაიწია, ცხრა უღელი ხარიც ვერ დააკავებსო.

კონსტანტინე სმენად გადაიქცა. ეს შვიდი-რვა წლის წინათ გაგონილი ამბავი, რომლითაც იმ დროს ისე გატაცებული იყო, მას დავიწყებისათვის მიეცა. მისი უდარდელი ცხოვრება იყო ალბათ იმის მიზეზი, რომ ერთხელაც არ უკითხავს ამ ქალის ამბავი. სტუმრებმა ერთხმად სთხოვეს ტარიელს მოეთხრო მაია ბატონიშვილის ამბავი.

ტარიელმაც სიამოვნებით უამბო მათ, როგორ ცხოვრობს ეს თავისებური სიმტკიცის მქონე ქალი, როგორ გაატარა შვიდი წელიწადი ეულად, არც მწიგნობრობა დაივიწყა, არც ხელსაქმე და, საერთოდ, მისი ხასიათის სიმტკიცე ძალიან შეაქო.

— ახლა როგორია შესახედავად? — იკითხა ამ ამბით გაკვირვებულმა კონსტანტინემ.

— ბატონო, ის ნამდვილი მზეთუნახავია, თუ სჯობს ჩვენს დედოფალს, თორემ ნაკლები არ არის, ტანი აქვს ლერწამივით, სახით კი მასზე უკეთესს ვერაფერს ნახავს კაცის თვალი. ამას წინათ საჩაჩიბაიოში გახლდით, მაიას ძიძა ვინახულე. ის ხომ დედაჩემის ნათლული გახლავთ.

— თვითონ მაია თუ ნახე, ტარიელ, — ჰკითხა კონსტანტინემ მოუთმენლად.

— მაია ბატონიშვილის ნახვის უფლება თავის გამზრდელების მეტს არავის აქვს. სალაპარაკოდ არც მე მინახავს, არ გამობრძანდა ჩვენთან. ეზოში რომ ჩავდიოდი, მაშინ მოვკარი თვალი, ძალიან ცხელოდა და ხის ძირში იჯდა, გარშემო გოგოები უსხდნენ, მგონი, წერა-კითხვას ასწავლიდა მათ. როგორც კი დამინახა, ირემივით აიმართა, თმები ისევ გაზრდია, კოჭებამდე სწვდება ნაწნავები, რა წერწეტაა. იმ შავნაოჭიან კაბაშიც კი იცნობა, რა ტანადიცაა.

— ვის ჰგავს ასეთი მშვენიერი? — სიტყვა ჩაურთო ბახვამ, — გიორგის ცოლი არც ისეთი ლამაზია.

— არც შერვაშიძის ცოლი, ცუცუ არის განსხვავებული ლამაზი, — თქვა კონსტანტინემ, — ჩემი დისწულის ტირილში ვნახე აფხაზეთში.

— ყველანი კარგები არიან, ვაჟკაცებიც მშვენიერი მოესწრო გიორგის, მაგრამ მაია ვარსკვლავია ამ ოჯახის, ნამდვილი ვარსკვლავი. გაჯიუტდა დალოცვილი და გაიმწარა თავისი ქალიშვილობა. დედ-მამაც შეაწუხა, — დაუმატა ისევ ტარიელმა.

პეტრა ფაღავა ადგა და უკმაყოფილოდ თქვა:

— სულ წიგნების ბრალია, ბატონებო, დაიჩემეს ამ ახალგაზრდა ქალებმა სატრფიალო წიგნების კითხვა და ყველამ ნესტანდარეჯნობა მოინდომა.

* * *

მალე დაიშალნენ. დაძინების წინ კონსტანტინემ ტარიელ ჩიქოვანი იხმო.

— მე ნუ მოგიკედები, რაღაცას გეტყვი და უნდა ამისრულო.

— როდის არ შემისრულებია შენი ბრძანება, ბატონო!

— მაია უნდა მაჩვენო.

მასპინძელმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

— მე მგონია ეს ძნელი არ იქნება, ბატონიშვილო! ვესტუმროთ მის ძიძას და მაიასაც ვნახავთ.

— მხოლოდ წინდაწინ ნუ გააფრთხილებ, ჩემო ტარიელ, თორემ შეიძლება მაია დაგვემალოს.

— ის მაინც დამალულივითაა, ბატონო, თავის ოთახიდან არასოდეს არ გამოდის.

— ისევ მგლოვიარედაა?

— დრო ყველაფრის წამალია. შვიდი-რვა წელიწადი დიდი დროა. მაია თავმოყვარე ქალია, ფიცის გატეხას არ კადრულობს, თორემ ისე, შესაძლოა, ალექსი აწი გადავიწყებულიც ჰყავდეს.

კონსტანტინეს ეამა გამოცდილი კაცის სიტყვები. თვითონაც გარკვევით არ იცოდა, რა მიზანი ჰქონდა მაიას ნახვას, ასე ძლიერ რომ მოიწადინა.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲑᲐ

სოფელს უცებ მოედო კონსტანტინე დადიანის ჩამოსვლის ამბავი. ბევრს შიშის ზარი დაეცა ვაითუ მე მესტუმროსო. სტუმრები ოცდასუთ კაცამდე იყვნენ, ახლა მათი მწევარ-მეძებრებიც. ადვილი როდი იყო რომელიმე აზნაურის ან თუნდაც თავადისათვის მათი გამასპინძლება. გლეხობა ხომ მთლად წელში წყდებოდა, როდესაც მის მებატონე თავადს ან აზნაურს ესტუმრებოდნენ. ეს მთელი სოფლის მოთარეშებას ნიშნავდა.

კარგა დაღამებული იყო, როცა ვარლამ გაბედავას ჭიშკარს სტუმრები მოადგნენ. კონსტანტინემ და მისმა მხლებლებმა განგებ შეიგვიანეს, რომ სოფელს ჰგონებოდა ნადირობაში შემოღამებიათო და მათი სტუმრობა უბრალო შემთხვევისათვის მიეწერათ.

ჭიშკარი გაიღო, ძაღლებმა ყეფა ატეხეს. მასპინძლები ხელში ნაძვის ჩირაღდნებით გამოეგებნენ. პირველი თოვლით

გადაფიფქული ეზო ცხენების ფლოქვებმა ააჭრელეს, ვარლამი და მისი უმცროსი ძმა ჭუტულა სიხარულით შეეგებნენ დიდებულ სტუმარსა და მის მხლებლებს. ისინი დარბაზში შეიყვანეს. ფართო ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ღელავდნენ გაბედავები: ასეთი მოსარიდებელი სტუმარი მათ თავიანთ სახლში დიდი ხანია არ ენახათ. მამა რომ ცოცხალი იყო, დიდი ნიკოს შვილები კი დადიოდნენ აქ. გაბედავებს ისიც მოაგონდათ, თუ რამდენი ხარჯი და დავიდარაბა მოჰყვებოდა ასეთ სტუმრობას.

გაბედავების ოჯახი სტუმრობას თითქმის გადაეჩვია, მაგრამ ვარლამი და დედამისი დარეჯანი მაინც გახარებული შეხვდნენ დადიანს. მთელი ოჯახი და მეზობლები მაშინვე ვახშმის თადარიგს შეუდგნენ.

— კარგი ვაჟები მოგსწრებიათ, დარეჯან, — უთხრა კონსტანტინემ დიასახლისს და თან უსაყვედურა: — არც შენ მეკარები და ვერც შენს შვილებს ვიცნობდი, სადმე რომ შემხვედროდაო.

— რა ვქნათ, ბატონო, ჩვენ იქით ვერ შემოგბედეთ, შენ კი, რაც ბატონი ლევანი გარდაიცვალა, სულ არ მოგვიკითხე, არც მხლებლად, არც მოსამსახურედ.

— ყველაფერს მოვესწრებით, ოღონდ კარგად ვიყოთ, — უპასუხა კონსტანტინემ.

თუ ზევით ოდაში სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთის მოკითხვით იყვნენ გართული, სამზარეულოსა და საჯინიბოში ერთი ორომტრიალი იდგა.

მხლებელთაგან უფრო მდაბიონი სამზარეულოს გვერდით დიდ, განიერ სახლში შეიყვანეს, რომ სიცივისაგან დამზრალი ხელ-ფეხი გაეთბოთ... ბიჭები ცხენებს ბლომად უყრიდნენ სიმინდს, თივას, ჩალას, ნაბდებიც გადაახურეს: ნათოვარზე ყინვას იწყებდა, ეშინოდათ, რომ გაოფლიანებული ცხენები სიცივეს არ დაეხუთა.

ცხენების დაბინავების შემდეგ ზოგი ოდაში ადიოდა, ზოგიც ფართო ორთვალიან სამზარეულოში შუაცეცხლთან ჯდებოდა.

სამივე ნაჭა ამუშავდა იმ დამეს სამზარეულოში და ცეცხლზე გადაიდო დიდი კეცები, მთელი დღის ნაშრომი ქალები ხან თონესთან, ხან კერიის ცეცხლთან ტრიალებდნენ. მიუხე-

დავად თებერვლის სუსხისა, მათ ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ სახეზე. ხშირად დაგროვილ ბოღმას ვეღარ იკავებდნენ და დაბადების დღეს იწყევლიდნენ. კონსტანტინესა და მის მხლებლებსაც შეუკურთხებდნენ ჩუმად და მიაწყევლიდნენ, თან სევდით დასძენდნენ: ნუთუ არასოდეს არ მოეღება ბოლო ჩვენს ტანჯვასა და ამათ მუქთახორობასო.

სტუმრები ეზოში რომ შემოვიდნენ, მაია თავის სადგომში ისვენებდა. იგი გააოცა სტუმრების სიმრავლემ, მაშინვე თუთანა გაგზავნა ამბის გასაგებად. მალე ძიძა შევიდა მაიასთან და მოახსენა, ვინც ესტუმრათ, მერე გაზრდილს მოუბოდიშა: არ მომიწყინდე, ძიძა გენაცვალოსო, და სამზარეულოს მიაშურა.

მარტოდ დარჩენილი მაია ფიქრს მიეცა. რამდენი ხანია მას ასეთი სტუმრიანობა არ უნახავს, სიხარული არ უგრძვნია მის გულს.

— „ეს მერამდენე ზამთარი დააწვა შენს გულს, შე უბედურო!" — ამოოხერით უთხრა მაიამ თავის თავს და ფანჯარაში გაიხედა.

ცოტა ხნის შემდეგ მაია ფერიასავით იდგა ბუხრის წინ და ფიქრობდა: „აი კონსტანტინეს რა პატივისცემით ხვდებიან, ხარობს ეს ახალგაზრდა კაციო".

მაიას კანტიკუნტად ჰქონდა გაგონილი იმ უდარდელი ცხოვრების შესახებ, რომელსაც კონსტანტინე ეწეოდა. ერთ წუთს გული დაწყდა, რომ მან ასე გაიმეტა თავი, თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები გამოკეტილ ოთახში გაატარა.

ვინ იცის, ალექსი რომ არ დაღუპულიყო, ეგების ის ბედნიერი ქალი გამხდარიყო. მასაც მისცემოდა საშუალება ქვეყნისათვის რამე კარგი გაეკეთებინა. მწარე ფიქრებში ჩაძირული მაია ადრე დაწვა, მაგრამ მის თვალებს ძილი არ ეკარებოდა.

კონსტანტინეს ძალიან სურდა მაია იმ ღამესვე ენახა, მაგრამ ტარიელმა არ ურჩია. უხერხულია ამაღამ მისი შეწუხება. კონსტანტინეც დათანხმდა, მაგრამ მოწყენა დაეტყო. უსალისოდ იჯდა სუფრასთან. მისი უგუნებობა ყველას გადადებოდა, ამიტომ ვახშამს თავიდანვე არ დაჰყვა ხალისი.

თუ რამ მოაწყინა ეს სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა, ამაზე თვითონაც ვერაფერს გეტყოდათ.

რაღაც იდუმალი ეჭვები დაჰქროდა მის გულში. ალექსი თითქოს საფლავიდან ეცილებოდა მის ნება-სურვილს, ჯობნიდა ამ მეტოქეობაში. სულ რამდენიმე ნაბიჯი აშორებდა სიცოცხლით სავსე ვაჟკაცს მაიასაგან.

მაია არ დაინტერესდა კონსტანტინეს პიროვნებით, არ გამოვიდა მასთან. ალბათ ისევ უყვარს ალექსი, პატივს სცემს მის სახელს, თვითონაც არ იცოდა რატომ, მაგრამ ასე მოეჩვენა თითქოს ეს შეურაცხყოფდა კონსტანტინეს და ამავე დროს მაიას მისთვის უფრო სანეტაროს ხდიდა.

სუფრასთან კონსტანტინეს დიდხანს არ დაუყოვნებია, დაღლილობა მოიმიზეზა და მოსასვენებლად წავიდა.

მეორე დილით კონსტანტინემ ტარიელ ჩიქოვანს სთხოვა: მაიას ეახელი და საუზმეზე მოიწვიეო.

მაიამ ყურადღებით მოისმინა ჩიქოვანის ნათქვამი.

— რად დასჭირდა კონსტანტინეს ჩემი ნახვა? — ჰკითხა მაიამ.

— ბატონიშვილო თქვენ მისი ახლობელი ხართ, რა გასაკვირია, რომ თქვენი ნახვა სურდეს? — უპასუხა ტარიელმა.

— აბა ასე მოახსენეთ მთავრის ძეს: გიორგის ქალიშვილი იქით ჯერ არავის ხლებია, არც ახლობელს და არც შორეულს. რაკი კონსტანტინეს ჩამი ნახვა სურს, თვითონ მობრძანდეს ჩემთან. მართალია, ღარიბულად ვცხოვრობ, მაგრამ იმედია, არ დამძრახავს. მე საზოგადოებაში გასვლას გადავეჩვიე. ვინც მომიგონებს და ჩემთან მობრძანდება, მადლობის მეტი არა მეთქმის რა.

მაიამ თავი დაუკრა მოციქულს და მოხდენილად შებრუნდა. ამით ანიშნა — მეტი არაფერი მაქვს სათქმელიო.

ტარიელ ჩიქოვანი აღაფრთოვანა როგორც მაიას გარეგნობამ, ისე მისმა სიტყვებმა. ნამდვილი სადედოფლო ქალიაო, გაიფიქრა. ხომ შეიძლება მაია კონსტანტინემ ცოლად შეირთოს, ან სად გამოჩნდება მასზე ლამაზი და შესაფერი ქალი მთავრის ოჯახისათვის. ტარიელს დავითის მეუღლე ეკატერინე არ მოსწონდა. ყოველთვის ეხამუშებოდა ეს მისი შეხედულებით თამამი და ამპარტავანი ქალი. ასეთი ფიქრებით წარუდგა ის კონსტანტინეს, სიტყვა-სიტყვით უამბო ყოველივე, თან თავი ვერ შეიკავა და მაიას მშვენიერება ერთხელ კიდევ შეაქო.

კონსტანტინეს გაეღიმა და ოდნავი უხერხულობა იგრძნო, შიშობდა გამოცდილ ტარიელს მთლად არ ჩაეხედა მის გულში. საქმე მაინც მოგებულად მიაჩნდა, რომ ასე მალე დაითანხმა ეს ქედმაღალი ქალი და ნახვის დასტური მიიღო.

კონსტანტინეს უნდოდა მოჩვენებითი გულისწყრომა გამოეთქვა, მაგრამ იმდენად მოიხიბლა ამ ქალის პასუხით, რომ ძლივს იკავებდა თავს, ტარიელს კი ვითომ გულგრილად უთხრა:

— ოთახში ჩაკეტვით ბატონიშვილს, მგონი, თავაზიანობაც დაჰკარგვია. რას იზამ, როდესაც ქალი ასეთ პასუხს გაძლევს, უნდა მიხვდე, რომ მისთვის სასურველი სტუმარი ხარ, უბრალო რაინდული წესი უნდა შეასრულო, ეახლო.

მაიას მოახსენეს მთავრის შვილი მობრძანდებაო, ძიძა და ნინო წინასწარ მაიას სკამის უკან დადგნენ. მაია ღელავდა, მაგრამ არ იმჩნევდა.

მთავრის ძე ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა ოთახში, უკან ტარიელ ჩიქოვანი მოჰყვებოდა. კონსტანტინე მივიდა მაიასთან, თავი დაუკრა, მერე მოწიწებით ეამბორა ხელზე და დაკვირვებით ჩახედა ქალს თვალებში.

მამაკაცის სანდომიანმა და ცეცხლიანმა თვალებმა სიამე მოჰფინა ქალის გულს, მაგრამ ეს არ აგრძნობინა სტუმარს. მშვიდი და ოდნავ ცივი იდგა მის წინ. კოსტანტინეს არ გამოჰპარვია მისი ეს მოჩვენებითი სიმშვიდე.

— თუ არ ვცდები, ბატონიშვილო, თქვენ მე ნათესავად მომხვდებით, — ამ სიტყვებზე კონსტანტინემ ისე გაიღიმა, რომ ჭკვიანი და ნაკითხი მაია კი არა, თხუთმეტი წლის ქალიც მიხვდებოდა — ნათესავები ასეთი ღიმილითა და გამომეტყველებით არ ეცნობიან ერთმანეთს. მაიამ ეს იგრძნო, მაგრამ არ იწყინა, მხოლოდ აზიდული წარბები კიდევ უფრო აზიდა და თავი დახარა. მასში კვლავ გაიღვიძა ქალმა.

— თუ ნებას მომცემთ, რამდენიმე წუთი ბედნიერად გავატარო, დაბრძანდით და მეც ნება მიბოძეთ დავჯდე! — თქვა კონსტანტინემ და მაიას სკამი მიაწოდა.

მაია დაჯდა მისთვის გაკეთებულ უბრალო სამფეხა სკამზე. კონსტანტინემ მასთან ახლო დაიდგა სკამი და მაიას მშობლები მოიკითხა.

— მამათქვენს არ ვუყვარვართ, მაია, სათოფეზე არ გვეკარება სასახლეში.

— მამაჩემი დაამცირეს სასახლის კარზე. ბევრ უმართებლო ამბებს უვრცელებენ, ამან შეურაცხყო ის და თავის ოჯახში ჩაიკეტა.

— ამბობენ, გიორგი და მისი ვაჟები მწერლობით არიან გართულიო, ეს ძალიან სასიამოვნოა, მწერლობას დიდი სარგებლობა მოაქვს ქვეყნისათვის.

— მამაჩემისა და ძმების მწერლობამ რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ხალხს? ალბათ, თავს იქცევენ საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოშორებული თავადები.

თუ მაიას გარეგნობამ და ხასიათის სიმტკიცემ თავიდანვე მოხიბლა კონსტანტინე, ახლა ამ ოთხ კედელში ჩაკეტილი ქალის საღი მსჯელობა და აზრის სიმდიდრე აკვირვებდა. ბატონიშვილმა ოთახს მოავლო თვალი. კუთხეში, უბრალო თაროზე მრავალი წიგნი დაინახა. თაროსთან მივიდა, წიგნებს თვალიერება დაუწყო. თანდათან აღტაცებაში მოდიოდა. ამდენი წიგნების კითხვა! კონსტანტინეს თუ აქამდე მხოლოდ ტრფიალებით უნდოდა ამ ქალიშვილის გულის დაპყრობა, ახლა მისი შეხედულება წუთებით იცვლებოდა: პატივისცემით განიმსჭვალა მაიასადმი... საერო წიგნების დათვალიერების შემდეგ სასულიეროზე გადავიდა. სარწმუნოებისა და მამულისათვის წამებულ ქალთა სურათებმა მაიას თვითგვემა მოაგონა. მაიასკენ შებრუნებულმა კონსტანტინემ თანაგრძნობითა და აღტაცებით შეხედა ამ მშვენიერ ასულს.

მაიამ კონსტანტინეს მიმოხვრა და სახის გამომეტყველება ალექსისას მიამსგავსა. ერთ წუთს კიდეც გაახარა ამან და გულიც დაწყვიტა. მწარედ ამოიოხრა, რამაც კონსტანტინე დააეჭვა. იქნებ შევაწუხეო, გაიფიქრა წიგნები თავის ადგილას დადო, ბოდიში მოიხადა და წასვლის დროს ქალიშვილს ისევ ხელზე ეამბორა.

— ნება მიბოძეთ კვლავ გინახულოთ, მაია. თუ რამე კარგი წიგნები ვიშოვე, მოგართმევთ, გეტყობათ, კითხვა ძალიან გიყვართ.

— რა ვქნა. მხოლოდ წიგნები დამრჩა ამქვეყნად, მათ ვესაუბრები; ისინი მიქარვებენ დარდსა და მწუხარებას. სხვა

მეგობარი, თანამგრძნობი, არავინ მყავს ქვეყნისგან განდგომილს.

— თქვენს მეგობრობაზე ვინ იტყვის უარს, ძვირფასო მაია! — უთხრა კონსტანტინემ და იმის შიშით, რომ მეტად არ გადაეხსნა გული მისთვის, სწრაფად გავიდა სადგომიდან.

კონსტანტინემ ნაჩქარევად ისაუბმა, საქმეები მოიმიზეზა, ოჯახის სადღეგრძელო რომ დალია, მასპინძლებს დიდი მადლობა გადაუხადა, ვარლამს ცხენი და უნაგირი უბოძა, ხოლო უმცროს ძმას, ჭუტულას — ვერცხლით მოსეადებული დამბაჩა, შემდეგ წასვლა ბრძანა და საჩაჩიბაიო დატოვა.

კონსტანტინე ფიქრებდამძიმებული მიდიოდა. იშვიათად გამოეხმაურებოდა თანამგზავრებს, არც ნადირობა ისურვა. ტარიელ ჩიქოვანიც არ არღვევდა მის მყუდროებას. პირიქით, უხაროდა, კონსტანტინეს თუკი რამე დაადინჯებდა. თან თავის სიყმაწვილეს იგონებდა. „რა ძალა აქვს ამ წყეულ სიყვარულს, ასე რომ გამოცვლის ადამიანს! სიყვარული განა მარტო ახალგაზრდობის ცეცხლია? განა მეც არ მომიყვანა აღტაცებაში მაია ბატონიშვილმა? მაგრამ ჩემთვის რაა იგი! სამოცდახუთი წლის კაცს ვერ აამჩატებს ვერავითარი შთაბეჭდილება“. — ფიქრობდა გულში ტარიელ ჩიქოვანი და მთავრის შვილს ფარულად აკვირდებოდა.

ნოღიდან გზა ორად იყოფოდა: ერთი გზა ნოქალაქევ-სენაკისაკენ მიდიოდა, მეორე — პირდაპირ ზუგდიდისაკენ. ტარიელმა არ იცოდა, საით მოისურვებდა მთავრის შვილი წასვლას. ორად გაყოფილ გზას რომ მიადგნენ, კონსტანტინემ ცხენს მათრახი გადაჰკრა და ზუგდიდისაკენ იბრუნა პირი. ყველანი დუმდნენ. თუ რამეს იტყოდნენ, მხოლოდ ჩუმად. კონსტანტინეს მაიას ნახვით აღძრული ფიქრები და სურვილები გზადაგზა გადაწყვეტილებად გადაექცა. თავის გულში მაია საცოლედ დანიშნა, მხოლოდ ამის აღიარების ეშინოდა. ხომ შეიძლებოდა ამ ქალს მისთვის უარი ერთქვა.

— მაია ძლიერი ნებისყოფის ქალია, დიდი ნიკოს შვილიშვილი, ყველაფერი წესიერად უნდა მოხდეს, — გაუელვა თავში კონსტანტინეს. ამ დილით, როდესაც მაიას უყურებდა, გრძნობები ჩრდილავდა გონებას. თუ მაშინ მას თავისი სურვილი ადვილად შესასრულებელი ეგონა, ახლა, რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამ

საკითხზე, მით უფრო მეტი დაბრკოლებანი ხედებოდა წინ. მთავარი ასაღები სიმაგრე თვით მაიას გული იყო.

კონსტანტინე ზუგდიდისაკენ მიიჩქაროდა, რომ მალე გაეზიარებინა თავისი განზრახვა დავითისათვის. მას იმედი ჰქონდა, რომ მისი დინჯი და გონიერი ძმა ამ საქმეს კარგად მოაგვარებდა. ისე ჩავიდა ზუგდიდში, გზაზე არსად გაჩერებულა. ნამგზავრმა არც კი მოისვენა, მხოლოდ ტანისამოსი გამოიცვალა და პირდაპირ შევიდა ძმის სამუშაო ოთახში, სადაც დავითი და მისი მრჩევლები ისხდნენ. ისინი რაღაცაზე გაცხარებით ბჭობდნენ...

მისალმების შემდეგ კონსტანტინემ ძმა გადაკოცნა და რუსულად უთხრა:

— Дату, дорогой, мне очень нужно видеть тебя наедине, ты вечно занят!

— Я буду свободен, после десяти часов.

— Словом, два часа спустя буду у тебя! — თქვა კონსტანტინემ, ოთახიდან გავიდა და ეკატერინეს მისაღებ ოთახში შეავიდა. იქ სიძე მუხრან-ბატონი, თვით ეკატერინე და მისი და ნინო გრიბოედოვისა ისხდნენ. ისინი რუსეთიდან მიღებულ ახალ ჟურნალს ათვალიერებდნენ. ბანოვანთ ამით სურდათ ზუგდიდის მოსაწყენი ცხოვრება ცოტათი მაინც გაემხიარულებინათ. კონსტანტინეს შემოსვლის დროს, ნინო მოთხრობას უკითხავდა ეკატერინეს და მუხრან-ბატონს.

კონსტანტინეს მოწყენილობა ეკატერინეს თვალში ეცა.

— რამ მოგაწყინა, გეთაყვა? — შეეკითხა ეკატერინე.

რძლის ყურადღებით განებივრებულმა კონსტანტინემ ვითომ დაიმორცხვა, ეკატერინეს ხელზე აკოცა და თავისი მოწყენის მიზეზად დაღლილობა მოიმიზეზა. ვერ შეეგუა ამ საღამოს თავისი რძლის სალონს, დიდი ზღვარი იყო ამ ადამიანებსა და იმ გარემოს შორის, რომელიც მან დილით ნახა. ხშირად საათს დახედავდა, საუბრის დროსაც დაბნეულობა ეტყობოდა. ათ საათამდე ძლივს გაძლო, გამოეთხოვა ყველას და ძმის სამუშაო ოთახში შეავიდა. დავითი მარტო იჯდა და რაღაცას წერდა.

— დათუ, მოიცალე ჩემთვის, თუ გიყვარდე, დამეხმარე! ვერ ხედავ, შენი ქარაფშუტა ძმა დაგიღონა რაღაცამ? მგონი სიყვარულმა.

დავითმა ძმას თვალებში შეხედა, გაიღიმა და უპასუხა:

— ეს კიდევ რა ახალი ამბავია, სად შენ და სად სიყვარული? ალბათ, ვინმე საპატიო ოჯახიშვილი ან სხვისი ცოლი მოგეწონა და არაფერი გამოგივიდა? დამიღონდი?

— ნუ მეხუმრები, დათუ, მე რაღაც უჩვეულო ამბავი შემემთხვა, ჩემს ჭკუაზე არა ვარ. ძნელი ყოფილა სიყვარული.

— არ იტყვი ვინ არის შენი გულისუფალი ამ დროებით?

— არა, დათუ, ეს დროებით დაუფლების ამბავს არ ჰგავს, რაღაც სიზმარივით, მოჩვენებასავით მომეკვლინა. მთელი ჩემი სული აავსო და ააფორიაქა, გრძნობა, რომელიც მე ახლა ასე მაწვალებს, არ ჰგავს არც ერთ ჩემს წარსულ გატაცებას, რომელიც ჩვენში ან რუსეთში გამომიცდია.

— ნუ გადამაყოლე, დრო არა მაქვს, კონსტანტინე. ქვეყნის საქმეებისაგან მაცდენ შენი სამიჯნურო ამბების გამო. — ღიმილით უთხრა უმცროს ძმას დავითმა.

— ახლავე გეტყვი. არ გეწყინოს და არც დამიშალო მისი ცოლად შერთვა. მე თაყდავიწყებამდე მიმიყვანა გიორგი დადიანის ასულის, მაიას, მშვენიერებამ, ჭკუამ და გამჭრიახობამ.

— ეს ხომ ის მაიაა, საქმროს ასე უცნაურად რომ გლოვობს.

— ის არის, დათუ. თუ არ შევირთე, ჩემს ცოლს ვერასოდეს ვერ ნახავ. რუსეთში გადავიკარგები, ან საზღვარგარეთ წავალ.

— კონსტანტინე, იმის მაგივრად, რომ მხარში ამომიდგე, სამთავროს აღორძინებას ხელი შეუწყო და დამეხმარო, შენ გადაკარგვას აპირებ?! გრიგოლი სულ რუსეთში ან თბილისშია. შენ ხომ ნადირობისა და დროს ტარების მეტს არაფერს აკეთებ. მუდამჟამს ხანმოკლე გრძნობებს აყვები ხოლმე. რარიგ გავხარ განსვენებულ მამაჩვენს. შენც, როგორც მამას, ქარიშხალივით დაგეჯახება სურვილი, რომელიც თვალში სინათლეს დაგიკარგავს. ასე არ ვარგა, დაწყნარდი, დამშვიდდი, მოვიფიქროთ, განვსაჯოთ და როგორც აჯობებს, ისე გავაკეთოთ ყველაფერი.

— ვერ წარმოიდგენ, რა ქალია. მაღალი, ლამაზი, დინჯი, დარბაისელი, მტკიცე და, რაც მთავარია, მეტად განათლებული.

— ვიცი, ვიცი, კონსტანტინე. მაია დადიანის ქება-დიდება ბევრჯერ მსმენია. გიორგის ქალიშვილი არ შეიძლება კარგი არ იყოს. სამწუხაროა, რომ გიორგის ოჯახი ასე ჩამოშორდა სასახლეს. მისი განდგომა ჩვენგან დიდი დანაკლისია სამთავროსათვის. მამამისს, დიდ ნიკოს, უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ, რომ

დღემდე შერჩა სამეგრელოს სამთავრო. ტყუილა როდი დავაყენე ნიკოს ადგილზე პეტრე, გარდა იმისა, რომ იგი მამასავით დინჯი და გონიერი კაცია, მინდოდა მისი მეშვეობით გიორგიც ჩამება სამთავროს საქმეებში, მაგრამ ამაოდ... ახლა იქნებ მაიამ გადოს ხიდი ჩვენს შორის.

— თუ ეს ასე მოხდა, მაიაზე ჩემს ჯვარისდაწერას საქვეყნო მნიშვნელობა ექნება, — გაიცინა კმაყოფილებით კონსტანტინემ. — ჭკვიანი კაცი ხარ, ჩემო დავით. ამას მე ვერასოდეს ვერ მოვიფიქრებდი.

— გიორგი უნდა დავიახლოვოთ უსათუოდ, კონსტანტინე. ის კარგ სამსახურს გაუწევს სამთავროს. ჩემი მიზანია ისე წარმართო ქვეყნის საქმე, რომ, არათუ ჩემი ძმები და ნათესავები, მთელი ჩვენი კუთხე წელში გაიმართოს. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს საერთო სიმტკიცეს.

— მე ქალზე გელაპარაკები, ჩემო დათუ, შენ კი საზოგადო საქმეებზე, — კვლავ გაიცინა კონსტანტინემ. — მე ქალის სიყვარულით ვარ გაბრუებული, შენ კი ქვეყნის საქმით.

— საქვეყნო საქმეზე უფრო საზრუნავი ახლა ჩემთვის არ არსებობს.

— მართალი ხარ, დათუ, მართალი, მაგრამ ვაითუ მაიამ უარი მითხრას.

— ჩემო კონსტანტინე, ეს უკვე შენს ვაჟკაცურ ხელოვნებაზეა დამოკიდებული. ამაში მე ვერაფერს დაგეხმარები. აბა, რა კაცი ხარ თუ ერთ გაჯიუტებულ ქალს ვერ მოინადირებ. ყველა ხერხი უნდა იხმარო მაია ბატონიშვილის გულის მოსაგებად. — დავითი მოღიმარი თვალებით უყურებდა უმცროს ძმას.

— ასეა თუ ისე, დავით, შენ უნდა დამეხმარო, ვფიქრობ, დავითანხმებ. შენ უნდა მიპატრონო, ჯერ ერთი, რომ მთავარი ხარ, მეორეც, უფროსი ძმა და მამის ადგილი გიჭირავს. ყველაფერი შენს ნებაზე იყოს.

დავითმა ტარიელ ჩიქოვანი გაგზავნა მაიასთან შუამავლად და შეუთვალა, რომ დიდად ბედნიერად ჩათვლიდა თავს თუ კონსტანტინეს უარს არ ეტყოდა წინადადებაზე.

მაიას თავმოყვარეობა მეტად დააკმაყოფილა კონსტანტინეს მოსვლამ. ქალური ალღო არ ღალატობდა, გრძნობდა, რომ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა კონსტანტინეზე. მაია უკვე

ოცდაათ წელს იყო მოახლოებული. როგორც ყოველ ქალს, თავისი წლოვანების ეშინოდა, თუმცა სარკე, რომელშიც იშვიათად იხედებოდა, დიდ იმედებს აძლევდა. მისი ქალური თავმოყვარეობა იმითაც ზეიმობდა, რომ ასეთ გართულსა და ქვეყანაშემოვლილ კაცს მოწიწებით ათხოვია ნებართვა, რათა მისი ნახვის ღირსი გაეხადა.

ახლა იმაზე ჩაფიქრდა მაია, რომ თუ ცოლობა მთხოვა, როგორ მოვიქცეო. გული აუჩუყდა, რადგან მაშინვე ალექსი მოაგონდა. რა არის მისთვის გათხოვება, ქმარ-შვილი?! მაიასათვის ხომ ყოველივე ეს გათავდა. მისი ახალგაზრდობა ამ ქოხში ჩაკვდა. მაშ რა აზრი ექნება მის გათხოვებას?

მაიამ თითქოს გული დააჯერა, ყველაფერი გათავდაო, მაგრამ იმავე წუთს სხვა ფიქრები დაეპატრონა მის გონებას. გარდა იმისა, რომ მთავრის ოჯახის რძალი გახდებოდა, პატივი და დიდება მოელოდა, საშუალება მიეცემოდა გავლენა მოეხდინა თავის ახალგაზრდა და სუსტი ხასიათის ქმარზე და მისი მეშვეობით მონაწილეობას მიიღებდა საზოგადოებრივ საქმეებში.

ეკატერინეს ბირველობამ სამეგრელოში, მის სილამაზესა და განათლებაზე ლაპარაკმა ბუნებით პატივმოყვარე მაიას ქალური შურიც გაუღვივა გულში. ამ წუთში ის ყველაფერზე დათანხმდებოდა, ოღონდ საშუალება მისცემოდა ამ ქალს გათანასწორებოდა. ახლა კონსტანტინე რომ შემოსულიყო ოთახში და მაიას ხელი ეთხოვა, უყოყმანოდ დათანხმდებოდა.

გადაწყდა

ტარიელ ჩიქოვანი მეორე დღესვე გაემგზავრა ნოღაში, განგებ შემოიღამა, რომ ნათლულის სახლში გვიან მისულიყო და ღამე იქ გაეთია. დარეჯანი დაეჭვა ტარიელის ასე მალე მეორედ სტუმრობამ. მაგრამ სტუმარს არაფერი შეამჩნევინა, სიხარულით შეეგება და გულუხვად გაუმასპინძლდა. გუმანით იგრძნო რისთვის იყო მოსული თავადი.

ტარიელმა დარეჯანი, დიმიტრი და ვარლამი გვერდით მოისვა და დიდი საიდუმლოებით გაანდო მათ თუ როგორ შეუყვარდა მთავრის შვილს ბატონიშვილი მაია.

— თუ ეს ქალი მისი ცოლი არ გახდა, კონსტანტინე ამ დარდს ვერ გადაიტანს — ჩუმად ეუბნებოდა ტარიელი მათ. — ყოველგვარი დროს ტარება მიატოვა, მისი რძლის სასტუმრო ოთახშიც იშვიათად შედის, უფრო ხშირად დავითის ოთახში ზის. თათბირებში მონაწილეობს, ძალიან შეიცვალა, დადინჯდა და უფრო საქმიანი გახდა.

დარეჯანს არ გაჰკვირვებია ტარიელის ნათქვამი. გული ეუბნებოდა, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო. დიმიტრი და ვარლამი მეტად გაახარა ახალმა ამბავმა. გარდა იმისა, რომ მაიას მონაზნობას ბოლო მოეღებოდა და ამ ქორწინებით მისი საგამზრდელო ყველას თვალში ამაღლდებოდა, გაბედავები პირველი კაცები გახდებოდნენ სალიპარტიოში.

— რა ვქნათ, ნათლულო? მე მოვახსენო ბატონიშვილს მთავრის დანაბარები თუ შენ მოელაპარაკები? — ჰკითხა ტარიელმა დარეჯანს.

— არ ვიცი, რა ვქნა, როგორ ვუთხრა. ხომ იცი, რასაც იტყვის, ჩემი ნათქვამი რომ არ მოეწონოს? ერთხელ უარი რომ თქვას, მერე ძნელი მოსაგვარებელი იქნება ეს საქმე, — მიუგო მასპინძელმა.

— ჯობია შენ მოახსენო. მაიამ რომ უარი უთხრას, ეს კონსტანტინეს და მთავრის შეურაცხყოფა იქნება და ქალსაც სახელი გაუტყდება. მაგრამ არა მგონია... ქალი მაინც ქალია. მე ახლავე მოვახსენებ მაიას თქვენს მობრძანებას.

მაია გულისძგერით ელოდა ძიძას, გუმანით გრძნობდა რისთვისაც იყო მოსული ტარიელ ჩიქოვანი და ღელავდა. ის აზრი უტრიალებდა თავში, რომ ეკატერინე დედოფალს ამოუდგებოდა მხარში და იქნებოდა მთავრის რძალი, პირველი ქალი სამეგრელოში.

— რა გასჭირვებია ტარიელ ჩიქოვანს, ძიძაჩემო, რომ ასე უცებ მოგიბრუნდათ უკან ორი დღის წასული სტუმარი? — ისეთი კილოთი უთხრა ძიძას მაიამ, თითქოს უკმაყოფილო იყო ტარიელის მოსვლით.

— გაჭირვებას არ მოუყვანია, შვილო ჩემო, ტარიელ ჩიქოვანი ჩვენთან. ისეთი პირი უჩანს, რომ კარგი და სასიხარულო საქმისათვისაა მოსული, შენ თუ არ ჩააგდებ გასაჭირში.

— მე?! — თითქოს გაიოცა მაიამ. — მე რა ხელი მაქვს ტარიელთან?

— შენი ხელი... — ძიძამ დროზე დააჭირა ენას კბილი. — ტარიელი მთავარს გამოუგზავნია შენთან, შვილო.

— რა საქმე აქვს ნეტა ჩემთან მთავარს? — გულმა რეჩსი უყო მაიას. თხოვე ტარიელს, მობრძანდეს! — წამოცდა მაიას, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა, — არა, დილით მოვიდეს. ახლა თავი მტკივა, ძიძა, და უნდა დავწვე. ხომ საკადრისად გაუმასპინძლდით სტუმარს?

— არაფერი დაგვიკლია, ძიძა შემოგევლოს, — გულში გაეღიმა ძიძას. იგრძნო, რას ნიშნავდა მაიას უკანასკნელი სიტყვა.

მთელი ღამე თეთრად გაათენა მაიამ. ნანობდა რომ დილისათვის გადადო სტუმრის მიღება. მერე და როგორი სტუმრის. ასეთი სასურველი სტუმარი არასოდეს სწვევია და მან კი რამდენი ხნით დააყოვნა იმ ამბის გაგება, რომლის მოლოდინმა ასე აუფორიაქა გული და გონება.

მაიამ დილით ადრე მიიღო ტარიელ ჩიქოვანი. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადავიდა სტუმარი და მოკლედ მოახსენა მთავრის დანაბარები.

— მოახსენეთ მთავარს, — კარგა ხნის დუმილის შემდეგ დინჯად დაიწყო მაიამ, — თუ მე რაიმეთი შევძლებ სამთავროს საქმეს სარგებლობა მოვუტანო, არაფრის წინ არ დავიხევ. მოხარული ვიქნები მამაჩემის ოჯახი რომ კვლავ იქცეს სამთავროს ერთ-ერთ ბოძად. კონსტანტინეს კი გადაეცით მინახულოს.

ჩიქოვანმა მდაბლად თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა. სანამ ჩიქოვანი საუზმობდა, დარეჯანი, დიმიტრი და ვარლამი ერთმანეთს ულოცავდნენ მაიას გულის მობრუნებას.

ჩიქოვანი გახარებული მიდიოდა ზუგდიდში. მალე კონსტანტინეს სასიხარულო ამბავი მიუტანა, თან ძიძის დანაბარები გადასცა, რომ მაია ბოლო დროს ძალიან გამოცვლილიყო და გახალისებულიყო.

კონსტანტინემ ბევრი აღარ დააყოვნა, ტარიელთან ერთად სამი რჩეული მხლებლით საჩაჩიბაიოში გასწია.

როდესაც მაიას მოახსენეს, კონსტანტინე მობრძანდაო, იგი წიგნს კითხულობდა, ისე შეკრთა და დაიბნა, რომ შეშინებული-

ვით წამოიჭრა ფეხზე. ალექსის ბეჭედს ხელი მოჰკიდა და შეშფოთებით თავისთვის ჩაიჩურჩულა:

„ნუთუ ამის მეტი არაფერია სიყვარული? მე მეგონა, რომ ჩემთვის ყველაფერი გათავდა. ხედავ, ჩემო ალექსი? მე ისევ ცხოვრებას ვუბრუნდები. მომიტევე, ჩემო ძვირფასო“.

შემდეგ მაია ისევ მოგონებების მორევში გადაეშვა.

ოთახში კონსტანტინეს შემოსვლამდე ძიძა შემოვიდა მაიასთან, გაზრდილს ახედ-დახედა და მის ბრძანებას დაელოდა. მაია ლმობიერად მოეხვია გამზრდელს და უთხრა:

— ძიძა, დამლოცე და მარტო დამტოვე კონსტანტინესთან. ხატის წინ შემავედრე უფალს, რომ შენი ტანჯული მაია ამიერიდან მაინც იყოს ბედნიერი.

კონსტანტინე მარტო შემოვიდა მაიას სადგომში, დიდი მღელვარება ეტყობოდა. ცოტა ხანს ფეხზე იდგა და დუმდა. მერე ისევ მაიას მოაგონდა მასპინძლის წესი, სტუმარს სკამისაკენ მიუთითა და თვითონაც დაჯდა. სიჩუმე კონსტანტინემ დაარღვია:

— ძვირფასო მამუ, შენმა პასუხმა ფრთები შემასხა. ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ დადის ახლა.

მაია თვალს არ აშორებდა კონსტანტინეს. ხედავდა, რა დიდი სიყვარული ღვიოდა მის გულში და თვითონაც ბედნიერად გრძნობდა თავს.

— ჩემი თხოვნა იქნება, — განაგრძობდა კონსტანტინე. — ახლავე შევუდგეთ სამზადისს ქორწილისათვის.

— ბატონო კონსტანტინე, მე მშობლები მყავს. როგორც წესი და რიგია, შენ მამას უნდა თხოვო ჩემი ხელი. მამას სახლიდან უნდა წამიყვანო. დარწმუნებული ვარ, მამა უარს არ გეტყვის. მე ხვალვე დავუბრუნდები მშობლებს...

კონსტანტინე წამოდგა, მაიას ხელზე ეამბორა, მაგრამ უცებ შეკრთა, ტუჩებზე ცივად მოხვდა ოქროს ბეჭედი. თავი ასწია და მაიას შეხედა შეცბუნებულმა ვაჟკაცმა, მერე სწრაფად გაიძრო თითიდან ბეჭედი, გაუწოდა მაიას. მაიამ უხმოდ ჩამოართვა.

— ალექსის ბეჭედს ეს მხოლოდ მაშინ შეცვლის, როცა მამაჩემისაგან თანხმობას მიიღებ.

— მაშ მოუთმენლად დაველოდები იმ დღეს, როცა შენ მამის ოჯახს დაუბრუნდები.

— მე არ დავაყოვნებ ერთი დღითაც კი, კონსტანტინე, — უთხრა მაიამ და ამით აგრძნობინა, რომ მათ შორის საუბარი დამთავრებულია.

* * *

მაიამ მეორე დღესვე წერილი მისწერა მამას და შინ დაბრუნების ნებართვა გამოსთხოვა. დედ-მამა ქალიშვილის წერილმა ძლიერ გაახარა. სასახლეში მაიას დაბრუნება მის მკვდრეთით აღდგომას ნიშნავდა მშობლებისათვის. დედა სისარულით ცას ეწია, ჩემს ჭკვიან ქალს თავისი სიმტკიცითა და პატიოსნებით რა კარგი ქმარი უშოვნიაო. ახლა ცოტა თავიც მოსწონდა, აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრების სიდედრობა პატივმოყვარეობას აღვიძებდა მის გულში. ყველაფერზე უფრო მასში დედობრივი გრძნობა ნეტარებდა, რომ მისი სიამაყე ქალიშვილი გონს მოვიდა და ცხოვრებას დაუბრუნდა.

ძმებიც გახარებული იყვნენ, მხოლოდ მამის ბრძანებას ელოდებოდნენ, რომ დის მოსაყვანად წასულიყვნენ. გიორგიც არ იყო უკმაყოფილო ქალიშვილის გადაწყვეტილებით, უხაროდა ამდენი ხნის უნახავი ქალიშვილის ნახვა, თანაც გულში მიმალული აზრები და სურვილები თავს არ ანებებდა, იმედს ამყარებდა ამ ახალ კავშირზე, რომ სამეგრელოს სამთავროზე მაინც მოეხდინათ დადებითი გავლენა მას და მის შვილებს.

გიორგის ორი მოწიფული ვაჟი ჰყავდა დავითი და კოწია. დავითი დინჯი, წინდახედული და ჭკვიანი იყო, ის ბიძამის პეტრეს ჰგავდა, ხოლო კოწია დაუდეგარი, მგრძნობიარე და გულის ამყოლი იყო. მათ განუხორციელებელი სურვილები აწუხებდათ. საზოგადო საქმეებს ჩამოშორებული ახალგაზრდობა, რომელსაც დროის შესაფერი განათლება მიეღო ქართულ და რუსულ ენებზე, მოზღვავებულ ენერგიას დარდიმანდობასა და ტრფიალში ხარჯავდა. გატაცებული იყო პოეზიითაც.

გიორგის თავისი შვილები რუსთა ხელმწიფის სამსახურში არ შეჰყავდა, ხოლო სამთავროში სხვა მათი შესაფერი სამსახური არაფერი იყო.

მაიას შესახებ ისინი მამას არწმუნებდნენ, რომ ეს დამოყვრება დიდ სარგებლობას მოუტანდა როგორც სამთავროს, ისე მათ ოჯახს. გიორგიმაც თანხმობა განუცხადა მოციქულებს, მაიას კი მისწერა: „შენ მაგონებ იმ შვილს, რომელიც ოჯახს გაექცა, მთელი თავისი ქონება გაანია, შემდეგ ცარიელი დაუბრუნდა ოჯახს, ხოლო მამამ მას ცხვარი დაუკლა და პატივი სცა. მე ეს სახარებაში ამომიკითხავს, ალბათ შენც გეცოდინება, იქ უფრო ლამაზად წერია. თუ დაგვიბრუნდები, პატრონობას და სიყვარულს არ მოგაკლებთ".

დარეჯანმა ვარლამი და დიმიტრი ზუგდიდში გაგზავნა მაიასათვის შალისა და აბრეშუმის საკაბეების საყიდლად.

— აბა შავებში ხომ ვერ გავისტუმრებთ, შვილო, ხომ არ შევრცხვებით. ბევრი გაწვალათ ჩემმა გაზრდილმა, მაგრამ ბევრსაც გაგახარებთ და თავისი წყალობით აგავსებთო, — მოუბოდიშა ბოლოს დარეჯანმა და შვილს ვერცხლის უზალთუნები ჩაუჩხრიალა ხელში.

დიმიტრიმ და ვარლამმა იყიდეს თხელი შალის საკაბები, დიბა-ფარჩები, მრავალი წვრილმანიც და გახარებული დაბრუნდნენ ნოღაში.

მაია ნასიამოვნები დარჩა ძიძის ყურადღებით და დიმიტრისა და ვარლამს ნავაჭრი მოუწონა. სხვა დროს ასეთ იაფფასიან საკაბეებს იგი ზედაც არ შეხედავდა, მაგრამ ახლა ისინი უმშვენიერესად ეჩვენებოდა. ბედნიერებით თავბრუდახვეული მაია თავის ოთახში შევიდა, ნინოს სთხოვა, რომ ერთი თეთრი კაბა ახლავე დაეჭრათ და შეეკერათ. მაიამ ყველანი გაისტუმრა ოთახიდან და მარტო დარჩა.

ნუთუ კვლავ ცხოვრებას დავუბრუნდები. კვლავ გავალ ხალხში, მოვშორდები ამ ქოხს? ნუთუ მიყვარს მე კონსტანტინე და გულიდან ამოვირეცხე ალექსი, ვისთვისაც რვა წელი გავატარე ტანჯვასა და მწუხარებაში? — შიშით გაიფიქრა მაიამ. ფიქრებს რომ მორეოდა, ადგა, ხელსაქმე დაკეცა, წიგნები დაალაგა და შემდეგ ოთახში დაიწყო სიარული. ესეც რომ მობეზრდა, ისევ საქმეს მიჰყო ხელი: ხან ცეცხლს შეუკეთებდა, ხან წიგნს აიღებდა ხელში, ხან ისევ ხელსაქმეს, ხან კი უაზროდ გაჩერდებოდა... როდესაც სახელდახელოდ შეკერილი თეთრი კაბა მოართვეს, მან შავები გაიხადა: ღელავდა, გულმოსუ-

ლიც იყო თითქოს, მაგრამ მიზეზი რომ გეკითხათ, ვერაფერს გეტყოდათ. თვითონაც არ იცოდა რამ მიაღებინა ახალი გადაწყვეტილება და ბოლომდე რატომ ვერ მიიყვანა ყმაწვილქალობისას გადადგმული ახირებული ნაბიჯი. ახლა მიხვდა, რომ მის მიერ მიტანილი მსხვერპლი არავის სჭირდებოდა. ამ ხნის განმავლობაში ვერაფერი გააკეთა ვერც ალექსისათვის, ვერც თავისთვის და ვერც ქვეყნისათვის. აფორიაქებული გული ისევ მოგონებებით დაიწყნარა.

„მეც გიღალატე, ჩემო ალექსი! მხოლოდ დედაშენი შეგრჩა ერთგული, — შეესიტყვა მაია მოძალებულ ფიქრებს... წუთით ისიც კი გადაწყვიტა, რომ კონსტანტინესათვის ბეჭედი უკან გაეგზავნა და კვლავ ჩაკეტილ ცხოვრებას დაბრუნებოდა, მაგრამ გულს გონება მოერია, — ისევ მამის რისხვა? კონსტანტინეს აბუჩად აგდება? კვლავ სიტყვის გატეხა? არა, ეს შეუძლებელია“ — წამოდგა, ახალ კაბას დახედა. ამ დროს თვალი შეასწრო, რომ ძიძა შავ ძაძებს ცეცხლში ყრიდა, ხოლო ქიშმირის შალს ვერ შელეოდა და კუთხეში მიეგდო.

მაიას თვალი აუცრემლდა. საჩქაროდ ქამარი გაისწორა, თავზე თეთრი ბატისტის მანდილი გადაიფარა და, ის იყო უკანმოუხედავად ოთახიდან გასვლას აპირებდა, რომ ძიძამ გზა გადაუჭრა:

— შვილო, შენ იმდენი რამ ჩაიდინე ჩემდა უნებურად, მაგრამ არასოდეს საყვედური არ მიკადრებია, არც არაფერი მითხოვია. ახლა გთხოვ, რომ ის ალექსისეული ბეჭედი მე მომცე. შენ არ უნდა ატარო იგი. დღეს თუ ხვალ კონსტანტინეს ცოლი გახდები და სხვას შენს გულში ადგილი არ უნდა ეჭიროს. ეს ცოდვა იქნება, შვილო, არ ვარგა, მომეცი ბეჭედი, რომ ცეცხლში დავწვა!

— ეჰ, ძიძა, ძიძა! საუბედუროდ ოქრო ცეცხლში არ იწვის. ჰა, გქონდეს. ძალიან გთხოვთ ნუ დამიკარგავთ.

— როგორ გეკადრება, შვილო! მე ღმერთმა დიდებული სიძე მომცა და ამ ბეჭედს როგორღა გაგაკარებ? რატომ არ დაიქცა ის დღე, შენ რომ ამ ბეჭდის პატრონი შეეყვარდა. კარგი, რაკი მთხოვ, შეგინახავ, შემოგევლე, ოღონდ შენ მიატოვე წარსულზე ფიქრი. ვერ ხედავ, რა ბედი გაგეხსნა?

თეთრებით მოსილი მაია ოთახიდან გამოვიდა, ლერწამისას

უბრძანა: წიგნები და ხელსაქმის ნივთები აქეთ გადმომიტანეთო, თვალზე ცრემლი შეიშრო და გარეგნულად სრულიად დამშვიდებული მიუახლოვდა გაშლილ სუფრას. ძიძიშვილებიც შემოუსხდნენ სუფრას. ჭუტულამ სიმღერაც კი შემოაპარა. მერე გადამეტებული სიმთვრალეც მოიგონა. გამიშვით დადიანის მოსაკლავადო, — იმუქრებოდა, ხან კიდევ ოსტატურად ჰბაძავდა კონსტანტინეს ბოხ ხმას, სიარულს. მაია გრძნობდა, რომ ეს მის ძიძიშვილს სიყვარულით მოსდიოდა და თვითონაც გულიანად იცინოდა. მაიას ბედნიერებით ყველა გახარებული იყო, მაგრამ გული წყდებოდათ, რომ ის ეთხოვებოდა მათ ოჯახს. თუთანამ და ლერწამისამ იცოდნენ, რომ მაია მათ არ დატოვებდა, თან წაიყვანდა. თუთანას თუ გარემოს გამოცელა და თავის ქალბატონთან ერთად მდიდრულად მოწყობილ სასახლეებში ყოფნა გულს უხარებდა, ლერწამისა ცუდ გუნებაზე იყო. ის უნდა გაშორებოდა იმ არემარეს, სადაც გელა ჯგერენაიას კვირაში ერთხელ მაინც ხვდებოდა. გელა მამის დასჯის შემდეგ დაჯავრიანებული დადიოდა, სულ ჯოღორიას მოკვლის სამზადისში იყო. გელას მამა დიდხანს ვერ წამოდგა ფეხზე. მოკეთების შემდეგ იძულებული გახდა ისევ ჯოღორიას დადგომოდა მსახურად.

მიხამ იცოდა, თუ რა ედო გულში გელას. მამა ყოველნაირად ცდილობდა შთაეგონებინა შვილისათვის, რომ ჯოღორიას მოკვლით ოჯახს დაღუპავდა, ჯოღორიას კაცები დიდიან-ჰატარიანად ამოხოცავდნენ ჯგერენაიებს. გელა მამას არ უჯერებდა, ოჯახიანად გაიქცა და ნათესავებს აფარებდა თავს. ამის გამო ლერწამისას იშვიათად ნახულობდა.

„ამ ქისას მაინც დავუტოვებ გელას ბატონიშვილი თან რომ წამიყვანს", — იმედოვნებდა ლერწამისა და თვალებაცრემლებული გულმოდგინედ ქსოვდა ნაირფერი მძივებით მოქარგულ ქისას.

— რა იყო, რა გატირებს? — ჰკითხა მაიამ გაკვირვებით.

— არაფერი, ბატონო, თვითონაც არ ვიცი, რატომ წამომივიდა ცრემლები.

— მე კი ვიცი. შენ აქედან წასვლაზე გწყდება გული, ხომ? — თვით ძლიერი ნებისყოფის მქონე მაიაც მოეშვა წუთით, მასაც ცრემლი მოადგა თვალზე, მაგრამ თავი შეიკავა, ლერწა-

მისას ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა, იცოდა რა აწუხებდა უმწეო, უუფლებო გოგონას და ქალიშვილს მხოლოდ ეს უთხრა:

— ცოტა ხნის შემდეგ ორივენი მოდით ჩემთან — შენ და თუთანა.

მაია ოთახში დაღვრემილი მიმოდიოდა, თან ფიქრობდა:

„რა ძალაა ეს სიყვარული, დიდსა და პატარას ერთნაირად რომ ედება. ახლა მე ვერაფრით დაეხმარები ჩემს შვილივით გაზრდილ ლერწამისას. ამჟამად ჯოლორიასთან დამოკიდებულების გამწვავება არ ვარგა. მოიცადოს ლერწამისამ. ის ჯერ ცხრამეტი წლისაც არ არის. მე კი მეტისა ვიყავი მაშინ...“ ის იყო მაია დაჯდა, რომ თუთანამ მორიდებულად შემოაღო კარი. ლერწამისაც თან შემოჰყვა.

— ჩემო ერთგულო, თუთანა, მე და შენ ბევრი ჭირი გადავიტანეთ ერთად. — უთხრა მაიამ თუთანას და გვერდით მოისვა. — მერე პატარა ლერწამისა მოგვიყვანეს აფხაზეთიდან, ესეც ჩემს თვალწინ დაქალდა. ეს ოჯახი სამივეს გვზრდიდა და პატივს გვცემდა. ახლა უნდა დავტოვოთ. მე თქვენ ხომ ვერ მოგიშორებთ. ალბათ, თქვენ გაგიხარდებათ ჩემი დაშორება, არა? — მიმართა მათ მაიამ.

— რას ბრძანებთ, ბატონო, უშენოდ ჩვენ ერთი დღე არ გვინდა სიცოცხლე. — დაიწყო თუთანამ. — დედა არ მყავდა, კი მომიხსენებია შენთვის, დედინაცვალი ჩუმად უწყობდა ხელს ჩემს გაყიდვას. ეს საწყალი ლერწამისაც ხომ სახლიდან გაეყიდათ. უდედმამო გოგო ვის წვავდა გულს? ის იყო, მფარველ ანგელოზად მოგვეელინე, დაგვიხსენი ურჯულოთა ტყვეობისაგან, გაგვზარდე. ჩვენ შენს ჩრდილს ვერ მოვშორდებით.

ლერწამისა ჩუმად იდგა, მხოლოდ ცდილობდა, თვალებში დაგუბებულ ცრემლს კიდევ არ გაეცა მისი ხვაშიადი.

— ახლა ორივე შეუდექით ტანისამოსისა და თეთრეულის წესრიგში მოყვანას. ყველაფერი ჩაალაგეთ, შეიძლება ჩვენი წამყვანები მამაჩემის სახლიდან სულ მოულოდნელად მოვიდნენ, — თქვა თუ არა ეს, მაია ადგა და ძიძის ოთახისკენ წავიდა.

თუთანა და ლერწამისა კარგა ხანს იდგნენ უსიტყვოდ. თუთანამ ლერწამისას გამომცდელი თვალებით შეხედა.

— გოგო, რა იყო, ენა რომ ჩაგივარდა და ჩვენს პატრონსა

და მხსნელს ერთი სიტყვა ვერ უთხარი, ეშმაკები ხომ არ შეგიჯდა?

— ტყუილს ვერ ვიტყვი. განა თვითონ ვერ მიხვდება, რომ მე აქედან წასვლა მეძნელება? თვითონაც ხომ კინაღამ გადაჰყვა სიყვარულს, დალოცვილი. განა მარტო ბატონებს აქვთ გული, თუთანა?

— გოგო, შენ ხომ არ გაგიჟდი? ვის ადარებ თავს, სხვასთან არ წამოგცდეს, ვინმე ენას მიუტანს, ეწყინება, შეძულდები. ან რამ შეგაყვარა ის ჯგერენაია, იმას ცოლად ჩემი მტერი გაჰყვა. მტრად გადაკიდებული ჯოღორია არ გაახარებს.

— ბატონიშვილს ჩვენ არ შევძულდებით, მტირალს შემომისწრო, მომეფერა. ის ჯოღორიაც ჩაძაღლდება და ჩვენც რამე გვეშველება.

— მაგას თუ უცადე, ჩემსავით დაბერდები, ჩემო ლერწამისა.

— შენ რამ დაგაბერა, არავინ გიყვარს, თორემ ახლა ხარ გასათხოვარი. ბატონიშვილი შენზე ორი წლით უფროსია და ხომ ხედავ, ახლა თხოვდება.

— გოგო, ნუ სულელობ, ბატონიშვილი ბატონიშვილია და ჩვენ ყმები ვართ, ვერ გაიგე? მაინცდამაინც ბატონიშვილს უნდა დაეტოლო?

— დაიჩემე ერთი, ყმები, ყმები! ჩვენ ვითომ ადამიანები არა ვართ?

— გოგო, შენ ბევრს ნუ ტიტინებ, თორემ შენ და შენს გელას სტამბოლის ბაზარზე ამოგაყოფინებენ თავს.

— სხვასთან ხომ არ ვიტყვი, შენთან ვამბობ, თუთანა, შენ ხომ ჩემი უფროსი და ხარ.

— გოგო, სად ხარ, ლერწამისა? — გაისმა დარეჯანის ხმა.

ლერწამისა უცებ კარებთან გაჩნდა.

— რას მუსაიფობთ ამდენს? სტუმრებით ეზო აივსო, ესენი კი სხედან არხეინად! მაიას თავისი ძმების მობრძანება მოახსენეთ!

ქალიშვილები შეკრთნენ, გულაძგერებული შევიდნენ მაიასთან და მოახსენეს ყველაფერი.

— მე უკვე დავინახე ისინი. დამშვიდდით, ყველაფერი მოესწრება! — უთხრა მაიამ. თვითონ ღელავდა, სხვებს კი ამშვიდებდა.

მაიას წასაყვანად ძმების მოსვლამ არათუ დარეჯანის ოჯახი, მთელი ახლომახლო სამეზობლოც გამოაცოცხლა.

აღელვებულმა დარეჯანმა კიბე დინჯად ჩაიარა, დარბაისლურად შეეგება სტუმრებს და ისინი მაიას ოჯახში მიიწვია. მაია ძმებს გადაეხვია, ხოლო მისი სკამის უკან მდგარმა ლერწამისამ ფანჯრიდან თვალი მოჰკრა, თუ როგორ დატრიალებდა ცხენებსა და მხლებლებს შორის გელა ჯგერენაია, თან გულში ფიქრობდა: „გათავდა, აწი შორიდანაც ვეღარ დაეინახავ გელასო".

დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

ძიძის ოჯახმა დიდი ძღვენი გამოუწყო მაიას. დარეჯანი შვილებით, მაზლითა და შინაურებით თან გაჰყვა გაზრდილს.

დიდი ხნის უნახავ დედ-მამას მაია სტუმრებთანაც ეალერსებოდა. ცოტა დარცხვენილიც იყო, რომ ასე შეაწუხა მისთვის ძვირფასი ადამიანები. მამას თმა და წვერი შეეერცხლოდა, ქალიშვილს ძალიან ტკბილად შეხვდა. წარსულზე ლაპარაკი ყველას ეძნელებოდა, უფრო მეტად ქვეყნის ამბებსა და მწერლობაზე გააბეს საუბარი. გიორგიმ თავისი შვილების და საკუთარი ლექსებით სავსე რვეული გამოუტანა მაიას. მაშინ გავრცელებული ჩვეულება — ნათესავთა ერთმანეთში გაშაირების, ერთმანეთისადმი ლექსების მიძღვნისა და ამ ლექსების შემონახვის წესი გიორგის ოჯახში დაცული იყო.

ყოველთვის ჩუმი და სიტყვაძუნწი მაიას დედა ახლაც ჩუმად იყო. ქალიშვილი გვერდით უჯდა, თავზე ხელს უსვამდა და ხშირად გულში იკრავდა.

მთელი სასახლე გამოცოცხლდა მაიას მოსვლით. განსაკუთრებით მოახლე ქალები აფუსფუსდნენ. ზოგს ებრალებოდა განდეგილი მაია და უხაროდა მისი გათხოვება, ზოგი კი შურით ივსებოდა. მაიამ ეზო დაიარა, ქალების ოთახები დაათვალიერა, ყველგან შეიხედა, ყველა მოიკითხა, მასაც თბილად შეხვდა რეა წლის მიტოვებული ოჯახი.

მაია თანდათან გაართო სასახლის ცხოვრებამ, მამისა და ძმების საუბარმა. პეტრე და ბესარიონიც მოვიდნენ. ყველანი

გახარებული იყვნენ ოჯახში მაიას დაბრუნებით და სასიძოც მეტად მოსწონდათ. გიორგი და პეტრე დიდხანს ლაპარაკობდნენ მაიასა და კონსტანტინეზე. ორივეს სჯეროდა, რომ ეს დამოყვრება, თუ დიდ მიზნებს ვერ განახორციელებდა, ყოველ შემთხვევაში სარგებლობას მოუტანდა მათ ოჯახს.

მაიას მოსვლის შემდეგ ერთი კვირაც არ გასულიყო, რომ გიორგის სახლის ჯებირს შუადღისას ათი-თორმეტი ცხენოსანი მოადგა. ესენი მთავრის მიერ გამოგზავნილი შუამავლები იყვნენ. შუამავლებს მუხრან-ბატონი მოუძღოდა — მთავრის სიძე, ქუთაისის გუბერნიისა და სამეგრელოს ჯარების უფროსი. მუხრან-ბატონს ახლდნენ: მრჩეველი ივა ჩიქოვანი, ბესარიონ დგებუაძე და ბეჟან აფაქიძე საპატიო აზნაურებით, მხლებლებითა და ყმებით. მუხრან-ბატონს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. როდესაც გიორგიმ და მუხრან-ბატონმა ერთმანეთი მოიკითხეს, შუამავალმა პირდაპირ საქმეზე დაიწყო ლაპარაკი და ბოლოს დასძინა: ბატონიშვილმა მაიამ იცის, თუ რა თავდავიწყებით შეუყვარდა ჩემს ცოლის ძმას ქალთა შორის ეს უმშვენიერესი არსება. ახლა მხოლოდ თქვენზეა საქმე, ბატონო გიორგი. გამოცდილი კაცი ბრძანდებით, თქვენს ლექსებში ბევრჯერ გიმღერიათ სიყვარულის უძლეველ ძალაზე და დარწმუნებული ვართ ამჯერადაც შეგნებულად მოიქცევით.

არც ივა ჩიქოვანი ჩამორჩა მუხრან-ბატონს ოქროპირობაში.

გიორგი სტუმრებს დიდებულად გაუმასპინძლდა, ლხინმა რამდენიმე დღეს გასტანა. ამ ოჯახის პურ-მარილის ამბავი მთელმა სამეგრელომ იცოდა, მაგრამ მასპინძლის ახლანდელმა ხელგაშლილობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

განსაკუთრებით მუხრან-ბატონი იყო მოხიბლული და აღტაცებული გიორგის სუფრით, მისი მეუღლის — მარიამის თავაზიანობით, სიდარბაისლით და ყველაფერ იმით, რაც ამშვენებს და აკეთილშობილებს სიბერეში შესულ ქალს. მაიას სილამაზემ, მისმა ჭკუამ, ქცევამ, კდემამოსილებამ ხომ თავბრუ დაახვია და აღტაცებაში მოიყვანა გენერალი.

წასვლისას სტუმრებს დიდი საჩუქრები და ძღვენი მიართვა გიორგიმ. ეს წესად ჰქონდა თავის ოჯახში დადიანს. პატივსაცემ სტუმარს ხელცარიელს არ გაუშვებდა. გიორგი ამას თავ-

მოსაწონად ან სხვისი გულის მოსაგებად კი არ აკეთებდა, ამაში თვითონ ხედავდა რაღაც სიამოვნებას და კმაყოფილებას.

ახლაც მის გულს სიამე მოეფინა, როცა მუხრან-ბატონმა ვერცხლით მოოჭვილი ძველთაძველი საომარი მუზარადი მოუწონა. მართლაც არ შეიძლებოდა ამ მამა-პაპათა მიერ ათასჯერ ბრძოლაში გამოწრთობილ, მრავალ ნახმლევ მუზარადს აღტაცებაში არ მოეყვანა მნახველი.

ივა ჩიქოვანს, როგორც სამეგრელოს კანონმდებელს, ვახტანგ მეფის კანონების ვერცხლის ყდაში ჩასმული წიგნი მიართვეს.

ყველა გააკვირვა ბესარიონ დგებუაძისათვის მირთმეულმა საჩუქარმა — ყაბარდოულმა შავმა ულაყმა. ბესარიონ დგებუაძე მთელ საქართველოში განთქმული იყო ცხენოსნობით. რა ჯიშის ცხენს არ ნახავდით მის საჯინიბოში. ამგვარი ცხენი კი ჯერ ჩემს თვალებს არ უნახავსო, ამბობდა გახარებული თავადი.

გიორგის პასუხით, მისი პურ-მარილით და საჩუქრებით კმაყოფილი შუამავლები დაბრუნდნენ თუ არა, სამეგრელოს მთავარი დაუყოვნებლივ შეუდგა სარძლოს დანიშვნისათვის მზადებას. დავითის აჩქარების მიზეზი მარტო ის კი არ იყო, რომ მალე მოეყვანა ცოლი ძმისათვის. მთავრის სურვილი იყო გიორგი დადიანის ჩქარა შემორიგება. ამ გავლენიანი და დიდი თავადის მხარში ამოდგომით დავითი ბევრი სასარგებლო საქმეების გაკეთებას ფიქრობდა სამთავროსათვის. გარდა ამისა, დავითს ბევრი მტერი ჰყავდა და გიორგის დამოყვრება თუ ყველას არა, ნაწილს მაინც ჩამოაშორებდა. გიორგი დადიანი მაშინვე მიხვდა მთავრის ზრახვებს, კმაყოფილი იყო, რომ დავითი გვიან, მაგრამ მაინც გაერკვა სიმართლეში და მოუბრუნდა მისკენ გული. გიორგი ბუნებით ღვარძლიანი კაცი არ იყო და არ შეეძლო შეენახა გულში ის შეურაცხყოფა, რომელიც მას ჯერ ლევან დადიანისა და შემდეგ მისი მემკვიდრის დავითისაგან ხვდა წილად.

ასლა უკვე კონსტანტინეზე და მაიაზე მეტად დავითი და გიორგი ესწრაფებოდა ქორწილს და ეს დღეც მალე დადგა.

მაისის მიწურული იყო. თითქოს მწვანედ შემოსილი ბუნებაც ემზადებოდა მაიასა და კონსტანტინეს ქორწილისათვის. სამეგრელოს მთავრის ძმა გრიგოლი თავისი ამალით და თავადაზნაურთა მაყრიონით, მაიას მოსაყვანად გაემგზავრნენ ჭკადუაშში.

გიორგიმ ბევრი მაყარი გამოაყოლა მაიას, სტუმრები აფხაზეთიდან, იმერეთიდან, სვანეთიდან, გურიიდან და ლეჩხუმიდან. აფხაზეთის მთავარი მიხეილი და თავისი მეუღლე ცუცუ გიორგის არ მოუწვევია ქორწილში, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ალექსი მიხეილის ხელით იყო მოკლული და თავისი სიძე სამუდამოდ ამოირეცხა გულიდან.

სასახლეში საქორწილო მზადებას თვით მთავარი ხელმძღვანელობდა. ყოველნაირად ცდილობდა დავითი ღირსეული ქორწილი გადაეხადა და ამით მოეგო გიორგი დადიანის გული.

ჯერ კიდევ მზე ამოსული არ იყო, რომ საწერეთლოდან მანდილოსნები ეტლით და მამაკაცები ცხენებით მოვიდნენ. ესენი დიდი ზურაბ წერეთლის შთამომავალნი იყვნენ. აუარებელი ოქრო და მარგალიტი მოდიოდა მოსალოცად, მაგრამ ყველაზე ძვირფასი იყო ირმებისა და შვლების ჯოგი. საწერეთლოს მოსვლამ განსაკუთრებით გაახარა დავითი. დედულეთს არ დავიწყებოდა ნათესავები. ახლა დავითსა და კონსტანტინეს მხოლოდ ის აფიქრებდათ, რომ ეკატერინე დედოფალი თბილისელი სტუმრებით არსად ჩანდა, არც მოსულებმა იცოდნენ ამის შესახებ არაფერი. დავითი უფრო ღელავდა, ვაითუ პატარძლის მოყვანამ დაასწროს იმათ მოსვლასო. ეს ძალიან უხერხულად მიაჩნდა. ვინ უნდა დახვდეს მაიას, თუ არა უფროსი რძალიო, ფიქრობდა ყველაფერში წესრიგის მოყვარული მთავარი.

არც კონსტანტინეს მოსწონდა მეგობარ რძლისაგან ასეთი უყურადღებობა, მაგრამ არაფერს ამბობდა, პირიქით, ძმას არწმუნებდა: მოვლენო.

ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ გუნდ-გუნდად სტუმრები.

დიდ ეზოში ჯგუფ-ჯგუფად ისმოდა საცეკვაო სიმღერა და ტაში, მწყობრად იდგნენ ქართულად თავდახურული მანდი-

ლოსნები, ქირმანის შალებით შემოსილი, ყანაოზისა და დიბა-ფარჩებით მორთულები.

მთავარის შუქი სჭარბობდა საღამოს ბინდბუნდს, როდესაც ზუგდიდის სასახლის ჭიშკარში ორი ეტლი და რამდენიმე ცხენოსანი შემოვიდა. ეტლში ისხდნენ მთავრის მეუღლე ეკატერინე ბავშვებით და მათი აღმზრდელი ქალებით, კონსტანტინე მუხრან-ბატონი ცოლით, ნინო გრიბოედოვისა, რაფიელ ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, გრაფი როზმორდუკი, ვინტგენშტეინი. მათ მოყვებოდათ ცხენოსნები, ზოგი სამეგრელოდან წასულიყვნენ ეკატერინეს შესახვედრად, ზოგი ქართლ-კახეთის თავადები, ქორწილში საგანგებოდ მოწვეულნი.

დავითს არ უნდოდა იმ გაზაფხულზე ეკატერინეს თბილისში წასვლა, მაგრამ დედოფალს, რომელიც ვერ კმაყოფილდებოდა პროვინციაში ცხოვრებით, ისეთი ძლიერი სურვილი დაეუფლა თბილისში ჩასვლის, თავისი საყვარელი სახლისა და მეგობრების ნახვის, რომ ამ სურვილის დათმობა მისთვის შეუძლებელი ხდებოდა.

წასვლის სურვილს ერთოდა საგაზაფხულო და საზაფხულო სეზონისათვის მომზადება. დავითმაც ველარ დაუშალა. ეკატერინე მარტის დამლევს ბავშვებიანად თბილისში გაემგზავრა.

დიდხანს არ გაუვლია, რომ მახარობელიც მოიჭრა, დამბაჩა დაცალა და ამით ამცნო ხალხს პატარძლის მოახლოება, შემდეგ ცხენიდან გადმოხტა: ერთ-ერთმა ლამაზმა და საპატიო ქალიშვილმა ფარჩის საახალოხე შემოახვია კისერზე, უნდოდა დაება, გაშვებას არ უპირებდა, მაგრამ ცქვიტი, მოხდენილი მიხა მხეიძე მოხერხებულად გაუსხლტა, ფარჩა გაიტაცა, კვლავ მოახტა ცხენს და დამბაჩის სროლით ეზო-ჭიშკარი გადაიჯირითა და მოახლოებულ მაყრიონს შეეგება.

მაია პირდაპირ გაცისკროვნებულ საყდარში შეიყვანეს. კონსტანტინე ზღურბლზე დაუხვდა საცოლეს. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა მაიას სილამაზემ საყოველთაო აღტაცება გამოიწვია საყდარში შეკრებილ და ეზოში მიმოფანტულ ხალხში. მთავარს უნდოდა, რომ პატარძალს ეკატერინე შეჰგებებოდა ოქროს ლარნაკით, შაქრით და პურით მიელოცა სიტკბო და დოვლათი.

ეკატერინე კი რაღაც აუსსნელი მიზეზებით თუ დაღლილობით, სრულებით არ იყო საზეიმოდ განწყობილი და ქმრის სურვილი უგულოდ შეასრულა.

მდიდრულად, მაღალი გემოვნებით ჩაცმული და ძვირფასი სამკაულებით მორთული, მთავრის ცოლი პურითა და შაქრით დახვდა პატარძალს.

ორმა ბ ნოვანმა ერთმანეთი გადაკოცნა. მათ მომავალი ნათესაობის ბეტი არაფერი აკავშირებდათ ერთმანეთთან. რძალთან შედარებით, მაია უფრო უბრალოდ იყო ჩაცმული. მაიას მარმაშა ყელს, რომელიც ოდნავ მოჩანდა საყელოდან, ბრილიანტის გულქანდა ამშვენებდა, პატარა, ლამაზ ყურებს — ალმასის საყურეები. აბრეშუმის ქსოვილი, რომელზეც ბაჯაღლო ოქროს ქინძისთავები იყო დაბნეული, მსუბუქად მოედო თმებზე. ტანთ ეცვა თეთრი ყურთმაჯიანი კაბა, რომლის ფარჩის გულისპირი და სარტყელი მარგალიტის მძივებით იყო მოქარგული. ფარჩის სახელოები მჭიდროდ ეხვეოდა ჩამოსხმულ ფიქალ მაჯებს. წერწეტა წელს კი ვიწრო სარტყელი ეკვროდა. ტანის რხევასთან ერთად სარტყლის ბოლოებიც იშლებოდა. ფარჩის შარიშური ფოთლების შრიალს მოგაგონებდათ. განიერი კაბის კუდი გრძლად იშლებოდა იატაკზე. თვალმარგალიტით მორთული ქოშები ოდნავ მოჩანდა კაბის წინა ნაწილიდან. აშადრევანებული ოთხი ნაწნავი თვალწარმტაცად სრიალებდა აბრეშუმის თეთრ კაბაზე.

მაიას საგვირგვინო ტანისამოსი საგანგებოდ შეაკერვინა და მოაქარგვინა კონსტანტინემ თავისი რძლის გამზრდელ ანა ცომაიას ქალს, რომელიც მთელ სამეგრელოში განთქმული იყო თავისი ხელსაქმით. სამეგრელოს მონასტრის ტრაპეზები არა ერთხელ დამშვენებულა ანას ნაქარგ-ნაქსოვებით.

კონსტანტინემ იცოდა მაიას გემოვნება, ტანისამოსი მის ნება-სურვილს შეუფარდა. საქმროს მიერ მორთმეული ბაჯაღლო ოქროს ძეწკვი ქალს ყელზე ეკიდა. მაიას ისე მედიდურად ეჭირა თავი, რომ მნახველი ვერასოდეს ვერ იფიქრებდა, თუ ის ჭკადუაშისა და ქალაქ სოხუმის გარდა არსად იყო ნამყოფი. თბილისიდან ჩამოსული სტუმრები აღტაცებით უყურებდნენ მშვენიერ პატარძალს, ადარებდნენ უფროს რძალს ეკატერინეს

და აღარ იცოდნენ, თუ ვისი გარეგნობისა და სილამაზისათვის ძიეცათ უპირატესობა.

უფროსი რძლის ჩაცმულობა დიდად განსხვავდებოდა პატარძლის ჩაცმულობისაგან. ეკატერინეს გულ-ყელი ძალიან დიდზე ჰქონდა მოღეღილი, ბეჭები მთლიანად უჩანდა, პატარა აფარჩული სახელოები იდაყვებსაც არ უფარავდა. მარმარილოს მსგავს ყელს შემოხვეოდა ბრილიანტებით მოოჭვილი ოქროს გულქანდა, რომელიც თეთრ ფიქალ გულ-მკერდს კიდევ უფრო ასხივოსნებდა, ბრილიანტის საყურე პოეტებისათვის საყვარელ ჩრდილს აფენდა. სშირ წაბლისფერ თმებს დიადემის ბოლო ამაგრებდა. შავი ბრილიანტის დიადემა მის მაღალ შუბლს სამეფო იერს აძლევდა. ტუნიკიანი კაბა უხდებოდა ჯეირანივით მოხდენილ ტანს.

ნეფე-დედოფალი მათთვის განკუთვნილ ცალკე მაგიდასთან მიიწვიეს, რათა მილოცვები მიეღოთ.

პირველად მთავარმა დავითმა და გრიგოლმა მიულოცეს გაბედნიერება. დავითმა თავისი სურვილები ამნაირად გამოხატა:

— მე და ჩემი ძმა გრიგოლი, ახლადშეულლებულთ ვულოცავთ გაბედნიერებას. — შიმართა დავითმა რძალს და ძმას. — მიბოძებია თქვენთვის სოფელი ჭაქვინჯი, თავისი ციხით, წისქვილებით, გაღმა-გამოღმა სოფლებით, სახნავითა და სათესით, ტყითა და საძოვრებით. ჭაქვინჯი ახლოა მთავრის სამყოფელთან, როდესაც მოგესურვებათ, ახლად გამართულ ოჯახს ინახულებთ და დაამშვენებთ, არადა ჩვენი საერთო ოჯახები: ზუგდიდში, გორდში, სალხინოში ყოველთვის განუყოფელი იქნება ძმათა შორის, ბატონებო!

მთავრის მილოცვის შემდეგ, რიგრიგობით ულოცავდნენ სიძეს მუხრან-ბატონი, დედულეთი...

საწერეთლომ ძვირფასი სამკაულები მიართვა, გარდა ამისა, საჩხერედან ჯერ კიდევ დილით მოდენეს ირმებისა და შვლების ჯოგი.

მუხრან-ბატონმა და მისმა ცოლმა ნინომ მოიტანეს: ვერცხლის სურები, ჭინჭილები, ლარნაკები, თასები ოქროთი მოზარნიშებული, ორმოცდაოთხი კაცის მისაღებად გათვალისწინებული.

გურულები შაირობდნენ, ლოცავდნენ ნეფე-დედოფალს, უხ-

ვად აწყობდნენ მაგიდაზე ვერცხლის აზარფეშებსა და ოქროს ჯაჭვით გადაბმულ ყანწებს.

პატიოსანი თვლებით შემკული ხატები მოულოცეს ახალგაზრდებს დადეშქელიანებმა.

დადეშქელიანების შემდეგ გიორგი წარსდგა თავისი ქალიშვილისა და სიძის წინ. გარდა ნივთეულობისა, მამამ უამრავი ცხენი, ხარი და ძროხა მიულოცა მათ.

გიორგის ძმამ, პეტრემ, სიძეს დიდებული თოფ-იარაღი მიართვა, ხოლო ორივეს — საუკეთესო ბიბლიოთეკა. დაბეჭდილი და უძველესი ხელნაწერი წიგნებით სავსე კარადაში ფაქიზად ეწყო: მოოქროვილყდიანი „ვეფხისტყაოსანი“, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი“, „ქილილა და დამანა“, მარიამ ბატონიშვილისეული „ქართლის ცხოვრება“, „სარკეთქმულთა“, თეიმურაზ მეორის ლექსები და პოემები, „ვისრამიანი“, ჩახრუხაძის „თამარიანი“. „რიტორიკა“, „კატეღორიების სახელმძღვანელოები“, „კაზმულსიტყვაობა“ და მრავალი სხვა საეკლესიო თუ საერო წიგნი.

ბესარიონი წინ მიუძღოდა მწყემსებს, რომელთაც სანოვაგით სავსე დიდი ხონჩა ეჭირათ ხელში. ხონჩაზე სამფუთიანი გადაზელილი სულუგუნი იდო. სულუგუნის შუაზე — ყველის დიდი ბურთი, ამ ბურთიდან მაიას თმების შესადარად ყველის ოთხ-ოთხი ნაწნავი ჩამოჰყვებოდა ხონჩის ორივე მხარეს. ამავე ხონჩაზე, ერთმანეთის პირდაპირ, ორი უზარმაზარი თიხის ქილა იყო, ოქროსფერი თაფლით სავსე.

ხონჩის უკან მწყემსებსა და მათ თავკაცებს მოჰყავდათ ცოცხალი შელები, რომელნიც, უჩვეულო გარემოში მყოფნი, შიშისაგან ერთმანეთს ეკვროდნენ. მწყემსებს ზოგს ირმის რქები, ზოგს კიდევ ვეფხვის, დათვის, მელიისა და სხვათა ტყავები ეჭირათ ხელში მოსალოცად. ბევრი მათგანი გულში კი ამბობდა: გლეხებს მჭადი ენატრებათ და ამ გაუმაძღრებს კი ჩიტის რძეც კი არ აკლიათ, ოხრად დაურჩეთ ყველაფერიო.

— ბატონებო! ჩვენმა მწყემსებმა, იმის გარდა, რასაც თქვენი მოწყალე თეალი ხედავს, ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტი სული ცხვარი მოგართვათ, ორასი ფუტკრის სკა, თან მოგახსენეს: იცოცხლოს და იმრავლოს მთავრის შვილმა კონსტანტინემ და მისმა მეუღლემ — მაია ბატონიშვილმა, სანამ მისი თმა მორთ-

მეული ყველის ნაწნავებივით არ გათეთრდებაო, — თქვა ბესარიონმა.

აგიაშვილებმა, დადიანების სიძეებმა, საუკეთესო ნივთებთან ერთად, ფარშავანგის გუნდები მოასხეს მოსალოცად.

ხელოსნებმა სავარძლები და სხვადასხვა დგამი მოართვეს.

მეურნეებმა მტრედისა და ციცრის გუნდები, ათასი ინდაური, ორი ათასი ქათამი, იხვები, ბატები; მექოთნეებმაც არ დატოვეს ისინი უსაჩუქროდ: ასკოკიანი ქვევრები, ყველა ზომის დოქი და კოკა მოეტანათ.

მდიდარი და გულუხვი იყო ვაჭრების საჩუქარი: დათა ჭედია, მაქსიმე ხოჭოლავა და კოსტა დარჯანია ვერცხლის ფართო ლარნაკებით წარსდგნენ ახლად დაგვირგვინებულთა წინაშე.

როდესაც მილოცვები დამთავრდა, ნეფე-დედოფალი დიდ სეფაში წაიყვანეს, გვერდით მთავარი და მისი მეუღლე მიჰყვებოდათ, უკან კი — სამეგრელოს დიდებულები და ჩამოსული სტუმრები. ნეფე-დედოფლისათვის ცალკე იყო სუფრა გაწყობილი. სახელდახელოდ გაკეთებული იატაკი და კედლები ნოხებით იყო მოფენილი. ფართო სუფრის თავში დავითი იჯდა, მის მარცხნივ ეკატერინე, ხოლო მარჯვნივ მაია, რომელიც კონსტანტინეს უმშვენებდა მხარს. ეკატერინეს გვერდით გრიგოლ ორბელიანი დასვა დავითმა.

გრიგოლის გვერდით დასხდნენ დედაქალაქიდან ჩამოსულები: ივანე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი, ამილახვარი, ანდრონიკაშვილები, ჩოლოყაშვილები. დანარჩენებიც განლაგდნენ წოდებისა და ღირსების მიხედვით. შუაზე კი დარჩენილი მოზრდილი ფართობი სასიარულოდ და საცეკვაოდ იყო დატოვებული.

ქართული ცეკვის საუკეთესო შემსრულებლები — ციციშვილი და ჩოლოყაშვილი ერთმანეთს არ უთმობდნენ ეკატერინეს მეგობარს, იმ დროს ცნობილ ქართველ მოცეკვავე ჯორჯაძის ქალს, რომელიც მთელ საქართველოში განთქმული იყო შესანიშნავი ცეკვით. გათავდა ქართული ცეკვა და თბილისიდან ჩამოსულების რიგებიდან სმენის დამატკბობელი ქართული სიმღერები გაისმა, ამას მოჰყვა რუსული სიმღერა. შემდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები ამღერდნენ.

ვერცხლის აზარფეშებს ვერცხლის დოქები და ყანწები ცვლიდა. ახალგაზრდა ჩოლოყაშვილმა ალექსანდრე ჭავჭავაძის მუხამბაზი იმღერა. ქორწილი ისე მწყობრად მიდიოდა, რომ ზედმეტ ლაპარაკს ვერ გაიგონებდით, ორი ათასი კაცი უჯდა სუფრას.

* * *

ქორწილი დამთავრდა. დავითის სასახლეს თანდათან აკლდებოდნენ სტუმრები. ეზოში სიწყნარე მყარდებოდა. სახლიუხუცესი ჩიქოვანი ცდილობდა ჩვეულებრივი წესრიგი დაემყარებინა სასახლეში. ხუროები სეფას არღვევდნენ. ახლა ლხინი უფრო ვიწრო წრეში გაჩაღებულიყო. მთავრის სადგომის დიდ დარბაზში გაეშალათ სუფრა. აღმოსავლეთ საქართველოს შორეული კუთხეებიდან მოსულ სტუმრებს დავითი არ უშვებდა.

— დაღლილი ხართ, შორი გზა გიძევთ წინ. ვინ იცის, როდის შეეხვდებით შემდეგ ერთმანეთს. დარჩით აქ რამდენიმე დღე. ილხინეთ, მოისვენეთ.

— რა დაგვასვენებს, თქვენო უგანათლებულესობავ! — კაეხუმრა მას გულბაათ ჭავჭავაძე. — არ გეშინიათ, მთავარო, ბევრი ღვინო დაელიოთ?

ამაზე დავითს გაეცინა.

— მაშ, მე ასეთ წინადადებასაც მოგცემთ, თქვენ ღვინო სვით იმ სასმისებით, რომელსაც ოვითონ აირჩევთ, იმ პიროპით, რომ ყოველი გამოცლილი ჭურჭელი თქვენს საკუთრებად დარჩეს.

— თქვენ ნახეთ, ბატონებო, თუ დღეს მე მთავრის სასახლეში დიდი ქონების პატრონი არ გავხდე. — თქვა გულბაათმა და რიხიანად გაიცინა.

სწრაფად გაჩნდა დავითის წინ ვერცხლით მოჭედილი ყანწები, ვერცხლის აზარფეშები, ჩინური ფაიფურისა და ბროლის ჭიქები, ლარნაკები.

გულბაათ ჭავჭავაძემ ჩოხის სახელურები დაიკაპიწა, დაიწყო ქეიფი. გულბაათის მხლებელი, კახელი ახალგაზრდა აზნაური ჭავჭავაძის მიერ დაცლილ ჭურჭელს იქვე მეშის თახჩაში ალაგებდა. დავით დადიანი მალე დარწმუნდა, რომ სანაძ-

ლეო წაგებული ჰქონდა. მაგრამ ეს არ ადარდებდა, ოხუნჯობდა, იცინოდა. სახლთუხუცესი ჩიქოვანი კი წარბშეკრული იყო: „რაც უნდა ჭკვიანი გეგულებოდეს ლევან დადიანის მოდგმა, სადმე მაინც დაკრავს მისი სიმჩატე. ეს რა ოხერი სანაძლეო მოიგონა მთავარმა, ღამის მთელი საგანძური ჭავჭავაძემ სახლიდან გაზიდოსო“. — ფიქრობდა იგი.

როდესაც ჭავჭავაძის მხლებელმა მაგიდიდან უკანასკნელი ბრილის ჭიქა აიღო, დავითი ადგა და გულბაათს მიმართა:

— მოხარული ვარ, ბატონო გულბაათ, რომ მასახელეთ. ასეთი მსმელი სტუმარი ნუ მოუშალოს ღმერთმა ჩემს ოჯახს. შეგარგოთ, გაამოთ!

* * *

ქორწილის შემდეგ ზუგდიდში დიდხანს არ დარჩენილან მაია და კონსტანტინე. მაიას ეჩქარებოდა ზუგდიდის სასახლიდან მალე წასვლა. ერთობ ოფიციალური და ძალდატანებული იყო მაიასა და ეკატერინეს დამოკიდებულება, სხვადასხვა გარემოში გაზრდილი, სხვადასხვა ბუნების ქალები ერთმანეთს ვერ ეგუებოდნენ. მათ დამოკიდებულებაში იგრძნობოდა სიცივე და არაგულწრფელობა. მაია კმაყოფილი იყო მაზლებით, მეტადრე დავითით, რომელიც მას გულთბილად ეპყრობოდა. დინჯს და გარეგნობით ყოველმხრივ შემკულ მაიას მამასავით მფარველობდა. მაიას სულითა და გულით უნდოდა მალე დაბინავებულიყო დავითის ნაჩუქარ ჭაქვინჯში, საკუთარი სასახლე, საკუთარი წრე გაეჩინა, თავის გარშემო შემოეკრიბა ძმები, ბიძები, ბიძაშვილები და მეგობრები, მის სასახლეს გავლენა მოეპოვებინა სამეგრელოში.

მეტისმეტად შეყვარებულ ქმრად გამოიყურებოდა კონსტანტინე. მაია ამ ძლიერ გატაცებასა და სიყვარულზე ამყარებდა იმედებს, სურდა რომ ქმარი თავის გავლენის ქვეშ ჰყოლოდა. ეს ზაფხული პატარძალს გორდში უნდა გაეტარებინა, რადგან გორდის ჰაერი განთქმული იყო მთელ სამეგრელოსა და ლეჩხუმში.

ეკატერინე თავისი სტუმრებიო იქ იყო საზაფხულოდ.

მაიამ უარი შეჰბედა ქმარს და მაზლს, მე ჭაქვინჯს წავალ

ამ ზაფხულს, ჩემს კერას მივიჩნევ, იქ მუშაობას დავიწყებ სასახლის ასაგებად. შემდეგ, როდესაც თქვენ იქ მოეწყობით, მეც გეახლებით.

გულში კი ფიქრობდა: მაშინაც ავიცდენ იქ წასვლასო.

— შემოდგომაზე ხომ სალხინოში მობრძანდები, შენი ოჯალეშის სანახავად? — შეეკითხა დავითი რძალს, გულში კი მოსწონდა რძლის განზრახვა საკუთარი სახლ-კარის მოსაწყობად.

მაიამ მაზლი და ქმარი დაიყოლია, ხოლო ჭაქვინჯში წასვლა მაინც არ მოეწყო ისე ჩქარა, როგორც მას უნდოდა. ახლა კონსტანტინე დაბრუნდა სიდედრისა და სიმამრის სანახავად, შემდეგ გიორგიმ და ძმებმა ინახულეს ისინი. ყველა ამ ურთიერთ მონახულებას ბევრი დრო უნდებოდა.

როდესაც მამა და ძმები მის სანახავად მოვიდნენ, მაიამ ისინი არ გაუშვა, სთხოვა: ახლა წავიდეთ ჭაქვინჯში, თქვენ ამომარჩევინეთ სამოსახლო ადგილიო.

გიორგისაც ერჩია, რომ ქალიშვილი და სიძე ცოტა მოშორებით ჰყოლოდა ზუგდიდიდან, რომ თავისუფლად შეძლებოდა მათთან ყოფნა, მათი ნახვა. პეტრე ჭაქვინჯის ახლოს ესახლა, სამთავროდან მოშორებული სიძე უფრო მათი გავლენის ქვეშ მოექცეოდა. ამ მოსაზრების გამო გიორგი დიდი სიამოვნებით გაჰყვა ქალიშვილსა და სიძეს.

უანგარონი

მაიას დანიშვნა, გათხოვება, ორი დიდი ქორწილი, ჯერ ჭკადუაშში და შემდეგ ზუგდიდში, დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა რვა წელიწადს თითქმის ჩაკეტილ და არცთუ მდიდრულად ნაცხოვრებ თუთანასა და ლერწამისაზე.

ქალიშვილები განცვიფრებით უყურებდნენ ბატონების სიმდიდრესა და დროს ტარებას. თუთანა, როგორც უფროსი და გამოცდილი, ლერწამისას პატრონობდა, არიდებდა მას ყმა ქალებზე მონადირე თავადისა და აზნაურების ხარბ თვალებს.

ლერწამისა თვითონაც გაურბოდა წუთიერ სიამოვნების სურვილით შეპყრობილ ვაჟებს. ბედნიერი დღეები დადგა ლერწამისასათვის, როდესაც მაიას საქორწინო სამზადისის დროს

ვარლამი და ჭუტულა გაბედავები გამოჩნდნენ გიორგის სასახლეში. სხვა მხლებელთა შორის, გელა ჯგერენაიაც მოჰყვებოდა მათ. ალმურმოდებული ლერწამისა თუთანასთან გაიქცა, მოეხვია და შეეკითხა:

— აბა თუ მიხვდები, ვინ მოჰყვა ვარლამს და ჭუტულას?

— მაგას რა მიხვედრა უნდა? შენი გელა მოსულა. ჭკუით იყავი, არავინ არაფერი შეგამჩნიოს, ხომ იცი, მაიას არ უყვარს ასეთი სითამამე.

— კარგი ახლა, ნუ მომიშხამავ სიხარულს!..

მათ ლაპარაკი დამთავრებული არ ჰქონდათ, რომ უკანა კიბეზე ფეხის ხმა მოისმა და მერე ვიღაცამ რიხიანად იკითხა:

— თუთანა, ლერწამისა, სადა ხართ? — ქალიშვილების ოთახის კარი, როგორც შინაურმა, მორიდებულად შემოაღო ჭუტულამ.

— შენი ჭირიმე, ჭუტულა! — შემოეხვივნენ ქალები.

— როგორ ხართ, ქალიშვილებო, არ მოგწყინდათ უჩვენოდ? ასე მალე დაგავიწყდათ ნოღა?

— როგორ დაგვავიწყდი, ხომ ამდენ სიმდიდრესა და დიდებას ვუცქერით, ასეთ მშვენიერ ხალხში ვტრიალებთ, კარგს ვსვამთ, კარგს ვჭამთ, მაგრამ ერთი თქვენს ეზოში გავლა ყველაფერს გვირჩევნია, — უპასუხა თუთანამ.

— შენ, გოგო, ჭკუითა ხარ? აქაც ხომ არ გაგიჩნდნენ საქმროები? — შეეკითხა სიცილით ჭუტულა ლერწამისას.

ქალიშვილი გაწითლდა, თავი დახარა.

— უი, მაგის სიკვდილი, სულ სამწყემსავი მყავს! — გაიცინა თუთანამ.

საქორწილო სამზადისის დღეებში გელა სულ გიორგისას ტრიალებდა, გვერდში ედგა ვარლამსა და ჭუტულას, ამიტომ ლერწამისა და გელა ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. რა ბედნიერად მიდიოდა მათთვის ეს დღეები.

თუთანა და ლერწამისა სწორედ იმ ბარგიანი ურმით მიდიოდნენ ზუგდიდში, რომელსაც გელა ახლდა. ისინი პატარძლის წამოყვანამდე წამოვიდნენ სხვა ურმებთან ერთად ჭკადუაშიდან. ჭუტულა ცხენით მიჰყვებოდა ურემზე მეთვალყურედ. გელა თავდაჭერილი ვაჟი იყო. თავის ურემზე მჯდარ ქალიშვილებს იშვიათად ელაპარაკებოდა, ხოლო ცეცხლოვან თვალებს ხში-

რად შეანათებდა ლერწამისას. ლერწამისა სახეზე წამოენთებოდა, თავს დახრიდა და ხარებს შოლტს გადაუქნევდა. ზუგდიდს რომ მიუახლოვდნენ, ქალები ურმიდან ჩამოვიდნენ და მხოლოდ მაშინ მოახერხა ლერწამისამ გამოლაპარაკებოდა გულის თანაზიარს.

— ზუგდიდიდან მალე წახვალ?

— ჭუტულასთან ერთად გავბრუნდები. მხოლოდ ერთი კვირით გამათავისუფლა ჯოღორიამ. შავ დღეს დააყრის მამას დროზე რომ არ მივიდე.

— შავი დღე გაუთენდეს ჯოღორიას, მე კი მეგონა ორისამი დღე მაინც დარჩებოდი.

— შენთან, ლერწამისა, სამი დღე კი არა, სამასი წელი რომ მამყოფა... — დაიწყო გელამ, — მაგრამ შერცხვა გულახდილობისა და სიტყვა სხვა საგანზე გადაიტანა. — მე თუ ჯოღორია არ ჩავაძაღლე, ისე ჩემს ოჯახს ამ ქვეყანაზე არ დაედგომება.

— იმის ჩაძაღლებას შენც შეეწირები, გელა.

— ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი არ მირჩევნია? განა მარტო მე მაქვს მისგან სიცოცხლე გაძაღლებული! მთელი სოფელი გმინავს მის უღელქვეშ.

— ბარემ სხვა მოძულემ მოჰკლას! რაღა მაინცდამაინც შენ უნდა გადაჰყვე ამ საქმეს?

— რატომ წუხხარ, შემოგევლე? თუ მომკლეს, შენი სიყვარული მიწაში თან ჩამყვება.

— შენ არ დაიღუპო, თორემ, მე შენს შემდეგ სიცოცხლე რად მინდა!

დაღონებული ქალ-ვაჟი ზუგდიდში შევიდა. მეტი აღარ ეცალათ სალაპარაკოდ, თავთავიანთ საქმეს შეუდგნენ.

ზუგდიდში კიდევ შეხვდნენ შეყვარებულნი ერთმანეთს სალაპარაკოდ. ვერაფერი საიმედო ვერ უთხრა გელამ ქალს, მხოლოდ დაპირდა: ამ ზაფხულზე როგორმე კიდევ განახავო.

ხიბული

ჭაქვინჯში მოუთმენლად ელოდნენ კონსტანტინეს ახალშერთული ცოლითა და მოყვრებით. ჭაქვინჯელ გლეხებს — ქანთარიებს წინასწარ აცნობეს სასახლიდან: ბატონები მობრძანდებიანო.

გლეხები წელზე ფეხს იდგამდნენ, რომ კარგად დახვედრიდნენ მთავრის შვილს. სოფელი ორმაგად იბეგრებოდა სურსათ-სანოვაგით.

როდესაც კონსტანტინე მრავალი მხლებლით სოფელში შედიოდა, ყმები მუხლებზე ეცემოდნენ და ისე სცემდნენ თაყვანს.

— ღმერთმა ნუ ქნას მთავრისშვილის აქ დასახლება, — ამბობდნენ ელეხები, — წელიწადში რამდენჯერ ჩამოუვლიდნენ სოფელს დადიანის მოურავები და მაშინაც გეაჩანაგებდნენ, თორემ კონსტანტინე თუ აქ დასახლდა, მარტო მაგისი მწევარ-მეძებრები ეყოფა სოფელს წელში გასაწყვეტად. ჯერ დასახლების ხარჯი და შრომა ჩვენს კისერზე გადავა, შემდეგ მთელი სასახლის შენახვა...

ორ დღესა და ღამეს გასტანა ბატონების ქეიფმა, ვახშმებმა და სადილებმა.

მესამე დღეს მაია და გიორგი სამოსახლო ადგილის არჩევას შეუდგნენ. კონსტანტინე არ ჩაერია ამ საქმეში. მას გარჯა და შრომა ჭირივით ეჯავრებოდა. მამუ, შენ თვითონ შენი გემოვნებით აირჩიე სამოსახლო ადგილი, მე ეს უფრო გამიხარდებაო, — უთხრა მაიას კონსტანტინემ და დილაადრიანად სანადიროდ წავიდა.

გიორგის თან ახლდა მიხეილ შერვაშიძისაგან გამოქცეული, გიორგის ხელში დავაჟკაცებული, დავეხ არშბა. გიორგი დავეხს არაფერს უმალავდა, ერთგულ კაცად მიაჩნდა. პირველი უსიამოვნება გიორგის დავეხის გამო შესვდა. მიხეილისაგან გამოქცეული დავეხი უკანვე მოითხოვა პატრონმა. გიორგიმ ჯერ ტკბილად სთხოვა: მყავდეს მე ეს ბიჭი, გამოვასწორებ, თუ რამე დააშავაო. სიძე გაჯიუტდა: მაინცდამაინც გამომიგზავნეო. ეს გიორგიმ იწყინა, ნუთუ მეტად არ გიღირდი, რომ ამაზე ლაპარაკი შექმენი, არ დაგიბრუნებ და რაც გინდა, ის ქენიო — მისწერა გაგულისებულმა გიორგიმ.

მაია, გიორგი და დავეხი მდინარის პირას მიდიოდნენ და მიდამოს ათვალიერებდნენ. მალე უღრან ტყეში შეეიდნენ. საცალფეხო ბილიკზე ძლივს მიდიოდნენ ცხენები. წინ მიმავალი შინაყმები ბარღსა და ეკალს კაფავდნენ. ლევა, ჩაგუ ქანთარიებსა და ონისიმე ქარცხიას ეგონათ, რომ მდინარის პირას, ტყის იქით დიდი მინდორი მოეწონებოდა ბატონს სამოსახლოდ.

სწორედ ეს მინდორი აირჩია მაიამ. თვალუწვდენელ მინდორზე სულ რამდენიმე მუხა და ერთი დიდი ცაცხვი იდგა. მინდორი მაღლობზე იყო გაშლილი და ერთი მხრივ ჭანისწყალს გადაჰყურებდა, ხოლო მეორე მხრივ მას პატარა ღელე ჩაუდიოდა, ღელის კალაპოტი თეთრი ქვებით იყო მოკირწყლული. მისი პატარა ტალღა აქა-იქ დიდ ქვებსაც აწყდებოდა, რაც საამურ ჩხრიალს იწვევდა. მინდორზე ოდნავი ნიავი ქროდა. დავეხმა მიიხედ-მოიხედა და აღტაცებით წამოიძახა:

— ჰაიტ, ნამდვილი „ახიბლ“ ეს ყოფილა! — შესძახა აფხაზურად.

გიორგი და მაია დაინტერესა ამ სიტყვამ.

— ეს, ბატონო, ნიშნავს ოქროს თვალს. — უპასუხა დავეხმა.

— მამა ბატონო, ეს მშვენიერი სახელი უნდა დავარქვა დღეიდან ჩვენს სოფელს, — თქვა მაიამ და თან რამდენიმეჯერ გაიმეორა „ახი-ხიბლ“. მის გულს რაღაც მოეფონა ეს აფხაზური სიტყვა...

ამნაირად ჭაქვინჯის ამ ნაწილს ხიბულა დაერქვა.

კონსტანტინე ძლიერ კმაყოფილი იყო, რომ მაიას ასე მოეწონა მისი სოფელი. სამოსახლო ადგილისათვის მინიჭებული სახელით ხომ აღტაცებაში მოვიდა.

გიორგი რამდენიმე დღე დარჩა ხიბულაში, შემდეგ კონსტანტინესთან ერთად ზუგდიდს გაემგზავრა.

მაია პირველ რიგში სახლის აშენების თადარიგს შეუდგა. ლეჩხუმიდან გამოგზავნილ ხუროთმოძღვარს დაწვრილებით გააცნო თავისი მოსაზრება, თუ როგორი სახლი უნდოდა. ძველი, გამოცდილი ოსტატი გაოცებული იყო მაიას ფანტაზიით, მისი გემოვნებით და დაკვირვებით. იგი აღფრთოვანებული შეუდგა გეგმის შედგენას.

ამ დროს კი ლეჩხუმიდან მოწვეული ხუროები სახლის მასალას ამზადებდნენ. ხე-ტყე მოჰქონდათ სამეგრელოს სხვადასხვა კუთხიდან. ასობით ურემი ეზიდებოდა მასალას უსასყიდლოდ. მთელი სოფელი მუშაობდა სამოსახლო ადგილის გაწმენდაზე. ყმებს საჭმელსაც კი არ აჭმევდნენ. ლეჩხუმელი ხუროებისათვისაც სოფელს უნდა მოეტანა საჭმელი.

კონსტანტინე ხომ არ ხედავდა რა ძვირად უჯდებოდა ხალხს მისი სასახლის მშენებლობა, მაგრამ მაიაც თვალს ხუჭავდა.

იგი შეპყრობილი იყო მხოლოდ ერთი სურვილით: როგორმე არ ჩამორჩენოდა ეკატერინე დედოფალს და ამ სურვილის განხორციელებისათვის არაფერს დაერიდებოდა, მზად იყო არა მარტო ყმები, თავისი ნათესავებიც კი გაეწირა. მაია ისეთ სახლს აშენებდა, რომელიც მთავრის სასახლეს არ ჩამოუვარდებოდა.

უზარმაზარი სახლი, როგორც სამეგრელოში ამბობენ „დოხორე" კი არა, ჯარგვალი არ აშენებულა ისე სწრაფად, მაიას სახლი რომ აშენდა. მის სანახავად საიდან არ მოდიოდნენ! „დოხორე" ყველაში აღტაცებას იწვევდა, როგორც მშვენივრად შერჩეული ადგილით, ისე თავისი არქიტექტურით. მაიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, იმას კი არ დარდობდა, თუ რამდენ გლეხს იმ წელიწადს ყანა დაუთესავი ან აუღებელი დარჩა, რამდენს ხარ-კამეჩი მოუკვდა ურემში, რამდენი დაშავდა ხეტყის დამზადების დროს და რამდენმა კიდევ თქვენი ჭირი წაიღო აუტანელ შრომაში.

არა, ყველაფერი ეს შორს იყო მაიასაგან. ახლა იგი იმის ცდაში იყო, რომ რაც შეიძლება ძვირფასი ავეჯით მოერთო სახლი. საიდან არ იწერდა, ვინ არ უგზავნიდა ნივთებსა და ავეჯს, დიდი გემოვნებით რთავდა სახლს.

მაია კარგად ხედავდა, რომ კონსტანტინეს გული შინ არ მოუწევდა. მისი ფიქრი და აზრი მხოლოდ იმაზე ტრიალებდა, თუ როგორ გაეტარებინა დრო; სად ენადირა, ვის წვეოდა. სრულიად არ ერეოდა საოჯახო საქმეებში, არ ფიქრობდა შეძენაზე, დასახლებაზე, სიმდიდრეზე. მაიას ზვიადმა ბუნებამ ვერ დაიმორჩილა კეთილი და სუსტი ნებისყოფის კონსტანტინე.

მაია მალე დედა გახდა. სამეგრელოში არსებული წესის მიხედვით მას პირველი ბავშვისთვის ძუძუ არ უწოვებია. ბავშვი ძიძას მისცეს გასაზრდელად.

მაია სულიერ სიმარტოვეს განიცდიდა. მისდა საბედნიეროდ, ის შვებას გამდიდრების, სახელის, დიდებისა და ეკატერინე დედოფალთან მეტოქეობისათვის ბრძოლაში პოვებდა. კონსტანტინეზე გული გატეხილი ჰქონდა, ამ საქმეში ის მხარში ვერ ამოუდგებოდა. მაია ახლა იმასაც ხედავდა, რომ ქმარი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობდა. სპეტაკ და სუფთა გულის

ადამიანს არ შეეძლო არ გასცივებოდა თავისი გრძნობები კონ-სტანტინესადმი. თუმცა გარეგნულად ამას არაფრით ამჟღავ-ნებდა, თავი ისე ეჭირა, ვითომ არაფერი იცოდა მეუღლის სა-მიჯნურო ამბებზე. დაკვირვებული და გულისხმიერი მეუღლე ერთი შეხედვით შეატყობდა, რომ მაია ის აღარ იყო, რაც გა-თხოვების პირველ ხანებში, მაგრამ კონსტანტინეს თავისი გუ-ლი მრავალ ლამაზ ქალზე ჰქონდა განაწილებული და ამიტომ ვერ ხედავდა მეუღლეში მომხდარ ცვლილებას. ის ძველებუ-რად ალერსიანად ექცეოდა მაიას, დიდი პატივისცემით და ერ-თობ დიდად აფასებდა მის ჭკუასა და საქმეს. არ თაკილობდა, რომ ხიბულას პატრონი და მბრძანებელი მაია იყო, მამულის მართვა-გამგეობა მაიას ებარა და არა მას. ამით მაია კმაყოფი-ლიც იყო და უკმაყოფილოც. მას აღიზიანებდა და აბოროტებდა ის, რომ მისი ნიჭი და უნარი ასე წვრილმან და უმნიშვნელო საქმეებს ეწირებოდა.

მაიასთან ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი თავადები და მემამულეები — ჩიჩუები, დგებუაძეები, ფაღავები, მხეიძეები, რომლებიც ამავე დროს მთავრის სასახლის ხშირი სტუმრებიც იყვნენ და სამთავროს საქმეებში მონაწილეობდნენ.

მაიასთან მთავრის მოწინააღმდეგენიც დადიოდნენ, მაია რა-ტომღაც მათ უფრო მეტი პატივისცემით და ყურადღებით ექ-ცეოდა. თუმცა მას დავითი არ სძულდა, არც ემტერებოდა. ამას ეკატერინესადმი შურით აკეთებდა. ოღონდ ეკატერინესთვის ეენო, მისთვის რაიმე ჩრდილი მიეყენებინა და მაია ყველაფ-რისთვის მზად იყო.

ამას კარგად ხედავდა გიორგი და ხშირად არიგებდა შვილს გულიდან ამოეღო ეს მისთვის შეუფერებელი და საძრახისი წა-დილი. რამდენი არ ეცადა მაია დაჰყოლოდა მამის ნებას, მაგ-რამ ამაოდ. მართლაც რას ერჩოდა ეკატერინეს, მას ხომ არა-ფერი დაუშავებია მისთვის, გარდა იმისა, რომ დედოფალი, ულამაზესი და განათლებული ქალი იყო. ხშირად შერცხვებო-და მაიას თავისი საქციელის, როცა დაუფიქრდებოდა, მაგრამ გულიდან მაინც ვერ ამოიღო თავისი უმგვანო ზრახვები.

მთავრის მტრებმა კარგად იცოდნენ მაიას გულის საიდუმ-ლოება, მაგრამ დავითის საწინააღმდეგოდ არასოდეს არ ლა-პარაკობდნენ მასთან. იმიტომ კი არა, რომ კონსტანტინესი ეში-

ნოდათ. არა, კონსტანტინე ხომ ნახევარჯერ არ იყო შინ. არ ენდობოდნენ მაიას. მაინც ქალია, რაც არ უნდა იყოსი, ფიქრობდნენ ისინი.

დავითთან მტრობა სახუმარო საქმე არ იყო. ასეთი მკაცრი მთავარი არც ახსოვდათ სამეგრელოში. დავითი დაუნდობელი და შეუბრალებელი იყო ყველა ურჩისა და მოღალატის მიმართ. ის, ალბათ, საკუთარ შვილსაც არ დაინდობსო, თუ დასჭირდებაო, ფიქრობდნენ მისი მტრები და ვერც ფარულად, ვერც აშკარად ვერ ბედავდნენ მის წინააღმდეგ ბრძოლას. მათ კარგად ახსოვდათ, თუ რა დღე დააყენა მთავარმა თავისი კანცელარიის ერთ-ერთ მოხელეს, ანდრო გეგეჭკორს ურჩობისათვის.

ახალგაზრდა ანდრო გეგეჭკორი ფრიად ნაკითხი და განათლებული კაცი იყო. ამავე დროს გულკეთილი და პოეზიით გატაცებული, ხალხის გულშემატკივარი და მოსარჩლე. სიმართლისათვის ის არავის და არაფრის წინ არ დაიხევდა და ერთხელ ისე გაკადნიერდა, რომ მთავარსაც კი შეედავა.

ლაშხიები ლევანის მთავრად ყოფნის დროს სამთავრო ღალას იშვიათად იხდიდნენ. ლევანის უყურადღებობისა და დაუდევრობის გამო სულ მიატოვეს ღალის გადახდა.

დავითმა ეს ამბავი რომ გაიგო, არ მოეწონა; მართალია, მან მშვენივრად იცოდა, თუ რა ღარიბები იყვნენ ლაშხიები, მაგრამ იფიქრა: დღეს ლაშხიებმა მიატოვეს ღალის გადახდა, ხვალ მათი მიბაძვით ფილიპიები, ბუკიები, კვიკვინიებიც უარს იტყვიანო და ერთ მშვენიერ დღეს მთელ სამთავროში არც ერთი გლეხი არ დარჩება ღალის გადამხდელიო.

სასწრაფოდ იხმო ანდრო გეგეჭკორი და უბრძანა შეედგინა ბრძანების წიგნი ლაშხიებისათვის ძველი და ასალი ღალის გადახდევინების შესახებ.

— ბატონო დავით, ნუ ინებებთ ასეთ ცოდვას, — უპასუხა გეგეჭკორმა მთავარს, — შიმშილით კუჭი უხმებათ იმ საცოდავებს, ტანზე არ აცვიათ და ფეხზე, არაფერი არ გააჩნიათ, როგორ შეძლონ ღალის გადახდა.

— ჭკუას მარიგებ, ყმაწვილო? — აენთო მთავარი.

— ისინიც ადამიანები არიან, დიდო ბატონო, — ანდრო გა-

ჩუმდა. დაინახა, რომ მთავარს ადამიანის ფერი აღარ ედო. მიხვდა, რა დღე დაადგებოდა.

მართლაც, დავითმა ანდრო გეგეჭკორი ისე მაგრა გაალახვინა, არავის ეგონა თუ გადარჩებოდა. მართალია, ანდრო გეგეჭკორი არ მომკვდარა, მაგრამ ჭკუიდან შეიშალა.

დავითი თვითონვე შეაწუხა თავისმა საქციელმა, მაგრამ დარწმუნებული იყო რომ სწორედ მოიქცა. თუ ქვეყნის მმართველს კანცელარიის უბრალო მოხელემ ურჩობა და ჭკუის სწავლება დაუწყო, იქ მალე აირევა მონასტერიო, ფიქრობდა იგი და ამით უნდოდა გაემართლებინა თავისი მკაცრი სასჯელი, დაემშვიდებინა თავი. გარეგნულად არ ამჟღავნებდა თავის სინანულს, გული კი შესტკიოდა ახალგაზრდა და ნიჭიერი კაცი რომ ასე გაიმეტა.

დავითს არავინ არ მოუწონა ანდრო გეგეჭკორის დასჯა. არც ახლობლებმა და არც შორეულებმა. ყველაზე მეტად მისი ძმა გრიგოლ დადიანი იყო აღელვებული.

— ვერ მოგიწონებ, ჩემო ძმაო, ანდროს გაუბედურებას, — უთხრა გრიგოლმა დავითს, ანდროს დასჯის მეორე დღეს, როგორც კი დაიმარტოხელა. — შენ მეტყვი, რომ ამის გაკეთება სამთავროს მართვის განმტკიცებისათვის იყო საჭირო. მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ, ისედაც წელში გაწყვეტილი და დაბეჩავებული ხალხი უფრო მეტად არ დავტანჯოთ, როგორმე მცირედ მაინც შევუსუმბუქოთ ტანჯვა-წამება. შოლტითა და ხაჯალურებით კი არ ვმართოთ ქვეყანა — სიმართლითა და დიდი გულით. შენს დიდ ღვაწლს ასე პატარა დროის მანძილზე დიდად აფასებს ხალხი. ქვეყნის ადმინისტრაციულ ოლქებად დაყოფა და ამ ოლქებში დიამბეგების დანიშვნამ დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის წელში გამართვას. შენს მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა მეაბრეშუმეობისა და ვაჭრობის განვითარების საქმეში არ შეიძლება კარგი შედეგი არ გამოიღოს. ეს ყველაფერი კარგია, ჩემო დავით, მაშინ თუ შოლტის ტყლაშუნის ხმას და ხაჯალურების საკეტის ჟღარუნს არ გაიგონებს ქვეყანა.

დავითი ბოლთას სცემდა ბუხრის წინ. ის დაფიქრებული და შუბლშეკრული იყო. ყურადღებით უსმენდა ძმას. აფასებდა მის ჭკუას, ანგარიშს უწევდა მის აზრს და კონსტანტინეზე უფრო უყვარდა იგი.

— მართალი ხარ, გრიგოლ, — შედგა დავითი გრიგოლის წინ. — მაგრამ ხაჯალურების და შოლტის ერთბაშად გადაგდება არ იქნება. ჯერ კიდევ ჩვენ შორსა ვართ იმ დღიდან, როცა ქვეყანას დიდი გულითა და სიმართლით გაუძღვებიან. შენში ახლა მხოლოდ პოეტი მეტყველებს და არა ქვეყნის მმართველი. სხვა სხვის ომში ბრძენიაო, ძმაო, ერთი ჩემს გულშიც ჩაგახედა! რომელი ქრისტიანის სმენას დაატკბობს, გრიგოლ, შოლტის ზუზუნი და ხაჯალურის ხრჭიალი, მაგრამ, რა ვქნა, უამისოდ ვერავინ ვერ გაუძღვება დღესდღეობით ქვეყანას.

— მტერსა და ხალხის გულშემატკივარს ერთნაირად არ უნდა მოექცე, დავით. ანდრო გეგეჭკორი ხალხს გამოესარჩლა, ჯოღორია დგებუაძე კი დაუძინებელი მტერია სამთავროსი. შენ ორივეს ერთნაირი სიმკაცრით მოექეცი, ანდრო გაალახვინე, ჯოღორია გააკრეჭიე.

— გრიგოლ, გრიგოლ, — მხარზე ხელი დაადო ძმას დავითმა. — აკი გითხარი შენში პოეტი მეტყველებს-მეთქი. ანდრო გეგეჭკორისთანა კაცი უფრო საშიშია სამთავროსათვის, ვინემ ჯოღორია დგებუაძე. ანდრო ხალხის სახელით იბრძვის, ჯოღორია მხოლოდ თავისი ინტერესებისათვის. არც ერთის და არც ათი კაცის ინტერესი ვერაფერს დააკლებს სამთავროს, მაგრამ თუ ხალხი აღგვიდგა, მერე მშვიდობით! აი რატომ გავიმეტე საბრალო ანდრო, — დავითი ძმის პირდაპირ სავარძელში ჩაჯდა. გაფითრებული და აღელვებული იყო. პაპიროსს-პაპიროსზე წევდა. — თუ გლეხმა ღალა არ გადაიხადა, თუ ბეგარაზე არ გამოვიდა... — როგორ ფიქრობ, ევროპა, რუსეთი თავისით გაშენდა? — განაგრძობდა დავითი. — ჩემზე კარგად მოგეხსენება, რამდენი მსხვერპლი დასჭირდა პეტერბურგის აშენებას. პეტრე დიდი არაფერს ერიდებოდა საქეყნო საქმისათვის. მან არამცთუ კანცელარიის მოხელე, საკუთარი შვილიც არ დაინდო. უმსხვერპლოდ არ კეთდება ხალხის საქმე, გრიგოლ.

— ისინიც ასე ამბობდნენ, ჩემო დავით, ეისაც ფრანგი ხალხი აუჯანყდა. ხომ იცი, რატომ იფეთქა საფრანგეთის რევოლუციებმა? ოდესმე რუსი ხალხიც ასწევს თავს და ვინ იცის, ამ ხაჯალურებზე დააბრძანოს მეფე და მთავრები.

— მართალი ხარ, გრიგოლ. ეს ასე იქნება ადრე თუ გვიან, მაგრამ სანამ ეს არ მომხდარა, ჩვენ ჩვენი უნდა გავაკეთოთ.

მე დარწმუსებული ვარ, რომ სამთავროები მალე გაუქმდება, მაგრამ მანამდე ჩვენ გულხელდაკრეფილი არ უნდა ვისხდეთ.

— შეიძლება ვცდები, ჩემო დავით, — უკან დაიხია გრიგოლმა. — მაგრამ მე მხოლოდ შენი და ხალხის სიყვარული მალაპარაკებს.

ამ საუბრის შემდეგ ძმები ტკბილად დაშორდნენ ერთმანეთს. გრიგოლი ბიბლიოთეკაში შევიდა ფოსტის გადასასინჯად. დავითმა კი თავის სამუშაო ოთახს მიაშურა და „ვაჭრობის მინისტრი" დათა ჭედია იხმო.

ეტყობოდა დათა დიდი ხანია უცდიდა მთავარს. ახოვანი და მაღალი იგი სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა, მდაბლად თავი დაუკრა დავითს. მთავარმა სავარძელზე მიუთითა.

— გაუნაწილე სოფლებს საქონელი? — ჰკითხა ჭედიას მთავარმა.

— დიახ, დიდო ბატონო.

— რა პირობით?

— ზოგს ნისიად მივეცი, ზოგმა...

— ნისიად! — გაიმეორა დავითმა და შუბლი შეიკრა. — ასე არ ივარგებს, დათა. აჯობებს წვრილ ვაჭრებს სესხი მივცეთ. ისე, რომ ას მანეთზე ოცი მანეთი გადაიხადონ.

— ოცი მანეთი ბევრია, მწყალობელო, — გაოცდა ჭედია. — დიდი, დიდი თუმანი გადავახდევინოთ. ისიც გაუჭირდებათ. მათაც ხომ უნდა დარჩეთ რაღაც მოგება. ნუ დაგავიწყდება, დიდო ბატონო, სავაჭრო დუქნებს თავისი გადასახადი აქვს კიდევ. თუ სესხის პროცენტს დიდს გადავახდევინებთ, ამ გზით ვაჭრობა ფეხს ვერ მოიდგამს.

— კარგი, მაგ საქმეს შენ უფრო კარგად იცნობ, მაგრამ რა ვქნა, ხაზინას უჭირს. სავაჭრო საქონლის შემოსატანად გაცემულმა თანხებმა თუ მოგება არ მოგვცა, აბა რაღა ვაჭრობა იქნება ეს?

დათა ვერ ბედავდა, თორემ ენაზე ედგა საპასუხო სიტყვა: შე დალოცვილო, რას ეძახი სამთავრო ხაზინას, ის ხომ შენი პირადი ხაზინაა. ვაჭრებს თუ სიმწრით შენაძენ ფულს ხელიდან გამოაცლი და შენი სასახლის პირადი ფუფუნებისათვის, მამულებისა და ოქრო-ბრილიანტის შესაძენად დახარჯავ, ქვე-

ყანას რითი გაამდიდრებო, მაგრამ ამის თქმას აბა როგორ გაბედავდა.

— ხაზინის გაჭირვება ქვეყნის გაჭირვებაა, დიდო ბატონო, რაიმე სხვა წყარო უნდა გამოვნახოთ შემოსავლისა. ამას წინათ მიბრძანეთ ცაიშის აბანოს შეკეთებაზე. ის აბანო დიდი შემოსავლიანი იქნება. გარდა აბანოს შემოსავლისა, იქ ყოველგვარი საქონლის ვაჭრობის გაჩარხვაც შესაძლებელია. უფრო უნდა გავშალოთ ხე-ტყის დამზადებაც.

— მე ამ საკითხზე რუსული კანცელარიის უფროსს პოტოცკის მოველაპარაკები. არ მინახავს ხელშეკრულება, რა პირობებით ამუშავებენ ამხანაგობები ხე-ტყეს. სად გააქვთ, ან რა გადასახადს იხდიან. შენ ეს მითხარი, ახალი ვაჭრებიდან ვინ აწარმოებს საქმეს კარგად. ვინ მიგაჩნია სანდო კაცად?

— ვატა პაჭკორია, სოფელ ეკიდან. მას შესანიშნავი მაღაზია აქვს სენაკში. ბეჟან ქავთარაძემ ჩვენ მიერ მიცემული ფული სულ მალე ათასებად აქცია; კიდევ წულეისკირი, დარჯანია და სხვები. დარჯანიამ ისე მოიმაგრა ფესი ვაჭრობაში, რომ ახლა სხვებს აძლევს საქონელს. მანვე სოფელ ქვალონში მაქსიმე ხოჭოლავას გაახსნევინა სავაჭრო. ორიევნი დიდ მოგებას ღებულობენ, რადგან ქვალონის ახლომახლო ბევრი სოფელია: ხორში, ზენი და სხვა მრავალი. ვაჭრობის საქმეები რომ კარგად მიდის, ამას ჩვენი ბაზრობები გვისვენებენ. აუარებელი ხალხი აწყდება, როგორც მოგეხსენებათ, ზუგდიდს, ყულევს, ფოთს, ანაკლიას, ხობს...

— ვაჭრობის ასე განვითარებას, ჩემო დათა, ხელი შეუწყო გზების შეკეთებამ, ხიდების გადებამ.

— აუცილებლად, დიდო ბატონო!

— მახსოვს, რამდენს მაძაგებდნენ, ხალხი შრომით დახოცაო. შრომა ადამიანს არ კლავს, პირიქით, აჯანმრთელებს, ქვეყანას კი ზრდის და აყვავებს.

დავითს ასეთივე საუბარი ჰქონდა მეორე დილით რუსული კანცელარიის მმართველ პოტოცკისთან, რომელსაც მთავარი პოლიტიკურ საკითხებში არცთუ ისე ეთანხმებოდა, მაგრამ ისე კი დიდად ენდობოდა. მეტად სინდისიან და ნასწავლ კაცად მიაჩნდა; როდესაც პოტოცკისთან საუბარს დაამთავრებდა, ყო-

ველთვის მადლობის გრძნობით მოიგონებდა თავის სიმამრს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რა საიმედო კაცი მომიყვანაო.

პოტოცკი, მართლაც, საიმედო იყო დავითისათვის იმ მხრივ, რომ განათლებული და პატიოსანი კაცის ხელში რუსული კანცელარია დიდად სასარგებლო საქმეებს აკეთებდა სამთავროსათვის.

მართალია, დავითს თავი სამეგრელოს მთავრად ეგულებოდა, მაგრამ რუსი ხელმწიფე, მთავარმართებელი და თვით გუბერნატორიც მას მხოლოდ მმართველად, სამეგრელოს მფლობელად თვლიდნენ. დავითს უფლება არა ჰქონდა დამოუკიდებლად გადაეწყვიტა სამეგრელოს მნიშვნელოვანი საკითხები. ასეთ ვითარებაში პოტოცკი, რა თქმა უნდა, მისი მარჯვენა ხელი იყო.

პოტოცკის სხვა დიდი ღირსებაც გააჩნდა. ის ყოფილი დეკაბრისტი იყო, ალექსანდრე ჭავჭავაძის დიდი მეგობარი. ეკატერინეს სალონში ერთ-ერთ საუკეთესო მოსაუბრედ იყო მიჩნეული, რუსულ და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებს უკითხავდა ჭავჭავაძის წიგნისმოყვარე ქალებს, მსჯელობდნენ წაკითხულის გარშემო. თუ გრიგოლი და კონსტანტინე სასახლეში იყვნენ, ისინიც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ საუბარში.

დავითი იშვიათად ესწრებოდა ასეთ საღამოებს: ერთ საღამოს თუ ვაჭრობის გაძლიერებაზე ბჭობდა, მეორე საღამოს მამულების შესახებ იძლეოდა მითითებებს, თუ როგორ წარემართა სადავო მამულების საქმე.

მთავარი კერძო საუბარში თავის მრჩევლებთან და ახლო პირებთან ყოველთვის აცხადებდა:

— ჩვენ ბანკები არა გვაქვს. თუ საშუალება არ გვექნება მივაწოდოთ ფული ისეთ წამოწყებებს, როგორიც არის ტილოს, აბრეშუმისა და შალის ქსოვილების დამზადება, ისე მათი წარმოება ვერ განვითარდება. ოდესმე ხომ უნდა მოეღოს ბოლო ჩვენი ქალების ტანჯვას, რომელნიც ყველაფერ ამას ხელით აცოდვილებენ. ახლა ჩვენ მივაღწიეთ ისეთ დიდ საქმეს, რომ ჩვენს ქვეყანაში ფეხს იკიდებს საქსოვი მანქანები, გვაქვს აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა. არათუ ჩვენ, კერძო კაცს, გეთიას თავისი ხარჯით მოუტანია მანქანები; ამ დღეებში განცხადებით შემოვიდა, მთხოვს, მიეცე დახმარება, რათა წარმოება

გააფართოოს, აგრეთვე თხოულობს მივცეთ ამ საქმის მცოდნე ადამიანი, რომ მანქანებზე მუშაობა ასწავლოს ახალგაზრდა ქალებს, რომელნიც დაქირავებულნი იქნებიან ქსოვის ათვისების შემდეგ. მან თვითონ იცის ეს საქმე, პრაქტიკულად შეუსწავლია, მაგრამ ეშინია საკუთარი ძალით გაუძღვეს მას. ამ კაცს უნდა დავეხმაროთ, ვინ ჩამოთელის რამდენი ჰყავს ხაზინას დასახმარებელი. როდესაც მეაბრეშუმეობა ასე კარგად ვრცელდება ჩვენში, აუცილებელია თუთის ხეების პლანტაციების გაშენება. ყოველ გლეხს უნდა დაევალოს ამ ხეების დარგვა, აგრეთვე ჩემს მამულშიც უნდა გაშენდეს იგი.

— აუცილებელია, ბატონო, — უპასუხებდნენ მრჩevლები. — ის გეთია, მართლაც, დახმარების ღირსია, ყოჩაღი და თავისი საქმის მცოდნე კაცია.

მეაბრეშუმეობის საქმის მოსაგვარებლად დავითმა მართლა მოიწვია სპეციალისტი.

სამთავრო თანდათან მდიდრდებოდა, გლეხების მდგომარეობა კი სულ უფრო და უფრო უარესდებოდა, გლეხს თანდათან მეტი ტვირთი აწვებოდა, იზრდებოდა გადასახადები იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მატულობდა მთავრისა და სხვა ფეოდალის მოთხოვნილებანი სხვადასხვა საჯაჭრო საქონლის შემოსვლასთან დაკავშირებით. გაღატაკებული გლეხი ვეღარ აკმაყოფილებდა მებატონეთა გაზრდილ მოთხოვნილებებს და ამიტომ მადგახსნილი ფეოდალები გლეხებს შეუბრალებლად ეპყრობოდნენ.

გლეხები ჯერ თითო-თითოდ გარბოდნენ მებატონეებისაგან, ხოლო შემდეგ უკვე მთელი გვარი აიყრებოდა ხოლმე დედიანბუდიანად. გახშირდა მებატონეების მკვლელობა. არა მარტო მებატონეები ეპყრობოდნენ გლეხებს ცუდად, ხშირად თვით მთავარი ყველაზე მეტად ცოდავდა მათ წინაშე.

მღელვარება ძლიერდებოდა და ეს დიდად აფიქრებდა დავით დადიანს. არეულობა ხელს უშლიდა მის მიერ დაწყებული სამუშაოების შესრულებას.

ერთდროულად კეთდებოდა და ლამაზდებოდა ზუგდიდის ბაღი და ზუგდიდის სასახლე. კიდევ უფრო უკეთესი გემოვნებით შენდებოდა მთავრის საზაფხულო სამყოფელი გორდი,

რომლის ხეივნების სილამაზე და მრავალფეროვნება რუსეთიდან და უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებსაც აკვირვებდა.

— ქვეყანა თუ გლეხებიდან დაიცლება, რით განვითარდეს, ბატონო ჩემო, მეურნეობა და ახლად დაწყებული ვაჭრობა-მრეწველობა? — მიმართავდა დავითი იმ თავადებს და აზნაურებს, რომელთაც გლეხები გაურბოდნენ.

— აბა როგორ მოვიქცეთ, ბატონო! თავზე ვერ დავისვამთ ყმებს. მსახურად ვერ დავუდგებით. თუ შენ არ მიიღებ ზომებს, ჩვენ მარტო რა გაგვივა.

— ნუ ჩააყენებთ გლეხს ისეთ დღეში, რომ თავი მოსძულდეს და გაგექცეთ, — არიგებდა სხვებს მთავარი, რომელიც პირველი თვითონ აძრობდა ტყავს და პირიდან ლუკმას აცლიდა.

გლეხს ახლა ახალი მფარველი ეგულებოდა. ის რუსთა ხელმწიფის მოხელეებისაგან მოელოდა სამართალს, გვერდს უვლიდა მთავარს და პირდაპირ გუბერნიის მმართველს ან ადგილობრივ პოლიციას მიმართავდა თავის დასაცავად.

დავით დადიანს კლასობრივი ბრძოლის ყველა ფორმაზე მეტად ასეთი ბრძოლის ფორმა აშინებდა. თავმოყვარეობა ელახებოდა, გლეხების ეს მოქმედება მთავრის უძლურების დამამტკიცებლად მიაჩნდა. ამიტომ ის გლეხს უფრო მკაცრად ექცეოდა. მეტს სთხოვდა, არ ინდობდა.

მთავარს ბევრი განზრახვა ჰქონდა. მართალია, ესენი საქვეყნო საქმეები იყო, მაგრამ ყოველ საქმეში დავითი თვითონ იგებდა უმეტესს. გადაწყვეტილი ჰქონდა ზუგდიდიდან შავ ზღვამდე წყალსაწრეტი არხი გაეყვანა და ამ უზარმაზარ მიწებზე ჭაობები დაეშრო. იქვე ნავსადგურის აშენებასაც აპირებდა. მუშაობა უკვე დაწყებული იყო, რომ დავითი მძიმედ ავად გახდა.

ეკატერინე ჭავჭავაძის ქალს, დაინტერესებულს დავითის გეგმებით, მრავალი მოვალეობა დააწვა თავზე. ახლა თითქმის ის მართავდა სამთავროს. თვითონ ხელმძღვანელობდა საგარეო და საშინაო საქმეებს.

ეკატერინე ქმრის კარგად ყოფნის დროსაც ახლო იდგა სამეგრელოს მმართველობის საქმეებთან.

მას სურდა საქართველოს ერთ-ერთი კუთხე ისე მოეწყო,

როგორც მამამისს ჰქონდა მოწყობილი: თბილისში — სასახლე, ხოლო კახეთში — სოფლები.

დედაქალაქსა და წინანდალში აღზრდილი ქალი სიამით იგონებდა თბილისის სასახლის მორთულობას. ბაღებითა და ვაზის ზვრებით განთქმული წინანდლის მოგონება ყოველთვის სურვილს უღვივებდა, რომელიმე თავისი მამული მის მსგავსად მოეწყო, როგორც გარეგნული სიმდიდრით და სილამაზით, ისე შემოსავლიანობითაც.

ეკატერინე, იმ დროისათვის განათლებული ქალი, ბავშვობიდან საქართველოს მოწინავე საზოგადოებაში აღზრდილი, ვერ კმაყოფილდებოდა იმ წრით, იმ ადამიანებით, რომელნიც სამეგრელოში გარს ეხვივნენ მას; ხშირად აგონდებოდა თავისი ნებიერი ქალიშვილობა, ახალგაზრდობის მეგობარი ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და სხვა ნაცნობ-მეგობრები, რომელნიც გუნდრუკს უკმევდნენ მის სილამაზეს.

ეკატერინეს გარეგნობა, ტკბილი სიმღერა, კლავიშებზე თლილი თითების სრიალი, ცეკვა, გონივრული საუბარი არა ერთი და ორი ქართველი პოეტისათვის გამხდარა შთაგონების წყარო. ყოველივე ამას მოკლებული ქალი ახლა წიგნების კითხვით, საზოგადო საქმეებითა და შვილების აღზრდით იყო გატაცებული. ამჟამად თავისი ნიჭი და განათლება სხვა უფრო სასარგებლო საქმისათვის გამოიყენა: მხურვალე მონაწილეობა მიიღო ზუგდიდში აბრეშუმის ფაბრიკის აშენების საქმეში. ფაბრიკა ააგო, მაგრამ გლეხის ქალებმა თავი შორს დაიჭირეს, არ უნდოდათ ფაბრიკაში მუშაობა. ეკატერინემ არ იცოდა რა ექნა.

— როგორა სჯობს, დავით, გეთაყვა! ფაბრიკა რად გვინდა, თუ მუშახელი არ გვეყოლება?

— არაფერია, დავითანხმებთ, ქალებს ღომის ცეხვაც არ უყვართ, მაგრამ ვაცეხვინებთ. თუ გაჭირდა, ძალასაც დავატანთ, სულაც ბეგარად დავადებ ფაბრიკაში მუშაობას.

— შენ ყველაფერში ძალა და ბეგარა უნდა იხმარო. მანქანაზე მუშაობა ღომის ცეხვა როდია, ხომ შეიძლება ძალით გამოყვანილმა, გაგულისებულმა ქალებმა მანქანები დაგვიმტვრიონ?

— აბა რა ვქნათ?

— მე წავალ ქალებთან, შეეაგონებ ტკბილი სიტყვით, ვინძ-

ლო დავითანხმო. მათ ხომ ჯამაგირი ექნებათ იქ, ამასაც ავუხსნი გარკვეულად.

— როგორც გენებოს, მართალი გითხრა, მაინცდამაინც სასახელო არაა ჩემთვის მეუღლე ჩემი კარდაკარ დადიოდეს და დედაკაცებს ეხვეწებოდეს, მოდით, იმუშავეთო. ეს ამბავიც ჩვენი უძლურების დამამტკიცებელია.

— როგორ გეკადრება ასეთი ქედმაღლობა, ძვირფასო ჩემო? ჩემი მოქმედება სრულებით არ შელახავს შენს თავმოყვარეობას და არც ჩემსას. მოიგონე, რა ჰქნეს ინგლისის მქსოველმა მუშებმა, როდესაც პირველად საქსოვ მანქანაზე გადაიყვანეს წარმოება. ყველაფერს მიჩვევა უნდა.

მთავარს გაეღიმა, ცოლს წერწეტ წელზე ხელი მოხვია და ჩაეხუმრა:

— ისე როგორც შენ შეეჩვიე მიყრუებულ ზუგდიდს თბილისის სალონების შემდეგ, არა?

— მიყრუებულ ზუგდიდს კი არ შევეჩვიე, შენ და ჩვენს შვილებს შევეჩვიე, ამ კუთხის გამშვენიერებისა და გამდიდრების აზრს შევეჩვიე.

ეკატერინე გრძნობდა, რომ დავითი კარგ გუნებაზე იყო და მოინდომა ამ განწყობილებით ესარგებლა, მეუღლეს საუბარი გაუმართა ზუგდიდის ბაღზე.

— სანამ უნდა იყოს, ჩემო ძვირფასო, ჩვენი დიდი პარკი, ეგზომ მდიდარი ძველთაძველი იშვიათი ჯიშის ხეებით, ასე დაყრუებული და გაველანებული? ბავშვები ვერ გამიტარებია ბაღში, ისეთი ეკალ-ბარდი აკრავს. დიდი სურვილი მაქვს ბაღი ჩემი გემოვნებით მოვაწყო, თუ შენ თანხები არ გემეტება ამ საქმისათვის, მე მზად ვარ შენ მიერ ჩემთვის წვრილმანი საჭიროებისათვის განკუთვნილი თანხა დავხარჯო.

— ლამაზად გაშენებულ ბაღში მე შრომითა და ფიქრით დაღლილი შენს გვერდით დავისვენებ; იმ ბედნიერ და უდარდელ ახალგაზრდობას მოვიგონებ, როდესაც შენზე ვოცნებობდი, — უთხრა ღიმილით დავითმა.

ეკატერინე იმ დღიდან შეუდგა ბაღის კეთილმოწყობას. საფრანგეთიდან გამოითხოვა გამოცდილი მებაღე, შეუდგინა გეგმა თუ როგორ გაეშენებინა ბაღი, სხვადასხვა ქვეყნიდან გა-

მოიწერა ძვირფას იცენარეთა თესლი, დეკორატიული ხეების ნერგები და მუშაობა გააჩაღა.

სულ ძალე ზუგდიდის ბაღი ხეივნებითა და ყვავილნარით შეიმოსა, მაგრამ ყველაზე მეტად ბაღს ამშვენებდა ხელოვნური კუნძული, რომელიც ტბის შუაგულში ამართულიყო.

ტბაში თავისუფლად დაცურავდნენ პატარა ნავები. ხშირად თვით ეკატერინე ახსნიდა ნაპირზე მიბმულ ნავს, ჩაჯდებოდა შიგ და ხალისით უცქეროდა თეთრ გედებს, რომელნიც დინჯად დაცურავდნენ ტბაში. ისინიც გაკვირვებული უცქეროდნენ ნავით მოსეირნე დედოფალს.

ეკატერინეს შვილებს ძლიერ უყვარდათ ნავით სეირნობა. მაგრამ დედა მათ ერთგულ გამზრდელებსაც არ ანდობდა, თვითონ დაყვებოდა ყოველთვის.

— მეშინია, გეთაყვა, გედების დაჭერის სურვილმორეული ბავშვები არ გადაცვივდნენ ნავიდან, — ეტყოდა ის მომვლელ ქალებს. მრავალშვილიანი ეკატერინე სანიმუშო დედა იყო. მან ბევრი მწუხარება გადაიტანა. რამდენიმე ბავშვი ახლად დაბადებული მოკვდა, ახალგაზრდული სიხალისე და სიცოცხლისადმი სიყვარული მაინც მორეოდა შვილების დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებას. გონებრივი საზრდო და მოქმედების დიდი არე ხელს უწყობდა დაეძლია ყოველგვარი გასაჭირი. ეკატერინეს ბოლომდე შერჩა საკუთარი დამოუკიდებელი სულიერი ცხოვრების მოთხოვნილება. გულიც კი მოითხოვდა გართობას და ოცნებაში განავარდებას. ხშირად მარტო წავიდოდა თავის საყვარელ კუნძულზე, რომლის შუაგულს დიდი ტალავერი იდგა და ამაყად ვადაჰყურებდა ტბას. ტალავერში სელის საკარძლები და სკამები თითქოს სტუმრებს ელოდნენ, მაგრამ ეკატერინეს აქ კენტად მისვლაც უყვარდა, თან წაიღებდა საკითხავ წიგნებს და საათობით იჯდა ხოლმე იქ, წიგნში ყოველთვის ჩადებული ჰქონდა ტატო ბარათაშვილის ლექსების კრებული, რვეულში ლამაზი ხელით ჩაწერილი.

მოწიწებით გადაშლიდა ამ რვეულს და, ვინ იცის, მერამდენეჯერ წაიკითხავდა ძვირფას სტრიქონებს. ეს სტრიქონები მისთვის იყო მიძღვნილი, მას ეკუთვნოდა, თვითონ იყო აქ დახატული და ნაქები.

მწარედ შემოეჭდებოდა გულზე სევდა დაკარგულ მეგობარ-

ზე. ვინ იცის, ალბათ თავსაც ადანაშაულებდა ბავშვობის მეგობრის, ტატოს უბედურებაში.

ეკატერინე რომ ტატოს ტრაგიკულად დაღუპვის ამბავს გაიხსენებდა, უნებურად თავისი მეუღლის ჯანმრთელობაზე დაფიქრდებოდა. დავითს დღითი დღე სულ უფრო მაგრა ჰკიდებდა ხელს ავადმყოფობა. ერთ დღეს მთავარი მძიმე ავადმყოფი ჩაწვა ლოგინში. ეკატერინე, გრიგოლი და კონსტანტინე თავზე ადგნენ დავითს, უვლიდნენ. მაია სასოებით დასტრიალებდა თავს საპატიო მაზლს, ჩვეულებისამებრ არ მიიჩქაროდა ხიბულის სასახლისაკენ. ნებივრობას მიჩვეული მაია არად აგდებდა ღამის თევასაც.

დავითის ავადმყოფობამ და საბედისწერო მომავლის შიშმა ოჯახის წევრები ერთმანეთს დაახლოვა, უფრო თავაზიანი იყვნენ ერთმანეთთან. ხოლო გრიგოლის ცოლი, გურიის მთავრის ქალიშვილი, რომელიც ეკატერინეს არ უყვარდა, თავს არიდებდა ზუგდიდისა და გორდის სასახლეში ხანგრძლივად ყოფნას; უფრო ხშირად ქუთაისში ცხოვრობდა, უმეტესად კი პეტერბურგის სტუმარი იყო.

ობილისიდან და ქუთაისიდან საგანგებოდ მოწვეული სახელმოხვეჭილი მკურნალები უძლურნი აღმოჩნდნენ...

ზამთრის მიწურულს სამეგრელოს მთავარი დავითი უდრტვინველად გამოესალმა წუთისოფელს...

სასახლე ძაძით შეიმოსა. გამწარებული ძმები და მაია მწარედ დასტიროდნენ მიცვალებულს და თან ანუგეშებდნენ დამწუხრებულ ეკატერინეს, რომელსაც თავი ისე ეჭირა, რომ მასთან დავითის დაკრძალვის შესახებაც არაფრის თქმა არ ხერხდებოდა, თორემ სხვა რამეზე ლაპარაკი ხომ შეუძლებელი იყო.

გრიგოლი თავისი შეხედულებებით ლიბერალი კაცი იყო, ცოტა რამ ადამიანურ შეღავათს თუ გლეხისთვის გაიმეტებდა, საკმარისად მიაჩნდა. ახლა ის დაინტერესებული იყო იმით, თუ რა სახეს მიიღებდა სამეგრელო დავითის შემდეგ, როგორ წარმართავდა ის ძმის მიერ წამოწყებულ საქმეებს, როგორ შეძლებდა მკაცრი მებატონეების ალაგმვას, უკმაყოფილო გლეხთა დაშოშმინებას და სხვა საქმეების უმტკივნეულოდ მოგვარებას.

— ჩვენი ხალხი, ბატონებო, ჩვენზე კარგად გრძნობს ქვეყ-

ნის მომავალს. ხმები დადის, რომ ომია მოსალოდნელი, — ეტყოდა ის კონსტანტინესა და პოტოცკის. — წარმოვიდგინოთ რა მდგომარეობაში ჩავარდება საქართველო და პირველ რიგში სამეგრელო-აფხაზეთი, თუ თურქებმა რუსეთთან შებმა გაბედეს. რა დროს გამოგვეცალა ხელიდან ჩვენი გონიერი და მტკიცე ნებისყოფის მქონე ძმა.

— დავითს ვეღარ დავიბრუნებთ, გრიგოლ, — უპასუხა ძმას კონსტანტინემ. ახლა შენ უნდა აღიჭურვო მისი თვისებებით და განაგრძო მის მიერ დაწყებული საქმეები, ჩვენც მხარში ამოგიდგებით.

კონსტანტინე დარწმუნებული იყო, რომ გრიგოლი ყოველგვარ წინააღმდეგობას გაუძლებდა და გულწრფელად აღიჭურვა საუკეთესო სურვილებით. პოტოცკიმ კი დასძინა:

— სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი უბრწყინვალესობა, თავადო გრიგოლ, არ იქნება ცუდი მთავარი. თქვენ კიდევ უფრო ღრმად ჩაიხედავთ ხალხის გულში, ბევრ ცვლილებას შეიტანთ ამ კუთხის ცხოვრებაში. დიდი დანაკლისია თქვენი ძმის სიკვდილი. ჯერ ის საკმაოდ ახალგაზრდა იყო, მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. რამდენადაც ფიცხი და მკაცრი იყო, იმდენად კეთილი და გამგონე თავისი ერთგული მრჩეველებისა.

— სამწუხაროა, ბატონო, რომ ჩემს გონიერ ძმას ესოდენ დიდი ნაკლი ჰქონდა. მე მაგონდება გეგეჭკორის ამბავი, რომელიც ჩემი ძვირფასი ძმის პიროვნებას ჩრდილს აყენებს.

— მე ეს ამბავი გაკვრით გამიგონია. — უპასუხა პოტოცკიმ.

— რად გინდათ, ნურც ახლა გაიგონებთ.

დავითი დიდი პატივით დაკრძალეს. არავინ იცოდა, თუ რითი გათავდებოდა სასახლის კუთხეებში ატეხილი ჩურჩული იმის შესახებ, თუ ვინ იქნებოდა მთავარი. ყველა დაძაბულად ელოდებოდა დავითის შემცვლელ კაცს.

დავითის შემდეგ

ღავითის სიკვდილმა და ეკატერინეს მმართველად დანიშვნამ გრიგოლ დადიანი კალაპოტიდან ამოაგდო.

ძმის სიკვდილის შემდეგ მას ბუნებრივად და კანონიერად მიაჩნდა სამეგრელოს მთავრად თავისი დანიშვნა, ვიდრე კანონიერი მემკვიდრე, ექვსი წლის ნიკო, სრულწლოვანი გახდებოდა.

— პირადი განდიდების და ძალაუფლების ხელში აღება რომ არ მიზიდავდა, ეს თქვენც კარგად იცით, — არწმუნებდა გრიგოლი უმცროს ძმასა და პოტოცკის, — მე მინდოდა ამ კუთხის საქმე კარგად მომეწყო. ჩემი რძალი ეკატერინე კონსერვატორი ქალია, არაფერს არ შეცვლის მართვა-გამგეობაში. თვით ნახავთ, რა დაემართოს სამთავროს მის ხელში. მართალია, ეკატერინე გავლენიანი ქალია, რუსი ხელმწიფიდან მოყოლებული ადგილობრივ რუსეთის მოხელეებამდე, მას ყველა პატივს სცემს, ყველამ კარგად იცის მისი ოჯახიშვილობა. ის გარსევან ჭავჭავაძის შეილიშვილია და იმპერატრიცის ნათლულის, ალექსანდრეს ქალიშვილი, მაგრამ ეს არ კმარა.

— არც ასე გადაწყვეტით ითქმის, თქვენო ბრწყინვალებავ! ეკატერინე ჭკვიანი ქალია. მმართველობის საქმესაც იცნობს განსვენებული თქვენი ძმისაგან. თუ ამას დავძენთ მეფის განკარგულებას, მაზლებმა მას დახმარება უნდა აღმოუჩინოთ საჭიროების მიხედვით. არა, მე ვფიქრობ, ის შეძლებს მმართველობას. — დაასკვნა პოტოცკიმ.

მან მშვენივრად იცოდა რატომ არ დანიშნა მეფემ გრიგოლი მთავრად, მეფის მოხელეებმა დავითის გარდაცვალებისთანავე აცნობეს რუსეთის იმპერატორს რა შეხედულებების და მსოფლმხედველობის კაცი იყო გრიგოლ დადიანი. რასაკვირველია, ლიბერალური იდეებით გატაცებული გრიგოლი მთავრად არ გამოადგებოდა რუსეთის თვითმპყრობელობას და ამიტომ ამჯობინეს ეკატერინეს გამთავრება.

ამის გამხელა პოტოცკის გრიგოლთან არ შეეძლო და ამიტომ გრიგოლი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დარჩა მისი პასუხით.

გრიგოლი გრძნობდა, რომ ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა კონსერვატიულად განწყობილ რძალზე, ამიტომ გადაწყვიტა არ ჩარეულიყო სამთავროს საქმეებში, მიუხედავად იმისა, რომ მას ძმებთან შედარებით ერთგვარად შესტკიოდა

გული ხალხისათვის. თუ წინათ იგი სამთავროს დამოუკიდებლობის აზრისა იყო, ახლა სამთავროს გაუქმებას აირჩევდა, ნაკლები ეყოლება მუქთახორა სარჩენი ხალხს. მაინც რუსეთის თვითმპყრობელობის ხელში ვართ და ერთი პატრონი ჰყავდეს ხალხს ისა სჯობია, ვინემ ორი პატრონისა. ამ აზრს იზიარებდნენ გიორგი დადიანი და მისი ძმები პეტრე და ბესარიონი. ისინი ასე იმიტომაც ფიქრობდნენ, რომ ქვეყნის გამგებლად ქალის ყოფნას ვერ ურიგდებოდნენ. მართალია, სამთავროს კი არა, თამარის სახით მთელ საქართველოს ჰყოლია ქალი გამგებლად, მაგრამ ის სხვა ქალი იყო, დროც სხვა იყო. მათ გაგებული ჰქონდათ რატომ დასვა რუსეთმა ეკატერინე ტახტზე და ამჯობინებდნენ რუსეთის თვითმპყრობელობას თვითონ გაეკეთებინა ის, რასაც ეკატერინეს გააკეთებინებდნენ თავის ხელით.

ამ დროს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაწყებული იყო და ოსმალეთი ყოველნაირად ეცდებოდა ჯავრი ეყარა სამეგრელოზე, რომელმაც მას ზურგი შეაქცია და რუსეთს შეაფარა თავი, იმავე გრძნობით იყო თურქეთი განწყობილი აფხაზეთისადმიც. საჭირო იყო რუსის ჯარის განლაგება შავი ზღვის სანაპიროზე და მის საზღვარზე. დადიანები რომ ამ ფიქრში იყვნენ, ოსმალეთი გულხელდაკრეფილი არ იჯდა. თურქების მიერ სევასტოპოლის დაპყრობისთანავე ოსმალეთმა აფხაზეთში ჯარი გადმოსხა.

მიხეილ შერვაშიძე სრულიად მოუმზადებელი იყო, არ ელოდა მტრის ასეთ უცნაურ თავდასხმას. ძლივს მოასწრო ცოლშვილის სამეგრელოში გახიზვნა და ოსმალეთის ჯარის სარდალს ომერ-ფაშას პურ-მარილით შეეგება, რომ სამთავრო აოხრებისაგან გადაერჩინა. მთავარი ისე იყო დაბნეული, არ იცოდა რა გზას დადგომოდა, ომერ-ფაშას მიკედლებოდა, თუ რუსეთის ერთგული დარჩენილიყო. თუმცა საყოყმანო რა ჰქონდა. რასაკვირველია, ისევ ერთმორწმუნე დიდ რუსეთთან მეგობრობა ერჩია, მაგრამ ამის გამჟღავნება ახლა არ არგებდა, მაშინ აშკარად უნდა შებმოდა ომერ-ფაშას. საამისოდ ან ჯარი სადა ჰყავდა ან იარაღი სადა ჰქონდა! ისევ ხერხით და მოტყუებით თუ დაიხსნიდა თავის ხალხს განადგურებისაგან. ოსმალები მაშინვე მიუხვდნენ მთავარს.

— პურ-მარილით კი მხვდები, მთავარო, — მიმართა ომერ-ფაშამ შერკაშიძეს, — პირში ბიცინი, მაგრამ გული რომ შავი გაქვს?

— რად მკადრებთ მაგას, სარდალო?

— აბა, რად გახიზნე ცოლ-შვილი სამეგრელოში?

მიხეილი არ დაიბნა.

— მეუღლე ავად მყავს და მამასთან გავგზავნე სამკურნალოდ. ცნობილი დოსტაქარი თურმანიძე ჰყავს ჩემს სიმამრს იმერეთიდან დაბარებული.

ომერ-ფაშა მიუხვდა ეშმაკობას მთავარს, მაგრამ არ აურძნობინა და ასე უპასუხა:

— ოსმალოთ დოსტაქრობაში ბადალი არა ჰყავთ ქვეყანაზე, საჩქაროდ გამოიხმე უკან შენი ჯალაბი. შენს ცოლს ჩვენ გამოეუნახავთ მკურნალს.

მთავარს ცეცხლი წაუკიდა სარდლის სიტყვამ, მაგრამ რა გზა ჰქონდა, თავისი რისხვა გულში უნდა ჩაეკლა.

— მადლობის მეტი რა მეთქმის ასეთი კეთილი სურვილებისათვის, — მიუგო მიხეილმა სარდალს.

— აქვე დაწერე წერილი და ჩემი მალემსრბოლი წაიღებს სამეგრელოში.

თითქოს სილა გააწნესო მთავარს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, აქაც შეიკავა თავი. დაჯდა და ომერ-ფაშას წინ დაწერა წერილი. იმავე ღამეს კი გიორგი დადიანთან მსტოვარი აფრინა, რათა ომერ-ფაშას კაცისთვის ჩაესწრო. მსტოვარს ამბავი მიჰქონდა ცუცუსთან, არ წამოსულიყო აფხაზეთში. ახლავე ჩაწოლილიყო ლოგინად და წერილზე ეპასუხნა: მძიმე ავადმყოფობის გამო ჩემი მგზავრობა შეუძლებელიაო. თვითონ კი ფიცხელ მზადებას შეუდგა შეეგროვებინა რჩეული ვაჟკაცები და სამეგრელოში წასულიყო. დღეს თუ ხვალ ომერ-ფაშა სამეგრელოზე გაილაშქრებდა და მიხეილი იქ, მეგრელებთან ერთად, შეებმოდა ოსმალთა ჯარს.

ეს ამბავი მიხეილმა თავის ერთგულ ხასან მარღანიას გაანდო მეორე დღეს.

— ჩვენი ერთადერთი ხსნა რუსეთია. ვცდებოდით, ჩემო ხასან, აქამდე ოსმალეთისაკენ რომ გვეჭირა თვალი. საუკუნეების მანძილზე ვერ გამონახა საქართველომ ოსმალეთთან საერთო ენა

და ახლა ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ვერც ვერასოდეს გამონახავს. ჩვენ ოსმალეთის მეშვეობით ვიმედოვნებდით სრული დამოუკიდებლობის მიღებას, მაგრამ ამაოდ. თათრის უღელს, ისევ მეფის რუსეთის...

— უღელი სჯობიაო, გინდათ ბრძანოთ, არა? — გააწყვეტინა სიტყვა მთავარს ხასანმა.

— არა, ამის თქმა არ მინდოდა, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უპასუხა დაფიქრებულმა მთავარმა. — მეფის რუსეთს საქართველოსათვის მაინც სინათლე მოაქვს, თათარს — სიბნელე. მე უკვე გადავწყვიტე არ გავყვე ომერ-ფაშას სამეგრელოს დასალაშქრად. შენ ამაღამვე გაგზავნი კაცებს და შეატყობინებ ერთგულთ მოემზადონ ცხენ-იარაღით და საგზლით. ყოველმა თავადმა და აზნაურმა თან იყოლიოს ყველა, ვისაც კი ხმლის ხმარება შეუძლია და ხვალ ენგურს გაღმა დამელოდოს.

— ნუ აჩქარდებით, ბატონო მიხეილ, — შებედა სიტყვა ხასანმა. — დავიცადოთ, ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს, ოსმალო თუ რუსეთი და ამის მიხედვით გადავწყვიტოთ საით გადავდგათ ნაბიჯი. რუსეთს ჩვენ გზად და ხიდად ვუნდივართ, რომ აზიაში გზა გაიკვლიოს, ოსმალოს კი...

— ვიცი, ვიცი, ჩემო ხასან, არც ერთს არ ვახატივართ გულზე, მაგრამ ამ ორში მაინც რუსეთი ჯობია ჩვენთვის, საქართველო რუსეთთანაა, ჩვენ ვერ განვუდგებით ჩვენს ქვეყანას. სადაც მთელი საქართველოა, იქ ჩვენც.

— ეხ, მთავარო, მაინც საქართველო გიზიდავს. გონებას დაუჯერე და არა გულს. დროს მოვუცადოთ, საითაც სასწორი გადასძლევს, ჩვენც იქით გადავიხაროთ.

— არა, ხასან, მაგ გონებას მე ვერ დავუჯერებ და გაფრთხილებ, შენც ხელი აიღე ასეთ აზრზე, დრო არ იცდის, გასწი და შეასრულე, რაც გიბრძანე! თუ ხვალვე არ გავედით ენგურზე, მერე ყველა გზები შეკრული ექნებათ ოსმალებს. ჩვენ ამაღამვე უნდა გავიდეთ ქალაქიდან. ომერ-ფაშა ჯარის ახალ ნაწილებს ელის. აბა, გასწი, ხასან, ღმერთი გწყალობდეს!...

მიხეილი თავისი მცირე რაზმით უთენია გავიდა ქალაქიდან და პირდაპირ ენგურისაკენ გაეშურა. რჩეულ ცხენებზე იჯდა მთავარი და მისი ამალა, მათ ქარიც ვერ დაეწეოდათ, არც ეშინოდათ მღევრისა. ასამღე თაეზესელაღებული აფხაზი და

მეგრელი ახლდა მიხეილს, ისინი ათას კაცს იოლად გაუმკლავდებოდნენ.

ენგურს გაღმა ნაპირზე სოფელ კოკთან სამეგრელოს ჯარი იდგა. გამოღმაზე ფონთან მიხეილს აფხაზები ელოდნენ. მოაგდო თუ არა მიხეილმა ცხენი ფონთან, არ დააყოვნეს დამხვდურებმა, გადაეშვნენ წყალში და მალე მეორე ნაპირზე გავიდნენ.

* * *

რუსის და სამეგრელოს ჯარების სარდალი გენერალ-მაიორი მუხრან-ბატონი სასწრაფოდ შეუდგა ოსმალეთთან ომის სამზადისს. მცირერიცხოვანი ჯარი კოკთან და რუხის ციხესთან განალაგა. მისი ვარაუდით მტერს მხოლოდ ამ ორ ადგილას შეეძლო გადმოსვლა. გენერალი ყოველ წუთს მოელოდა ოსმალეთის თავდასხმას და მზად იყო თავდაცვითი ომისათვის.

მუხრან-ბატონის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა აცნობეს, აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძისა და მისი ჯარის გადმოსვლა ენგურზე.

ალექსის მოწამელისა და სამურზაყანოს ფულის სამეგრელოსათვის მიკუთვნების შემდეგ ორ მოძმე სამთავროს შორის კარგი დამოკიდებულება აღარ იყო. არც ეკატერინე დედოფალი, არც მუხრან-ბატონი არ ფიქრობდნენ, რომ მიხეილ შერვაშიძე სამეგრელოს ამოუდგებოდა გვერდში.

ამ დროს მუხრან-ბატონის რჩევით ეკატერინე ენგურის მახლობლად სოფელ ქვაშიხორში დაბინავდა, რომ აქედან ედევნებინა თვალი თავისი მცირერიცხოვანი მილიციისა და ჯარისთვის.

მიხეილ შერვაშიძე ენგურზე გადმოვიდა თუ არა, თავისი მებრძოლები აქ დატოვა და ამალასთან ერთად ზუგდიდს გაეშურა, რათა იქ კავკასიის მეფისნაცვალ მურავიოვს ხლებოდა.

მეფისნაცვალი ზუგდიდში ახალჩამოსული იყო. ის სამეგრელოს იმ თავადებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, რომლებიც რუსეთის ორგულად ეგულებოდა. ის კი არ იცოდა მურავიოვმა, რომ რაც გინდ სძულებოდა ამ თავადებს რუსეთის თვითმპყრობელობა, ოსმალეთზე მაინც არ გაცვლიდნენ და მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გვერდით ამოუდგებოდნენ. ეს ასეც

მოხდა. მურავიოვი ძლიერ ნასიამოვნები იყო თავადებთან თათბირით და შუა დღის საუზმეს მიირთმევდა, როცა მიხეილ შერვაშიძის მოსვლა მოახსენეს.

მურავიოვი მთავარს ცივად შეხვდა. მისალმებისა და ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ მეფისნაცვალმა პირდაპირ მოურიდებელი საყვედურებით მიმართა მიხეილს.

— როგორ მოხდა, მთავარო, რომ მტერს გულხელდაკრეფილი დახვდით და ისე შემოუშვით სოხუმში, ერთი თოფი არ გავარდნილა, თქვენ ხომ დღე დღეზე მოელოდით ოსმალებს.

— ისევე, როგორც თქვენ, — ცივად და წარბშეუხრელად მიუგო შერვაშიძემ. — რუსეთს საკმაო ჯარი ჰყავს ქართლ-კახეთში, ჩვენ თურქების მოსვლამდე ამ ჯარს მოველოდით სამეგრელოსა და აფხაზეთში, მაგრამ იგი ჯერაც არა ჩანს. ჩემი ერთი მუჭა მეომრებით ომერ-ფაშას ოცდაათი ათასიან ლაშქართან შებმა მხოლოდ უგუნურება იქნებოდა. აქამდე ორივე ფეხზე იდგა. უცებ მურავიოვი სავარძელში ჩაჯდა. მას შერვაშიძისათვის დაჯდომა არ შეუთავაზებია. ეს კი მთავარმა მურავიოვის ქედმაღლობას მიაწერა და თვითონ დაჯდა. მურავიოვი ახლაღა მიხვდა თავის უტაქტობას. — მე ჩემი მეომრები უკვე შევუერთე მუხრან-ბატონის ჯარს, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, თქვენს ჯარებს ახლაც ვერ ვხედავ სამეგრელოში. ომერ-ფაშა გაიგებს რა ჩემს ღალატს, აღარ დააყოვნებს, პირდაპირ გამოსწევს სამეგრელოსაკენ. მან კარგად იცის, რომ აქ რუსის ერთი ჯარისკაციც არა დგას.

მეფისნაცვალი არ ელოდა ასეთ შემოტევას. მთავარი მართალი იყო. აბა რა ეთქმოდა მურავიოვს საპასუხო. ხომ ვერ ეტყოდა, რომ რუსეთს საქართველოში არ ჰყავდა იმდენი ჯარი, რამდენსაც მთავარი ფიქრობდა, რომ რუსეთს ძლიერ უჭირდა მთავარ ფრონტზე, რომ იგი ყარსის გარემოცვისათვის ემზადებოდა, მთელი ძალები იქ ჰყავდა გადასროლილი. ვერც იმას იტყოდა მეფისნაცვალი, რომ საქართველოდან იქ გაიგზავნა ჯარის დიდი ნაწილი. ხოლო იმ ორი ათას ჯარისკაცს, რომელიც მის ხელთ იყო, აბა რა დახმარება უნდა გაეწია სამეგრელოსათვის.

— უნდა მოგახსენოთ, მთავარო, რომ თქვენ ნაწილობრივ მართალი ხართ. ჩვენ დაგვაგვიანდა ჯარის გადმოყვანა, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს. ახლა ჩვენი ეალია ენგურს გამოღ-

მა არ გადმოვუშვათ მტერი. ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ორი ათასი ჯარისკაცის მოცემა შეგვიძლია.

— ორი ათასი?! — გაოცდა მთავარი. — თქვენ ხომ იცით, რომ ომერ-ფაშას ოცდაათი ათასი ჯარისკაცი ჰყავს.

— ვიცი.

— რით გაუმკლავდეს სამეგრელო და აფხაზეთი ასეთ ძლიერ და მრავალრიცხოვან მტერს, რომელიც ფეხიდან კბილამდე იარაღშია ჩამჯდარი! გამოდის, რომ იარაღით აღჭურვილ მტერს, ცულითა და წალდით უნდა დაეუხვდეთ. თითო კაცზე თითო მოწინააღმდეგე რომ მოდიოდეს, კიდევ ვიხმარებდით რაიმე ღონეს, მაგრამ როცა ერთ ჩვენს მებრძოლზე თხუთმეტი ოსმალო მოდის, აბა იქ რა გული უნდა გვქონდეს. თქვენი ჯარისკაცების იარაღითაც ვერ დავიტრაბახებთ. აბა, რას მოვა კაჟიანი თოფი მიენის შაშხანასთან.

მურავიოვმა ვერაფერი უთხრა მთავარს სანუგეშო. აღშფოთებული მიხეილი თავისი სიმამრის, გიორგი დადიანის სანახავად გაეშურა. ალექსის დაღუპვის შემდეგ მათ ერთმანეთი არ ენახათ. გიორგის გადაწყვეტილი ჰქონდა არასოდეს ენახა თავისი სიძე, მაგრამ ახლა, ქვეყნის გასაჭირის ჟამს, არ შეეძლო მეგობრული ხელი არ მიეშველებინა კაცისათვის, რომელიც იმისათვის მოვიდა, რომ თუ საჭირო იქნებოდა, მასთან ერთად თავი დაედო სამშობლოს დასაცავად.

გიორგი დადიანის სასახლე და ეზო-კარი ლტოლვილებით იყო სავსე, მაგრამ მასპინძელმა სტუმარი მაინც დიდი პატივით მიიღო. მიხეილს თავისი ცოლ-შვილი არც კი მოუკითხავს, სიმამრმა და სიძემ მაშინვე საქმეზე დაიწყეს ლაპარაკი. მიხეილი აღშფოთებით უყვებოდა მეფისნაცვალთან საუბრის შინაარსს. მაგრამ გიორგის არ გაკვირვებია მოსმენილი, თითქოს მან ყველაფერი ეს უკვე იცოდა.

— რუსი ჩვენ ახლა ჯარს ვერ მოგვცემს. ომის ბედს ყარსი ეადაწყვეტს. თუ იქ მოიგო ომი რუსმა, ომერ-ფაშა იმ დღესვე დატოვებს ჩვენს ქეყანას. ვილოცოთ ყარსზე გამარჯვებისათვის! — უთხრა გიორგიმ მიხეილს. — მილიციას გრიგოლ დადიანი მეთაურობს, ხალხს ჩვენ ჩავუდგეთ სათავეში. საბედნიეროდ, სამთავროს შინაური მტრებიც იარაღით და სურსათით გამოდის ქუდზე კაცი.

— გარეშე მტერთან ჩვენ ყოველთვის ერთად შეკრული გამოვდიოდით, გიორგი. ეს ახლაც ასე იქნება და მომავალშიც...— ერთხანს იყუჩა აფხაზეთის მთავარმა და მერე დაეჭვებით განაგრძო: — მაგრამ მე მაინც მგონია, რომ რუსეთს შეეძლო ახლა ჩვენთვის იმდენი ჯარი გამოეყო, რომ ომერ-ფაშა არ შემოეშვა ჩვენს მიწაზე. ჩანს, თვითმპყრობელ მეფეს ჩვენი გაჩანაგება უნდა, რომ უფრო მაგრა შეგვადგას უღელი. გახსოვს ტოტლებენის ღალატი ასპინძის ომში? აი რა გვიქნა რუსეთმა მაშინ.

— მახსოვს, — დაფიქრებით მიუგო გიორგიმ. — მაგრამ ტოტლებენის ღალატი რუსის ღალატი არ იყო. თუ არა ვცდები, ტოტლებენი გერმანელი გახლდათ.

— მაგას რას მნიშვნელობა აქვს, ხომ რუსის გენერალი იყო, ჩემო გიორგი.

— რუსის გენერალი! — გაიმეორა გიორგიმ. ის ბოლთას სცემდა ოთახში. შედგა მთავრის წინ. — რუსის გენერალი კი არა, რუსეთის დაქირავებული გენერალი... — თქვა ხაზგასმით. — მაგრამ დავანებოთ ამას თავი. რუსეთისათვის ასპინძის განმეორება არ იქნება ახლა ხელსაყრელი. ჩვენ ყოველგვარი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ომერ-ფაშა როგორმე შევაკავოთ, სანამ ყარსში რუსი გაიმარჯვებდეს, რუსი რომ ყარსში გაიმარჯვებს, ამაში დარწმუნებული ვარ. მართალია, აფხაზსა და მეგრელს აგერ ორმოცი წელიწადია არ უომნია, მაგრამ ჩვენს ხალხს იარაღის ხმარება და მომხდურის დახვედრა არ დავიწყებია.

მართლაც ხალხი, თავადები თუ გლეხები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მტერს მზად დახვედროდნენ. ამ განსაცდელის ჟამს მაიამაც გამოიღო ხელი. მისი გლეხებიდან ქუდზე კაცი გამოვიდა საომრად. მაიამ თვითონ შეიძინა მათთვის იარაღი, ვისაც ფეხსაცმელი არ ჰქონდა, ჩაიცვა. ოქროვერცხლი არ დაიშურა, გახსნა თავისი განძეულობის ყუთი და ნახევარზე მეტი გაუგზავნა ივანე მუხრან-ბატონს ჯარის საჭიროებისათვის. არც თავადს, არც აზნაურს და ღარიბ გლეხსაც კი არაფერი დაუშურებია. თვით ჯოლორია დგებიაც დიდად გულუხვობდა, თუმცა უფრო იმისათვის, რომ სხვას არ ჩამორჩენოდა.

დაიძრა ლაკადიდან ხალხი. ეს მთის სოფლები ყოველთვის ცნობილი იყო გულადობით და ვაჟკაცობით. ლაკადის გლეხები

ისეთივე შეუდრეკელი მეომრები იყვნენ, როგორიც ფშავ-ხევსურები. მთის გლეხობას ხელმძღვანელობდა მჭედელი უტუ მიქაია — სახელმოხვეჭილი ხელოსანი, გლეხობის მოსარჩლე, მათი ინტერესების შეუპოვარი დამცველი.

როგორც კი უტუმ ომერ-ფაშას აფხაზეთში შემოსელის ამბავი გაიგო, მაშინვე მიხვდა, რომ იგი დღეს-ხვალ სამეგრელოზე გამოილაშქრებდა და სასწრაფოდ შეუდგა ხალხის შეგროვებას. მისი სამჭედლო დღე და ღამე მუშაობდა, ჭედდნენ საომარ იარაღს, ძველს აახლებდნენ, ლესდნენ, პირავდნენ.

გლეხებს, დიდსა და პატარას, სამჭედლოში მოჰქონდათ თუ რაიმე ძველი რკინის ნაჭერი მოეძებნებოდათ — უვარგისი თოხი, ბარი, ბორბლის სალტე. ყველაფერ ამას ადნობდნენ, რუსული ხიშტის მაგვარ იარაღს ამზადებდნენ, შინდის ან კაკლის ხის ტარებს უკეთებდნენ.

რამდენიმე დღეში საკმაოდ კარგად შეიარაღებული უტუს რაზმი ენგურში ჩამოვიდა და გრიგოლის მილიციას შეუერთდა.

ომერ-ფაშა რუხის ციხესთან უყრიდა თავს ჯარის მთავარ ნაწილებს. მზვერავებმა მუხრან-ბატონს ამბავი მოუტანეს, რომ მტერი სწორედ რუხის ციხის მიდამოებში აპირებდა ენგურის გადმოლახვას და გენერალმა აქ განალაგა თავისი შერეული ჯარის საიმედო ნაწილები.

გიორგი დადიანმა და მიხეილ შერვაშიძემ არ მოიწონეს მუხრან-ბატონის ასეთი გეგმა. მათაც თავისი მზვერავები ჰყავდათ შეგზავნილი თურქთა ჯარში და მოტანილი ამბის მიხედვით, ომერ-ფაშა სოფელ კოკთან აპირებდა ენგურზე გადმოსვლას. ისინი თავიანთი მეომრებით კოკთან დარჩნენ და იქ გამაგრდნენ. მათთან დარჩა უტუ მიქავაც და ჯოღორია დგებიაც. ჯოღორიას გიორგი დადიანის გულის მოგება უნდოდა. ფიქრობდა: თუ გამიმართლდა და თავი ვისახელე, გიორგისთვისაც სახელი იქნება, მადლიერი დამრჩება, თუ გაგვიჭირდა, დროზე ვუშველი თავს, თურქი თუ შემოვიდა, გიორგის მომადლიერება რაღად მინდაო.

მართლაც მიხეილის და გიორგის ვარაუდი გამართლდა. ომერ-ფაშამ დაიწყო თუ არა შეტევა რუხთან, მაშინვე უკან დაიხია, თავდაცვით ბრძოლაზე გადავიდა. მუხრან-ბატონისათვის თვალი რომ აეხვია, ჯარის დიდი ნაწილი კოკისკენ გააპარა და

იქ მთელი სიძლიერით შეუტია გიორგის და მიხეილის ერთ მუჭა გუნდს.

მუხრან-ბატონი გვიან მიხვდა თავის შეცდომას. სწრაფად მოხსნა ჯარის დიდი ნაწილი რუხიდან და კოკისკენ გამოეშურა.

სანამ მუხრან-ბატონის ჯარი კოკამდე მოაღწევდა, გიორგისა და მიხეილის მეომრები თავგანწირვით ებრძოდნენ ათჯერ უფრო მრავალრიცხოვან მტერს. იმ წელს შემოდგომა გვალვიანი იყო, სულ ერთავად ტაროსი იდგა, ენგური დაპატარავდა და კოკთან ფონზე გასვლა ქვეითადაც შეიძლებოდა. ამიტომ მტრის ჯარი ერთბაშად შემოვიდა მდინარეში, გიორგის და მიხეილის მებრძოლები ენგურის კალაპოტში შეეგებნენ მტერს და შუა მდინარეში გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. პირველი გიორგი ეკვეთა მტერს. თავის ყაბარდოულ ვაყაზე მჯდარი, იგი მარჯვნივ და მარცხნივ ჩეხდა მტრის ქვეითებს.

ერთხანს ჯოლორია დგებია გვერდიდან არ მოშორებია გიორგის, ლომივით იბრძოდა გულადი თავადი, მას თან ახლდა თავისი ყმა გელა ჯგერენაია. ის არ იჯდა ისეთ ცხენზე, როგორზეც მისი ბატონი, არ იყო ჯავშნით შემოსილი, არც ხმალი ჰქონდა და არც თოფი, მას უტუ მიქავას მიერ გამოჭედილი ორარშინიანი სატევარი ეპყრა ხელთ და ერთი დაკვრით შუაზე აპობდა ურჯულოს. გიორგის, ჯოლორიას და უტუს გმირობით აღტაცებული გელა ვერ ამჩნევდა როგორ თხელდებოდა მათ გარშემო გუნდი, მაგრამ აი დაინახა, როგორ აარიდა თავი ჯოლორიამ გიორგი დადიანზე მიჭრილი მტრის ახალ ჯგუფს და იქით მიუშვა ცხენი, სადაც უფრო მეჩხერად უტევდა თურქი. ასეთი ღალატით გაოცებული გელა სახტად დარჩა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წამით, მერე გზა გადაუჭრა თავის მრისხანე ბატონს.

— საით, ჯოლორია?! ვერა ხედავ რა დღეშია გიორგი დადიანი?

გაბოროტებულმა ჯოლორიამ, პასუხის ნაცვლად, ხმალი მოუქნია თავხედ ყმას, რომ თავი წაეგდებინებინა, მაგრამ გელამ დროზე უგანა. ჯოლორიას მოქნეული ისეთი ძლიერი იყო, რომ კინაღამ თან გადმოყვა ხმალს, მეორედ შემობრუნების ჟამი აღარ იყო, ამ დროს თურქთა გუნდის ყიჟინა გაისმა მახლობლად. ჯოლორიამ იფიქრა, ამ გველის წიწილს მაინც მოვუსწრა-

ფეგ სიცოცხლესო, მე კი სჯობს თავს ეუშველოო და ქუსლი ჰკრა თავის ცხენს.

— სად გარბიხარ, შე მოღალატევ! — შესძახა გელამ ბატონს, იძრო უცებ ქარქაშიდან რქისტარიანი მეჯოგის გრძელი დანა, რომელიც ხანჯალს არაფრით ჩამოუვარდებოდა, ესროლა ჯოღორიას და შიგ ბეჭებში გაუყარა. მერე შემოტრიალდა და გიორგისაკენ მიუშვა ცხენი.

მძიმედ დაჭრილ გიორგი დადიანს ორი თურქი ერთად ებრძოდა. ერთი ის იყო უკანიდან მიეპარა და თავში კონდახი დასცხო, როცა გელა დაეცხრა ზედ ურჯულოებს. ერთს მხარი ჩამოათალა, მეორეს თავი წააგდებინა, შემდეგ დაწვდა გონებადაკარგულ გიორგის, წინ დაიგდო უნაგირზე და გაქუსლა.

თურქები უმალ დაედევნენ თავზესელაღებულ ჭაბუკს, მაგრამ მათ უტუმ გადაუჭრა გზა და კედელივით აიმართა მათ წინ.

ამ დროს მუხრან-ბატონის რუსის ჯარი და გრიგოლის მილიციის ნაწილები გამოჩნდნენ. მუხრან-ბატონმა მაშინვე შეატყო, რომ მტრის შეკავება შეუძლებელი იყო. ქართველებმა აქაც და რუხთანაც დიდი ზარალი ნახეს. ათასამდე მოკლული მეომარი ეყარა ენგურის პირას. ერთი იმდენი წყალმა წაიღო. უაზრო იყო მტერთან პირისპირ შებმა. გენერალმა გადაწყვიტა ნელ-ნელა დაეხია უკან თავისი მთავარი ნაწილით, ხოლო საუკეთესო მეომრებს, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მტრის სწრაფი წინსვლა უნდა შეეკავებინათ. ამ თავგანწირულ მებრძოლებში იყვნენ მეგრელები, რუსები, აფხაზები და გურულები. გრიგოლთან ერთად იბრძოდა უშიშარი, დევური აღნაგობის და ღონის კონსტანტინე, რომელსაც არც სიმარდე აკლდა და არც იარაღის ხმარებაში გაწაფულობა. იგი რისხვად ატყდებოდა გათამამებულ მტერს თავზე.

მუხრან-ბატონის ჯარი სწრაფად იხევდა სოფელ სეთისკენ. ოსმალეთის ჯარის მეტი ნაწილი ენგურზე გადმოვიდა, გენერალს ეშინოდა ალყა არ შემოერტყათ და მთლად არ ამოეწყვიტათ მისი ჯარი.

ენგურზე გადმოსულ თურქებს მუხრან-ბატონის მებრძოლებმა წინსელის საშუალება არ მისცეს. რუსთა სახაზო ბატალიონმა, რომელსაც აფხაზი პოლკოვნიკი ზვამბაია მეთაურობდა, საოცარი სიმამაცე გამოიჩინა. მართალია, ზვამბაია პირველ

შეტაკებისთანავე დაეცა, მაგრამ ბატალიონს უმალვე პოლკოვნიკი იოსელიანი ჩაუდგა სათავეში და სამჯერ დაახევინა უკან მტერს. იოსელიანი შტუცერის ტყვიით დაიჭრა მკერდში. წელამდე წყალში მდგარმა პოლკოვნიკმა თავისი ხელით შეიხვია მძიმე ჭრილობა და კელავ მტერს შეუტია. იგი მანამდე იბრძოდა, სანამ სისხლიდან არ დაიცალა და გონდაკარგული არ მიესვენა უტუ მიქავას ხელებზე.

არც იოსელიანის დაღუპვით შეკრთა რუსთა ბატალიონი, მათ ახლა კურინის პოლკის ბატალიონის მეთაური, მაიორი ივინი ხელმძღვანელობდა.

მტერი კვლავ კალიასავით მოდიოდა... ომერ-ფაშას ნაბრძანები ჰქონდა რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, მიხეილ შერვაშიძე შეეპყრათ და ცოცხალი მიეგვარათ მისთვის, ხოლო აფხაზები ამოეხოცათ. თურქთა სარდალს ვერაფრით ვერ ეპატიებინა აფხაზეთის მთავრისათვის ღალატი.

გრიგოლ და კონსტანტინე დადიანებმა იცოდნენ ეს და მიხეილი ადრე გადაიყვანეს ბრძოლის ველიდან.

შუა ღამეზე, როცა მუხრან-ბატონისაგან ცნობა მოვიდა, რომ ის თავისი ჯარით სამშვიდობოს იყო გასული, ქართველებმა უკან დახევა დაიწყეს.

* * *

ომერ-ფაშას სამეგრელოში შემოსვლის შემდეგ ეკატერინე დედოფალი ქვაშიხორიდან გორდში გადავიდა, მერე კი — ლეჩხუმში, თავისი ბავშვებიც იქ გახიზნა. ლეჩხუმში დედოფალი დიდი პატივით მიიღეს, ბინა მურის ციხეში მიუჩინეს და თავზე ევლებოდნენ.

მურის ციხე კლდეშია გამოკვეთილი. წინიდან იგი მიუვალია. შესასვლელი არა აქვს და მტერს ყოველი მხრიდან შეუვალად ეჩვენება. არც ერთი ციხე არ არის საქართველოში ისე ძნელად ასაღები, როგორც მურის ციხე. ერთ-ერთი კარი, რომლითაც მურის ციხეში შესვლა შეიძლება, ეს მთის, ანუ ციხის, უკანა მხარეა, მაგრამ ამ კარს და მასთან მისასვლელ გზას, ვერავინ მიაგნებს, თუ არ იცის მისი ადგილსამყოფელი.

მუხრან-ბატონს ომერ-ფაშასთან ბრძოლის გამართვა არც

უცდია. ხეთაში შეისვენა თუ არა, იმერეთისკენ გაემართა, რათა ცხენისწყლის გაღმა გასულიყო და იქ დაბანაკებულიყო. ათჯერ უფრო ძლიერ მტერთან შებმას არავითარი აზრი არ ჰქონდა. გენერალი ქართლ-კახეთიდან ჯარს ელოდა და გადაწყვეტილი ჰქონდა რუსის ჯარის მოსელის შემდეგ განეახლებინა ბრძოლა.

ის იყო ეკატერინემ მურის ციხეში მოაწყო შვილები, რომ მუხრან-ბატონისაგან ამბავი მოუვიდა: მთელი ბარის სამეგრელო თურქების ხელშიაო. გენერალი ურჩევდა გადმოსულიყო შვილებიანად იმერეთში და ხონში დაედო ბინა.

სამეგრელომ არ იცოდა მუხრან-ბატონის ასე უბრძოლველად უკან დახევის მიზეზი. ხალხი გენერალსა და რუსის ჯარს ღალატს სწამებდა და როცა ისიც გაიგეს, რომ მუხრან-ბატონი დედოფალსაც იმერეთში ეპატიჟებოდა, ხალხის აღშფოთებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. გლეხი და თავადი, ყველა ერთხმად წინ აღუდგა დედოფლის იმერეთში წასვლას.

მაიამ თავისი მეუღლე კონსტანტინე სასწრაფოდ აფრინა დედოფალთან, რათა არ აყოლოდა მუხრან-ბატონის რჩევას. კონსტანტინე თავადაზნაურთა გუნდით ლეჩხუმში ეახლა ეკატერინეს.

— ახლა, ამ გასაჭირის ჟამს, სამთავროს მიტოვება ღალატს უდრის, — მოახსენა კონსტანტინემ დედოფალს მაიას დანაბარები სიტყვა. — რა ვუყოთ, თუ დროებით დავმარცხდებით, ადრე თუ გვიან რუსის ჯარი უთუოდ მოგვეშველება. ჩვენ ბევრჯერ ვყოფილვართ აწიოკებული და ბოლოს მაინც საკადრისი პასუხი მიგვიზღვავს მომხდურთათვის. ახლაც ასე იქნება. სანამ სული გვიდგია, ჩვენ ვიბრძოლებთ ოსმალებისაგან განთავისუფლებისათვის, იმერეთში შენი გახიზვნა გულს გაუტეხს ხალხს და ჩვენც დაგვაყრევინებს ფარ-ხმალს.

დედოფალს სული აუფორიაქა ამ სიტყვებმა. თურმე ხალხს მისი იმედი აქვს, ის ეგულება ჭირისუფლად და როგორ მიატოვოს სამთავრო უპატრონოდ ურჯულოს ხელში. დედოფალმა გადაწყვიტა არ წასულიყო იმერეთში.

ამ დროს მან ომერ-ფაშასაგან დიპლომატიური წერილი მიიღო. მთავარსარდალი სწერდა: ოსმალებმა ომი დაიწყეს იმისათვის, რომ ბოლო მოუღონ რუსეთის ბატონობას მთელ რიგ

ქვეყნებში. მათ შორის სამეგრელოდანაც გვინდა ავლაგმოთ ისინი, რათა ხალხს დავუბრუნოთ თავისუფლება. მე ამჟამად აქ იმდენი ჯარი მყავს, რომ შემიძლია გავათავისუფლო რუსებისაგან საქართველოს სხვა სამთავროები — მთელი საქართველო. სულთანმა კაცთმოყვარული საქმისათვის გამომგზავნა. ჩვენ გვინდა ტანჯვის უღელი ავხსნათ თქვენს ხალხს. ამიტომ გთხოვთ დაუბრუნდეთ სასახლეს და განაგრძოთ თქვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა, ჩააგონოთ ხალხს თუ რა სწადია ჩემს ხელმწიფეს — სულთანს მისთვის.

ეკატერინემ არ იცოდა რა ეპასუხნა ომერ-ფაშასათვის. სასახლეში მისი დაბრუნება შეუძლებელი იყო, ეს რუსეთისაგან განდგომას ნიშნავდა, უარის თქმაც არ ივარგებდა. ეს გააღიზიანებდა ომერ-ფაშას, რომელიც დედოფლის დაბრუნების მოლოდინში საკმაოდ ლმობიერად ექცეოდა ხალხს, ეფერებოდა, რათა მათი გული მოეგო. იმ ჯარისკაცებს, ვინც ძარცვა-გლეჯას ეწეოდა, ხალხის თვალწინ სასტიკად სჯიდა. მაგრამ სამეგრელომ კარგად იცოდა რა ცბიერი იყო მტერი, რომლის მზაკვრობა და აწიოკება არაერთხელ უგემნია. არავინ ეგებოდა ომერ-ფაშას ანკესზე. თავი ისე ეჭირათ, თითქოს სჯეროდათ თურქი მხედართმთავრის გულწრფელობისა. ომერ-ფაშას უნდოდა ცხენისწყლის გაღმა დაბანაკებულ მუხრან-ბატონის ჯარისათვის დაუყოვნებლივ გაემართა ომი, მაგრამ იმერეთის საზღვარი კარგად იყო გამაგრებული და იქ ასე იოლად ვერ გადავიდოდა, როგორც ენგურზე. გარდა ამისა, მუხრან-ბატონის ჯარს იქ გურულთა და იმერთა რაზმები შეემატა! ამიტომ ომერ-ფაშა ცდილობდა სამეგრელოს დედოფლის გულის მოგებას, რომ ხალხის ნაწილი მაინც აეყოლებინა. ცუდად იცნობდა სარდალი სამეგრელოს, ასევე ცუდად იცნობდა იგი დედოფალს, რომელსაც ურჩევდა რუსეთისათვის ზურგი შეექცია და ინგლისის, ოსმალეთისა და საფრანგეთის კავშირს შეერთებოდა.

ხალხის ის ნაწილი, რომელიც უკმაყოფილო იყო უბრძოლველად მუხრან-ბატონის სამეგრელოდან გასვლით, დედოფლის ლეჩხუმში გახიზვნით, აშკარად გამოთქვამდა თავის აზრს შექმნილი მდგომარეობის გამო. მათ ეგონათ, რომ სამეგრელოსა და რუსეთს შორის დადებული პირობა რუსებმა გატეხეს და დედო-

ფალსაც არ უნდოდა სამთავროში დაბრუნება. ეს რა გამოდი-სო, ამბობდნენ ხალხში, თურქის ხელში ჩაგვყარეს, თვითონ კი თავს უშველესო. ხალხის ნათქვამი სიტყვასიტყვით მისდიოდა ლეჩხუმში ეკატერინეს. მის ტანჯვას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ვერავითარ გამოსავალს ვერ პოულობდა.

სამეგრელოში რომ ასე ლაპარაკობდნენ, ქუთაისსა და რუსთა წრეებში დედოფალს ღალატს წამებდნენ. ეკატერინემ მიწერ-მოწერა გამართა მტერთან სამეგრელოს რუსეთთან ჩამოშორების შესახებო. მალე გაემგზავრება თვითონ ზუგდიდს და ზავს შეკრავს ომერ-ფაშასთანო.

დედოფალს გულს უკლავდა ეს ცილისწამებები, მაგრამ ერთ დროს ხომ გამოირკვევა სიმართლეო და ამით ინუგეშებდა თავს. ის მთელ იმედებს ყარსის სიმაგრის დაცემაზე ამყარებდა. უშუალო მიწერ-მოწერა ჰქონდა მეფისნაცვალთან და კავკასიის ჯარების მთავარსარდალთან — მურავიოვთან, მეფისნაცვლის თანამდებობის აღმსრულებელ თავად ბებუთოვთან. მათგან იცოდა, რომ დღე-დღეზე დაიწყებოდა რუსების იერიში ყარსზე. და აი დადგა ეს სანეტარო დღეც, გიორგობისთვის ოცდაორში ეკატერინემ წერილი მიიღო მურავიოვისაგან ყარსის დაცემის შესახებ.

— მადლობა ღმერთს, ახლა მურავიოეს შეუძლია მომცეს იმდენი ჯარი, რომ ომერ-ფაშას კუღით ქვა ვასროლინო! — წამოიძახა აღტაცებულმა დედოფალმა და თვალი სიხარულის ცრემლებით აევსო.

ომერ-ფაშა მოტყუვდა. მას უნდოდა აფხაზეთის, სამურზაყანოსა და სამეგრელოს აღების შემდეგ იმერეთზე გაელაშქრებინა, ამ ლაშქრობით მურავიოვი ყარსიდან გაეტყუებინა, მაგრამ მეფისნაცვალი მიუხვდა ეშმაკობას და იმის მაგიერად, რომ ყარსიდან ჯარი მუხრან-ბატონისათვის გამოეგზავნა, მან საქართველოდან ჯარი ყირიმში გაიწვია, იქ გაიმარჯვა და ამ გამარჯვებით შეშინებულ თურქეთის მთავარსარდალს თვითონ დაახევინა უკან.

სწორედ იმ დროს, როცა ეკატერინემ მურავიოვის წერილი მიიღო ყარსის დაცემის შესახებ, ომერ-ფაშას ჯარი ცხენისწყლის ნაპირზე იდგა და გაღმა გასვლისათვის ემზადებოდა. მართალია, მან ვერც ერთი მეგრელი და აფხაზი ვერ აიყოლია

იმერეთის წინააღმდეგ საომრად, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ხუხრან-ბატონს ქართლ-კახეთიდან ჯარი არ მოუვიდა, რომ მურავიოვმა გურულთა მილიციის ის ნაწილებიც, რომლებიც მუხრან-ბატონს უნდა მიშველებოდა, ყირიმში გაიწვია, რომ იმერეთში დიდი შეშფოთება სუფევდა თურქთა შემოსევის მოლოდინში. ომერ-ფაშას დიდად ხელსაყრელ დროდ მიაჩნდა ეს ჟამი ლაშქრობის დასაწყებად, მაგრამ კოზი ნაცარში ჩაუვარდა. ყარსის დაცემის ამბავი ყუმბარასავით გავარდა მთელ საქართველოში.

კიდევ ერთ რამეში მოტყუვდა ომერ-ფაშა: ის ეკატერინესათვის მიწერილ წერილში იმასაც წერდა, რომ თუ სასახლეს არ დაუბრუნდებოდა და სამთავროს მმართველობას ხელში არ აიღებდა, მაშინ თავის უფლებას დაკარგავდა სამეგრელოზე. მე იძულებული გავხდები ოსმალეთის და მისი მოკავშირე სახელმწიფოების სახელით დავნიშნო მთავრად ერთ-ერთი მეგრელი თავადიო.

ეს მუქარა მაშინ რომ შეესრულებინა სარდალს, ახლა იგი იძულებული არ გახდებოდა სწრაფად დაეხია უკან ცხენისწყლიდან. მის მიერ დანიშნული მთავარი, თუ მთლიანად არა, ხალხის ერთ ნაწილს მაინც გადაიბირებდა თავის მხარეზე და ყარსის დაცემით აღტაცებული აფხაზეთი, სამურზაყანო თუ სამეგრელო, როგორც ერთი, არ აღდგებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ და არ დაედეენებოდა უკანდახეულ ჯარს. მაშინ მე ფეხს მოვიკიდებდი ამ პროვინციებში, მოვგლეჯდი მათ რუსეთს და ამით მაინც ვიძიებდი მასზე შურსო.

ინგლისისა და საფრანგეთის აგენტს ეს ოცნებაც ჩაეფუშა. ომერ-ფაშასათვის ერთი გზა რჩებოდა — უკან დახევა. ეს კი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელებინა. სწრაფად, სანამ მეგრელები და აფხაზები უკან დასახევ გზას შეუკრავდნენ, სანამ ცხენისწყლის გაღმა დაბანაკებული მუხრან-ბატონის ჯარი იერიშს დაიწყებდა, სანამ დედოფალი ლეჩხუმიდან ჩამოვიდოდა და თავის ხალხს გაუძღვებოდა.

როდესაც ეკატერინემ მურავიოვის წერილი მიიღო, დედოფალთან ამოსული იყო უტუ მიქავა, დავით გიდელია და გელა ჯგერენაია. დავით გიდელია მრისხანე თავადის მურზაყან დადიანის ყმა იყო. დავითს მეტსახელად მეჯამ-მეგობია შე-

არქვა ხალხმა. დავითი ხისაგან შესანიშნავ ჭურჭელს ი.ლიდა, ბაზარზე ყიდდა და მთელ შემოსავალს ბატონს ახმარდა. იგი იყო ულამაზესი მაძაკაცი, თან დევური ღონისა და აგებულების. როგორც კი ომერ-ფაშა ენგურს მოადგა, მან იარაღი აისხა და სამშობლოს დასაცავად გაეშურა. ენგურთან მუხრან-ბატონის დამარცხების შემდეგ გიდელია უტუ მიქავას შეუერთდა, მასთან ერთად შეადგინა პარტიზანული რაზმი და ხან სად დაატყეებოდნენ ომერ-ფაშას ჯარს, ხან სად. უკიდებდნენ ცეცხლს მათ კარვებს, ხოცავდნენ ჯარისკაცებს, სტაცებდნენ ცხენებს და იარაღს. მუდამ შიშის მოლოდინში ჰყავდათ მტერი.

პარტიზანთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. პარტიზანებს უმთავრესად ემატებოდა ის გლეხები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ დედოფლისა და მუხრან-ბატონის მოქმედებით.

— მათ რომ ხალხის დარდი ჰქონდეთ, ხალხთან დარჩებოდნენ და ცხენისწყლის გაღმა არ გავიდოდნენ!

— ხალხის დარდს ვინა ჩივის, თავის სამთავროს ჯავრი რატომ არ აწუხებთ იმ მამაცხონებულებს!

— სამთავროს რა უჭირს, რასაც თურქები ანგრევენ და წვავენ, ხალხს ააშენებინებს დედოფალი, ჩვენ უნდა დავიდგათ წელზე ფეხი, ჩვენ უნდა ვუზღოთ ნაძარცვ-ნაღლეტი. — ამბობდნენ პარტიზანები.

— არა, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, ვეახლოთ დედოფალს და ვუთხრათ: ან გაგვიძღვეს ან გადადგეს და ისეთ კაცს ჩააბაროს სამთავრო, ვისაც გული შეტკივა და მარტო თავის თავზე არ იფიქრებს.

— მოგეცა ლხენა, გიორგი დადიანი დაჭრილი რომ არ იყოს, ის ივარგებდა ახლა მთავრად, ხო, ხო, როგორ იბრძოდა კოკთან, კაცის შვილი კი არა, დევი გეგონებოდა...

აღარ მოითმინა უტუს რაზმმა: უტუ, გელა და დავითი წარგზავნა დედოფალთან ულტიმატუმით. ეკატერინემ მიიღო ხალხის წარგზავნილები, მოუსმინა და კარგა ხანს იჯდა დაფიქრებული. სრულიად სამართლიანად მიიჩნია ხალხის მოთხოვნა, მაგრამ რა პასუხი გაეცა? და აი მურავიოვის წერილმა გაუხსნა ხელები. დედოფალმა აღუთქვა მათ, რომ თვითონ წარუძღვებოდა ჯარს დაუყოვნებლივ.

— ახლა თურქი თვითონ დაიხევს უკან. ყარსის დაცემას

უნდა გადაეწყვიტა ჩვენი ბედი. და აი იგი რუსეთის ფეხქვეშაა. ახლა ისე უნდა ვსდიოთ მტერს, რომ ვერ შეძლოს ტყვეთა წასხმა, საქონლის გატაცება და სოფლების გადაწვა.

მურავიოვმა დედოფალს შვიდი ბატალიონი რუსი მიაშველა. ამას გურიის რაზმიც მიემატა და მუხრან-ბატონის შევსებული, გაძლიერებული ჯარის სარდლობა თეიოთონ ეკატერინემ ითავა.

— აი, ამ დღეს ვუცდიდი მე, — უთხრა მუხრან-ბატონმა დედოფალს. — რუსებმა ყარსის აღებით გაგვამარჯვებინეს აქ, საქართველოში. ახლა მაინც გამიგებენ, რატომ მოვერიდე მსხვერპლს, რატომ გავუფრთხილდი ათასობით ადამიანის სიცოცხლეს. ახლა სდიეთ ომერ-ფაშას, ის არსად არ გაგიმართავთ ბრძოლას. გზას გილოცავთ, დედოფალო! ამიერიდან, სანამ რუსი და ქართველი ერთად იქნებიან, ოსმალეთი ფეხს ვერ შემოდგამს ჩვენს მიწაზე. — ასე გამოემშვიდობა მუხრან-ბატონი დედოფალს. ის თბილისში იყო გაწვეული, თავის მაგივრად მან გენერალი ბრუნნერი დაუტოვა ეკატერინეს.

დედოფალი თვენახევარი ცხენიდან არ ჩამოსულა, ბრუნნერთან ერთად იგი კვალდაკვალ მისდევდა მტერს. ამ დროს მთელ სამეგრელოში კოკისპირული წვიმები მოდიოდა. ნაპირებიდან გადასულ მდინარეებს დაეფარათ ჭალები, მინდვრები, გზები. წაეღოთ ხიდები. გარბოდა მტერი და გზადაგზა ტოვებდა ზარბაზნებს, იარაღს, ტრანსპორტს. ოსმალებს თავს ესხმოდა უტუ მიქავა. გელა ჯგერენაიას, დავით გიდელიას რაზმები, რუსთა და ქართველთა ჯარი დედოფლის წინამძღოლობით ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა მტერს.

იმ დროს, როდესაც ოსმალო ცხენისწყლიდან უკან იხევდა, გიორგი დადიანი დაჭრილი იწვა თავის ძიძის სახლში და იქიდან ადევნებდა თვალს ქვეყანას, იქიდან ხელმძღვანელობდა უტუ მიქავას, გელა ჯგერენაიას და დავით გიდელიას პარტიზანულ რაზმებს. ყარსის დაცემის ამბავი რომ აცნობეს, ნახევრად განკურნებული კაცი ლოგინიდან წამოდგა, იარაღი აისხა და თქვა:

— დადგა ჩვენი დღე. ახლა მთელი ქვეყანა დაინახავს მურავიოვისა და მუხრან-ბატონის ჭკუას.

იცოდა, გაბოროტებული მტერი გადაწვავდა ზუგდიდს, წა-

ასსამდა ტყვეებსა და საქონელს, პირწმინდად აღგვიდა მიწის პირიდან რაც წინ დახვდებოდა. „პირველ ყოვლისა, ზუგდიდი უნდა გადავარჩინო“ — ფიქრობდა გიორგი. სწრაფად შეკრიბა პატარა რაზმი და თვითონ გაუძღვა ეს ავადმყოფი და რამდენიმე ადგილას დაჭრილი კაცი. მაგრამ უკვე გვიან იყო. როგორც კი ოსმალებმა ყარსის დაცემის ამბავი შეიტყვეს, იმ დღესვე შეუდგნენ ზუგდიდის ძარცვას და როცა გიორგის რაზმი ქალაქს უახლოვდებოდა, დედოფლის სასახლე ცეცხლის ალში იყო გახვეული.

ამ სურათის ნახვამ კიდევ უფრო გააგულისა დადიანი და მისი რაზმი. გიორგიმ რამდენიმე გუნდად დაჰყო მებრძოლები და ისინი ქალაქს ერთდროულად შეესივნენ ყოველი მხრიდან.

ისეთი გაბედული და ელვისებური იყო ზუგდიდში გიორგი დადიანის შემოსვლა, რომ ოსმალებს თავზარი დაეცათ, ეგონათ გარშემორტყმული ვართო და დაფრთხნენ, აირ-დაირივნენ. ტოვებდნენ ტყვეებს, ჰყრიდნენ ნადავლს და უგზო-უკვლოდ გარბოდნენ. გიორგიმ გაწმინდა ქალაქი მტრისაგან. სასახლეს კი ვერაფერი უშველა, დაიწვა, ჩაიფერფლა. ხანძარმა გაანადგურა სასახლის პარკი, ასე სათუთად ნაშენები და მოვლილი ეკატერინეს მიერ.

გიორგი არ დაკმაყოფილდა ზუგდიდიდან მტრის განდევნით. იგი არც ჩამოსულა ცხენიდან, უკან დაედევნა ოსმალებს. გიორგის რაზმს გზადაგზა უტუსა და მისი ამხანაგების რაზმები უეროდებოდნენ.

ისინი ცდილობდნენ გიორგი როგორმე დაებრუნებინათ თავის სასახლეში, ურჩევდნენ ლოგინში ჩაწოლილიყო და მიეხედა ჭრილობებისათვის, რომელიც საფრთხეს უქადდა მის სიცოცხლეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ეკატერინეს გმირულმა თავდადებამ, დაუღალავმა ენერგიამ, თვით მისი მოშურნე მაია დადიანიც კი მოიყვანა აღტაცებაში. ფუფუნებაში გაზრდილი ეკატერინე წარბშეუხრელად იტანდა ჯარისკაცის ყოველ გასაჭირს. იგი ზამთრის სიცივესა და წვიმაში თავის მებრძოლებთან ერთად უშიშრად დადიოდა მდინარეებსა და ჭაობებზე, ხმალამოღებული მიუძღოდა იერიშზე მამაც რუსებსა და ქართველებს, მათთან ერთად ათევდა ღამეს ცის ქვეშ.

ეკატერინეს ამბავი მთელ საქართველოს მოედო. განსაკუთრებით გაიცდნენ რუსები, როგორც ოფიცრობა, ისე ჯარისკაცები. მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილ ულამაზეს ქალს რომ უყურებდნენ, ყაბალახით თავწაკრულს და იარაღში ჩამჯდარს, თვალს არ უჯერებდნენ. აოცებდათ მისი სიმარდე, ცხენოსნობა, სინაზე და ჯარისკაცებისადმი გულისხმიერება, დედური დამოკიდებულება.

იანვრის ბოლოს მთელი სამეგრელო სრულიად გაწმენდილ იქნა თურქებისაგან, ხოლო მარტის დამდეგს ყირიმში თურქებსა და რუსებს შორის ერთი თვით წინასწარი შერიგება მოხდა და პარიზში მოლაპარაკება დაიწყეს ზავის შესახებ, რომელიც ცხრამეტ მარტს წარმატებით დამთავრდა.

* * *

ბეჭებში დანაგარჭობილი ჯოღორია დგებუაძე სიკვდილს იმით გადაურჩა, რომ დანა არ ამოიძრო ჭრილობიდან, რათა სისხლიდან არ დაცლილიყო. ჯოღორიამ იგრძნო მძიმედ იყო დაჭრილი. ფიზიკურად ღონიერი და ჯანმრთელი, დარწმუნებული იყო მოერეოდა ჭრილობას, ოღონდ სახლამდე მიეტანა სული. როგორც კი დაიჭრა, უმალ დაემხო ცხენის კისერს, ლაგამს ხელი უშვა, ფაფარში სწვდა.

— გასწი შინისკენ! — უბრძანა ულაყს.

ცხენმა იგრძნო თუ რა დღეში იყო პატრონი, მოწყდა ადგილს და ტყვიასავით გაიჭრა წინ. თითქოს მიწას ფეხს არ აკარებსო, ისე მსუბუქად მიაფრენდა, რომ არ დაეჯღრია, ტკივილი შეემსუბუქებინა პატრონისათვის. ჯოღორია შინ უვნებლად მივიდა.

დანა მაშინ ამოაძრეს დაჭრილს, როცა ტანთ გახადეს. კერპი და გულქვა თავადი შეშინებულ ბავშვს ჰგავდა. თუ დაჭრისას იგი არც კი ფიქრობდა სიკვდილზე, ახლა ბრძოლის ველიდან შინ მისელამდე იგი ისე გამოცვლილიყო, გეგონებოდათ ამ კაცისათვის სხეისი გული ჩაუდვიათო. შეუხვიეს თუ არა ჭრილობა, კედლისაკენ შებრუნდა. ბრძანა — სახლში რაც კი საბნები მოიძებნებოდა დაეხურათ, დაენგრიათ გელა ჯგერენაიას მამის, მიხას, ქოხი და მისი ფიცრებით დაენთოთ ცეცხლი ყვე-

ლა ბუხარში. მიხა კი გაეკოჭათ და ხაჯალურზე დაესვათ, რომ მერე თვითონ დაესაჯა თავისი ხელით. ციოდა ჯოღორიას და უნდოდა მიხას სახლის ცეცხლით გამთბარიყო, მაგრამ მას სიკვდილის სიცივე ჰქონდა შემჯდარი და ვერაფერი შველოდა.

ერთ წუთში აიკლეს მიხას სახლ-კარი ჯოღორიას კაცებმა. უბედურმა მიხამ არ იცოდა რითი დაიმსახურა ეს მეორე და უფრო დაუნდობელი, უფრო საშინელი რისხვა ბატონისა. ვერც სხვამ გაიგო. დანა, რომლითაც ჯოღორია იყო დაჭრილი, თურქული არ აღმოჩნდა. მაშინვე იცნეს უტუ მიქავას ხელით გამოჭედილი დანა. ყველას გაუკვირდა მტერთან ბრძოლაში ჯოღორია დგებუაძე მეგრული დანით რომ აღმოჩნდა დაჭრილი. ნუთუ ჯოღორიამ ზურგი უჩვენა მტერს? ამის დაჯერება არავის შეეძლო. ჯოღორიამ არ იცოდა რა იყო შიში. გიორგი დადიანის გვერდით კი ის ასწილ გაბედული და შეუპოვარი იქნებოდა. რა მოხდა, რატომაა ჯოღორია ზურგში დაჭრილი! მერე ვისი? გლეხის, თავისი მიწა-წყლის შვილის დანით.

მთელი სასახლე და სოფელი ამაზე ფიქრობდა. ყველაზე მეტად თავზარდაცემული ჯოღორიას ერთადერთი ვაჟი ბეჟა დგებუაძე იყო. მას თვითონ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. როცა ომერ-ფაშა ენგურს მოადგა, მალარიით დაავადებული ლოგინად იყო ჩავარდნილი. მამა რომ ასეთ დღეში ნახა, ლოგინში ვეღარ გაჩერდა, მაგრამ ჯოღორიას ახლოს ვერ მიეკარა. არავისი ნახვა არ ინდომა თავადმა, შვილიც არ შემოუშვა ოთახში, მასაც არ გაანდო ვისი ხელით კვდებოდა. „არა, არა! — ყვიროდა ჯოღორია. — მეღორის შვილის დანა ვერ მომკლავს!“ მეორე დღეს უარესად შეიქნა ჯოღორია. ციებ-ცხელებამ აიტანა. ღამით რომ ვერაფერმა გაათბო, ლოგინიდან წამოდგა საბანმოხვეული და მიხა ჯგერენაიას ქოხის ფიცრებით აგიზგიზებულ ბუხარს მიუჯდა. უკეთებდა და უკეთებდა ქოხის ფიცრებს ცეცხლს და უხაროდა, რომ იწოდა მიხას ქოხის ფიცრები, ლარტყები, ხარიხები.

— ასე დაგწვავ შენ და შენს შვილს, მიხა, ღორის შვილო! — ღვარძლიანად ჩურჩულებდა აძიგძიგებული თავადი და სულ უფრო და უფრო ახლო იწევდა ბუხრისაკენ. ვერ გაიგო, როგორ მოედო საბნის ტოტს ცეცხლი, არც ის იგრძნო ალი რომ საცვალს წაეკიდა. მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა ტანს

მისწვდა ცეცხლი. თავზარდაცემული ფეხზე წამოიჭრა, ეცა კარს, მაგრამ კარი ჩაკეტილი ჰქონდა და ვერ გააღო.

სახლში ყველას ეძინა და ვერავინ გაიგო რა უბედურება ტრიალებდა ბატონის ოთახში. როცა ცეცხლი ოდას წაეკიდა, მაშინღა გაიგეს, რომ იწვოდნენ, მაგრამ გვიან იყო. ვერც ჯოღორიას უშველეს და ვერც სახლი გადაარჩინეს დაწვას.

ჯოღორიას ასე უბედურად დაღუპვის ამბავი მთელ სამეგრელოს ელვის სისწრაფით მოედო.

— ცოდვამ უწია იმ არაკაცს!

— მაგისთანების ბოლო ასეთია!

— სიბოროტე არავის შერჩება!

— ღმერთმა შეგვიბრალა, გვიან, მაგრამ მაინც მოგვაშორა მისი თავი. — ამბობდნენ გლეხები.

მამის ამგვარი საშინელი სიკვდილით თავზარდაცემული ბეჟა ციებამ ასლა უფრო მაგრად მიაკრა ლოგინს. მამაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა ავადმყოფს. სხვისთვის იყო ჯოღორია ავი, მაგრამ შვილისათვის თავდადებული მამა იყო და ბეჟასაც განსაკუთრებით უყვარდა.

ჯოღორიას დამწვარი ჩონჩხი ისე დაასაფლავეს, რომ ბეჟა საფლავამდე ვერ მიჰყვა მამას და ერთი მუჭა მიწა ვერ მიაყარა მის კუბოს. და აი ლოგინად ჩავარდნილი სულ მამაზე ბოდავდა. განუწყვეტლად იმაზე ფიქრობდა, რატომ დასვა ჯოღორიამ მიხა ჯგერენაია ხაჯალურზე, რატომ დაანგრევინა მისი ქოხი, რატომ მისი ფიცრებით დაანთებინა ცეცხლი ბუხრებში. ამ ფიქრებით შეპყრობილს ერთხელ გათენებისას ჩაეძინა და სიზმარში ნახა ის, რაც ჯოღორიასა და გელა ჯგერენაიას შორის მოხდა ენგურის პირას. მეორე დღეს ბეჟამ მიხა მოაყვანინა თავის ოთახში და მამის ზურგიდან ამონაძრობი სისხლიანი დანა უჩვენა.

— ვისი დანაა ეს, ყაზახო? — ჰკითხა მიხას.

მამამ შვილის დანა მაშინვე იცნო და მიხედა, რომ გელას მოკლული იყო ჯოღორია. გული სიხარულით და სიამაყით შეუქანდა მოხუცს.

— ჩემი ბიჭისაა, — უთხრა წარბშეუხრელად ბატონს.

— მაშ, გელას მოუკლავს მამაჩემი.

— ომში მხოლოდ ლაჩრებს და მოღალატეებს ხვდებათ ზურგში მახვილი, — მიუგო მიხამ.

— წაიყვანეთ... — იყვირა გაბოროტებულმა ბეჟამ, — ორ ხაჯალურზე ერთად დასვით!

იმ ღამესვე დილეგს, სადაც მიხა ხაჯალურებზე იჯდა, ცეცხლი გაუჩნდა. მცველებმა არავინ მიუშვეს მის ჩასაქრობად.

ქარიშხალი

ოსმალთა ჯარების განდევნის შემდეგ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს ახლომახლო მდებარეობდა, ხელახლა აღსადგენი შეიქნა. მმართველი წრეები ამაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. პირიქით, მთელი ზარალის ანაზღაურებას მებატონეები იმ გლეხების ხარჯზე აპირებდნენ, რომელთაც ომერ-ფაშას ჯარის შემოსევა ყველაზე მეტად დააწვათ მხრებზე. მოისრა და გაევერანდა ყანები, გარეკილი და გაწყვეტილი იყო პირუტყვი. ტყე-ღრეში გადაცვენილ გლეხთა ოჯახები ომის შემდეგ გაპარტახებულ სოფლებში ბრუნდებოდნენ. გადამწვარი იყო მათი სახლ-კარი. უპირუტყვოდ, უფრინველოდ და უსურსათოდ დარჩენილი გლეხები სულს ძლიეს ითქვამდნენ. ბატონები კი უკანასკნელ ლუკმას აცლიდნენ პირიდან. თავადაზნაურნი ცდილობდნენ ომით მიყენებული ზარალი გლეხების საშუალებით აენაზღაურებინათ. პირველი მაგალითი გლეხების გაძარცვისა, მათ ეკატერინემ მისცა, როდესაც გლეხებს თავისუფალი მიწები ჩამოართვა, რომელიც თავიანთთვის დაემუშავებინათ ომერ-ფაშასთან ომის დროს. დედოფალმა უპატრონო მიწებიც ვერ გაიმეტა გლეხობისათვის. ამასაც არ დაჯერდა: ბრძანა სალხინოს სასახლის სწრაფად დამთავრება. ეკატერინეს განსაკუთრებით უყვარდა სალხინოს ადგილმდებარეობა, მაგრამ მის გემოვნებას ვერ აკმაყოფილებდა ლევანისეული ძველი შენობა: ჯერ კიდევ დავითის სიცოცხლეში იქნა დაწყებული სასახლის მშენებლობა, რომელიც დროებით შეჩერებული იყო. ეკატერინემ სალხინოში ჩასვლისთანავე სახლთუხუცესს დავით ჩიქოვანს მიმართა.

— შეფერხდა, დავით, ამ სახლის აშენება. თქვენ, ალბათ,

მოგეხსენებათ, მე პეტერბურგში ვარ მიწვეული ხელმწიფე ალექსანდრე მეორის ტახტზე ასვლის გამო გამართულ ზეიმზე დასასწრებად. ამ მშენებლობის ხელმძღვანელობას თქვენ განდობთ. სანამ შეიძლება ამ მშვენიერ კარ-მიდამოს შესაფერი სასახლე არ ამშვენებდეს? დაამთავრეთ მალე, ამისრულეთ ეს წადილი.

ჩიქოვანი დაადნო ამ ტკბილმა საუბარმა, თავადი მზად იყო ყოველი ღონე ეხმარა ამ თვალწარმტაცი და ენამოშაქრული დედოფლის სურვილის შესასრულებლად.

— ნუ იჯავრებთ, დედოფალო, ყველაფერი თქვენი სურვილისამებრ იქნება შესრულებული! — თავაზიანად აღუთქვა დავალების აღსრულება სახლთუხუცესმა.

— კიდევ აი რას გთხოვთ, ჩემო დავით! მინდა ერთ-ერთი აივანი მდინარე წაჩხურუს გადაჰყურებდეს, რომ აქედან ვაყურებინო ჩემს სტუმრებს კალმახის ჭერისათვის. აივანს მაღალი მოაჯირი გაუკეთეთ, გეთაყვათ, ბავშვები არ გადაცვივდნენ, რთველზე აქ მინდა მყვანდნენ.

— რას ბრძანებთ, დედოფალო, თქვენს ბავშვებს ფათერაკი უფალმა აშოროს! მათი მომვლელ-მეთვალყურე აღარ გვეყოლება თუ რა?

— სასახლის სარდაფი გრილი უნდა იყოს, დავით. შვილებს ყველაფერი მოწყობილი მინდა დავუტოვო, ობლობა რომ არ იგრძნონ.

— რა ბრძანებაა, დედოფალო! სარდაფი ივლისშიც საყინულესავით იქნება. მდინარე წაჩხურუში ხომ ყინულივითაა წყალი, ნამეტნავად ზაფხულის თვეებში. მაგის ერთი ჭიქა წყლის დალევა კაცს გაუჭირდება. ეს მდინარე სასახლეს გარშემო უვლის, სიგრილე როგორ არ იქნება, ან თქვენი შვილების ობლობა ვინა თქვა!

— უმამულო და უმამო შვილები ობლებია, აბა რა არის, თავადო! რას ვუტოვებ მე მათ. ცარიელ-ტარიელი დამრჩება ჩემი საბრალო ბავშვები. ჰო, ვენახს როგორი პირი უჩანს წელს?

— კარგი, ბატონო ჩემო! ცოტა სიბერეში შევიდა ვაზი. წელს ახალი ვენახი უნდა გავაშენოთ, რამდენი ძირი ვენახის ჩაყრას გვიბრძანებთ?

— რამდენსაც აუვა მუშახელი. მოაგვარე საქმე, რომ სამუშაოები არ დაყოვნდეს. — დედოფალი ყოველივე ამას საჩქაროდ უბარებდა დავით ჩიქოვანს და ამასთან ერთად მრავალ სხვა განკარგულებას აძლევდა.

სამეგრელოს მმართველად ის თავის მაზლ, გრიგოლ დადიანს ტოვებდა.

დედოფალი მიწვეული იყო პეტერბურგში ალექსანდრე მეორის ტახტზე ასვლის გამო. რჩეული თავადებისაგან შემდგარ ამალას კონსტანტინე ხელმძღვანელობდა.

ეკატერინემ, როგორც იტყვიან, „ცალი ყბით" შესთავაზა მაიას პეტერბურგში წასვლა. მაგრამ ზვიადმა და თავმოყვარე ქალმა მაშინვე შეატყო რა გულით ეპატიჟებოდა დედოფალი და ცივი უარი მოახსენა. ეკატერინემ იგრძნო, რომ მაია მიუხვდა განზრახვას და შეცდომის გამოსასწორებლად ახლა თვითონ შეუჩნდა კონსტანტინე დადიანს, ემოქმედა ცოლზე.

— ვისი მოწვევით წამოვიდე, ბატონიშვილო, პეტერბურგს, რძლის თუ რუსთა ხელმწიფის?

აქ კონსტანტინე შედრკა.

— ყველას ცალკე ხომ არ დაგვპატიჟებდა, მამუ! თავიდათავია ეკატერინე, რომელმაც დაპატიჟების ბარათი მიიღო, იქ იგულისხმება მისი ახლობელნი, მისი ამალა.

მაიამ ირონიულად გაიღიმა და მეუღლეს ასე უპასუხა:

— მიკვირს, რამ დაგიკარგა თავმოყვარეობა. შენ მზად ხარ დედოფლის ამალის წევრი გამხადო. გავიწყდება, რომ ჩვენი ოჯახი არაა ჩვეული სხვის მხლებლობას. ჩემი დისწული ბაბო რომ რუსთა ხელმწიფის სასახლეში ფრეილინად მიიწვიეს, მე და მამამ ერთი სიკვდილი გავათავეთ.

— მამუ, დედოფალს არ შეუძლია არ წავიდეს და ამალაც თვალსაჩინო უნდა ჰყავდეს.

— მე შემიძლია არ წავიდე და არც წავალ, ნურც შენ დარჩები იქ დიდხანს. განსაკუთრებით ჩემს რძალს არ მართებს ახლა სამთავროს მიტოვება. ქვეყანა აოხრებულია, სოფლები გაპარტახებულია თურქების მიერ. მტერს აქ უტუსა და გელა ჯგერენაიას რაზმები მოსვენებას არ აძლევდნენ. ღირსეულად უსწორდებოდნენ ამწიოკებლებს. ამ დროს დედოფალი ლეჩხუმში იყო გახიზნული თავისი შვილებით. ხალხის შვილებზე არ ფიქ-

რობდა. მარტო ჯოლორია დგებუაძის და გელა ჯგერენაიას ამ-ბავი გვეყოფა თავადებს სამარცხვინოდ. იმის მაგიერად, რომ გლეხებს ტანჯვა შევუმსუბუქოთ, ასეთი აოხრების შემდეგ, ჩვენ ბეგარას ვაწერთ, რათა ომში დანაკარგი ქონება ავინაზღა-ურით. დედოფალი ისევ თავის თავზე და თავის შვილებზე ფიქ-რობს. მალე დააბრუნეთ დედოფალი, თორემ ხალხში ისეთი მითქმა-მოთქმაა, რომ შეკრცხვებით. ან რას ფიქრობს ჩემი მაზლი — ბატონი გრიგოლი, ეს განათლებული კაცი, განა საკ-მარისია ლექსები წერო, ლმობიერი მმართველი იყო და პატი-ოსანი კაცის სახელი დაგრჩეს ხალხში?

— მამუ, შენ მკაცრი მსაჯული ხარ, ყველაფერი ერთბაშად არ გაკეთდება.

— ბატონო, რა არ გაკეთდება. ჩვენი საშთაერო ისედაც უპატ-რონო იყო და ახლა მთლად უპატრონოდ დარჩა. უბედურ ჩემს მაზლს დავითს რომ ეცოცხლა, იქნებ რამე საშველი დადგო-მოდა ქვეყანას. ნუთუ დედოფლის ყურამდე არ მიდის ის ამ-ბები, რაც სამეგრელოში ხდება!

— რა ხდება, ბატონო, ისეთი, რაც სხვაგან არ მომხდარა?

— არც შენ ხედავ და გესმის, თუ რა დღეშია ხალხი?! ქალ-წულთა წარყვნა, გლეხების წამება. უკანასკნელ ლუკმას აცლიან მათ პირიდან. ახლა ეკატერინეს ამ შიმშილისა და ცოდვის კი-თხვის დღეს სალხინოში სასახლის აშენებაც მოუნდომებია.

— საიდან გებულობ, მამუ, შენ პირველი ასეთ ამბებს? ვინ გაწუხებს და გიშლის ძარღვებს?

— თქვენ არ გინდათ თავი შეიწუხოთ, ძარღვებს უფრთხილ-დებით და ხალხის პატრონობას კი ჩემულობთ. არა, ასეთი პატრონი არ გამოადგება ხალხს.

— ერთობ მკაცრი ხარ, მამუ, შენ გინდა ის გააკეთოს ეკა-ტერინემ, რისი გაკეთება დავითმა ვერ შეძლო, ნუ გავიწყდება, რომ ის ქალია და იმდენს ვერ მოვთხოვთ.

— სწორედ ქალს უფრო მეტად უნდა შეტკიოდეს ხალხზე გული. ქალს შეუძლია აღკვეთოს თავადების ბარბაროსობა. ის ხომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილია, მამამისი ხალხმა აღიარა ღარიბთა გამკითხავად. რალა ჩვენთან იჩენს დედოფალი სიმკაცრეს და გულქვაობას!

— დამშვიდდი, მამუ, გენაცვალე, ხალხი განათლდება და თანდათან გაქრება ბარბაროსული ჩვევები.

— ბარბაროსული ჩვევები განათლებით არ მოისპობა, კონსტანტინე, იგი უნდა აღიკვეთოს.

— აღიკვეთოს! — გაიმეორა კონსტანტინემ. — მერე რა გზითა და რა საშუალებით, მამუ? ჩვენ ხომ საკუთარ კანონებს ვერ შემოვიღებთ სამთავროში. ბატონს რაც უფლება აქვს თავის ყმაზე, იმას ხომ ვერ წავართმევთ?

— თქვენ შეუკვეცეთ ფრთები თქვენს უფლებებს და ამით სხვებს მიეცით მაგალითი. მაგრამ ამას დედოფალი როგორ იზამს. პირიქით, ის სხვა უფლებებს აძლევს თავადაზნაურობას, როგორმე ამოხადონ სული ყმებს. გადაეცი ეკატერინეს, დაუფიქრდეს ქვეყნის მდგომარეობას. ნუ მიატოვებს თავის და თუ გინდ მეფის სიამოვნებისათვის სამთავროს ასეთ დღეში.

მაიას სიტყვებმა კონსტანტინე ჩააფიქრა. გადაწყვიტა გრიგოლსა და დედოფალს მოლაპარაკებოდა. მაგრამ ზუგდიდში ჩასვლამდე ისევ გადაიფიქრა: არ ღირს, ჩემს რძალს განწყობილება გაუფუჭდება, საქმეს კი მაინც არაფერი ეშველებაო.

პეტერბურგში ეკატერინეს წასვლის შემდეგ თავადებმა კიდევ უფრო აიშვეს თავი. ისინი ომით წელგაწყვეტილ გლეხებს შეესივნენ. გაზშირდა „შინა ჩადგომის“ წესი. ადგებოდა თავადი თუ აზნაური თავისი ცოლ-შვილითა და მხლებლებით, ესტუმრებოდა თავის გლეხს რამდენიმე კვირით, ჩადგებოდა მის ოჯახში, ავალებდა მათ კარგად ეკვებათ და პატივი ეცათ. ასე შოგზაურობდნენ თავადები ერთი გლეხის ოჯახიდან მეორეში, ერთი სოფლიდან მეორე სოფელში. ლაღობდნენ, ნებივრობდნენ, აბახებდნენ გლეხის ქალებს — ცოლებს, ქალიშვილებს, ერთიორად თხოვდნენ გადასახადს.

დედოფლის მოურავი დავით ჩიქოვანი პეტერბურგში ეკატერინეს გამგზავრების დღიდანვე შეუდგა სალხინოს სასახლის შეკეთებას და ბაღ-ვენახების გაშენებას. გლეხებს ყანებიდან ერეკებოდა, ყანა კი სარეველას მიჰქონდა. გლეხები მუშაობდნენ ხე-ტყის დამუშავებაზე, სადურგლო სამუშაოზე, თლიდნენ ქვას, წვავდნენ კირსა და აგურს, ბარავდნენ და ხნავდნენ მიწას, კაფავდნენ ტყესა და გაჰყავდათ თხრილები. მათ არც ბინას აძლევდნენ, არც სამუშაო იარაღს, არც საჭმელს; უმინდოდ სი-

მინდსაც არ უფქვავდნენ დედოფლის წისქვილში. უკიდურესობამდე მისულმა გლეხებმა მოურავს მართალია თოდუა გაუგზავნეს და შეუთვალეს, სიმინდი მაინც დაგვიფქვი უმინდოდ. მართალია თოდუას დიდი სახელი ჰქონდა მოპოვებული როგორც გლეხებში, ისე თავადაზნაურობაშიც. გლეხებს ეგონათ, რომ დავით ჩიქოვანი მას უარით არ გამოისტუმრებდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

მოურავის პასუხი უმალ მოედო მთელ სალხინოს. ერთ დღეს ყველამ ერთად შეწყვიტა მუშაობა, თავი მოიყარეს და დავით ჩიქოვანი დაიბარეს.

მოურავი მალე მოიჭრა თავისი ცხენოსნებით მშენებლობაზე. ხალხი რომ ერთად შეყრილი ნახა, წარბები შეკრა, მაგრამ სანამ სიტყვას დაძრავდა, მართალია თოდუამ მუშტი ჰკრა გელა ჯგერენაიას. გელა წინ წარუდგა შავ ულაყზე მჯდარ ჩიქოვანს.

— დიდო ბატონო, ხარებს რომ ამუშავებენ, მერე აპეურებს უხსნიან, უღელს აშორებენ და საჭმელს აძლევენ, ასვენებენ. ჩვენ ადამიანები ვართ, მგონი, ღმერთმა ჩვენც თქვენსავით გაგვაჩინა, თქვენს სამუშაოზე ვმუშაობთ. ღმერთი რომ გწამდეთ, საჭმელს უნდა გვაძლევდეთ, მაგრამ ეს არ ინებეთ. ჩვენ სიმინდი მოგვაქვს, ცარიელი მჭადი მაინც შევჭამოთ, თქვენ კი ჩვენი სიმწრით მოტანილ სიმინდს მინდი რომ დაადევით, არც ღმერთის შეგეშინდათ, არც კაცი შეგეცოდათ? თუ მინდს არ მოგვიხსნით, ვტოვებთ სამუშაოს და მივდივართ.

ჩიქოვანმა არ შეასრულა გლეხების მოთხოვნა.

აღშფოთებულმა გლეხებმა იქვე შეჰფიცეს ერთმანეთს, არ შეესრულებინათ ეკატერინესა და მისი სახლთუხუცესის ბრძანება.

— დამშვიდდით, ბიჭებო! — დინჯად დაიწყო მართალია თოდუამ. — ჯერ ვცადოთ ამ საქმის მშვიდობიანი გზით მოგვარება. ავირჩიოთ სამი კაცი, გავგზავნოთ ზუგდიდში გრიგოლ დადიანთან მოსალაპარაკებლად, რომ ეს ახალი გადასახადი მაინც მოგვიხსნას.

ატყდა ჩოჩქოლი, მცირე თათბირის შემდეგ სასახლეში გასაგზავნად აირჩიეს მართალია თოდუა, გელა ჯგერენაია და დავით გიდელია.

ისინი იმავე ღამეს წავიდნენ ზუგდიდში გრიგოლ დადიანთან, აუხსნეს თავიანთი გასაჭირი, მაგრამ გრიგოლმა მათ გადაჭრით არაფერი უთხრა: არც დახმარებას დაჰპირდა, არც ურჩია — ნუ იბრძვით, მაინც არაფერი გამოვაო.

გრიგოლს დავით ჩიქოვანი სძულდა, უნდოდა მისი გაელენა და ავტორიტეტი შეელახა ეკატერინეს თვალში.

სალხინოში შეკრებილ გლეხობას მართალია თოდუამ განუცხადა:

— მე დავრწმუნდი, ძმებო, ნებით მაგათგან ვერაფერს მივიღებთ! რა ბევრი რამ ჩვენ ვთხოვეთ გრიგოლს, რომ არ დაგვეხმარა? ჩვენ სულ პატარა შეღავათი გვინდოდა, გაეუქმებინა ახალი ბეგარა, მაგრამ ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო, ტყუილა კი არ არის ნათქვამი. პატარა რამ მინდის მოხსნა არ დაგვითმეს, ხომ? ჩვენც ვუჩვენოთ მათ ჩვენი ძალა. — დაამთავრა მუქარით თოდუამ.

გაიგო რა ეს ამბავი ჩიქოვანმა, ყოველივე აცნობა თავის ძმას, რომელიც შეიარაღებულ რაზმს ხელმძღვანელობდა. ივანე ჩიქოვანმა ბრძოლა გაუმართა გლეხებს, მაგრამ ამაოდ. გაფიცულებმა, როგორც იტყვიან, კუდით ქვა ასროლინეს რაზმეულებს, ზოგიერთი დაჭრეს კიდეც და სამარცხვინოდ უკან გააბრუნეს.

დავითმა ახლა გრიგოლს მიმართა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მისი თხოვნაც უყურადღებოდ დატოვა.

გლეხებმა სასახლე დაიკავეს. მათ თანდათან ემატებოდათ ახლო სოფლებში მცხოვრები გლეხები, იმავე დღეს საომრად მომზადებული ოთხასამდე გლეხი სალხინოს სასახლეში დაბანაკდა. წინამძღოლად მართალია თოდუა აირჩიეს, დამხმარედ გელა ჯგერენაია და დავით გიდელია მიუჩინეს.

მართალიამ იმ ღამესვე გაგზავნა მაცნე სალხინოს ახლოს მდებარე სოფლებში და მოსახლეობას მოუწოდა თავადაზნაურთა საწინააღმდეგოდ მოწყობილ აჯანყებაში მონაწილეობა მიეღოთ. სასწრაფოდ წამოვიდა ხალხი კურზუდან, კიწიიდან, ტალერიდან, გურძემიდან, ნამიკოლოუდან, ნაფიჩხუოდან. გელა ჯგერენაიას სოფლიდან — საჩაჩიბაიოდან ქუდზე კაცი გამოვიდა. გლეხობა აღშფოთებული იყო გელას მამის ასე ვერაგულად

ცეცხლში დაწვით. გელას გადაწყვეტილი ჰქონდა ღირსეულად გასწორებოდა მამის მკვლელს.

შეუწყვეტლივ მოდიოდნენ იმ ღამეს გლეხები, სალაშქრო სიმღერებითა და ყიჟინით. სასახლის კარიბჭე ღია იყო. კარებში გუშაგები იდგნენ. გლეხები მხიარულად ესალმებოდნენ ერთმანეთს:

— ვითომ გაგვითენდა, ბიჭებო? აელაგმავთ ბატონებს?

— სად არის მართალია?

— გასჭრა მისმა სიმართლემ! — აღმოხდა ყველას გულიდან მოხეთქილი სიტყვები.

— თუ უტუ მიქავაც შემოგვიერთდა, მაშინ კი გვექნება ძალა. უტუ მაინც სხვა რკინისგანაა გამოჭედილი.

იმ ღამეს ათასამდე კაცი მოადგა სალხინოს სასახლეს. დილაადრიან კი ვარლამ გაბედავა მოვარდა რჩეული ახალგაზრდებით.

— რაშია საქმე, ძმებო! — კითხულობდა ის გზადაგზა და მოიჩქაროდა, რათა მალე ენახა თავისი ძმის ძუძუმტე გელა ჯაჯერენაია და მართალია თოდუა, რომლის სიმართლესა და პატიოსნებაზე მთელი სიფელი ლაპარაკობდა. ვარლამმა გელა გადაკოცნა და შეეკითხა:

— საყვარელო ძმაო, ამიხსენი, რაშია საქმე?

— ავჯანყდით, ვარლამ, ავჯანყდით! დედოფალი და მისი თავადები ჭკუაზე უნდა მოვიყვანოთ! სულ თავზე დაგვასხდნენ, ადამიანებად არ მივაჩნიერთ. ხომ იცი რა უქნეს მამაჩემს! ისე დაამცირეს, რომ ძაღლსაც არ მოკლავენ ასეთი სატანჯველით. ცეცხლში ამომიწვეს. ბეჟა კი დასჯის მაგივრად დედოფალმა შეიფარა.

— დამშვიდდი, ძმაო! მოვუღებთ ბოლოს მაგათ პარპაშს!

მზის გადახრამდე სალხინოს სასახლესთან უკვე ოთხიათასმა კაცმა მოიყარა თავი. უზარმაზარი ეზო ხალხს ველარ იტევდა. გლეხები იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად, ზოგი ეზოში გაბნეულ ქვის ლოდებზე ჩამომჯდარიყო, ზოგიც ეზოს გადაღმა თემშარაზე მოგროვილიყო, მსჯელობდნენ, საქმის ვითარებას თანდათან ეცნობოდნენ.

შუაღამე იქნებოდა, რომ მოთათბირების შემდეგ მართალია

თოდუა, გელა ჯგერენაია და დავით გიდელია აივანზე გამოვიდნენ სხვებთან ერთად. მართალიამ ხალხს მოუხმო.

— ძმებო, მეგობრებო! ამდენი ხალხი შეგვკრიბა ბატონების უსამართლობამ. მოიგონეთ ყოველმა თქვენგანმა, თუ რამდენ უსამართლობას, დამცირებას, შიმშილს, სიღარიბეს გადაუვლია ჩვენს თავზე. რაკი იარაღს ხელი მოვკიდეთ, წავიდეთ ორულე ეწერში და იქ თავისუფლად მოვილაპარაკოთ ჩვენს საქმეებზე.

ამ სიტყვების შემდეგ მართალია წარუძღვა ზღვა ხალხს. გელა, დავით და ვარლამი ურიცხვ ჯარს გამოეყვნენ და წაჩხურუს ეკლესიისაკენ გასწიეს. ფართო იყო ორულე ეწერი, მწვანე მოლით დაფენილი, მრავალწლიანი წიფლით გარშემორტყმული და მინდვრის ყვავილებით მოქარგული. აქა-იქ თხმელისა და მაყვლის ბუჩქებიც გაბარდნილიყო.

შეგროვილი გლეხობა როგორც კი ფართო მინდორზე გაიშალა, გელა და დავითიც გამოჩნდნენ. მათ წინ მოუძღოდათ მღვდელი და დიაკვანი. დიაკვანს წმიდა გიორგის ხატი მოჰქონდა.

— არ უყურებ ამ ჯოჯოხეთის მოციქულს? — მოუბრუნდა გელა ვარლამს, — მღვდელი ხატის დანებებას რომ არ გვიპირებდა?

ალბათ მებატონეებს მღვდლებიც იმაში ჰყავთ დარწმუნებული, რომ ღმერთი და ეკლესია მხოლოდ დედოფლისა და თავადებისაა, — თქვა დავით გიდელიამ.

ხატი ერთ დიდ ხესთან დაასვენეს.

— ძმებო, მიმართა კვლავ მართალიამ ხალხს, — მე მარტო ჩემით არაფერს ვთაოსნობ, ხალხმა ამირჩია. თქვენ, ჩემმა ძმებმა, ამირჩიეთ გიწინამძღვროთ მებატონეებთან გამართულ ბრძოლაში. ჩვენი მიზანია გლეხები მონობიდან გავათავისუფლოთ. პირველ რიგში გამოვიყვანოთ სასახლიდან ყმები. დავასახლოთ ისინი. მიწა თავადებს არ ეკუთვნით. მიწას ჩვენ ვამუშავებთ, ჩვენი ოფლით ვრწყავთ მას. რატომ არ უნდა გვეკუთვნოდეს მიწა-წყლის ნაწილი მაინც? დედოფალმა სულ ახლახან ის მიწებიც კი ჩამოგვართვა, რომელიც ჩვენ თათრის შემოსევის დროს გავკაფეთ და დავხანით. ვისაც ძალა შეგვწევდა, მტერს ვებრძოდით, ტიტლიკანა ბიჭები კი აქ მიწას ამუშავებდნენ. დედოფალმა ეს მცირე მიწაც წაგვართვა უსამართლოდ. ბეგა-

რაზე გამოსული გლეხი წისქვილში მინდს არასოდეს არ იხდიდა, გუშინ უმინდოდ სიმინდი არ დაგვიფქვეს. ყველამ იცით, რამდენი ახალგაზრდა გლეხი ქალ-ვაჟი იყიდება ყოველწლიურად ჩვენი სოფლებიდან.

თქვენ ყველამ იცით რა საცოდავად დასწვა ცეცხლში ჯოღორიას ნაშიერმა ბეჟა დგებუაძემ გელას მამა მიხა ჯგერენაია. რით დასაჯეს სისხლისმსმელი ბეჟა? არაფრით. მიუწონეს სიმხეცე და კალთა გადაიფარეს.

ადამიანები ღმერთმა ერთნაირად გააჩინა, ერთნაირად იბადება და კვდება, მაშ ჩვენ რისთვის უნდა გვექცეოდნენ პირუტყვზე უარესად? რატომ უნდა გვწვავდნენ ცოცხლად ცეცხლში? შევფიცოთ ერთმანეთს, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ!

— შევფიცოთ, შევფიცოთ! — იგრიალა ხალხმა.

მართალიამ განაგრძო:

— წმიდა გიორგი გაუწყრეს, მზე დაუბნელდეს, ცოლ-შვილი გაუწყდეს, ძმის სისხლი დაღვაროს თავისი ხელით, სწყუროდეს და წყალი ვერ იშოვოს, შიოდეს და საჭმელი ვერ იშოვოს, ვინც ერთმანეთს უღალატოს, ღმერთმა ასე დააქციოს მისი ოჯახი! — თქვა მართალიამ და ქუდი მიწაზე დაანარცხა.

— ამინ, ამინ! — მოისმა ხალხის ხმა.

— ძმებო, — აიღო სიტყვა დავით გიდელიამ, — ვინც სიტყვა გატეხოს, ბრძოლის დროს დაიმალოს, თავადაზნაურებში გაგვცვალოს, იმასაც ისე დაექცეს ოჯახი, თავი და ცოლ-შვილი! — იმანაც ქუდი მიწაზე დაანარცხა.

ერთ წუთში აუარებელი ქუდი და ყაბალახი ჰაერში აფრიალდა, შემდეგ მიწას დაცვივდა.

— ასე დაიქცეს! — იძახდნენ გლეხები და მათი გუგუნი მთელ კუთხეს ედებოდა.

გლეხობას ჯერ კიდევ ქუდების დასურვა ვერ მოესწრო, რომ ახალგაზრდათა რიგებში სიმღერა გაისმა, სიმღერა ახლად შობილი. ვარლამ გაბედავა ამ ახალ სიმღერას თავისი წკრიალა ხმით იწყებდა.

„აბა, ძმებო, წასელა, წასელა, გამარჯვება ან სიკვდილი“! ეს სიმღერა მოკლედ გამოხატავდა გლეხობის ბრძოლისა და გამარჯვების სურვილს.

სალიპარტიანოში აჯანყებულ გლეხთა ყიჟინა ჯერ მთელ სამეგრელოს არ მოსდებოდა, რომ ხობისწყლის მარცხენა ნაპირზეც იფეთქა გლეხთა ამბოხებამ, მხოლოდ ეს იქ სხვა საბაბით იყო გამოწვეული: სოფლები ჯვარი და ლია ჯერ კიდევ დავითის სიცოცხლეში ბაღებად უნდა გადაექციათ, რადგან იქ მეფუტკრეობის გავრცელებას ფიქრობდა დადიანი; ახლა კი გრიგოლ დადიანმა ბრძანება გასცა ეს ადგილები გაეთავისუფლებინათ, იქ მცხოვრები გლეხები აეყარათ.

სოფლებში დედოფლის გზირები დაძრწოდნენ და გლეხებს ძალით აყრას უპირებდნენ. არავინ ზრუნავდა იმაზე, თუ სად მიეჩინათ მათთვის ახალი სამოსახლო ადგილი.

— გვასახლებთ, მაგრამ სად წავიდეთ, არ უნდა დავესახლოთ სადმე? მგლები ხომ არა ვართ, ტყე-ტყე ვიაროთ? — გაიძახოდნენ აღშფოთებული გლეხები.

ასე დაიწყო გლეხთა აჯანყება ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე, რომელსაც სათავეში უტუ მიქავა ჩაუდგა.

უტუმ ბევრი მოხალისე შეაიარაღა ომერ-ფაშას ჯარისკაცებისათვის წართმეული შტუცერის სისტემის თოფითა და დამბაჩებით. ომის დამთავრების შემდეგ კი ეს იარაღი საიმედო გლეხებს ჰქონდათ სოფლად შენახული.

უტუმ სასწრაფოდ შეკრიბა გლეხები. ვისაც იარაღი არ ჰქონდა, წალდით, ცულით და აკაციის გრძელი კეტებით შეიარაღებულიყვნენ.

სოფელში აღმოჩნდა ისეთი ახალგაზრდებიც, რომლებსაც ჯერ ვერ მოეხერხებინათ უტუს ჯარში გაერთიანება.

ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ტაგუ აკობიას ახალგაზრდული ცეცხლით გაუბრწყინდა გიშრისფერი თვალები, როცა გლეხთა აჯანყების ამბავი გაიგო. მას ბევრი და-ძმა ჰყავდა. დედა და მოხუცი ბებია ვერ აუდიოდნენ საოჯახო საქმეებს. მამა და უფროსი ძმები ლაშქარს შეერთებოდნენ. ტაგუ კი სახლში დარჩენილიყო, რადგან მოკლე, შინნაქსოვი ქვედასაცვლის მეტი არა გააჩნდა რა. ძლიერ მოწყენილი დადიოდა ტაგუ. ჭაბუკობის ასაკში შესული ვაჟი თავბედს იწყევლიდა, ლამაზ ქოჩორზე და საულვაშეზე ხშირად გადაისვამდა ხელს, მით უფრო მაშინ, როდესაც ახალგაზრდა გოგონებს შეხვდებოდა. მეზობლის ბევრი თანატოლი ბიჭი იყო მის მდგომარეობაში.

ტაგუს მამას ჯარში მყოფმა მეზობელმა ჰკითხა:

— ტაგუ რომ არ წამოგიყვანია, ავად ხომ არ არის?

მან გულახდილად თქვა თუ რა იყო ტაგუს აქ არყოფნის მიზეზი და თან დასძინა:

— ტანზე ჩასაცმელი როგორ არ უნდა ჰქონდეს ადამიანს. ამას ცხოვრება ჰქვია? გულდათუთქული დავტოვე საწყალი ბიჭი შინ და სულ ამ მუქთახორების მიზეზით ვართ გლეხები ასე წელში გაწყვეტილი.

— იქნებ ჩვენც გაგვითენდეს. შენ მაინც გეთქვა უტუსათვის ტაგუს მდგომარეობა, მოუხერხებდა რამეს.

მართლაც, ტაგუ და მისი ამხანაგები იმ დღესვე შემოსეს და კაჟის თოფებიც მისცეს. აჯანყების ხელმძღვანელებმა კარგად იცოდნენ, თუ რა სიღარიბეს განიცდიდა სოფელი, ამიტომ ლაშქარში მოსულ მოხალისეებს თვითონვე ამარაგებდნენ.

ჯვარი და წალენჯიხა აჯანყების კერად იქცა. მათ ახლო მდებარე სოფლების გლეხობა შეუერთდა. უტუ მიქავას მოადგილეებად უტუ ჭანტურია, ხუსეინა კვირტია და ლევან კვარაცხელია იყვნენ. უტუ მიქავას ჯარში სულ მოკლე ხანში ათასობით აჯანყებულმა გლეხმა მოიყარა თავი.

მართალია თოდუას ჯარი სალიპარტიოში მოქმედებდა. მათ მოჰყავდათ მებატონეების სასახლეებიდან ახალგაზრდა ყმა ქალ-ვაჟები, გლეხები აღარ იხდიდნენ არავითარ გადასახადს და ბეგარას. აჯანყებულებს თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა, მას სახლ-კარს გადაუბუგავდნენ.

დამფრთხალი თავადები გარბოდნენ ერთი სოფლიდან მეორეში, დაბებსა და ქალაქებში, სალიპარტიანოს კავშირი ჰქონდა ჯვარსა და წალენჯიხასთან.

უტუ მიქავას და მართალია თოდუას ერთმანეთის ნახვა სწყუროდათ, თავიანთი ჯარების ძმობისა და ერთსულოვნების განმტკიცება და გაერთიანება ეჩქარებოდათ. მართალია თოდუას თავისი ჯარი, რომელიც ბრძოლის ცეცხლით ანთებული ოთხი ათასი კაცისაგან შედგებოდა, წალენჯიხაში მიჰყავდა.

„ურდუმი“ (ასე უწოდებდნენ ამ ლაშქარს) წითელ დროშას მიაფრიალებდა.

სოფელ წალენჯიხაში დაბანაკებულ ლაშქარში ხმა დაირხა:

სალიპარტიანოდან მართალია თოდუა თავისი ურდუმით მოდისო. ყველა აღაფრთოვანა ამ სასიხარულო ცნობამ.

უტუ მიქავამ ასეულების უფროსებს გამოუძახა და დაარიგა, რიგიანი შეხვედრა მოეწყოთ „ურდუმისათვის". მოუთმენლად ელოდნენ ძმობილებს აჯანყებულ გლეხთა სარდალი უტუ მიქავა და მისი ჯარი.

მესამე დღეს წალენჯიხის მიდამოები ათასობით ამოძახილმა შეაზანზარა:

— მოდიან, მოდიან! — გუგუნებდა ჯარი, თხმელითა და გვიმრით გადაბურული ხევი ადამიანთა სიხარულს მოეცვა.

მართალია თოდუას ჯარის ავანგარდი ცხენოსნებისაგან შედგებოდა. გუშინ უენო ბიჭები, ახლა მათსავე ბატონის ცხენებზე ამხედრებულნი, ამაყად გამოიყურებოდნენ. ომახიანი ყიჟინისაგან ისედაც შეშფოთებულ ცხენებს, მათი ყაბალახების ფრიალი კიდევ უფრო აფრთხობდა, ჭიხვინებდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ. ერთგული ასისთავებით მხარდამშვენებული უტუ მიქავა მაღლობზე გადმომდგარიყო და ღიმილით ხვდებოდა ურდუმის მებრძოლებს.

ახლოვდებოდნენ ისინი, ვინც გაბედულად გადაიარა მთები, ტყე-ღრე. ჰაერი გააპო ახალმა საბრძოლო სიმღერებმა.

ჯარს წინ მოუძღოდა მართალია თოდუა, რომელიც მოხდენილად იჯდა ცხენზე. რომელ თავადს არ შეეხარბებოდა მისი ახოვანება ან ცხენოსნობა. ოციოდე ნაბიჯზე უტუ მიქავასაგან თოდუამ ძალუმად მოსწია ცხენს სადავე, ყალყზე შემდგარმა ცხენმა მაკრატელივით ათამაშებული წინაფეხები, ერთი წუთით თითქოს ზეცას მიაბჯინაო, შეაყოვნა, შემდეგ დაბლა დაუშვა და ელვის სისწრაფით გადმომხტარი მართალია ღიმილით გაემართა უტუ მიქავასაკენ. ცხენი კისერმოდრეკილი იდგა ადგილზე, მიწას ტორავდა, თითქოს მეგობართა შეხვედრას დასტურს აძლევდა. მიქავა და თოდუა ერთმანეთს ძმურად გადაეხვივნენ და სწორედ ამ დროს ჰაერში მრავალმა თოფმა იჭექა. თოფისწამლის კვამლში გახვეული უტუ და მართალია ხელიხელგადაჭდობილნი გაემართნენ ჯარისკენ. მოსულებს დამხვდურები შემოესივნენ. ურდუმის დინება კვლავ გრძელდებოდა, რასაც თოფების კანტიკუნტი ხმა მოწმობდა.

— როგორ ხარ, ძმაო? ხომ მშვიდობით გამოიარეთ ეს გრძე-

ლი გზა? — მზრუნველობით შეეკითხა უტუ მიქავა მართალიას.

— კაჟივით, ძმაო, კაჟივით! გზადაგზა სოფლები სიხარულით გვხვდებოდა, ურდუმს სულ ემატებოდა ვაჟკაცები.

— ბევრი მებრძოლი გყავს იარაღიანი?

— მხოლოდ ნაწილია თოფით და დამბაჩით შეიარაღებული, დანარჩენებს წალდები და ნაჯახები აქვთ. იარაღს ვიშოვით, — იმედიანად თქვა მართალიამ. — ეს მითხარი, უტუ, შენ როგორ გაქეს საქმე, თორემ ჩვენ არც ისე კარგად: ჯერ ბევრი მებატონე დაგვიძვრა ხელიდან ისე, რომ იარაღის ჩამორთმევა ვერ მოვასწარით! ლაჩრები! სადაც წავეწიეთ, იცოცხლე, უმალ ავყარეთ იარაღი.

— იარაღი ჩვენ გვაქვს, მართალია! იმდენი არა, რამდენიც საჭიროა, მაგრამ, არაფერია, თანდათან ვიშოვით! მთავარია, ზუგდიდი და სენაკი ავიღოთ, მებატონეთა ბუნაგი მოვსპოთ, მერე ყველაფერი გაჩნდება!

უტუ მიქავამ ისე ძლიერად დააკვესა გამჭრიახი თვალები, რომ მისი შინაგანი ძალა და შეუდრეკლობა მარტო ასეთი გამოხედვითაც იგრძნობოდა. შემდეგ უტუ მოადგილეებს მიუბრუნდა.

— აბა, თავი მოუყარეთ ათისთავებს და ასისთავებს. მართალია, შენი ჯარის ხელმძღვანელებს გამოუძახე!

მართალია შეიჭმუხნა:

— რა კარგი წესები გქონია, უტუ. მე არა მყავს ათისთავები და ასისთავები, მხოლოდ მოადგილეები მყავს, გელა ჯგერენაია და დავით გიდელია.

— ოჰო, — გაუხარდა უტუს, — ეს ვეფხვები ჩემთან ერთად იბრძოდნენ ომერ-ფაშას წინააღმდეგ. კარგი მოადგილეები გყოლია, მაგრამ არ კმარა. ჩემი ფიქრით, ჯობია გაანაწილო მეომრები და დაუნიშნო უფროსები.

— მეც ვხედავ, რომ ასე ჯობს. მომავალში ასე მოვიქცევი, ახლა კი, მოადგილეები დავისწროთ, რჩეულ ვაჟკაცებსაც დავუძახებ — ვარლამ გაბედავას, მაქსიმე კოკაიას, პორფილე ოკუჯავას, ბეჩუნა სვიჩიას. ასლა მე მინდა ჩემი აზრიც გაგიზიარო, უტუ. შენ ისეთი კარგი წესრიგი გაქვს და ისეთი ჭკუა-გონების კაცი ყოფილხარ, რომ ჩემი და შენი ჯარის წინამძღოლი შენ

უნდა გახდე. ცხენისწყლის მარცხენა მხარეზედაც შენს ბრძანებას უნდა ვასრულებდეთ, მაშინ უფრო ძლიერი გავხდებით.

— მართალია, შენ ცუდად არ გაძღოლიხარ საქმეს. მარტო შენი ურდუმი და მისი რიგების წინ ბაირაღის ფრიალი დაუვსებს მტერს თვალებს. რაკი შენ ასეთ პატივს მანიჭებ, მაშინ ჩვენს გაერთიანებულ ჯარებსაც ურდუმი დაერქმევა, ეს კი ჩვენი საერთო დროშა იქნება!

* * *

საღამოს მეთაურების კრება შედგა. მათ მთავარ მიზანს შეადგენდა ზუგდიდისა და სენაკის აღება; ბევრი საკითხი შეუთანხმეს ერთმანეთს. იქვე, მწვანეზე, სახელდახელო სუფრა გაიშალა.

ქალებს გულუხვობითა და სტუმართმოყვარეობით მოეტანათ შეილებისა, ძმებისა, ქმრებისა და მამებისათვის აუარებელი სანოვაგე. თვითონაც აქ ტრიალებდნენ ეს ახალგაზრდა ქალები, მებატონეებისაგან წამოყვანილი გოგონებიც ემსახურებოდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ვაჟკაცებს. ხელიდან ხელში გადადიოდა თიხის პატარა დოქები.

ერთმანეთს ლოცავდნენ უტუ მიქავასა და მართალია თოდუას მოლაშქრენი.

ბოლოს აიშალნენ, თავთავისთვის დაეწყნენ, მართალიას ჯარმა გამოსათხოვარი სალამი მისცა უტუს ჯარს. მეთაურებმა ერთმანეთს მაგრად ჩამოართვეს ხელი, გამარჯვება უსურვეს.

ისევ გაისმა აჯანყებულების საყვარელი სიმღერა: „წასვლა, წასვლა, გამარჯვება ან სიკვდილი“!

მართალიას ჯარი წალენჯიხიდან ოჩხომურისკენ გაემართა, რომ იქ დაესვენათ და შემდეგ ისევ სალიპარტიანოში გამაგრებულიყვნენ.

გლეხთა აჯანყება სამეგრელოს ფეოდალებმა სხვადასხვა პირობებში გაიგეს. ზოგმა მებატონემ აჯანყების ამბავი მხოლოდ მაშინ იგრძნო, როდესაც მისი ოჯახიდან ყმები წაიყვანეს და იარაღი წაიღეს. დაბნეულ მებატონეებს უკვირდათ: როგორ ბედავს გუშინდელი მონა-მორჩილი გლეხი, რომ დღეს მამაპაპეულ თოფ-იარაღს მტაცებს და ჩემს თვალწინ თვითონ იარაღ-

დებაო. ზოგი მათგანი წინააღმდეგობის გაწევას ფიქრობდა, მაგრამ ამაოდ. შეშინებული მებატონეები გარბოდნენ.

გლეხთა აჯანყების ამბავი მაიას სასახლეში გელა ჯგერენაიამ შეუთვალა ლერწამისას.

კარგად გათენებული არ იყო, რომ ლერწამისამ ტანზე ჩაიცვა, მისმა ხმაურმა თუთანა გააღვიძა.

— რა დაგესიზმრა, გოგო, ასე ადრე რომ წამოვარდი და გამაღვიძე?

— არ დამეძინა, სულ გელას ნათქვამზე ვფიქრობდი. ნეტა რა იქნება, რით დამთავრდება ვითომ ეს ამბავი?

— რა ვიცი, ვნახოთ რა იქნება.

ქალიშვილებს ლაპარაკი არ დაემთავრებინათ, რომ მაიას ოთახიდან ვერცხლის ზარის წკრიალი მოისმა. ლერწამისამ სწრაფად შეაღო ქალბატონის ოთახის კარი.

— მოდი, ლერწამისა, ჩაცმაში მომეხმარე. ჩანს, კარვი დილაა, მეჩქარება ჰაერზე გასვლა. — უთხრა მაიამ ლერწამისას.

ლერწამისა გულმოდგინედ ემსახურებოდა მაიას, წინასწარ გრძნობდა, თუ რა სურდა ნებიერ ქალს. მაიასაც ამიტომ უყვარდა ლერწამისას დასაქმება, მისი გარეგნობაც სიამოვნებას გვრიდა მას; იმიტომ იყო, რომ თუთანა უფრო საკერავ-საქარგავს მიუჩინა, ხოლო ლერწამისა მუდამ თავისთან ჰყავდა. ამ დილით მაიამ შეამჩნია, რომ ლერწამისა უხალისოდ ემსახურებოდა, დაბნეული იყო, ვერაფერს აკნებდა — პირსახოცის მაგივრად თეთრ მანდილს მოჰკიდა ხელი, მიხვდა თავის შეცდომას, გაწითლდა.

— ავად ხომ არა ხარ, ლერწამისა, უფერულად გამოიყურები? — ჰკითხა მაიამ.

ლერწამისა შეკრთა, თითქოს გულში ჩახედეს და საიდუმლო ამოიკითხესო.

— კარგადა ვარ, ქალბატონო, თქვენს მზეს ვფიცავ! ადრე ავდექით მე და თუთანა. ალბათ იმიტომ გეჩვენებით გალახული, — ამბობდა ლერწამისა და თან გული უკვდებოდა, რომ სიმართლეს მალავდა.

ამ დილით მაიას მოახსენეს ძიძიშვილების მოსვლა, არ ელოდა მათ, სულ რამდენიმე დღის წასული იყვნენ. მაიამ საჩქაროდ იხმო ვარლამი და ჭუტულა.

— ხომ არაფერი გაგიჭირდათ, ძიძა ხომ არ არის ავად? — ჰკითხა მაიამ.

— არა, ბატონო, ყველანი კარგად გახლავართ. — მოახსენა ვარლამმა მაიას. — მე მართალია თოდუას ურდუმში ვარ. ახლა ჭუტულას წასაყვანად ჩამოვედი. საჭიროდ მივიჩნიე, მაია ბატონო, შენთვის მეცნობებინა.

— უტუსა და მართალიას ამბავი მე უკვე მაცნობეს, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, თუ შენც იმათთან იყავი.

ლერწამისა, რომელიც თავის ქალბატონს თავზე ადგა, ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, მაგრამ თან ეშინოდა: ვაითუ ჩემთან არა თქვანო, ვარლამმა კი მოურიდებლად დაიწყო:

— სადაც სხვებია, იქ მეც უნდა ვიყო, ქალბატონო. ჩვენ ერთმანეთის საქმისთვის ვიბრძვით. მე რა გამაჩერებს შინ.

— რა საქმისათვის, ბიჭო?

— ადამიანური ცხოვრებისთვის.

— კიდევ რაო?

— რა ვიცი, ბატონო, რამდენი გასაჭირი გითხრა გლეხის... ძიძამ გადმოგვყარა, ბატონიშვილს არაფერი უჭირდეს, მთავარი კონსტანტინე აქ არ ბრძანდებაო.

მაია ჩაფიქრდა, ხოლო ლერწამისას თავისი გულის ბაგაბუგი საათივით ესმოდა, ვერც წასვლას ახერხებდა, გული საგულეში არ ეტეოდა. ის ახლა მხოლოდ გელაზე ფიქრობდა, მებატონეზე გამარჯვებულ გელაზე, რომელსაც მიეცემოდა საშუალება საკუთარი ოჯახი შეექმნა.

მაიამ თავი აიღო და იკითხა:

— ვის ასახელებენ მომავალ მთავრად?

— ამბობენ მთავრის შვილს კონსტანტინესო, რადგან გრიგოლი არ ინდომებს თურმე მთავრობას.

— კონსტანტინე რომ არ არის?

— ჩამოვა, ბატონო!

მაიამ ხელი ჩაიქნია.

— ძიძა აქეთ ჩამომიყვანეთ, საჩქაროდ. ის ახლა შეშინებული იქნება. ჩემთან უფრო დაისვენებს. თქვენც ჩემთან იყავით, რამე არ შეგემთხვეთ!

— ჩვენ რა შეგვემთხვევა, ბატონო! — უპასუხა ვარლამმა, ხო-

ლო ჭუტულამ ახლაც არ უღალატა ჩვეულებას და მაია გამოაჯავრა:

— არა, ჩვენ აჯანყებულ გლეხებს ამოვუდგებით გვერდში. გვეყოფა ამდენი ხანი ბატონობა.

— მე ნუ მოგიკვდები, მითხარი, გელა ურევია თუ არა ამ საქმეში?

— თუ ურევია, ის ურევია, ბატონო. მართალიას მარჯვენა ხელია.

— რამდენი უბედურება შეიძლება მოუტანოს ხალხს ცუდმა მმართველმა! განა ქვეყნის მოვლა ასე ადვილია, როგორც ჩემს რძალს ჰგონია? ალბათ გაამწარა ხალხი, ამ ხვნა-თესვის დროს ოჯახებიდან რომ გადაცვივდნენ.

— ხალხს, ბატონო, სისხლი გაუშრეს დედოფლის მოურავებმა. ამდენი გადასახადი ჯერ გლეხობას არ მოსწრებია, ან რა სიმკაცრე შემოიღეს! ახალგაზრდებს ოჯახები ვერ შეუქმნიათ მაგათი შიშითა და უსინდისობით.

ლერწამისა განაგონს გულში იხვევდა, თან ფიქრობდა: „როდის ვნახავ გელას, რომ ყველაფერი ვუამბოო“.

უნიადაგონი

შუაღამე იქნებოდა, როდესაც ჯოღორია ლეგბუაძის შვილი — ბეჟა მაიას სასახლეში მიიჭრა. ყველას გაუკვირდა ასე უდროო დროს სტუმრის მოსვლა, მით უფრო, რომ ბეჟა მაიას სასახლეში არასოდეს არ ენახათ. ის საზოგადოდ გაურბოდა თავად გრიგოლის შთამომავლობას. როგორც მამამისს, ისე მასაც მთავრის შტო არ უყვარდა.

ჯოღორია ახალგაზრდობაში წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო. მის მრისხანე სახეს სიმღერა და მხიარულება ძლიერ უხდებოდა. კარგ მომღერლად და მოცეკვავედ ითვლებოდა, ჯირითში ბადალი არ ჰყავდა. მთავრის ამალაში პირველი კაცი იყო.

ერთ დღეს, ლევან დადიანის მამას, გრიგოლ დადიანს თავისი ძმა მანუჩარი ჰყოლია სტუმრად. მთავარი წინადღით სანადიროდ ყოფილა.

აუარებელი ნანადირევი: ჯიხვი, შველი, კურდღელი სამზა-

რეულოში იწვებოდა. ცხელ-ცხელი მწვადები ზედიზედ მოდიოდა სუფრაზე. ხელიდან ხელში გადადიოდა ყანწები და აზარფეშები. დიდი დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში გლეხის ლამაზი გოგონები დროდადრო ჩონგურს აწკრიალებდნენ და თან ნაღვლიანი ხმით მღეროდნენ. სუფრაზე მრავალჟამიერსა და ხელხვავს ჯოღორია იწყებდა.

მომღერლებში გამოირჩეოდა ბასაია ჯანჯღავა. ის ჯოღორიას სკამთან იდგა, ხშირად წაართმევდა ჯოღორიას ხელხვავის დაწყებას და შემდეგ მოძახილზე გადავიდოდა. ბასაია სიმღერის გარდა, თავისი მახვილი ენითაც გამოირჩეოდა. კარგი გარეგნობით, ენამჭევრობითა და სიმღერებით ის სასახლეში კარგად იყო მიღებული. ჯანჯღავა ხანდახან ისეთ რამეს ჩაურთავდა ხუმრობაში, რომ სხვა გლეხს ასეთი საქციელისთვის ენას ამოაგლეჯდნენ.

ყოველივე ეს არ ცვლიდა მის მონურ მდგომარეობას. ახალგაზრდა კაცს ვერც ცოლის შერთვის ნება აეღო, ვერც ცალკე დასახლებისა და ეს მშვენიერი ვაჟკაცი ხშირად იტყოდა:

— რა არის ჩემი სიცოცხლე? არ მემღერება, მაგრამ უნდა ვიმღერო; მეძინება, მაგრამ უნდა ვიფხიზლო, ვიდრე ბატონებს ლხინი არ მოწყინდებათ. არც შვილი, არც ცოლი, არც ოჯახი. ყოველთვის იმის შიშით ვწვები: აი ახლა გამაღვიძებენ, სტუმრები მოვიდნენ, იმათ გასართობად გვეახელიო.

გრიგოლმა პირველი სასმისით მანუჩარის სადღეგრძელო შესვა, მას ისე უყვარდა თავისი უმცროსი ძმა, რომ მისთვის გავარვარებულ საკირეში გადავარდებოდა.

— საყვარელო ძმაო, ბედნიერი იყავ, სამშობლოს მოყვარული, კარგი ქართველი! ჯერ ახალგაზრდა ხარ, გიყვარს ლხინი, გიყვარს ყოველივე კარგი და ლამაზი. ამისათვის დამილოცნია შენთვის ჩემს ამალაში ყოველმხრივ თვალსაჩინო ჯოღორია დგებუაძე, ორივე ახალგაზრდა ხართ, ერთმანეთი დაამშვენეთ.

მანუჩარი გახარებული წამოხტა, მივიდა ძმასთან, მადლობა გადაუხადა და თავზე ეამბორა. ყველანი ფეხზე იდგნენ, სანამ ეს ცერემონიალი ხდებოდა, შემდეგ დასხდნენ, ჯოღორია კი ისევ ფეხზე იდგა. მისი თვალები მრისხანედ გამოიყურებოდნენ, ხოლო სახეს ნაცრისფერი დადებოდა.

— ჯოღორია, რად არ ჯდები? — შენიშნა გრიგოლმა,

— ამის შემდეგ აქ ჩემი ადგილი აღარ არის, მთავარო! მე მთავრის შვილის, მანუჩარის ამალაში დავჯდები, — თქვა უკმაყოფილოდ, თავის სკამიანად წავიდა და მანუჩარის მხლებელთა შორის დაჯდა. სუფრის წევრებმა უხერხულობა იგრძნეს, ჯოღორიას კი ახრჩობდა ყელში მობჯენილი სიტყვები:

— მე მწევარი ვიყავი, რომ ჩემს დაუკითხავად ეს გამიბედეს? მხლებელი ვიყო და ისიც მანუჩარის? მე თუ ჯოღორია დვებუაძე ვარ, გაჩვენებ შენს სეირს, დაგიჯენ ფასად ამ შეურაცხყოფას!

მან ვერ თქვა ეს სიტყვები, გულში ჩაიკლა და მოწყენილი დაჯდა თავის ახალ ადგილას. ლხინი ისე გათავდა, რომ ჯოღორიას არ უმღერია, სულ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ გადაეხადა გრიგოლისათვის სამაგიერო.

ჯოღორიამ სულ ორ-სამ წელიწადში მოახერხა საყვარელი ძმების გრიგოლისა და მანუჩარის ერთმანეთზე გადამტერება. მანუჩარმა თავის ძმას მთელი სალიპარტიანო წაართვა ჯოღორიას რჩევითა და შემწეობით. გრიგოლი ჯერ ლეჩხუმში გაიქცა, შემდეგ იმერეთში ჩავიდა სოლომონ მეორესთან, რომელიც მისი სიძე იყო.

მთავარ გრიგოლის ცოლი ერეკლე მეფის შვილიშვილი იყო.

როდესაც მეფე ერეკლეს სამეგრელოს მდგომარეობა მოახსენეს, მან თავისი შვილიშვილი, გიორგი მეთორმეტის ვაჟი, იოანე გამოგზავნა ამ საქმის მოსაგვარებლად.

იოანემ შეარიგა გრიგოლი და მანუჩარი, დაუდო ზღვარი მათ მამულებს.

მანუჩარმა, ჩანს, დიდი მამული მიიღო მორიგების შემდეგ, რომ ჯოღორიას მისადმი ერთგულებისათვის ნამიკოლოუს ციხე-სიმაგრე აჩუქა რამდენიმე სოფლით. ბუნებით მკაცრი და შურისმაძიებელი ჯოღორია ისე გაბატონდა, რომ მთელი კუთხე შიშის ქვეშ ჰყავდა. გრიგოლის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა ყოველთვის შურისსაძიებლად იწვევდა. ეს გრძნობა გრიგოლის შვილებზე და შვილიშვილებზედაც გადაიტანა. კიდევ უფრო გაღრმავდა შურისძიების გრძნობა იმ შეურაცხყოფის შემდეგ, რომელიც მას მთავარმა დავით დადიანმა მიაყენა.

დავით დადიანმა ბაბუა გრიგოლის და მამის ლევანის სიკვდილის შემდეგ ჯოღორია ისევ დაიახლოვა. ეს თვალსაჩინო თა-

ვადი მას მოსწონდა, ამალას უმშვენებდა, მაგრამ, ამავე დროს, არ ენდობოდა: კარგად იცოდა თუ რა დღე დააყენა ჯოღორიამ პაპამისს გრიგოლს. დავითი ცდილობდა, ჯოღორია ახლოს ჰყოლოდა და ამასთან, არ მიეცა მისთვის სალიპარტიანოში პარპაშის საშუალება.

დავით დადიანს ერთ დღეს საჭილაოდან წარჩინებული აზნაური გიორგი კორძაია ესტუმრა თავისი ცოლით, რომელიც იმერეთში სილამაზით იყო განთქმული.

მთავარმა შეამჩნია, რომ ჯოღორია ზედმეტი ყურადღებით ექცეოდა კორძაიას მეუღლეს და ასიშნა, მეტი თავდაჭერით მოქცეულიყო. ჯოღორია კი, რაც მეტად შედიოდა ლხინში, უფრო გათამამდა. დავითს ეწყინა და სტუმრების წასვლის შემდეგ უბრძანა:

— დღესვე გაიპარსავ წვერს და ისე იელი სასახლეში.

ჯოღორიამ იცოდა რისთვის გაიმეტა მთავარმა ასეთი სასტიკი სასჯელისათვის, იმასაც მიხვდა, რომ არ აპატიებდა. ან ბრძანება უნდა შეესრულებინა ან თავი უნდა გაეწირა. დიდი ფიქრის შემდეგ გულისტკივილით გამოეთხოვა თავის წაბლისფერ წვერს და იმავე ღამეს გადაიხვეწა სასახლიდან, მთავარს კი დაუბარა: არც შენი ამალა მინდა, არც შენი თავი, აღარ მომიკითხო, ნუ შემავიწროებ, მტრად ნუ გამიხდი, ამის შემდეგ მაინც დაკმაყოფილდი ჩემი დამცირებითო. შენ მესამე ხარ შენი გვარიდან, რომელიც ასე მამცირებ, სამაგიერო მოგიზღოს ღმერთმაო.

რა თქმა უნდა, იცოდა რა ბეჟამ, თუ რა შეურაცხყოფა ჰქონდა მამას მიყენებული დადიანებისაგან, ის სასახლის მოყვარული არ იქნებოდა. მას სამტრო-სამოყვროდ არ ეძებდა.

ამის მოგონებამ და ეკატერინეს სიძულვილმა მიიყვანა ბეჟა მაიას სასახლეში.

მაიას არ უნდოდა იმ ღამეს ახირებული სტუმრის მიღება, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მამაზე მგლოვიარე ბეჟას დიდი საქმე რომ არ ჰქონოდა, სასახლეს ასე გვიან არ ეწვეოდა.

ქვეყნის ამბავი ეცოდინება ამ კაცსო, იფიქრა საწოლ ოთახში წასასვლელად გამზადებულმა მაიამ.

ერთმანეთის მისალმების შემდეგ მაიამ ბეჟას მოურიდებლად ჰკითხა:

— რამ შეგაწუხა, თავადო, რაზე გარჯილხარ? რითი შემიძლია გემსახურო?

ბეჟამ მდაბლად დაუკრა თავი.

— გაჭირვებამ მომიყვანა შენთან, მაია, შუაღამეზე. მამაჩემის საცოდავად დაღუპვის ამბავი მოგეხსენებათ. მისი მკვლელი რომ ჩვენი ყმა გელა ჯგერენაიაა, ესეც ალბათ იცით. მკვლელი რომ ვერ ვიგდე ხელთ, შური მამამისზე ვიძიე. მეგონა დედოფალი დამიფარავდა აჯანყებულთაგან, მაგრამ დედოფალმა მე კი არა, მთელი სამთავრო საჯიჯგნად მიუგდო აჯანყებულ გლეხობას და თავისი სახელისა და სიამოვნებისათვის პეტერბურგს წაბრძანდა. როგორც იცი, ჯოღორიას, გრიგოლიდან მოყოლებული არც ლევანისაგან, არც დავითისაგან არ დაჰკლებია სიმწარე და შეურაცხყოფა. პირდაპირ გეტყვი, ბატონიშვილო, თუ უბედურმა მამაჩემმა ვერ შეძლო სამაგიერო მიეზღო აწ განსვენებული მთავრისათვის, ახლა მე მინდა დედოფალს მაინც ვუმუხთლო. ‘თელი გლეხობა აღუდგა ეკატერინეს. უკეთეს დროს ვერ ინატრებს კაცი მისი ტახტიდან გადაგდებისათვის. აჯანყებულები არც გრიგოლ დადიანს დაინდობენ: შენი მეუღლე კონსტანტინე არავის სძულს, მაგრამ ის აქ არ არის. მის ჩამოსვლამდე სამთავროს შენ ჩაუდექი. ახლა არავის აირჩევს შენს მეტს თავადაზნაურობა. მე მთელი სალიპარტიანო ხელში მყავს და მხარს დაგიჭერ. გლეხებს უყვარხარ, პატივს გცემენ, შენს სიტყვას დაუჯერებენ. თუ მამაშენი გიორგი და ბიძაშენი პეტრეც აძოგიდგებიან მხარში, აჯანყებულები მათი ხათრით იარაღს დაყრიან. თვით აჯანყებულები აგიყვანენ ტახტზე, ბატონიშვილო.

მაია ფარული აღტაცებით უსმენდა ბეჟას.

— მიმსახურე რითაც გენებოს, მაია... მაგრამ ამ სამსახურისათვის ერთსა გთხოვ... — არ დაუცადა მაიას შეკითხვას, თუ რასა თხოვდა, — ტახტზე ასვლის შემდეგ გელა ჯგერენაიას ხელთ ჩაგდებაში უნდა დამეხმარო და არ დამიშალო მისი სასტიკად დასჯა.

ბეჟას წინადადებამ მაია კიდევაც გაახარა და კიდევაც შეაკრთო. მას თავში ბუნდოვნად ეხატებოდა, თუ ვის წინააღმდეგ იყო მიმართული აჯანყება — მარტო დედოფლის თუ საერთოდ თავადაზნაურობის. თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ ბევ-

რი თავადი და აზნაური არ ჩამორჩებოდა მთავრის იჯახს გლეხების გაყვლეფასა და დამცირებაში.

— თუ ეს აჯანყება თავადაზნაურობის წინააღმდეგ არის მიმართული, მე რად მინდომებს გლეხობა, კიდეც რომ დავთანხმდეთ? ხალხი, ალბათ, თვითონ აირჩევს მთავრობას ისე, როგორც ეს საფრანგეთში მოხდა, — უთხრა მაიამ ბეჟას.

— ხალხი ცხვარია, ბატონიშვილო, რისი საფრანგეთი! ყმა უტუიას მაგდენი არ ესმის, მათ ახლა სულ ცოტა რამე შეღავათიც დააკმაყოფილებს და გააჩერებს.

— არა მგონია, რომ ადვილ საქმეს მთავაზობდე. ხალხს რასაც დავპირდები, ხომ უნდა შევუსრულო! მე იმის იმედი არა მაქვს, რომ თავადაზნაურობა მომყვება და შევრცხვები, ხალხის წინაშე დანაპირებს ვერ შევასრულებ! ყოველ შემთხვევაში, ესოდენ დიდი საქმე მამასა და ბიძასთან მოუთათბირებლად არ გადაწყდება, ჩემო ბეჟა.

გვიანობამდე საუბრობდნენ მაია და ბეჟა. ლერწამისა შიშით უსმენდა ბეჟას, რომელზეც ამდენი სიმკაცრე და ავკაცობა ჰქონდა გაგონილი.

ბეჟა ახლა გელას დასჯის სურვილით იყო შეპყრობილი. უკვირდა ლერწამისას, რომ მაია თითქოს იზიარებდა ბეჟას აზრებს, მაგრამ არ სჯეროდა ქალბატონის სიტყვების. არ უნდოდა გაეგონა მათი ლაპარაკი.

ოთახიდან გასვლა ყველაფერს ერჩია; ვინმე მხლებელი ეყოლება ბეჟას, გელას ამბავს გავიგებდიო, მაგრამ აქაური ლაპარაკის მოსმენაც უნდოდა, ყველაფერი ეს ხომ მის მოძმე გლეხებს და გელას შეეხებოდა.

სასადილოში ბეჟას ვახშამი გაუწყვეს, მაგრამ ხელი არაფერს ახლო, ნამგზავრმა და აღელვებულმა ლოგინს მიაშურა.

როცა ბეჟა მაიას ესაუბრებოდა, გელა სამზადში მაიას მოინალეებთან იჯდა და აჯანყებულთა ამბავს უყვებოდა. მოინალეებმა გელას ნაამბობით როგორც კი გული იჯერეს, ზოგმა გადაწყვიტა წაყოლოდა თან, შეერთებოდა მართალია თოდუას ურდუმს. მერე გელას უთხრეს სასახლეში ბეჟას ყოფნის ამბავი.

პირველი აზრი, რომელმაც გელას გაუელვა, იყო შევარდნოდა სასახლეში მაიას და მის თვალწინ აეკუწა მამის მკვლელი. მაგრამ ეს მაიას დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა. გარდ

ამისა, მაიას ერთგული მოინალეები ამის ნებას არ მისცემდნენ.

— გამოიხმეთ როგორმე ლერწამისა, — შესთხოვა გელამ მოინალეებს.

— ძნელია ლერწამისას გამოძახება, — უთხრა გელას ერთმა ხანშიშესულმა ქალმა, — ის ქალბატონის ოთახის გვერდით წევს, მაგრამ მე მაინც ვცდი.

გელა ჭადრის ქვეშ ელოდა ლერწამისას. იგი ყელამდე იარაღში იჯდა. თავზე ყაბალახი ჰქონდა წაკრული. ლერწამისამ იგი ერთბაშად ვერ იცნო. ერთხანს გაშეშებული უყურებდა და როცა დარწმუნდა, რომ მართლა გელა იყო, კინაღამ გული შეუღონდა აღელვებისა და გაკვირვებისაგან.

— გელა, შენი ჭირიმე... ნუთუ შენა ხარ ასეთი...

— მე ვარ, ლერწამისა, — უთხრა ჩურჩულით გელამ, ნაბადი მოაფარა და თხილნარისაკენ გაიტაცა.

— რას ჩადიხარ, გელა, — შეშინდა ლერწამისა. — დაგვინახავენ, რას იფიქრებენ.

— რაც უნდათ ის იფიქრონ! — უთხრა ვაჟმა და ხელი მოხვია ქალს, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. — ყველამ იცის, რომ შენ ჩემი ხარ და დღეს თუ ხვალ ჩემი ცოლი იქნები. ცოტაც მოითმინე, ძვირფასო, — ღელავდა, ადამიანის ფერი არ ედო. — მითხარი ლერწამისა, ბეჟა რომელ ოთახში წევს.

— არ გაბედო, ქალბატონის სახლში, არ გაბედო, გელა, — კინაღამ მიაკიელა ლერწამისამ. — სხვა დროს, სხვა ადგილზე, ახლა არა, ახლა არა...

— კარგი, ახლა არა, — უთხრა გელამ ლერწამისას. — მითხარი, რისთვის მოვიდა ის ძაღლისშვილი ქალბატონთან?

— ტახტი ჩაიგდე ხელში და დედოფლად დაჯექიო.

— რაო?!

— აჯანყებულ გლეხებს ცოტა რამ შეპირდი და თვითონ დაგსვამენ თავის ხელით ტახტზეო. მერე გელას გაკოჭვაში დამეხმარე და მისი დასჯა არ დამიშალოო.

— მერე მაიამ რა უთხრა?

— რავარც ჩემ შვილს არ გავიმეტებ, ისე გელა ჯვერენაიას არ დაგანებებო. — იცრუა ლერწამისამ, რომ გელა დაემშვიდებინა და მაიას წინ არ აეკუწა ბეჟა.

— ვითომ ასე თქვა? — ჰკითხა დაეჭვებით გელამ.

— რა მაქვს დასაფიცარი, ჭირიმე.

— კარგი, დაგიჯერებ. მაიას მოტყუებას აპირებს ის ქაჯის შვილი. უნდა ვიხსნათ ქალბატონი.

— მერე როგორ, გელა. ხვალ ეიორგი და პეტრე ჰყავს დაბარებული. მგონი ჭკუაში დაუჯდა ბეჟას რჩევა და მართლა დედოფლობას აპირებს.

— თუ გიორგისა და პეტრეს დაეკითხება ჭკუას, ისინი მოიყვანენ გონზე და ააღებინებენ ხელს ამ ცდუნებაზე. ჩვენ იმიტომ კი არ ავჯანყდით, ლერწამისა, რომ ერთი დედოფლის ადგილზე მეორე დედოფალი დავსვათ.

— მაიასაც არ დაინდობთ? — შეიცხადა შიშით ლერწამისამ.

— რითი აჯობებს მაია ეკატერინეს?

— უიმე, გელა, ამას რას ამბობ?! უმთავროდ და უდედოფლოდ გინდათ იყოს ქვეყანა?

— აბა რისთვის ავისხით იარაღი, ლერწამისა. დავანებოთ ამაზე ლაპარაკს თავი, ჩემო სიცოცხლევ. შემომხედე, როგორ გალამაზებულხარ, ლერწამისავ.

— გელა, — ქალს ხმა გაებზარა. მკერდზე მიეკრა ვაჟკაცს. — ამდენი იარაღი რად გინდა, ჭირიმე. — შეკრთა ცივი რკინის მიკარებაზე ქალი, მაგრამ გელამ იგი მკლავებში მოიმწყვდია.

ორივეს გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, ასე ეგონათ სასახლეში და სამზადისში გაიგონებენო და კიდევ უფრო შემჭიდროვდნენ, გულისცემა რომ ჩაეხშოთ.

— წამიყვანე შენთან, გელა.

— მალე დადგება ეს დრო და წაგიყვან, ლერწამისა.

— რატომ ვუცადოთ დროს? მეც ვიბრძოლებ შენთან ერთად.

— იბრძოლებ?! — გაიცინა გელამ.

— რატომ იცინი, გელა? — იწყინა ლერწამისამ. — შენს გვერდით მე ყველაფერს შევძლებ, ცეცხლში და წყალში გავალ.

— შენ რომ არ გინდა დედოფლის გადაგდება, ქვეყნის უმთავროდ დატოვება?

— არ მეგონა, ქვეყანა თუ უმთავროდ და უდედოფლოდ ივარგებდა. ეს შენ და უტუმ უკეთ იცით. წამიყვანეთ ურდუმში, გელა, — შეევედრა ლერწამისა და სახე ახლო მიუტანა.

ორი ათრთოლებული ბაგე ერთმანეთს მიუახლოვდა. ერთხანს

ლერწამისა და გელა გაქვავებულივით იდგნენ, მერე მათი ბაგეები შეერთდნენ და დიდხანს არ მოშორებიან ერთმანეთს. ქალს ტანი დაუმძიმდა, მოეშვა.

— ლერწამისა, ჩემო სიცოცხლეე, — ჩურჩულებდა გელა. — მალე დადგება ჩვენი დღე.

— ახლა წამიყვანე, გელა.

— ვერა, შენ აქ ხარ ახლა საჭირო. გამიგე რას იტყვიან გიორგი და პეტრე.

ლერწამისამ კისერზე შემოხვია მკლავები გელას.

— მეშინია, გელა, თავს გაუფრთხილდი.

— ჯავრი ნუ გაქვს. მე არაფერი გამიჭირდება.

— ბეჟას გაუფრთხილდი, ხომ იცი ჯოლორია დგებუაძის შვილია.

— ბეჟას ხალხში გავუსწორდები, საქვეყნოდ. ბნელაში არ მოეკლავ, ტყვიას არ ვესვრი. ხმალში გამოვიწვევ. აბა, წადი, სიხარულო! მაშ ასე, — გულში ჩაიკრა ლერწამისა გელამ, მერე სწრაფად მოშორდა, ღობეზე გადახტა და სიბნელეში გაუჩინარდა.

* * *

გათენებამდე გაგზავნა მაიამ მოამბე ჭკადუაშსა და ოჩხომურში. ბეჟა მოუთმენლად ელოდებოდა პასუხს. მეორე დღეს სადილობამდე მოვიდა პეტრე, საღამოს — გიორგი. ბეჟა მკვირცხლად მიეგება გიორგის, ცხენიდან ჩამოსვლის დროს, პატივისცემის ნიშნად, უზანგიც კი ჩამოსწია.

გიორგი წარბშეკრული მიესალმა, რადგან არ ესიამოვნა ბეჟას ნახვა. როგორც მამამისი, ისე არც იგი უყვარდა.

ღამით ყველანი ერთად დასხდნენ მისაღებ ოთახში. ბეჟამ მათ იგივე აზრი გაუმეორა, რაც მაიას მოახსენა. გიორგი და პეტრე ყურადღებით უსმენდნენ. მაია ჩაფიქრებული იჯდა, ძმების სახეზე კითხულობდა, რომ ისინი უკმაყოფილონი იყვნენ.

— თავადო, ვისი სახელით აყენებ ამ წინადადებას? — იკითხა პეტრემ დინჯად.

— ეს აზრი, ბატონიშვილო, დაებადა თავადაზნაურთა ჯგუფს, რომელიც დედოფლის წინააღმდეგ არის მიმართული.

— მერე რა ძალა აქვს ამ წუთში თავადაზნაურთა ჯგუფს, რომლის წინააღმდეგ მრავალი სოფელი, მთელი გლეხობა ამხედრებულა?

— ჩვენ ორ საქმეს ერთად ვაკეთებთ: დედოფალსაც გადავაგდებთ და გლეხობასაც დავაკმაყოფილებთ, დავაწყნარებთ!

გიორგის დამცინავად გაეღიმა. ეს სიმკაცრითა და შეუბრალებლობით ცნობილი მებატონის შვილი, გლეხების ინტერესების დაცვას უნდა ამოფარებოდა, ამით ხელი მოეთბო და მთავრის ოჯახისადმი მტრული დამოკიდებულება ბოლომდე მიეყვანა. გიორგიმ და პეტრემ დანამდვილებით იცოდნენ: სულ მცირე მიზეზი საკმარისი იყო, რომ ბეჟას და მის მომხრე, თავზე ხელაღებულ თავადაზნაურთა ჯგუფს დედოფლისათვის დამიზნებული იარაღი მაიასაკენ შემოებრუნებინათ, უკეთუ, ეს უკანასკნელი მათ სურვილს წინ აღუდგებოდა.

— განა ეს ჯგუფი ასე ძლიერია სალიპარტიანოში, რომ ამ დიდ საქმეს მოერევა? — შეეკითხა გიორგი.

— სალიპარტიანოს ჯგუფი ძლიერია, მთის ხალხიც ჩვენი მომხრეა, მოგეხსენებათ, თქვენი ძმა ბესარიონი რა გავლენით სარგებლობს მთაში. ის კუთხე ცნობილია დევივით უძლეველი ვაჟკაცებით. ზუგდიდის მაზრა ჯვარამდე და სვანეთამდე ხომ თქვენს ხელშია, თუ ინებებთ, აფხაზეთიც.

— მაშ, თქვენ ჩვენი იმედით გინდათ დედოფლობა უბოძოთ ჩემს ასულს? — მწარედ გაიღიმა გიორგიმ. — ნუთუ ჩემი შვილი შენ ისეთ ადამიანად მიიჩნიე, რომ ის სამთავროს უღალატებს?— ჰკითხა მკაცრად გიორგიმ. მაიას სახე გაუფითრდა.

— თუკი ამას ხალხის ინტერესი მოითხოვს? — სცადა თავის გამართლება ბეჟამ.

— როდის აქეთ გახდი ხალხის ქომაგი?

— მე ხალხში უტუს ჯარსა და მართალია თოდუას ურდუმს როდი ვგულისხმობ, ბატონიშვილო. სამთავროს ინტერესები მალაპარაკებს.

— ეს კარგია, თუ ასეა. მაგრამ სამთავროს ჩემი ქალიშვილი ვერ გაუძღვება. ჩვენ ალბათ იმიტომ დაგვიბარა მაიამ, რომ გაეგებინებინა ჩვენთვის, თუ რას უმზადებთ შენ და შენი ჯგუფი სამთავროს, — გიორგის სახე მკაცრი და შეუპოვარი გახდა, —

გულიდან ამოირეცხეთ ეგ აზრი შენ და შენმა ჯგუფმა. გადაეცი მათ, თუ დაუყოვნებლივ არ სთხოვენ პატიებას მაიას ასეთი შეურაცხმყოფელი წინადადებისათვის, ჩემზე დიდი მტერი არ ეყოლებათ!

ბეჟა შეშინდა. ფეხზე წამოიჭრა და გაოცებით მიბრუნდა მაიასაკენ.

მაიას ადამიანის ფერი არ ედო. აღტაცებით და სიამაყის გრძნობით შეჰყურებდა მამას. ეს მაშინვე შენიშნა ბეჟამ. გაოცდა თავადი, ჯერ კიდევ წუხელ მაია აღტაცებული იყო მისი წინადადებით, თუმცა გარეგნულად არ ამჟღავნებდა ამას, მაგრამ ბეჟას თვალს რას გამოაპარებდა. განა იმიტომ არ აფრინა მაიამ გათენებამდე კაცი ბიძასთან და მამასთან, რომ ეშურებოდა მალე გაეგო მათი აზრი. იგი წუხელვე სამეგრელოს დედოფლად გრძნობდა თავს და ახლა რამ გამოცვალა ასე უცებ! ნუთუ თამაშობს? მზაკვრობს, თვალთმაქცობს! „რას გაუგებს ამ ეშმაკის ცხენზე შემჯდარ ქალს ადამიანი!" დრო არ ითმენდა, უნდა ეთქვა რამე. პეტრე და გიორგი მოლოდინით შეჰყურებდნენ.

— მაპატიეთ, ბატონიშვილო, — თავი დაუხარა ბეჟამ მაიას.— მე... მე შემაცდინეს... გამაბრიყვეს... მაგრამ რაღაც ხომ უნდა ვიღონოთ, სამთავროს ასე უპატრონოდ მიტოვება არ ივარგებს. უტუ ან მართალია მთავრად რომ დაგვისვან, ასე გულხელდაკრეფილი ვუყუროთ?! ხომ ხედავთ, ჩვენს სახლ-კარს წვავენ, საქონელს გეტაცებენ, ყმებს გვიმხედრებენ...

— ჩვენს სახლ-კარს! — შეაწყვეტინა გიორგიმ. — ჩემთვის არ დაუწვავთ სახლი, არ წაუსხამთ ჩემი საქონელი, არც პეტრესი და მაიასი, არც ბევრი სხვა თავადის. იმათ არ ინდობენ გლეხები, ვინც მათ სისხლს სვამდა, ცოცხალს ცეცხლში წვავდა.

— მე მათ მამა მომიკლეს, — ვერ მოითმინა ბეჟამ.

— ჯოლორიამ მე ბრძოლის ველზე მიმატოვა და თავს უშველა განა არ ჯობდა მტრის ტყვიას მოეკლა. დავანებოთ ამას თავი. შენა თქვი სამთავროს პატრონი არა ჰყავსო. დედოფალმა სამთავროს პატრონად გრიგოლი დატოვა.

— სანამ გრიგოლი ზომებს მიიღებდეს, ჩვენ ჩვენი დაგვემართება.

— მართალია, მაგრამ შენ ამ საქმეზე გრიგოლს უნდა ხლე-

ბოდი და არა მაიას, — გიორგი მაიას მიუბრუნდა, — მე მგონია მე და ჩემ ქალს ამ საკითხში სხვადასხვა აზრი არა გვაქვს...

— რასაკვირველია, მამა...

ბეჟა ვახშმადაც არ დარჩა, იმ ღამესვე დატოვა მაიას სახლი.

ბეჟას წასვლის შემდეგ დიდი ხანი ისხდნენ სუფრასთან მაია, გიორგი და პეტრე. გიორგის ძალიან უყვარდა თავისი ყმა გლეხი, მოხუცი დიმიტრი გაბედავა. იგი მისი ხნის იყო, ბავშვობიდანვე ერთად გაზრდილი, მაიას მორდუ. გიორგიმ დიმიტრი მაიას გამოატანა, როგორც მისი მორდუ, ახლობელი და მოსიყვარულე. მაიასაც ძალიან უყვარდა გამზრდელი და თავიდან არ იშორებდა. გიორგი მაიას რომ ესტუმრებოდა, სუფრაზე ისე არ დასხდებოდნენ, დიმიტრისათვის არ დაეძახათ. გიორგიმ ახლაც ბეჟას წასვლისთანავე იხმო გაბედავა.

— კიდევ რას თხოულობს უტუ და მართალია? — ეკითხებოდა გიორგი მოხუცს. — კიდევ რა უქნიათ?

— კიდევ, ბატონო, თავადებისათვის წაურთმევიათ ხაჯალურები, ქანჩები, ჯაჭვები, ხუნდები და თუ რომელიმე თავადსაც წინააღმდეგობა გაუწევია, აუწიოკებიათ. მათთვის ყველაფერი წაურთმევიათ, სახლ-კარი გადაუწვავთ, მხოლოდ ჯერ ადამიანთა მსხვერპლი არ არისო, მოგახსენებენ.

— ვაი, სირცხვილო! — თქვა გიორგიმ და პეტრეს გადახედა. — სამთავრომ ადამიანის წვალების სამარცხვინო იარაღები ვერ მოსპო და ახლა უტუ მიქავა აკეთებს ამას.

— უტუს უთქვამს, — განაგრძობდა დიმიტრი, — კაცი ყველა ერთნაირად იბადება და ერთნაირად კვდებაო, მაშასადამე, კაცის კაცი არ უნდა არსებობდესო, ბატონი არ უნდა იყოსო.

— ხედავ, მამა — უთხრა მაიამ გიორგის, — ეს დიდი ჰუმანური იდეები, რომელიც რუსეთიდან ანკარა წყალივით მოჩუხჩუხებს, სად შემოსულა, პირდაპირ უტუ მიქავას და მართალია თოდუას სახლში შემოჭრილა.

— კიდევ რა, დიმიტრი, თქვი, მე ნუ მოგიკვდები! — არ ეშვებოდა გიორგი, რომელსაც ყველაფერი ეს კიდეც ახარებდა და კიდეც აღონებდა.

— რა ვიცი, ბატონო, რამდენ რას ამბობენ, ვილაცას უთქვამს: „ბატონ კონსტანტინეს რომ ერთგული მწევარი ჰყავს, ორ კომლ გლეხებზე გადაუცვლიაო“.

მაიას ხელსაქმე ეჭირა ხელში, თავი აიღო, გამზრდელს უთხრა:

— შეიძლება ჩემი მეუღლე ბევრში არ იყოს მართალი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის აშკარა ბოროტებას არ ჩაიდენს, რბილი ხასიათი ხელს უშლის თავისი წარჩინებული მდგომარეობა გამოიყენოს.

— არა, საკვირველი ეს არის, ჩემო ბატონო, — თქვა პეტრემ და ძმას შეხედა, — არ გიკვირთ ამ უტუ მიქავას ამბავი, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეები პირდაპირ მეჭურჭლე თოდუებისა და ხვიჩიების ჭურჭლის გამოსაწვავ ღუმელში ჩავარდნილა? ბატონო ჩემო, ახლა ცეცხლმა იფეთქა და ზოგს ათბობს ეს ცეცხლი, ზოგს კი დაწვის ეშინია.

— ეჰ, ჩემო პეტრე, — მიუგო გიორგიმ ძმას, — საფრანგეთის რევოლუციისაგან ჩვენ ისე შორსა ვართ, როგორც მიწა ცისაგან. საფრანგეთის რევოლუცია წლების მანძილზე მზადდებოდა და მწიფდებოდა. მის სათავეში ნასწავლი ხალხი იდგა. ის აჯანყება მუშებმა მოახდინეს. აბა რა უნდა ქნას უტუ მჭედლისა და მეჭურჭლე მართალია თოდუას გლეხთა ხროვამ. მათ გარკვევით არ იციან რა უნდა გააკეთონ, რა უნდა მოითხოვონ. მათ მალე გაუსწორდებიან, მოვა მეფის ჯარი და კუდით ქვას ასროლინებენ. ქვეყნის საქმეს უტუსა და მართალიას ერთი მუჭა გლეხობა ვერ გადაწყვეტს. ჩვენი გლეხის საქმე რუსის გლეხმა უნდა გააკეთოს. თუ იმან არ დაამსხვრია მეფის ტახტი, უტუსა და მართალიას ხელი პეტერბურგს ვერ მისწვდება. — გიორგი წამოდგა, გაიარ-გამოიარა ოთახში. — ახლა ჩვენ იმას უნდა ვეცადოთ, რომ გლეხი და თავადი ერთმანეთს არ შეაკვდეს. ზოგი ჩვენც დავთმოთ, ზოგსაც ისინი დათმობენ. ხვალვე გავსწიოთ უტუსთან და მართალიასთან და რჩევა ვუთხრათ. შენ ონხომურში წადი, შენი სასახლე აჯანყებულთა ხელშია. მართალია ნახე. მე თავადებთან წავალ შუამავლად.

პეტრე დილით შინისაკენ გაუდგა გზას. როდესაც ეზოში ჩადიოდა, დღე-ღამე იყრებოდა, ჯიშკართან მდგომმა გუშაგმა ახედ-დახედა, ეტყობოდა ვერ იცნო, მაგრამ მაინც ზრდილობიანად ჰკითხა:

— ვინ ბრძანდებით?

პეტრემ გაიღიმა:

— მე ამ ოჯახის პატრონი ვარ, პეტრე დადიანი, უტუ მიქავა აქ არის?

გუშაგი შეკრთა.

— არა, ბატონო, უტუ არ გახლავს. ამ ბინის უფროსად მართალია თიდუაა დანიშნული, წავალ, მოვახსენებ, თვითონ გეახლება.

ამასობაში პეტრე ცხენიდან ჩამოხტა, თამბაქო შეახვია და გაბოლება ვერ მოასწრო, რომ მართალია მასთან გაჩნდა, მდაბლად თავი დაუკრა და დამცინავი ღიმილით ჰკითხა:

— ხომ არ გვემდური, ბატონიშვილო, რომ დაუკითხავად სასახლეში შემოვიჭერით? ჩვენ მხოლოდ სასტუმრო სახლში მოვთავსდით, ოდაში არ ავსულვართ, არც მოხუცი ყმები და გადიები წაგვიყვანია სასახლიდან. ახალგაზრდები კი ჩვენია, ბატონიშვილო, ისინი გვჭირდება.

მართალიამ პეტრე წინ გაუშვა და ისევ განაგრძო:

— ბატონიშვილო, შენ განათლებული კაცი ხარ, ხალხის გულშემატკივარს გეძახიან დიდ ნიკოს შვილებს. შენ მაინც გვითხარი სიმართლე — როდემდე უნდა ყოფილიყო ეს უსამართლობა? განა ჩვენ ადამიანები არა ვართ? პირუტყვები ვართ? ამდენ კაცს ოჯახები მიგვიტოვებია, ტყე-ტყე დავხეტიალობთ. ნუთუ ანგარიშს არ გაგვიწევენ და არაფერს დაგვითმობენ? ხომ ხედავ, ჯერჯერობით ერთი წვეთი სისხლი არ დაგვიღვრია, მაგრამ თუ საჭიროებამ მოითხოვა, ამ გზასაც მივმართავთ. ნებით, უსისხლოდ, თუ არა, ძალით, ბრძოლით და სისხლით მოვიპოვებთ უფლებას.

ამ ლაპარაკით დიდ აივანზე ავიდნენ. მათ ყმები გამოეგებნენ. პეტრე ყველას მიესალმა.

— ვახშმის ამბავი როგორ გაქვს, ჩემო კოტატი? — შეეკითხა მოხუც მოურავს, შემდეგ მართალიას მიუბრუნდა:

— მობრძანდი, ჩემო მართალია! თუ მენდობი, გულახდილად ვილაპარაკოთ.

პეტრე განიერ, გრძელ სკამზე ჩამოჯდა და მართალიაც გვერდზე მოისვა.

— აბა, მითხარი, რას აპირებთ?

— რას ვაპირებთ, ბატონო? რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ადამიანური ცხოვრების უფლება უნდა მოვიპოვოთ. ყველაფერ-

ზე უფრო მწარე შეიქმნა ჩვენთვის ბეგარის, გადასახადების გადიდება და ყმების გაყიდვა. თათართან ომის მერე ზოგიერთმა თავადმა და აზნაურმა ყმების გაყიდვა ხელობად გაიხადა. გვართმევენ ცოლს, შვილს. ჩვენი ქალები ვითომ თავადაზნაურთა ცოლების მოახლეებად და პირისფარეშებად ითვლებიან, ნამდვილად კი ისინი თავადების ხასები არიან, რომელთაც ახალგაზრდობისა და სილამაზის გათელვის შემდეგ მეძებარ ძაღლებში ცვლიან ან ჩუმად თავიანთ დამქაშებს სათათრეში აყიდვინებენ. ერთნაირად დავბადებულვართ. ჯერ მკაცრი სიკვდილი რა არის და ისიც არ არჩევს ადამიანებს ერთმანეთისაგან, ყველას ერთნაირად ხოცავს. აბა, რა დავაშავეთ, რომ მებატონეები ძაღლებსა და მიმინოებს უფრო აფასებენ, ვიდრე ჩვენ? არა, ბატონო, ან სიკვდილი, ან გამარჯვება! მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. მაინც, რაც დედოფალი რუსეთში წავიდა ეს თავადები მთლად დაგვერიენენ, აღარაფრით არ გვზოგავენ, მეწველი ძროხა და თხა აღარ ჭაჭანებს გლეხის ეზოში, აღარაფერი შეგვარჩინეს. ოსმალები მოვიშორეთ, ახლა ესენი ოსმალებზე უარესი აღმოჩნდნენ, ბეგარა ბეგარას მოსდევს, სული ვერ მოგვითქვამს. გლეხო, ეს გადაიხადე, გლეხო, ის გადაიხადე! რამე თუ არ შეიცვალა, ერთ დღეს ვშობილვართ, ერთ დღეს გავწყდებით, იქნებ ჩვენს შვილებს მაინც მოესწროთ კარგი დრო!

პეტრე თავდახრილი უსმენდა მართალია თოდუას მართალ სიტყვებს, სინდისი ქეჯნიდა, რომ თვითონ გადამწყვეტ ნაბიჯს ვერ დგამდა თავის შეხედულებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის. საფრანგეთის რევოლუციით აღტაცებულს, ახლა სამეგრელოში გაჩენილი ცეცხლის ალი აშინებდა.

ფიქრებიდან გამორკვეული პეტრე მართალიას დაბალი ხმით შეეკითხა:

— ეს ყველაფერი ასე, მაგრამ რა ძალით, რა საშუალებით შეძლებთ თქვენი მიზნის მიღწევას? თუ ჯერ თქვენს საწინააღმდეგოდ მეფისნაცვალს არავითარი ძალა არ აუმოქმედებია, ეს იმით უნდა ახსნათ, რომ გრიგოლი თავს არ იწუხებს ამ ამბებით... არ უცნობებია მეფისნაცვლისათვის. მაგრამ დღეს თუ ხვალ, გაიგებენ თქვენს ამბავს თბილისში. მკაცრ ზომებს მიმართავს მეფისნაცვალი. სისხლი დაიღვრება. თქვენ მთავრო-

ბისა და ხელმწიფის ძალას ვერ მოერევით, სულ ადვილად მოსალოდნელია, ამ მსხვერპლმა ვერაფერი ნაყოფი ვერ გამოიღოს.

— ბატონიშვილო, ჩვენ უძლური არა ვართ! ათი ათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქარი გვყავს. ალბათ, თქვენც გაიგონებდით, ჩემი და უტუს ჯარი გაერთიანდა. ჩვენს ჯარს „ურდუმი" ჰქვია. მას უტუ მიქავა უდგას სათავეში. ახლა ეს ჯარი წალენჯიხაშია დაბანაკებული, მეც მასთან გახლავარ, აქ ჩვენებს ამოვაკითხე რამდენიმე დღით, ჭაქვინჯისა და ქვაშიხორის ციხეებსაც ვამაგრებთ, მეამბოხეთა რიცხვი თანდათან მატულობს. ჩვენ ვერავითარი ძალა ვერ დაგვახევინებს უკან, ჩვენი დროშა ფრიალებს სამეგრელოს ციხეებზე.

პეტრემ ასე დაწვრილებით არ იცოდა აჯანყებულთა მდგომარეობა და გაკვირვებული უსმენდა.

— ხალხს კი უყვარს, შენი ჭირიმე, მაგრამ მებატონეებს სძულთ, სიმართლის გაგონების ეშინიათ. ჩვენ ვიცით, ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე. მოთმინებიდან გამოგვიყვანეს, თორემ ამ გახურებული ხვნა-თესვის დროს ოჯახს მივატოვებდით? უკან ვეღარ დავიხევთ, ჩვენ შევფიცეთ ერთმანეთს, რომ ბრძოლას არ გავექცეთ, პირი არ გავტეხოთ, ერთმანეთს არ ვუღალატოთ.

— კარგი იყო მოქმედება დედოფალთან დაახლოებულ პირებთან მოლაპარაკებით დაგეწყოთ.

— დედოფალთან დაახლოებულ პირებს რა შეუძლიათ? გრიგოლი გვითვლის, დაბრუნდება დედოფალი, იქნებ მშვიდობიანი გზით მივაღწიოთ თქვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაო.

— თქვენ რა უპასუხეთ გრიგოლს?

— ჩვენ ის ვუპასუხეთ, რომ დედოფალი საჩქაროდ ჩამოვიდეს, მასთან დიდი საქმე გვაქვს, უპატრონოდ დაგვყარა. თვითონ რა უჭირს, დალოცვილს, ქმრის დანატოვარი მამული დიდი აქვს. სამეგრელოს მესამედი და ლეჩხუმი მისია, რუსთა ხელმწიფე კიდევ მისი მწყალობელი. დედოფალს პასუხი უნდა მოვთხოვოთ, რა დავუშავეთ, სულ გადასახადებს რომ გვიმატებს?

ჩაფიქრებული პეტრე მართალია თოდუას ვაჟკაცურ სახეს აკვირდებოდა, თან ფიქრობდა:

„მექოთნე მართალია თოდუა რამ გაათვითცნობიერა ასე?

ეს უბრალო მეჭურჭლე, რომელიც სოფელ ნამიკოლოუს არ გასცილებია და რომელმაც წერა-კითხვაც არ იცის, რა სიმართლეს ლაპარაკობს და რა დიდებულად მსჯელობს! ტყუილად არ მითქვამს ოდესღაც: „ჭკუა მასპინძელია და სწავლა სტუმარიამეთქი“.

პეტრე დარწმუნდა, რომ მართალიას და უტუს დაჯერება იმაში, რომ მოეცადათ, სანამ რუსეთის გლეხობა მეფის ტახტს არ დაამსხვრევდა, გულუბრყვილობა იქნებოდა. მან მხოლოდ იმაზე ელაპარაკა მართალიას, რომ სისხლის ღვრას მორიდებოდნენ, მეფისნაცვლისათვის არ მიეცათ საბაბი აჯანყებულთა სახლ-კარი დაერბია, თვით აჯანყებულები დაეჭირათ და გაეციმბირებინათ. ურჩია ზომიერება დაეცვათ, ხოლო თავის მოთხოვნაზე მტკიცედ მდგარიყვნენ. მოეთხოვათ გადასახადების შემცირება, ყმების გაყიდვის აკრძალვა და ყმათა გამყიდველების დასჯა, საწამებელი იარაღების მოსპობა.

პეტრეს მოურავმა გააწყვეტინა სიტყვა. მან ვახშამზე მიიწვია მასპინძელი და მართალია.

ის ღამე თეთრად გაათენა პეტრემ. მას მოსვენებას არ აძლევდა მართალია თოდუას ნათქვამი. რამდენი სიმართლე, რამდენი სიმწარე იყო ამ გლეხის სიტყვაში და გამოსავალი კი არ ჩანდა. გული ეწოდა. ბუნებით კეთილ კაცს უყვარდა თავისი ხალხი, გაჭირვებული, უპატრონო, ალალი და მართალი ხალხი.

დილით ჯერ კიდევ ლოგინში იწვა პეტრე, რომ მოურავი ეახლა.

— დღეს აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად თეოფილე ჭყონდიდელი და ნიკო წყემელი მობრძანდება თურმე, ბატონო, — მოახსენა აღელვებით პეტრეს.

— ეხ, მერე რა გამოვა ამ მოლაპარაკებით? — თქვა უიმედოდ და ნაღვლიანად პეტრემ, თან ჩაცმა დაიწყო. იცვამდა პეტრე და გულში ფიქრობდა: დაერწმუნებინა ჭყონდიდელი და ნიკო წყემელი, რომ არავითარი აზრი არ ჰქონდა მათ მოლაპარაკებას აჯანყების მესვეურებთან. „რას უნდა შეპირდეს აჯანყებულებს ჭყონდიდელი? ვერაფერს. ან თუ შეპირდა, ვისი სახელით, ვისი დავალებით? ვინ დაუჯერებს? თავს გაიმასხარაევებს. ეს იქნება და ეს. აჯანყებულები დედოფალს უცდიან და კარგადაც იქცევიან. მათ არც გრიგოლ დადიანის სჯერათ რა. გრიგოლს

კიდევაც ახარებს, რომ დედოფალს ხალხი აღუდგა. ის კი არ იცის, რომ დედოფლის გადაგდების შემდეგ, ვერც თვითონ დარჩება მთავრად. არა, ისეთმა ქარმა დაუბერა ქვეყანას, რომ ამიერიდან მეორე მთავარი აღარ გვეყოლება. სხვა დრო, სხვა ხანა იწყება".

ჭყონდიდელს და წყემელს პეტრემ დაწვრილებით გააცნო თავისი მოსაზრება. მათ ჭკუაში დაუჯდათ პეტრეს ნათქვამი. ისინი თავისი მღვდელ-დიაკვნებითა და მხლებლებით იმავე საღამოს უკან გაბრუნდნენ.

ყმა ძალის გამბედაობა

საზოგადო საქმეებით გულდამძიმებულ მაიას არც საკუთარი ოჯახური მდგომარეობა ჰქონდა სახარბიელო. მას ვერ ეპატიებინა კონსტანტინესათვის, რომ დედოფალს გაჰყვა პეტერბურგში. ეკატერინეს უნდოდა მაზლი სასახლის უმაღლესი წრისათვის დაეახლოებინა. ამ სურვილს თავმოყვარეობაც ერთვოდა: იცოდა, რომ კონსტანტინე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა მაღალ საზოგადოებაზე თავისი ლამაზი გარეგნობით, კარგი საუბრით, რუსული ენის ზედმიწევნით ცოდნით, ცეკვა-სიმღერითა და ბანოვანთა გართობით.

ეკატერინე და კონსტანტინე მთელი შემოდგომა და ზამთარი იქ დარჩნენ, განცხრომით ცხოვრობდნენ. დედოფალი ისე გამოაცოცხლა ამ უდარდელმა ცხოვრებამ, რომ განვლილი მწუხარება თითქმის გადაავიწყდა.

მაია კრიტიკულად უყურებდა რძლისა და თავისი მეუღლის ამდენხანს პეტერბურგში დარჩენას. მთავარ დანაშაულად ის მიაჩნდა, რომ სამთავრო უპატრონოდ დატოვეს, თვითონ კი განცხრომას მისცეს თავი.

მაიას აწუხებდა ის, რომ სამშობლოდან შორს, რუსეთში, თვითმპყრობელი მეფის კარზე, ეს ხანგრძლივი სტუმრობა რატომ ჰგვრიდა სიამოვნებას ან რძალს, ან ქმარს.

„სად არის ახლა კონსტანტინე? განა ოდესმე იზიარებდა ჩემს აზრსა და მიზნებს?"

მაიამ თავის საწოლს მიაშურა, თუთანას უბრძანა, ძიძა მოეყვანა მასთან. დარეჯანი ჯერ კიდევ ყოჩაღად გამოიყურებოდა.

დინჯად შემოვიდა, თუმცა ღელავდა, კიდევ რამე უბედურება არ იყოს ჩვენს თავზეო. მაიამ შემოსულ ძიძას მორიდებულად და მუდარით უთხრა:

— ძიძა, თუ შენი მაია გიყვარს და გებრალება, უარი არ მითხრა, არც მიზეზი მკითხო, ისე დამიბრუნე ჩემი მიბარებული!

ძიძა შეკრთა, უცებ არ მოაგონდა, რას სთხოვდა მაია.

— მართლა არ გახსოვს? მე ხომ გთხოვე, ბეჭედი მუდამ თან გქონოდა!

— როგორ არ მახსოვს, ძიძა შემოგევლოს! — გაზრდილს თვალებში ჩახედა დარეჯანმა, უარი ვერ შებედა; კაბის შიენიო ჩატანებული დიდი ჯიბიდან ბეჭედი ამოიღო და იქვე მაგიდაზე დადო; ერთი სიტყვა არ უთქვამს გაზრდილისათვის, ისე უსიტყვოდ გავიდა.

მარტო დარჩენილ მაიას ბოღმა შემოაწვა.

კონსტანტინე იგვიანებს, ვერ შორდება პეტერბურგს, დროს ატარებს. ან რა სიყვარულია კონსტანტინეს სიყვარული? შეიდი-რვა თვეა რაც ცოლი არ უნახავს. განა ის ასეთ სიყვარულს მპირდებოდა? მას შემდეგ ხომ რვა წელიწადი გაეიდა, — ფიქრობდა მაია. ახლა ეჭვებიც აღეძრა გულში: შეიძლება იქ მას ცისფერთვალება ახალგაზრდა ასული შეუყვარდა?

მაია პირველად ეჭვიანობას არ კადრულობდა, ახლა კი ესეც მძიმედ დააწვა მის გულს. პირად ცხოვრების მსხვრევით გამოწვეული ცუდი განწყობილება კიდევ უფრო გამძაფრდა, ყოველი მხრიდან შელახული პატიემოყვარეობა ერთბაშად მოზღვავდა, ცრემლმორეული ბალიშზე დაემხო. დიდხანს, ვერც იქ მოისვენა, წამოდგა, მაგიდაზე დადებული ბეჭედი აიღო და თითზე მოირგო, მერე კონსტანტინესეული ბეჭედი წაიძრო და გულმოსულმა განძეულობის სკივრში ჩააგდო.

„როგორც შენ დამაფასე, მეც ისე დაგაფასებ! ექვსი თვე არ მოგენატრა შენი მამუ? აჯანყების ამბავი გაიგე, არ მოიჩქარი, რამ დაგავიწყა ცოლ-შვილი, ოჯახი, სამშობლო? ვაი ჩემს დღეს, რა სიყვარული, რა მეგობარი დავკარგე ჩემი ალექსის სახით!“

ბოლოს ალექსისეული ბეჭედი იმ თითზე წამოიცვა, საიდანაც კონსტანტინესეული ბეჭედი წაიძრო. ცრემლები გადმოეცვ-

ვივდა თვალთაგან. მსახურსაც არ დაუძახა, თვითონ გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. ლერწამისა გაკვირვებული იყო, რატომ არ მეძახისო, დიდხანს ელოდა, შემდეგ მორიდებულად შეაღო კარი.

— მწყალობელო, რატომ არაფერი მიბრძანეთ?

— უქეიფოდ ვარ, ჩემო ლერწამისა, ცეცხლს შეშა შეუკეთე, მარტო დამტოვე. თავი მტკივა. შენ წადი, არ მჭირდები.

მეორე დილით დამფრთხალი თუთანა მაიასთან შესვლას ვერ ბედავდა. შიშით მოელოდა, როდის დაიწკარუნებდა ვერცხლის ზარი. მისი ხმაც გაისმა, თუთანა ხან აქეთ ეცა, ხან იქით.

— მითხარით, ქრისტიანებო, რა ვქნა, რა ვუთხრა, მე იქ შესვლა არ შემიძლია, შენ შედი, მზისახარ, ან ჯერ ძიძას ვუთხრათ! — მიმართა მან მოხუც მოახლეს.

— წადი ახლა, ნუ აგვიანებ, შედი და მერე რამეს მოვიფიქრებთ.

მეორეჯერ გაისმა ზარის ხმა და თუთანა სწრაფად შეეიდა მაიასთან.

— სად გადაიკარგეთ, სად არის ლერწამისა? გამომიგზავნე, ცუდად ვგრძნობ თავს, ვიბანავებ, იქნებ მოვცოცხლდე.

— მე გემსახურებით, ბატონო!

— ლერწამისა სად არის?

თუთანას ცუდი ფერი დაედო. მაია დაეჭვდა, თუთანას ფერმა შეაშინა და ქალს გამხნევება დაუწყო:

— შენ რას ღელავ, გელა ჯგერესაიამ წაიყვანა, ხომ?

თუთანა მუხლებზე მოეხვია მაიას.

— მეც, ბატონო, მეც არ ვიცოდი, შენ თავს ვფიცავ! ჩუმად გაპარულა, ეს ქაღალდი დაუტოვებია, — წერილი გაუწოდა.

— ადექი, ქალო, შენ რამ შეგაშინა? ჩემი გაზრდილი ლერწამისა აბა რას ისწავლიდა თუ არა სიყვარულს? ჯობს მომეხმარო ჩაცმასა და თმების დავარცხნაზე.

როდესაც ჩვეულებრივად გამოეწყო, მაიამ წერილი წაიკითხა. ეააკვირვა ლამაზად და შინაარსიანად დაწერილმა წერილმა.

— ჩანს, ჩემს შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

ლერწამისას წერა-კითხვა და სიტყვა-პასუხი ბევრ კნეინასაც

შეშურდებოდა. თუ ყმა გოგოსადმი გული თანაგრძნობით აევსო, ტოცა არ იყოს, ეწყინა მისი სითამამე — რატომ არ გამოტყდა და არა მთხოვაო.

ლერწამისას გაპარვამ, ყმა ქალისა და ვაჟის ხანგრძლივმა სიყვარულმა, რომლის შესახებაც მაიამ იმთავითვე იცოდა ყოველივე, ერთხელ კიდევ აუხილა თვალები იმ უსამართლობაზე, რომელიც ასე მძვინვარებდა მის ირგვლივ. როგორადაც არ ამართლებდა შეყვარებულებს, მაინც ვერ ეპატიებინა ლერწამისასათვის დაუკითხავად, თვითნებურად ასეთი ნაბიჯის გადადგმა.

დარეჯანი კი მართლა გულმოსული იყო და იმეორებდა:

— როგორ გაბედა მაგ თავზე ხელაღებულმა ასეთ არეულ დროს მაიას სასახლიდან ქალის გატაცება? სად წაიყვანს ქალს? აჯანყებულებთან?

აბა რა იცოდა დარეჯანმა, რომ ლერწამისა გელამ კი არ გაიტაცა, თვითონ გაიქცა ურდუმში გელასთან.

მაია ცდილობდა მხიარული ყოფილიყო, მაგრამ გული წყდებოდა ლერწამისას გაქცევაზე. ხშირად ფიქრობდა თუ რისთვის ვერ დაიმსახურა მან ყმების ნდობა, ის ხომ სამართლიანი იყო მათ მიმართ. ხან ის აზრიც გაუელვებდა, როგორც კი ქვეყანა დაწყნარდება, გელასა და ლერწამისას ხიბულაში დავასახლებო.

ლერწამისას მისვლამ ურდუმში გელა კიდევაც გაახარა და კიდევაც შეაშინა. ლერწამისას ბიჭურად ეცვა. თავზე ყაბალახი წაეკრა და ტანზე ნაბადი მოეხურა. კონსტანტინეს პატარა, სანაღირო სატევარი და დამბაჩა ამშვენებდა მის ლამაზ წელს.

— ერთ თავადს მეც გავუსწორდები, — უთხრა მან ღიმილით გელას. — ბანაკში ქალის საქმე ბევრი ვექნებათ, კერძის დამზადება, დაკერება... — შეხედა გელას თვალებში.

— ნუ გეშინია, გელა, არ შეგარცხვენ.

— სად იცხოვრებ, სად დაგაწვინო, ჩემო სიხარულო?!

— აი, ხის ძირი და აი ნაბადი, სადაც შენ, იქაც მე.

— ჩემო მიმინო, ჩემო ლერწამისა. მაშ ქალებმაც აისხა იარაღი.

— სწორედ ჩვენ, ქალებს, გვმართებს იარაღის ასხმა. ჩვენს თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ სხვა არა დაგეკლებია რა თავადებისაგან. ჩვენ მეტი გვაქვს მათი ვალი, ვინემ კაცებს.

აჯანყებულმა გლეხებმა ზუგდიდი აიღეს. ეკატერინე პეტერბურგიდან უკვე ჩამოსულიყო. ის პირველად თბილისში ჩავიდა, მაგრამ იქ დიდხანს არ დაუყოვნებია. შეშინებული იყო, თან ფრიად განრისხებულიც დავით ჩიქოვანზე და გრიგოლზე. მათი უმოქმედობით აღშფოთებულმა, თავის სამფლობელოში ჩამოსვლისთანავე ყოველივე ზომა მიიღო, რომ გლეხთა აჯანყება ჩაექრო. ამ მიზნით ეკატერინემ მთელ სამეგრელოში პროკლამაციები გაავრცელებინა. დედოფალი მოითხოვდა გლეხებისაგან, დაბრუნებოდნენ თავიანთ ოჯახებს, სამაგიეროდ ყოველგვარ დახმარებას პირდებოდა მათ.

წაიკითხა თუ არა უტუ მიქავამ პროკლამაცია, შეკრიბა რაზმების უფროსები, ასისთავები, ათისთავები და გადასცა მათ პროკლამაციის შინაარსი, თვითონ კი შეკრებილთ შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— ძმებო, არ წამოვეგოთ ანკესზე, დედოფლისა და მისი თავადებისაგან ჩვენ კარგს და სასიკეთოს ნურას მოველით. ჩვენ გავძვალტყავდით შრომითა და შიმშილით, ისინი კი სუქდებიან, დედოფალს რა უჭირს; დღეს ზუგდიდშია, ხვალ თბილისში, ერთი კვირის შემდეგ — ხელმწიფის სასახლეში. ტკბილი ენით უნდა მოგვატყუოს? ისევ დაგვადგას კისერზე უღელი? არასოდეს!

— არასოდეს! — დაიგუგუნა ხალხმა ერთხმად.

ეკატერინე თანდათან რწმუნდებოდა, რომ გლეხების დაშოშმინება არც ისე ადვილი იყო, როგორც მას ეგონა. რაკი მათ მოსალაპარაკებლად ჭყონდიდელი არ მიიღეს, არც პროკლამაციებს მიაქციეს ყურადღება, იძულებული გახდა ქუთაისიდან გუბერნიის მმართველი კოლუბიაკინი გამოეწვია.

კოლუბიაკინი სასწრაფოდ ჩამოვიდა სამეგრელოში, ინახულა ეკატერინე, რომლისგანაც გაიგო, რომ მთელი სალიპარტიანოს, ნოქალაქევისა და სამთავროს სხვადასხვა კუთხის მეამბოხეები თავმოყრილი არიან შხეფში.

ეკატერინესთან მოლაპარაკების შემდეგ ის თავისი ჯარით პირდაპირ გლეხებთან მივიდა. ზღვა ხალხი გამსჭვალული

იყო ბრძოლისა და გამარჯვების სურვილით. ხალხის უკან ჭილოფგადაფარებული ურძები იდგა. გარეშე თვალს ურმები სურსათ-სანოვაგით სავსე ეგონებოდა.

კოლუბიაკინი გლეხებს მიუახლოვდა.

ხალხში ქარის შხუილივით გაირბინა ხმებმა.

ერთ წუთს თითქოს ხალხი შეტორტმანდა, მაგრამ ისევ მაგრად დადგა ფეხზე. ქუდმოხდილებმა გაბედული ხმით შესძახეს:

— ღმერთმა გუბერნატორს გაუმარჯოს სიმართლის დაცვაში!

კოლუბიაკინი ხეირიანად არც კი მიესალმა ხალხს, კაზაკების ალყა შემოარტყა მათ და მკაცრად მიმართა:

— ამ წუთშივე დაუბრუნდით ბატონებს, თორემ აქედან ცოცხალი ვერ წახვალთ.

წინა რიგებში იდგნენ მებრძოლი გლეხები: თოდუები, კვერაცხელიები, მაგრამ ყველაზე გაბედულად იდგა გლეხების მეთაური უტუ მიქავა. ის ფართობეჭვებიანი, საშუალო ტანის კაცი იყო, მრავალმეტყველი სახე და ცეცხლისმფრქეველი თვალები ძალასა და რისხვას გამოხატავდნენ. ვერცხლით მოჭედილი, სპილოს ძვლით დამშვენებული ორლესული ეკიდა ვერცხლითვე გაწყობილ ქამარზე, რუსული თოფი მხარზე კოხტად ჰქონდა გადაკიდებული. იარაღის მოყვარული კაცი იყო უტუ მიქავა, საკუთარ მარჯვენასავით სწამდა მისი ერთგულება. ზღაპრულ გმირად ქცეული უტუ მიქავა, აჯანყებული გლეხების წინამძღოლი, რომელიც თითქმის მთელი ერთი წელი შიშის ზარსა სცემდა სამეგრელოს მებატონეებს, ახლა ერთი შეხედვით მშვიდად იდგა. მიუხედავად მრისხანე გამომეტყველებისა, მის სახეზე დროდადრო სევდა აღიბეჭდებოდა.

სევდის მიზეზი აშკარა იყო, ბობოქარ მებრძოლს ამ წუთში ყველაფერს ერჩივნა ვეფხის ნახტომით მივარდნოდა გუბერნიის მმართველის გვერდით მდგომ თავადებს, გაეჟლიტა ისინი, ერთიმეორეზე მიეწვინა ყველა, ხოლო რუსის ჯარი მის ჯარს შემოერთებოდა.

„ლაჩრებო! — ფიქრობდა ის, — რად დასჭირდათ გუბერნატორი და კაზაკ რუსები? თუ ვაჟკაცები არიან, რატომ თვი-

თონ ვერ შეძლეს სხვის დაუხმარებლად გაესწორებინათ ანგარიში?"

უტუმ ორი ნაბიჯი წადგა წინ, უფრო თვალსაჩინო გახდა.

უტუს გამოჩენისთანავე უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა, ზღვა ხალხი დუმილმა მოიცვა, თითქოს მთელმა მიდამომ პირი შეკრაო, ნიავიც აღარ ქროდა, ფოთლებმაც შრიალი შეწყვიტეს, რომ უტუსათვის ხელი არ შეეშალათ, მისი სამართლიანი ხმა ძლიერი და მკვეთრი ყოფილიყო, თითქოს ბუნებაც ცდილობდა გმირისათვის ხელი შეეწყო.

გაისმა უტუს ხმა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. მისი სიმპათიური სახე სიმტკიცესა და შეუპოვრობას გამოხატავდა. მან მოელვარე თვალები ჯერ კოლუბიაკინის გვერდით მდგარ ქართველ მოხელეს მიაპყრო, რომლის სახის გამომეტყველება მას სანდოდ ეჩვენა.

ეს იყო პოეტი რაფიელ ერისთავი, რომელიც თარჯიმნად მოჰყვებოდა გუბერნიის მმართველს. მისმა ლმობიერმა სახემ, მართლაცდა, ნდობითა და პატივისცემით განაწყო უტუ და მისი ლაშქარი. უტუმ რაფიელს მორიდებულად მიმართა:

— გთხოვთ, ბატონო, გუბერნატორს კარგად გადასცეთ ჩვენი მდგომარეობა. ყველაფერს მოგახსენებთ: გლეხების რწმენით კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს. ადამიანი, თავადია ის თუ გლეხი, ღმერთს ერთნაირად გაუჩენია, ჩვენ რა დავაშავეთ, გუბერნატორო, რომ მებატონეები პირუტყვზე დაბლა გვაყენებენ? ისინი ჩვენ ხან მიმინოში გვცვლიან, ხან მოსადირე ძაღლში. დედოფლის ხელქვეითები ნადირივით გვდევნიან. განა ჩვენ დაწესებულ ბეგარას არ ვიხდით, რომ ახალი ბეგარა დაგვიმატეს? ამ წუთშიც ჩვენ არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის. თვითონ განსაჯეთ, რა დღე გვადგას. ერთი წლის წინ, როგორც მოგეხსენებათ, თურქის შემოსევამ გაგვანადგურა: პირუტყვისა და ავლადიდების წართმევას არ დაგვჯერდნენ, გვტაცებდნენ ქალ-ვაჟს და მიერეკებოდნენ სათურქოში. არავინ არ იყო ჩვენი მფარველი. მას შემდეგ მებატონეები დაგვერივნენ ისედაც განადგურებულ გლეხებს. ყველაფერს ხელიდან გვგლეჯენ. ბატონების აზრით, გლეხებს არაფერი სჭირდებათ. მათ არაფერი არ უნდა ჰქონდეთ. ყოველგვარი ადამიანური უფლება მისთვის ზედმეტად მიაჩნიათ.

ჩვენ მოვითხოვთ ადამიანურ უფლებებს. ნუ ეგონიავართ თავადებს პირუტყვი. წამოვიყვანეთ სასახლეებიდან ჩვენი ცოლები, დები, ქალიშვილები, რომელნიც თავადებს ხასებად ჰყავდათ. ჩვენ დედოფალს დახმარება ვთხოვეთ, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქცია, დევნა დაგვიწყო. ახლა თქვენ განსაჯეთ, რაში ვართ დამნაშავე? ჩვენ ავაზაკები არა ვართ, რომ თოფით გვდიონ. განა სამართალია, ბატონო გუბერნატორო, ჩვენი ჯაჭვებით დაბმა, ან ხუნდებზე დასმა დაჭერილი თაგვივით, ან ყელზე საქაჩავის მოჭერა? ასე ჩვენ საქონელს არ გავიმეტებთ. ჩვენ მხოლოდ ასეთი უსამართლობის წინააღმდეგ ვიბრძვით. აი, ნახეთ, რა იარაღით გვაწამებდნენ სულ უბრალო დანაშაულისთვისაც კი! — აუწია უტუმ ხმას. უკან მოიხედა, თითქოს ნიშანს აძლევს ხალხსო, ახალგაზრდები ურმების დაცლას შეუდგნენ.

ურმებიდან ცვიოდა ხუნდები, ქანჩები, ხაჯალურები, ჯაჭვები და სხვა დასასჯელი იარაღი. კოლუბიაკინის წინ რამდენიმე წუთის განმავლობაში ამ იარაღების გორაკი აღიმართა. ყველაზე მარდად მუშაობდა თეთრყაბალახიანი ლერწამისა, რომელსაც ახლა ყაბალახი გადასწეოდა და თვალები უციმციმებდა. ანთებულ ლოყებზე ქალისთვის უჩვეულო სითამამე უციალებდა.

ერთმანეთში ირეოდა ხალხის გულიდან ამოხეთქილი ხმები, რომელიც უერთდებოდა რკინის ჯაჭვებისა და სხვა იარაღის ჟღარუნს.

ამ სანახაობამ გუბერნატორის ირგვლივ შემოჯარული თავადები დააბნია. უკვირდათ: სად შეაგროვეს ამდენი საშინელი იარაღიო. სხვა თავადებთან ერთად პეტრეც აქ იყო. მან უმალ შეიცნო ერთი თეთრჩაბალახიანი და თავის ძმას გიორგის თვალით ანიშნა, შეხედეო. გიორგიმ დაინახა, რომ ეს ახალგაზრდა ვაჟი გადაცმული ლერწამისა იყო.

გორაკი სწრაფად იზრდებოდა, გუბერნიის მმართველს რომ ადგილი არ გამოეცვალა, ეს რკინის მთა მას ხალხისგან დაფარავდა. ადგილგადანაცვლებულ გუბერნიის მმართველს უტუ მიუახლოვდა, დინჯად და გარკვევით უთხრა:

— რატომ სწორედ ჩვენში ხდება ყოველივე ეს, როდესაც

რამდენიმე ვერსის იქით, ცხენისწყლის გაღმა, გლეხებს მეტი შეღავათი აქვთ?

ხალხის ჭირ-ვარამით აკვნესებულმა პოეტმა რაფიელ ერისთავმა აჯანყებული გლეხების სამართლიანი მოთხოვნა ისე გულში ჩამწვდომად გადასცა კოლუბიაკინს, რომ მისი გაკერპებული გულიც კი მოალბო.

რაფიელი ყოველმხრივ ცდილობდა გლეხთა აღშფოთება სისხლისღვრად არ გადაქცეულიყო.

გუბერნიის მმართველის ახლო მდგომმა თავადებმა იმ წუთსავე ეჭვი აიღეს: „ასე კარგად გამოთქმული მოთხოვნა აუცილებლად გიორგისა და პეტრე დადიანის ნაკარნახევი იქნებაო, თორემ უბრალო მჭედელს ამის თქმა საიდან შეეძლოო".

— ვითომ გაუწყრათ ღმერთი გიორგისა და პეტრეს? — ჩასჩურჩულა ერთმა თავადმა მეორეს.

— აბა როგორ, — უპასუხა მეორემ, — სწორედ დიდი ნიკოს შვილები გაერეოდნენ ამ საქმეში. მათ ხომ მთავრის ოჯახი არ უყვართ, მერე კიდევ გლეხების შემბრალედ მოაქვთ თავი.

— თუ ასე ებრალებათ, რაღას ელოდებიან, შეუსრულონ გლეხებს ყველაფერი, რასაც თხოულობენ. თვითონ გვიჩვენონ მაგალითი თუ ასეთი კეთილმოსურნე არიან. მინდორი და ტყე მათ რომ აქვთ, ვის გააჩნია იმდენი?

გუბერნიის მმართველმა მოისმინა გლეხების აჯანყების მიზეზები, ესაუბრა თარჯიმან რაფიელ ერისთავს, მხრები შეიშმუშნა და გადაწყვიტა მომრიგებლის როლში გამოსულიყო. თვითონაც დაფრთხა გუბერნიის მმართველი, ჯარიც ეცოტავა. მოზღვავებული გლეხობა, მართლაც, ზღვასავით ღელავდა. კოლუბიაკინი იქვე მდგომთ მოეთათბირა და შემდეგ გლეხებს გამოუცხადა:

— ყოველ ზომებს მივიღებ, რომ დაგიცვათ უსამართლობისაგან. დამშვიდდით, დაწყნარდით, მენდეთ მე; შევისწავლი თქვენს მდგომარეობას და ყოველგვარ დახმარებას გაგიწევთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იარაღს დაჰყრით და ახლაე დაიშლებით, თქვენ სახლებში დაბრუნდებით!

— იარაღს არ დავყრით! — იგრიალა ხალხმა, — ჯობს დავიხოცოთ, ვიდრე დავუბრუნდეთ ტანჯვასა და უბედურებას.

* * *

მართალი იყვნენ ის თავადები, რომლებიც ეჭვობდნენ გიორგი და პეტრე დადიანები აჯანყებულებს თანაუგრძნობენ, ეხმარებიან რჩევა-დარიგებითო.

გიორგი დადიანმა მართლა ურჩია უტუს თუ რა უნდა მოეთხოვა გუბერნატორისაგან აჯანყებულების სახელით. ამიტომ იყო უტუს სიტყვა ასე თავშეკავებული, ამიტომ არ გაუმართა უტუმ გარსშემორტყმულ კაზაკებს ბრძოლა და კუდით ქვა არ ასროლინა კოლუბიაკინს. უტუს მაშინ რომ სცოდნოდა, გუბერნატორი თავის დანაპირებიდან არაფერს არ შეუსრულებდა და აჯანყებულთა დასარბევად უფრო დიდი ჯარით გაგარინს გამოგზავნიდა, უსისხლოდ არ დათმობდა ბრძოლის ველს.

კოლუბიაკინი, სანამ ქუთაისში ჩავიდოდა, დარწმუნდა, რომ დღეს თუ არა ხვალ აჯანყების ტალღა ცხენისწყლის გაღმაც გაიჭრებოდა, მოედებოდა იმერეთს, და ვინ იცის, იქნებ მთელ საქართველოს. „მე თუ ურდუმს მოთხოვნილება დავუკმაყოფილე, — ფიქრობდა კოლუბიაკინი, — ხვალ ასეთ მოთხოვნას კახეთის, ქართლის, რაჭის, გურია-იმერეთის გლეხობაც წამომიყენებსო. გავხდები გლეხთა საყოველთაო აჯანყების ინიციატორი და ამისათვის ციმბირს უკან დამატოვებინებენო“.

შეშინებულმა გუბერნატორმა გენერალ გაგარინს ურჩია დაუყოვნებლივ გაელაშქრა აჯანყებულთა წინააღმდეგ და ცეცხლითა და მახვილით გასწორებოდა ურდუმს.

კოლუბიაკინის დაპირებით დაიმედებული გლეხები დაიშალნენ, თუმცა იარაღი კი არ დაუყრიათ. მათ პირობა მისცეს ერთმანეთს დანაპირების შესრულებამდე არც ბეგარა და არც გადასახადი არ მიეცათ ბატონებისათვის.

ამ ნიადაგზე სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში თითქმის ყოველდღე ხდებოდა შეტაკება, რამაც სულ მალე საყოველთაო ხასიათი მიიღო.

უტუ თავისი ასისთავებით და ათისთავებით ყოველნაირად ცდილობდა არაფერი დაეთმო გლეხებს ბატონებისათვის. იქ, სადაც თვითონ ხელი არ მიუწვდებოდა, აგზავნიდა გელას, ვარლამს, ჭუტულას და სხვებს და უთელიდა, განაგრძეთ ბრძო-

ლა, გუბერნატორმა ჩვენ მოგვატყუა, მალე ის შეღავათის მაგივრად ტყვეითა და მახვილით გაგვისწორდება და ემზადეთ დასახვედრადო.

მაგრამ გაგარინის მრავალრიცხოვან ჯარს ვერ გაუმკლავდა უტუსა და მართალია თოდუას ურდუმი. რუსი ჯარისკაცები გულისტკივილით უსწორდებოდნენ გლეხებს. თავისი თანაგრძნობის გამოსახატავად რუსმა ჯარისკაცებმა ჩუმად იარაღი და ტანსაცმელიც კი გამოუგზავნეს უტუს და მის ასისთავებს. ჯარისკაცები უთვლიდნენ, რომ რუსეთშიც ასევე იბრძვიან მათი ძმები ადამიანური უფლებებისათვის. „ჩვენ გვაიძულებენ, როგორც ჯარისკაცებს, ვებრძოლოთ თქვენს მართალ საქმეს, გესროლოთ თქვენ. მაგრამ ჩვენ, როგორც გლეხები, ყმები, თქვენს ბედქვეშ მყოფნი, სულითა და გულით თქვენთანა ვართ. თქვენ ჩვენი დები, ძმები, მამები და დედები ხართ... დადგება დრო და ჩვენ, ერთმანეთის მხარდამხარ მდგომნი, ერთ კავშირად შეკრულნი, ყველა ამ უბედურებისათვის ერთად გავუსწორდებით თვითმპყრობელობას“.

გახარებული უტუ რუსი ჯარისკაცების ამ შემონათვალს სიტყვა-სიტყვით უყვებოდა აჯანყებულებს. უჩვენებდა მათ მიერ გამოგზავნილ იარაღს, ტანსაცმელს.

უტუმ მალე დაინახა, რომ ბრძოლის გაგრძელებას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. ჯობია დავშალო ურდუმი, სანამ ყველა აჯანყებულს არ ამოწყვეტენ, — იფიქრა მან და ნელ-ნელა დაუწყო ურდუმს დაშლა. ბევრი გლეხი იხსნა უმიზნო დაღუპვისაგან. თვითონ მართალია თოდუასთან ერთად უკანასკნელ წუთამდე არ შეუწყვეტია ბრძოლა. ბოლოს ის და მართალია თოდუა ხელთ იგდო გაგარინმა. ალყაშემორტყმულმა ამ ორმა გმირმა ტყვედ ჩავარდნის წინ თავის უახლოეს თანამებრძოლებს ასე მიმართა:

— ჩვენ ახლა გზას გაგიხსნით, ძმებო, და თავს უშველეთ. ალბათ, დაგვიჭერენ. თუ არ ჩამოგვახრჩეს, ციმბირი მაინც არ აგვცდება. გულს ნუ გაიტეხთ. ჩვენ მიერ დაწყებულ ბრძოლას, დღეს თუ ხვალ, სხვა გააგრძელებს. ჩვენ იქ, რუსეთში, ჩვენს ძმებს, ჩვენს ბედში მყოფთ ვეტყვით თუ რა დღეში ვართ აქ. იცოდეთ, არ ვიქნებით გულზე ხელდაკრეფილი და თქვენც არ შეწყვიტოთ ეს დიდი საქმე.

— ჩემო გელა, — მიმართა უტუმ გელა ჯგერენაიას, — შემოიკრიბე შენს გარშემო ახალგაზრდები, გიორგი და პეტრე დადიანებთან კავშირი იქონიე. მართალია, ისინი თავადები არიან, მაგრამ სხვა თავადებთან შედარებით ჩვენი ენა კიდევ მათ ესმით. ისინი რაღაც საფრანგეთის აჯანყებაზე თუ რევოლუციაზე გველაპარაკენ მე და მართალიას, მაგრამ ჩვენ კარგად ვერ გავიგეთ... ვერ გავიგეთ იმიტომ, რომ წიგნი არ ვიცით, ცოდნა არა გვაქვს. შენს შვილს მაინც ასწავლე, უწიგნური კაცი საქვეყნო საქმეს ვერ გაუძღვება... ახლა კი თავს უშველეთ, ძმებო. — მიმართა გელას ჯგუფს უტუმ. — მე და მართალია გაგიხსნით გზას და თქვენ გაიყვანთ სამშვიდობოს ალყაშემორტყმულებს.

უტუმ და მართალიამ სათითაოდ გადაკოცნეს ასისთავები და ათისთავები, მერე ეკვეთნენ ალყას, გაარღვიეს იგი და გზა მისცეს თავისიანებს. თვითონ კი მრავალგან დაჭრილები მალე გაბაწრეს და რამდენიმე თვის შემდეგ ციმბირის გზას გაუყენეს.

შურისგება

გელა ჯგერენაია და მისი ამხანაგები მოსვენებას არ აძლევდნენ ბატონებს. უტუსა და მართალიას გადასახლებით გაბოროტებული გელა რისხვად ატყდებოდა თავისი გუნდით იმ თავადს, რომელიც ოდნავაც კი ცუდად ექცეოდა ყმებს.

კვირა ისე გავიდოდა, რომ შინ არ შეიხედავდა. ლერწამისა დარეჯანის სახლში ჰყავდა დატოვებული. საბრალო ქალს შიშით სული არ ედგა. იცოდა, რომ გელა ბეჟას დაეძებდა, რათა მამის სისხლი აეღო.

გაგარინის კაზაკები ღღედაღამ დაძრწოდნენ სოფლებში. ნაბრძანები ჰქონდათ, მიწა გაეხეთქათ და ეპოვათ გელა ჯგერენაია. მაგრამ მას თითქოს უჩინმაჩინის ქუდი ეხურა. ვერავინ გებულობდა გელას გზა-კვალს. ღღეს აქ რომ ააწიოკებდა რომელიმე თავადს და ალყას შემოარტყამდნენ ამ სოფელს, აჰა, ახლა კი ნამდვილად ჩავიგდეთ ხელშიო, ხვალ მეორე სოფელში ავარდებოდა მის მიერ დანთებული ცეცხლი.

მართალია, გელა ლერწამისას ხშირად ვერ ნახულობდა, მაგრამ ამბავს ხშირ-ხშირად აგებინებდა: მე არაფერი მიჭირს, კარგად ვარ, შენ გაუფრთხილდი თავსო.

ერთ ღამეს, როცა ლერწამისა და ვარლამის ცოლი ვახშამს ამზადებდნენ, სამზადში ფერწასული ვარლამი და ჭუტულა შემოვიდნენ. მათ დანა პირს არ უხსნიდათ. მოკლე ნაბდები კუთხეში მიაგდეს და ისე ჩამოსხდნენ კერასთან, იარაღი არ მოუხსნიათ.

ლერწამისა მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც უბედურება იყო მის თავზე.

— რა მოხდა, ვარლამ, რავა მუნჯებივით ზიხართ. გელა ხომ არ მომიკლეს? — ჰკითხა ვარლამს შეშფოთებულმა ლერწამისამ.

— გელა არ მოუკლავთ, მაგრამ გელამ კი გაისტუმრა იმ ქვეყანას ბეჟას სული, — უპასუხა ვარლამის მაგივრად ჭუტულამ და ისე თავმომწონედ გაიღიმა, თითქოს მას ჩაედინოს ეს გმირობა.

— მოკლა?! — შეიცხადა ლერწამისამ.

— ჩააძაღლა! — გაუსწორა ვარლამმა.

— გელა სადაა ახლა?

ვარლამი და ჭუტულა თავჩაღუნულები დუმდნენ. ცეცხლის ალი ანათებდა მათ გატანჯულ, განაწამებ სახეებს.

— რას გაჩუმებულხართ, თქვე კაი კაცებო! — მოთმინება დაკარგა ვარლამის ცოლმა.

— რა გინდა, ქალო? — შეუტია ვარლამმა მეუღლეს, — გელა მე კი არა, ეშმაკმა არ იცის სადაა, — დაუმატა ლერწამისას დასამშვიდებლად ვარლამმა.

— ნუ მიმალავ, ვარლამ! — შეევედრა ლერწამისა, — წამიყვანეთ მასთან, თუ ცოცხალია.

— ხომ არ გაგიჟდი?! — შეუტია ვარლამმა, — შენ კი არა, ჩვენ არ გაგვაჩერა თავისთან.

— რაო?

— რაოდა, მე აქ აღარ დამედგომებაო. ან აფხაზეთში უნდა გადავიდე ან იმერეთშიო.

— მერე, მე აქ რას დავურჩე?

— ლერწამისა სადმე გახიზნეთო, ამიტომ გამოგვგზავნა

ჩვენ, თორემ რავა მოვშორდებოდით. დედაჩემთან ნუ წავ, ჩვენ სახლს, ალბათ, აიკლებენ და არც ლერწამისას დაინდობენო.

— მე თავს ვუშველო, არც დედამისს მივაკითხო?! ეს რა უკადრებია გელას?

— დედამისს შენ რაში გამოადგები. მის სახლ-კარს ახლა, ალბათ, ხანძარი ედება. დაყოვნების დრო არ არის, ჩაიცვი და გამომყევი!

— თქვე ცოდვის შვილებო, მითხარით, გელა სად არის! — შეუწყრა მოთმინებადაკარგული ლერწამისა ვარლამსა და ჭუტულას.

— გელა ღულარობუში მოიმწყვდიეს კაზაკებმა.

ამის გაგონებაზე ლერწამისა მოთიბულივით ჩაიკეცა.

ამ დროს გზაზე ცხენების თქარათქური გაისმა.

— კაზაკებია! — წამოხტნენ ვარლამი და ჭუტულა, გულწასული ლერწამისა ნაბადში გაახვიეს, ერთმა მხარზე გაიდო, მეორე წინ გაუძღვა, უკანა კარიდან გავიდნენ და სიბნელეს მისცეს თავი.

იმავე წამს ჭიშკრის მტვრევის ხმა, ცხენების ფრუტუნი, გინება და მათრახების ტყლაშუნი გაისმა ეზოში.

* * *

სამი დღის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ გელა დაიჭირეს.

ჯარისკაცები აღტაცებული იყვნენ მისი ვაჟკაცობით. სასამართლომ ვერ დაუმტკიცა ბეჟა დგებუაძის მკვლელობა და როგორც მეამბოხე, ისიც უტუ მიქავას და მართალია თოდუას გზას გაუყენეს ციმბირისაკენ.

ციხეში გელას ყოფნის დროს ლერწამისას ვაჟი შეეძინა. იგი მაიასთან ცხოვრობდა. ქალბატონმა ლერწამისა ბავშვიანად ქუთაისში გაგზავნა ქმარი რომ ენახა ციმბირში გადასახლებამდე. ლერწამისამ ერთი ფეხით მიუსწრო გელას. სწორედ ამ დღეს უნდა გასულიყო ქუთაისიდან კატორღელთა ეტაპი.

ლერწამისა ბავშვით ხელში უშიშრად იდგა ციხის კარებ-

თან და შეჰყურებდა, როგორ გამოდიოდნენ ეზოდან ჯარისკაცებით გარშემორტყმული, ბორკილგაყრილი ტუსაღები. გამხდრები, ფერდაკარგულები ისინი თითო-თითოდ გამოჰყავდათ კარებიდან. ჯარისკაცები მათ განზე გახედვის საშუალებას არ აძლევდნენ. სულ პატარა მიზეზი და მათთვის მზად ჰქონდათ მუჯლუგუნი, თოფის კონდახი თუ ორლებნიანი მათრახი.

აი გამოჩნდა გელაც. მაღლა თავაწეული, არწივივით აბრიალებდა თვალს. იგი კარებთან შეჯგუფებულ ხალხში არავის არ ეძებდა და ამიტომ არც მიუხედავს მათკენ. მაგრამ აი, გაისმა ნაცნობი ხმა.

— გელა!

გელამ იფიქრა, სმენამ თუ მიღალატაო, თავი გაიქნია. ძახილი განმეორდა. მობრუნებისთანავე გელამ ლერწამისა დაინახა. მას ხელში ბავშვი ეჭირა. გელას სახე გაუნათდა. მან თითქოს თავის მომავალს გაულიმა.

ქარიშხალი დროებით ჩადგა

სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა, მთავრის ოჯახის წევრებს საუფლისწულო მამულები დაურიგდათ.

არც გრიგოლი და კონსტანტინე დარჩენილან უყურადღებოდ, მათაც ბლომად შეხვდათ მამულები.

ეკატერინე შვილებითურთ რუსეთში წავიდა. მხოლოდ მაია და კონსტანტინე დარჩნენ სამეგრელოში. ყველა თავისებურად ცხოვრობდა. კონსტანტინე ძველებურად ნადირობდა და ლამაზ ქალებს ეტრფოდა, გრიგოლი სამსახურსა და ლიტერატურას ეწაფებოდა, ხოლო მათ მამულებს მოურავები განაგებდნენ.

თავისი ბედის უმადური მაია დაუკმაყოფილებელი გრძნობებითა და სურვილებით თანდათან ყველაფრისადმი გულგრილი ხდებოდა. მის უფერულ ცხოვრებაში ხალისი მხოლოდ მწიგნობარ მამა-ბიძებს შეჰქონდათ. გიორგი, პეტრე და ბესარიონი ხშირად მოინახულებდნენ მაიას.

ვის სახელს არ გაიგონებდით ხიბულას სასახლის დიდ სადარბაზო ოთახში, ვის არ ახსენებდნენ აქ, ვის არ მოიგონებდნენ ხოლმე! ხშირად ახალ წიგნებს კითხულობდნენ ან საკუ-

თარ ლექსებს, ხან კი რუსულ ენაზე წაკითხულს უყვებოდნენ მაიას, რომელმაც რუსული არ იცოდა. სამოციანი წლები, საზოგადოდ, დიდ ინტერესს იწვევდა მთელ რუსეთსა და საქართველოში.

რუსეთში ეკატერინეს გაწვევამ, გამგზავრების დროს მისმა ცრემლებმა და მღელვარებამ გული აუჩუყა მაიას, ნაღვლობდა, რომ მისი საყვარელი მაზლის ცოლ-შვილი იძულებით მიდიოდა სამშობლოდან.

ეკატერინეს წასვლას მოულოდნელი ამბავიც დაემთხვა: სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა, ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი მოჰკლა. დადეშქელიანი დახვრიტეს. მას ვერ მოუსწრო ხელმწიფის განკარგულებამ, რომლითაც დახვრეტა სამუდამო კატორღით შეეცვალა. დადეშქელიანი მაიას ბიძაშვილი იყო. მაიამ ორნაირად განიცადა ეს მწუხარება.

ახლა მაიას თვალწინ ორი სამთავრო გაუქმდა და ამ სამთავროების მართვა-გამგეობა მეფის რუსეთს დაექვემდებარა, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო მაიას პატივმოყვარე ზრახვებს. დარწმუნდა: მამისა და ბიძის ბრძნული რჩევა რომ არა, ცუდ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, კარგ დროს აღკვეცეს მისი სურვილები. გულში ფიქრობდა:

„რა სასაცილო იქნებოდა, ჩემი რძლისათვის სამთავრო წამერთმია. ვიდრე ჩვენ ჩხუბსა და კინკლაობაში ვიქნებოდით, რუსთა ხელმწიფე სამთავროებს გააუქმებდა თურმე“.

მაიასათვის მხოლოდ ახლა გახდა ცხადი, რომ რუსეთის იმპერიაში მრავალი ცვლილება უნდა მომხდარიყო.

მაიას ებრალებოდა სამშობლოს მოშორებული რძალი, თანაგრძნობით იგონებდა ეკატერინეს და ხშირად თავის გულისტკივილს ასე გამოთქვამდა:

— „ჩემი მაზლიშვილები გადაგვარდებიან, მშობლიური ენა დაავიწყდებათ, ვეცდები არ გავწყვიტო მათთან კავშირი“.

ეკატერინე ხშირად სწერდა რძალს ბარათს, უგზავნიდა საჩუქრებს. მაიას დამოკიდებულებაც შეიცვალა რძლისადმი. ის ახლა თვითონ სთხოვდა ქმარს პეტერბურგში წასულიყო, რძალი და ძმისწულები მოენახულებინა, სანამ საზღვარგარეთ წავიდოდნენ.

— წაბრძანდი, ბავშვებს თავი გაახსენე, მოინახულე, მშობლიური გრძნობა გაუღვიძე. სამშობლო არ დაავიწყო.

— სამშობლოს რა დაავიწყებს, ძვირფასო მამუ, ქართველი კაცის შვილს, — ეტყოდა მეუღლის წინადადებით გახარებული კონსტანტინე. — წავალ, აბა რას ვიზამ, ხომ არ მივატოვებ უცხო ქვეყანაში ჩემი დავითის შვილებს! მაგრამ შენ... შენ რომ ვერ გელევი, ჩემო ღვთაებავ. რომ იცოდე, ძვირფასო, როგორ მეძნელება შენი დატოვება. თან რამდენი საქმეებია აქ. ნუთუ სულ შენ უნდა უძღოდე ჩვენს მეურნეობას და მე ფეხი ფეხზე გადადებული ვიჯდე მზამზარეულზე.

როგორ ელოლიავებოდა კონსტანტინე ცოლს, რომ დაეჩქარებინა თავისი გამგზავრება. მაია ძმებსაც შეუჩინა. წადით, უპატრონოდ რომ დაყარეთ იქ რძალი და ძმისწულები, მიხედვა ხომ უნდაო. ქვეყანას ნახავთ, ხალხს გაეცნობით, ცოდნას შეიძენთ. ხომ ხედავთ, ჩოხისა და ქამარ-ხანჯლის ხანა მიდის, ახლა ადამიანი სწავლით და განათლებით ფასდება.

მაიას ჩიჩინმა დააჩქარა ძმების გამგზავრება. ერთ მშვენიერ დღეს გრიგოლი, კონსტანტინე და პეტრე პეტერბურგის გზას გაუდგნენ მცირე, მაგრამ რჩეული ამალით და უამრავი საჩუქრებით.

მაიამ მაზლისწულებს უხვად გაუგზავნა საგანგებოდ გაკეთებული ტკბილისკვერები, ჩურჩხელები, ლოყაწითელი ვაშლები, მრავალი გამხმარი სურნელოვანი ვარდი და ყვავილი, ლამაზ ყუთებში ჩაწყობილი ფრინველების ფიტულები. თან სწერდა: აბა, დააკვირდით, ასეთი ლამაზი და სურნელოვანი ნაყოფი, ასეთი ლამაზი ჩიტები თუ სადმე ნახოთ! ხომ ხედავთ, თქვენი სამშობლოსავით შემკული ქვეყანა არსად არ არისო. თქვენც ყველა ქვეყანაზე უფრო საქართველო უნდა გიყვარდეთ, მაშინ იქნებით ღირსეული მამულიშვილებიო.

ეკატერინეს შვილებმა დიდად გაიხარეს მაიას საჩუქრებით. მაზლების ნახვით ნასიამოვნები ეკატერინე სიხარულის ცრემლს ღვრიდა, ყველას ამბავს ეკითხებოდა: მათი მამულებისას, მეზობლებისას.

— ყველაფერს მირჩევნია ახლა ჩემს საყვარელ სამეგრელოში ცხოვრება. რომ არ დამაცალეს? ძალით გამაძევეს, გეთაყვათ, ჰა? ბავშვებს მაინც მივცემ შესაფერ განათლებას,

რაკი სამშობლოს მომწყვიტეს, ეს მაინც უნდა გამოვიყენო შვილებისათვის, განათლდნენ, სხვა სიმდიდრე მაინც არაფერი აქვთ.

— არა, ჩემო დაო, — უთხრა ეკატერინეს პეტრემ, — პირიქით, დიმიტრი ყიფიანი, თქვენი მცირეწლოვანი შვილების მზრუნველი, იმედოვნებს, რომ მამულების საქმეს კარგად მოაგვარებს. ხელმწიფე იმპერატორის გამოსარჩლებით მეფისნაცვალი საქართველოში დიდი თანაგრძნობით და პატივისცემით არის თქვენდამი გამსჭვალული.

— კარგი დაგემართოთ, ბატონიშვილო, ოღონდაც ობლები დამაზრდევინონ, ჩემთვის კი სხვა ყველაფერი გათავდა.

ეკატერინეს შიში და უიმედობა ეუფლებოდა. მასთან ხშირად მოდიოდნენ მეგობრები, დიდი მთავრები, მათი ოჯახის წევრები. იმათი ნუგეშით გულს იოხებდა, დარდს და მწუხარებას იქარვებდა.

ჯერ კიდევ ლამაზი და კეკლუცი ეკატერინე ყველას ხიბლავდა. მისი საღამოები უფრო საინტერესო გახდა, როდესაც მას სამეგრელოდან გრიგოლი, კონსტანტინე და პეტრე ესტუმრა. მეტად აინტერესებდა პეტერბურგის დიდკაცობას, მეტადრე ქალებს, „აზიატებად" ცნობილი თავადების გაცნობა. დაახლოების შემდეგ აკვირვებდათ მათი რუსული ენისა და ლიტერატურის, საზოგადო საკითხების ცოდნა, საერთო განათლება. დადიანების გარეგნობას ხომ აღტაცებაში მოჰყავდა ყველანი. ქალებს ხიბლავდა მათი ქცევა და ჯენტლმენური თავაზიანობა.

პეტრეს პატარა კურიოზიც კი შეხვდა ეკატერინეს სალონში. ამ შემთხვევას შემდეგ სამეგრელოში ხშირად ყვებოდნენ.

პეტრე წვერ-ულვაშს იღებავდა, თავზე კი თმა ძლიერ ჭაღარა ჰქონდა. ერთ საღამოს, ულამაზესი თავადის ქალი გვერდით მიუჯდა პეტრეს. დარდიმანდობის გუნებაზე იყო ბანოვანი.

— თავადო, რით აიხსნება, რომ თავზე თმა გაგთეთრებიათ, ხოლო წვერ-ულვაში შავი გაქვთ?

პეტრე არ დაიბნა, უცებ მოაგონდა ერთ ხალხურ ზღაპარ-

ში როგორ უპასუხა ასეთ კითხვაზე პეტრე დიდს გლეხმა. თავადის ასულს სერიოზული სახით მიუგო:

— მშვენიერო თავადის ასულო, როგორც მოგეხსენებათ, თავზე თმა დაბადებიდანვე აქვს კაცს, წვერ-ულვაში კი მხოლოდ ოც წელს რომ მიუახლოვდება, მაშინ ამოუვა. მაშასადამე, თმა ოცი წლით უფროსია წვერ-ულვაშზე.

ამ სიტყვებზე პეტრემ ლამაზ და ხშირ ულვაშზე ხელი გადაისვა.

ქალს ძლიერ მოეწონა მოსწრებული პასუხი, ოდნავ შერცხვა კიდეც, კეკლუცად გაიცინა და უადგილო ხუმრობა რომ გამოესწორებინა, ღიმილით თქვა: — Ах, вы настоящий дипломат!

პეტრემ ჩვეული დარბაისლობით გამოიყვანა ქალი უხერხულ მდგომარეობიდან; მრავალი სასიამოვნო ქათინაურიც კი გაურია საუბარში, რითაც ბანოვანი მოხიბლული დარჩა.

ეკატერინესთან ხშირად დადიოდა აფხაზეთის მთავარი მიხეილ შერვაშიძე. ახლა როგორც სამეგრელო, ისე აფხაზეთის სამთავროც გაუქმებული იყო და ისიც ეკატერინესავით პეტერბურგში ცხოვრობდა, ანუ, როგორც თვითონ ამბობდა, „თავისუფალ ტყვეობაში იყო". თუმცა მიხეილი ასეთ ტყვეობას არჩევდა თურქების მიერ შემოთავაზებულ თავისუფლებას და უკმაყოფილო არ იყო არც თავისი ბედით, არც სამთავროს ხვედრით.

ეკატერინე და მიხეილი ურჩევდნენ ძმებს დადიანებს, რომ გავლენა მოეხდინათ ყველა ცოტა თუ ბევრად შეძლებულ თავადაზნაურზე და თავიანთი შვილები სასწავლებლად რუსეთში გამოეგზავნათ.

ძმებმა ყურად იღეს ეკატერინესა და მიხეილ შერვაშიძის დარიგებანი და სამეგრელოში დაბრუნების შემდეგ მათი უშუალო ჩარევით ბევრი ახალგაზრდა გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც სახელგანთქმული ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი იმედად ეგულებოდათ.

ილია და აკაკი დიდ პატივს სცემდნენ ეკატერინეს. როგორც კი დროს იხელთებდნენ ხოლმე, უსათუოდ ესტუმრებოდნენ. გრიგოლ დადიანის ჩამოსვლამ ძლიერ გაახარა ისინი. და ეკატერინემაც, თითქოს გრიგოლის ჩამოსვლას უცდიდაო,

დიდი საჩუქარი მიართვა ილია ჭავჭავაძეს. ეს გახლდათ ის ლექსთა კრებული, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა უძღვნა მას. ეკატერინე ამ წიგნს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ის ხშირად კითხულობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის (ეკატერინე მას ტატოს ეძახდა ბავშვობიდანვე) ლექსებს. ტატო ელიზავეტოპოლის ცივ მიწაში იწვა სამშობლოდან გადაკარგული, მან იქ, იმ მიწაში ჩაიტანა საქართველოს სევდა და ეკატერინეს სიყვარული.

ეკატერინემ ბარათაშვილის პატარა წიგნი უბით ჩაიტანა რუსეთში, იგი იყო იქ მისთვის სამშობლოცა და სიყვარულიც, იმედიცა და სიხარულიც, სევდაცა და მწუხარებაც.

დიდი ხანი ფიქრობდა ეკატერინე გადაეცა თუ არა ილიასათვის წიგნი. ვერ იმეტებდა, ვერ ელეოდა. მაგრამ დიდი პოეტის ამ პატარა მოცულობის წიგნს დღის სინათლე ხომ უნდა ენახა. იგი მარტო ეკატერინესი კი არა, მთელი ქართველი ხალხის კუთვნილება იყო. და აი ეკატერინემ გულიდან მოიგლიჯა ძვირფასი წიგნი და ილიას სახით მთელ ქართველ ხალხს მისცა იგი.

ეს ამბავი გრიგოლმა გიორგი დადიანს უამბო.

გიორგი დიდი ხანი იჯდა ჩაფიქრებული და გახარებული. მას წაკითხული ჰქონდა ეს წიგნი. იგი შეყვარებული იყო ბარათაშვილის ლექსებზე და განუმეორებელ პოეტად თვლიდა ტატოს.

— დიახ, შვილო ჩემო, ის შენი რძლის დიდი მეგობარი იყო. — დაარღვია ბოლოს დუმილი გიორგიმ. — მართალი მოგახსენო, ქალები საიმედონი არ არიან. უანგარო სიყვარული მათ არ ჩვევიათ. განა დასაშვებია, რომ ნიკოლოზი, ისეთი დიდი ნიჭისა და გრძნობის პატრონი, ქალს არ შეჰყვარებოდა? მაგრამ შენმა რძალმა, ჩემო გოგონი, სამეგრელოს დედოფლობა არჩია ღარიბი ტატოს ცოლობას. ვინ იცის, ტატო რამდენი ლექსის სტრიქონში აქსოვდა კატოზე ფიქრსა და სევდას! გრძნობები საფლავში თან ჩაიყოლა. რა ნიჭი დაიკარგა, რა შეუბრალებლად გაწყდა სიმი დიდებული საკრავისა!

მაია დაფიქრებით უსმენდა მამისა და გრიგოლის საუბარს. მამის საყვედური ეკატერინეზე და საერთოდ ქალების ანგარებზე მან თავის თავზედაც მიიღო. გულში თავს იმართ-

ლებდა, რომ ცოცხალ ალექსის არასოდეს არ უღალატებდა. მაიამ მრავალი ტანჯვითა და გვემით გამოისყიდა თავისი პირველი გრძნობის ღალატი.

მაიას ფიქრები გრიგოლის სიტყვებმა დაარღვია:

— უნდა ითქვას, ამ რვეულის შენახვით, ბატონო, მთავრის მეუღლემ საშვილიშვილო საქმე გააკეთა. მან გამოამჟღავნა ზედმიწევნით ფაქიზი და ღრმა გრძნობა პოეტისადმი, როგორც ეს ქართველ ქალს სჩვევია; უეჭველია, ოდესმე დაფასდება ბარათაშვილი, როგორც დიდი პოეტი-პატრიოტი. ყოველი მისი ლექსი, დღეს ხელნაწერად გაბნეული, თაობიდან თაობას გადაეცემა და „ხელიხელ საგოგმანებ“ მარგალიტად იქცევა.

— კარგი საქმეა ნიკოლოზის ლექსების აღმოჩენა, ბატონებო! დიახ, ასე მოიქცეოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი, რომელსაც კი უნდა სცოდნოდა ლექსის ფასი, — დასძინა მაიამ.

იმ ღამეს მაიას თვალი არ მოუხუჭავს. თავის წარსულზე ფიქრობდა. ეგებ კონსტანტინეზე გათხოვებაც ანგარება იყოვო, — ფიქრობდა იგი.

სად არის ახლა მისი ტკბილი, დარბაისელი და სათნო ძიძა, რომ გულში ჩაიკრას, დარდი შეუმსუბუქოს. მხოლოდ კეთილი ძიძა გაიგებდა მის ტანჯვა-სიხარულს. მაგრამ თავისი გულის მესაიდუმლე ძიძა უკვე აღარ ჰყავდა მაიას. იგი ამ ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა. დარეჯანი იყო მოწმე იმისა, თუ როგორ გადადგა ნაბიჯი მაიამ, როგორ გადაწყვიტა კონსტანტინეს ცოლობა.

„რა არის ჩემი ცხოვრება, ჩემი ერთადერთი ნუგეში და გულთამხილავი ძიძაც სიკვდილმა წამართვა, — ცრემლები ახრჩობდა მაიას, — როგორ თანდათან მშორდებიან ერთგული და საყვარელი ადამიანები! მარტო თუთანაღა დამრჩა, ჩემი ცქრიალა ლერწამისა მე თვითონ დავივიწყე... ვინ იცის, რა უჭირს მას. ქმარი გადაუსახლეს. უნდა დავიბარო და მოვაყვანინო, როგორც კი მოვა ჭუტულა, ვეტყვი ეს საქმე მომიგვაროს“,

იმის შეგნებამ, რომ კიდევ შეუძლია კეთილ საქმეზე ფიქრი, მაიას გული მოუფონა.

იმპერიის ყოველ კუთხეში გლეხთა აჯანყებებმა დააფრთხო იმპერატორი ალექსანდრე მეორე, რომელსაც მონარქისტმა ისტორიკოსებმა „განმათავისუფლებელი მეფე“ უწოდეს. სასახლესთან დაახლოებულმა პირებმა მეფე დაარწმუნეს იმაში, რომ უმჯობესია გავათავისუფლოთ გლეხები ზევიდან, ვიდრე ისინი თვითონ გაითავისუფლებდნენ თავს ქვევიდან.

ასე რომ, ბატონყმობის გაუქმება არ ყოფილა შედეგი „კეთილი მეფის“ წყალობისა. თუ რამდენად კეთილი და განმათავისუფლებლად მიაჩნდა მეფე ხალხს, იქიდან ჩანს, რომ ის 1881 წელს ხალხის შვილებმა მოჰკლეს. მეფის სიკვდილმა საქართველოშიც დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

საიდუმლოებით იყო მოცული ბატონყმობის გაუქმების მანიფესტი. მის შინაარსს მალავდნენ, დიდხანს საჯაროდ არ აცხადებდნენ.

საგლეხო რეფორმამ, რომელიც საქართველოში 1864-1865 წელს, ქუთაისის გუბერნიაში კი 1865 წელს. როგორც იყო, ბატონყმობის გამაუქმებელი მთავრობის კომისია ზუგდიდშიც შეიქმნა.

საგლეხო რეფორმამ, რომელიც საქართველოში 1864—1865 წლებში გატარდა, გლეხობას თითქმის არაფერი მისცა.

მიწები მემამულეების ხელში დაგროვდა, მათ მიემატნენ ის მიწებიც, რომლითაც „განთავისუფლებამდე“ გლეხები სარგებლობდნენ. ალბათ ამისი შედეგი იყო; რომ საქართველოს თავადაზნაურობა მეფე ალექსანდრე მეორეს მადლობის ქალაღდს უგზავნიდა.

გლეხების უმრავლესობა რჩებოდა უნადელოდ, ე. ი. უმიწაწყლოდ. გლეხები სრულიად გაძარცული დარჩნენ. მათ ჰქონდათ უფლება ნადელის გამოსყიდვის, რასაც ჩვენში „თავის დახსნას“ უწოდებდნენ. თავის დახსნას უნდოდა ფული. ეს მდგომარეობა აიძულებდა გლეხს მიეშურებინა ქალაქისათვის, სადაც ის-ის იყო კაპიტალიზმი ფეხს იკიდებდა. იხსნებოდა ფაბრიკა-ქარხნები, გაჰყავდათ რკინიგზა, ვითარდებოდა მრეწველობა. სამეგრელოს გლეხობა ძალიან ხშირად მიდიოდა აფხაზეთში მიწის სამუშაოზე. მსხვილი მიწათმფლობელნი

მათ მიწას იჯარით აძლევდნენ. ბევრი მათგანი საცხოვრებლადაც იქ რჩებოდა, ნოყიერი მიწა, ბუნებით მდიდარი და ლამაზი აფხაზეთი გლეხებს იზიდავდა.

გლეხების უმრავლესობა თავის კერას დასტრიალებდა, ვერ ელეოდა მას დასატოვებლად, ცდილობდა საკუთარი ძალღონით თავი დაეხსნა. განა მარტო თავის დახსნა უჭირდა გლეხს! ის ამავე დროს მრავალ გადასახადს იხდიდა.

თავდაუხსნელი გლეხი ბატონს თითქმის წინანდებურად ემსახურებოდა.

გლეხების ასეთმა მდგომარეობამ ოთხმოციან წლებში ერთხელ კიდევ ააჯანყა სამეგრელოს სოფლები.

აჯანყება გრიგოლ დადიანის კუთვნილ სოფლებში ლიასა და ფახულანში დროებით ვალდებულმა გლეხებმა დაიწყეს. ისინი აცხადებდნენ, რომ არც გადასახადების გადახდა შეუძლიათ და არც სამოსახლო ადგილების დატოვება.

გლეხთა მოძრაობა სწრაფად ვრცელდებოდა სამეგრელოში, ლეჩხუმსაც გადასწვდა ამბოხების ცეცხლი. სამეგრელოს ოთხი ათასი გლეხი, შეიარაღებული უტუ მიქავას ნაანდერძევი ბრძოლის წყურვილით და ვაჟკაცური აღტკინებით, მებატონეებს შიშის ზარს სცემდა.

საქართველოში უკვე მაგრად ფეხმოდგმული თვითმპყრობელური რეჟიმი თავადაზნაურობას წელს უმაგრებდა, საშუალებას აძლევდა მათ გლეხები თვითნებურად ეყვლიფათ და შეევიწროებინათ.

ამ კუთხის მფლობელი პოეტი გრიგოლ დადიანი, თავის მიმართულებით ლიბერალი, თითქოს ხალხისადმი კეთილად განწყობილი, ვერ ჩაწვდა თუ კლასობრივმა ალღომ ვერ ჩააწვდინა გლეხების გაჭირვებულ მდგომარეობას, დახმარებისა და გლეხების ცხოვრებაში რაიმე შეღავათიანი ცვლილების შეტანის ნაცვლად, გახდა მიზეზი მრავალი მათგანი მოეწყვიტა სიცოცხლესა და ოჯახს. გრიგოლის გადაწყვეტილებამ — ლია და ფახულანი გადაექცია ციტრუსებისა და სურნელოვანი ყვავილების პლანტაციებად — გლეხები კი გადაესახლებიათ საკუთარი ოფლით მორწყული მიწებიდან, ცეცხლი წაუკიდა ხალხის გულს.

გლეხთა აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ისინი თავგანწირვით შეებრძოლნენ მეფის ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგრამ ამ შემთხვევაში გლეხები კიდევ უფრო მკაცრად დამარცხდნენ, ვიდრე უტუ მიქავას და მართალია თოდუას ურდუმის დროს. რუსთა ხელმწიფის მთავრობა გლეხებს სასტიკად და შეუბრალებლად გაუსწორდა. მრავალი მეამბოხე გლეხი მოკლეს ჯალათებმა, ხოლო მრავალი გადაასახლეს.

თუ გრიგოლის მოქმედებამ ამდენი მსხვერპლი შეიწირა, კონსტანტინე დღიდან მანიფესტის გამოცხადებისა, დარწმუნებული იყო ხელმწიფე ამას მაღალი წოდების საკეთილდღეოდ აკეთებდა. მან იცოდა, რომ მისი პირადი ინტერესები, როგორც დიდი მემამულისა, არ შეილახებოდა. თავადაზნაურთა ის ნაწილი, რომელსაც არც სახელმწიფოს ბედ-იღბალი აწუხებდა, არც ჰუმანური გრძნობებით იყო აღჭურვილი და მხოლოდ პირადი თავმოყვარეობისა თუ ნივთიერი მდგომარეობის საკითხებით იყო გატაცებული, ბატონყმობის გაუქმების მანიფესტს სასოწარკვეთილი შეხვდა. ჯერ კიდევ გლეხთა განთავისუფლების ოფიციალურად გამოცხადებამდე თავადაზნაურობა უფლების შეკვეცის მოლოდინში გლეხებს კრიჭაში ჩაუდგა და უფრო სასტიკი გახდა.

მაია ხშირად თავშეკავებულად დუმდა. მის არსებაში ორი გრძნობა იბრძოდა, ერთი სიხარულის გრძნობით ავსებდა: ღმერთმა ადამიანი ერთნაირად გააჩინა და სიკეთილიც ერთნაირი მისცა. ცხოვრებაც, რა თქმა უნდა, საჭიროა ერთნაირი ჰქონდეს. ეს კარგია, მაგრამ... აქ უკვე გაახსენდებოდა თავადები, რომელნიც უსაქმურობაში აღიზარდნენ, უყმოდ ისინი შეიძლება დაგლახაკდნენო, ფიქრობდა. აგონდებოდა უტუ მიქავას აჯანყება, მისი დამარცხება, აგონდებოდა გელა ჯგერენაია. ამ საგანზე ის ვარლამს უზიარებდა თავის აზრს. ვარლამი მასთან ხშირად დადიოდა ხიბულაში. სწორედ ვარლამი უყვებოდა მაიას, თუ რა გასაჭირში იყვნენ სალიპარტიანოს გლეხები.

ერთხელ მაიამ ვარლამი თავის ოთახში შეიყვანა და დაწერილებით გამოჰკითხა ლერწამისას ამბავი.

— ლერწამისა მშრომელი ქალი გამოდგა. ჩვენც შემწეო-

ბას ვაძლევთ, რაც შეგვიძლია. ცხოვრობს ღარიბად, მაგრამ წესიერად.

— შეხედე, შეხედე ჩემს ლერწამისას, რა ქალობას იჩენს! ამფერ, ამფერ, ქალო! ვარლამ, ლერწამისა მინდა აქ დავასახლო, მუდამ შიშში არ იქნება. შემდეგ ის ბიჭიც მოუსწრებს. მგონი, მალე უნდა გაუთავდეს სასჯელის ვადა.

— ეჰ, ცოცხალი რომ იყოს, აწი ქე უნდა დაბრუნებულიყო. დარდით აღარაა საწყალი ლერწამისა. ისე ენატრება შენი ნახვა, ერთი მისი ნუგეში ქვეყნად მიღირსო, იტყვის ხოლმე.

— უნდა დავეხმარო ჩემს ლერწამისას. ცარიელი ნუგეში რას გაუკეთებს. დაბრუნდება გელა, გული მიგრძნობს, უნდა დაბრუნდეს. გამართულ ოჯახს დავახვედრებ.

ამ საუბრის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ ლერწამისა მაიასთან მოვიდა მოკრძალებულად. მაიამ ის გულთბილად მიიღო და ასეთი წინადადება მისცა:

— ყველაფერს აჯობებს აქეთ წამოხვიდე, აქვე ახლოს დაგასახლებ. შენ ჰირადად, თუ ინდომებ, ისევ ჩემთან გამყოფებ.

— ბატონო, ამაზე მეტი ბედნიერება რა იქნება! შენი შეწუხების მერიდება, თავიდან ბოლომდე შენი საზრუნავი შევიქენი. როგორც მიბრძანებ, ისე ვიმოქმედებ.

გელა, შენა ხარ?

უტუ მიქავა და მართალია თოდუა გადასახლებიდან დაბრუნდნენ. მათ ეგონათ გლეხები წელში გამართული დახვდებოდათ. ახლა მათ საბატონო ბეგარასთან ერთად სახელმწიფო ბეგარა და მრავალი გადასახადი დასწოლიათ კისერზე. უტუმ და მართალიამ გელა ჯგერენაია და სხვა თანამებძოლები მოიკითხეს, ეწყინათ გელას გადასახლების ამბავი. რატომ ვერ შევხვდით სადმე, გაიკვირვეს, მაგრამ უმალვე გაეცინათ. იმოდენა ქვეყანაში ნაცნობი ნაცნობს ვერ შეხვდება, რა გასაკვირიაო.

— არა, დიდი გულუბრყვილოები კი ვიყავით! იმდენ ხანს ჩვენ ხელში იყო სამეგრელო და რა გავაკეთეთ? მკაცრი მებატონეებისაგან მაინც გაგვეწმინდა ქვეყანა, რომ შემდეგში ჩვენი თანამებრძოლები, ჩვენი ამხანაგები ამ საქმეს არ ემსხვერპ-

ლა! ძალიან მაწუხებს გელას საქმე, ფიცხი იყო, ის ცემასა და დამცირებას ვერ აიტანდა... — აღშფოთებით ამბობდა მართალია.

— ცუდად წავიყვანეთ საქმე. ეს იმიტომ დაგვემართა, რომ კიდევ გვეგონა ადამიანებთან გვქონდა საქმე. არ დაგვზოგა დედოფალმა. ნუთუ არ დაბრუნდება გელა? — წუხდა უტუ.

— დაბრუნდება, ჯანმრთელი კაცია, ყინვასა და შიმშილს კი გაუძლებს, თუ იმ ჯალათებს გადაურჩა. — ამშვიდებდა უტუს მართალია თოდუა. ისინიც სადაცაა ჩამოვლენ უთუოდ.

— ნეტავ მალე ჩამოვიდოდნენ, გელა წასახდენი ბიჭი არაა, — თქვა უტუმ.

გელა მართლა დაბრუნდა, ეშინოდა საკუთარ ოჯახში მისვლა; არ იცოდა რა დახვდებოდა, რას არ ფიქრობდა:

„იქნებ ლერწამისა მაიამ წაიყვანა, ისევ გაათხოვა, ან იქნებ ვინმემ გამიბახა, მოხუცები დაიხოცნენ. ოჯახი შეგვერჯვნა? რამდენი რამ შეიცვალა ამდენი წლის მანძილზე! როგორია ახლა ლერწამისა, ვახსოვარ თუ არა, ნეტავი? მე უკვე გავჭაღარავდი, იქნებ ზედაც არ შემხედოს! როგორ მიმიღებენ ვარლამი და ჭუტულა? კაცი მათხოვარს ვგავარ“.

ასეთი მწარე ფიქრებით და ნაწამები გულით მიუახლოვდა გაბედავების სახლს გელა. გული ახალგაზრდულად აუძგერდა: რა სიხარულით მოირბენდა ხოლმე თავისი სიჭაბუკის წლებში, რომ ლერწამისასათვის შორიდან მაინც მოევლო თვალი.

მამლები ყივილით გათენების მოახლოებას აუწყებდნენ სოფელს, როცა გელამ ფრთხილად მოუარა ოდას და უკარ კიბეზე ჩამოჯდა. ძაღლი არ ასვენებდა, ბევრი უძახა: ყურშა, ყურშაო, მაგრამ ძაღლმა არ შეისმინა. ბოლოს დარწმუნდა, ყურშა დიდი ხანია აღარ იყო ამ ოჯახში, ამაზედაც გული დაწყდა. რამდენჯერ გაუჩუმებია ძაღლი, როდესაც უნდოდა თავისი ლერწამისა ისე მოენახულებინა, რომ არავის გაეგო.

იჯდა კიბეზე ფიქრებში გართული.

ზევიდან მთვარე დაჰნათოდა. გაზაფხულის სიგრილემ დაჰკრა. ვეღარ მოითმინა, ადგა და სარკმელზე ფრთხილად დააკაკუნა.

— ვინა ხარ? — გაიგონა უმალ ჭუტულას ხმა.

— მე ვარ, ჭუტულა, ვერ მიცანი?

— გელა, შენ ხარ? — სიხარულით შესძახა ჭუტულამ, ლოვინიდან წამოვარდა საცვლების ამარა, მივარდა კარებს, გაიღო და გადაეხვია გელას, რომელიც ოთახში შესვლას ერიდებოდა; ხელი სტაცა, თავისკენ მიიზიდა, ოთახში შეიყვანა კიდევ გულდაგულ გადაკოცნა.

— ბუჟღუ, სანთელი აანთე, რომ იცოდე, ვინ მოგვივიდა! უცნობი მაზლი მოგვივიდა, ბუჟღუ! ერთი ძუძუთი ვართ გაზრდილი.

ქალმა საჩქაროდ კაბა გადაიცვა, სანთელს მოუკიდა, მოსულს მიუახლოვდა გადასახვევად, მაგრამ გელამ არ მიიკარა.

— ჭუჭყიანი ვარ, ბატონო! მერე კიდევ, ჩემი ჭუტულას ცოლი ასე უნდა მენახა?

ქალი გაკვირვებული უცქეროდა ხან ქმარს, ხან მოსულს, ძონძებში გახვეულს, წვერებმოშვებულს. უცებ ვერ მიხვდა, რომ ეს გელა იყო. გელაზე და მის ვაჟკაცობაზე ხომ ბევრი კარგი სმენია! ისიც ვერ წარმოიდგინა, ისეთი ლამაზი და აღზრდილი ქალი, როგორც ლერწამისაა, ასეთ მათხოვარს როგორ წაყვებოდა. მალე ვარლამის ოთახშიც გაიღვიძეს.

— ჭუტულა, რა ამბავია, ვინ მოვიდა? რამე ცუდი ამბავი ხომ არ არის?

— პირიქით, კარგი ამბავია. ჩემი გელა ჩამოვიდა.

წამოცვიდნენ ვარლამი და მისი ცოლი. თვალს არ უჯერებდნენ. ხელს ჰკიდებდნენ, ელაპარაკებოდნენ და მაინც ეჭვით უყურებდნენ, ნუთუ მართლა გელა არისო.

მაშინვე დადგეს ქვაბი ცეცხლზე, გააცხელეს წყალი, აბანავეს გელა, მერე საცვლები და ტანისამოსი გამოუცვალეს. დილით კი გაპარსეს და გელამ ადამიანის სახე მიიღო. მხოლოდ ახლა დაიჯერეს, რომ ის ნამდვილად გელა იყო და არა მოჩვენება. გელა გონს ვერ მოსულიყო. შიშით აცეცებდა თვალებს. არავის ამბავს არ კითხულობდა: არც მშობლებისას, არც ცოლისას, გარინდებული იჯდა.

— ბიჭო, ენა ხომ არ ჩაგივარდა, რამ გაგაჩუმა? იქნებ არ იცი ბატონყმობა რომ გადავარდა? აზნაურებს ვუპირებთ გა-

ტოლებას. — გაეხუმრა ჭუტულა. გელამ მხოლოდ ახლა გაიღიმა.

— ყველაფერი ვიცი, ჩემო ჭუტულა. როგორ გუნებაზე არიან ბატონები ბატონყმობის მოსპობის შემდეგ?

— არ არიან კარგ გუნებაზე, წვრილფეხა აზნაურებიც კი წყრებიან, სულ მიწების შენარჩუნებაზე ფიქრობენ. — თქვა ჭუტულამ დაცინვით.

— ეჰ, რა უბედურად წავიდა ჩემი საქმე, — ამოოხვრით თქვა გელამ.

ძმებმა გელას დაწვრილებით უამბეს, როგორ დაასახლა მაიამ ლერწამისა და მისი დედამთილი. რომ მათ კარგი ოჯახი გამართეს.

— ოჯახი, ოჯახია, მაგრამ ყველაფერზე კარგი ისაა, ბიჭი რომ დაგხვდება, სამაგალითო კარგი ბავშვი, და გულს გაგიხარებს. დუტუ დავარქვით სახელად.

— ჭუტულა, გენაცვალე, მე რა ბედნიერი ვარ, ჩემი შვილი რომ იქნეს ბედნიერი?

— ყოველთვის ასე არ იქნება გლეხების საქმე, შე კაი კაცო! შენი ბიჭი მე მომანათლინა დედამისმა, მშვენიერი ბიჭია, სულ შენ გგავს. რომ იცოდე, როგორ უყვარს მაიას! დედაშენი თავზე ეევლება, სულ ის უვლის, ლერწამისა კი ვაჟკაცივით მუშაობს.

— აბა, რაღას ვუყურეთ. შევკაზმოთ ცხენები და გავუდგეთ გზას ხიბულისკენ, — უთხრა ვარლამმა გელას.

— არა, შენი ჭირიმე, ერთი მამაჩემის საფლავზე თუ ტირილით გული არ ვიჯერე, ისე ვერსად წავალ.

— ესეც შეიძლება. მხოლოდ იქ ნასადილევს წავიდეთ, ახლა კი გამოიძინე, — უთხრა ვარლამმა.

ნასადილევს ჯერ მამის საფლავი მოინახულა გელამ, ბევრი ცრემლი დაღვარა, ბევრი გულსაკლავი და გრძნობიერი სიტყვები უთხრა დაუვიწყარ მამას და შემდეგ ხიბულისკენ გასწია. თან არავინ წაიყვანა, მარტო წასვლა ირჩია.

ბედნიერი დღე გაუთენდათ გელას მისვლით მის დედასა და ცოლ-შვილს. სულ ერთ თვეში დაჩნდა ვაჟკაცის გამრჯე ხელი ქალების ძალ-ღონით შექმნილ ოჯახს.

* * *

განვლო დრომ. ერთ დღეს კონსტანტინე ზუგდიდიდან ძლიერ მხიარულ გუნებაზე დაბრუნდა და მაიას უამბო: ეკატერინე შვილებით საზღვარგარეთ ყოფილა, პარიზში რამდენიმე თვე გაუტარებია, იქიდან ზუგდიდში ჩამოსვლის ნება მიუციათო.

ეკატერინემ უცხოეთშიც მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ყველა ცდილობდა მასთან დაახლოებას და მეგობრობას. მას ქალიშვილი გაეთხოვებინა აშილ მიურატზე*.

აშილი წარჩინებულ ოჯახიშვილად ითვლებოდა ნაპოლეონის მეფობის დროს, მაგრამ ნაპოლეონის დაცემის შედეგად ოჯახიც დაქვეითდა. აშილ მიურატსა და სალომე დადიანს ერთმანეთი გაეცნოთ პარიზში. გაცნობას მათი დამეგობრება მოჰყვა. ურთიერთისადმი თანაგრძნობით განიმსჭვალნენ პატივმოყვარე ახალგაზრდები, საფრანგეთში ჯვარი დაიწერეს, საცხოვრებლად სამეგრელოში ჩამოვიდნენ. მაშინ გამიჯნა ეკატერინემ სამეგრელოს მამული მემკვიდრეთა შორის. სალხინო ახლომდებარე ადგილებით, ჭკადუაშის მამულების ნაწილი და ზუგდიდში ერთ-ერთი დიდი სახლი, სალომეს უთავაზა.

მაია და კონსტანტინე დიდი ასაბიითა და მისალოცებით წავიდნენ სალხინოში ახალგაზრდების სანახავად. მაიას განსაკუთრებით უყვარდა სალომე. სალომეც ტკბილად შეხვდა ბიძა-ბიცოლას, მოიხიბლა მათი ყურადღებით. მან იცოდა ბიცოლას ზვიადი ხასიათი, იშვიათად თუ ვინმეს აჩვენებდა ამდენ გრძნობასა და ყურადღებას. ეკატერინე და მაია ძველებურზე ტკბილად შევხდნენ ერთმანეთს.

მაია დიდი პატივით ექცეოდა აშილს. მის თავმოყვარეობას ძლიერ აკმაყოფილებდა ნაპოლეონის შვილიშვილის სიძობა. აშილ მიურატსაც ძალიან მოეწონა მაია.

— ეს ნამდვილი ძველი დიდების ნაშთია თქვენი ოჯახის ცხოვრებიდან. — ეუბნებოდა ის ცოლს.

მაია ჯერ კიდევ მშვენიერი იყო, მისი გრძელი ნაწნავები

---

* ა შ ი ლ მიურატი — ნაპოლეონ ბონაპარტეს დის, კაროლინას, შვილიშვილი კაროლინა ნეაპოლიტანიის მეფის — იოახიმის მეუღლე იყო.

თითქმის არ შეცვლილიყო. ტანზე სადა, თეთრი ტანისამოსი სისპეტაკის ელფერს აძლევდა.

ახალგაზრდა მიურატმა ცოლის საშუალებით გადასცა მაიას — ძლიერ წუხს, მხატვარი რომ არ არის და მისი მშვენიერების ტილოზე გადატანა არ შეუძლია. მაიას ესიამოვნა აშილის სიტყვები.

— არასოდეს სურათს არ გადავიღებ. ერთხელ გადავიღე ჩემს სიცოცხლეში და ისე ცუდი გამოვედი, რომ თავი შემძაგდაო, — უთხრა აშილს მაიამ.

მაიამ და კონსტანტინემ აშილი და სალომე დაპატიჟეს ხიზულაში, მდიდრული მიღება მოუწყვეს. ნათესავური კავშირი თითქოს კვლავ აღდგენილ იქნა ოჯახებს შორის, სითბო მაინც აკლდა ამ კავშირს. ხალისი და კეთილი განწყობილება ისევ კონსტანტინეს შეჰქონდა მათს ოჯახში. ის ხშირად ნახულობდა თავის რძალს, რომელმაც თავის მუდმივ საცხოვრებლად ზუგდიდის სასახლე განაახლა.

ზუგდიდის სასახლის პარკი ქებული იყო მთელს საქართველოსა და რუსეთში. კვლავ გაჩნდნენ პარკის პატარა ტბაში გედები, სასეირნო ნავები. ისინი პაწია კუნძულის გარშემო დაცურავდნენ. გირლიანდებით და თაიგულებით შემკულ კუნძულზე მაგიდა იდგა. ეკატერინე ხშირად თავისი სტუმრებით აქ საუზმობდა. მას მთელ სიცოცხლეში ხელმოკლეობა არ უგრძვნია, ზაფხულის თვეებს კი ისევ გორდში ატარებდა. ხან ქალიშვილს ესტუმრებოდა, ხანაც აქეთ ეწვეოდნენ შვილები:

ერთხელ კონსტანტინემ აშილი და თავისი ვაჟები ჭრებალოში წაიყვანა, ქვიშარში, სადაც შესანიშნავი ზვარი ჰქონდა. ხვანჭკარული ღვინოს გამოსახდელი ორასკოკიანი საწნახელი და ასკოკიანი ქვევრები უჩვენა. მთებს შუა მდებარეობდა ქვიშარი. ერთობ ძნელი მისასვლელი იყო, მაგრამ მაინც ხალისით იმგზავრეს.

მაია ბოლო ხანებში ავადმყოფობას უჩიოდა. კონსტანტინემ ახალგაზრდა, სახელგანთქმული ექიმი სამსონ თოფურია მოაყვანინა, რომელმაც მისი ავადმყოფობა ბრმა ნაწლავის დაავადებით ახსნა, ოპერაციის გაკეთება ურჩია, სთხოვა ქუთაისში ჩასულიყო სამკურნალოდ.

ექიმის წასვლის შემდეგ მაიამ ქმარს განუცხადა:

— თუ ოპერაციის გაკეთება გადავწყვიტე, საზღვარგარეთ წავალ, მხოლოდ იქაურ ექიმებს ვენდობი.

— კი, გენაცვალე, მამა! მე თვითონ გეახლები, წაგიყვან, მოგარჩენ. შენს თავს სიკვდილს დავანებებ განა? — ეალერსებოდა კონსტატინე ცოლს.

მაია ავსტრიაში

ამიერკავკასიაში რკინიგზა სულ რამდენიმე წლის გაყვანილი იყო, როცა მაიამ ვენაში წასვლა გადაწყვიტა. მიუხედავად კონსტანტინეს გულწრფელი თხოვნისა, წაჰყოლოდა ცოლს, მაიამ არ ისურვა ქმართან ერთად წასვლა და თავისი აზრი ასე დაასაბუთა:

— შენ რომ წამოხვიდე, მრავალი მხლებელი და ხარჯები დაგვჭირდება. იქაც გამოჩნდებიან მსურველები ჩვენი გაცნობისა. ფართო ბინა, მიღებები, სადარბაზოდ სიარული, მოუსვენარი ცხოვრება ექიმობის საშუალებას არ მომცემს. ჯობს სისოიას წავიყვან, ჩემს ნათლულს, ცოცხალი და მოხერხებული ვაჟია, რუსული კარგად იცის. იქ კი, ვენაში, ბაბო შერვაშიძე, ჩემი ცუცუს ქალიშვილი დამხვდება. ამბობენ ხელმწიფის ცოლს ახლავს ვენაშიო. თუ იქ არ არის, პეტერბურგში მივწერ და ჩამოვა ჩემთან.

დიდხანს არ იზიარებდა კონსტანტინე ცოლის აზრს. ბოლოს მაინც დაუთმო.

უცნაური ამ მოგზაურობაში ის იყო, რომ მაიას არაფერი არ აკვირვებდა. მისთვის მატარებლით მგზავრობაც ახალი იყო. რუსეთის დიდი ველები და ქალაქები თითქოს ნანახი ჰქონოდა. მოსკოვში ორი დღე გაატარა, დაათვალიერა საყდრები; კრემლის ნახვა მოისურვა — რუს ხელმწიფეთა ძველი სადგომისა. მაიამ დაიარა კრემლი, ნახა მეფეთა სიმდიდრე, გულში შეადარა სამეგრელოს სამთავროს სამფლობელოებს, საქართველოში ნაქები ზუგდიდსა და გორდს. გული დაწყდა: რა ღარიბნი და პატარანი ვყოფილვართ ამათთან შედარებითო. ყველაზე ყურადღებით ეკატერინე მეორის სურათს აკვირ-

დებოდა. აღტაცებული იყო მისი გარეგნობის სიმშვენიერითა და აღნაგობით.

ერთ წუთს ის თავის რძალს — ეკატერინეს შეადარა და ასე გაიფიქრა: „ეს მეფე ქალი რუსეთს აფართოებდა, ჩემმა რძალმა კი პატარა სამეგრელოს ვერ მოუარა, თავისი წილხდომილიც დაკარგა“.

ვენაში მაია სასტუმროში მოთავსდა. სწრაფად გავრცელდა ხმა საქართველოს უგანათლებულეს კნეინას ვენაში ჩამოსვლაზე. ბაბო შერვაშიძემ, რომელიც იმ დროს მართლა ყოფილიყო ვენაში, გაზეთის საშუალებით გაიგო დეიდამისის იქ ყოფნა, მაშინვე ინახულა და კიდევაც უსაყვედურა.

— გაზეთების საშუალებით რომ არ გამეგო, თქვენი ნახვის საშუალებას არ მომცემდით, ისე წაბრძანდებოდით ვენიდან?

— მერჩია ჯერ განეკურნილიყავი, არავინ შემეწუხებინა, მერე მოგძებნიდი და ვისიამოვნებდი შენთან ყოფნით. აბა რა გემო აქვს ახლა ჩემს ნახვას, ცოცხალი დავრჩები თუ არა, არ ვიცი, — უპასუხა მაიამ.

მაია საუკეთესო საავადმყოფოში მოათავსეს, ოპერაცია გაუკეთეს. ის მალე სავსებით განიკურნა. მიუხადავად წლოვანებისა, კიდევ უფრო გამშვენიერდა, მისი აღნაგობა, სილამაზე და ჩაცმულობა გამვლელთა ყურადღებას იპყრობდა.

მაიას ეუხერხულებოდა ხალხის ყურადღება და მაშინვე ეტლს შეაფარებდა თავს. მისი დისწული იცინოდა და ეფერებოდა დეიდას, რომელიც თავისი ორიგინალურობით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ევროპელებზე.

გამოჯანსაღებული მაია ეცნობოდა ვენასა და მის მიდამოებს. გულმოდგინედ აკვირდებოდა ცისფერთვალება, მაღალტანიან ავსტრიელ ქალებს, იქაურ მამაკაცებს, ძლიერ მოსწონდა მათი სისუფთავე და კარგი ჩაცმულობა.

— ალბათ, ხალხი მდიდარია, როდესაც ასე კარგად და სუფთად აცვიათ, — ეტყოდა ხოლმე დისწულს.

— ბატონო დეიდა, აქ რაც ღარიბი არ უნდა იყოს ადამიანი, სისუფთავე და ტანისამოსი მათი სულიერი მოთხოვნილების ისეთი ნაწილია, როგორც საჭმელ-სასმელი — ეუბნებოდა დისწული.

მაიამ ბაბოს თანხლებით ღირსშესანიშნავი ადგილები დათვალიერა: ინახულა მრავალი თვალსაჩინო ძეგლი, სამკითხველოები და თეატრები. ერთ რამეზე დიდად წყდებოდა გული მაიას: ის უთარჯიმნოდ ვერაფერს აგებინებდა სხვას. ხშირად გაუელვებდა გულში მამისადმი საყვედური, რომ შვილებს სათანადო განათლება არ მისცა. მაიამ მაღაზიებშიც ბევრი იარა, ბევრი რამ იყიდა. ძლიერ მოეწონა როკოკოს სტილის დგამები, შეძენა კი გადაიფიქრა, ეძვირა კიდეც: დისწულს უთხრა: აბა რად მინდა, ბიძაშენის მთვრალი სტუმრები ერთ წელიწადში დალეწავენო.

როდესაც ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება მოათავა, ბაბოს სთხოვა, ქალაქგარეთ წაეყვანა, სოფელიც ეჩვენებინა მისთვის.

— ჩემთვის სოფლების დათვალიერება უფრო საინტერესოა, ბატონო. მე თვითონ სოფლის ქალი ვარ. ხვალ სადმე სოფელში წამიყვანე.

სოსიამ დილით ადრე სამგზავრო ეტლი მოჰგვარა. თვითონ ეტლის კოფოზე მოეწყო, ერთ-ერთ სოფელში მივიდნენ, რომელიც ვენიდან თორმეტი კილომეტრით იყო დაშორებული. ეს სოფელი განთქმული იყო მერძეობით.

დიდი გულისყურით დაათვალიერა მაიამ ფერმის ძროხები და მათი ბინები.

— ყველაფერს ცოდნა უნდა, ჩემო კარგო!.. ჩემი უბედურება ის არის, რომ მე ნასწავლი არა ვარ, ენები არ ვიცი, სამეგრელოს კარებს პირველად გავცილდი. მაკვირვებს ჩემი რძლის ეკატერინეს ამბავი. ნასწავლია, ქვეყანა შემოვლილი აქვს მრავალჯერ, მაგრამ ვერ შექმნა დიდი მეურნეობა, დიდი დოვლათი. განა გლეხები რომ გაატყავო და იმათგან წანაგლეჯი შემოსავლით მხოლოდ გარეგნული სილამაზე დაამყარო, ეს არის თავიანობა? მე მშვენიერებასა და სილამაზეს არ უარვყოფ. ახლაც ზუგდიდის სასახლის აღდგენა და გამშვენიერება ძალიან მსიამოვნებს, ამასთან ერთად ხომ შეიძლებოდა სასარგებლო რამ შემოეტანა ხალხში და გაევრცელებინა, თუნდაც ეს ფერმები.

— ძვირფასო დეიდა, დედოფალი კეკლუცია, სალონის ქა-

ლია. მას არ შეეძლო ასეთი პრაქტიკული საქმეების გაკეთება. ეს მისთვის ძლიერ მოსაწყენი იქნებოდა.

— ასე იყო თუ ისე, ვერაფერი გავაკეთეთ, ცხადია. მაგრამ სულ სხვა არის მისი ქალიშვილი სალომე, აშილ მიურატის ცოლი. ქმრის გავლენაა, შეიძლება. დიდი მშრომელი ქალი დადგა, სანიმუშო მეურნეობას ხელმძღვანელობს. სალხინო და ჭკადუაშის ზეგნები ოჯალეშის ვაზებით არის გადამწვანებული. სამეგრელოსათვის მრავალი უცნობი ხეხილი და დეკორაციული ხეების ჯიში გააშენა, არც ერთ ღირსშესანიშავ ადგილს არ ტოვებს თავის კუთვნილ მამულში, გზები რომ არ გაიყვანოს და შემოსავლის წყაროდ არ გახადოს. რა წყალვარდნილები და საარაკო ადგილები არ გამონახეს მთებში, ბარში. ყველაზე ღირსშესანიშნავი ის არის, რომ სოფელში ავრცელებს ვაზის, ხეხილისა და სხვა მცენარეების ჯიშებს, ამით ხელს უწყობს ხალხში მეურნეობის განვითარებას.

— ეს საინტერესოა, დეიდა ბატონო.

— მან და მისმა მეუღლემ სამეგრელოში პირველებმა დაარღვიეს ის სულელური აზრი, რომ დიდკაცობისათვის შრომა თითქოს სამარცხვინოა.

— შრომა და სამარცხვინო საქმე? მხოლოდ გააჩნია, ვინ რა შრომისთვის არის მოწოდებული.

— ჩვენთან კი, შენმა გაზრდამ, ახლაც ვინმემ გაჭირვებულ თავადს, ან აზნაურს ხელში თოხი რომ დაუნახოს, ის სიკვდილს გაათავებს, შერცხვება, იუკადრისებს, თოხს ხელიდან გააგდებს და იტყვის — იმ მამაძაღლ მოჯამაგირეს ეს თოხი სად დაუტოვებია. ჰო, რამდენი ყალბი თავმოყვარეობაა ჯერ კიდევ დარჩენილი?

ისევ ხიბულაში

ევროპიდან წამოსვლის წინა დღეებში მაიამ ყოველგვარი მცენარეულობის თესლეული შეიძინა წამოსაღებად, მცენარეების ფოთლებიც კი გაახმო და წამოიღო, შემდეგისათვის რომ გამოეწერა ისინი.

მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ხიბულაში, მრა-

ვალი გეგმა მოჰქონდა თან ოჯახისა და მეურნეობის გარდასაქმნელად. გული წყდებოდა, რომ თავისი ახალგაზრდობა უქმად გაატარა, არ ისწავლა. მაგრამ აბა სად ესწავლა? მხოლოდ ახლა გაიგო თუ რას ნიშნავს ცოდნა და განათლება.

— ამდენი რამ ადრე რომ მქონოდა ნანახი, ბევრ კარგ და სასარგებლო საქმეს გავაკეთებდი. ახლა აღარც ღონე და მხნეობა მაქვს წინანდელი და რაღა დროს!.. — ეუბნებოდა მაია სანახავად მოსულ მამასა და ძმებს. — ადამიანმა რამე კარგი რომ შექმნას, საჭიროა ჯანმრთელობა და ცოდნა, — დასძენდა მაია, რომელსაც ყოველივე ამის გარეშეც ძლიერ უყვარდა სიცოცხლე.

ხიბულის წესრიგის შეცვლა იმით დაიწყო, რომ ეზო ერთი ვერსის მანძილზე გააწმენდინა ყოველგვარი ხისაგან, მხოლოდ წინა ეზოში დაატოვებინა დიდი ცაცხვი და სახლის საფარად მუხნარის ტეე ვეებერთელა ხეებით; ეზოს გარეთ ორი ქცევა მიწა შემოაღობინა; შიგ მთლიანად მატიტელა დაათესვინა; ბრძანა: უნიშნო შავი ძროხა ამოერჩიათ, ამ ძროხისათვის სხვა არაფერი საჭმელი არ ეჭმიათ, გარდა მატიტელასი, ეს ძროხა საკუთრად მისთვის მიეჩინათ. ვენაში ექიმს ეთქვა: ერთი ძროხის რძე და ყველი მიიღეო. ასეთი კვება ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებსო.

საწოლი ოთახიც ქმრისგან ცალკე მოაწყო.

არ ეამა კონსტანტინეს ასეთი წესრიგის შემოღება; ხან უსაყვედურა ცოლს, ხან დაუყვავა. მაია ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა:

— თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, უნდა შეურიგდე ამ წესს. მე ავადმყოფი ქალი ვარ. შენ ჩემზე კარგად მოგეხსენება, რომ ცალკე საწოლები განათლებულ ხალხში მიღებულია. ჩემი ფიქრით, ძლიერ ჰიგიენურიც არის და წესიერიც.

მაია იმხანად ქმარზე ნაწყენიც იყო; ძლივს იკავებდა თავს, ქმართან უსიამოვნება რომ არ მოსვლოდა. სასახლის მოენეებმა მაიას დაწვრილებით მოახსენეს კანსტანტინეზე ბევრი არასასიამოვნო ამბავი.

სამი თვე, რაც მაიამ ოჯახის გარეთ გაატარა ვენაში წასვლის გამო, კონსტანტინეს და მის მეგობრებს ძალიან ფუქსა-

ვატურად გამოეყენებინათ. მუდმივი ქეიფები და ნადირობა, საეჭვო ყოფაქცევის მანდილოსნების ქმრიანად დაპატიჟება, ქმრების დათრობა და ცოლებთან სითამამე ჩვეულებრივი ამბავი გამხდარიყო მაიას სასახლეში. მაიას ძმა კოწიაც განუყრელად სიძესთან ატარებდა დღეებსა და ღამეებს. ამას დაერთო კოწიას გამიჯნურება თავისივე ბიძაშვილის — ალექსანდრეს ცოლთან.

მაიას ჩამოსვლისთანავე მოახსენეს ყოველივე ეს. ოჯახიც განადგურებული მოეჩვენა.

— თუ სამი თვე განუწყვეტლივ ქეიფობდით, კიდევ ძალიან გაუძლია ამ ოჯახს, — საყვედურით ეუბნებოდა მაია ქმარსა და მოურავს.

კონსტანტინე დარწმუნდა, რომ მაიას გულის შემობრუნება ადვილად არ მოხდებოდა და აქაურობისაგან განშორება ამჯობინა, მით უმეტეს რთველი ახლოვდებოდა. ახლა ლეჩხუმი და სალხინო სჯობდა ხიბულას. თავისი ამალითა და მხლებლებით სასახლიდან წავიდა. მთელი შემოდგომა ჩიქოვანებთან, ლეჩხუმსა და სალხინოში გაატარა. ზამთრის პირად რამდენიმე დღე ხიბულაში დარჩა, ზამთარი კი ზუგდიდში და ქუთაისში დაჰყო თავის ძმა გრიგოლთან, რომელიც ახლა მუდმივად ქუთაისში ცხოვრობდა. გრიგოლს გენერლის ჩინი ჰქონდა და დიდ პენსიას ღებულობდა, აგრეთვე სამეგრელოლეჩხუმის მამულების შემოსავლითაც სარგებლობდა. ქუთაისში გრიგოლს კარგად მოწყობილი სახლი ჰქონდა. იმ ქუჩას, სადაც მისი სახლი იდგა, მის პატივსაცემად დადიანის ქუჩა უწოდეს. კონსტანტინე ძმასთან ხშირად ჩამოდიოდა, მასთან ყოფნითა და ბაასით ყოველ დარდს ივიწყებდა.

ყველა ამჩნევდა, რომ კონსტანტინეს სხვაგან ყოფნა ერჩია თავის სახლში ყოფნას. მისი მომხრეები, რა თქმა უნდა, ამ მოვლენას მაიას აბრალებდნენ: ვის გაუგონია, უკვე ხანში შესულ ქმარს გაემიჯნა, ცალკე ოთახში ცხოვრობს, დაუკითხავად სამეფო კაცი მის ოთახში ვერ შედისო. ზოგი კიდევ მაიას ამართლებდა: თუ ავად გახდა და მისი ჯანმრთელობისათვის ასეა საჭირო, რა ქნასო. ბევრ მითქმა-მოთქმას იწვევდა მაიას ასეთი განცალკევება. თვითონ მაიაც უბედურად

გრძნობდა თავს. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ოჯახშიც ვერ გააკეთა ის, რისი გაკეთებაც უნდოდა. ვერც ძროხების ფერმა მოაწყო, ვერც მცენარეების ჯიში ახეირა, ვერაფერში ვერ პოვა ქმრისა და მსახურების თანაგრძნობა.

ყოველგვარ წვრილმანში აზრთა სხვადასხვაობის ნიადაგზე მას ქმართან უსიამოვნება მოსდიოდა. ხშირად შვილების აღზრდის საკითხი იყო მათი დავისა და უკამაყოფილების მიზეზი. ქალაქიდან დასასვენებლად ჩამოსულ ვაჟებს კონსტანტინე თავისებურად წვრთნიდა: ცხენზე ჯდომას, ნადირობასა და დროსტარებას აჩვევდა. მაია ამის წინააღმდეგი იყო. ახალგაზრდობასთან ერთად მაიას და კონსტანტინეს საერთო აზრები და გრძნობაც შორდებოდა ერთმანეთს. ახლა მხოლოდ საერთო ნათესავების ჭირი თუ ლხინი, საზოგადო მოვალეობანი აკავშირებდა ამ წყვილს.

მაიას და კონსტანტინეს ბევრი ძვირფასი ადამიანი ჩამოაშორა სიკვდილმა.

ჯერ პეტრე გარდაიცვალა, მაიას სულიერი მეგობარი, საყვარელი და კეთილი კაცი, რომელიც გონიერებასთან ერთად სიცოცხლით, მხიარულებითა და ენამახვილობით ყველგან სიხარულს თესავდა. მალე ეკატერინე დედოფალი გამოესალმა წუთისოფელს. ჯერ ამ დამგლოვიარებულ ოჯახში ხალხისა არ შესულიყო, რომ მაიას მამა გიორგი გარდაიცვალა. ეს მწუხარება კი მაიას ძალას აღემატებოდა. თითქო დაიკეტა ხიბულის სასახლე. თვით კონსტანტინესაც აღარ უწევდა გული სანადიროდ და საქეიფოდ, ხოლო მაია ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა.

მაიას ძმებმა კოწიამ და დავითმა იცოდნენ, რომ მამის სიკვდილი მაიასათვის ძნელი გადასატანი იყო. გიორგი ხომ მაიასათვის მამაც იყო და სულიერი მეგობარიც. ახლა სულ მარტო დარჩენილ მაიას ძმები ართობდნენ. ისინი ხშირად ჩამოდიოდნენ მაიასთან ხიბულაში.

ორივე ძმას დაჰყვა მამის ნიჭი. ორივე დიდად გატაცებული იყო პოეზიით, თავისი ლექსებით იმდროინდელ სამეგრელოს მოწინავე ადამიანთა ყურადღებას იქცევდნენ და დიდი დაფასება ჰქონდათ ხალხში.

მაია ამაყობდა ძმების ლექსებით. მან თითქმის ზეპირად იცოდა მათი ყოველი სტრიქონი.

„ამათ რომ ევროპული განათლება მიეღოთ, აბა, რომელ პოეტს ჩამოუვარდებოდნენო", — გაიფიქრებდა ხოლმე გულის-ტკივილით. მაია გაფაციცებით ადევნებდა თვალს ძმებს და გაიგებდა თუ რა ახალი ნაწარმოები შექმნესო, მაშინვე დაპატიჟებდა და თავის სასახლეში კითხვას მოაწყობდა. მას გაგონილი ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონის ამბავი. სამეგრელოს მთავრის დავითისაგან და ეკატერინე დედოფლისაგან იცოდა, რომ იმ სალონში ქართველი და რუსი პოეტები უკითხავდნენ მოწინავე საზოგადოებას თავიანთ ნაწარმოებებს, რომ იქ იმართებოდა მათი განხილვა, აძლევდნენ რჩევებს, გამოთქვამდნენ აზრს ნაწარმოებზე. სალონი არა მარტო ეხმარებოდა მწერალს თავისი ნაწარმოების უკეთ დამუშავებაში, მწერლის პოპულარიზაციასაც ეწეოდა.

მამის სიკვდილის წლისთავზე მაიამ გაიგო, რომ კოწიას ახალი პოემა დაეწერა, სთხოვა ძმებს, გაყოლოდნენ ხიბულაში და წაეკითხათ ახალი ნაწარმოები. კოწია და დავითი სიამოვნებით დაეთანხმნენ. მათ მაინც ხომ უნდა გაეცილებინათ და და სიძე.

პოემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაიას მიერ საგანგებოდ მოწვეულ სტუმრებზე. სტუმრად იყვნენ არა მარტო თავადები და აზნაურები, გლეხებიც, მოინალეებიც.

პოემაში ასახული იყო აფხაზი ხალხის ზნე-ჩვეულება, მისი ხასიათის სიმტკიცე, ადამიანების პატივისცემა, იშვიათი მეგობრობა, ძლიერი სიყვარულის ძალა. პოემის მოკლე შინაარსი ასეთი იყო: მურმან პამბა შეუყვარდება მისი მეგობრის სოზარ გულბანის ცოლს, ეშას. ქალის გატაცება იმ ზომამდე მიდის, რომ ის მურმანს სიყვარულს უცხადებს. მიუხედავად ეშას მშვენიერებისა და ახალგაზრდული თავდავიწყებისა, მურმანი უარყოფს ქალის სიყვარულს. ეშა შელახულ თავმოყვარეობას შურისძიებით იკმაყოფილებს: როდესაც მურმანი და ეშას ქმარი სოზარი ერთმანეთს მეგობრობას ეფიცებიან, ქალი ძვირფასი თასით მურმანს შარბათს მიართმევს. სასმელი მოწამლულია ისეთი საწამლავით, რომელიც ადამიანს

ერთბაშად არ კლავს, ავად ხდის, ტანჯავს, დიდი წვალების შემდეგ მოკლავს. მურმანს თავისი ერთგული ცოლი დესპინე უყვარს, დღედაღამ უძინარი და დაუსვენებელი ადგას თავზე. ეშა და მისი ქმარი ხშირად ნახულობენ ავადმყოფ მეგობარს. ერთხელ ეშა სთხოვს დესპინეს: ნება მომეცი, ამაღამ შეგცვალოო, დაღლილი ხარ, ერთი ღამე მაინც დაისვენეო. ღონეგამოლეული დესპინე დათანხმდა, დაწვა, მაგრამ ძილი არ ეკარება. მას საშინელება ესმის: ავადმყოფის ლოგინთან დამჯდარი ეშა ეუბნება მურმანს, თუ როგორ გააგიჟა ის მისმა სიყვარულმა, როგორ შეურაცხყო მისმა უყურადღებობამ და ამის გამო მან მოწამვლით შური იძია.

— შენ ვერ გაიგე, თუ რამდენ ბედნიერებას მოგვცემდა ჩემი სიყვარული, — უთხრა ეშამ.

მურმანი დინჯად ისმენს საშინელებას, მაგრამ გულში სინანული არ გაუვლის, პირიქით, მეგობრობის სიმტკიცის დაცვა უკანასკნელ წუთებს უტკბობს.

დესპინემ ქმრის სიცოცხლეში ეს შემზარავი ამბავი დამალა, შემდეგ ხალხის წინ აღიარა საიდუმლო და თავი მოიკლა.

მაია ჩაფიქრებული ჭვრეტდა პოემაში დახატულ სახეებს, მოულოდნელად გაიცინა, ქმარსა და ძმას თვალი გადაავლო, შემდეგ დავითს შეეკითხა:

— ბატონო ჩემო, როდესაც ჩვენი ძმა წერდა ხასიათის სიმტკიცესა და მეგობრის ერთგულებაზე, ცთუნებიდან თავის შეკავებაზე გვიამბობდა, სახეში ან ბატონი სიძე ეყოლებოდა ან თავისი თავი.

კონსტანტინემ გულდაგულ გადაიხარხარა, მისი კეთილი სიძე სიცილმა კიდევ უფრო სანდომიანად აქცია, ხოლო კოწიამ დაირცხვინა, რომ მისი პოემის გმირს, ზნეობრივად სპეტაკსა და მტკიცე ხასიათის მქონეს, თვითონ ვერ ბაძავდა თავისი ცხოვრების გზაზე; პირიქით, ყოველთვის ცოდავდა ამ მხრივ. თუ რომელიმე მეგობრის ან ნათესავის ცოლი თვალში მოუვიდოდა, თავს ვერ შეიკავებდა, გრძნობები სწრაფად მოერეოდა.

ის მუდამ ვინმეზე შეყვარებული დაბორიალობდა, ხვნეშოდა და სატრფიალო ლექსებს წერდა: თუ მიზანს ვერ მიაღ-

წევდა, თავი მოსაკლავად არ ენანებოდა. ერთადერთი მხსნელი ასეთ შემთხვევაში ის იყო, რომ სატრფიალო საგნის დაშორება გულს მალე უცივებდა, ახლა ვინმე ახალი გაჩნდებოდა გულის მფლობელი, შემდეგ კიდევ ახალი.

კოწიას ვერც დაცოლშვილებამ უშველა. ბოლომდე ენებათა ღელვის მონა-მორჩილი დარჩა. მშვენიერი სქესისადმი ასეთი სისუსტე ყოველთვის სალაპარაკო მასალა იყო მის ნათესავ-მეგობრებში. მაია და დავითიც ხშირად ტუქსავდნენ კოწიას, ყოველნაირად ცდილობდნენ მის გამოსწორებას.

დამგლოვიარებული ოჯახი ახლა ასეთი კითხვა-საუბრით ერთობდა თავს. კონსტანტინეც რამდენიმე თვეს შეწირავდა გარდაცვლილი ნათესავების ხსოვნა-პატივს, შემდეგ მოწყინდებოდა ეს ერთფეროვნება და სადმე სტუმრად წავიდოდა. სადაც არ უნდა მისულიყო, ყველგან უკეთესად, უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს, ვიდრე საკუთარ ოჯახში. რადიროობით, გამუდმებული ქეიფებითა და ქალებთან ტრფიალით ერთობოდა სახლის გარეთ.

გათიშვა

მაიასა და კონსტანტინეს ჩუმი გათიშვა ახლა არა მარტო ნათესავებმა, მთელმა სამეგრელომ იცოდა. ეს ორი ადამიანი ერთ ჭერ-ქვეშ იმყოფებოდა, პატივითა და მორიდებით ეპყრობოდა ერთმანეთს, მაგრამ ორთავენი თავიანთი საკუთარი გემოვნებით ცხოვრობდნენ, ერთმანეთის საქმეში თითქმის არ ერეოდნენ.

სასახლეშიც დაჯგუფდა ხალხი. ერთნი მაიას უკმევდნენ გუნდრუკს, მას ამართლებდნენ, ყველაფერში კონსტანტინეს ამტყუნებდნენ, ხოლო მეორენი, პირიქით, ცოლ-ქმრის უსიამოვნებას მაიას გულიცოობითა და მედიდურობით ხსნიდნენ. ორი ჯგუფი ერთმანეთისადმი მტრულად იყო განწყობილი.

კონსტანტინეს მომხრეები მაიას და მის მომხრეებს აბეზღებდნენ კონსტანტინესთან, ხოლო მაიას მომხრეები, მის ქმარზე და მის ერთგულებაზე თუ რაიმე ცუდს გაიგონებდნენ, მაიას მოახსენებდნენ.

ამ ბრძოლაში მაინც მაია რჩებოდა გამარჯვებული. მისი გავლენა ოჯახზე შეურყეველი რჩებოდა.

ან რა გავლენა უნდა ჰქონოდა ოჯახზე კონსტანტინეს, როდესაც ის მთელი წლის მანძილზე ოჯახში ორ-სამ თვეს არ იმყოფებოდა? მისთვის ყოველთვის ღია იყო კარები სამასპინძლოდ ლეჩხუმსა და სალხინოში, ზუგდიდსა და ჭკადუაშში, აფხაზეთსა და სვანეთში, თბილისში თუ ქუთაისში. კონსტანტინეც სიამოვნებით დადიოდა მხლებლებით, მწევარ-მეძებრებით. არცთუ ისე იაფად უჯდებოდა მისი მასპინძლობა სოფელს. იყო შემთხვევა, როდესაც კონსტანტინეს მიერ ერთი კურდღლის დაჭერა სოფელს სამ ძროხად უჯდებოდა, პური და ღვინო რომ არ ვიანგარიშოთ. თუ კურდღელი გაჯიუტდებოდა და მწევარ-მეძებრებს ხელიდან გაუსხლტებოდა, კონსტანტინე დაედევნებოდა, თუნდაც საამისოდ სამი დღეც დასჭირვებოდა, არ მოეშვებოდა, სანამ კურდღელს თავის საყვარელ მწევარს არ დაჭერინებდა. დაღლილ-დაქანცული მონადირეები საღამოს სადმე მოსასვენებლად შეევიდოდნენ. ძროხის მეტი აბა რა ეყოფოდათ კონსტანტინესა და მის მხლებლებს?

ოჯახში კონსტანტინეს დაბრუნებასთან ერთად იწყებოდა აურზაური, ქეიფი, სიმღერა, ღამეების თევა, ყაბახზე სროლა; აუარებელი სტუმრის მიღება-გაცილება, ცხენების ჯირითი, სტუმრებითურთ სანადიროდ წასვლა, მიმინოების გაწაფვა და ვინ მოთვლის კიდევ რა.

კაპუეტი და მიმინოები ყოველთვის ცალ-ცალკე ძარებში ჰყავდათ მწვრთნელებს.

მწყერზე ნადირობა მაიასაც უყვარდა, მშვენივრად უტევდა მიმინოს, რომელიც მის ხელზე კოხტად იჯდა და მწყრის გამოჩენას ელოდებოდა. მაიას ყაბახიც იზიდავდა, ცხენით ჯირითიც. ახალგაზრდობაში მას ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა ასეთ გართობაში, შეჯიბრებია ქმარსა და ძმებს, ახლა ცქერითღა ერთობოდა.

მაია ორი-სამი დღე ხალისით ხვდებოდა ქმარსა და მის სტუმრებს, სიამოვნებდა ოჯახის გამოცოცხლება. როდესაც სტუმრიანობა გაუთავებელი ხდებოდა, მას მოთმინება ეკარ-

გებოდა, ოთახში ჩაიკეტებოდა და თავს უქეიფოდ გამოაცხა-
დებდა, ერთგულებს კი ეტყოდა:

— არ უნდა მიეცეს დასასრული დროის ტარებას? ოჯახი
გაჩანაგდა, მთელი წლის საზრდო ერთ კვირაში გავათავეთ,
შემდეგ რით ვიარსებოთ? ამ დალოცვილს სულ მთავარი ჰგო-
ნია თავისი თავი. ჩვენ თავს ჩვენ უნდა მოვუაროთ. თუ ოჯახ-
ში დასაკლავ ქათამს არ დავტოვებთ, რაღა ოჯახი იქნება?
კაცი ბერდება, ჭკუას ვერ მოეგო, რამდენ კაცს აცდენს, ში-
ნაურს თუ გარეშეს! ღმერთო, ამ უბედურებისაგან დამიფა-
რე! — დაუმატებდა მაია გულნატკენად.

კონსტანტინე მაშინვე იგრძნობდა ცოლის შეწყრომას,
ხანდახან შეეიდოდა მასთან, ალერსითა და ტკბილი ენით
მშვიდობიანობა რომ დაემყარებინა, ხანდახან თვითონაც გაბრაზ-
დებოდა, სვანურ ქუდს თავზე ჩამოიფხატავდა, ცხენს მოიკი-
თხავდა, გამოემშვიდობებოდა ცოლს და თავისი ამალით ოჯახს
საჩქაროდ გაცილდებოდა.

ერთხელ, შუაღამისას, როცა კონსტანტინე თავისი სტუ-
რებითა და გამრთობებით ქეიფობდა, მას მოახსენეს: მაია,
ბატონო, უქეიფოდ არის, ხმაურისაგან ვერ მოისვენო.
კონსტანტინე უკვე მთვრალი იყო. მოულოდნელად დაიძახა:
ცხენები ჩქარაო. ნახევრად მძინარე, დაღლილი მსახურები
წამოჰყარეს. რამდენიმე წუთში თხუთმეტი ცხენი გავიდა ხი-
ბულის სასახლიდან. კონსტანტინეს საყვარელი ცოლისძმა
კოწიაც მასთან იყო. ვერც კოწიამ გაბედა დასთან შესვლა
და მისი დაშოშმინება.

როდესაც ჭიშკრიდან გავიდნენ, კონსტანტინემ ხმამაღლა
გადასძახა მეწინავე მეგზურს:

— პირდაპირ ალექსანდრე ბატონიშვილის სასახლისკენ
იარე, იქ უნდა გავათავოთ დაწყებული ლხინი, — თქვა და თან
კოწიას ხელი დაუჭირა, შემდეგ დასძინა: — გაკეთდა შენი
საქმე, ამაღამ обмалует тебя красавица Кето, ქალი ასეთი
უნდა. აბა ჩემმა მამამ რომ ყინულით აავსო ჩემი ცხოვრება,
ეს არის კარგი?

კოწიამ არაფერი უპასუხა, აღარ ჰქონდა მსჯელობის თავი,
ღვინომორეულს ქეთოს ნახვის იმედი რომ დაემატა, ეს ბუ-

ბერაზი ვაჟკაცი უღონო გახდა. მას თავისივე გულის ძგერა აშინებდა. გულის ძგერა ძლიერი იყო, თვითონ კი — მთლად უძლური ამ წუთს.

კოწიას უეცრად საშინელმა აზრმა გაუელვა თავში: იქნებ მოახერხოს, ქეთო დაითანხმოს, ამ ღამითვე გაიტაცოს და დაესაკუთროს საყვარელი არსება? ასეთი ფიქრი მისთვის პირველი როდი იყო.

კოწიას მრავალი ღამე გაუთენებია ამგვარ აზრთა ბრძოლაში, ხშირად გაუდევნია ეს აკვიატებული აზრი.

„ვის უნდა მოვტაცო ცოლი, ღვიძლ ბიძაშვილს, თანშეზრდილ ალექსანდრეს, ძმაზე უტკბესს, სპეტაკს, პატიოსანს? მერე სად გადავიკარგო? ყაბარდოს გზები ჩემთვის დაკეტილია, მე ხომ მათი სიძე ვარ. ძმად შეფიცული მეგობრები გამომიდგებიან, შურს იძიებენ. ერთადერთი გზა საზღვარგარეთ წასვლაა, ამ ნაბიჯს კი დიდი თანხა და საშუალება უნდა. საქართველოში მე ვერ გავიხარებ. ყველაფერი რომ გადავლახო, ცოლიც შევწირო, შვილიც, თვით სინდისს სად გავექცე, საკუთარ სინდისს? ის ხომ მუდამ ჩემთან იქნება და გასაქანს არ მომცემს?“

შემდეგ თავისი ძრისხანე და, მაია, წარმოუდგა თვალწინ. „არ დამზოგავს, მტრად გამიხდება, ათას თავზე ხელაღებულს მფარველობს, სასიკვდილოდ არ დაგვზოგავს ოჯახისა და გვარის შემბღალავ ძმასა და რძალს. ალექსანდრეს ამოუდგება გვერდით, მას საყვარელი ბიძია პეტრეს ვაჟი ძმებზე მეტად უყვარს. არც კეთილი და მხიარული კონსტანტინე თანამიგრძნობს და დამეხმარება, რომ ჩვენი ოჯახი ასე დავამცირო და სააშკარაოზე გამოვიტანო ოჯახის თავმოყვარეობის შელახვა“.

ასეთ ფიქრებში ჩაძირული კოწია ხშირად პასუხს ვერ აძლევდა სიძეს ხუმრობასა და შეკითხვებზე.

გათენებამდე ბევრი დრო არ იყო დარჩენილი, რომ წაჩხურეს მიადგნენ, პეტრეს დიდი ეზოს ჭიშკარი შეაღეს.

პეტრეს ცნობილ ოჯახს მისი დარბაისლური ჭკუა და წესრიგი აღარ ეტყობოდა. პეტრეს სიკვდილის შემდეგ მამულის მეურნეობა თითქმის მოიშალა. პეტრეს შვილები ალექ-

სანდრე და ლევანი სხვადასხვა ხასიათისანი იყვნენ. ალექსანდრე მამის ჰგავდა, ლევანი კი უფრო ჩქარი იყო.

რამდენად დინჯი, ზრდილი და პატიოსანი იყო ალექსანდრე, რომელიც დიდსა და პატარას ყველას ერთნაირად უყვარდა, იმდენად არასასიამოვნო იყო თავისი ხასიათით მისი მეულლე ქეთო წერეთელი.

ამ ქალმა იცოდა, რომ მას თავისი ქმრის ბიძაშვილი კოწია დადიანი ეტრფოდა. იმის მაგივრად, რომ მაშინვე ჩაეკლა ამ კაცისთვის ეს უსინდისო ტრფიალი, ქეთო თვითონ აქეზებდა, იწვევდა კოწიას თანაგრძნობით. ისედაც თავგზაანეულს ცეცხლს უკიდებდა.

ქეთოს ოჯახი განთქმული იყო იმერეთში პატიოსნებით, სტუმართმოყვარეობით, განათლებით. ქალის მშობლებმა იცოდნენ, რომ ის შეყვარებული იყო კოწია დადიანზე და ყოველნაირად ცდილობდნენ გულიდან ამოერეცხათ მისთვის ეს სიყვარული. ქეთო ხან საჩხერეში, ხან თბილისში მიჰყავდათ გასართობად.

კოწია კი ქეთოს ახლოს მოულოდნელად გაჩნდებოდა, ქორივით თავს დასტრიალებდა. იგი გასაქანს არ აძლევდა სუსტი ნებისყოფის ქალს, რომ თავს მორეოდა და უდირსი გრძნობა გულიდან ამოეგდო.

კოწია გულისგამგმირავ წერილებს სწერდა ქეთოს, როცა მას თბილისში გადამალავდნენ.

„შენ ხარ ვისი და მე კი რამინი. არ შეიძლება ეს გრძნობა გავაქროთ, პირიქით, ის უნდა გავაღვივოთ, დავიცვათ მტრებისაგან. ასეთი ძლიერი, ასეთი უხილავი და უჩვეულო სიამე, ასეთი ბედნიერება მხოლოდ ერთხელ ეწვევა ადამიანს. არავის არა აქვს უფლება სიყვარული შეაჩვენოს, გულში ჩაიკლას, გააქროს. გეფიდრები, დაბრუნდი სამეგრელოში; ოღონდაც ვიცოდე, რომ ერთი ჰაერით ვსუნთქავთ და მე ამ ცოტა რამესაც ვიკმარებ იმედად“.

ასეთი წერილების შემდეგ ქეთო კიდევ დიდხანს ებრძოდა გულისთქმას. სიყვარულს მაინც თავისი გაჰქონდა, გული ძლევდა გონებას და ქალი იქ მიეშურებოდა, სადაც მისი სატრფოს გული ძგერდა.

კონსტანტინესა და კოწიას შუაღამის დარბაზობა სწორედ იმ დროს დაემთხვა, როდესაც კოწიას და ქეთოს ერთმანეთი რამდენიმე თვის უნახავი ჰყავდათ. ქმრისადმი მორიდება და კოწიას სიახლოვით გამოწვეული სიხარული ქეთოს ერთმანეთში ერეოდა, გარინდებულიყო. მუდამ ცქრიალა და მოჭიკჭიკე, ახლა საცოდავად გამოიყურებოდა.

ალექსანდრემ ეჭვად იცოდა, რომ კოწია მის ცოლს ეტრფოდა, მაგრამ ბიძაშვილის გამიჯნურებას დაცინვით უყურებდა, რადგან არ სჯეროდა, წარმოუგენლად მიაჩნდა. მას ცოლი ძლიერ უყვარდა, მისი ნდობაც დიდი ჰქონდა. ქეთო ხომ ცნობილი ნინო ჩოლოყაშვილის და იყო. ნინოს სილამაზე, სიმტკიცე და პატიოსნება არა მარტო საქართველოში, რუსეთშიც ცნობილი იყო. ალექსანდრეს აზრადაც არ მოსვლია, რომ კოწიამ ასე ღრმად შესცურა სიყვარულის მორევში და ახალგაზრდა ქეთოც ჩაითრია. ალექსანდრე უბრალო ეჭვიანობასაც არ აამკარავებდა, არც იკადრებდა ამაზე ფიქრს. კოწიას ჩვეულებრივად ექცეოდა და კიდეც ანებივრებდა საჩუქრებითა და ყურადღებით.

სტუმრები სიხარულით მიიღეს ძმებმა და რძლებმა.

სულ მალე ვახშამი გაეწყო. ვახშამს ჯერ ჩამავალი მთვარე გამოეთხოვა, შემდეგ ამომავალი მზის სხივები ესტუმრა ჩიტების ჭიკჭიკითა და მდინარე წაჩხურას შხუილით.

პეტრე დადიანის ფართო აივანზე, რომელიც ორას კაცს იტევდა, მალე გაისმა საამური სიმღერები. კოპწია ქეთომ, კონსტანტინეს მიერ საცეკვაოდ გაწვეულმა, ნარნარი დაელურით მოხიბლა სტუმრები და მასპინძლები.

ყველანი მხიარულობდნენ, მხოლოდ კოწია გამოიყურებოდა მოწყენილი და შეწუხებული. არც ერთი მისი გეგმა ქეთოს დასასაკუთრებლად არ გამოდგა, დაბნეულად იცქირებოდა აქეთ-იქით, ბევრს სვამდა. საღამოს კონსტანტინეს უთხრა, თავს ცუდად ვგრძნობ, შინ უნდა წავიდეო. კონსტანტინე მაშინვე მიუხვდა კოწიას „ცუდად გახდომის“ მიზეზს.

მის გვერდით მყოფ ქეთოს რუსულად გადაუჩურჩულა: სულ თქვენი ბრალია ჩემი ცოლისძმის ტანჯვაო.

ქეთოს შეეშინდა ამ ლაპარაკს ყური არავინ მოჰკრასო.

კოწია რძლებს ხელზე ეამბორა, სიძესა და ბიძაშვილებს

გამოეთხოვა და თავისი მხლებლებით ხიბულისაკენ წამოვიდა; გადაწყვიტა პირდაპირ მაიასთან მისულიყო.

„უნდა გამოვუტყდე ყველაფერში, როგორც უნდა, ისე მოიხმაროს, მეტი ღონე აღარა მაქვს, თავს მოვიკლავ მის წინაშე". — ფიქრობდა უგუნებოდ მყოფი კოწია.

კოწიას მალე ალექსანდრეს ერთ-ერთი მსახური წამოეწია ცხენით და ჩუმად წერილი გადასცა. წერილში ეწერა: „მე არ შემიძლია შენს დაღვრემილ თვალებს ვუყურო, ჩემო გოლიათო. რამე მოვიფიქროთ, რომ ჩვენი სიყვარული ნებადართული გახდეს, შენი პატარა ქეთო შენსავით იტანჯება".

კოწიას თვალები გაუბრწყინდა სიხარულისაგან. — მაიასთან უნდა გადაწყდეს ჩემი ბედ-იღბალი, — ჩაილაპარაკა მან და ლაფშას მათრახი გადაჰკრა. იუკადრისა მთაში ლაღად გაზრდილმა ცხენმა მათრახი და მხედარს თავი წაართვა. კოწიამ მაგრად მოზიდა აღვირი, ცხენი ალაგმა, რაც გულში ჯავრი ჰქონდა, ცხენზე იყარა.

კოწია სასახლეში მივიდა, მაგრამ მაიას არ ეახლა. იცოდა, რომ დას მთვრალი კაცის დანახვა ჭირივით ეზარებოდა, მოინალის პირით შეუთვალა დაღლილი ვარ და დილას გნახავო.

მაიას სასახლეში სტუმრებისთვის რამდენიმე ოთახი ჰქონდა განცალკევებული და კოწია იქ განმარტოდა თავისი ამალით.

კოწიას სამი კაცისაგან შემდგარი ამალა მუდამ ახლდა. ამ სამთა შორის იყო თავისი სიყრმის მეგობარი და მესაიდუმლე გიგიშა ბარძიმაშვილი. გიგიშას დაუკითხავად, მისი რჩევა-დარიგების უიმისოდ, კოწია არც ერთ სამეჯნურო საკითხს არ გადაწყვეტდა. გიგიშას რამდენი ქალის მონადირებაში გაუმართავს ხელი კოწიასთვის, რამდენი ქალიშვილის ცოდვაში ჩავარდნილა კოწიას ხათრითა და სიყვარულით. ყოველთვის მართლდებოდა გიგიშას წინათგრძნობანი, მისი აზრი, გეგმები. მაგრამ ქეთოსთან ვერაფერს გახდა. იმიტომ კი არა, ქალს არ უნდოდა, პირიქით, კარგად ხედავდა გამოცდილი ჭაბუკი, რომ ქეთოს ტრფიალებისა და სიყვარულის უფრო მეტი ცეცხლი ეკიდა, ვინემ კოწიას. ის უფრო ილტ-

ვოდა ამ კაცისკენ. აქ სხვა გასაჭირსა და ფათერაკს ხედავდა გიგიშა. დიდ დანაშაულად მიაჩნდა ბიძაშვილის ცოლთან კოწიას დაახლოება.

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს კოწიას. სულ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ეთქვა მაიასათვის თავისი გულის ჯავრი. გიგიშა სასთუმალთან ეჯდა და თუთუნს უხვევდა. სანუგეშოს კი ვერაფერს ეუბნებოდა მეგობარს. ჩუმად იჯდა, გულისტკივილით შეჰყურებდა. აბა, რა უნდა ეთქვა სანუგეშო?

კოწიას თვალწინ წარმოუდგა მამის სპეტაკი სახე. გიორგი, ალბათ, საფლავში გადაბრუნდებოდა შვილის ასეთი უმსგავსი საქციელით. მაია რაღას იტყოდა? დინჯი დავითი? თვით ალექსანდრე, თავმოყვარე ვაჟკაცი? ყველაზე მეტად მაინც ბაბია პეტრეს საყვედურით სავსე თვალები, თითქოს საფლავიდან ტუქსავდნენ. ასე იშფოთა მთელი ღამე, მხოლოდ გათენებისას ჩაეძინა.

მაია ახლა თვითონ ჩქარობდა ძმის ნახვას, რადგან სასახლე სავსე იყო ჭირებით, მას წუხელისვე მოახსენეს, რომ ბატონიშვილს ქეთოს მოინალე დაეწია და წერილი გადასცა, რომ მისი ძმა კოწია ძლიერ უგუნებოდ ბრძანდებოდა იქაც, ალექსანდრე ბატონიშვილის სახლში და აქაც მთელი ღამე არ დაუძინიაო... ისიც უამბეს მაიას, რაც მსახურებს ალექსანდრეს სამზარეულოსა და სასტუმროს სახლში გაეგონათ.

დიდი მითქმა-მოთქმა იყო: პეტრეს ოდესღაც სასიქადულო ოჯახს არ შეხვდა მისი შესაფერი ერთგული ქალები. ოჯახი გაჩანაგებულია, ლხინი და ქეიფები ერთმანეთზეა გადაბმულიო.

მაიას გულს უკლავდა საყვარელი ბიძის ოჯახის ამბავი, ბოღმა ძლივს ეტეოდა გულში. მოსალოდნელი იყო, რომ მთელი გულისწყრომა ამ დილით კოწიას და შემდეგ გიგიშას დატყდომოდა თავზე.

კოწიამ გვიან გაიღვიძა და მაშინვე ეახლა დას, რომლისგანაც ის მფარველობასა და დახმარებას მოელოდა. მაია ტკბილად შეხვდა, მიუალერსა კიდეც.

— რად დაბრუნდი ასე მალე, სად იყავი, ან კონსტანტინე სად დატოვე?

— ჩემს ბიძაშვილთან გახლდით, ალექსანდრესთან, ბატონიც იქ დავტოვე. მე უქეიფოდ გავხდი, შეხ კეახელი, საყვარელო დაო.

— რამ გაწყინა, ვითომ, ბევრმა ღვინომ?

კოწია დუმდა, გაკვირვებული შესცქეროდა დას. მაიას მჩატე კილოთი ლაპარაკი არ უყვარდა.

— რას დადუმებულხარ, ძმაო? მითხარი, რა გაწუხებს!

კოწია თავჩაღუნული იჯდა.

— ნუთუ მე არ მენდობი და არ მეტყვი, რა გაწუხებს? მე ისედაც ყველაფერი ვიცი, გულთამხილავი გავხდი, მხოლოდ შენი პირით მინდა სიმართლე გავიგონო, რას ფიქრობ, რამ შეგიპყრო?!

— თუკი იცი, ბატონო ჩემო, მე რაღას მტანჯავ? ნულარ მალაპარაკებ ჩემთვის სამარცხვინო საქმეზე... მიყვარს, უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია. მე ხომ ბავშვი აღარა ვარ... დასწყევლოს ღმერთმა ეს საშინელი გრძნობა...

მაიამ შეამჩნია, რომ კოწია ცრემლს ძლივს იკავებდა, წუთით თანაგრძნობითაც კი განიმსჭვალა, მაგრამ მალე გაიცივა გული და მკაცრად შეხედა ძმას, რომელმაც ოქრომკედით ნაქარგი ქისა ამოიღო, მაგრამ ისევ შეინახა, რადგან არ უნდოდა ეს ქისა მაიას ეცნო.

მაიამ ოქრომკედით ქარგვა დიდი ხანი არაა, რაც ასწავლა თავის რძალს ქეთოს. ქეთო მაშინ აღტაცებით ჟღურტულებდა, რომ პირველსავე ნაქარგს ქმარს მიუძღვნიდა. ახლა აი ეხ ქისა კოწიასთვის უჩუქებია.

— კოწია, — უთხრა მაიამ ცივად, — მაჩვენე ეგ ქისა, რაღაც მეცნაურა. ეს ჩემი რძლის ქეთოს ნახელავია, ქმრისთვის უნდოდა, შენთვის კი უჩუქნია.

მაია მკაცრი თვალებით დაჰყურებდა ქისას. ერთხანს დუმდა. მერე თავი ასწია, ძმას თვალი თვალში გაუყარა:

— შენ სცოდავ ღვთისა და კაცის წინაშე, შენ არღვევ ადამიანთა საუკეთესო მოვალეობას, შენ არღვევ ადამიანის იმ უპირატესობას, რომელიც მას ღმერთმა მიანიჭა სხვა ცხოველებისაგან განსხვავებით. არა გრცხვენია, კოწია, ბიძაშვილს ღალატობ? ბიძაშვილის, შენი ალექსანდრეს ცოლთან აპირებ

გამიჯნურებას! ნუთუ შენ, სპეტაკი და მართალი დედის შვილს, ეგ შეგშვენის?! რა თვალით შეხედავ იქ, იმ ქვეყნად ჩვენს საყვარელ მამას, უწმინდეს კაცს. ვაჟკაცი დედაკაცს დაუპყრიხარ. მე გთხოვ, ამოიგდო გულიდან ეგ ბინძური გრძნობა, ჯერ გთხოვ, მერე გიბრძანებ. როდესაც არც ერთი არ გამოვა, ადვილად მოვაკვლევინებ ჩვენი ოჯახის შემარცხვენელ და ჩირქის მომცხებ ქალს, არც შენ დაგზოგავ, ამას გეუბნები სრულიად გადაწყვეტილად. ხომ იცი, ნათქვამის გადათქმა არა მჩვევია. ჩემი საამაყო ბიძის ოჯახს არ შეგარცხვენინებ. არ დაგინდობ, კოწია, აღარ შეგიბრალებ და შენს სიცოცხლეს ტყვიით მოვათავებ. ახლა წადი, შენს ცოლ-შვილს მიხედე, ჩემი რძალი და ბავშვები აქეთ გამომიგზავნე, თვითონ ყაბარდოში, ფშავ-ხევსურეთში ან თბილისში, სადაც გენებოს, იქ წაბრძანდი, გაერთე, თუ ფული არ გყოფნის, მე გისაგზლებ, რაც საჭირო იქნება.

კოწიას ყოველ წუთს ფერი ეცვლებოდა, უძრავად იჯდა ზის პირდაპირ, თითქოს დამუნჯდაო, ხმას არ იღებდა.

— შენ ჩვარი ყოფილხარ და არა ვაჟკაცი. შენს დიდ ტანში რა პატარა სული ჩაუდგამს განგებას. ასე როგორ მოგერია გრძნობა მაცდური დედაკაცისადმი? იქნებ ფიქრობ თქვენი სიყვარული ისეთი მტკიცე და მუდმივი იქნება, რომ ვერავინ შეგცვლის შენ მის გულში და მას შენს გულში. წუთიერი ვნებისათვის ასეთი სულმდაბლობა?! მითქვამს და გეუბნები: ამ საქმეზე უბრალო ჭორი თუ კიდევ გავიგონე, საქმე ჩემთან გექნება და არა ალექსანდრესთან. იმ საძაგელ გიგიშასაც ყურებს ავახევ. უთხარ, თვალით არ დამენახოს.

კოწია ადგა, უნდოდა თამბაქო გაებოლებინა, მაგრამ გაახსენდა, რომ მაიას ოთახში თამბაქოს მოწევა აკრძალული იყო და ისევ უღონოდ ჩაეშვა სავარძელში. მაია ისევ განაგრძობდა:

— გიბრძანებ, გასცილდე სამეგრელოს, მანძილი და დრო გულს აცივებს, იარებს აშუშებს. დღეს დაღლილი ხარ, მოისვენე, დილით წადი! ერთ წელიწადს თვალით არ დამენახოს; წერე, იკითხე. კაენივით ძმის მოღალატე გამხდარხარ, ცოდვა არ გასვენებს, გაშმაგებული დადიხარ აქეთ-იქით. ძმის მოღალატე ხარ, ცოლის, შვილების, ოჯახის დიდების. იქნებ გგო-

ნია, ცოლის ნათესავები შეგარჩენენ ქალის დამცირებას და მიტოვებას. კარგად მოიგონე, რა აურზაურით შეირთე ცოლი. ჩერქეზეთში გადახვეწილი დადეშქელიანი გაგვიძალიანდა, არაფრით ქალის მონათვლის თანხმობას არ იძლეოდა, ჩვენი რჯული კი ნებას არ გვაძლევდა, უნათლავზე ჯვარი დაგეწერა. შენ მაშინაც შეყვარებული დადიოდი, ყველას თავი შეგეცოდე. მამამ და ბიძამ ყოველი ღონე იხმარეს, რომ საქმე მშვიდობიანად დამთავრებულიყო. ხან დადეშქელიანი თელიდა თავს გალანძღულად, ხან ჩვენი ოჯახები, კინაღამ საშველიშველო შური და მტრობა ჩამოვარდა. როგორც იყო, დავითანხმეთ დადეშქელიანი ქალიშვილისათვის მონათვლის ნება მიეცა. სამეგრელოს დიდებულთა თანადასწრებით, შენი მეუღლე მდინარე ენგურში მონათლა ჭყონდიდელმა და დედოფალმა. ხალხით გადაფენილი იყო ენგურის ნაპირი გაღმა-გამოღმა. გეგონებოდა მთელი მიღეთი აქ არისო. ქალი გაღმა მონათლეს, თეთრ პერანგში, ფეხშიშველი იდგა ენგურში, შელის ნუკრიეით თრთოდა, უმანკო, კდემამოსილი; ნარნარი, შენს მეუღლეობას მონატრული. როცა წყლიდან ამოიყვანეს, მე და პეტრეს ჩაგვაბარეს. სახელდახელოდ გაკეთებულ კარავში შეეყვანეთ. შემდეგ შენს საცოლეს სეფექალებმა იქ ჩააცვეს მანთვის გამზადებული ტანისამოსი, ცხენზე შესვეს და მაყრიონით გამოღმა გამოიყვანეს... პეტრე მოკვდა, ახლა მელი დავრჩი მისი პატრონი. ის შორიდან მოსულია, დღეს მე მაწევს ვალად მისი გამოქომაგება. ესეც რომ არ იყოს, რა თვალით გავიხედოთ ქვეყნად? ასეთი დიდი ამბით ნათხოვი ქალი, რომლის მოყვანას მთელი დასავლეთ საქართველოს წარჩინებული საზოგადოება ესწრებოდა, დღეს გინდა შეურაცხყო!..

კოწიამ მდაბლად თავი დახარა, შემდეგ ძლივს ამოილუღლუღა:

— რაკი არავის გებრალებით, დაე მოვკვდე. მაგრამ ქეთოც მოკვდება. ის ნაზია, პატარა, ჩემს უნახაობას ვერ გაუძლებს... — კოწიას სახეზე მიწის ფერი დაედო.

— პატიოსან სიტყვას გაძლევ, ძმაო ჩემო, საყვარელო! ქეთოს მე მოვუვლი და ვუპატრონებ. — უპასუხა ტკბილად მაიამ. — ახლა კი წადი!

კოწია ისევ სასტუმროში განმარტოვდა. ახლა არც გიგიშა

გაიკარა ღა არც სხვა ვინმე. ოთახში ჩაიკეტა, ცდილობდა არ ეფიქრა ქეთოზე. მისდა გასაოცრად უცებ საშინლად მოუნდა დაეხატა ქეთოს საწინააღმდეგო ხასიათის ქალის სახე. ამას ლექსით ვერ მოახერხებდა. გადაწყვიტა დაეწერა პოემა.

„რამდენი ხანია არაფერი დამიწერია, — ფიქრობდა იგი, — განა მარტო სატრფიალო ლექსების წერას ჰქვია პოეტობა?" მას თვალწინ დაუდგა მაიას ძლიერი, მტკიცე სახის გამომეტყველება.

— იშვიათი ქალია ეს მაია, როგორ დამიმორჩილა თავისი აზრებით. მართლაც, უნდა მოვერიდო ქეთოს და ამ სამარცხვინო საქმეს, უნდა ამოვიგდო გულიდან ეს გრძნობა.

კოწიას გულმა მწარედ დაიკვნესა ამ გონების განჩინების მოსმენით. შემდეგ თავისი მომავალი პოემის გმირი ქალის სახის შექმნაზე დაიწყო ფიქრი.

— ქალი უნდა გამოვხატო ძლიერი ნებისყოფის, შეურყეველი, ოდნავ გულგრილი, რომლის პიროვნებაშიც გონება და ზნეობრივი სიმართლე ჯაბნის გულისთქმასა და ვნებებს. ძლიერი ნებისყოფის მქონე ქალები მამაკაცებს ყოველთვის იხსნიან განსაცდელისაგან, ულირსი, შეუფერებელი საქციელისაგან, შეუქმნიან მათ პირობებს ღირსეული დარჩნენ, საშობლოსათვის სასარგებლო და სასახელო.

მოაგონდა გმირი ქართველი ქალების ამბები, განსაკუთრებით ქეთევან დედოფლის ქება, ხალხში საარაკოდ გასული.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს დასაც შეეძლო ქეთევანისებური სიმტკიცის გამოჩენა.

გადაწყვიტა თავისი გმირი ქალისათვის მაიას გარეგნობა და სულიერი სიმტკიცე მიეცა. რამდენჯერმე გაიმეორა გულში, თუ როგორი შინაარსის უნდა ყოფილიყო მისი პოემა, სათაურიც კი შეარჩია. უკვე თვალებს ლულავდა, გრძელ წამწამებში კი გმირ ქალთა სახეები ლანდებად ეფინებოდა; ბაგეზე ხანდახან ქეთოს სახელიც აწყდებოდა, რომელსაც მაიას გოროზი სახის ძლიერება ჩრდილავდა. ძილის ბურანში წასულ კოწიას ცნობიერებაში ერთხელ კიდევ გაიელვა მაიას მკაცრმა თვალებმა.

* * *

დიდხანს არ გაუვლია კოწიასთან საუბრის შემდეგ, რომ მაიამ ქეთო მოიწვია ბავშვებით. ორ თვემდე ჰყავდა თავისთან, ასწავლიდა ხელსაქმეს, ხმამაღლა წიგნების კითხვას სთხოვდა.

— მე უკვე თვალები მეღლება კითხვით, შენ წამიკითხე, რძალო! — ეტყოდა ქეთოს და წიგნს გადაუშლიდა. წიგნები უფრო ხშირად სასულიერო ხასიათისა იყო, რომელშიც მოცემული იყო ცოდვისგან თავის დაღწევის ამბები, ხორციელ ვნებათა დათრგუნვა, სულიერი სიძლიერის მოპოვება.

არ იზიდავდა ქეთოს ამგვარი წიგნების კითხვა, რომელიმე სატრფიალო რომანი ერჩია, მაგრამ მაია შეუბრალებელი იყო. ყოველ წაკითხულ წიგნს ახსნა-განმარტებას დაურთავდა, ყოველ წუთს, უბრალო ლაპარაკშიც კი, ზნეობრივ საკითხებს ეხებოდა, ახალგაზრდა რძალს ჩააგონებდა სულიერსა და ხორციელ სისპეტაკეს.

ცქრიალა და სიცოცხლით სავსე ქეთო სულ რაღაც ორსამ კვირაში მაიამ თავის გავლენის ქვეშ მოიქცია. პირველად თუ ქეთოს მაია მხოლოდ იმით იზიდავდა, რომ ის კოწიას და იყო და მათი სახის წყობაში ერთგვარ მსგავსებას ხედავდა, ახლა ეს ქალი ხიბლავდა ძლიერი ნებისყოფით, აზრთა სიმდიდრით. მაიას ახლოს მყოფ ქეთოს იმედით გული ევსებოდა, სწამდა, რომ ეს სანდო გული მას გაჭირვების დროს დაეხმარებოდა, დარდსა და ფიქრს შეუმსუბუქებდა.

ორი თვის შემდეგ უხვად დასაჩუქრებული ქეთო მაიამ ქმრის ოჯახში გაისტუმრა, თან სთხოვა: როგორც კი მოწყენა იგრძნო, მაშინვე მე მომაშურეო.

მაიასთან გამოთხოვებისას ქეთო ტიროდა, გულწრფელად ღვრიდა ცრემლებს.

— ძვირფასო ბატონო, ახლა უთქვენოდ მე მეტად გამიჭირდება ცხოვრება, ძალიან შეგეჩვიეთ. ახლოს კი ვართ, მაგრამ ნეტავ ისე ახლოს ვიყო, ყოველდღე თქვენი ნახვის ბედნიერება მქონდეს! — ეუბნებოდა ის მაიას.

განკურნებულივით მიდიოდა ქეთო, რომელმაც კარგად იცოდა, რომ კოწია სადღაც შორს, ძალიან შორსაა მაიასაგან

განდევნილი. ალბათ კვლავ ილხენს, კვლავ ლამაზებს ეტრფის.

ხშირად ჩაწყდებოდა გული, შავ, გრძელ წამწამებს ცრემლი დაუნამავდა, მაგრამ იმავე წუთს აიმართებოდა მის წინაშე მშვიდი სახე ახალი მეგობრის — მაიასი, რომელმაც ერთი სიტყვაც არ უთხრა კოწიასა და მის რომანზე, არც საყვედური, არც პირფერობა; სულ გადაკერითა და შთაგონებით ესაუბრებოდა დიდ სიყვარულზე, წმინდა და მართალ სიყვარულზე. თავისი და ალექსის გამიჯნურების ამბებზე.

ქეთომ კარგად დაიმახსოვრა მაიას შეგონება: ხორციელი სიამოვნება ადამიანისათვის არ არის მუდმივი და მყარი, მეტადრე, თუ ის მიმართულია სპეტაკი, მაღალი ზნეობის წინააღმდეგ. როდესაც ვნება გაივლის, ვნება უხამსი, წუთიერი, ადამიანები რჩებიან ცარიელნი, გამოფიტულნი.

მათ ცხოვრებას შინაარსი ეკარგება. შემდეგ ერთ გრძნობას მეორე, ახალი გრძნობით იოკებენ...

ქალის დანიშნულებაა სასახელო შვილები აღუზარდოს სამშობლოს, შვილები ჯანმრთელი, გონიერი. აბა, აფორიაქებული ქალი რა შვილებს გამოუზრდის ქვეყანას? ქალი ზნეობადაცული უნდა იყოს.

შემოდგომის მიწურულს კოწიას ცოლ-შვილი ესტუმრა მაიას. მაიამ გაზაფხულამდე არ გაუშვა ისინი ჭკადუაშში. კოწია შინ არ ეგულებოდა, მაია დანაპირებს ასრულებდა: ძმასა და მის ცოლ-შვილს პატრონობდა, ხოლო ქეთო რომ დაამშვიდა, სწორ გზაზე დააყენა და ბევრი კარგი რამ ჩააგონა, მაია ამაში დარწმუნებული იყო და ეს ძლიერ უხაროდა.

ძმის მიმართ თავისი მოვალეობის შესრულების შემდეგ მაიას თითქოს მოქმედების ასპარეზი გამოელია.

მდორედ და ერთფეროვნად მიმდინარეობდა ხიბულის სასახლეში ცხოვრება, თითქოს საქვეყნო ამბებს სრულებით ჩამოშორდა მაია.

რაც უფრო ხანში შედიოდა მაია, მით უფრო გულცივი ხდებოდა ოჯახში. მაიას მუდამ მოძრაობის, მოქმედების წყურვილი აწუხებდა, ცხოვრება კი მოდუნდა მის გარშემო, მასა და მის ოჯახს აღარავინ არაფერს ეკითხებოდა.

ცხოვრებიდან გარიყულად გრძნობდა თავს. ეს გრძნობა ძლიერ აწუხებდა და უფრო აცივებდა მის ისედაც მიუკარებელ ბუნებას.

კონსტანტინეს კეთილი ხასიათიც შეცვალა დროთა ბრუნვამ. ისიც ვეღარ იტანდა გულცივობას და განდეგილობას.

ხშირად თვითონ დაასწრებდა ცოლს გულისმოსვლას, მაშინვე წასვლას ბრძანებდა, ხიბულას გაეცლებოდა.

მაიას გულისწყრომა გაუვლიდა, წუხდა, რატომ აწყენინა ქმარს, რატომ არ დაუთმო, მაგრამ მაინც ვერა, ვერ მიეჩვია დათმობას ნებიერი ქალი.

საბედისწერო წასვლა

შემოდგომის თბილი საღამო იყო. კონსტანტინე და მისი მხლებლები ცაცხვის ძირას ისხდნენ და საუბრობდნენ, მაია აივანზე სეირნობდა. ფართო აივანს, რომელიც სასახლეს გარშემო ერტყა, მთელი დღე მზე არ შორდებოდა, და მაიაც ყოველთვის იქ სეირნობდა, სადაც ჩამავალი მზის სხივები ეფინებოდა.

თოვლივით თეთრი კაბით შემოსილ მაიას ოდნავ შეეერცხლილი დიდი ნაწნავები შილიფად გადაეშვა ბეჭებზე.

ოჯახში თითქოს კარგი განწყობილება დამყარდა მას შემდეგ, რაც კონსტანტინეს მწევარმა — რალიამ მაია გულში ჩაახედა.

მაიას და კონსტანტინეს ერთი თვის წინათ უსიამოვნება მოუვიდათ. კონსტანტინე ცოლის ოთახიდან გულმოსული გამოვიდა, ძაღლი თან გამოჰყვა და მთელ დღეს მაიას ოთახს არ გაჰკარებია ეს მწევარი. ბოლოს კონსტანტინე მოეფერა, მაიამაც ხან ხაჭაპურები, ხან შაქარი შეაძლია, სხვებმაც დაუძახეს, მაგრამ ამაოდ, ძაღლი ახლოს არ მიდიოდა. ბოლოს ძალით შეიყვანეს ოთახში, ის იმ წუთსვე გამოიქცა. ყველა გაკვირვა რალიას საქციელმა. როდესაც კონსტანტინე ცოლის ოთახში შევიდა და მწევარი კი პატრონს ტალანში ელოდა, ცოლ-ქმარი გულიანად იცინოდა ძაღლის გონიერებაზე, ბოლოს კონსტანტინემ ცოლს გულდაგულ უსაყვედურა:

— არა გრცხვენია, მამუ? შენზე უფრო რალიას ვუყვარ-ვარ. ამანაც კი შეგამჩნია, რომ გული გაგიცივდა ჩემზე.

მაიამ გულში ჩაიხედა, შერცხვა და თავი დამნაშავედ იგრძნო ქმრის წინაშე.

„მარტო ეს ბეჭედი კმარა ჩემს დანაშაულად ქმრის წინაშეო", — გაიფიქრა მან. შეეცადა ქმართან უფრო გულთბილი ყოფილიყო. თუ რამე არ მოეწონებოდა, გვერდს აუვლიდა და წყენას არ გამოააშკარავებდა.

მამუს ხასიათის გამოცვლით გახარებული კონსტანტინე მეტ დროს შინ ატარებდა, ოჯახსა და მეურნეობაზე ზრუნავდა.

უფროსი ვაჟი, გრიშა, ქუთაისში სწავლობდა გრიგოლის მეთვალყურეობით, უმცროსი უჩა კი — პეტერბურგის პაჟის კორპუსში.

გარეშე თვალი ბედნიერების მეტს ვერაფერს დაინახავდა მაიას ოჯახში.

მაიამ ჩამავალ მზეს თვალი გაუსწორა, ბუნების სიდიადით ტკბებოდა სილამაზის თაყვანისმცემელი ქალი, ახარებდა ღრუბლებისა და მზის სხივების ერთმანეთთან ბრძოლის ცქერა; ბავშვივით ელოდა, რომ ოდნავ დაფარული მზე ღრუბლებს გადაიყრიდა, კიდევ უფრო შეწითლებული გამოჩნდებოდა და ცის კაბადონსაც ფერს შეუცვლიდა.

ამ დროს მაიამ შეამჩნია, რომ ჭიშკართან ვიღაც ჩამოხტა ცხენიდან, ცაცხვის ქვეშ მყოფებს ანიშნა. რამდენიმე წუთის შემდეგ კონსტანტინე ხელში წერილით ამოვიდა კიბეზე. ის თავისი კაბინეტისაკენ გაემართა.

— მამუ, გენაცვალე, გრიგოლის წერილია, წამოდი ჩემს კაბინეტში, წაიკითხოთ! — უთხრა ცოლს; მაია გაჰყვა. წერილი არ აღმოჩნდა სასიამოვნო.

გრიგოლი რძალს სწერდა, რომ გრიშას საშემოდგომო გამოცდა ჰქონია მათემატიკაში. ზაფხულში საგანი არ დაუმზადებია, გამოცდაზე არ გამოცხადებულა და უთქვამს: გიმნაზიაში იმავე კლასში ვეღარ დავჯდები, თუ ნებას მომცემთ, საზღვარგარეთ წავალ, ქვეყნებს ვნახავ და ვისწავლი კიდეცო.

ტყვიანაკრავივით წამოხტა მაია.

— არ არის ჩვენი საშველი, ბატონო! არაფერი კარგი და სასახელო არ გამოდის ჩვენი ოჯახიდან. არასგზით არ მიეცემ ნებას, რომ სწავლას თავი დაანებოს!

— თუ გამოცდაზე არ გამოცხადდა, ახლა უკვე მწიფობის თვეა, სწავლა კი ენკენისთვეში იწყება, დაგვიანებულია, რას ვიზამთ, უნდა შევუსრულოთ სურვილი, — უთხრა ქმარმა.

— იმავე კლასში დაჯდომა რცხვენიაო! — მწარედ გაიცინა მაიამ. — თუ რცხვენოდა, რატომ არ ისწავლა?

— სირცხვილის გარდა გრიშა ერთობ დიდია მეშვიდე კლასისათვის. წვერულვაშიანს ოცდახუთი წლის კაცის შეხედულება აქვს.

— არაფერი არ უჭირს ამას, თუ კაცს სწავლა სწყურია. საზღვარგარეთ წასვლა განა ასე ადვილია? ქალი სამკურნალოდ წავედი, ერთი ქალაქის მეტი არ მინახავს, კაპიკობით მომჭირნეობას ვეწეოდი. ხომ გახსოვს, რა დამეხარჯა? გრიშას რა ტანი, ფეხი, მხლებელი, სასტუმროები, ხელგაშლილი ცხოვრება ეყოფა. ვინ იცის, ეგებ რამე ავადმყოფობა, ან ცუდი რამ შეხვდეს ქალაქიდან ქალაქში ხეტიალით. ის იქ არაფერს არ ისწავლის.

— რატომ ასე უნუგეშოდ ხედავ ყველაფერს, ძვირფასო მამუ! ჩვენ დახმარებას გავუწევთ, ზოგჯერ გრიგოლიც შეეწევა. რატომ ვერ ისწავლის? ყოველ შემთხვევაში, ენებს ხომ შეისწავლის.

— ვიცი, ბატონო, მე ჩემი გაჭედილი ხატის ამბავი, ის არაფერს არ შეისწავლის გარყვნილებისა და უმაქნისობის მეტს, თუ ისწავლის, მაინც ვერ გამოიყენებს. როგორც სახით გგავს, ისე საქმიანობითაც დაგემსგავსება. განა ცოტა ისწავლე? რაში გამოიყენე? მთელი ძალ-ღონე, ნიჭი, ნადირობას, ღვინოს და ქალებს შეალიე. ამ გზით წავა გრიშაც... ვაი, განწირულ ოჯახს!

— მაია, შენ ისე არ შეგიძლია, თუ ყოველი მსჯელობა, საუბარი ჩემზე არ გადმოიტანო, გულზე არ გამხეთქო. კონსტანტინე შეარცხვინოს ღმერთმა, თუ ამიერიდან მოგეკარაოს. მე დღეიდან აქ ფეხის შემომდგმელი არა ვარ, იცოდე. რაც გინდა, ის შეუთვალე შვილს, ოჯახი მაინც შენს ნებაზეა.

ღამდებოდა, კონსტანტინემ ხიბულა რომ დატოვა, მაია თავის ოთახში იჯდა წარბშეკრული. იცოდა, ერთი მისი ადგომა, ქმართან მისვლა და ტკბილი სიტყვა მოალბობდა კონსტანტინეს და მის სათნო გულს, მაგრამ ამ ტკბილ სიტყვასაც ვერ შეელია.

კონსტანტინე რომ ეზოდან გადიოდა, მაიამ თვალი მოჰკრა ქმარს და გული უჩვეულოდ დაწყდა. ახალგაზრდა ხომ არ არის დალოცვილი, რომ დაღამებისას ყაჩაღივით ოჯახიდან მიდის. სად დაუღამდება, სად გაუთენდება, არასოდეს არ იცოდა და ახლაც არ უნდა იცოდეს?

კონსტანტინემ იმ ღამეს მოყვრებში დაისვენა, დილით ლეჩხუმისკენ გაემართა. გზა-გზა ისვენებდა ის და მისი მხლებლები. ქეიფისა და მოლხენის გუნებაზე არ იყო, არც ნადირობას ეტანებოდა, თუმცა მწევარ-მეძებრები თან ახლდა.

სამ კვირასაც არ გაუვლია კონსტანტინეს წასვლის შემდეგ, რომ მისმა მწევარმა რალიამ მოირბინა ხიბულის სასახლეში, პირდაპირ შევარდა მაიას ოთახში და გულის გამწყალებელი ყმუილი გააბა. ძაღლი დატუქსეს და გარეთ გააგდეს. ის სწრაფად გასცილდა ეზოს და გაქრა.

მაია გაფითრებული იდგა და იძახოდა:

— დამერწმუნეთ, კონსტანტინეს რაღაც უჭირს, იქნებ ცხენმა დაამარცხა ან ნადირობაში დაშავდა, მიშველეთ, ძაღლის ნაკვალევს გასდიეთ ცხენით.

ბრძანების შესრულება ვერ მოასწრეს, რომ ეზოში უცხო კაცი შემოვიდა. მოსულმა მაიას მოახსენა: ბატონი კონსტანტინე მძიმე ავადაა, სალხინოში, თავისი ძმისწულის — სალომეს სასახლეში წევსო. სამი დღეა, რაც ლეჩხუმიდან ავადმყოფი ჩამობრძანდა. პრინცესამ მაშინვე ექიმებს გამოუძახა, უკეთობა არ ემჩნევა. ხშირად თქვენს სახელს ახსენებს, ძლიერ ენატრება თქვენი ნახვაო.

მაიამ იმწამსვე წასვლა ბრძანა.

მაია ასეთი აღელვებული და სასოწარკვეთილი არასოდეს ენახათ სასახლეში.

მალე გულშემზარავი ამბავი მოვიდა. კონსტანტინე მაშინვე გარდაცვლილიყო, როგორც კი მისი ავადმყოფობის ამბის მომტანი გამოეგზავნათ ხიბულაში, სიკვდილის წუთებ-

ში გამოქცეულიყო მწევარი და გამოგზავნილი კაცისათვის დაესწრო, ახლა კონსტანტინეს გარდაცვალების ამბავი უფრო წინდახედულად შემოეთვალა მაზლისწულს.

თავადი ჩიქოვანი და მისი მხლებლები დინჯად შემოვიდნენ ეზოში და მოშორებით ჩამოხტნენ ცხენებიდან. მათ ძალიან ეძნელებოდათ ამ საზარელი ამბის მიტანა მაიასათვის.

მაიას არ ეამა მათი მოსვლა. გააჟრჟოლა, ფერი ეცვალა.

— მიიღეთ სტუმრები, — ბრძანა მაიამ და თან ფანჯრიდან თვალს არ აშორებდა მოსულებს, თითქოს მათ სახეზე ცდილობდა სასიხარულო თუ სამწუხარო ამბის ამოკითხვას.

მაიამ შეამჩნია, რომ გარეჯიშკარს მრავლად აწყდებოდნენ მეზობლები — ქალი თუ კაცი, ცხენოსნებიც გამოჩნდნენ აქ-იქ. აიმღერა მაია, აივანზე გამოვიდა, სტუმრებს შეეგება და მთრთოლვარე ხმით შეეკითხა:

— მართალი მითხარით, რა მჭირს!

სასახლის ქალი და კაცი, ახლო მეზობლები ესვეოდნენ მაიას. კალთას უკოცნიდნენ, სიმართლის თქმას ვერ უბედავდნენ. ისევ მოხუცი ქანთარიები, კიტიები, ქარცხიები და სხვა გამზრდელ-გაზრდილები მიუახლოვდნენ მაიას პირის ხოკვით, თავში ხელის ცემით და ერთხმად მიატირეს:

— აღარა გვყავს ბატონი კონსტანტინე. მზე დაგვიბნელდა, ვაი შენი ცოდვა, ვაი ჩვენი ცოდვაო.

ქალები ეზოს გარს უვლიდნენ, ჰკიოდნენ, ყველაფერს აყრუებდნენ თავიანთი ტირილითა და მოთქმით...

მაია დიდხანს იდგა ქანდაკებასავით, სახეზე მიწისფერი ედო, შეეერცხლილი ნაწნავები გველებივით იკლაკნებოდნენ მის აძიგძიგებულ ბეჭებზე.

— ვაი შენს მამუს! უჩემოდ მოკვდი, ვერ დაგიხუჭე ჩემი ხელით თვალები, ესეც ვერ შეგისრულე! — წაბარბაცდა და ხელმოკიდებული შეიყვანეს კონსტანტინეს ოთახში.

აქ კი ცრემლები წვიმასავით წამოვიდა. დიდხანს ვერ იჯერა გული, მთელი ღამე ცრემლს აფრქვევდა.

ეზოში კი ისმოდა კივილი, მოთქმა. სოფლები ერთიმეო-

რეზე აწყდებოდნენ სასახლეს. მოდიოდა ქალი და კაცი ცხენით თუ ფეხით. ხალხის დენა მთელი ღამე არ შეწყვეტილა.

მაიამ საშინელი მწუხარება იგრძნო, როდესაც განთიადი მოახლოვდა და პირველმა სინათლემ მის დაბნელებულ გულში ჩაიხედა, მწუხარედ დაიკვნესა:

— შენ ველარ დახვდი განთიადს თვალგახელილი, ჩემო ლომივით ვაჟკაცო! როგორ გიყვარდა სიცოცხლე, ხალისი, ვინ წაგართვა ეს, ჩემო ბატონო, რა მოგერია?

მალე თავკაცები შეეიდნენ მაიას ოთახში.

მაია მიხვდა, რომ მწუხარება მორეოდა და მიცვალებულზე ზრუნვა დაგვიანებოდა. შემოსულებს დაუძახა:

— როგორც საჭირო იყოს, ისე მოასვენეთ აქეთ ჩემი ბატონი მეუღლე! როგორც წესი და რიგი იყოს, ისე დამისაფლავეთ ცაიშის საგვარეულოს სასაფლაოზე! ახლავე კაცი გაგზავნეთ ქუთაისში, ჩემს მაზლს, ბატონ გრიგოლს და ჩემს უბედურ გრიშას აცნობეთ.

თ ე ჯ ი რ ი

კონსტანტინეს სიკვდილისა და დაკრძალვის შემდეგ მაია ძლიერ დამწუხრებული გამოიყურებოდა. მიუხედავად ბოლო ხანებში ქმართან განწყობილების გაუარესებისა რომელიც იქამდე მივიდა, რომ ისინი თითქმის უცხო ადამიანები გახდნენ ერთმანეთისათვის, მაია მაინც საოცარ მარტოობასა და სევდას მოეცვა.

— არ ისწავლა ჩემმა იმედმა, ჩემმა უფროსმა შვილმა, მამის კვალს დაადგა, დადის აქეთ-იქით, აიკიდა გუდამშიერი თავადაზნაურები, უსაქმობაში ათენებს და აღამებს. ამას ველოდი მე შენგან. გრიშა?

მაია ხშირად იჯდა ქმრის კაბინეტში, საათობით ათვალიერებდა მის ქაღალდებს, სურათებს. განსაკუთრებით უყვარდა ის სურათი, სადაც კონსტანტინე თავის გრიშასთან და უჩასთან იყო გადაღებული.

მაია ახლა სულის სიმშვიდეს ამ ოთახში ყოფნით ინარჩუ-

ნებდა, თითქოს ამ განწყობილებით ანაზღაურებდა ქმრის მიმართ იმ უყურადღებობას, რომელსაც ასე ხშირად იჩენდა ნებით თუ უნებლიეთ.

„თუ გრიშამ არ გამიმართლა, უჩა მაინც არ მიღალატებს. ის ნიჭიერია, მეცადინე, ისეთ სასწავლებელში სწავლობს, რომ იქიდან უსწავლელ კაცს არ გამოუშვებენ. ახლა მხოლოდ უჩაა ჩემი იმედი“.

კიდევ ერთი სულიერი იტანჯებოდა ამ ოჯახში მაიასთან ერთად. ეს გახლდათ კონსტანტინეს მწევარი რალია. პირუტყვი თითქმის მთელი დღე კენესოდა. არ ჭამდა, არც სვამდა. გახდა, ჩამოდნა. იწვა კონსტანტინეს ოთახის კარებთან და იქ მაიას მეტს არავის უშვებდა. მაია რომ მივიდოდა, ცრემლით სავსე თვალებით შეხედავდა და გზას დაუთმობდა. მაია მისი საცოდაობით იწვოდა, მის დარდსა და ვარამს კიდევ უფრო აძლიერებდა პირუტყვის წუხილი კონსტანტინეზე. ერთ მშვენიერ დღეს რალია გაქრა, ბევრი ეძებეს, მაგრამ მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ, ვერსად ნახეს. ბოლოს მაიამ მოისაზრა: სასაფლაოზე არ იყოს წასულიო.

მეორე დღესვე გაგზავნეს კაცი ცაიშში.

მწევარი სწორედ იმ მხარეს გაწოლილიყო ეკლესიის კედელთან, სადაც კონსტანტინეს საფლავი ეგულებოდა და თავი კედელზე მიედო. საშინლად დაღერემილი გამოიყურებოდა, ადამიანივით თვალებზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. ვერ მოაშორეს იმ ადგილს რალია, ვერც აჭამეს, ვერც ასვეს. გახელებული ეგონათ, ისე იღრინებოდა პატრონის ერთგული ძაღლი...

მაიას ეს დაწვრილებით მოახსენეს. შეწუხდა, შეებრალა რალია.

— რა უყავით, საცოდავს, — იკითხა ფერმიხდილმა მაიამ.

მეორე დღეს გარდაიცვალა და ეკლესიის გალავნის გარეთ მიწას მივაბარეთო, უთხრეს ქალბატონს.

მაიამ არაფერი უპასუხა, ყველანი დაითხოვა, მარტო დარჩენილმა კრიალოსანი აიღო, რამდენჯერმე გადამარცვლა, შემდეგ ფანჯარას შუბლით მიეყრდნო, დიდ ეზოს გახედა და მრავალჯერ ნაფიქრს დაუბრუნდა:

— ჰე ორი დიდი გრძნობა მოვინელე, ვერც ერთს ვერ

დავაკვდი; პირიქით, ახლა კიდევ უფრო მინდა სიცოცხლე. განა თავის გასამართლებელი საბუთი, რომ სიცოცხლე გეწყუ-რია, ადამიანებს დაგველევა? ადამიანი ყოველთვის მონახავს საბაბს, რომ მისი სიცოცხლე საჭიროა ვინმესათვის, შვილ-სათვის, ოჯახისათვის, საზოგადოებისათვის. თავს ვიტყუებთ. ჩემი უბედურება ის არის, რომ ეს არ შემიძლია, მე ვიცი, ჩემს არსებაში ზის ჩემთვის უხილავი და შეუცნობი რაღაც ძალა, რომელიც აქეთ, სიცოცხლისაკენ მეზიდება, მეც მიყვარს სი-ცოცხლე. ვერავითარი მწუხარება და სასოწარკვეთილება ვერ აღმოფხვრის ადამიანის არსებიდან სიცოცხლის ძალას. რო-გორ მძულს პატარა ადამიანები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ სიცოცხლე არ უნდათ ვინმე ძვირფასი ადამიანის სიკვ-დილის შემდეგ, სახეს იკაწრავენ, ყვირიან, კივიან, ხოლო როგორც კი რამდენიმე თვე გაიელის, მხიარულად განაგრძო-ბენ სიცოცხლეს. ჩემი ფიქრით, ისინი ჩემს რალიასაც ვერ შე-ედრებიან.

ამ ფიქრებში კრიალოსანი დამარცვლა, — ვინ არ დავკარ-გე ძვირფასი მშობლები, საყვარელი ადამიანი, ქმარი, ბიძა. პირველი ჩემი მწუხარება ალექსის მოულოდნელი სიკვდილი იყო. მას ხომ ჩემი გულის მეტი არავინ დარჩა მომგონებელი. ჩემი სიცოცხლით სავსე კონსტანტინე, მასზე მწუხარებამ ლა-მის ყველა და ყველაფერი დამავიწყოს, რა საშინელი შეიქმნა ეს მწუხარება ჩემთვის? არ მეგონა, რომ ასე დამიპყრობდა მასზე ფიქრი, მაგრამ სიცოცხლე მაინც მინდა. ვხედავ, ეს ცრუ წუთისოფელი არარაობაა, მაინც არ მიყვარს სიკვდილ-ზე ფიქრი. მე ასე მწამს, ადამიანმა იმდენ ხანს უნდა იცოცხლოს, რომ სიკვდილი მოსვენებად და ძილად მიიჩ-ნიოს.

მაია ადგა, მივიდა მაგიდასთან, რომელსაც ორ ნაწილად ყოფდა თეჯირი. ძვირფასი შავი ყანაოზი მარგალიტის მძი-ვებით აქარგული, სპილოს ძვლით მოოჭვილი, ღია ფერის ხის ჩარჩოში იყო ჩასმული.

ამ მაგიდის თეჯირს რომ შეხედავდით, ერთ წუთს გეგო-ნებოდათ: მიწაზე თოვლის ფანტელები ცვივა და ჯერ მიწის დაფარვა ვერ მოუსწრიათო. ეს ნივთი კედელზე აკრული გე-

გონებოდათ. თეჯირის წინ ეწყო შვილების, ძმების, დისწულებისა და მაზლისწულების სურათები.

მაიამ უცებ აიღო თეჯირი, მის მიღმა მიცვალებულთა მთელი გალერეა აღმოჩნდა. თურმე ეს წარმტაცი ნივთი მაიას გულის ბოღმასა და სევდას მალავდა მიცვალებულთა სახით. ვის სურათს არ ნახავდით აქ: ლევანის, მართა დედოფლის, დავითის, ახლო ნათესავების, ბიძების, ცუცუსი და ბევრი ახლობლისა და ძვირფასის. ყველაზე წინ კონსტანტინეს დიდი სურათი იყო. ყველანი ცოცხლებივით გამოიყურებოდნენ ჩარჩოებიდან.

მაიამ დიდხანს უცქირა გარდაცელილთა სახეებს, — „ამაოება ამაოებაზე და სოფელი ცრუ", — თქვა მან და პირჯვარი გადაისახა.

მაია თითქმის ყოველდღე დახედავდა მისთვის ძვირფას და დაუვიწყარ ადამიანთა სურათებს, ლოცულობდა მათი სულის მოსახსენებლად, მეტ დროსა და ყურადღებას კი საოჯახო მეურნეობის განმტკიცებას ანდომებდა.

კონსტანტინე არ იყო შრომისმოყვარე ადამიანი, მაგრამ მისი სახით მაინც დიდი იმედი გამოეცალა ხელიდან მაიას და მის შვილებს. რიხიანი და გულმოწყალე კონსტანტინე ჯერ კიდევ დიდი გავლენით სარგებლობდა სამეგრელოში. ტოლს არავის დაუდებდა ფეოდალებს შორის. მის მამულს თუ თვითონ არ უვლიდა, ავი თვალით მაინც არავის შეახედებდა. ახლა კი ამ მამულზე ბევრს ეჭირა თვალი, მაგრამ მაიას შიში ჰქონდათ, მისი მტრად გახდომის ერიდებოდათ. ვაი მას, ვისაც მაია შეიძულებდა, ვინც მის რისხვას დაიმსახურებდა.

მაიამ სიბერეში ერთი ობოლი გოგო გამოზარდა. ისე უყვარდა იგი, როგორც თავის დროზე ლერწამისა და თუთანა. შეილივით ექცეოდა ამ გოგოს. მას თამარი ერქვა. მაია სასიყვარულოდ თამარიას ეძახდა. ცელქი, მხიარული და თან ლამაზი იყო თამარია. ბევრ ბიჭს ეჭირა სოფელში მასზე თვალი. ბევრთა შორის ერთზე თამარიასაც აუძგერდა გული. ეს იყო მაიას ნაყმევი გლეხის კოხიას ვაჟი, ჩონთი კოხია. მაიამ იცოდა ჩონთისა და თამარიას გამიჯნურების ამბავი. არაფერს უწუნებდა ბიჭს, მაგრამ თამარს ვერ ელეოდა და ამიტომ მის გათხოვებასაც აყოვნებდა. თან ფიქრობდა, ჯერ სულ ბავშვია

თამარია, რა ეჩქარებაო. ცოდვაა, დაიჩაგრება ღარიბ ოჯახში, იყოს ჯერ ჩემთანო.

შეცდა მაია. მალე თამარიას ფეხმძიმობა შესიშნა. თავზარი დაეცა. შემირცხვინა ოჯახი ტყირპიანი კოხიას ღლაპმაო. მის რისხვას საზღვარი არა ჰქონდა. თამარია არ დაუსჯია, მაგრამ გადაწყვიტა კოხიები მთლიანად გადაესახლებინა სოფლიდან. სამოსახლოდ ხობის მონასტერთან უბოძა მიწები და უბრძანა ორ დღეში დაეტოვებინათ სოფელი.

რამდენი საპატიო კაცი მიუგზავნეს, რამდენი ბოდიში არ მოუხადეს დამნაშავის მშობლებმა და ახლობლებმა, მაგრამ მაინც ვერ შეარყიეს მაიას გადაწვეტილება.

წყევლიდნენ მაიას კოხიები, თან უკვირდათ გულის ერთი მოსვლით ასე როგორ გაგვიმეტა მაგ შეუბრალებელმა ქალმა, ხის სამსახურში ვბერდებით, ახალგაზრდებმა რაღაცა დააშავეს და ამის გამო ჩვენი აყრა როგორ გადაწყვიტაო.

— ვინ ჰკითხავს თქვენს გადასახლებას მაია დადიანს? ახლა ის დრო აღარ არის, რომ როგორც მებატონეს მოესურვება, ისე გადაგასახლ-გადმოგასახლოთ, ძველებურად გაჰყიდოს გლეხი ან ქორ-მიმინოში გასცვალოს. არ დაიძრეთ! აბა რას იზამს, ვნახავთ, მაგ კერპი! — უთხრა კოხიებს გელა ჯგერენაიამ, რომელიც მაიას უსამართლო მოქმედებამ მოთმინებიდან გამოიყვანა.

— ეხ, ჩემო გელა, მაია ბატონიშვილთან ბრძოლა ჩვენ სად შეგვიძლია? ვითომ ბატონყმობა მოსპეს? გვატყუებენ, ის კი არ მოსპობილა, ჩვენ ვისპობით. ისევ კისერზე გვაწვეს ბატონყმობის უღელი, ისევ სიტკბოთი და მორჩილებით თუ დაცითანხმებთ, თორემ მაია რას არ შეძლებს, გუბერნატორს რომ ერთი მისწეროს, გაგვაციმბირებენ დიდსა და პატარას. ჩვენ, კოხიები, ხომ თავდაუხსნელი გლეხები ვართ. — ეუბნებოდნენ გაცეცხლებულ გელას კოხიები.

— აბა, ასე მთელი საცხოვრებელ-საბადებლით აიყრებით და წახვალთ?

— მაშ რა ვქნათ? ვის მივმართოთ, ვინ გამოგვესარჩლება? გელა ჩაფიქრდა.

— მოგვარდება რამე. შეეუჩენ ლერწამისას, გიგიშას, რა ღმერთი გაუწყრება?

— არაფერი არ გაუვიდა, თორემ გიგიშა დიდი პატიოსანი კაცია, გლეხებს ყოველთვის ეხმარება.

მართლაც არაფერი გაუვიდათ მაიასთან, [illegible]ც გელას და ლერწამისას, არც გიგიშას.

თამარიას ცოდვით ქვა ატირდებოდა. ხ[illegible] ლო გოგომ არ იცოდა, რა მოელოდა. კოხიების ასეთი დას[illegible] შემდეგ შეასრულებდა ჩონთი კოხია თავის სიტყვას და [illegible] ცოლად შეირთავდა თუ არა.

იმ დღეს, როდესაც კოხიები სოფელს უჩდა გასცლოდნენ, მაია თავის ფართო აივანზე დასეირნობდა, ბინოკლით გიგიშა იდგა. კოხიები რომ ესახლნენ, იმ მხრიდან მოისმა საშინელი წივილ-კივილი და მამაკაცების ხმამაღალი ლაპარაკი.

გიგიშამ ყურზე ხელი მოიფარა, რომ უკეთ გაეგონა.

— კივილი კოხიებიდან მოდის, — თქვა მან.

— რაშია საქმე, გიგიშა, რა მოუვიდათ მაგ შეჩვენებულებს? ჯერ ოჯახი ამირიეს, თავს ლაფი დამასხეს, ახლა კიდეე სოფელს წივილ-კივილით იკლებენ.

მაიას უკანასკნელი სიტყვები გიგიშას არ გაუგონია, მან სწრაფად ჩაირბინა კიბე და ღობეს გადაეცლო, კოხიების ეზოში კივილი შეწყდა. ცოტა ხნის შემდეგ გიგიშამ თან მოიყვანა ჩონთის თავგადათეთრებული, ძონძებში გახვეული მამა გახუ.

გახუ კიდეს ამოეფარა, რომ მაიასათვის თავი არ ეჩვენებინა, მაია კი გიგიშას მკაცრად შეეკითხა:

— რა მოხდა, რა, კივილით გული გაგვიხეთქეს?

— ნეტა რა მოხდებოდა, ბატონიშვილო, გახუ კინაღამ გადარეულა, ნაჯახით კინაღამ მოუკლავს ჩონთი, ქალები აკივლებულან, კოხიების ნახევრად ტიტველი ბავშვები ჭირვეულობდნენ. რა საცოდაობა ვნახე.

— დღეს გაიგო გახუმ თავისი შვილის კაი კაცობა?

— შეძრწუნდა, ბატონო, გახუ, როდესაც მისი ძმები და ბიძაშვილები სახლების დარღვევას შეუდგნენ. ვერაკინ დააკავა თურმე. ისე გაცოფებულა ის უბედური კაცი.

— მერე შენ როგორლა წამოგყვა?

— ვუთხარი, ბატონიშვილი გიბრძანებს მოსვლას-მეთქი, და წამომყვა.

— დიდ პატივს მცემენ, კარგი მაგათ მოუვიდეთ! — შეურბილდა ხმა მაიას, შემდეგ აივნიდან გადაიხედა.

— გახუ, ამოდი აქეთ, — დაუძახა გახუს.

— აქ გახლდეთ, ბატონიშვილო!

— ახლა მემალები, ისე კი ცოდვას ცოდვაზე იდებთ კისერზე კოხიები. ჯერ აბუჩად ამიგდო შენმა უზრდელმა ბიჭმა, ახლა შენ შვილს კლავ.

— სწორედ რომ მოვკლავ, მასაც, ცოლსაც, მეც ალბათ გამაციმბირებენ, სადმე ჩავკვდები და ის იქნება, ქვეყანაზე გასახელი თვალი მაინც არა მაქვს.

მაია დააკვირდა გახუს ჩამოძონძილ ტანსაცმელს, ფეხშიშველობით დახეთქილ ტალახიან ფეხებს და ერთ წუთს ასეთი ფიქრი დაეუფლა:

— სირცხვილი შენ, მაია ბატონიშვილო, ვის მოერიე? რაღა ეს ეჭირვება ამ საცოდავ გლეხს? — გიგიშას მიუბრუნდა უცებ და ცივად უთხრა: — წადი და უთხარი კოხიებს, რომ მიპატიებია მათთვის ეს დანაშაული. მხოლოდ ჩონთი არ ვნახო ჩემს სიახლოვეს გავლილი. უნდა დავსაჯო იმით მაინც, რომ არ გავიკარებ კოხიებს. ნახონ, თუ არ დააკლდებათ ჩემი წყალობა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ჩონთიმ თამარი სასახლიდან გააპარა მოშორებულ სოფელში, თავის დედის ნათესავებში.

სასახლეში ყველამ იცოდა თამარიას გაპარვა, ხელს უწყობდნენ კიდეც. ახლა მაიასაც ერჩია, რომ მისი გაზრდილი გოგო ნამუსშერცხვენილი არ შეეტოვებინათ ხელში მისთვის კოხიებს, არაფერს ამბობდა, დუმდა, არც თამარიას კითხულობდა.

ერთ დღეს ისევ გიგიშამ იკისრა თამარიას წაყვანის გამჟღავნება.

— არ გამაგონოთ მათი სახელი! ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! როგორ ამხადეს პატივი, ეს რა გამიბედეს?! — მაია ისევ გაბ-

რაზდა, გიგიშამ ხან ხუმრობით, ხან დინჯი საუბრით გაართო გაანჩხლებული მაია.

— ბატონო, ერთი რომ, თქვენ რა შუაში ხართ? რაც ქნეს, თავის თავს გაუბედეს. მერედა, ჩემო მწყალობელო, ვერ გაუძლო თამარიას სულმოკლეობამ თქვენს სულგრძელობას. უნდა მიუტევოთ, გრიშას და უჩას გაფიცებთ! კარგი ახალგაზრდები არიან. კოხიებზე ერთგული თქვენს დიდებას არავინ ჰყავდა.

— კარგი ერთგულება კი გამოიჩინეს, თექვსმეტი წლის გოგო გამიბახეს.

— არც ჩონთია, ბატონო, ბერიკაცი, ისიც თერამეტი-ოცი წლის იქნება მხოლოდ. ახალგაზრდები შეცდნენ, დღეს კანონიერი ცოლ-ქმარი არიან. გახუს კიდევ თქვენი კეთილი გულის იმედი აქვს, აპატიებთ დანაშაულს და ნებას მისცემთ დაბრუნდეს თავის ოჯახში. სხვის კარზე არიან, თქვენი მორიდებით ვერ ბედავენ სახლში დაბრუნებას. ასეთ გაჭირვებულებს თქვენ ყოველთვის იქით დახმარებიხართ, გეევედრებით, შეიბრალეთ!

— შენ, გიგიშა, დიდი ქველმოქმედი კაცი ხარ მაშინ, როცა საქმე სხვას ეხება. შენ და გელამ კოხიები მოიძალიერეთ, მაია ბატონიშვილმა კი ოჯახის შეურაცხმყოფელი თამარია უნდა გაამზითვოს და კოხიებს დახმარება გაუწიოს.

მიუხედავად მრისხანებისა, მაიას გული მალე ძოულბა, კოხიები შემოირიგა და თამარისათვის დახმარების აღმოჩენა გიგიშას მინადო.

ᲔᲝᲪᲘᲐᲫᲣᲚᲔᲑᲘ

კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ მაიას კვლავ ცუდი ამბავი მოუტანეს მისმა ძმებმა — დავითმა და კოწიამ.

მაია ქარვის კრიალოსანს მარცვლავდა და თავისი ოთახის გაღებული ფანჯრიდან ბაღს გაჰყურებდა.

მსახური შემოვიდა და ძმების მოსვლა შეატყობინა. მაია

არ ელოდა მათ მოსვლას ამ დროებით, რადგან ისინი ახლა-ხან იყვნენ მასთან.

— გრიშას ხომ არაფერი მოუვიდა? — გაჰკენწლა ავმა ფიქრმა. — სულ გარე-გარე დადის, არ ვიცი, როგორ ცხოვრობს, რას აკეთებს. უკვე გვიანაა ამაზე ფიქრი, მაგრამ მაინც ვამბობ, რომ შვილი დედამ უნდა გაზარდოს, თვალიდან არ უნდა მოიშოროს. მე კი სხვას მივეცი გასაზრდელად. და აი ნაყოფი. ვის დავაბრალო, თუ არა ჩემს თავს, რომ გრიშა გზაზე ვერ დავაყენე. გზი ვერ მივეცი. უჩა ჩემი გაზრდილია, ენაცვალოს დედა. ძუძუდან არ მომიშორებია, თვალებში შევციცინებდი. ნუთუ უჩა უფრო მიყვარდა და მიყვარს. არა, ის სულ რომ ჩემთან იყო. და არა მორდუსთან და ძიძასთან, იმიტომ შეეჩვიე ასე, იმიტომ ვეალერსებოდი და ვეთაყვანებოდი ეგრერიგად. უჩა უმცროსია, უმცროსზე რატომღაც უფრო შეტკივა მშობელს გული, თორემ აბა ჩემს გრიშაზე უფრო მეტად, რომ არ მიყვარს უჩა, ღმერთია ამის მოწმე.

მაია ასეთი ფიქრებით იყო გართული, რომ დავითი და სამშობლოში ახლად დაბრუნებული კოწია შემოვიდნენ. ისინი თავის მღელვარებას ძლივს ფარავდნენ. ფარული აღელვება მაიასაც შეატყვეს და გადაწყვიტეს დღეს არაფერი ეთქვათ დისათვის, არ გაემხილათ ის, რისთვისაც იყვნენ მოსულნი. მაგრამ მაიამ მაშინვე შეატყო ძმებს, რომ მათ ცუდი ამბავი მოჰქონდათ.

— თქვენ ამაღამ უმიზეზოდ არ იქნებით მოსული. მე მიჩვეული ვარ მხნედ და დამშვიდებით შევხვდე ყოველ გასაჭირს. მითხარით, რა იცით? გრიშას უჭირს თუ უჩას რამე? არ დამიმალოთ, გულახდილად მითხარით! — მშვიდად მიმართა მაიამ კოწიასა და დავითს.

ძმებმა ერთმანეთს გადახედეს. კოწია ადგა, უხერხულობა იგრძნო და აქეთ-იქით დაიწყო სიარული. დავითი დინჯად გადაიხარა მაიასაკენ, შემდეგ ხელი დაუჭირა და უთხრა:

— დიახ, ბატონო! ჩვენ შენთან მოციქულად გამოგვგზავნა ჩვენმა ძვირფასმა დისწულმა გრიშამ. თვითონ გაღმა ხიბულაში დარჩა, ვერ გაბედა შენთან მოსვლა. მისი ბედ-იღბალი შენს ხელშია.

— ჩემთან მოსვლა თუ ვერ გაბედა, ალბათ, კარგი არ მოუ-

მოქმედებია. ეშინია მხოლოდ იმას, ვინც უღირსს საქმეს სჩადის.

კოწიამ სავარძელს შემოუარა, დას ხელი მოჰხვია და უთხრა:

— არაფერი არ დაუშავებია იმის მეტი, რომ მთელი ახალგაზრდული ძალითა და გზნებით ერთი ქალი შეუყვარდა.

მაიამ შკაცრად ახედა კოწიას.

— ვიცი მე, რაა თქვენი ახალგაზრდული ძალითა და გზნებით შეყვარება. ჩემი გრიშა უბედურ მამამისსაც ჰგავს და შენც. ამიტომაც გამოდიხარ მის დამცველად. — უთხრა მაიამ კოწიას და შემდეგ ისევ დავითს მიუბრუნდა:

— განაგრძე, განაგრძე, ბატონო ჩემო!

— ძვირფასო დაო, შენი ვაჟი ისეთი სიყვარულის ქარტეხილითაა შეპყრობილი, რომ თუ შენი ლოცვა-კურთხევა არ მიიღო და ის ქალი ცოლად არ შეირთო, დარდს ვერ გადაიტანს.

— გამხადე ღირსი, მიბრძანე, ვინ არის ის ქალი? რომელ კუთხისა და რა გვარისაა?

— გვარი ჩვენივე აქვს, ბატონო! ნოქალაქეველი ელიზბარ დადიანის, თქვენი მამულების ვექილის ძმისწული. ყველანი ვიცნობთ. მისი უმცროსი ძმის, აწ გარდაცვლილი მისეილის ქალიშვილია. წარმტაცი ციცუ, ნაზანარი, ყოველგვარი სათნოებით სავსე.

მაიამ წარბები შეიკრა.

— სიკარგეზე ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მას არ ექნება ღირსება, რომ განაგრძოს გვარი სამთავროს ოჯახისა, რაიმე უკეთესი შემოიტანოს ჩვენი ოჯახის ცხოვრებასა და წარმატებაში. გზიდან ამცდარ ჩემს ვაჟს ისეთი ცოლი ეჭირვება, რომელიც წინ წასწევს მის ცხოვრებას. თქვენ მოგეხსენებათ, თუ ვის შერთვას თავაზობდნენ თქვენს დისწულს ჩვენი ნათესავები და ერთგულები, ქალს განათლებულს დიდ მემამულეს.

— მოგახსენებენ, ჩემს დისწულს იმ ქალის გარეგნობა სრულებით არ მოსწონებია, არც მე დამიშალა, გულახდილად მითხრა: ჩემი ციცუს კენარ ტანსა და თმაზე არ გავცვლი მის განათლება-სიმდიდრეშიო, — თქვა კოწიამ და დაჯდა.

— ახლა ხომ დაიჯერებ და გაიგებ, დავით, თუ რატომ ვერ ვეუბებით მე და გრიშა ერთმანეთს? ჩემს ვაჟს მამის თვისებები სჭარბობს, წუთიერი გატაცება, მომავლის გაუთვალისწინებლობა, ჭკუა თვალებში აქვს დაგროვილი. არ ისწავლა, მამულსა და ოჯახზე არ ზრუნავს. მე არ ვიცი, რა უნდა იქნეს სოფლის გოგო, ღარიბი ოჯახისშვილი! ელიზბარის ქალიშვილი მაინც ყოფილიყო, თორემ მიხეილი ღარიბი, მრავალშვილიანი იყო. რა აღზრდას მისცემდა იგი თავის ქალს? როგორ უნდა მოიხმაროს მან ჩვენი ოჯახის რძლობა, არ მესმის. არ ვიცი, რა ვქნა, რა ვთქვა, თუ ჩემს ნებას თხოულობ.ი, მე წინააღმდეგი ვარ. თუ არ დამიჯერებთ, არც დავლოცავ და არც დავწყევლი.

— როგორ გეკადრება, დაო ბატონო! ეს პასუხი არ გაიტანება ამ ოთახიდან. განა ასე უნდა უპასუხოს შეყვარებულ ჭაბუკს დედამ და ისიც შენისთანა დედამ, რომელმაც ყველაზე უკეთ იცის სიყვარულის ძალა? — უპასუხა დავითმა, მისი მშვიდი სახე, რომლის გამომეტყველებას იშვიათად თუ რამე შეცვლიდა, მეტად აღელვებული მოეჩვენა მაიას და უხერხულობა იგრძნო.

— მოისვენეთ, ბატონებო! სხვა რამეზე ვისაუბროთ, ამ ძნელად გადასაწყვეტ საქმეზე დილით ვიმსჯელოთ, — თქვა მაიამ და ზარი დარეკა, შემოსულ ქალს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, შემდეგ გიგიშა იხმო. გიგიშა სახლთუხუცესად ჰყავდა მაიას კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ.

— კარგად გამირთე და მომისვენე ბატონიშვილები! — უთხრა მაიამ გიგიშას.

— მოსვენებით კი მოვისვენებთ, მხოლოდ ჩვენი დროისტარებისა და გართობის სურვილი კონსტანტინეს წაჰყვა თან, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა კოწიამ და კარი გაიხურა.

ოთახში მარტო მაია და დავითი დარჩნენ. ისინი დუმდნენ, თავიანთი აზრის გამოთქმას ერიდებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. შემოსულმა მსახურებმა უხერხულობიდან გამოიყვანა და-ძმა: დავითი ვახშმად მიიპატიჟეს.

* * *

როდესაც მაიას სასახლეში გრიშას ცოლის შერთვით გამოწვეული მღელვარება იყო, გრიშა თავისი მორდუს შვილის ონისიმე ქარცხიას სახლში ქეიფობდა. ერთი მხლებელი თამბაქოს უხვევდა და მოართმევდა, მეორე ნახევრად დაჩოქილი, „ხელხვავსა" და „კუჩხიბედნიერას" უწყებდა. სული მისდიოდა როდის გათენდებოდა. რა ამბავს მოუტანდნენ დავითი და კოწია. რას შემოუთვლიდა დედა. ზედიზედ სცლიდა ჭიქას, ღვინით ინელებდა მღელვარებას.

დადიანის ქალის ალვის ტანი თითქოს მის გულში ჩაერგოთ, მისი ფესვები მთელ ტანში გართხმულიყო და გასაქანს არ აძლევდა, ვერც სიმღერამ, ვერც ღვინომ ვერ განდევნა ეს ხატება გულიდან. ახალგაზრდა თავადი ხშირად მოიწყენდა, ხელებზე თავდაყრდნობილი ჩაფიქრდებოდა და მაშინ თვალწინ დაუდგებოდა დედის მკაცრი სახე.

— მართალია, ჩემს გადაწყვეტილებას წუთით არ შეცვლილი, — ფიქრობდა ის, — მაგრამ დედის გული ხომ საუკუნოდ დამეკარგა?

სასოწარკვეთილებას მიღწეული ახალგაზრდა ჭაბუკი ასეთ წუთებში ციცუს უმანკო და სათნო სახეს მოიშველიებდა, დედის სიმკაცრის დასაფარავად იგონებდა მის ნარნარ ტანს და შეშინებული ნუკრის თვალების გამომეტყველებას. ქალაშვილის ხელის თხოვნამ არათუ თვით ციცუ, ნათესავები და მთელი სოფელი ააფორიაქა. წუთიერ გატაცებად მიიღეს ეს წინადადება, ეშინოდათ: ქალს გალანძღავსო.

ამ ფიქრებთან ჭიდილი არ ასვენებდა გრიშას, გათენებისაკენ სტუმარ-მასპინძელი შეწუხდა, ვერ დაიძინა, არც სხვები დაიძინა. დილით ადრე ონისიმე აფრინა კოწიასთან და დავითთან. შეუთვალა, რას მიშვრებით, მოლოდინით სული აღარ მიდგია, მაცნობეთ, რა გითხრათ დედამ.

უკვე სადილობის დრო იყო, როცა ონისიმე დაბრუნდა. გრიშას გულისძგერამ უმატა, მაგრამ შეძლებისდაგვარად თავს იკავებდა.

ონისიმეს შემოსვლისთანავე მხლებლები და მასპინძელი შეუმჩნეველად აქეთ-იქით გაიფანტნენ, საშუალება მისცეს ბა-

ტონს ამბავი მარტოდ მოესმინა. გრიშა ისე იყო გართული თავისი ფიქრებით და მღელვარებით, რომ ეს ვერ შეამჩნია. ხოლო, როდესაც ონისიმესაგან საიმედო სიტყვები მოისმინა, თან ბრძანება მაიასი: გრიშა ჩემთან მოვიდესო, კარგ გუნებაზე დადგა. მხოლოდ ახლა შენიშნა გრიშამ, რომ ოთახში მისი და ონისიმეს მეტი არავინ იყო; ისევ იხმო ყველა და გულახდილად, ყმაწვილურად კაუზიარა მათ ონისიმეს მიერ მოტანილი ამბავი.

ონისიმე ქარცხიამ დიდი ელჩობა გასწია ამ დილით მაიას სასახლეში.

მაიას მეტისმეტად უყვარდა ონისიმე ენამჭევრობის, ვაჟკაცობისა და ერთგულებისათვის.

მაიამ ონისიმეს მოსვლა ჯერ კიდევ მაშინ გაიგო, როდესაც მისი ძმები ამდვარი არ იყვნენ. სანამ ისინი ადგნენ, ისაუზმეს და მაიას ოთახში მოგროვდნენ, მაია ხან ლოცულობდა, ხან კრიალოსანს მარცვლავდა, ხან კი სურათების მაგიდასთან მიდიოდა, თეჯირს იღებდა, თითქოს ცოცხლებსა და მკვდრებს — ყველას რჩევას სთხოვდა, თუ როგორ მოქცეოდა უჩ შვილს.

მსახური მორიდებულად ეახლა მაიას და მოახსენა:

— ბატონო, ონისიმე გთხოვთ ნება მისცეთ გეახლოთ. ძალიან მეჩქარებაო, მოგახსენათ.

— ვეღარ მოითმინა? დავუძახებდი. ალბათ, ისიც შეყვარებულია. მობრძანდეს! — ოდნავი ღიმილით უპასუხა მაიამ.

მსახურმა კარის მიხურვაც ვერ მოასწრო, რომ ონისიმე ოთახში შემოვიდა. მდაბალი სალამით ჯერ მაიას მიმართა, შემდეგ ბატონიშვილებს.

— აბა, გვიამბე, ონისიმე, შენი გრიშა რას შვრება, შეურყეველია თავის გადაწყვეტილებაში? შენც შერმადინობ, ალბათ! ან იქნება უფალმა ინება და ხიბულის ნიავმა ან ქარცხიების კრიმანჭულმა სატრფოზე გული აუცრუა?

— მწყალობელო ბატონო! ნოქალაქევი ცნობილია თავისი კლდეებით და ჯიხვებით, სამკურნალო სასმელი წყლით. თუ გულს სიმხურვალე იქ მოსდებია, იმ გულს ხიბულის ჭანის წყალი და მისი ნიავი რაღას უშველის? პირიქით, რაც მიკოტახილი იქით დავტოვეთ, მერე მას არ გაუღიმია, ღრუბელი დააწვა მის ფართო შუბლსა და ლამაზ სახეს.

ძმებმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს.

მაიას გაეღიმა და ონისიმეს უთხრა:

— აბა, ჩემო ონისიმე დაგვატკბე ამ დილით შენი ენამჭევრობითა და გონებამახვილობით. იქნებ ელჩობა გამოგივიდეს. მხოლოდ ჯერ ყველაფერი დაწვრილებით მომიყევი, რა როგორ მოხდა, ტყუილი არ გაურიო, თორემ გაფუჭდება საქმე.

ყველა ატყობდა, რომ მაია კარგ ფეხზე იყო ამდგარი, მხიარული გამომეტყველება ჰქონდა მის სახეს.

— ტყუილი როდის გამიბედავს შენთვის, ბატონო, ანდა რა ენა მოჰყვება იმას, რასაც გრიშას გული განიცდის ახლა.

— კარგი, ახლა მოყევი ის, რასაც გეკითხები, — უთხრა ოდნავ ცივად მაიამ.

— დიდო ქალბატონო, ვეცდები ყველაფერი წერილად მოგიყვე, — დაიწყო ონისიმემ. — ბატონი ნოქალაქევს გაემგზავრა, ელიზბარ დადიანისას არ ეყოფილვარ დიდი ხანიო. შემდეგ ჩიქოვანებში ვაპირებდით წასვლას, იქიდან ლეჩხუმს: აღდგომის დღეებს იქ გავატარებო, მამულების საქმეც ჰქონდა. ის იყო ელიზბარისკენ გავემართეთ, მიკოტახილზე გავდიოდით ფროხილად, ზამთარში ზვავს მთლად ჩამოეხეთქა კლდეები, ისედაც ვიწრო გზა უფრო დაევიწროებინა. მთავრის შვილს ათ ცხენოსნამდე კაცი ვახლდით. ღამდებოდა, მთავრის შუქი კლდიდან კელაპტარივით ეშვებოდა, ჩხრიალა ტეხურის ტალღებში ნაზად ბანაობდა დალოცვილი.

მთავრის შვილი ნელა მიდიოდა, ბუნების სიმშვენიერით გატაცებული, ერთი წუთი და კინაღამ დავიღუპეთ: ახალგაზრდა ბატონის ქებულმა ლაფშამ, ბეწვიამ, წაიფორხილა. ახლაც არ ვიცი, რამ გვიხსნა, რომ ბატონი კლდიდან არ გადაეშვა. ნუ გეშინიათ, დაიძახა და კლდეს მიაწვა. საწყალი ბეწვია! სასწრაფოდ შეიკავა თავი უბედურმა.

გაფითრებული მაია ხმას არ იღებდა.

— ყველანი ცუდ გუნებაზე დადექით, მწყალობელო! — განაგრძობდა ონისიმე. — შიშმა გამაქვავა. ისევ ბატონმა გამოგვაფხიზლა, საშიში გზა რომ განვველეთ, ხუმრობა დაიწყო: აბა დათვალეთ, ხომ არავინ გვაკლიაო, შემდეგ მე მომიბ-

რუნდა, ამას ენაცვალოს ჩემი თავი: ალბათ ვიღაც კარგი ფეხით შეგვხვედრია, რომ ასე გადავრჩით ამ გზაზე. კიდევ რამე არ შეგვხვდეს ან კარგი ან დიდად საწყენიო. ამ ლაპარაკით ელიზბარის სასახლეს მივუახლოვდით. რაღა თავი შეგაწყინოთ, შესანიშნავად მიგვიღეს, გაიხარეს. ბატონის მისვლით. იმ წუთს მომღერლები და მეჩონგურეები გაჩნდნენ. თუ სადმე იყო იმ ახლომახლო ლამაზი და მშვენიერი, ყველანი თავზე დაგვადგნენ და ემსახურებოდნენ ბატონის სუფრას. ქალიშვილები სულ პეპლებივით და ციცინათელებივით დაფრინავდნენ და დაგვციმციმებდნენ.

ქალებში ერთი ქალიშვილი განსაკუთრებით გამოირჩეოდა. ძალიან უბრალოდ ჩაცმული, არცთუ განსხვავებული ლამაზი, მაგრამ თავიდან ფეხებამდე მშვენიერი, შესანიშნავი ნაწნავები ეყარა მაღალ ტანზე და წვრილ წელზე. მის ზღვისფერ თვალებს ხშირი და გრძელი წამწამები უფრო წარმტაცს ხდიდა. როდესაც თავს აწევდა, მისი ცისფერი თვალები, თითქოს დამფრთხალი ნუკრისაა, ისე გამოიცქირებოდნენ კრთომითა და მორიდებით. მადლითა და დიდებით მოსილა მისი სახე.

ონისიმემ მაიას ფეხებთან მოიკალათა და განაგრძო:

— მე ხომ შენი გაზრდილი და შვილობილი ვარ, გრიშას არჩივ ძუძუს ვწოვდი; მას რომ ძიძა აწოვებდა, ეშინოდათ რძე არ შეგხურებოდა. მე მაშინ კარგა მოზრდილი ბიჭი ვიყავი და მიხაროდა, როცა გამდელები მეტყოდნენ, ბიჭო რა გეღირსა, ვის ძუძუს წოვო. მეც ამიტომ გეთამამები, ყველაფერს გიბედავ. ვფიცავ შენს თავს, რომ იტყვიან ნახევარი ოქროაო და ნახევარი ვერცხლიო, სწორედ იმ ქალზეა ნათქვამი. მაშინვე შევამჩნიე, რომ გრიშა მიაჩერდა იმ ქალს. შემდეგ ყველასათვის შესამჩნევი გახდა, როდესაც ბატონმა ვამოაცხადა:

უნდა ვთხოვო ჩემს მოგვარე ქალს, ჩემს გვერდით დაჯდეს. მე დღეს მაგის ხელით დასხმული ღვინის მეტს არ დავლევო.

ქალიშვილი აილეწა, არ იცოდა რა ექნა და უმწეოდ შეხედა ბიძამისს. ელიზბარმა გაიცინა და ძმისწულს უბრძანა: ემ-

სახურე მთავრიშვილს, ჩემო ძმისწულო! ღირსია ემსახუროს მას ლამაზი ქალის ხელიო.

ბატონმა იმ ღამეს ნაკლებად სვა, სულ ციცუს შესცქეროდა, ელაპარაკებოდა, შეჰხაროდა. დაწოლისას მე მიბრძანა, დილით ადრე ნოქალაქევის დუქნებიდან ან სენაკიდან საჩოხე-საახალუხე და საწუღე-სამესტე მომეტანა. გათენებული არ იყო, ბატონო ჩემო, მე რომ სენაკს ვუახლოვდებოდი. ჯერ სადილი გამოტანილი არ იყო, რომ ელიზბარის ოჯახში დავბრუნდი და მივიტანე, რაც მთავრისშვილმა დამაბარა. ბატონმაც მომიწონა ნავაჭრი. შემდეგ ელიზბარისაგან ნებართვა ითხოვა, რომ მისთვის საალდგომოდ ციცუს შეეკერა ჩოხა-ახალუხი.

გამიგონია, ბრძანა გრიშამ, რომ ციცუმ იშვიათი ჭრაკერვა იცისო. გთხოვთ მყოთ ბედნიერი, მეც შემიკეროს ჩოხაო, — უთხრა ელიზბარს.

ელიზბარი გააკვირვა ამ ახირებულმა თხოვნამ, მაგრამ მაინც თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

ბატონი მერე ქალიშვილს მიუბრუნდა:

— მშვენიერო ციცუ! ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის. მოგეხსენებათ, ჩემთვის თერძები და მეწაღეები არ დაილევა, არც ისე თავხედი ვარ, რომ თქვენი შეწუხება არაფრად მიმაჩნდეს, რა ვქნა, დაუძლეველი სურვილი გამიჩნდა, მაგ ნარნარი თითებით შეკერილი ჩოხა ჩემს ტანს მოსავდეს. ჩემი ტანისამოსი შენი ლაჟვარდი თვალებით იყოს გაშუქებულიო.

მეც ავიღე და ჩემი ნავაჭრი ქალის წინ გავშალე მაგიდაზე. ციცუმ შემკრთალი თვალები გრიშას მიაპყრო და მოახსენა: დიდი სიამოვნებით გემსახურებით, თუ შეეძელი თქვენი საკადრის-მოსაწონის გაკეთებაო.

ეტყობოდა ძლიერ ღელავდა დადიანის ქალი. ოთახში სხვა ქალიშვილებიც შემოსულიყვნენ ელიზბარის ძმისწულთან ერთად, ყველანი გახარებული იღიმებოდნენ, რომელიღაც მათგანმა კიდეც უჩქმიტა ციცუს. ის საბრალო მაინც არ დაიბნა და გრიშას მოახსენა: როდის ინებებთ, ბატონო, ზომა ავიღოთ ტანისა და ფეხისაო?

აქ კი გრიშა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

მართლა ძალიან შეგაწუხეთ, — უთხრა ქალს და თავისი ფართო მკერდი გადაუშალა ზომის ასაღებად. ამაღამ ჩიქვანებში მინდა წასვლა, სამ-ოთხ დღეში დავბრუნდები. — ამ სიტყვებზე ისეთი აღტაცებით ჩახედა ქალიშვილს თვალებში, რომ ყველას გულში შიშმა გაჰკრა.

ვერხვის ფოთოლივით თრთოდა ახალგაზრდა ქალი, ვიღრე ჩოხა-ახალუხის ზომას აიღებდა.

ნასადილევს წამოვედით ელიზბარის სასახლიდან. უკან მეხუთე დღეს დავბრუნდით. ყველაფერი შეკერილი დაგვახვედრა იმ დიდებულმა ქალმა, შეკერილები მშვენიერად მოერგო ტანზე ბატონს. გრიშამ მადლობის ნიშნად ხელზე აკოცა ციცუს.

ელიზბარს არ მოეწონა გრიშას სითამამე და შეესიტყვა: რატომ იკადრებთ, ბატონო და მწყალობელო ჩვენო. ან ამ გოგოს რას ერჩით? ობოლია, უპატრონოო. გრიშა იმწამსვე მიხვდა, თუ რამ შეაწუხა და შეაშინა ელიზბარი, წარბები შეიკრა და უთხრა: თუ შეიძლებოდეს, რამდენიმე წუთს ყველანი დაითხოვეთ, მე თქვენთან ძალიან დიდი საქმე მაქვსო.

ქალები უმალ გავიდნენ. ოთახში მხოლოდ მე დავრჩი. სხვა ქალიშვილებთან ერთად ციცუც გასვლას აპირებდა, რომ მას გრიშამ ხელი მოხვია — შენ აქ დარჩი, უშენობა არ იქნებაო. გრიშამ დაჯდომა სთხოვა ელიზბარს და თვითონაც დაჯდა.

— ბიძა ბატონო, შენ ფიქრობ, რომ მე შენი ოჯახის ასეთ უმანკო და მშვენიერ არსებას რაიმეს ვერჩი, ან რითიმე დავამცირებ და შევურაცხყოფ ან გადავუდგები სინდისსა და ადამიანობას,—მიმართა გრიშამ ელიზბარს.—ეს არასოდეს არ მოხდება. მე შენი ძმისწული ციცუ უზომოდ შემიყვარდა, მაგის მეტი ცოლი სხვა ვინმე უფალმა ნურც მომცეს. ჩემი შეუცვლელი გადაწყვეტილებაა, რომ სულ მოკლე ხანში მე ჩემი ძვირფასი ციცუს ქმარი გავხდე. ამ საქმეზე საუბარი რამდენიმე დღით მინდოდა გადამედო, დედაბატონისათვის მომეხსენებინა, ბიძებისათვის. რაკი ჩემი მოქმედება შენს თვალში საეჭვო გახდა, შეიძლება ჩემმა საქციელმა აქ მითქმა-მოთქმაც გამოიწვიოს, ამან კი ჩემი უმანკო ციცუ დამიჯავრიანოს, ამი-

ტომ ავჩქარდი და გადავწყვიტე ციცუ ამაღამვე დავნიშნო, მთელ ქვეყანას ვამცნო, რომ ციცუ ჩემი საცოლეა.

ქალს ხელი შემოხვია გრიშამ, ისიც მკერდზე მიეკრა. ხმამაღალი პასუხი არ იყო საჭირო. მათი გულები ისე ახლოს ძგერდნენ, რომ უსიტყვოდ გაუგეს ერთმანეთს ბედნიერება და სიყვარული.

გრიშას სხივიანი სახე კიდევ უფრო გაიშალა და გახალისდა. ნათელი გადაეფინა. ციცუს თავი აუწია, თვალებში ჩახედა, შემდეგ შუბლზე ეამბორა: შენ ხომ გჯერა, ჩემო ძვირფასო, ჩემი სიტყვების სიმართლე. მეტი მეც არაფერი მინდა. ახლა წადი, მოისვენე მშვიდად. ეს ნემსის ხმარებით დაღლილი თითები ჩემი ამბორით დაიამეო, — და ხელის თითები დაუკოცნა.

ციცუს ოთახიდან გასვლა და ელიზბარის ადგომა ერთი იყო.

— რა დაგიშავეთ, ბატონო, რატომ გვხდი ღირსებასა და პატივს? დამიჯერე, მთავრის შვილო! სანამ ეს ამბავი არ გახმაურებულა, მიატოვე ამაზე ფიქრი. სულ ერთია, ბატონიშვილი მაია ამ საქმის ნებას არ დაგრთავს არას გზით. ამას მოჰყვება დიდი ამბავი და უსიამოვნება. მაია ჩვენც გაგვირისხდება. ჩემი საწყალი ძმისწული ვინმე თავის ტოლს გაჰყვება. შენ კიდევ შენი შესაფერი და შენი ღირსი მოგეძებნება. ხმა გავარდება, ქალი გაგველანძღება, მიტოვებული და გაბახებული ხელში დაგვრჩება. განა ამას ველოდით შენგან? პირიქით, ქვეშევრდომთა, ღარიბთა და ობოლთა პატრონად მიმაჩნდი. ნუ გვიზამ ამას, გემუდარები, დაიშალე ამაზე ფიქრი! — ემუდარებოდა აღელვებული ელიზბარი.

გრიშას იმ ღამით იქ უნდოდა დარჩენა და მოსვენება, მაგრამ ეწყინა ელიზბარის სიტყვები და წასვლა ბრძანა. ელიზბარს უთხრა ერთ კვირაში დაებრუნდები და ციცუზე ჯვარს დავიწერო. ქალს გადაეცი არ იჯავროსო.

იმ ღამესვე ელიზბარის სასახლიდან პირდაპირ ჭკადუაშში წავედით. იქიდან შენს დიდებას ვეახელით. აწი შენ იცი, ჩემო მწყალობელო, ბატონო, ნუ ჩასწყვეტ გულს ახალგაზრდებს. ღმერთმანი, მოსაწონი ქალია. მუდამ შენი ფეხთამტკერი იქნება, მორჩილი და მოყვარული.

— მე განა ფეხთამტვერი და ჩვარი მინდა ჩემი გრიშას ცოლად? ოღონდ კარგი იყოს და სასახელო, მე მისი სამსახური არ მჭირდება. იქით ვემსახურები ჩემს რძალს, თუ ის ღირსეული იქნება.

ორ ცეცხლს შუა იწვოდა მაია. შვილის გატაცება და ძლიერი სიყვარული ოდესღაც განცდილ გრძნობებს აგონებდა და შორეული წარსულის მოგონებებში ჩაიძირა ისევ... მეორე მხრივ, ძალიან არ მოსწონდა სარძლოდ მიხეილ დადიანის ქალიშვილი. გულში ძლიერ შეუფერებლად მიაჩნდა ეს ქორწინება, ყველანი დუმდნენ, სიჩუმე დავითმა დაარღვია.

— ძვირფასო დაო ჩემო, რამე ერთი პასუხი უნდა შეუთვალო, ცოდვაა გრიშა, ის ჯერ ყმაწვილია, გამოუცდელი, თან გულჩვილი და პატიოსანი. მამით ობოლია, დღეს შენა ხარ მისი მამაც და დედაც.

— იყოს ნება თქვენი, დამიბარეთ გრიშა აქეთ.

ონისიმე ისევ მუხლებს უკოცნიდა მაიას, თან ცრემლები ცვიოდა, სიხარულის ცრემლები.

— კარგი ახლა, გეყოფა ქალაჩუნობა; წადი და მოახსენე შენს ბატონს აქეთ მობრძანდეს, ბიძებიც აქ დახვდებიან. — მოიშორა ონისიმე მაიამ.

ონისიმე თვალის დახამხამების სისწრაფით წამოხტა, კიდევ ხელსა და მუხლებზე აკოცა მაიას, ოთახიდან გავიდა, ცხენს მოახტა და გრიშასკენ მოუსვა.

გრიშა მხოლოდ შეღამებისას მოვიდა დედასთან. დარცხვენილი იყო.

მაიამ შვილი ცივად მიიღო და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— შვილო ჩემო, შენ არც ერთი ჩემი იმედი არ გაამართლე. დაცოლშვილება ასე ადრე მოგინდომებია. ღმერთმა და ყოველმა ძალამ ხელი შეგიწყოს. ღარიბი კაცი ხარ და ღარიბთან შეუღლება გადაგიწყვეტია. შენ ხომ იცი, ხიბულა მთლიანად ჩემი პირადი საკუთრებაა. ჯერ კიდევ ჩემმა მაზლებმა, მთავარმა დავითმა და გრიგოლმა ქორწინების დღეს, შემდეგ მამაშენმა, მეუღლემ ჩემმა, ნოტარიუსით დამიმტკიცა თავის სიცოცხლეში. დანარჩენი მამულები: ხეთა თავისი მთით, ლე-

ჩხუმის მამული, ზენი, საჯიჯაო რჩება შენი და შენი ძმის უჩას მფლობელობაში. მე სანამ ცოცხალი ვარ, ხიბულას შემოსავალს ვიკმარებ, მაგრამ თქვენ, თქვენი მამულებით ცხოვრება გაგიჭირდებათ. სწავლა არ ისურვე, სამსახური არ გინდა. ბედნიერი იყავი, შვილო, ისე არ დაგემართოს: ბრიყვი საქმესა წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო.

სანამ მაია ნელა და დინჯად ლაპარაკობდა, ყველანი ფეხზე იდგნენ. შემდეგ შვილმა დაიჩოქა და თავი კალთაში ჩაუდო. მაიამ თავზე ხელი გადაუსვა, ეამბორა კიდეც თავზე, მაგრამ ცივად მოეჩვენა ვაჟს დედის ხელებიც და ამბორიც. ყველანი გასასვლელად ემზადებოდნენ, რომ მაია ადგა.

— შვილო ჩემო, ქალის დასანიშნად დილით მოგერთმევა ყველაფერი.

მაიას მადლობის ნიშნად მდაბლად თავი დაუკრეს.

დილით გრიშას გადასცეს ძვირფას ფარჩაში გამოკრული, ყუთებში ჩაწყობილი ნივთები ბრილიანტით, ალმასითა და ლალით შემკული, ბაჯაღლო ოქროში ჩასმულ-ჩაქარგული, აგრეთვე ვერცხლის სურები, ტაშტები, ვერცხლის ჭიქები და თეფშები, ამასთან ერთად სამი ათასი მანეთი ფული ხარჯებისათვის.

საუზმის შემდეგ გრიშა ბიძებითურთ სასახლიდან წავიდა. გულდაწყვეტილი დარჩა ახალგაზრდა გიგიშა, რაღვან ჯერ მიზეზი ვერ იშოვა, რომ თვითონაც მათ გაჰყოლოდა.

გიგიშა რამდენჯერმე შევიდა მაიას ოთახში.

— ხომ არაფერი გნებავს, ხომ არაფერს მიბრძანებ, — ეკითხებოდა.

მაიამ შეამჩნია, რომ რაღაც უჭირდა მის გაზრდილს.

— სად არის ონისიმე? — ჰკითხა მან.

— აქ გახლავთ, ბატონო!

— ისევ მიჰყვება გრიშას თუ იცი?

— ალბათ მიჰყვება, ბატონო, — უპასუხა გიგიშამ გულდაწყვეტილად და ამოიხვნეშა.

— შენ არ მიჰყვები?

— შენ არ გიბრძანებია...

— აბა ახლა გიბრძანებ, ონისიმე აქ დარჩეს, ის ისედაც

ბევრს დადის უსაქმოდ, გრიშას ქორწილამდე აქ იყოს, ოჯახს მიხედოს. შენ კი ჩემს შვილს გაჰყევი.

გიგიშას სახე გაუბრწყინდა.

— გმადლობთ, ბატონო, შენი წყალობა არ დამკლებოდეს! — თქვა და სწრაფად გავიდა, რომ ონისიმეს არ გაესწრო.

მარტოდ დარჩენილ მაიას გულიანად გაეცინა.

— რისი მადლობა მითხრა, რომ არაფერი უთხოვია ჩემთვის? ხალხის ნაოქვამი მართალია: ქურდი დღეში სამჯერ გატყდებაო, სწორედ ასე მოუვიდა ჩემს გიგიშას. წასვლაზე სული მისდიოდა, ვერც თხოვნა გაბედა. ჩემი თანხმობა რომ გაიგო, უცებ გამოტყდა.

ო, სიყმაწვილეე, რა ძვირფასი სამკაული ხარ! როცა ადამიანის კუთვნილებას შეადგენ, შენი ფასი მან არ იცის, შენს ფასს გებულობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკარგები. რა ცოტა რამ ახარებს ახალგაზრდას, ჩვენ იმ ცოტასაც ვერ ველევით მისთვის...

მაიას მოაგონდა თავისი ახალგაზრდობის წლები, რომლებიც ძაძებით შემოსილმა ფაცხაში გაატარა, შემდეგ ერთი ყმაწვილური გამონათება — კონსტანტინეს ცოლობა, მერე ისევ სულიერი მარტოობა, განუხორციელებელი სურვილები, დაუკმაყოფილებელი თავმოყვარეობა... ახლა კი ნელ-ნელა სიბერე შემოეპარა, საპირადო ყველაფერი გათავდა, დაეწყო მხოლოდ და მხოლოდ შვილებზე ზრუნვა-ფიქრი. ესეც დიდებულად მთავრდება! ობოლი, უმზითვო, ღარიბი ოჯახიშვილი, უსწავლელი ჩემი გრიშას საცოლედ! როდესაც მას შეეძლო ვინმე დიდებულის მეუღლე გამხდარიყო, ოჯახი წინ წაეწია, დიდკაცობა მოეხმარა.

ეჰ, ჩემო უჩა, უჩა! შენი ჯერი დადგა. ყველა ჩემი იმედი შენზეა დამყარებული, შენ მაინც არ მიღალატო.

მაიამ ისევ კრიალოსანი აახმაურა და ოთახში ბოლთას ცემას მოჰყვა.

ბევრი მწუხარებისა და უსიამოვნების შემდეგ მაია ჩვეულებრივ ცხოვრებას შეუდგა, მეურნეობას თვალყურს ადევნებდა, ოჯახის განმტკიცებასა და ქონების შეძენაზე ზრუნავდა. შვილები შორს ჰყავდა. დაცოლშვილებული გრიშა ხორშში დამკვიდრდა, უჩა მალე დაამთავრებდა პეტერბურგის პაჟის კორპუსს. კორპუსდამთავრებულებს დიდ ადგილებს თავაზობდნენ.

ამ სასწავლებელში მხოლოდ დიდგვაროვანთა შვილებს ღებულობდნენ აღსაზრდელად, ამზადებდნენ ხელმწიფის სასახლეში სამსახურისა და მათი პირადი დავალებების შემსრულებლად.

— ერთი მხრივ მიხარია, რომ უჩა მაინც დაამთავრებს სწავლას, იქნებ მისგან მაინც გამოვიდეს სასახელო და თავისი ქვეყნისათვის სასარგებლო კაცი. — ეტყოდა ხოლმე მაია გიგიშას და თავის მოურავს, პლატონ აფაქიძეს.

— რა დაუშლის, ბატონო, უჩას, რომ კარგი კაცი გამოვიდეს? ნიჭი არ აკლია და საშუალება! — ეტყოდნენ ისინიც.

— არ მაქვს ჩემი შვილების იმედი, არ მოდგამთ ლევანის შთამომავალთ სიდინჯე და სწავლის სურვილი. აიღეთ ტარიელის შვილი ნიკო, კაცი მეექვსე კლასიდან გამოვიდა, დაჯდა ბერთემში და ხალხისთვის იმდენი სარგებლობა მოაქვს, რომ მთელი სოფელი ააყვავა, გაამდიდრა, გააჯანსაღა, თან დიდად განათლებულია, ბევრს წერს, კითხულობს. ამბობენ ნამდვილი ფილოსოფოსიაო.

— რაც მთავარია, ბატონო, და რითაც სახელი გაითქვა ნიკო დადიანმა, ეს არის მკურნალობა. ის უსასყიდლოდ, თავისი წამლებით ეხმარება ხალხს, — თქვა აფაქიძემ.

— დიახ, დიახ, ეს მთავარი საქმეა. მე გეტყვი და რუს ხელმწიფეს ისემც ღმერთი უშველის, სოფლებში ექიმები ჰყავს. ჯერ მაზრებსა და ქალაქებში არ არიან ექიმები. ნიკო უფასოდ მკურნალობს ხალხს. აუცილებლად უნდა ვინახულო იმისი ოჯახი ამ ზაფხულზე მაინც. სამი წლის წინათ ვაპი-

რებდი წასვლას და გრიშას ცოლის შერთვამ შემიშალა ხელი. წავალ კი ვითომ? ჩემი სურვილის შესრულებას ყოველთვის წინ გადაეღობება რაღაც მიზეზი. რამე შემიშლის ხელს. ახლა ხომ მიწის მზომავებს მოველით. ჩემი იქ ყოფნის დროს რომ მოვიდნენ?

— მოვიდნენ, ბატონო! პლატონი ხომ უბრალო მოურავი არ არის, ვექილია თქვენი მამულების, აღჭურვილია თქვენი ნდობით, — უთხრა მაიას გიგიშამ.

— ესეც მართალია. მალე გრიშა მომინახულებს, ვეცდები, წავიდე იმ იმედით, პლატონ, რომ შენ წესიერად მოაგვარებ ყოველივეს. ჩვენი სადავო მამულები ზენში, ზანაში, საჯიჯაოში — ყველა უნდა შემოვიფარგლოთ. რატომ უნდა დაეპატრონონ ჩიჩუები და აფაქიძეები საუფლისწულო მამულებს?

მაია იმ დროს ძალიან გატაცებული იყო მიწის საკითხით, მაშინ წყდებოდა, თუ ვის რა მამული მიეკუთვნებოდა. მთავრობაც ძლიერ იყო დაინტერესებული, რომ ყოველი ოჯახისათვის მიეჩინა საკუთრება, რათა დაბეგვრა უფრო ადვილი გამხდარიყო.

ხშირად გაისმოდა დავა სოფელში: ჩიჩუამ დადიანს „სპორი" გამოუცხადაო, გვათუამ — ლოლუასაო, და ასე გვარი გვარს, ოჯახი ოჯახს, ძმა ძმას უცხადებდა „დავას". გამოიწვევდნენ მედიატორებს, უხუცეს გლეხებს დაჰკითხავდნენ, თუ ვის ეკუთვნოდა სადავო ადგილი, თავიდანვე ვინ სარგებლობდა ამ მიწებით, ტყეებითა და საძოვრებით.

ამრიგად, ყოველ გვარსა და ოჯახს მიუჩენდნენ მის საკუთრებას, მოსაზღვრე მამულებს შორის მიწის მიზომვასა და გვარის საკუთრების აღდგენას ნახშირის ჩაყრა მოჰყვებოდა. ჩანახშირებულ ადგილებზე მიწას დაჰყრიდნენ, პატარა გორაკი გაჩნდებოდა, რომ სასაზღვრო მიჯნა მოსაძებნი არ გამხდარიყო.

მაიას მამულის შეძენა ძალიან უყვარდა, მეტადრე მას შემდეგ, რაც ავსტრია და რუსეთი მოიარა. მას აკვირვებდა იქაური უბრალო თავადების ვრცელი მიწა-წყალი. თავი დამცირებულად მიაჩნდა, რომ მთავრის ოჯახის შვილები დაკნინებული იყვნენ, მამულ-დედული შემცირებოდათ. ამასთან მაია დიდ ცნობისმოყვარეობას იჩენდა თბილისში და ქუთაისში

დაარსებული საადგილმამულო ბანკებისადმი, სადეპუტატო ყრილობებისადმი. ძალიან მონდომებული იყო კენჭისყრის დროს, არათუ მას პირადად, ერთგულ თავადაზნაურებსაც ესარგებლათ ხმის უფლებით და მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის საქმეში.

მაია აგვისტოს დამლევს ნოქალაქევის აპანოში მიდიოდა სამკურნალოდ. გრიშა მივიდა დედასთან თავისი მხლებლებით. თვითონ უნდოდა წაჰყოლოდა დედას ნოქალაქევში.

— შენი ჭირიმე, გრიშა, ჰევრ ხალხს ნუ ვიახლებთ. რად გიყვართ აურზაური? ჯერ აბანოს ახლოს დავბინავდები, შემდეგ ნიკოს ოჯახს გავეცნობი, ვფიქრობ, არ ვიქნები არასასურველი სტუმარი.

— კი, დედა, ყველაფერი შენი სურვილისამებრ გაკეთდება. ციცუც იქ დაგხვდება, თუ ინებებ, იმსახურე.

მაიამ მხოლოდ გაუღიმა შვილს.

— მგონია, შენი პირმშოც იქით არის გაძიძავებული, ალბათ, იქ მაინც მინახულებს ვაჟკაცი. რაკი უბედური კონსტანტინე ვერ მოესწრო შენს შვილს, რატომ ვერ მიხვდით, ბავშვი ჩემთვის მაინც გეჩვენებინათ ხიბულაში, არ მოისელებოდა, თუ რა იყო, შვილო?

— მოგერიდეთ, დედა ბატონო! რაკი შენი ბრძანება არ იყო, გვეგონა არ გსურდა.

— უბედურო მაია, როდის გაიგებენ შენს კეთილ გულის ამბავს შენი ახლობლები. ვთქვათ, შენ გემდუროდი, შენს ცოლს რას ვერჩი, მით უფრო შვილს, უმანკოს, ანგელოზს? მეუბნებიან, ძალიან ლამაზი ბავშვიაო.

— თუ ასე გსურს, ხვალვე გეახლებიან ყველანი!

გზას აღტაცებაში მოჰყავდა მაია. მთაში შეჭრილი გზის ქვევით, სადღაც, უფსკრულში, დიდ ლოდებზე ჩხრიალიო მიედინებოდა მდინარე ტეხური, რომლის თვალით დანახვა ქვეითად მიმავალ მგზავრსაც კი გაუჭირდებოდა. მაიამ ისურვა ეს სახიფათო გზა ქვეითად გაევლოთ.

— აქ არ იყო, შვილო გრიშა, კინაღამ რომ თვალები დამივსე შენი წინდაუხედაობით?

— ცხენმა პიხსნა, ღედა ბატონო, თორემ ცუდად იყო ჩემი საქმე.

— ალბათ მთვარიან ღამეში ოცნებას გადაჰყევი, ან სხვაგვარად როგორ გაივლის აქ კაცი. მხატვარი რომ ვიყო, აქაურობას სულ ტილოზე გადავიტანდი. დიდება უფალო, შენს ძალას! ამდენი სილამაზის საყურებლად რატომ მეტი დრო არ მოგვეცი სიცოცხლისათვის?

მაიას ნოქალაქევში ჩასვლა იმ კუთხემ იმავე ღღეს გაიგო. ბერთემელ დადიანებს არცთუ ისე უყვარდათ მაია; ახსოვდათ, რომ მათი თვალსაჩინო ქალი ციცუ გრიშასთვის ცოლად არ უნდოდა; ისიც იცოდნენ, როგორ ზვიადად უყურებდა მათ და იმ კუთხის დადიანები, როგორ საუკადრისოდ მიაჩნდა, რაკი მთავართა მემკვიდრენი და დიდი ნიკოს შთამომავალნი არ იყვნენ. რამდენჯერ აუხსნია პეტრეს მისთვის, რომ ბერთემელი დადიანები იგივენი არიან, რაც მთავრის ოჯახის დადიანები, რომ ისინი წარმოადგენენ მთავრის ოჯახის განშტოებას: მაია მაინც მათ თავის ტოლად არ თვლიდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მისი ვაჟი ამ კუთხის სიძე გახდა.

მიუხედავად ამისა, ბერთემელი დადიანები მაიას მოსვლას დიდი ყურადღებით შეხვდნენ. ერთი მიზეზი ის იყო, რომ ამით გრიშასადმი სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდნენ, მეორეც — საკუთარი თავმოყვარეობა აიძულებდათ ეჩვენებინათ მაიასათვის, რომ ისინი არავისგან დასაწუნი არ იყვნენ, არავის არაფერში არ ჩამოუვარდებოდნენ.

პატივისცემის გამოსახატავად ჯერ მთელმა საგვარეულომ ინახულა მაია. ნიკო, ტარიელ დადიანის შვილი, ესოდენ დატვირთული საზოგადო და საოჯახო საქმეებით, ამ შემთხვევისათვის უსაქმოდ დროს დაკარგვას არ მოერიდა. მან სხვებზე ადრე ინახულა საპატიო სტუმარი. გულთბილი იყო მათი შეხვედრა, საუბრის შემდეგ მაიამ მორიდებულად განუცხადა:

— მინდა გეწვიოთ ოჯახში, გავიცნო თქვენი წესწყობილება და განლაგება ქველმოქმედების საქმეებისა. ხომ არ შეგაწუხებთ და ზედმეტად არ დაგტვირთავთ ესოდენ დიდი საქმის მქონეს?

— ბატონო ჩემო, რასა ბრძანებთ, თქვენთვის ცუდად გაუ-

ცვნიათ ჩემი თავი. მე გონიერი სტუმარი ისე მიყვარს, როგორც კარგი წიგნი.

— მხოლოდ გთხოვთ, დედაშვილობას, მარტონი ვიყოთ. მე მინდა თქვენთან საუბრით დავტკბე.

— როგორც გენებოთ! მოგეხსენებათ, დიდი ქეიფისა და დროს ტარების კაცი არც მე გახლავართ.

რამდენიმე დღის შემდეგ მაია ნიკოს ოჯახში დარბაზობდა.

ნიკოს სახლი მაღლობზე იდგა. ვაკეზე გაშლილი ფართო ეზო მწვანედ ბიბინებდა. მესერშემოვლებულ დიდ ეზოს ალვის ხეები ჩრდილავდა. დიდი ოდა-სახლის წინ იდგა უზარმაზარი ცაცხვი, რომელსაც ქოლგასავით გადაშლოდა ტოტები. საცხოვრებელი ოდის ოდნავ მოშორებით რამდენიმე პატარა, აივნიანი ოდა ჩამწკრივებულიყო. აივნების წინ იდგა გრძელი სკამ-ლოგინები, რომელთაც ხეების ჩრდილი ეცემოდა. ქვევით გრძელ სკამებსა და ჰამაკებში ფერმკრთალი ავადმყოფები ისვენებდნენ. ერთ სახლში ქალები იყვნენ, მეორეში — მამაკაცები. ავადმყოფთაგან ზოგი ჯოხზე იყო დაყრდნობილი, ზოგს ხელი უკანკალებდა, ზოგს ფეხი სტკიოდა.

ავადმყოფებს თავიანთი მომვლელი ჰყავდა მიჩენილი.

თვით ნიკო, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოსარიდებელი და იშვიათი სტუმარი ჰყავდა, თვალყური სულ თავისი ავადმყოფებისაკენ ჰქონდა, ხშირად მიდიოდა მათთან, რათა შეწუხებული ავადმყოფებისათვის ტკივილი დაეამებინა.

აკვირდებოდა რა ყოველივე ამას, მაიამ თავი ველარ შეიკავა და ნიკოს ჰკითხა:

— შვილო, როგორ მიაგენით ამ სამადლო საქმეს?

— სულ ადვილად, ბატონო ჩემო! აწ განსვენებულ ბებიასა და დედაჩემს ცოდნიათ ხალხური წამლები, რომლებითაც ისინი ავადმყოფებს მკურნალობდნენ. ჯერაც არ არიან ჩვენს კუთხეში ექიმები და აბა, მაშინ სად იქნებოდნენ? სოფლელები დაჩვეული იყვნენ ჩვენი ოჯახებისაგან ასეთ დახმარებას. მეც გადავწყვიტე განმეგრძო ეს საქმე, რათა ხალხს ნუგეში არ წართმეოდა. რა თქმა უნდა, ყოველი სნეულებისაგან ჩვენ ადამიანს ვერ განვკურნავთ, ზოგს ტკივილებს შეეამეცებთ,

ზოგს მთლიანად მოვარჩენთ, ზოგსაც სულიერად გავამხნევებთ. მოგეხსენებათ, დიდს ნიშნავს ადამიანისათვის სულიერი სიმაგრე. შეძლების მიხედვით ვცდილობ ეს მაინც გავაკეთო, რადგან სახოგადოებრივ საქმეებს, როგორც ხედავთ, თანდათან ჩაძოვშორდი.

— დიდი საქმეა, რასაც აკეთებ, შვილო, მაგრამ საზოგადოებრივ საქმეებს შენისთანა გონიერი და კეთილშობილი კაცი უნდა ედგას სათავეში და მაშინ წაიწევა ქვეყანა წინ.

— მე რა ქვეყნის წამწეი გახლავართ, ბატონო! ჩემს კუთხეს თუ რამე პატარა სარგებლობას მოვუტან და შვილებს სამშობლოს ერთგულს გავზრდი, თავს ვალმოხდილად ვიგულებდი.

— შენი შვილები, უეჭველია, სახელოვანი იქნებიან კარგი მშობლების ზეგავლენით აღზრდილნი, არ გადაგვარდებოდნენ ჩემი მაზლისწულებივით და ნაწილობრივ ჩემი ვაჟივით.

— რასა ბრძანებთ, ბატონო! ჩემი და ჩემი შვილების პიროვნები რა შესადარია თქვენი და თქვენი მაზლისწულების მდგომარეობასთან? ისინი თავიდანვე მიჩვეული იყვნენ ნებივრობას, ლაღ, დიდკაცურ ცხოვრებას.

— ვერაფერი სარგებლობა მოუტანია ასეთმა აღზრდამ ჩვენს შვილებს, ნიკო. მე, დიახ, მომხრე ვარ ასეთი ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, რომელსაც შენ მისდევ. ჩემი დიდი ხნის სურვილი იყო მენახა შენი ქებული ბიბლიოთეკა, შენი სამუშაო ოთახი, სადაც შენ ამდენ სასარგებლო რამეს ქმნი.

— დიდი სიამოვნებით, ბატონო! — თქვა და წამოდგა ნიკო, მკლავი გაუწოდა, რათა ხელით დაყრდნობოდა მაია, და თავის სამუშაო ოთახში შეიყვანა.

გრიშა და გიგიშა მთელი ამ საუბრის დროს მათთან იყვნენ. გრიშა დედის ახლო იჯდა.

მაიას განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ოთახს თვალი მოავლო. უზარმაზარ ოთახში მრავალი კარადა და თარო წიგნებით იყო სავსე, ხოლო შუა ოთახში დიდი საწერი მაგიდა იდგა. მაგიდაზე ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთები ეწყო. სახალხო ბიბლიოთეკაზე მაიას შორეული წარმოდგე-

ნა ჰქონდა. მამისა და ბიძის ოჯახებშიც ბევრი წიგნი იყო, ახლა დაეითის და გრიგოლის ბიბლიოთეკაც მოაგონდა, მაგრამ ამის მსგავსი მას არაფერი ენახა არასოდეს. კონსტანტინეს სამუშაო ოთახი ხომ მთლად უბადრუკად მოეჩვენა ამ ოთახთან შედარებით. გულში უსიამოვნო ფიქრმა გაუელვა.

„სულ არაფერი არ ყოფილხარ, მაია! ამის გაკეთებას მაინც ვინ გიშლიდა. ამას მაინც რად ვერ მოაბი თავი?" — ფიქრობდა ის.

ნიკო გულდაღებით უხსნიდა მაიას და გრიშას, თუ რომელ კარადაში რა წიგნები ეწყო: სასულიერო, საერო, ქართული და რუსული, ფრანგული და ლათინური, ქართული ძველი სამკურნალო კარაბადინები. ერთ დიდ კარადაში მრავალი პატარა ყუთი ელაგა. ყოველ ყუთს თავისი წარწერა ჰქონდა: ტუხტის ყვავილი, ხარისძირა, მრავალძარღვა, დაფნის ფოთოლი, ბროწეულის კანი და სხვა... იყო კიდევ პატარა ყუთები შემდეგი წარწერებით: ნაღველი მგლის, დათვის, ტურის და სხვა...

— ეს სამკურნალო აფთიაქი გახლავთ! — ღიმილით და ოდნავი ირონიით აუხსნა ნიკომ მაიას.

მაია აღტაცებით უცქეროდა ამ მშვენიერ ვაჟკაცს, რომლის შინაასიანი, ლამაზი და მეტყველი სახე მიწიერს არ ჰგავდა. სათვალეებით დაფარულმა მისმა თვალებმა მაიას გული ნდობითა და სითბოთი განმსჭვალეს. ნიკოს დიდკაცური უბრალოება, საქციელისა და სიტყვა-პასუხის სისადავე მის დიდ განაილებას მოწმობდა. მაია მზად იყო, ამ ოთახში მთელი დღე გაეტარებინა, მაგრამ ნიკომ ზრდილობიანად უთხრა:

— ბატონო ჩემო, დაგღლით ამდენი საუბარი, ხომ სამკურნალოდ ჩამობრძანდით? ახლა მოისვენეთ თქვენთვის გამზადებულ ოთახში, შემდეგ ვისადილებთ, ხვალ კიდევ განვაგრძოთ დათვალიერება. თუ ინებებთ, ავადმყოფებსაც გიჩვენებთ.

— მე კი ვფიქრობდი, შვილო ჩემო, ამ საღამოს ისევ აბანოსკენ გამგზავრებას.

— არა, ბატონო, მე მაგის ნებას, როგორც „ექიმი“, ვერ მოგცემთ, — თქვა ნიკომ და გაიცინა.

— არა მიშავს რა. მე ძალიან ამტანი გახლავართ, მრავალი ჭირი გადამხდომია.

— ბატონო ჩემო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე უფლება მაქვს, როგორც მასპინძელს, არ გაგიშვათ, გთხოვოთ დარჩენა.

ნიკო პატივისცემით განეწყო მაიასადმი და უკვირდა, თუ რატომ ეძახდნენ ამ ქალს მკაცრსა და მიუკარებელ ადამიანს.

* * *

მაია ნიკოს სასახლიდან მდიდარი შთაბეჭდილებით დაბრუნდა. ხიბულაში ჩასული აღტაცებით უყვებოდა თავისიანებს ნიკო დადიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. გულის სიღრმეში ნანობდა, რომ ვერც ერთი მისი შვილი ვერ განათლდა, ვერც ამაღლდა, უმაღლეს ზნეობრივ საფეხურს ვერ მიაღწია, ვერ დათესა ხალხში სასარგებლო აზრი და საქმე.

— უჩა, უჩა, შენღა დამრჩი ერთადერთი იმედი, შენ მაინც გაამართლე მოლოდინი! — ჩაილაპარაკა მაიამ.

მაია ხშირად უკითხავდა თავისიანებს ნიკო დადიანის ლექსებს, რომელიც მას მაიასათვის ეთავაზებინა ნოქალაქევში ყოფნის დროს. მაიას ხომ ყველა ჟურნალ-გაზეთი გამოწერილი ჰქონდა. ის განსაკუთრებული სიამოვნებით კითხულობდა ნიკოს წერილებს, რომელიც მაშინ ხშირად იბეჭდებოდა. ნიკოს ლექსებში მაიას ყველაზე მეტად უყვარდა მისი სიჭაბუკის ლექსი, რომელიც ბერთემში სტუმრობის დროს ნიკომ მაიას თავისი ხელით გადაუწერა:

„მიყვარს წარსული, აწმყოს ვემდური
და მომავალსა ნუგეშით ველი“.

მაია ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა, როგორც თავისი გულისნადების გამოძახილს, შემდეგ ისევ თავის გაკიცხვას შეუდგებოდა.

„მე სახარბიელო აწმყო არა მაქვს, სიძველი მომავალი? რა მომავალი უნდა მქონდეს?“

— ნიკოსთანა ადამიანები იშვიათად იბადებიან, მაია ბატონო, — ეტყოდა ხოლმე გულდაწყვეტილ მაიას ონისიმე. — ის ბუნებითაც სხვანაირი კაცია, ცხენოსნობა არ უყვარს, დროსტარება-ქეიფს გაურბის, ბავშვობიდან დღემდე ყოველ თავისუფალ დროს წიგნებს ჩასჩერებია, შეისვენებს თუ არა, ნაწერებზე ადის, ღამეებს კი ხშირად ვარსკვლავისა და მთვარის ცქერა-დაკვირვებაში ატარებს. აკი მოგახსენეთ, თქვენს გვარში ასეთი კაცი არ გამოსულა-მეთქი.

მაიამ გაიცინა.

— რამდენი შეცდომა დავუშვი მე თვითონ, აი თუნდაც ის, რომ შენ არ გასწავლე, ონისიმე, აუცილებლად ნიჭიერი ხარ, მაგრამ ბედოვლათობას გადაყვეი. შენი ნიჭი და ენამჭევრობა ბატონიშვილების გასართობადღა დაიკარგა. გიგიშამ გაჯობა. მან წერა-კითხვა მაინც იცის, წიგნი უყვარს. „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ზეპირად ისწავლა. შენ კი, ონისიმე, ხელი ვერ შეგიწყვე, თვითონაც ვერ ივარგე. რომ გესწავლა, იქნებ ახლა წარჩინებული კაცი ყოფილიყავი.

— რა წარჩინება მომელოდა. მე რკინიგზების რევიზორად არავინ დამნიშნავდა, შე დალოცვილო! რაც შეეხება წიგნის სიყვარულს, გიგიშაზე ნაკლებად არც ვწერ და არც ვკითხულობ. რატომ არ ვვარგივარ, მე ძალიან მომწონს ჩემი თავი, გიგიშაზე ნაკლებად არც „ვეფხისტყაოსანი“ ვიცი, — თქვა ონისიმემ და გადაიხარხარა.

— ახლა, ონისიმე, ერთი კარგი საქმე გააკეთე: ერთი კარგი მოზვერი, ერთი კარგი უშობელი, ხუთი ცხვარი, ერთი ფუთი თაფლი, ერთი ფუთი დოში, ბრინჯი, სასმელები გამოაწყვე. ნიკო დადიანს, ღარიბთა და სნეულთა მწყალობელს — უნდა გავუგზავნო. თუ თვითონ წლიდან წლამდე ამდენ ხალხს არჩენს, ჩვენც ვალდებული ვართ, მცირე რამით მაინც მოვიკითხოთ, — თქვა მაიამ და შემდეგ მსახურს მიმართა:

— შენ კი, ვერა, გადმოალაგე თეთრეული: ზეწრები, მიათელები, ბალიშისპირები, პირსახოცები, გადაარჩიეთ თორმეტ-თორმეტი ცალი. გავუგზავნი იმ დიდებულ კაცს ავადმყოფე-

ბის საწოლისათვის. ვფიქრობ, არ ეწყინება, მით უფრო, ერთი სისხლი და ხორციდან მოვდივართ, გარეშენი ხომ არა ვართ.

ონისიმემ და გიგიშამ ერთმანეთს გადახედეს. ორთავეს გულში ეცინებოდა, მორიდების გამო თავი შეიკავეს. არ თქვეს პირზე შომდგარი სიტყვები: რის შემდეგ გახდნენ ბერთემელი დადიანები მაიას სისხლი და ხორციო. მას კი ერთხმად უპასუხეს:

— ძალიან კარგი და რიგიანი საქმე გინებებია, ბატონო, ნიკოს, როგორც შეგნებულ კაცს, ძალიან გაუხარდება ასეთი ყურადღება.

— გიგიშა, მე ნუ მოგიკვდები, პეტრე ლაშხია მიხმეთ ერთი. ხომ ისიც ეწევა მკურნალობას? ვურჩევდი ნიკო ბერთემელს ეახლოს, ბევრ კარგ რამეს შეიძენს მისგან. ნიკოს ბევრი საექიმო წიგნი აქვს, როგორც ნამდვილ ექიმს. მართალი მოგახსენოთ, ეს ლაშხია ძალიან მიხვედრილი კაცია, რომელ ავადმყოფობას არ იცნობს. ჩინებულად მკურნალობს ანთებას, ტიფს, ქარებს, სისხლის გაღება ეხერხება, დამწვრისა და ჭიის წამლის გაკეთება, საყმაწვილოსა და რა გნებავთ რომ არ იცოდეს. მეტი რა ქნას კაცმა, საავადმყოფოსა და აფთიაქს ხომ ვერ გახსნის ნიკოსავით. უნდა ვურჩიოთ, აუცილებლად წავიდეს, იქ ბევრ რამეს ისწავლის. ახლა თქვენ რომ წახვალთ, ისიც წამოგყვებათ.

შელახული თავმოყვარეობა

მაიას ქველმოქმედებამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო ცხრაასიანი წლებიდან, როდესაც სამეგრელოში რევოლუციური მოძრაობა ჩაისახა.

მაია გულდასმით კითხულობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ზეპირად გეტყოდათ ილიასა და აკაკის რჩეულ ლექსებს.

საფრანგეთის რევოლუციაზეც ხშირად იყო მსჯელობა მაიას ოთახში. ის ბევრ რამეში ეთანხმებოდა რევოლუციის მესვეურთ, მაგრამ საკუთრების ჩამორთმევის სასტიკი წინა-

აღმდეგი იყო. არც ის სწამდა მაიას, რომ მშობლების ცოდვა შვილებს ეზიდა.

ძლიერ ებრალებოდა სამშობლოდან ლტოლვილი აშილ მიურატი. ეს კაცი სხვის ქვეყანას აფარებდა თავს.

— ალბათ, არ ედგომებოდა იქ, თორემ რაღა აქეთ წამოყვებოდა ცოლს და ჩაგვესიძებოდა? მე ძალიან მიყვარს ჩემი მაზლისწული სალომე. ის დიდებული ქალია, მაგრამ ცოლის ხელსა და თვალში შემყურე ვაჟკაცი მაინც ცოდვაა. — უთხრა ერთხელ მაიამ გიგიშას.

— დიდი უსიამოვნება აქვთ თურმე ოჯახში, — უპასუხა გიგიშამ.

— რაო, რაო, რას ამბობენ? — დაინტერესდა მაია

— სამშობლოს მოწყვეტილი კაცი აბა რა ხასიათზე იქნება. როცა კაცი უხასიათოდაა, იქ უსიამოვნება გვერდითაა ყოველთვის.

— მართალია, დაიტანჯება, შენ ნუ მომიკვდები! პარიზში ნაცხოვრები პრინცი, ნაპოლეონის დის შვილიშვილი. ასეთი დიდი კაცი ზის ახლა სალხინოში, ხან ჭკადუაშში, ირგვლივ ახვევია გონებაჩლუნგი თავადაზნაურების საზოგადოება. რამ უნდა გაამხიარულოს?

— დიდო ქალბატონო, კაცი ყველაფერს აიტანს, თუ შეეგუა თავის მეულლეს. მეეჭვება, რომ აშილი ამ მხრივაც თავისი ბედის კმაყოფილი იყოს. სალომე ძლიერ მშრომელი და განათლებული ქალია, მაგრამ გადაჭარბებულად ჯიუტი, ყველგან და ყველაფერში თავისი ნება-სურვილი უნდა გაიტანოს. ალბათ ეს აწუხებს თავმოყვარე ფრანგს.

მაიას გაუკვირდა გიგიშას ასეთ წინდახედული სიტყვები. ის კიდევაც ეთანხმებოდა მას გულში.

— დიდებული კაცია აშილ მიურატი, გადაიცვამს სამუშაო ხალათს, უბრალო გლეხივით მუშაობს ბაღ-ბოსტანში. ვენახს თავისი ხელით სხლავს, ჩემი თვალით მინახავს. მაგისთანა ხასიათის კაცს ქალი კი არა, ეშმაკი შეეწყობა, — თქვა მაიამ, — თუ არ მუშაობს აშილი, კითხულობს, საფრანგეთიდან იწერს ჟურნალ-გაზეთებს. ხშირად განმარტოვდება თურმე და დიდხანს ზის ჩაფიქრებული. ყველა გრძნობს, რომ ასეთ

წუთებში აშილი თავის საყვარელ სამშობლოზე, თავის წარსულ დიდებაზე ფიქრობს. ერიდებიან მის ახლოს გავლასაც კი, მისი მყუდროების დარღვევას.

— ასეა, — ჩამოართვა სიტყვა მაიას გიგიშამ, — თუ ადამიანი ოდნავ კეთილშობილი და მგრძნობიარეა, სამშობლოს მოშორება, რასაკვირველია, შეაწუხებს, არავითარი კარგი ცხოვრებით არ შეიძლება სამშობლოს სიყვარულის დავიწყება. ბედნიერებას ვერ იხილავს მშობლიურ მიწას მოწყვეტილი ადამიანი. ხის ფესვი ვერ ხარობს თავისი ნიადაგიდან ამოგლეჯილი. პატარა, უსუსური მერცხალიც კი ეძებს თავის ბუდეს. გაზაფხულზე რომ მოჭიკჭიკდება, თუ ბუდე დანგრეული დაუხვდა, გული ეტკინება, უმალვე ახალი ბუდის კეთებას იწყებს იმავე ადგილას ან იქვე ახლოს.

— მართალია, ჩემო გიგიშა, მამულის სიყვარული ღრმად ზის ადამიანის ბუნებაში. ვისაც ეს დიდი გრძნობა არ გააჩნია, მისგან არაფერი გამოვა.

ამ საუბრის შემდეგ მაიას ჭკადუაშიდან დიდად საწყენი ამბავი მოუტანეს აშილ მიურატის გარდაცვალების შესახებ.

მაია უზომოდ შეაწუხა ამ ამბავმა. მის აღელვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გაიგო, რომ აშილი თვითმკვლელობის მსხვერპლი გამხდარიყო.

მაიას უნდოდა გაეგო, რამ აიძულა პრინცი ცხოვრებას ასე ტრაგიკულად განშორებოდა, მაგრამ მაინც არ იკადრა კითხვა, ხოლო ამბის მომტანმა თავი შეიკავა მოჰყოლოდა ოჯახის საიდუმლოებას, დარხეულ ჭორსა თუ მართალს.

მაია აშილის დაკრძალვაზე ვერ წავიდა, აღარც ღონე შესწევდა საამისოდ და არც უყვარდა ტირილში სიარული. გასვენების წინადღით რამდენიმე უღელი ხარი და ორმოცამდე ცხვარი გაგზავნა განსვენებულის ოჯახში. გრიშა დაიბარა ტირილის წინ, წარჩინებულების თანხლებით გაისტუმრა შვილი.

აშილის სურათი თეჯირის უკან გადადგა.

პრინცს ორი წერილი დაეტოვებინა: ერთი ცოლისთვის, რომელშიც ეწერა:

„დღეს თქვენ ყოვლად გაუსწორებელი შეურაცხყოფა მო-

მაყენეთ. არ მიიღეთ მხეცეელობაში, რომ მე სხვისი ხელქვეითობა არ შემიძლია. მე ქალს, არათუ თქვენისთანა საპატიოს, გარეშესაც და უბრალოსაც პატივს ეცემ. დღეს თქვენ ყველაფერს გადააჭარბეთ ჩემს მიმართ. ამის შემდეგ არ ღირს ჩემი სიცოცხლე. გმადლობთ ყველა კარგი გრძნობისათვის ჩემდამი. ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემი მოქმედებით შეგაწუხეთ. შვილებს გაუფრთხილდით, იმათ ტანში ჩემი სისხლი ჩქეფს".

მეორე წერილში აშილი აღნიშნავდა, რომ თავს იკლავს სიცოცხლის მობეზრების გამო. მთავრობას თხოვდა — მის სიკვდილში ბრალი არავისთვის დაედოთ.

თუმცა ცოლის სახელზე დაწერილი წერილი საიდუმლოდ იყო შენახული, მას არავის უკითხავდნენ, მაგრამ პრინცის სიკვდილის მიზეზი და წერილის შინაარსი მაშინვე გავრცელდა სასახლეში.

ყველამ იცოდა ის უსიამოვნება, რომელიც აშილს თავის მოკვლის წინა დღეებში შეხვდა. აშილის სიკვდილის დროს მთელი ჯალაბით სალხინოში იყვნენ მიურატები. სალომეს ხომ აქ დედის მიერ გამართული დიდი სასახლე და მეურნეობა ჰქონდა. დიდშემოსავლიანი მამული ოჯახის იქ ყოფნას თხოულობდა. მათ ზუგდიდშიც ჰქონდათ სახლი, მაგრამ ეს სახლი არცთუ ისე დიდი გემოვნებით იყო აგებული.

სალომეს არ უყვარდა ზუგდიდის სახლი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისმა ძმამ, ნიკომ, მამისეული სასახლე გაანახლა დიდებული პარკითა და ბაღებით, სალომეს სახლი მასთან შედარებით საცოდავად გამოიყურებოდა.

თავმომწონე და პატივმოყვარე იყო სალომე, უნდოდა მისი კუთვნილი სახლ-კარი და მამული მდიდრული, ლამაზი ყოფილიყო. მისი სახლი კი სრულებით არ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნილებას. თუ სახლს დაარღვევდა, ძველი სახლის მასალა არაფრად გამოადგებოდა. ქმარმაც ბევრჯერ ურჩია სახლის დარღვევა და მის ადგილას ახლის აგება. არც აშილს უყვარდა ეს სახლი, მაგრამ სალომე არ დათანხმდა, რადგან ახალი სახლის აშენებას დიდი ხარჯები უნდოდა.

სალომემ სხვა გამოსავალი მოძებნა. სახლი დააზღვევა, რა თქმა უნდა, ბევრად მეტ ფასში, ვიდრე იგი ღირდა. სალო-

ბეს ჯერ კიდევ დიდი გავლენა ჰქონდა მმართველ წრეებში.

მიურატმა არაფერი იცოდა სახლის დაზღვევის შესახებ. ცოლმა განგებ არ უთხრა მას, რადგან კარგად იცოდა ქმრის ხასიათი. ბოლო ხანებში ზუგდიდში სახლის შესახებ ლაპარაკი შეწყდა. როგორც კი აშილი ამ სახლს მოიგონებდა, ცოლს ეტყოდა: სახლი მეტისმეტად მიგდებულია, ან შევაკეთოთ. ან გავყიდოთო. სალომე მუდამ სხვა საგანზე გადაიტანდა ლაპარაკს. შემდეგ პრინცმაც მიატოვა ამაზე ლაპარაკი.

ერთ დღეს ზუგდიდიდან მოსულმა, პრინცესას მამულების ვექილმა, არასასიამოვნო ამბავი მოიტანა: ზუგდიდის სახლი დამწვარიყო. აშილი შეწუხდა, სალომეს კი წყენაც არ დაეტყო.

სადილად დასხდნენ. სალომე კარგ გუნებაზე იყო. აშილს ბავშვივით უხაროდა მეუღლეს კარგ ხასიათზე რომ დაინახავდა. ახლა ისიც გაუხარდა, რომ მისი ანგარიშის მოყვარული მეუღლე ზუგდიდის სახლის დაწვის ამბავს ასე ადვილად შეურიგდა.

რამდენიმე თვის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. სალომე მიურატი ქართულ გაზეთებს იწერდა. აშილი კი — რუსულსა და ფრანგულს. ახალმოსული გაზეთები სალომემ იმ დროს გადაათვალიერა, როდესაც მისი მეუღლე ბაღში ვაზს სხლავდა და ფრიად არასასიამოვნო ამბავი წაიკითხა: გაზეთის კორესპონდენტი ამტკიცებდა: სახლი სალომე მიურატისას მაღალ ფასებში ჰქონდა დაზღვეული და ამიტომ დააწვევინაო.

ამ ამბავმა ძლიერ ააღელვა პრინცესა, მაგრამ კიდევ უფრო ააღელვა იმის წარმოდგენამ თუ რა დაემართებოდა აშილს, როცა ამ ამბავს გაიგებდა.

გაზეთი საჩქაროდ დამალა. ეს ამბავი მხოლოდ თავის ერთგულ ვექილს გაანდო და თან შეეკითხა:

— რა პირობებში დაიწვა სახლი, ასეთი სამარცხვინო ჭორი რომ გავრცელებულა?

— აკი მოგახსენეთ, დიდი ქარი იყო იმ ღამეს. სახლის მცველს უკანა ოთახში ჭრაქი დარჩენოდა. იმ ხეპრე დარაჯს

მხოლოდ მაშინ გაღვიძებოდა, როდესაც სახლი უკვე ცეცხლის ალში იყო გახვეული, მაშინ კი წამოვარდნილა ნახევრად ჩაუცმელი, ჯერ ეკლესიაში შესულა ზარის დასარეკად, შემდეგ ჩემსას მოერბინა. ხალხი შეგროვილიყო. რაღას უშველიდნენ, ძველი სახლი ერთ საათში ფერფლად იქცა.

— შენ სად იყავი იმ დროს?

— ჭკადუაშში გახლდით. მამულებს მივაკითხე. თავდაუხსნელი გლეხებიდან ფულის აღება ერთობ გაჭირდა, ბატონო! არ იძლევა, თუ ვერ იძლევა, უნდა დააკვდე. სანამ ორ კაპიკს გამოართმევ, ისიც მუქარით, მამასახლისისა და იასაულის დახმარებით.

— საინტერესოა, ვინ მყავს ასეთი მტერი, ეიცოდე მაინც! ვინ დაწერა ეს წერილი?

— ეშმაკმა იცის, ბატონო, მტერი თქვენისთანას ეყოლება, აბა გაჭირვებულსა და ოხერს ვინ შეამჩნევს?

თითქოს ყველაფერმა უმტკივნეულოდ ჩაიარა.

რამდენიმე თვის შემდეგ, სრულიად შემთხვევით, აშილი იმ გაზეთს წააწყდა, გადაათვალიერა და საბედისწერო კორესპონდენცია წაიკითხა.

საღამო იყო. აღელვებული აშილი მთელი საათი ბოლთასა სცემდა თავის კაბინეტში, არც ჩაიზე გამოვიდა.

სალომემ ქმართან შესვლა მოინდომა, კაბინეტის კარებამდე მივიდა, რაკი ოთახში სრული სიჩუმე სუფევდა, ალბათ კითხვით არის გატაცებულიო, — გაიფიქრა და გაბრუნდა. აშილი საწოლ ოთახში მხოლოდ მაშინ შეეიდა, როდესაც დარწმუნდა, რომ მთელ ოჯახს ეძინა.

მეორე დილით, საუზმის დროს, სალომეს აშილის სახე ეუცხოვა. თვალებში დროდადრო უჩვეულო გამომეტყველება უკრთოდა.

სალომემ შიშნარევი ყურადღებით მიმართა მეუღლეს:

— ავად ხომ არ ბრძანდებით, აშილ? მე რაღაც თქვენი სახე არ მომწონს ამ დილით.

აშილმა თვალი თვალში გაუყარა და არაფერი უთხრა.

სალომემ ვერ გაუძლო საყვედურით სავსე თვალების ცქი-

რას. პრინცის აქამდე ლმობიერ თვალებში თანდათან ცეცხლის ნაკვესები ძლიერდებოდა.

— ნუთუ თქვენ გაკვირვებთ, პრინცესა, ჩემი სახის ასეთი გამომეტყველება მას შემდეგ, რაც ჩვენი ოჯახი ესოდენ სამარცხვინო საქმეში გაეხვა? მე გაზეთი ვნახე. აბა, იფიქრეთ, ღირდა ის ქოხი თუნდაც იმის მეათასედად, რაც ჩვენ იმის გამო სირცხვილში ჩავვარდით? ამიერიდან ხომ ქვეყნის ყბადასაღები გავხდით?

სიტყვა „ქოხის“ ხსენება ელდასავით ეცა სალომეს.

— თქვენო ბრწყინვალებავ, ქოხები არც მქონია და არც მაქვს. ჩემი წინაპარი ქოხიდან არ გამოსულა.

— რა გნებავთ ამითი თქვათ? ხომ არ გსურთ მითხრათ, რომ ჩემი წინაპარი გამოვიდა ქოხიდან? — თქვა აშილმა და მწარედ გაიღიმა.

— მე არაფერიც არ მინდა ვთქვა. საზოგადოდ, ზედმეტად მიმაჩნია ამ საგანზე თქვენთან ლაპარაკი. თქვენ სრულებით არ გეხებათ ეს საქმე, მე ჩემი ქონების პატრონად ვვარგივარ, ეს ყოველივე ჩემი საქმეა, სხვას არავის ეხება.

ეს ამბავი დაწვრილებით მოუყვა დედას, ტირილიდან დაბრუნებულმა გრიშამ.

— მიურატს ერთი სიტყვაც აღარ უთქვამს თურმე, — განაგრძო გრიშამ, — ამდგარა, ბოდიში მოუხდია ცოლთან და თავის კაბინეტში შესულა. ერთი საათის შემდეგ პრინცის კაბინეტში თოფი გავარდა. შეზლონგზე გადაწოლილი მიურატის მკერდიდან სისხლი ჩქეფდა. წერილები კი მაგიდაზე იყო.

მაიამ პირჯვარი გადაიწერა, კრიალოსანი დამარცელა და ჩუმად ჩაილუღლუღა:

— ღმერთო, შეუნდე ჩვენს ქალს მისი შეცოდებანი! როგორ შეუმზადებია ქმრის სიკვდილი...

შემდეგ დასაფლავებისა და სალომეს მწუხარების ამბავს მოუყვა გრიშა.

— სალომეს დიდი პატივი სცეს ბატონიშვილებმა დავითმა და კოწიამ. მთელი ტვირთი სამეგრელოს ადათით კაცის დასაფლავებისა, ჩემს ბიძებს დააწვა თავზე. შესანიშნავად და-

იტირეს. სალომე დიდად დავალებულად გრძნობს თავს. სასახელო ბიძებს ეძახის შენს ძმებს. საბრალო სალომეს დიდი საშინელება დაატყდა თავზე, მოულოდნელი მწუხარება, სირცხვილი, ხალხის უმადურობა და გაუთავებელი მითქმა-მოთქმა...

— ხუმრობა საქმეა, შვილო ჩემო! ჯერ მტერი რომ მოვენდოს და თავი შეაფაროს შენს ჭერქვეშ, მას უნდა პატივი და დათმობა, თორემ ახალგაზრდა კაცი, თავის ქვეყანას მოწყვეტილი, სიყვარულით შეუღლებული, მშვიდი, პატიოსანი ქმარი თვითმკვლელობამდე მიიყვანო განათლებულმა ქალმა? ძნელი გადასატანია. მიურატი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. ორმოცდაათი წელი ადამიანის ცხოვრებაში მხოლოდ შემოდგომის დასაწყისია.

* * *

ზამთრის პირი იდგა. ერთფეროვან დღეებს მოწყენილობა შეჰქონდა მარტოდ დარჩენილ მაიას ოთახში. გაზეთებისა და წიგნების კითხვით ერთობოდა.

— გაზეთები ხომ არ მოუტანიათ? — პირველად ამას კითხავდა დილით მოახლეს.

გაიგო თუ არა მაიამ გაზეთები ადრე მოეტანათ, ადგა, ისაუზმა, შემდეგ სავარძელში ჩაჯდა და გაზეთებს დაუწყო თვალიერება.

— ეს კიდევ რა უბედურება მომხდარა! — ელდა ეცა მაიას, თითქოს თვალს არ უჯერებსო, უფრო ახლოს მიიტანა გაზეთი თვალებთან.

— რა მომხდარა, ბატონო? — შეეკითხა მოახლე ქალი.

— ნიკო დადიანი გარდაცვლილა.

— ბატონო, ის ფილოსოფოსი ნიკო, თქვენ რომ მასთან ბრძანდებოდით, ბერთემში?

— ის, ის, ჩემო ვერა. ვაი ჩემს დღეს! რაც ჩვენ გვარში კარგი და სასახელოა, მიდის და მიდის. — დამწუხრებული ხმით თქვა მაიამ და ხმამაღლა წაიკითხა სამგლოვიარო განცხადება.

— ნეტავ გიგიშა თუ სახლშია? გადმოვიდეს, კარგი იქნება, ეს ამბავი, ალბათ, ჯერ არ ეცოდინება.

— ახლავე კაცს გავგზავნი, ბატონო, — უთხრა ვერამ და ოთახიდან გავიდა. სულ მალე გიგიშა მაიას ოთახში გაჩნდა.

— საკვირველია, რა უნდოდა ოსეთში, ვერ მომიფიქრებია. თავის ოჯახში ბრძანებულიყო, იქნებ ეს არ მოსვლოდა.

— მოგახსენებენ, იქ კონსტანტინე დადეშქელიანის შვილები რომ არიან გადასახლებულნი, იმათ სანახავად წაბრძანებულა. კარგა ხანია, რაც იქ ყოფილა, ბატონო, გამგზავრებული. ამას წინათ გრიშას ვახლდი ბერთემს და იქ გავიგეთ. ალბათ, მოასვენებენ ბატონო!

— რასაკვირველია, თავის სამშობლოში წამოასვენებენ. აბა, იქ ხომ არ დატოვებენ?

„ნეტავ ჩემი ძვირფასი უჩა ჩამოყვებოდეს ნიკოს ნეშტის გამომცილებლებს, — გაიფიქრა მაიამ, — მაგრამ ვინ გამოუშვებს ახლა აქეთ უჩას. მეფის კარზე მსახურობს ჩემი ბიჭი, საქმის კაცია, ენაცვალოს დედა. სანამ სწავლობდა, ყოველ ზაფხულს არდადეგებზე ჩემთან ჩამოვიდოდა. მეტად კეთილია. გულით კი ჰგავს უბედურ კონსტანტინეს. საქმით ეტყობა, არ დაემგვანება. არა, უჩასგან სასახელო კაცი დადგება. ეს ნიკომაც მითხრა. არა, ნიკოს ცხედარს უთუოდ ჩამოყვება უჩა. მას საბრალო ნიკო ღვიძლ ბიძასავით უყვარდა“.

მაია გულს იოხებდა, რომ საქმით არ ჰგავდა უჩა კონსტანტინეს, თორემ სინამდვილეში უჩა, ეს ერთადერთი იმედიც მამის კვალი და ასლი იყო. ისიც, როგორც კონსტანტინე, თავის სიამოვნებაზე ფიქრობდა მხოლოდ. დროსტარებაში და ქეიფში ატარებდა დღეებს. ნაკლებად ფიქრობდა დაწინაურებაზე, საქვეყნო საქმეზე. დედას სულ ფულს სთხოვდა. არ ერიდებოდა ხარჯვას, არ წუხდა იმაზე, თუ საიდან უნდა გაეგზავნა დედას მისთვის ამდენი ფული.

უჩასათვის განკუთვნილი მამულის შემოსავალი უჩას მოთხოვნილების მეხუთედსაც არ აუდიოდა. დანარჩენი ფული მაიას უნდა ეშოვა მისთვის. მაია ხშირად სწერდა საყვედურისა და დარიგების წერილებს. ფლანგვით და დროსტარებით პეტერბურგის არისტოკრატიას ვერ გააკვირვებ. ჯობია საქმით ეცადო თავი მოაწონო ხალხსო. მაგრამ უჩას დედის წერილები მხოლოდ ერთი წუთით დააფიქრებდა. შემდეგ ისევ თავის ცხოვ-

რებას უბრუნდებოდა. სანამ მაქვს, ვიცხოვრებ ჩემს გემოზეო, ფიქრობდა იგი, არ მექნება და ანასუნი ჩემს საქმესო.

დედას კი სასიყვარულო, გულთბილ წერილებს უგზავნიდა პასუხად. ამიერიდან შენი რჩევით და მითითებით ვიცხოვრებ. ოღონდ გამიმართე ხელი, მეკალეებთან ნუ შემარცხვენ და მერე თუ გთხოვო, თვალებში ჩამაფურთხეო. დაპირება დაპირებად რჩებოდა, მაგრამ დედა თვალებში შესაფურთხებლად მაინც ვერ იმეტებდა ერთადერთ იმედს.

ს ტ უ მ რ ა დ

უჩა დადიანი რუსეთის მეფის სასახლის ცხენოსანი ნაწილის ოფიცერი იყო. ხელმწიფის ოჯახში თითქმის შინაურ კაცად ითვლებოდა. მთელი სასახლე აღტაცებაში მოჰყავდა მის გარეგნობას, ჩაცმა-დახურვას, სიმარდეს, ენამახვილობას. ბევრ დიდგვაროვან ქალს უძგერდა მისთვის გული.

მაია კმაყოფილი იყო უჩას პეტერბურგში ცხოვრებითა და იმ პატივით, რომლითაც უჩა ხელმწიფის სასახლეში სარგებლობდა. წერილებსაც იმედიანს ღებულობდა, ხან თვით უჩასაგან, ხან მისი ერთგული მხლებლის — პორფი ფიჩხაიასაგან. ასე განვლო თითქმის ერთმა წელმა. უჩა ბოლო წლეპში ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში. მაიამ არ იცოდა მიზეზი, რად შეუყვარდა უჩას ამრიგად ქუთაისი. ახლო მეგობრებმა იცოდნენ, რომ უჩა ქუთაისში ცნობილი თავადის ერთ ლამაზ ქალზე ჭკუას კარგავდა. ეს ქალი მისი ახლო ნათესავის მეუღლე იყო.

უჩას ეს ქალი რომ მოეწონა, მაშინ იგი ჯერ კიდევ პაჟთა კორპუსის უკანასკნელ კურსზე იყო. ერთხელ არდადეგებზე დედასთან წამოსულმა ბიძამისს, გრიგოლ დადიანს გამოუარა ქუთაისში და რამდენიმე დღე გაატარა იქ. ახალგაზრდა ვაჟს საულვაშე ბუსუსით ჰქონდა დაფარული. პაჟის კორპუსის მკაცრი რეჟიმის შემდეგ ჭაბუკი ყველაფერს აღტაცებაში მოჰყავდა.

ერთ დღეს გრიგოლთან სადარბაზოდ მოვიდა ალექსანდრე დადეშქელიანი, მაიას ახლო ნათესავი.

ალექსანდრეს თან ახლდა მეუღლე, — ახალგაზრდა, ლამაზი,

ბაბილინა ერისთავის ქალი, რომელიც ოცდაშვიდი-ოცდარვა წლის იქნებოდა. უჩა მასთან შედარებით ბავშვი იყო, სულ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა. ნათესაური იყო დადეშქელიანისა და მისი ცოლის შეხვედრა უჩასთან. მათ უჩა შინ მიიწვიეს, აღტაცებულნი იყვნენ მისი სილამაზით, განათლებით.

საბედისწერო შეიქნა უჩასათვის ეს შეხვედრა. ვინ იცის, რამდენჯერ დასწყევლა შემდეგში უჩამ ის საათი და წუთი, როდესაც პირველად ნახა ბაბილინა. დავაჟკაცებამდე თან სდევდა ბაბილინას სიყვარული, გასაქანს არ აძლევდა. ვერც ხელმწიფის სასახლემ, ვერც მაღალმა საზოგადოებამ, ვერც ახალმა გატაცებებმა ვერ დაჰფარა ბაბილინას მომაჯადოებელი სახე უჩას მეხსიერებასა და გულში. სადაც არ უნდა ყოფილიყო, მუდამ თან სდევდა მისი ელვარე თვალები, კილოაზიდული წარბები.

ახალგაზრდა ვაჟი დიდხანს ვერ ბედავდა თავისი გრძნობის გამჟღავნებას. სწორედ ეს გრძნობა არ ასვენებდა უჩას პეტერბურგში, ამ გრძნობას მოჰყავდა ის ხშირად ქუთაისში.

არ დაიმალება ასეთი ამბავი, მეტადრე პატარა ქალაქში. მალე ბაბილინას თანაგრძნობა შეეყარებული ვაჟისადმი ყველასათვის შესამჩნევი გახდა.

ეს ამბები მაიას ყურსაც მისწვდა, თუმცა ყველა უმალავდა ამას, უფრო მეტად თვით უჩა.

ახალგაზრდა, თავაზიანი, კარგი თვალტანადი, ენატკბილი უჩა ყველას უყვარდა. ის ქველმოქმედი კაცი იყო. ბევრ ღარიბ სტუდენტს აძლევდა ფულად დახმარებას.

უჩა უბრალო ჯარისკაცებსაც ამხანაგურად ექცეოდა, მათთვის მძიმე, მაშინდელი სამსახურის პირობები ბევრჯერ შეუმსუბუქებია, მატერიალური დახმარებაც ხშირად გაუწევია. ყოველივე ამას ივონებდა მაია. მისი ხასიათის თავისებურება ის იყო, რომ გარეშეებთან არასოდეს არ იკადრებდა უჩას ქებას, მხოლოდ უახლოეს ადამიანებთან, განსაკუთრებით გრიგოლთან დაიწყებდა უჩას ღირსება-ნაკლზე ლაპარაკს.

გრიგოლმა, მართალია, აშკარად არ აცნობა რძალს ეს ჭორები, მაგრამ ეჭვი დაებადა გულში, რომ უჩას ხშირი სტუმრობა ქუთაისში, ალბათ, სულ უმიზეზოდ არ ხდებოდა. გრიგოლმა სთხოვა რძალს: შენ ჩემზე უმცროსი და ყოჩაღი ხარ, ჩემს სიკვდილამდე ერთხელ კიდევ მინახულეო.

გრიგოლს რძლის სტუმრობა ეამებოდა, თან საჭიროდ ხედავდა, რომ მაიას ბეგავლენა მოეხდინა თავის ვაჟზე, რომელიც კარგ სასიძოდ ითვლებოდა არა მარტო საქართველოში, რუსეთშიც — ხელმწიფის კარზე ჩინებულად მიღებული, უგანათლებულეს თავადად წოდებული.

მაიას უკანასკნელი იმედი ხომ უჩა იყო. უჩას უნდა დაებრუნებინა მაიასათვის მისი ოჯახის დიდება. რას მიაღწია გრიშამ, ბეირთო ღარიბი ოჯახის შვილი და მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი გასდა. რა ეკითხება მას? თავადაზნაურობამ ერთი გაჭირვებული ბანკი დააარსა. ამ ბანკმა კი მთლად შთანთქა თავადაზნაურთა მამულები, ოჯახები გაანადგურა. მათ ავლადიდებას ვაჭრები და უცხოელი ჩარჩები ისაკუთრებდნენ.

მაიას უჩაზე დამყარებული მთელი იმედები ენგრეოდა, თუ მის ყურამდე მოსული ჭორები გამართლდებოდა. მაზლის დაჟინებითი ლაპატიჟებით ეჭვები დაუდასტურდა. მაიამ არ დააყოვნა, ქუთაისს გაეშურა.

მიდიოდა ქუთაისში მაია და ბოღმით საკუთარ თან მიჰქონდა.

„როგორ, ჩემი ერთადერთი იმედი, უჩა, ისე გადაგვარდა, დაკარგა ნამუსი, რომ საპატიო ქართველი ოჯახის სახელის გამტეხი შეიქნა? ვაჟს გამიჯნურება მიეტევება, — ფიქრობდა მაია,— მაგრამ გააჩნია სად და ვასთან. ვაჟკაცი რის ვაჟკაცია, თუ სიყვარულით ისე დაუბნელდება თვალები, რომ თავისიანის პატივმოყვარეობას დაკარგავს, მისებრ ვაჟკაცს პატივს აჰყრის, შეარცხვენს? მერედა, ვის უპირებს ჩემი შვილი შერცხვენას? ალექსანდრე დადეშქელიანს, რომელიც მასზე უკეთესი თუ არა, არც არაფრით ნაკლებია, ვაჟკაცობით, თვალად, სწავლით თუ საქმით. მრავალშვილიანი კაცია. როგორ გაბედა უჩამ, რომ გულში გაივლო მისი ღალატი?“

მაიას გული დაწყდა. გრიგოლი ჯანგატეხილი დახვდა. ორ წელში თითქოს ოცი წლით მოხუცებულიყო. დიდხანს ლაპარაკიც აღარ შეეძლო.

მაიამ უჩაზე ლაპარაკი არ დაუწყო. უნდოდა ჯერ თვითონ ენახა შვილი. დაკვირვებოდა, სხვებისგან გაეგო მისი ამბავი. შეეჯერებინა გაგონილი და ნახული და ბოლოს ეკითხა გრიგო-

ლისათვის რჩევა. მერე მოლაპარაკებოდა ამ საქმეზე უჩას და მიეღო ყველა საჭირო ზომა, რათა შვილი სახიფათო და სამარცხვინო გზიდან გადაეყვანა.

უჩა ბისით გრიგოლთან იდგა, მაგრამ იქ იშვიათად ათევდა ღამეს. მისთვის ქუთაისში ყველა წარჩინებული ოჯახის კარი ღია იყო. სასტუმროში საუკეთესო ნომერი ყოველთვის დაბეებული ჰქონდა.

ქუთაისელი ქალიშვილები და ქალები ჭკუას კარგავდნენ უჩაზე. დედები და მამები უკეთეს სიძეს ვერ ინატრებდნენ. ამიტომ ქუთაისში არც ერთი ასე თუ ისე შეძლებული და დიდგვაროვანი ოჯახი არ იყო, რომელსაც უჩა არ დაეპატიჟებინოს. უჩასათვის სპეციალურად იმართებოდა ვახშმები და სადილები, სადაც მშობლები თავის ქალიშვილს საგანგებოდ გამოწყობილს გამოიყვანდნენ, რომ მოეწონებინათ სანატრელი სასიძოსათვის.

მაგრამ უჩა ვერავინ ვერ მოხიბლა. მისი გული მარტო ბაბილინა დადეშქელიანისათვის სცემდა და ფეთქავდა.

მაიას ჩამოსვლის ღამეს უჩა შინ არ მოსულა. მაიამ თითქოს სხვათა შორის შეიხედა მის საწოლ ოთახში და პირველი, რაც თვალში მოხვდა, ეს დედის სურათი იყო. უჩას დედის სურათი, ლამაზ და ძვირფას ჩარჩოში ჩასმული, საწოლთან ედგა.

ეს სურათი მაიას გადაუღო უჩას ერთ-ერთმა ამხანაგმა, ხიბულაში არდადეგებზე ყოფნის დროს. მაიამ ბევრი იუარა, ბებერი ქალი აბა რა გადასაღებიაო, მაგრამ უჩამ არ დაუჯერა.

თავისი სურათის დანახვამ შვილის საწოლთან მდგარ ტუმბოზე, ასე ძვირფასი ქვებითა და ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოში, დედას გული აუჩუყა. უცებ გადაავიწყდა ის თუ რისთვის იყო ჩამოსული და ახლა თავისი თვალით რომ ენახა ბაბილინა დადეშქელიანი და უჩა ერთად, შვილს ვერ გაუწყრებოდა.

მთელი ღამე უჩაზე ფიქრში გაატარა მაიამ. „ჩემი უჩა მე ყოველთვის მიგონებდა. არ მომიკლავს გულს, არ მეურჩება, შეისმენს, დამიჯერებს, რასაც ვეტყვი. აქ აღარ დავტოვებ. პეტერბურგს გავისტუმრებ დაუყოვნებლივ, თუ მართლა შევატყვე, რომ ბაბილინას ეტრფის“.

მეორე დღეს გვიან დილით გაეგო უჩას დედის ჩამოსვლა და გახარებული შემოიჭრა სახლში. არავის არ დაერიდა, მოეხვია დედას, დაუკოცნა თვალები, ლოყები, ხელები.

— ჩემო საყვარელო დედა, მაპატიე, რომ პირდაპირ შენთან არ ჩამოვედი პეტერბურგიდან. შერცხვენისა და სასჯელის ღირსი ვარ. აი ჩემი კისერი, შენი ხმლის ქვეშ დამიდვია, — მოფერებით ეუბნებოდა უჩა მაიას.

„არა, არა, — გაიფიქრა გახარებულმა მაიამ, — ამის თვალებისა და გულის პატრონს არ შეუძლია ვინმეს ზიანი მოუტანოს, ოჯახი გაულანძღოს. უჩას არ შეუძლია სულმოკლეობა გამოიჩინოს; უღალატოს ახლობელს, მეგობარს, ნათესავს. ალბათ, შურით და ბოროტებით აღვსილმა ადამიანებმა გამოუგონეს ჩემს ბიჭს ის, რასაც სწამებენ. არა, უჩა წმინდა გულისაა, ალალი გულისაა. ჭკვიანია, ასე არ შეცდება".

— აბა, შემომხედე, დედა, — არ ასვენებდა უჩა მაიას, — არა, არ ბერდები, ისევ ისეთი მშვენიერი ხარ, ამაყი, ლამაზი, სიცოცხლითა და სიმხნევით სავსე. ოო, შენი თავი რომ აჩვენა პეტერბურგელ მანდილოსნებს და მამაკაცებს, არ დაიჯერებენ, რომ ეს ქალი ხიბულაში ცხოვრობს, რომ ეს ქალი ევროპაში არ არის აღზრდილი, რომ...

— კარგი ერთი, უჩა, — გააწყვეტინა სიტყვა ბედნიერმა დედამ, — აბა რა პეტერბურგში გამოსაჩენია შენი ხიბულელი ბებერი. შენი ამბავი მომიყევი, შვილო. როგორ ცხოვრობ, რას აკეთებ?

— ემსახურობ, დედა. ვემსახურები მეფის კარს, — მიუგო უჩამ და მისი სახე რაღაც სევდამ მოიცვა. — უნდა გამოგიტყდე, დედა, რომ არა ვარ ჩემი სამსახურით კმაყოფილი. ჩვენებურად, მეგრულად რომ ვთქვათ, მეფის მოინალე ვარ. მე კი სამხედრო სამსახურზე ვფიქრობდი, შევცდი, დედა. რაიმე ხელობა უნდა მესწავლა. ან ექიმობა ან ინჟინრობა, ვექილობა. მაშინ ნამდვილად გამოვადგებოდი ჩემს სამშობლოს. ნიკო დადიანმა, დედა-ჩემო, თავისი ტანჯული ხალხისათვის ექიმობით, ქველმოქმედებით, იმდენი გააკეთა, რამდენსაც მე ასი წელი რომ ვიცხოვრო, ვერ გავაკეთებ.

მაია აღტაცებით შეჰყურებდა შვილს და ყურს არ უჯერებ-

და. მალიმალ გრიგოლს გადახედავდა დედური სიამაყითა და სიხარულით. გრიგოლიც სიყვარულითა და სინანულით შეჰყურებდა უჩას და გულში ფიქრობდა: „ჩვენი ბრალია, უჩა, ჩვენ ვერ გაგიძეხით, ვერ დაგაყენეთ სწორ გზაზე. ახლა კი გვიანაა“.

— აწი მე სხვა ხელობას ვეღარ შევისწავლი, დედა, — გულისტკივილით განაგრძობდა უჩა, — ასე ფუქსავატურად უნდა გავატარო მთელი ჩემი ცხოვრება. უსარგებლოდ ჩემთვის, ჩემიანებისათვის, ჩემი ქვეყნისათვის. აი, ამიტომ ვერ ვუდებ გულს ვერაფერს და დროსტარებაში ვათენებ და ვაღამებ. მამას არ ვუწონებდი ასეთ ცხოვრებას და თვითონ ვცხოვრობ ახლა ასე... ვუშვებ ბევრ შეცდომას და მაშინღა მივხვდები ხოლმე ჩემს დანაშაულს, როცა გვიანაა გონს მოგება.

უჩა გაჩუმდა. ერთხანს ყველა დუმდა. უხერხული სიჩუმე ისევ მან დაარღვია.

— აბა რამ მომიყვანა აქ, პირდაპირ პეტერბურგიდან, ისე, რომ შენ არ გამოგიარე, ჩემო საყვარელო დედა?! ჩემმა თავქარიანობამ, ჩემმა... ნუ, ნუ მაპატიებ დედა. ჩემს მეტმა არავინ იცის შენი კეთილი გულის ამბავი. ნუ მაპატიებ, მე მოხმარება მინდა და არა პატიება.

დედის გული მიხვდა, რომ უჩას აწუხებდა იმაზე მეტი, რასაც ლაპარაკობდა, გრძნობდა: იმაზე მეტი უბედურება იყო შვილის თავზე, რაც გრიგოლმა უთხრა და რისთვისაც თვითონაც ყური ჰქონდა მოკრული. იცოდა, უჩა არაფერს არ დაუმალავდა და გადაწყვიტა თვითონ არ შეკითხვოდა არაფერს.

გრიგოლის სალონი

გრიგოლის სახლი ქუთაისის ინტელიგენციის თავშესაყარი იყო. გრიგოლთან კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ მწერლები, ვექილები, ექიმები, მასწავლებლები. ყველა ის, ვინც თავისი ქვეყნის მომავალზე ფიქრობდა, ვისაც თავისი ხალხის ბედი აწუხებდა.

აქ, გრიგოლის მშვენივრად მოწყობილ სასტუმრო ოთახში, მსჯელობდნენ საზოგადო საქმეებზე, ლიტერატურაზე, სოფლის

მეურნეობის განვითარებაზე, სკოლებზე, მედიცინაზე. მაგრამ ყველაზე ხშირად აქ იმართებოდა ლიტერატურული საღამოები. მწერლები კითხულობდნენ თავიანთ ახალ ნაწარმოებებს. იყო მათი გარჩევა, განხილვა.

გრიგოლის სალონში ხშირად ნახავდით აკაკი წერეთელს, კოწია ერისთავს, კირილე ლორთქიფანიძეს, დათა ნიჟარაძეს, იასონ გელოვანს და სიმონ წერეთელს. აქ დროს გასატარებლად კი არ იყრიდნენ თავს, საქვეყნო საქმეებზე მსჯელობდნენ.

მაიას პატივსაცემად მისი ჩამოსვლის მესამე დღეს თავის სალონში მამაკაცებთან ერთად მანდილოსნებიც მოიწვია გრიგოლმა.

თავიდან სტუმრები ორად გაიყვნენ. მამაკაცები გრიგოლის კაბინეტში შეიკრიბნენ, ქალები მაიასთან, სასტუმრო ოთახში.

იმ ხანებში ყველაზე საჭირბოროტო საკითხი ქუთაისში ბანკის არჩევნები იყო და დიდი და პატარა ყველა ამაზე ლაპარაკობდა. არჩევნების გარშემო დიდი ბრძოლა და კინკლაობა იყო გამართული. ამ საღამოსაც გრიგოლთან პირველად არჩევნებზე დაიწყეს საუბარი, რომელიც მალე შეუპოვარ კამათად გადაიქცა. მაიას სანახავად მოსული აკაკი კამათში მონაწილეობას არ იღებდა. ის გრიგოლთან იჯდა და პუშკინის ლექსის თარგმანს უკითხავდა. გრიგოლი მშვენივრად ფლობდა ფრანგულს, ის თარგმნიდა ჰიუგოს ლექსებს, დეკამერონს, თარგმნილი ჰქონდა დონ კიხოტის რამდენიმე თავი. აკაკი იცნობდა მის თარგმანებს, მოსწონდა და დიდ ანგარიშს უწევდა გრიგოლის აზრს. ამიტომ ამ საღამოს დიდად ნასიამოვნები იყო იმით, რომ გრიგოლმა მოუწონა პუშკინის ლექსების თარგმანები.

აკაკის ვრიგოლი უყვარდა არა მარტო იმისათვის, რომ ის კარგ მთარგმნელად მიაჩნდა, მოსწონდა მისი ლექსებიც, მისი ადამიანობაც, ხასიათიც. დიდად უფრთხილდებოდა მის ჯანმრთელობას. გრიგოლს სიბერემ ისე მაგრა ჩასჭიდა ხელი, რომ ის ხშირად ავადმყოფობდა, მალე იღლებოდა. სტუმრებთან უნებურად ჩათვლემდა ხოლმე და როცა გამოერკვეოდა, შერცხვებოდა.

ახლა აკაკიმ, როგორც კი შეატყო ღრმა საავარძელში მჯდარ

გრიგოლს, რომ ის თავს ძლივს ართმევდა რულს, სტუმრებს ანიშნა მეორე ოთახში გასულიყვნენ. როცა სტუმრები სასტუმროში გაიკრიფნენ, აკაკი ფეხაკრეფით გაჰყვა მათ და კარი მოხურა. გრიგოლს არაფერი გაუგია. მას უკვე ეძინა.

გრიგოლის სასტუმრო ოთახს არასოდეს არ ენახა იმდენი მშვენიერი ქალი, რამდენიც იმ საღამოს. მათ მაიას გარშემო თავი მოეყარათ და დიდი პატივით ექცეოდნენ. მაია იჯდა შუაში. დედოფლურად ამაყი და მშვენიერი თავისი თეთრი თმით, ჰაეროვანი თავსაკრავით, რომელიც მოხდენილად ოდნავ ეხებოდა მის ფართო შუბლს და ყველას ხიბლავდა. მის გვერდით ისხდნენ ხანდაზმული დარბაისელი ქალები, ქართული კაბებითა და ჩიხტი-კოპით მორთულები, რომელთა ლეჩაქის სინაზე-სინატიფე კიდევ უფრო ალამაზებდა იქაურობას. დანარჩენი ქალები, ახალგაზრდები, ევროპულად ჩაცმულ-დავარცხნილნი, მორიდებით შორიახლოს ისხდნენ და უფროსთა საუბარს ყურს უგდებდნენ. მაგრამ მათი გულისყური უჩა დადიანისკენ იყო. ის ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. იქ იყო ბაბილინა დადეშქელიანი და აბა უჩას რა მოასვენებდა. ის სხვების დასანახავად ხან ერთ, ხან მეორე ახალგაზრდა ქალთან გაჩნდებოდა, ან ფეხის ბალიშზე ჩაიმუხლებდა და რამე სასიამოვნოსა და გასართობს ჩასჩურჩულებდა. ყველგან სიხარული და სიცოცხლე შეჰქონდა; ცდილობდა ბაბილინასადმიც ასევე უდარდელი და ჩვეულებრივი ყოფილიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა. ამ ქალის ახლოს გაკარება მის მხიარულ სახეს სევდის ელფერს ჰფენდა. ყველასთან თამამი და ნებიერი, ბაბილინასთან სითამამეს ჰკარგავდა.

სასტუმრო ოთახში მამაკაცების შემოსვლამ ქალებს სიხარულის ნიავი მოჰბერა. ისინი გამხიარულდნენ, გამოცოცხლდნენ. აკაკი მოწინავე მანდილოსნებს გაერია. ის ყველასთან თამამი და შინაური იყო. მეტადრე ამ საზოგადოებაში, სადაც ყველა ქალი ახლობელი, ან შორეული ნათესავი იყო მისი.

ოთახში მოხუცი მსახური შემოვიდა და ყალბი, პათეტური კილოთი საკმაოდ ხმამაღლა განაცხადა:

— თავადი დავით მიქელაძე მობრძანდა!

— სთხოვეთ! — უპასუხა უჩამ.

ოთახში დინჯად შემოვიდა ახოვანი, შესანიშნავი თვალტა-

ნადი კაცი. უჩა მიეგება. აკაკის ესიამოვნა მისი მოსვლა, გაუღიმა, იმწუთსვე ახალგაზრდა ქალებს გადახედა, თავისი თვალის სხივები დააფრქვია მათ და შემოსულს ასე უთხრა:

— სასიამოვნოა შენი მოსვლა, კოლხიდური სილამაზის ღმერთის თანატოლო, მაგრამ ჩვენს თანამედროვე ახალგაზრდა ქალებს სიყვარულის სამახსოვრო ჩიხტი-კოპი და ლეჩაქი აღარ შერჩენიათ. ამ დარბაისელ ბანოვანებს კი, წლოვანებით შენზე უხუცესთ, ალბათ ისევ კოლხიდელ ღმერთს აგონებს თავიანთი ჩიხტი-კოპები. — უთხრა აკაკიმ დავითს.

იქ მყოფი ქალები, ვინც აკაკის ნათქვამის აზრს ვერ მიხვდა, გაკვირვებული უცქეროდნენ. დავით მიქელაძეს მოაგონდა ლეგენდა, გაწითლდა, გაიცინა და აკაკის მორიდებულად მიმართა.

— ბატონო, მე რა იმ ღმერთის შესადარი ვარ. ის ყოველნაირად გრძნეული იყო, მე კი ერთი საწყალი კაცი, ვის რას შევკადრებ.

— ბატონო აკაკი, მე რაღაც გამიგონია კოლხეთის ღმერთზე, მაგრამ კარგად არ მახსოვს, გთხოვთ გვიამბოთ, — სთხოვა უჩამ პოეტს.

— არ შემიძლია, ქალები მომკლავენ.

— არა, ბატონო, თქვენი ჭირიმე, რას ჰქვია, თქვენს საყვედურს ვინ გაბედავს, — გაისმა ქალების ხმა.

ახლა მაიაც დაინტერესდა და ახალგაზრდებს სიტყვა შეაწია.

— გთხოვთ, ბატონო აკაკი!

აკაკიმ მაიას ხათრი ვერ გაუტეხა.

— მოგახსენებთ ბატონო, — დავითს გადახედა და გაიცინა, — ის ლეგენდარული სიყვარულის ღმერთი აქ გამოგეცხადათ ამაღამ, — თქვა აკაკიმ ახალგაზრდა მანდილოსნების გასაგონად, და თხრობა დაიწყო:

— ბატონებო, მოგეხსენებათ რომ ძველად ყოველ ხალხს ჰყავდა თავისი ღმერთი: ომის, ნადირობის, სილამაზის, სიყვარულისა და სხვა. კოლხიდაში იყო თურმე სილამაზის კაცღმერთი, რომელიც შეუბრალებლად ხიბლავდა ქალებს. მთელი კოლხიდის ქალები მან ერთმანეთს გადაჰკიდა. ეჭვიანობით ირ-

თებულმა შეყვარებულმა ქალებმა წაიყვანეს ის უღრან ტყეში და დიდ ხეზე ჯაჭვით მიაბეს. დაბრუნდნენ გახარებულნი, ეჭვისაგან განთავისუფლებული. ვაჟი გულში იცინოდა, მოიცადა, ვიდრე ქალები სავსებით ტყეს მიეფარებოდნენ, შემდეგ ერთი ღონივრად შეიშმუშნა და ის შემოხვეული ჯაჭვი სულ ერთიანად დაწყვიტა. გაწყვეტილი ჯაჭვის რგოლები მიწაზე დაცვივდა. შინ მოსული ქალები ვერ ისვენებდნენ. მე ვერ გეტყვიო სიყვარული არ ასვენებდათ თუ ცნობისმოყვარეობა, ამას თქვენ უფრო კარგად მიხვდებით. ისინი ისევ ტყეში გაეშურნენ და ოი, საშინელებავ! კაც-ღმერთი იქ აღარ იყო, ხოლო ჯაჭვის რგოლები ხის ძირას ეყარა. გული დაწყდათ, სატრფო დაკარგულად იგულვეს, ჯაჭვის რგოლებით კი თავსაფრები დაიმაგრეს განვლილი ტრფიალების მოსაგონებლად. ეს ჩვეულება მას შემდეგ განმტკიცდა საქართველოში. ჩიხტაში ჩასადები კოპი არის მოგონება დამარცხებული დიდი სიყვარულისა, კდემამოსილების ლეჩაქით დაფარული.

— საფიქრებელია, რომ სიყვარულის ღმერთი ეჭვიანობას ვერ მოითმენდა, — მოკრძალებულად თქვა ბაბილინამ.

უჩამ მას თვალი თვალში გაუყარა.

— მე კი მოგახსენებდით, ბატონებო, — თქვა ტელემაკ გურიელმა, — კოპის ემბლემა იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ქართველი ქალის ლეჩაქის სიწმინდეს ამაგრებს და, თუ გულში უხეირო სიყვარულის ღმერთი თავს გაახსენებს, ამის მოგონებას ქალმა ლეჩაქი უნდა გადააფაროს, ბატონო ჩემო, რომ ყველაფერი, რაც გულში უდევს, სააშკარაოზე არ ჩანდეს.

ამ ლაპარაკის შემდეგ აკაკიმ გადაინაცვლა ადგილი, ვარინკა წერეთლის გვერდით მოიკალათა და ღიმილით განაცხადა:

— ბატონებო, მე ჩემი პატარა რძალი მიყვარს, როგორც წათესავი და როგორც მაისის ბულბული. თქვენო უგანათლებულესობავ, — მიუბრუნდა უჩას, — რატომ არ გააგონებთ ბატონ დედათქვენს ჩემი რძლის ჭიკჭიკს?

ვარინკა გაწითლდა.

— რას ბრძანებთ, ბატონო აკაკი. აბა, მე რა ისეთი მომღერალი ვარ, რომ აქ სიმღერა გავბედო?

ვარინკას სიმღერის მოგონებაზე კირილე ლორთქიფანიძემ და იასონ გელოვანმაც აღიმაღლეს ხმები:

— უნდა იმღეროთ, უნდა დაგვატკბოთ!

სანამ ვარინკას სთხოვდნენ ემღერა, უჩამ თავისი ხელით შემოარბენინა გიტარა და ვარინკას კალთაში ჩაუდო.

მაიამ ღიმილით გადახედა ვარინკას და უთხრა:

— იმღერე, ჩემო ტურფა რძალო, მე რამდენი ხანია სიმღერა არ გამიგონია, მოწყურებული ვარ მოვისმინო, განსაკუთრებით კი თქვენი სიმღერა. ბევრი ქება მსმენია თქვენი და თქვენი სიმღერის, დაგვატკბეთ, მე ოდესღაც გატაცებით მიყვარდა სიმღერა.

— სულიკო, სულიკო, — გაისმა ხმები.

ვარინკამ ჯერ გაუბედავად წამოიწყო, ღელავდა ახალგაზრდა ქალი, ამდენ უფროსებსა და საპატიო სტუმრებთან სიმღერა ეხამუშებოდა, მაგრამ მალე თანდათან გათამამდა, მორცხვობისა და უხერხულობის გრძნობას სიმღერის სიყვარული და შესანიშნავი ვოკალური მონაცემები მოერია. ის თავისსავე შექმნილ მელოდიას „სულიკოს" სავსებით დაუფლებოდა. როდესაც ვარინკამ ბულბულის მაგივრად ტიავტიავით დაიკვნესა, ოთახი უჩვეულო სიჩუმემ მოიცვა. დაამთავრა ვარინკამ სიმღერა, მაგრამ იქ მყოფთა სუნთქვაც კი არ ისმოდა.

ეს სიჩუმე ისევ უჩამ დაარღვია, რასაც მოჰყვა ტაში. უჩა ვარინკას ხელზე ეამბორა მადლობის ნიშნად. შემდეგ დედასთან მივიდა, მოეხვია და მოახსენა:

— დედა ბატონო, განა ასეთ მელოდიას სადმე სხვაგან გაიგონებ? ამიტომ მიზიდავს სამშობლო, ჩემო დედა, ამიტომ მოგისწრაფვი ხოლმე აქეთ.

— შვილო ჩემო, ჩემი აზრით, სიყვარული იმაში კი არ გამოიხატება, რომ მხოლოდ სტკბებოდე სამშობლოში ყოფნით. სიყვარული ის იქნება, რომ დაიმსახურო, სამშობლო შენი ღვაწლით დატკბეს.

მაიას ქარაგმა აკაკის არ მოეწონა, მიხვდა პოეტი რასაც ეუბნებოდა მაია შვილს და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა.

ეს შენიშნა მაიამ, მიხვდა თავის უტაქტობას, ხოლო აკაკის

საქციელმა მოხიბლა დედის გული. მაია მთელი ღამე მალულად ადევნებდა თვალს უჩასა და ბაბილინა დადეშქელიანს და ცხადად ხედავდა, რომ როგორც თოფისწამალი და ცეცხლი ერთად არ შეინახება, ისე ამ ორი ადამიანის ერთად ყოფნა არ შეიძლება.

მაიამ ყოველგვარი ზომები მიიღო, რომ უჩა როგორმე პეტერბურგს გაესტუმრებინა და თავისი მეგობრებისა და ნათესავების დახმარებით კიდევაც მიაღწია ამას.

ორი კვირის შემდეგ უჩა პეტერბურგს გაემგზავრა, მაგრამ გული ქუთაისში დარჩა.

მაია კი ხიბულას დაუბრუნდა.

სიახლის ძალა

თანდათან ირღვეოდა ფეოდალური კარჩაკეტილობა.

გლეხი ხდებოდა ვაჭარი იმდენად, რამდენადაც მას ბატონისაგან დამოუკიდებლად შექმნილი ღირებულება უკვე ბაზარზე გაჰქონდა. ახლად ჩასახულ დაბებსა და ქალაქებში გაჩნდა მოთხოვნილება იმ საქონელზე, რომელსაც მათ გლეხი აწოდებდა სურსათ-სანოვაგეს, ხილს, შეშას, მატყლს, ბამბას, აბრეშუმსა და სხვას სწრაფად ასაღებდა გლეხი ბაზარზე და ღებულობდა ფულს. ეს მცირე ფულადი შემოსავალი, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებდა მისი ოჯახის მოთხოვნილებებს.

უმიწაწყლო გლეხს თანდათან უჩნდებოდა ქირით სამუშაოზე გასვლის საშუალება. ის სიხარულით ტოვებდა სოფელს, შიმშილს, სიტიტვლეს და მიიჩქაროდა ქალაქისაკენ. ქალაქებში სწრაფად ვითარდებოდა სამრეწველო საქონლის წარმოება.

თბილისში აშენდა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა. ჭიათურაში მარგანეცის წარმოებამ ფართო ხასიათი მიიღო.

რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით გაიხსნა სახელოსნოები, ბათუმში — როტშილდის და ნობელის ქარხნები. წარმოება მრავალ მუშახელს იზიდავდა. ეს მოვლენა გლეხთა ცხოვრებაში თავისებურ გარდატეხას ახდენდა. ფოთში ნიკო ნიკო-

ლაძე ნავსადგურს აშენებდა. აქ უკვე უცხოეთის მრავალი გემი მოდიოდა საქონლით დატვირთული. გლეხები მუშაობდნენ ნავსადგურის მშენებლობაზე, მტვირთაველებად.

გელამ და ლერწამისამ ბევრი გაჭირვება გადაიტანეს. ჯერ იყო და, გადასახლებიდან მოსულ გელას ბიჭი წამოზრდილი რომ დახვდა, მოულოდნელად მოუკვდათ. მწუხარებამ ცოლ-ქმარი წელში გატეხა. მათ პატარა დუტუს სიკვდილი არ აკმარა ბუნებამ, ზედიზედ ეხოცებოდათ პაწიები. ქალს გული წაუხდა. მან იმედი დაკარგა, რომ ის ოდესმე დედა გახდებოდა.

ბოლოს ორმოც წელს მიღწეულ ლერწამისას ვაჟი გაუჩნდა. მან ამ ვაჟსაც დუტუ დაარქვა, რომ პირველი პირმშოს სახელი ოჯახში არ გაექრო. თვითონაც მოცოცხლდა, ოჯახიც გაბალისდა.

გელა და ლერწამისა დუტუს სასოებით ზრდიდნენ, წერა-კითხვაც დროულად შეასწავლეს.

ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოს სოფლებში აქა-იქ დაწყებითი სკოლები გაჩნდა, მაგრამ მეფის მოხელეები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს ქართული სკოლების გახსნას. მათ უნდოდათ, რომ ხალხს განათლება არ მიეღო, მონურ მდგომარეობაში ჰყოლოდათ უსწავლელი და გაუნათლებელი გლეხობა.

თუ სადმე ხსნიდნენ სკოლას, მეფის მოხელეები ცდილობდნენ, რომ იგი გაეხადათ ქართული ენის აღმოფხვრის საშუალებად. ხალხი ამას დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ზოგი ებრძოდა მეფის მოხელეთა ამ კოლონიზატორულ ხრიკებს, ზოგს კი სულ არ შეჰყავდა სკოლაში შვილი. ბავშვს შინ ასწავლიდა წიგნს.

დუტუმაც დედისაგან შეისწავლა წერა-კითხვა. შინ ისწავლეს წერა-კითხვა დუტუს მეზობელმა ბავშვებმა ლუკა კიტიამ და ივა ქარცხიამ. ანბანის ცოდნამ და რამდენიმე წიგნის წაკითხვამ ბავშვებში სწავლის დიდი წყურვილი გააღვიძა, მაგრამ აბა სად უნდა ესწავლათ? მათთვის ყველა გზა დაკეტილი იყო სწავლისათვის.

— რა ვქნათ, დუტუ? — ჰკითხა ერთხელ ივა ქარცხიამ დუტუს, ამხანაგები ერთად რომ შეიკრიბნენ, — სკოლას ჩვენ არა-

ვინ გვაღირსებს, მიდი ზუგდიდში წაიიდეთ და რაიმე ხელობა ვისწავლოთ.

— დუტუს ხელობა რად უნდა, სასახლეში მოსამსახურედ დადგება, — უთხრა ივას ლუკა კიტიამ.

— მოსამსახურედ რად დავდგები, — ეწყინა დუტუს, — უნდა ვისწავლო, თვალს არ მაკლია და ყურს, ჯანს არ ვუჩივი და ნიჭს. თავს მოვიკლავ და უსწავლელი არ დავრჩები.

— სწავლა ჩვენც გვინდა, მაგრამ ვინ მოგვართმევს, — მიუგო ნაღვლიანად ივამ დუტუს და მის აღგზნებულ სახეს მოწონებით შეხედა.

— არავინ მოგვართმევს, ხონჩაზე არ დაგვიდებენ, თვითონ უნდა მივაღწიოთ ჩვენი სურვილების განხორციელებას, — ჯიუტად თქვა დუტუმ.

ლუკა კიტია და ივა ქარცხია შემოდგომაზე ზუგდიდში წავიდნენ და იქ სხვადასხვა ხელოსანთან მოეწყვნენ შეგირდებად.

დუტუ სოფელში დარჩა იმ მოლოდინით, რომ ამ ზამთარში აქ ემეცადინა, ხოლო შემდეგ ქუთაისში წაიყვანდნენ გამოცდების ჩასაბარებლად. ის გულდაგულ მეცადინეობდა, ხანდახან სკოლის მასწავლებელთანაც დადიოდა, თან მიჰქონდა, ხაჭაპურები, დოქით ღვინო. მასწავლებელი თავს არ ზოგავდა; რაც იცოდა იმის გადაცემა არ შურდა დუტუსათვის. უბედურება ის იყო, რომ მასწავლებელს თვითონაც დიდი სწავლა-განათლება არ გააჩნდა.

დუტუს მეორე კლასში უნდა ჩაებარებინა გამოცდები თავისი წლოვანების მიხედვით. ყმაწვილს გამოცდებისათვის მოსამზადებლად კარგი პირობები არ ჰქონდა, მისაღები გამოცდები ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მაინც კარგად ჩაბარა, მაგრამ სასწავლებლის კარები კი მისთვის დაკეტილი აღმოჩნდა.

სკოლაში დიდი კონკურსი იყო. ოთხმოცი ბავშვი აბარებდა მეორე კლასში გამოცდას. აქედან მხოლოდ ოთხი უნდა მიეღოთ. ამ ოთხ ადგილზე ორი დიდი მოხელისა და ორი მდიდარი თავადის შვილები მიიღეს. გაწბილებული და გულგატეხილი დუტუ ხიბულაში დაბრუნდა.

— ნუ დარდობ, შვილო, — უთხრა მას დაყვავებით მაიამ. ეს ქალი თავის შვილებს არ ეფერებოდა და დუტუს რომ ასე გულთბილად მოექცა, გაუხარდა ბავშვს, მაგრამ მაიას შემდეგმა სიტყვებმა წარბი შეუკრა. — დარჩი ჩემთან სასახლეში, ყოველნაირად შეგიწყობ ხელს, მოგეხმარები, დედაშენი ჩემი გაზრდილია...

— მე სწავლა მინდა, — ჯიუტად წაილუღლუღა დუტუმ, — აქ არ გავჩერდები.

— შენი ნებაა, შვილო. რაც შემეძლო, მოგეხმარე. ორი კაცი გაგატანე ქუთაისში. ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

— სამართალი რომ იყოს ქვეყანაზე, დაუხმარებლადაც უნდა მიეღეთ. ყველაზე კარგად ჩავაბარე გამოცდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იქ მთავარია დიდკაცობა და არა ცოდნა.

— მერე შენ გინდა ქვეყანა გაასწორო? — ღიმილი ვერ შეიკავა მაიამ. მიჩერებით უყურებდა ბავშვის ჯიუტ შუბლს.

— მე ვერა, მაგრამ თუ ჩემისთანები ისწავლიან...

— ქვეყნის საქმეს მოაგვარებენ.

— ეს არ ვიცი, ოღონდ ერთი რამ ცხადია, მაშინ სკოლაში ცოდნის მიხედვით იქნება მიღება და არა დიდკაცობით.

— ბიჭო, ასე დალაგებულად უტუ მიქავა და მართალია თოდუა არ ლაპარაკობდნენ! — გაიოცა მაიამ ⁄ იქვე მდგარ გელასა და ლერწამისას შეხედა. — ყოჩაღ, გელა, კარგი ბიჭი გაგიზრდია. ეს რომ თავის ნებაზე მიუშვა, თავადაზნაურებს და გლეხებს ერთნაირად გაკრეჭდა, — ასე კი თქვა მაიამ, მაგრამ გულში უკმაყოფილო იყო დუტუს საქციელით.

— არა, ბატონო, თავადი და გლეხი ცხვარი კი არ არის, რომ ერთნაირად გაკრიჭოს. ყველას თავისი ადგილი აქვს ამ ცოდვილ მიწაზე, ბატონსაც და გლეხსაც. მთასა და ბარს რა გაასწორებს!

დუტუმ გაკვირვებით შეხედა მამას, როდის დაიწყო ასეთი ლაპარაკიო. მიხედა — მამას მაიას წყენინება არ უნდოდა. მაია გულკეთილი იყო, ოღონდ მასთან და მისი წრის ხალხთან გლეხის გატოლებას არავის არ აპატიებდა.

იმ დღის შემდეგ დუტუ სასახლეს არ ეკარებოდა. გვერდით რომ ჩაუვლიდა, უკმაყოფილოდ გადახედავდა მაიას სახლ-კარს. ბავშვი ნაღვლობდა, გულჩახვეული დადიოდა. არავისთან არ თამაშობდა. მამას ედგა მხარში და წელგაუმართავად მუშაობდა. თუ თავისუფალ დროს იპოვნიდა, წიგნს ჩაუჯდებოდა. ასჯერ ჰქონდა ერთი და იგივე წიგნი წაკითხული, რადგან მეტი წიგნი არ გააჩნდა.

ზაფხულის დამლევს ივა ქარცხია და ლუკა კიტია ჩამოვიდნენ ზუგდიდიდან. მათმა ჩამოსვლამ დუტუ დიდად გაახარა, ხშირად დადიოდა მათთან, ხან ჯარიანობის, ხან ბურთის სათამაშოდ. თოხნაშიც ეხმარებოდნენ ეს ვაჟები ერთმანეთს. საღამოობით კი ისხდნენ დუტუს სახლის აივანზე და კითხულობდნენ გაზეთს, რომელიც გიგიშას ოჯახიდან მოჰქონდა დუტუს. ხშირად გიგიშაც შემოდიოდა თავის ძველ მეგობართან — გელასთან. გელას და ლერწამისას ძლიერ უყვარდათ გაზეთი. კითხვით გატაცებულებს, ბევრჯერ დაღამებაც მოუსწრებდათ, მაშინ ლერწამისა ლამპას მოუკიდებდა. ლამპა იმ დროს გლეხების ოჯახში იშვიათი იყო. ჭიშკართან გამვლელი გლეხები შურით გახედავდნენ გელას ოჯახს და ერთმანეთს ეტყოდნენ:

— გააკეთა მაია ბატონიშვილმა ეს ოჯახი, ლერწამისა ულამპოდ ვახშმობას არ კადრულობს.

დუტუს და მის ამხანაგებს გელა და ლერწამისა თავს ეელეებოდნენ, იქნებ აიყოლიონ დუტუ და წაიყვანონ ზუგდიდში, რომ ხელობა მაინც ისწავლოსო. გელა ბავშვებს უყვებოდა ზღაპრებს, თავისი ქვეყნის ამბებს, ომერ-ფაშასთან ბრძოლის სურათებს ცოცხლად უხატავდა, ჰყვებოდა უტუ მიქავამ და მართალია თოდუამ როგორ ააჯანყა ხალხი და როგორ იბრძოდნენ უსამართლობის წინააღმდეგ. ამ ომსა და აჯანყებაში თავის წვლილის შესახებ გელა არაფერს ამბობდა. ციმბირში გამოვლილ შავ დღეებს კი ვერ მალავდა. როცა იქაური ყინვებისა და გაჭირვების ამბებს ჰყვებოდა, ბავშვებს ტანში ჟრუანტელი უვლიდათ.

— განა დიდ რამეს ვთხოულობდით? — გაეუქმებინათ ადამიანის საწვალებელი იარაღები. მოვითხოვდით ჩვენი ქალები ხასებად არ ჰყოლოდათ, არ გაეყიდათ ჩვენი გოგო-ბიჭები თურქეთში და გინდ თვით საქართველოში. ძნელი მოსათმენი იყო,

დედას შვილს მკერდიდან გლეჯდნენ და უყიდიდნენ, ან, პირიქით, შვილებს დაატოვებინებდნენ და დედ-მამას ცხრა მთას იქით გადაკარგავდნენ, პატარებს კი ვიგინდარებს გააზრდევინებდნენ. ვინც ცოცხალი გადარჩებოდა, სხვის თვალში შეძულებული იყო, ვინ ლუკმას მიუგდებდა, ვინ თავში უპარტყუნებდა. ათასში ერთს არ შეხვდებოდა ოდნავ შემბრალე მებატონის ოჯახი. იზრდებოდნენ ასე ძაღლურად.

ახალი ამბით დაინტერესებული ბიჭები შეკითხვებით იკლებდნენ გელას. ყველაზე მეტად ლუკა კიტია ეკითხებოდა.

— ბიძია, მე ასეთი ამბებისათვის ეგერ-აგერ მომიკრავს ყური, მაინც ვერ ვერკვევი, გლეხები ხომ მეტი იყვნენ, ვიდრე თავადაზნაურები, რატომ ვერ გაიმარჯვეს გლეხებმა?

დუტუ გააკვირვა ამხანაგის გულუბრყვილო შეკითხვამ; ვერ მოითმინა, მამას არ დააცალა პასუხი და ლუკას თვითონ მიუგო:

— ბიჭო, არ იცი, რომ თავადებს რუსთა ხელმწიფე, გუბერნატორები და გენერლები ეხმარებოდნენ!

— ჰო, შვილებო, — განაგრძო გელამ, — ეხმარებოდნენ და როგორ! ხელმწიფეს დიდი ჯარი ჰყავდა, ბევრი იარაღი ჰქონდა, ჩვენ რას გავხდებოდით კაჟის თოფებით და უტუს გაჭედილი სატევრებით, ისიც ნახევარს არ გააჩნდა. ფიწლებით, წალდ-ნაჯახით და შინდის კეტებით ვიყავით უმრავლესობა შეიარაღებული.

— თუ გამარჯვების იმედი არა გქონდათ, რატომ აჯანყდით, მამა? — ნაღვლიანად ჰკითხა დუტუმ გელას.

— კაცი იმედით ცხოვრობს, შვილო. ჩვენისთანა გაჭირვებულებს მომავლის იმედი რომ არ ჰქონდეთ, თავს არ იცოცხლებდნენ. გვეგონა, უტუსა და მართალიას ურდუმით მთელ სამთავროს ავიღებდით და კანონ-წესებს ჩვენს ნებაზე შევცვლიდით. ვინ იფიქრებდა, რომ ბატონების დასაცავად რუსთა ხელმწიფე ჯარს გამოგზავნიდა. მერე ციმბირში რომ გადამასახლეს, იქ გავიგე, თურმე ის წყეული რუსთა ხელმწიფე თავის გლეხებსაც არ ზოგავს თუ მებატონეების წინააღმდეგ ხელს გაანჭრევენ. ეჰ, რამდენი რუსი გლეხი იყო ჩემთან კატორღაში, ჩვენსავით უსამართლოდ დეენილი და აწიოკებული.

— თავის ხალხსაც ასახლებს რუსთა ხელმწიფე თავის მი-

წიდან? — ჰკითხა დაფიქრებულმა და გაკვირვებულმა ლუკა კიტიამ.

— ის არავის ინდობს, შვილო, თუ თავის ტახტს დაემუქრა ვინმე. გლეხს კი არა, შვილსაც გაწირავს, — უთხრა გელამ კიტიას და ახლაღა შენიშნა, რა ცნობისმოყვარეობით შემოსცქეროდნენ ბავშვები.

— მერე ამდენი ხალხი — ქართველები და რუსები იმ ქოფაკ მეფეს ტახტიდან ვერ გადმოაგდებენ? — ხმა ამოიღო იეა ქარცხიამაც.

— ჰე, შვილო, ხელმწიფის ტახტიდან გადმოგდება მარტო რუს და ქართველ გლეხებს უნდათ განა! ციმბირში მარტო რუსი გლეხები კი არა, ვინ არ შემხვედრია! — სომეხი, უკრაინელი, ოსი, ლეკი... ყველა ისინი მეფის წინააღმდეგ არიან ამხედრებული, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ცალ-ცალკე ებრძვიან მეფეს და ადვილად მარცხდებიან. აი, ჩვენ ომერ-ფაშას რომ ვებრძოდით, მარტო მეგრელები აბა რას გავაწყობდით ისეთ ძლიერ მტერთან! მაგრამ მხარში ამოგვიდგა გურია, იმერეთი, იქ ყარსში რუსებმა დასცხეს და საერთო ძალით კუდით ქვა ვასროლინეთ ჩვენი ქვეყნის დამპყრობელს. აი ასეთი ერთი პირი რომ ჰქონდეთ ხელმწიფის მოძულე ხალხებს, მაშინ ერთ დღეში დაინგრეოდა მისი ტახტი.

— მერე, არ უნდა შეკრან ერთი პირი? — ისევ ჰკითხა დუტუმ მამას, თითქოს მას მიუძღოდა ბრალი, რომ აქამდე ასე არ იყო.

— შეკრავენ, შვილო, მაგრამ ამას მოთავეები უნდა. ხალხის ერთმანეთთან დაახლოებაა საჭირო. და აი სწორედ ასეთი მოთავე, სადაც კი გაჩნდება, მეფის მოხელეები დაგეშილი ძაღლებივით მაშინვე აიღებენ სუნს და დაიჭერენ. რამდენი ასეთი მოთავე მინახავს ციმბირში... რამდენის საფლავი გათხრილა იქ! ჰე, ნეტა თქვენ მაინც გაუთხაროთ, ჩემო პატარებო, ხელმწიფეს საფლავი.

— გავუთხრით, ბიძია, სულ სისხლად ამოვადენთ ხალხის ტანჯვას. მისი საფლავის გვერდით მაიასა და სხვა ჩვენი ამწიოკებელი მებატონეების საფლავებსაც გავთხრით! — თქვა თვალების ბრიალით ლუკა კიტიამ.

— სუ, წიე, არ თქვა მაიაზე მაგი! — გაუწყრა ბიჭს გელა, — მაია სხვა მებატონეებთან არ არის მისათვლელი. მას ბევრი სიკეთე გაუკეთებია ჩვენისთანა გაჭირვებულებისათვის.

— მერე ტყუილად გაუკეთა სიკეთე, ბაბა? — ჰკითხა მამას დუტუმ, — რამდენი აქეთ გაუკეთებია, ასი იმდენი იქით წაუღია. ცხრა პირი ტყავი აუძვრია ჩვენს ზურგზე.

— ვინ გითხრა, შვილო! მაგ რომ მაიამ გაგვიგოს, მერე რა პირით შევხედოთ. მაია მაინც ღვთისნიერი ქალია. დედაშენი მისი გამოზრდილია.

— მოინალეთ ჰყავდა დედაჩემი.

— აბა, ქალბატონად ხომ არ ეყოლებოდა, ბიჭო, დადიანის ქალს. — გაიცინა გელამ და შვილის წამონთებულ სახეს სიყვარულით შეხედა. — არა, შვილო, თავადები ახლა ისე ვეღარ გვექცევიან, როგორც ძველად. გლეხების აჯანყებას არც აქ ჩაუვლია უქმად და არც რუსეთში. ეს აჯანყება რომ არ ყოფილიყო, ბატონყმობა ახლაც არ იქნებოდა გადავარდნილი. ჩვენ თუ უტუ მიქავა და მართალია თოდუა გვყავდა, რუსებს პუგაჩოვი ჰყავდათ, სხვა ხალხს კიდევ სხვა პუგაჩოვი და მიქავა ეყოლებოდათ. სად ახლანდელი გლეხი და სად ბატონყმობის დროინდელი! მაშინ ბატონს ხეზე რომ ჩამოეკიდე, სხვისთვის რომ მიეყიდე, ვისთან უჩივლებდი, ვინ იყო შენი პატრონი! ახლა რუსის სამართალთან უჩივლებ.

— უჩივლებ და მერე რას მიიღებ, ბიძია! — უთხრა გელას ივა ქარცხიამ. — რუსის სამართალი თავადებისა და მემამულეების მხარეზეა, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს.

— შვილებო, თქვენ რავა ნასწავლი კაცებივით ლაპარაკობთ, ასე დალაგებით ცხონებული უტუ და მართალია არ ქადაგებდნენ, — გაიკვირვა გელამ და ბავშვებს აღტაცებით შეხედა. — თქვენი ხნისა რომ ვიყავი, ორ სიტყვას ვერ გადავაბამდი ერთმანეთს, ბატონის ძვირს როგორ ვიტყოდი. თქვენ კი ისე დაგილესიათ ენა, თავადს კი არა, ხელმწიფეს არ ეპუებით. მოერიდეთ, შვილებო, ასეთ ლაპარაკს, თორემ თქვენც ჩემსავით ციმბირს უკან დაგატოვებინებენ! ვაი, ნეტა ახლა მეც თქვენი ხნისა ვიყო, იქნებ მეც მენახა ერთი კარგი დღე.

— თუ ასე გულხელდაკრეფილი ვიქნებით, ვერც ჩვენ ვნახავთ კარგ დღეს, — თქვა დუტუმ.

„რავა მამასავით მოუთმენელია ჩემი ბიჭი“, — გაიფიქრა იქვე შორიახლო მჯდომმა ლერწამისამ. იგი თავიდანვე უსმენდა ქმრისა და ბავშვების საუბარს. — დუტუც მამის გზას ადგია, ენაცვალოს დედა. როგორაა სწავლაზე მოწყურებული. მაგან წიგნი რიგიანად რომ ისწავლოს, ბევრ თავადსა და აზნაურს უკან მოიტოვებს.

— ვინ თქვა, დუტუ, ხალხი გულხელდაკრეფილი ზისო, — მიუბრუნდა ლუკა კიტია მეგობარს. — აი ჩვენ ზუგდიდში გაზეთებს ვკითხულობდით. იქ ისეთ ამბებს ამოიკითხავ, რომ არც კი დაიჯერებ.

— ჰო, მეც ყური მოვკარი რაღაც-რაღაცეებს, — კიდევ უკეთრო წახალისდა გელა. მოხუცის სახე ახალგაზრდული აღგზნებით იყო განათებული. — თურმე გლეხი სოფლიდან ქალაქში რომ მიდის და სამუშაოზე ეწყობა ქარხნებში, იმასაც ისე ჩაგრავენ და ცხრაპირ ტყავს აძრობენ ქარხნის მეპატრონეები, როგორც სოფელში მემამულეები. ჰოდა, ქარხანაში მომუშავე გლეხი ან, როგორც ახლა ამბობენ, მუშა და მიწაზე მომუშავე გლეხი ორივე ერთ ცეცხლში იწვის. აწი რომ აჯანყება მოხდებაო, ჩვენს გლეხს ქალაქის მუშა წამოეშველებაო.

— მაშინ, ვინ იცის, ასე ადვილი არ იქნეს მათი დამარცხება, — იმედიანად თქვა დუტუმ.

— მაშინ კი მართლა გაუთხრიან ხელმწიფეს სამარეს, — დაუმატა ლუკა კიტიამ.

— მოდი, ბაბა, ჩვენ ქალაქში წავალთ, რაიმე ხელობას ვისწავლით, — თქვა უცებ დუტუმ.

— ჩვენ რომ ზუგდიდში ვსწავლობთ, ის რა ხელობაა! — გულნატკენად წამოიწყო ივამ. — წაღების კერა რისი მაქნისია. მამაჩემი რომ ღორის ტყავის ჩაფულას შეკერავს, იმის შეხედვას არაფერი ჯობია, მე ჭიპზეც რომ გავსკდე, იმაზე უკეთესს მაინც ვერ ვისწავლი. სხვა ხელობა მინდა. აი თურმე ფოთში ვიღაც ნიკოლაძე მოსულა და ზღვას გალავანი უნდა შემოარტყას, რომ გემებს შიგ ქალაქში შეეძლოთ შემოსვლაო. როგორც ამბობენ, იქ აურაცხელი ხელოსნები სჭირდებათ, ხელობასაც იქვე სწავლობენ. მერე როგორ ხელობას, გალავანს ავლებენ უჩა ზღვას*.

---

* უ ჩ ა ზ ღ ვ ა — შავი ზღვა.

— ჩვენ იქ მიგვიღებენ? — დაინტერესდა დუტუ.

აკი ვამბობ, აურაცხელი მუშა სჭირდება-თქო. — უპასუხა ივამ.

— წავიდეთ, დუტუ, — წამოიძახა ლუკამ. — ხომ გაუშვებ, ბიძია გელა, დუტუს?

— კი გავუშვებ, — თქვა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ გელამ, — მაგრამ დუტუს რომ წიგნის სწავლა უნდა?

— წავალ, მამა, რაც უნდა იყოს, მაინც ქალაქია. ხალხი ზღვას გალავანს ავლებს, წიგნზე უფრო საარაკო ამბავი არ არის?

— წადი, შვილო, ოღონდ ის ისწავლე, რაც შენს გულს გაუხარდება და მე რავა დაგაკავებ...

ბავშვები ფოთში წასვლის გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო დაამეგობრა ერთმანეთს. ისინი თითქმის მთელი დღე ერთად იყვნენ. კითხულობდნენ რასაც კი იშოვნიდნენ. მაია ხელავდა, როგორ სწყუროდათ ბავშვებს სწავლა და თავის წიგნებს არ იშურებდა მათთვის. მან ათხოვა ილია ჭავჭავაძის „ვლახის ნაამბობი", დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე". არსენას ლექსი ხომ ზეპირად იცოდნენ. წაკითხულს ერთმანეთს უყვებოდნენ. დავობდნენ, კამათობდნენ, ხშირად საქმე ჩხუბამდე მიდიოდა. ყველაზე მეტად არსენას სახე ხიბლავდათ. მას უტუ მიქვეს ადარებდნენ. ქორთუ უტუს ეძახდნენ. ერთხელ კენჭი ყარეს. დუტუს არსენობა შეხვდა, ივას — კაკოობა და ლუკას — ზაქროობა.

მიიწურა გაზაფხული. დადგა მეგობრების ფოთში გამგზავრების დღე. მაიამ წინასწარ იცოდა მათი სურვილის ამბავი. სამივესთვის საჩუქარი ჰქონდა გამზადებული, თითო ხელი შარვალ-ხალათი, ერთი ხელი ლოგინი და ცოტაოდენი ფული.

დუტუს, ლუკას და ივას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გამგზავრების წინადღით ისინი მაიამ დაიბარა და საჩუქრები გადასცა. დაარიგა, გზა დაულოცა, წარმატება უსურვა. გიგიშა გააყოლა და ვიღაც გავლენიან კაცთან წერილი გაატანა, რომ ბავშვები სამუშაოზე მოეწყო.

„მართალი იყო მამა, — ფიქრობდა დარცხვენით დუტუ, —

მართლა ყველა თავადი და ბატონი ერთნაირი რავაა, სად ჯოლორია დგებია და სად მაიას მამა — გიორგი დადია. გიორგის მზეს დღესაც ფიცულობს ხალხი, ისეთი ღვთისნიერი კაცი ყოფილა. ტყუილა ვემდუროდი მაიას, დედა არ უზამს შვილს, რაც იმან ჩვენ ახლა გაგვიკეთა".

ფოთში მაშინ დიდი ამბები ხდებოდა. ამიერკავკასიის რკინიგზის კვანძი იქ მთავრდებოდა, ხოლო რუსეთისა და საზღვარგარეთული გემები ზედიზედ აწყდებოდნენ ფოთის ნავსადგურს, რადგან საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა გატანა მათთვის მოსაგები საქმე იყო. სანამ ნავსადგური ღია იყო, გემებს ნაპირთან მიდგომა უძნელდებოდათ. საქართველოს თავკაცების ცდით, განსაკუთრებით კი მოწინავე ქართველის — ნიკო ნიკოლაძის შრომითა და ღვაწლით დიდი მუშაობა გაჩაღდა ფოთის სანაპიროზე, რომ ქალაქს ხელოვნური ნავსადგური ჰქონოდა. ნავსადგურის მშენებლობამ მრავალი მუშახელი მოითხოვა.

ფოთი მუშებით აივსო. ხალხით სავსე ქალაქი დღითი დღე იზრდებოდა. გაიხსნა მაღაზიები, დუქნები, სასადილოები. დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით, ყველაზე მეტად ფოთში იდგამდა ფეხს კაპიტალიზმი მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

მეგობრები ძლიერ განაცვიფრა ფოთმა და შავმა ზღვამ. ან როგორც ისინი უწოდებდნენ, უჩა ზღვამ. გიგიშას მიტანილმა წერილმა გაჭრა. იმ გავლენიანმა კაცმა დუტუ, ლუკა და ივა ნავსადგურის მშენებლობაზე მოაწყო. ისინი ერთ ცნობილ ქვისმთლელს დაუყენა შეგირდებათ. ბიჭებს ბინაც მიუჩინეს და გასამრჯელოც დაუნიშნეს. მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მათი ოსტატი, ესტატე ნაჭყეებია მწიგნობარი და საკმაოდ გონებაგახსნილი კაცი აღმოჩნდა. იგი წარმოშობით აზნაური იყო სოფელ ხეთიდან. უსაქმო აზნაურებს არ ჰგავდა. დიდი შრომისმოყვარე და თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნე იყო. ქვას აცოცხლებს და სულდგმულის სახეს აძლევსო, ამბობდნენ ესტატეზე. ხუროებში, კალატოზებში, უბრალო მუშებსა და გლეხებში პატივისცემას იმსახურებდა. იგი დიდსა და პატარას უყვარდა მშენებლობაზე.

ჩვენი სამი მეგობარი ისე მიიღო, როგორც შვილები. როცა

გაიგო, რომ ისინი წიგნის მოყვარულები იყვნენ, თვითონ დაუწყო მათ წიგნებისა და გაზეთების კითხვა; აცნობდა ქალაქს, აჰყავდა უცხოეთის ხომალდებზე. რუსულაც კი ასწავლიდა.

მეგობრებს სოფელთან შედარებით ოდნავ გაუუმჯობესდათ პირობები. მუშაობდნენ გულმოდგინედ, სწრაფად ითვისებდნენ რასაც ოსტატი ასწავლიდა და კარგ ნიჭსაც იჩენდნენ. თავისუფალ დროს წიგნებს კითხულობდნენ, ხან ესტატე უყვებოდა საინტერესო ამბებს. ბიჭების ყველაზე საყვარელი გასართობი უცხოეთის ხომალდების დათვალიერება და მეზღვაურების ნახვა იყო. აკვირვებდათ მეზღვაურთა ჩაცმულობა, საქციელი. ხედავდნენ როგორ სასტიკად ექცეოდნენ მათ ხომალდის პატრონები, მაგრამ ისინი მაინც მხიარულობდნენ, ცხვირჩამოშვებულს ვერ ნახავდი ვერც ერთ მათგანს. შავკანიანების ნახვამ ხომ მთლად განაცვიფრა სოფელი ბიჭუნები, განსაკუთრებით დუტუ. მას ზღაპრებში კი გაეგონა შავკანიანების არსებობა, მაკრამ ის ხომ ზღაპარში იყო და ახლა, ცხადად რომ ხედავდა, არ სჯეროდა.

გადიოდა წლები... დუტუ, ლუკა და ივა მოწიფული ვაჟკაცები გახდნენ. ნავსადგურის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა. მათ ერთ დროს რომ აოცებდათ გაგონილი ამბავი — შავ ზღვას გალავანს ავლებენო და ხომალდები ქალაქში უნდა შემოიყვანონო, ახლა თვითონ იყვნენ ამ გალავნის მშენებლები და ამით ამაყობდნენ. ისინი უკვე ხელოსნები იყვნენ, თვითონ ჰყავდათ შეგირდები. ხანდახან იმდენ ფულს შოულობდნენ, რომ მშობლებსაც უგზავნიდნენ. წელიწადში ორჯერ ჩააკითხავდნენ კიდეც და საჩუქრებიც ჩაჰქონდათ.

საჩუქრები მიჰქონდათ მაიასთვისაც. ჩავიდოდნენ თუ არა შინ, იმ დღესვე მივიდოდნენ სასახლეში და მაიას ინახულებდნენ. მის ამაგს არ ივიწყებდნენ. მაია რომ არა, ჩვენ დღეს არც ეს ხელობა გვეცოდინებოდა და არც ამდენი გვექნებოდა ნანახი და გაგონილიო, იტყოდნენ ხოლმე.

დუტუ თანდათან მშვენდებოდა. ტანად ასხლეტილი და მოქნილი, მხარბეჭგანიერი, წელში წვრილი, იგი ქალიშვილებს თვალს სტაცებდა, გულს უტყვეევებდა. სოფელში მისი ჩამოსვ-

ლა ელვასავით მოედებოდა კარიდან კარს და გოგოებს მოსვენება ეკარგებოდათ, ძილი უტყდებოდათ.

მაიამ იფიქრა, ეს ბიჭი ქალაქში ვინმე ურიგო ქალს არ გადაეყაროს, მოდი, ცოლს შევრთავო. ერთხელ დუტუს ჩამოსვლის მეორე დღეს გელა და ლერწამისა დაიბარა.

— ქალი უნდა შერთოთ დუტუს, — უთხრა მშობლებს, — თქვენ მოხუცდით, ცალი ფეხი სამარეში გიდგათ, პატრონი და ჭირისუფალი გჭირდებათ. ხომ ხედავთ, რამდენ ქალს უჭირავს დუტუზე თვალი. რას უყურებთ, დაწერეთ ჯვარი.

გელას და ლერწამისას მოეწონათ მაიას რჩევა, დალოცეს, მადლობა გადაუხადეს და გახარებულები დაბრუნდნენ შინ. იმ წამსვე დუტუს გაუზიარეს მაიას ნათქვამი.

დუტუს, თითქოს ამას უცდიდაო, თვალწინ დაუდგა ერთი სიყრმის მეგობარი ქალიშვილი. ეს იყო თავისი მეზობლის ბეგლარ კვარაცხელიას ქალიშვილი ირინა. იგი დუტუზე ხუთი წლით უმცროსი იყო. დუტუს ის ჯერ კიდევ ცამეტი წლისა ჩაუვარდა გულში და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ეკიდებოდა სიყვარულის ალი.

დუტუმ ის ღამე მოუსვენრად გაათენა. მეორე დღეს სახლიდან იმ განზრახვით გავიდა, რომ სადმე შეხვედროდა ირინას, მაგრამ ვერც იმ დღეს და ვერც მეორე დღეს ვერსად შეასწრო თვალი. გადაწყვიტა, მოვიმიზეზებ რაიმე საქმეს და შინ მივალო.

დუტუმ ირინას ეზოს უკნიდან შემოუარა, იმ ოლაგეზე გადახტა, რომელზეც ბავშვობისას არა ერთხელ გადამხტარა. რამდენჯერ დაწევია ირინას ამ ოლაგეზე, სწვდენია თმაში ან კაბის კალთაში და დაუჭერია. ოლაგე ვიწრო და მაღალი იყო, თან ურდული ჰქონდა ზედ გადებული, რომ თხები არ გადამხტარიყვნენ ეზოში. დუტუ ერთს რომ ისკუპებდა ხოლმე, შველივით გადაახტებოდა კაცის სიმაღლეზე გადებულ ურდულზე. ახლა კი ირინასთან გულაჩქროლებით მიმავალმა, ურდულს კი არა, ოლაგეს ძლივს გადააბიჯა, და იქვე შედგა ფერწასული.

ხელმარჯვნივ, ბოსტანში, ირინას მოკრა თვალი. ირინას მოკლე კაბა ეცვა, ხორბლისფერდაკრული მაღალი წვივები და

გრძელი, სავსე მკლავები მზეში უბრწყინავდა, კვალში ჩამუხლული ხახვს მარგლავდა.

ერთხანს სუნთქვაშეკრული უყურებდა დუტუ. ქალიშვილს დაფიქრებული, ოცნებით გაღიმებული სახე ჰქონდა. „რაზე ფიქრობს ნეტა!“ — გაიფიქრა დუტუმ და ინატრა, მისი ფიქრის და ოცნების საგანი თვითონ ყოფილიყო.

— ირინა! — დაუძახა უცებ ჩუმი ხმით, თითქოს პაემანზე დათქმულ ადგილას შეხვედროდნენ ერთმანეთს.

— დუტუ, შენ აქ საიდან! — გაიოცა ირინამ, — სიზმარში ვიყავი თითქოს, როგორ ამეცხადე?!

— ვის ხედავდი სიზმარში, ირინა? — ჰკითხა დუტუმ და კინაღამ გადახტა ღობეზე, მაგრამ დროზე შეიკავა თავი.

ქალმა თავი დახარა. დუტუ მიხვდა რას ნიშნავდა ეს და მას ახლა წკნელის ღობე კი არა, ქვითკირის ორსაჟენიანი გალავანი ვერ შეაკავებდა. ვერ გაიგო როგორ გადაევლო ღობეს, მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ქალის წინ აღმოჩნდა და მისმა თვალებმა თრთოლვითა და შიშით სახეში შეანათა.

ასე იდგნენ ერთხანს პირისპირ. ესმოდათ ერთმანეთის გულის ცემა, მათ შორის ახლა ყოველგვარი სიტყვა უადგილო იყო. მერე ქალი წინ წავიდა, ვაჟი უკან გაჰყვა. ქალი ფეხშიშველი იყო, მოკლე კაბაში იდგა, ახლაც იმ ცამეტი წლის გოგოდ ეჩვენებოდა დუტუს. მაგრამ ამ ცამეტი წლის გოგოს ისეთი აშოლტილი ტანი ჰქონდა, ისეთი მომრგვალებული მხრები და მოქნილი წელი, რომლის მსგავსი მას არაფერი ენახა.

თხილნარში რომ შევიდნენ, ირინა მობრუნდა. აქ მან უფრო თამამად შეხედა ვაჟს და გაუღიმა. დუტუს მოეჩვენა, რომ ირინამ არა მარტო გაუღიმა, ხელებიც გაუწოდა, ამიტომ თვითონაც მკლავი გაშალა, მოეხვია და გულზე მიიკრა...

შემოდგომის ჭირნახულის დაბინავების შემდეგ, როდესაც ქვევრებში მაჭარი დუღდა, მოხუცმა გელამ და ლერწამისამ ვაჟს ქორწილი გადაუხადეს. ყველას ერთგული გიგიშა მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქორწილში.

რამდენიმე თვის შემდეგ დუტუმ ისევ ფოთში დააპირა წასვლა. დედ-მამა ახალშერთული ცოლის დატოვებას არ უწონებდნენ შვილს. დუტუსაც ეძნელებოდა ცოლის მიტოვება, მაგრამ

ფოთში ლუკა და ივა ელოდნენ, მეგობრებს ვერ უღალატებდა.

ფოთში ჩასულმა პორტში დაიწყო მუშაობა. ერთხელ დუტუსთან ერთად მომუშავე ამხანაგებმა ლაპარაკი ბათუმზე ჩამოაგდეს. დუტუ მათ საუბარს გულმოდგინედ უსმენდა.

— დიდი ამბები ხდება თურმე ბათუმში, ბიჭებო! იქ წასვლის სურვილი არ მასვენებს. — თქვა ერთმა ახალგაზრდა მტვირთავმა.

— კაცმა რომ თქვას, მარგალიტები არც იქ ყრია, მაგრამ ამდენი ქარხნები რომ გაიხსნა, ბევრი მუშა დაგროვილა, ცხოვრება უფრო საინტერესო გამხდარა, — უპასუხა მას ხანში შესულმა მუშამ.

დასვენების დრო იყო, მოსაუბრეთ მუშები კიდევ შემოემატათ, ყველა თავის აზრს გამოთქვამდა.

— მუშის ცხოვრება საინტერესო მაშინ იქნება, როდესაც მას ადამიანად მიიჩნევენ. გაზეთებში წერდნენ: ბაქოს რკინიგზის კვანძი ბათუმს შეუერთდაო. კარგია, რა თქმა უნდა, მგზავრობა უფრო ადვილი გახდა, ჭრაქში ჩასასხამი ნავთი მაინც გაჩნდება, მაგრამ ეს რას შველის ჩვენს გაჭირვებას? — თქვა ლუკამ.

— აბა შენ რა გეგონა? — უპასუხა დაცინვით პირველმა მტვირთავმა. მატარებელი გვიშველიდა თუ ბათუმში გახსნილი მანთაშევისა და როტშილდის ქარხნები? გაზეთში წერენ: ბათუმში ათი ათასი მუშა მუშაობს, გავკეთდითო, ხოლო იმაზე არავინ წერს თუ როგორ ცხოვრობენ მუშები.

— როგორ ცხოვრობენ და ისე, როგორც ნობელს და მანთაშევს მოუხდებათ, ნახევრად მშიერი. ფულზე დანატრებულ გლეხებს მუქთად ქირაობენ, მუშების გაკეთებული საქმით თვითონ მდიდრდებიან. — ჩაერია ლაპარაკში ივა ქარცხია.

— ეჰ, გლეხის და მუშის ბედი ასეთი ყოფილა. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, ძაღლურად ვიცხოვროთ, ხოლო მემამულეები და ქარხნების მეპატრონეები უნდა გამდიდრდნენ, ფუფუნებაში ნებივრობდნენ. — არა ცხრებოდა პირველი მტვირთავი.

დუტუ ჯგერენაია ყოველივე ამას ყურს უგდებდა, აკვირვებდა ამდენი ამბები ლუკამ და ივამ საიდან იციანო. ნუთუ ამდენი

რამ შეიცვალა ჩემს აქ არყოფნაში, რომ ბიჭები ასე გამოცდილი მუშებივით ლაპარაკობენო. თვითონ საუბარში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან გრძნობდა, გარკვეული აზრი არ ჰქონდა იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა გლეხებსა და მუშებს თავიანთი ცხოვრება გაეუმჯობესებინათ. ჩუმად იჯდა, გულში კი გადაწყვიტა ბათუმში წასულიყო: ერთ-ერთ ქარხანაში მეც მიმიღებენ, თუ იქ ათი ათასი კაცი მუშაობს, სამუშაოს მეც ვიშოვნი, ახალ ხალხს გავიცნობ, ახალ ცხოვრებას გავეცნობი. უფრო განვვითარდებიო.

ბათუმში წასვლას აპირებდნენ ესტატე ნაჭყებია, ივა ქარცხია და ლუკა კიტიაც. ისინი ფოთში ახლა მტვირთავებად მუშაობდნენ. ქვის ოსტატებს მტვირთაობა არ აკმაყოფილებდათ. ბათუმში ახალი ქარხნები, ფაბრიკები და სახლები შენდებოდა. იქ ადვ[illegible]დ იშოვნიდნენ თავიანთი ხელობის შესაფერ ადგილს:

დუტუმ მოუწონა თავის ოსტატს და ამხანაგებს განზრახვა. ერთ მშვენიერ დღეს ჩასხდნენ გემში და ბათუმისკენ გაემგზავრნენ.

ბათუმში მათი ჩასვლა იმ დროს დაემთხვა, როდესაც პოლიციამ პირველი სოციალ-დემოკრატიული წრის წევრები დააპატიმრა. ამ პატარა წრეს რუსი სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ. თბილისის კომიტეტმა 1902 წელს ერთი თავისი აქტიური წევრთაგანი იქ მიავლინა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად.

ესტატე, დუტუ, ლუკა და ივა მანთაშევის ქარხანაში მოეწყვნენ. ესტატეს აქ რამდენიმე ნაცნობი მუშა აღმოაჩნდა. ისინი ესტატეს გამოზრდილები იყვნენ და მისი მოსვლა ძალიან გაუხარდათ. ასევე ესიამოვნათ ოსტატის ახალი შეგირდების გაცნობაც. მალე დაიახლოვეს ისინი, დაჰყავდათ შინ. ამ მუშებში იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენი, წიგნის მოყვარულნი, რევოლუციურად განწყობილნი. სულ მალე დუტუ მათ დაუახლოვდა.

დუტუ ხშირად ჩადიოდა სოფელში. ვერ ისვენებდა უცოლოდ. ენანებოდა ახალგაზრდა ქალის მიტოვება თვეობით, იცოდა როგორც თვითონ განიცდიდა მარტოობას, ისევე წუხდა და

დარდობდა ირინაც მასზე. ირინას ბიჭი შეეძინა. ბავშვს სახელად კაკო დაარქვეს. სამ თვეში ერთხელ მაინც ჩააკითხავდა ხოლმე დედა-შვილს დუტუ.

მისი ჩამოსვლა სოფლის ახალგაზრდობისათვის ნამდვილი დღესასწაული იყო. ბევრი ახალი და საინტერესო ამბები ჩამოჰქონდა ქალაქიდან დუტუს. არა მარტო ახალგაზრდები, ხშირად მოხუცები, თვით მაიაც დიდის ამბით ელოდა დუტუს ჩამოსვლას. ისიც გატაცებით ისმენდა დუტუს ნაამბობს მუშათა გაფიცვებზე ბათუმსა და თბილისში.

თბილისის საორთქლმავლო დეპოსა და რკინიგზის სახელოსნოს მუშებმა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დიდი გაფიცვა მოაწყვეს 1901 წელს. ამ სამაისო დემონსტრაციის შემდეგ ბათუმის მოწინავე მუშებმა, მათ შორის დუტუ ჯგერენაიამ, გარკვევით იცოდნენ, რომ მისი მომწყობი და ხელმძღვანელი სოსო ჯუღაშვილი იყო.

1902 წლის პირველ მაისს დუტუ ჯგერენაია უკვე თვითონ ღებულობდა მონაწილეობას ბათუმის დემონსტრაციაში, რომლის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი თბილისის კომიტეტის მიერ გამოგზავნილი ახალგაზრდა სოსო იყო.

— მამა, — უყვებოდა დუტუ გელას, — იმაზე მშვენიერს ვერაფერს ნახავდი, წითელი დროშა რომ ავაფრიალეთ, რევოლუციური სიმღერები დავჭექეთ, თან მოთხოვნილება წამოვაყენეთ: თუ ამ პირობებს არ შეგვისრულებთ, მუშაობას შევწყვეტთო, და, მართლაც, დემონსტრაციიდან ყველანი ჩვენ ჩვენს სახლებში წავედით. ქარხნის პატრონი და მისი დამქაშები კი დატრიალდნენ, ეჩქარებოდათ მუშების ქარხანაში დაბრუნება. ქარხნის დახურვა მათთვის დაღუპვაა, ყოველდღე ასიათასობით ზარალი მოუვათ.

— ხომ შეეძლოთ თქვენს მაგიერ სხვა მუშები ეშოვათ? — ჰკითხა გელამ.

— არ შეეძლოთ, რადგან გაფიცული მუშების მაგივრობას ვერავინ გაბედავს.

— კარგად გქონიათ, შვილო, საქმე. ვენაცვალე იმ ახალგაზრდას, ვინც მაგ საქმეს ხელმძღვანელობდა. მაშ გაიმარჯვეთ ხომ?

გელას უხაროდა მუშების გამარჯვება, თან გული წყდებოდა, რომ ორმოცდაოთხი წლის წინათ გლეხთა აჯანყება ასე უსაყოფოდ დამთავრდა.

— შვილო დუტუ, ცეცხლი არ მომიკიდო, მამაშენივით შენც არ დაგიჭირონ! — ეუბნებოდა შეშინებული ლერწამისა დუტუს.

დუტუ ამშვიდებდა დედას. ეუბნებოდა: მალე დადგება ისეთი დრო, რომ გლეხისა და მუშის ცხოვრება ადამიანის ცხოვრებას დაემსგავსებაო.

— ღმერთმა ქნას, შვილო, — ეუბნებოდა გახარებული ლერწამისა შვილს, — მე ვერ მოვესწრები მაგ დღეს, მაგრამ შენ და შენმა ცოლ-შვილმა მაინც გაიხარეთ.

ლერწამისა ამ ბოლო წლებში ხშირად ავადმყოფობდა. გრძნობდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა და დუტუს ყოველი ჩამოსვლა, მისი აქ გატარებული ყოველი დღე დიდი ბედნიერება იყო მისთვის. ამ ბედნიერებასაც მაია უნახავრებდა. სამი-ოთხი დღით ჩამოსულ დუტუს მაია დაიბარებდა ხოლმე და მთელი დღე არ გამოუშვებდა. ის დაწვრილებით ისმენდა დუტუსაგან მუშათა და გლეხთა მოძრაობის საინტერესო ამბებს.

ოთხმოცდაათიან წლებში გამოვიდა გაზეთი „კვალი", რომელიც საქართველოს იმდროინდელ გაზეთებს შორის ყველაზე მოწინავე იყო. „კვალი" გამოხატავდა სოციალ-დემოკრატიულ იდეებს. ამ გაზეთს მესამე დასელების გაზეთს უწოდებდნენ, ვინაიდან საქართველოში ახალგამოჩენილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასაც მესამე დასელები ერქვა. ასეთი სახელწოდება მიიღო მან იმიტომ, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში რამდენიმე მიმართულების პარტია (დასი) წარმოიშვა. პირველ დასად თერგდალეულებს თვლიდნენ. მეორე დასად — ფედერალისტებს, ხოლო მესამე დასად — სოციალ-დემოკრატებს.

გაზეთი „კვალის" შინაარსი ძლიერ მდიდარი იყო. აქ იბეჭდებოდა გაზეთ „ისკრიდან" გადმობეჭდილი წერილები. „ისკრა" იყო „კვალის" გეზის მიმცემი. „ისკრას" სათავეში ედგა ლენინი და პლეხანოვი. ეს გაზეთი ჟენევაში გამოდიოდა, რადგან

თვით პლეხანოვსა და ლენინს რუსეთში არათუ გაზეთის გამოცემა, ცხოვრების ნებაც არ ჰქონდათ.

ათას ცხრაასიან წლებში გაზეთ „ისკრის" რედაქციაში ორ დიდ მოაზროვნე თეორეტიკოსს — პლეხანოვსა და ლენინს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ. ორივე ხელმძღვანელს თავისი მომხრეები გაუჩნდათ რედაქციაში. უთანხმოება შეეხებოდა როგორც მეცნიერულ-იდეურ პრინციპებს, ასევე პარტიის ორგანიზაციის ჩამოყალიბებას და მრავალ პრაქტიკულ საკითხს.

განხეთქილების შემდეგ ლენინის ხელმძღვანელობით ჟენევაში გამოვიდა ახალი გაზეთი, რომელსაც „ნოვაია ისკრა" ერქვა.

ეს გაზეთი არალეგალურად ვრცელდებოდა მთელ რუსეთსა და საქართველოში. მას მოწინავე მუშებში, მოსწავლე ახალგაზრდობასა და სოციალ-დემოკრატიის მომხრეთა შორის რევოლუციური შეგნება შეჰქონდა.

ასეთი მუშაობის შედეგად საქართველოში მრავალი პროკლამაცია და ბროშურა იბეჭდებოდა და არალეგალურად ვრცელდებოდა.

მაია დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მოვლენათა განვითარებას, მაგრამ ყველაფერში ვერ ერკვეოდა. ძლიერ აინტერესებდა ის ადამიანები, რომლებიც მუშათა და გლეხთა საქმისათვის თავს წირავდნენ. ის კი არ იცოდა, რომ რევოლუციონერები მისი კლასის, მისი საზოგადოების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ერთხელ დუტუსთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ მაია დიდხანს იჯდა აივანზე ფიქრებში წასული. სასახლეში ყველას ეძინა. შორიდან სიმღერა მოისმოდა. მღეროდნენ ახალგაზრდები. მთვარიანი ღამე იყო, სივრცე — წმინდა და ნათელი. მაიას უყვარდა ასეთი ღამეები. ისინი ყოველთვის რაღაც სევდიან ფიქრებს ჰგვრიდნენ.

სიმღერა თანდათან ახლოვდებოდა, მაიამ ყური მიუგდო.

ჩქიმი ჯიმა სესია,
მუთ ითვინე თესია,

შხვაშო ხაჩქუ, შხვაშო ბარგუ,
შხვას ეურდვა ღერცია,
ირო ჭვიტე კილეგანცუ
სქანი მაღაზაში რჭელცია.*

მაია ნელა ჩავიდა აივნის უკანა კიბიდან და ეს სიმღერა უფრო მკაფიოდ გაიგონა. შერცხვა საკუთარი სინდისისა.

„მართალი არიან, სხვისთვის თესენ, სხვისთვის მარგლავენ, ჭირნახულიც სხვას მიაქვს... როდემდე იქნება ასე? — ჩაფიქრდა მოხუცი ქალი, — ერთ დღეს რომ გლეხებმა ჩვენთვის თესვა და თოხნა მიატოვონ, მაშინ? — დაეკითხა თავის თავს და შეკრთა. — რითი იცხოვრებენ ის და მისი შვილები? — ფიქრი გაგრძელდა: ახალგაზრდებს აშრომებენ, ამსახურებენ. ჩემებრ მოხუცებს კი, ალბათ, რამეს მიუჩენენ. ღვთის გაჩენილს ღმერთი არ გაწირავს", — უპასუხა თავის ფიქრებს. სულით არ დაეცა ასეთი საშიშროების წინაშე, ცოტა ხანს უსმინა მომღერალთ და შემდეგ აივნისკენ წამოვიდა.

„ბევრი რამე ვნახე, ნეტავ ამასაც მოვესწრებოდე თუ რას იზამს ხალხის ძალა? აქვს კი ძალა ხალხს? როდის გამოიყენებს? — მაია თავისი წლოვანების გამოანგარიშებას შეუდგა: — ოთხმოცდასამი წლისა ვარ, ეს არც ისე დიდი წლოვანებაა! საინტერესო კია, რით დამთავრდება ქვეყნის ბედ-იღბალი, თუ ოდნავ მაინც სამართლიანია ის მიზანი, რისთვისაც მრავალი წლის მანძილზე ადამიანთა სისხლი იღვრება, ხალხმა უნდა გაიმარჯვოს"...

* * *

ათას ცხრაას სამი წლის მიწურულში და ათას ცხრაას ოთხი წლის პირველ ნახევარში მთელ რუსეთსა და საქართველოში რევოლუციური მოძრაობა ფართოვდებოდა. ხალხი აზვირთდა. გაბედულად და შეგნებულად გამოვიდა. გლეხები თავიანთ ნებაზე ამუშავებდნენ თავადების მიწებს, გადასახადებს აღარ იხ-

---

* „ჩემო ძმაო სესია, როგორ ითმენ ამასო, სხვისთვის თესავ, სხვისთვის მარგლავ, სხვას უთოხნი ყანასო, ცარიელი სასიმინდე როდის უნდა გაავსო!"

დიდნენ. ყოველ მაზრაში ჩამოყალიბდა ერთნაირი წესწყობილება. ბოქაულისა და მამასახლისის მაგივრად გაჩნდნენ ასისთავები და ათისთავები. პოლიციას არავინ არაფერს ეკითხებოდა. ვინც ერთობის გარეშე დარჩენას ფიქრობდა, ბოიკოტს უცხადებდნენ. ხალხმა შექმნა თავისი რევოლუციური მთავრობა, რომელიც მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ემორჩილებოდა. სოფლებში იმართებოდა კრებები, სადაც ასისთავებს ირჩევდნენ. აქ წყდებოდა სხვა საჭირბოროტო საკითხებიც.

ჟანდარმერია და პოლიცია ჰირიდან ცოფს ყრიდა. ხედავდა, რომ თვალსა და ხელს შუა უფლებას კარგავდა. ისინი ჯაშუშობდნენ, ხელს უშლიდნენ ერთობის საქმეებს. მათ დასაშინებლად და მოქმედების საწინააღმდეგოდ გაჩნდნენ ტერორისტები, რომელნიც პოლიციელებსა და ჯაშუშებს დევნიდნენ, უკიდურეს შემთხვევაში კი თავიდან იშორებდნენ.

მთელი დასავლეთ საქართველო ქუთაისში არსებულ იმერეთ-სამეგრელოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტს ემორჩილებოდა. პარტიის ფრაქციებად გაყოფის შემდეგ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრთა შორისაც ორი ფრაქცია ჩამოყალიბდა: ბოლშევიკების და მენშევიკების.

დუტუ ჯგერენაია თავდადებულად მუშაობდა ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. ის უკვე იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური ფრაქციის კომიტეტის წევრი იყო. მას, როგორც ნდობით აღჭურვილ კაცს, ხშირად უხდებოდა სიარული ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, უფრო ხშირად ზუგდიდში.

დუტუ, გარდა იმისა, რომ მიტინგებზე გამოდიოდა ხიბულა-კირცხისა და ნარაზენის ასისთავებთან, წრეში პროპაგანდას ეწეოდა, ამარაგებდა მათ არალეგალური ლიტერატურით და იმავე დროს ხალხის შეიარაღებას სათავეში ედგა. თავისი სოფლის რაზმელებს მეთაურობდა. ამ რაზმში ირიცხებოდა ივა ქარცხია, ლუკა კიტია კი ასისთავი იყო.

ივა ქარცხია და ლუკა კიტია აქ ბათუმის კომიტეტმა გამოგზავნა სამუშაოდ. ესტატე ნაჭყებიას ისინი ისევ თავის მასწავლებელს ეძახდნენ, მაგრამ არა როგორც ხელოსანს, არამედ როგორც გამოცდილ რევოლუციონერს და ხალხისათვის თავ-

დადებულ მებრძოლს. ესტატე ზუგდიდში მუშაობდა და იქიდან ხელმძღვანელობდა თავის მოწაფეებს.

მაიას შვილებზე დარდი მოსვენებას არ აძლევდა. არეული დრო იყო. ამბოხებები, გაფიცვები, ტერორი... მისი უჩა და გრიშა ოფიცრები იყვნენ. ახლა მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ ნიკოლოზ მეფე პოლიციისა და ჟანდარმერიის გარდა ჯარსაც იყენებდა და მაია სულ იმის წუხილში იყო, რომ მისი შვილები არ აეძულებინათ ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საბრალო დედას სულ გზისკენ ეჭირა თვალი. სოფელში თუ ვინმე ჩამოვიდოდა, უმალვე თავისთან დაიბარებდა, იქნებ ჩემი ბიჭების ამბავი იცისო. მაგრამ გადიოდნენ თვეები, ქვეყნის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო დაძაბული ხდებოდა, შვილების ამბავს კი ვერ გებულობდა. ამ შიშმა და მწუხარებამ მაიას თავისი დაღი დააჩნია, იგი ისე დაუძლურდა, აივნიდან ველარ ჩამოდიოდა. აივანი კი მაიასათვის მთელი ქვეყანა იყო.

ერთხელ მაია ჩვეულებისამებრ აივანზე იჯდა. უცებ, სად იყო, სად არა, გრიშას ბოხი ხმა შემოესმა. გრიშას გიგიშა მიგებებოდა გზაზე და სახლისაკენ მოჰყავდა.

— დედა ბატონი როგორაა, გიგიშა? — ეკითხებოდა გრიშა თანამოძმეს.

— დედა შემოგევლოს, შვილო, შენ, — გული აუჩუყდა მაიას შვილის ხმის გაგონებაზე. წამოდგა, ჯოხს დაეყრდნო და შ[illegible]ოს კარებთან მიეგება.

— შვილო, როგორ გამახარე... მადლობა ღმერთს, კ[illegible]კად ყოფილხარ, მე კი შიშით აღარა ვარ. რა არ ვიფიქრე... — მაია უცებ გაჩუმდა. მას არასოდეს არ უყვარდა შიშის გამხელა, შვილებთან და ქმართანაც კი მუდამ თავშეკავებული იყო. ახლა ეუცნაურა, რომ ასე გახსნა თავისი გული. „ცუდის ნიშანია, სიკვდილი ხომ არ მომიახლოვდაო“ — გაიფიქრა.

გრიშაც გააკვირვა დედის ასეთმა გულახდილობამ. ასე თბილად, ასე ტკბილად არასოდეს არ შეხვედრია მას დედა.

— რა გაქვს, დედა ბატონო, საშიში? მე ვინ რას მერჩის. ხალხი მეფეს ებრძვის...

— შენ ხომ მეფის ოფიცერი ხარ, გითა? — უთხრა მაიამ და თავის გვერდით მოისვა შვილი.

— მეფის კი არა, ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცი ვარ, დედა.

— არა, შვილო, მაგას ვინ დაგიჯერებს, სანამ ეს „პაგონები" გაკერია მხარზე. თავის ქვეყნის ჯარისკაცები ისინი არიან, ვინც ხალხის საქმისათვის იბრძვიან. აი ჩვენი დუტუ ჯგერენაია, ლუკა კიტია, ივა ქარცხია. და იცი კიდევ ვინ, შვილო? მუშნი დადიანი და გვანჯი ჩიქოვანი. იარაღი აუღიათ და ბოლშევიკების რაზმებში ჩაწერილან.

— რას ამბობ, დედა ბატონო! — გაიოცა გრიშამ,—მუშნი დადიანი და გვანჯი ჩიქოვანი ბოლშევიკების, წითლების რაზმში! არა, მე მაგისთანა ჯარისკაცი ვერ გავხდები სწორედ, წითლებში ვერ ჩავეწერები.

— იმ წითლებს, შვილო, ერთი ღვთისნიერი კაცი მეთაურობს...

მაიამ ვერ გაიხსენა იმ კაცის გვარი, გიგიშას მიუბრუნდა:— რა გვარიაო, გიგიშა, როგორ თქვა დუტუმ?

— ლენინი, ქალბატონო.

— ჰო, ლენინი, შენ არ გაგიგონია ეს გვარი, გითა?

— როგორ არა, დედა ბატონო. მე კი არა, მთელმა ქვეყანამ იცის მისი გვარი ახლა.

— მერე, არ ჯობია ლენინი იმ შენს ქარაფშუტა ნიკოია ხელმწიფეს?

— მუშებისა და გლეხებისათვის კი ჯობია, დედა, მაგრამ ხალხი მარტო მუშები და გლეხები ხომ არ არის.

— აბა, ვინაა, შვილო, ხალხი? მე და შენ ვართ? ერთი მუჭა თავადაზნაურობა და მემამულეებია ხალხი?

— შენ მთლად წითლებივით ლაპარაკობ, დედაჩემო, — გაიღიმა გრიშამ და შეეცადა ლაპარაკის საგანი შეეცვალა, მაგრამ მაიამ არ დაანება, — მაინც როგორაა ქვეყნის საქმე გითა?

— მეფის ნაცვლად გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი დანიშნეს, დედა, ჯარების სარდლად, — გენერალი მალამა დაგვიყენეს.

— მერე რა შეიცვლება ამით? — ჰკითხა მაიამ შვილს. — ერ-

თი გენერლის მაგივრად მეორე დანიშნეს. დუტუ ამბობდა, ის შენი გენერალი დიდი მოძულეაო ქართველებისა,

— მართალი უთქვამს დუტუს, — დაუდასტურა გრიშამ, — მაგრამ ეს მითხარი, დედა ბატონო, საიდან იცის ამდენი ამბები გელა ჯგერენაიას შვილმა ან როდის გახდა ის შენი მეგობარი.

— დუტუმ რომ იცის, იმდენი დააკლდა, შვილო, შენს მტერს, — მიუგო მაიამ შვილს. — იმ ჯგერენაიამ იმდენი იცის, რომ ბევრ თავმომწონე ოფიცერს და თავადს შეეხარბება... ჰოდ, მალამა ამბობს თურმე, ქართველებს რევოლუცია იმიტომ სჭირდებათ, რომ შოვინისტები არიანო.

— მართალი უთქვამს დუტუს, — დაუდასტურა გრიშამ დედას, — ჭირივით სძულს თურმე ქართველები, სისხლით ჩავაქრობ მათ შოვინიზმსო.

— ისემც ადგომია გვერდი მას, — გულმოსულად თქვა მაიამ და სახე გაუფიცრდა. — როგორც დუტუმ ამიხსნა, შოვინიზმი სხვა ერის სიძულვილია, სხვა ხალხების დევნა და ჩაგვრა. ესაა, გითა, შოვინიზმი, ხომ?

— ჰო, დედა, ესაა...

— ჰოდა, ენით ხეზე უნდა ჩამოკიდო ის მალამაა თუ ვინცხა რეგვენია. როდის იყო, რომ ქართველ კაცს სხვა ერი სძულდა, სხვა ერს ჩაგრავდა? თბილისში თურმე მეჩეთი, სინაგოგა და ეკლესია ერთმანეთის გვერდით დგას. აზატ-ხანს სომხებისათვის კინაღამ არ შეაკლა თავი ერეკლე მეფემ. ქართველებმა არ გადაარჩინეს სომხეთი სპარსელების აოხრებისაგან? რა ერის ხალხი არ ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში, შვილო, თათარი გინდა, თურქი გინდა, სომეხი გინდა, ბერძენი, პოლონელი, გერმანელი. ჩვენ რომ ისინი გვძულდეს, აქ გაჩერდებოდნენ? ვერ კითხავთ იმ მალამას, ვინ მეთაურობს რევოლუციონერ ქართველებსო? იქნებ ლენინიც შოვინისტად მონათლოს იმ ვაჟბატონმა.

— დედა, რაღა შენ და რაღა ბოლშევიკი.

— შვილო, რასაც დუტუ ამბობს, თუ ის არის ბოლშევიკი, მაშინ მაგ საქმე დასაწუნი არ არის. მალამას არ ეხატება იგი გულზე, მაგრამ ხალხი დიდიან პატარიანად გაჰყვება ბოლშევიკებს.

დედის ლაპარაკი გრიშას არ მოსწონდა, დაღლილობა მოიმიზეზა და თავის ოთახში შევიდა ხელ-პირის დასაბანად, ტანსაცმლის გამოსაცვლელად. სანამ სუფრას გაშლიდნენ, მაია ოთახში არ შესულა. გიგიშასთან ერთად იჯდა აივანზე.

— არ მოეწონა ჩემს გითას ჩემი ლაპარაკი, — დაარღვია დუმილი ცოტა ხნის შემდეგ მაიამ და გიგიშას შეხედა, — რაღაც დაშინებული ჩანს ჩემი შვილი, გიგიშა.

— აბა, რა იქნება, მაია ბატონო, კაცი მეფის სამსახურშია, ცოლ-შვილის პატრონია. ოფიცრობა რომ დაკარგოს, რითი არჩინოს ოჯახი. რა მამული და ქონება აქვს ისეთი, რომ იმან შეინახოს.

— ბოლშევიკების ოფიცრად არ გამოდგება ვითომ ჩემი შვილი? — ჰკითხა მაიამ გამოცვლილი ხმით გიგიშას.

— არ გამოდგება და არც თვითონ ინებებს, — უთხრა გიგიშამ. — არც ენდობიან ისინი მეფის ოფიცრებს.

— რა მოელის აბა ჩემს შვილებს, გიგიშა? — შიშით იკითხა მაიამ, — თუ ნიკოლოზ ხელმწიფე ჩამოაგდეს ტახტიდან, ხელმწიფეს და მის ამალას ცოცხალს არ გაუშვებენ. მომიკლაევენ ჩემს უჩას ვითომ?

— უჩა ისეთი უჭკუო არ არის, უკანასკნელ დრომდე იქ გაჩერდეს, მეფესთან. როგორც კი შეატყობს, რომ მეფის საქმე შავადაა, დაკრავს ფეხს და თავის ქვეყანაში წამოვა.

მაიას არ ამშვიდებდა გიგიშას სიტყვები. საგონებელში ჩავარდა. გიგიშას უთხრა სადილი დააჩქარებინეო, რომ სუფრაზე კვლავ გაეგრძელებინა შვილთან საუბარი.

სადილი აივანზე გააწყვეს. გრიშა მადიანად შეექცეოდა ბაჟას, საწებელში ჩაწყობილ ვარიას და დედის კითხვებზე დინჯად უპასუხებდა. ღვინოს მოზრდილი სასმისით სვამდა და გიგიშასაც ისეთივე სასმისით ასმევდა. გიგიშამ იცოდა გრიშას ხასიათი, უარს ვერ ეუბნებოდა.

— მაშ ალიხანოვის დამსჯელი რაზმი უკვე წვავს გურიის სოფლებს, — მკაცრი და გაბოროტებული ხმით იკითხა მაიამ, — ადამიანის ფერი არ ედო. არ ჭამდა, არც სვამდა, სფინქსივით უძრავად იჯდა. — და ქართველი ხალხი გულდამშვიდებული შეჰ-

ყურებს, როგორ ანადგურებენ მის სახლ-კარს. სოფლები ურ-ჯულო ომერ-ფაშას არ გადაუწვავს და ალიხანოვს აწვევინე-ბენ.

— ბევრი იღონა, დედა ბატონო, თბილისის მოწინავე საზოგადოებამ, რანაირად არ სთხოვეს გენერალ მალამას, რომ შეეჩერებინა ალიხანოვის რაზმი, მაგრამ იმ არამზადამ აინუნ-ში არ ჩააგდო ქართველ მოღვაწეთა თხოვნა.

— ყირიმ-გირეიმ რა ქნა, რისთვის გაგზავნეს ის კაცი გუ-რიაში?

— უნდა გამოერკვია, თუ რა უნდოდათ გურულებს.

— მერე.

— ამ „გამორკვევამ" კიდევ უფრო მეტი უბედურება მოუტა-ნა ხალხს. აჯანყებულები ისე გათამამებულან, სადაც კი მივი-დოდა ყირიმ-გირეი, ყველგან დემონსტრაციები იმართებოდა თურმე. ორატორები გაბედული სიტყვით გამოდიოდნენ. მო-თხოვნილებები წარუდგენიათ მთავრობის წევრისათვის, ისიც პირდებოდა საქმეების დაუსჯელად მოგვარებას.

— მერე რამ შეუშალათ ხელი, რისთვის შეიყვანეს დამს-ჯელი ჯარი? — იკითხა გიგიშამ.

— სანამ ყირიმ-გირეი დადიოდა და დემონსტრაციებს ესწ-რებოდა, ალიხანოვს არ ეძინა, ის მეფისნაცვალს არწმუნებდა: ყირიმ-გირეის მოღვაწეობა აღრმავებს რევოლუციას მარტო გუ-რიაში კი არა, მთელ დასავლეთ საქართველოშიო. ალიხანოვს პეტროგრადისთვის მიუმართავს ასეთივე მოხსენებით, რის შე-დეგად ყირიმ-გირეი უკანვე გამოითხოვეს, ალიხანოვს კი გზა გაუხსნეს გურიის დასარბევად. მოსალოდნელია ჩვენც გურიის ბედი გვეწვიოს...

— დაგვიფაროს ღმერთმა, შვილო... — თქვა ჩავარდნილი ხმით მაიამ და წამოდგა. თავის საძინებელ ოთახში ჩაიკეტა. გრიშას დედა კარგა ხანს გაღიმებული არ უნახავს ამ საუბრის შემდეგ.

გლეხთა აჯანყება სამეგრელოს ეოედო. განსაკუთრებით ზუგ-დიდის მაზრას. დუტუ ჯგერენაია, ლუკა კიტია და ივა ქარცხია ესტატე ნაჭყებიას მეთაურობით ხან ერთ სოფელში გაჩერდე-ბოდნენ, ხან მეორეში. ხალხს მოუწოდებენ იარაღით ხელში დახვედროდნენ გენერალ ალიხანოვს.

დუტუსა და მისი მეგობრების ყოველ ნაბიჯი იცოდა მაიამ. მათი ამბავი სიტყვასიტყვით მიჰქონდა მასთან გიგიშას.

— შენ, გიგიშა, და საერთოდ ყველანი, ხალხს რითაც შეგიძლიათ დაეხმარეთ. მე არც მენდობიან და ან რას დავეხმარები, ფეხზე ძლივს ვდგავარ. არც მინდა ვინმეს ვაფიქრებინო, შეეშინდა და გვეფერებაო, — ეუბნებოდა მაია გიგიშას.

მართლაც მალე დასჭირდა ხალხს მაიას სასახლე. დუტუს ხშირად ჩუმად მოჰყავდა ზუგდიდიდან ჩამოსული ამხანაგები ღამის გასათევად ხან იქ, ხან გიგიშასთან.

ახლა მაია ისეთი ინტერესით აღარ კითხულობდა აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთ-გურიის ამბებს, რადგან ახალი ამბებით ზუგდიდის მაზრა აივსო. დაიწყო შეტაკება ხალხსა და პოლიციას შორის.

მაზრის უფროსი კეღამოვი ხალხს თვალით არ დაენახვებოდა. ერთ დილას მაიამ, რომელიც ჯერ არ ამდგარიყო, შეამჩნია, რომ მისი ოთახის გვერდით, მოახლე ქალის, ვერას ოთახში, რაღაც უჩვეულო მოძრაობა იყო. არაფერი თქვა მაშინ, მხოლოდ ჩაის რომ სვამდა, ვერას შეეკითხა:

— რა ამბავია სოფელში?

ვერა შეკრთა, მაგრამ მაინც დინჯად უპასუხა:

— ამბობენ, პოლიციას და წითელ რაზმელებს შეტაკება მოსვლიათო.

— ერთი გიგიშას დამიძახე, ვინმე გაგზავნე, ან შენ თვითონ გადადი.

— კი, ბატონო, მე თვითონ გადავირბენ ერთ წუთში.

ვერას გაუხარდა, რომ ეზოს გადაღმა გადასვლის შემთხვევა მიეცა. მალე დაბრუნდა, თან გიგიშა მოიყვანა.

— კარგად გამაგებინე, გიგიშა, ვინ დაუჭერიათ, რატომ მომხდარა შეტაკება პოლიციასა და ხალხს შორის. — შეაგება კითხვა მაიამ კარში შემოსულ გიგიშას.

— კეღამოვს დაუჭერია, ბატონო, რამდენიმე კაცი, ერთობის ერთგულები, ასისთავები, ათისთავები და მიჰყავდა თურმე ზუგდიდში. გზაზე დახვედრიათ წითელრაზმელები დაჭერილების გათავისუფლების მიზნით. კეღამოვის „სტრაჟნიკებს“ აუტე-

ხიათ სროლა, მოკლულები ორივე მხარეს არიანო, ამბობენ.

— ტყვეები ვერ გაუთავისუფლებიათ?

— წარმოიდგინეთ, ბატონო, გაუთავისუფლებიათ ყველა!

— ეს დუტუს მიწყობილი იქნება, — თქვა მაიამ.

— აბა, სხვა ვინ გაბედავდა თავიდან ფეხამდე შეიარაღებულ „სტრაჟნიკებთან" შებრძოლებას! — უთხრა მაიას გიგიშამ.

— მამამისის გელას ასლი და კვალია ის ბიჭი, — თქვა მაიამ და გაიღიმა, — მეშინია თავი არ წააგოს, ნამეტანი თავზე ხელაღებულია.

მაიას სამზარეულო, მარანი და სასიმინდე ყოველთვის საიმედო თავშესაფარი იყო დევნილთათვის. ახლა რაც რევოლუციური მოძრაობა გაძლიერდა მაიას ახლობელ სოფლებში, მის სასახლეს ერთობის ხალხი ზედმეტი პატივით ექცეოდა. მაიას ხალხის რისხვა არ შეხებია, მისი სახლიდან მოსამსახურეები არ წაუყვანიათ, არც ბოიკოტი გამოუცხადებიათ მისთვის.

მაიამ ახლა ისიც კი იცოდა, რომ რევოლუციის მიზანი მარტო ნიკოლოზის ჩამოგდება არ იყო. გლეხს მიწა უნდოდა და ყველაზე მეტი მიწები სწორედ მაიას ჰქონდა იმ კუთხეში. მაია ვერაფერს წყვეტდა. ეს საკითხი ძალაუნებურად გაპკრავდა გულში.

— დუტუ სიმართლის მთქმელი კაცია, მეტყვის ყველაფერს. მგონია, ხალხისათვის ცუდი არაფერი გამიკეთებია არც მე და არც ჩემს შვილებს. რა ექნათ, რომ მთავრის შთამომავალი ვართ. ამისათვის ხომ არ დაგვსჯიან და დაგვამშვენენ?

მაიამ მშვენივრად იცოდა, თუ რა ხდებოდა სასახლეში, მაგრამ თითქოს არაფერი არ იცისო, ისე ეჭირა თავი. არაფერს კითხულობდა.

— ხედავთ, თქვენი ჭირიმე? რაც მუხრან-ბატონებმა, დადიანებმა, დადეშქელიანებმა და გურიელებმა ვერ გაბედეს, ახლა გვასალიები, ქარცხიები, ბუკიები, კიტიები ბედავენ, რუსთა ხელმწიფეს ებრძვიან და ტახტიდან ჩამოგდებას უპირებენ, — ამბობდა მაია კმაყოფილებით.

როდესაც გლეხები ასეთ აზრებს მოისმენდნენ, გულში იცინოდნენ და გაკვირვებული ერთმანეთს გადახედავდნენ. შემდეგ

ერთმანეთს სიცილით გაუზიარებდნენ ბატონის „გასოციალისტებას“.

ასეთმა შეხედულებებმა და ხალხთან კარგმა განწყობილებამ 1905 წელს მაია სხვა მემამულეთა ბედს ააცდინა. ამ წლებშიც არ შეცვლილა მაიას ოჯახის ჩვეულებები და წესრიგი, მხოლოდ მამულების შემოსავალმა საგრძნობლად იკლო: ღალის მოტანას ყველა გაურბოდა. ეს არ მოსწონდა მაიას, მაგრამ თავის უკმაყოფილებას არ ამჟღავნებდა.

გრიშა ხშირად ჩადიოდა დედის სანახავად, ხომ არაფერი უჭირსო.

— არავინ არ მაწუხებს, შვილო, ვის რას ვერჩი ერთი მოხუცი ქალი? მე იმედი მაქვს, რომ ჩემი სოფელი შიმშილით არ მომკლავს, როგორც ღმერთსა და ხალხს სურს, ისე წავა ჩემი საქმე.

— ხალხის საქმე არ წავა კარგად, არა, — ეუბნებოდა გიგიშას მაია. — არ გახსოვს უტუ მიქავას და მართალია თოდუას რამდენი ჯარი ჰყავდათ, მერე რა გამოვიდა. ახლაც იგივე არ მოუვიდეთ მეამბოხეებს, ხალხს არა აქვს ერთი პირი, თორემ ხალხის ძალას ვინ მოერეოდა! რუსეთი დიდია, რა შეკრავს ამდენი ხალხის პირს. ერთობა რომ დამარცხდეს, ბევრი დედის გული ატირდება, გიგიშა. დიდი მსხვერპლი მოჰყვება ამ დამარცხებას. დაიჭერენ ამბოხებულებს და ყველას გააციმბირებენ.

— ძალიან არეულია ქვეყანა, მაია ბატონო. გრიშა კიდევ ქუთაისში გაუწვევიათ, გუბერნატორს დაუბარებია მარშლები და თავკაცები. ამბობენ: გუბერნატორი კარგი ადამიანიაო, გვარი დამავიწყდა... — გიგიშა ჩაფიქრდა, — დიახ, სტაროსელსკი უნდა იყოს... — დიახ, დიახ, ძალიან ეხმარება თურმე ხალხს ბატონო ჩემო, მაგრამ ნამესტნიკი მეტისმეტად მკაცრი კაცია. თვითონ სტაროსელსკის ეშინია მისი, მეფის ღალატი არ დამწამოსო. იმისათვის მოუწვევია თავადაზნაურობა სათათბიროდ, რომ როგორმე მშვიდობიანი გზით დააწყნაროს ქვეყანა, ხალხს იარაღი დააყრევინოს.

— კარგ გუნებაზე დამდგარა გუბერნატორი. ხალხმა თუ იარაღი დაყარა, ეს რაღა ბრძოლა იქნება? ეს ხომ დამარცხებას ნიშნავს? — გაიკვირვა მაიამ.

— სწორედ ამიტომ არ ყრის ხალხი იარაღს. ჩვენები პეტერბურგს, რუსეთს ელოდებიან: სანამ იქ იბრძვიან, ჩვენც ვიბრძოლებთო; რასაც რევოლუციის დიდი ხელმძღვანელები შემოგვითვლიან, ჩვენც ისე ვიმოქმედებთო.

— ეს ძალიან კარგი უქნიათ, ჩემო გიგიშა, რუს რევოლუციონერებთან ერთად რომ იბრძვიან. რუსეთი დიდია და ძლიერი. იქ ხომ მთელი რუსეთის რევოლუციის ხელმძღვანელი ლენინია.

— შენი ჭირი შემეყაროს, ბატონო, ყველაფერი რომ იცი, — უთხრა მაიას გიგიშამ...

დუტუ ჯგერენაიას ოჯახი მუდამ საესე იყო ქალაქიდან ჩამოსული ამხანაგებით. ბევრი მათგანი დუტუს ნაცნობ-მეგობარი იყო. ზოგი ბათუმიდან იყო, ზოგი — ფოთიდან.

დუტუ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრი გახდა და ისიც „უმრავლესობის“ ფრაქციისა. გელა შვილის საქმით და მოქმედებით გახარებული იყო. გელა უკვე ისე მოხუცდა, რომ უჯოხოდ ვერ დადიოდა. ახლა მხოლოდ ის შეეძლო, რომ აღტაცებით ესმინა შვილის მიერ მოტანილი ამბები და ჩამოსული ამხანაგების საუბარი. ახალგაზრდებს ეტყოდა:

— სწორედ არ მინდა სიკვდილი ერთობის დამყარებამდე, ერთი ჩემი თვალით ვნახო როგორ დაეწყობა გლეხკაცის ცხოვრება.

— მოესწრები, ბიძია, მოესწრები! — ამხნევებდნენ ერთობის ხელმძღვანელები გელას.

ასეთ დროს გელას თვალებში იმედისა და სიხარულის ნაპერწკლები გაიელვებდა ხოლმე.

სოფლებში ხალხი ხშირად იკრიბებოდა, ქალაქიდან ჩამოსულ ამხანაგებს ხვდებოდნენ შეკრებილნი, რათა კარგად გაეგოთ, რა მდგომარეობა იყო ქალაქებში, რა საშუალება და შესაძლებლობა, რომ მომავალი ბრძოლები თვითმპყრობელობასთან ხალხის გამარჯვებით დამთავრებულიყო.

მეფის მთავრობა სასტიკად დევნიდა ერთობის ხალხს.

ჟანდარმერია და პოლიცია ფეხზე იდგა, მაგრამ ვერას გახდნენ. როგორც ქალაქში, ისე სოფლებში გაძლიერებულად ვი-

თარდებოდა და ფართოვდებოდა რევოლუციური მოძრაობა.

მთელს იმპერიაში მასების ამოძრავებით შეშინებულმა მეფემ ნიკოლოზ მეორემ, 17 ოქტომბერს გამოსცა მანიფესტი, რომელიც ჩინისტრთა საბჭოს ახალდანიშნული თავმჯდომარის გრაფ ვიტტეს მიერ იყო შემუშავებული და რომლითაც მეფე პირდებოდა ხალხს სიტყვის, ბეჭდვის და კრებების თავისუფლებას, საარჩევნო უფლებების გაფართოებას.

მთელი ძალაუფლება რევოლუციური ორგანიზაციების ხელში გადავიდა. ქალაქებსა და სოფლებში იმართებოდა მიტინგები. ხალხის თავისუფლებას წითელი რაზმი იცავდა.

ზუგდიდის მაზრაში მრავლად მოიპოვებოდნენ წასწავლი ვაჟები. ზოგ მათგანს ქუთაისის გიმნაზია და რეალური სასწავლებელი დაემთავრებინა, ზოგს ფოთის, ზოგს სულ დაეტოვებინა სწავლა და ხალხში გასულიყო, ერთობას მსხვერპლად ეწირებოდნენ.

ცხრაას ხუთში სასწავლებლები თითქმის არ მუშაობდნენ. მოსწავლეთა დემონსტრაციების შემდეგ ახალგაზრდებმა თავიანთ კუთხეებს მიაშურეს, რევოლუციურ მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ, გამოდიოდნენ მიტინგებზე, ხელმძღვანელობდნენ პოლიტწრეებს, ამზადებდნენ პროპაგანდისტებს, ქმნიდნენ პარტიის გათვითცნობიერებულ წევრთა კადრებს.

რეაქცია

1905 წლის მიწურულში სამეგრელოში თანდათან იზრდებოდა შეიარაღებული რაზმების რიცხვი. ხალხი შეეჩვია იმ აზრს, რომ ერთობა უკვე მტკიცედ დამყარდა, რომ ხალხის მიერ არჩეული მთავრობის დამხობა ნიკოლოზ მეორეს აღარ შეეძლო. საქართველოს ყოველ კუთხეში იცოდნენ ქუთაისში გამართული ბარიკადების ამბები. ქვეყანა იმედით იყო სავსე. მანიფესტის შემდეგ მოძრაობა ფართოდ მოედო მთელ საქართველოს და მის განაპირა კუთხეებს, გურიას, სვანეთს, აფხაზეთს.

ყველგან მოძრაობას სათავეში ედგა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

სამაზრო-საგუბერნიო ხელისუფლებამ ხალხში ნდობა დაკარგა. თემები ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად მუშაობდნენ, ხოლო სოციალ-დემოკრატები იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის განკარგულებას ექვემდებარებოდნენ.

დუტუ ჯგერენაია არ ერიდებოდა არც ბოქაულს, არც ჩაფრებს. მის სახლში აშკარად იკრიბებოდნენ რაზმელები, აქ იყო იარაღის საწყობი, მაგრამ როცა მისმა მოქმედებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, ბოქაულსაც აევსო მოთმინების ფიალა. ურიადნიკი იხმო და დუტუს საქმის გამოძიებას შეუდგა.

— ღმერთმა ნუ იცის, ბატონო, დუტუს თავი. მოგეხსენებათ ის ოჯახი თავიდანვე მოწამლული იყო, იმ მოხუც გელას რომ უყურებთ ნაკატორღალია. კაკო დუტუს შვილია. ტყუილად კი არა ჰქვია კაკო, ნამდვილი ყაჩაღია. ერთ სიტყვას ვერ ათქმევინებ, ვერაფერს მისგან ვერ გაიგებ, — მოახსენა ურიადნიკმა.

— თქვენც მიხვალთ, დაჯდებით დუტუსას, გაძღებით, დათვრებით და ისე წამობრძანდებით იქიდან, რომ ვერაფერს ვერ გებულობთ, თუ რას აკეთებს ეს კაცი. — შეუწყრა ბოქაული.

— ბატონო, თქვენც ხშირად ბრძანებულხართ და იცით, სტუმრის როგორი მიღება იცის დუტუმ; პურ-მარილის კაცია, ზრდილობიანი და კეთილი. თქვენგან ბრძანება არ გვქონია გაგვეჩხრიკა, კედელზე კი ერთი სანადირო თოფი უკიდია. ჩოსაახალუხსაც არ იცვამს და ხანჯალს არ ატარებს.

— გარუსებულია შეჩვენებული, მიტომაც მისდევს რუსეთის რევოლუციას. გაჩხრეკას რა აზრი აქვს, იქნებ საწყობი მაია ბატონიშვილის სახლში აქვს: ეჭვს არავინ აიღებსო. ის გიგიშა წმინდა სულის კაცი არ უნდა იყოს. მაიას სასახლეს გიგიშა, პლატონი და ონისიმე ქარცხია ისე უტრიალებენ, როგორც უნდათ. უჩა რომ იყოს აქ, ვერ გაბედავდნენ ხელმწიფის წინააღმდეგ ამდენ ტლიკინს, — ამოხვნეშით თქვა ბოქაულმა.

— ესეც მართალია. მაიას ვაჟები სასახლეში არ არიან, შე-

იძლება იქ ჰქონდეს სოფელს იარაღი, — დაუმოწმა ურიადნიკმა.

— არ ვიცი, რა ვქნა. მაია ბატონიშვილის სასლის გაჩხრეკა ყოვლად შეუძლებელია. გავლენიანია, გადაგვემტერება, იქით გრიშას და უჩას მომამდურებენ. იყოს ჯერ, დუტუს დროც მოვა, თქვენ მაინც ყურადღებით იყავით! სირცხვილია, თქვენი ცხვირის წინ ამდენი ამბავი ხდება, — მკაცრად თქვა ბოქაულმა.

— ბატონო, ზევიდან თუ არ გვექნება ბრძანება, ჩვენით სროლას ხომ არ დავუწყებთ შეგროვილ ხალხს? ჯობს გატეხილად ვთქვათ: ღამის კრებების დროს ძალიან საშიშია მისვლა. მოგროვილ ხალხს ირგვლივ შეიარაღებული რაზმელების ჯაჭვი აქვს შემორტყმული, მიუახლოვდები თუ არა, რამდენიმე თოფის ლულა ამოგიღებს ნიშანში. კარგი, ვთქვათ, მოკალი ერთი, შემდეგ იქიდან გამოსვლა არ გინდა?

— გარშემო რომ შევესიოთ? — არ ცხრებოდა ბოქაული.

— რამდენი კაცით, ბატონო?

— სამ-სამი, ოთხ-ოთხი!

— ხობში სულ ოცდახუთი „სტრაჟნიკი" ვართ. რამდენ სოფელს ეყოფა ეს ძალა, როდესაც ხობის საპრისტაოში ათი სოფელი მაინც იქნება, თუ მეტი არა! — უკვე აღელვებულად უპასუხა ურიადნიკმა, რომელმაც ვეღარ აიტანა ბოქაულის ბაქიობა. — დამერწმუნეთ, ყოველ სოფელში, ღამღამობით კრებები და მიტინგებია.

— რას ყბედობ, ბიჭო! აბა, გაუმარჯვიათ მაგ ლაწირაკებს და ჩამოუგდიათ ნიკოლოზი! შენ ურიადნიკი ხარ, ასე შეშინებული არ უნდა ლაპარაკობდე. „სტრაჟნიკებში" მაინც არ გამოთქვა ასეთი აზრები და შენი სიმხდალე არ აჩვენო მათ.

ურიადნიკი ადგა, ყველაფერს შევასრულებო, უთხრა ბოქაულს, გულში კი გაიფიქრა:

„თითქოს თვითონ დიდი ვაჟკაცი მყავდეს, ერთი რაზმელი რომ შემოეფეთოს, შიშით ცხენიდან ჩამოვარდება დალოცვილი, ვის აქვს თავი განწირული, ზღვა ხალხს შეაკვდეს?"

ერთ დღეს გრიშა მოულოდნელად ესტუმრა მაიას, მხოლოდ

ორი მხლებელი მოჰყვა. აღელვებული და დაღლილი იყო. პირდაპირ დედის ოთახში შევიდა. ჩვეულებრივ მოკრძალებას ვერ იჩენდა, ეტყობოდა ძლიერ აღელვებული იყო.

— ცუდი რამე ხომ არ შეგემთხვა, შვილო ჩემო? — ჰკითხა მაიამ.

— არაფერი, ბატონო, ქვეყანა არეულია, მე რა მამყოფებს კარგ გუნებაზე?

— ქვეყანამ ასე იცის. ხან დაეწყობა, ხან აირევა. პირადად ხომ არაფერი გიჭირს, ექსორიაქმნილი ხომ არ ხარ? (სიტყვა „ბოიკოტი“ მაიას არ უყვარდა).

— არა, ბატონო, პირიქით, მთელი სოფელი კარგად მეპყრობა, მხოლოდ პატარა უსიამოვნება შემემთხვა: ერთ ღამეს ბოქაული მესტუმრა „სტრაჟნიკებით“. ეს გაეგო ერთობის ხალხს, ჩემს მეზობლებს: ნორაკიძეებს, ფულარიებს, გვასალიებს, დამესხნენ ოჯახში, ბოქაულსა და მის „სტრაჟნიკებს“ იარაღი აყარეს. რა მექნა, წინააღმდეგობა რომ გამეწია, სროლა ატყდებოდა, ბავშვები შიშით გადამერეოდა. მეც ჩემი ხელით ავყარე ყველას იარაღი და ჩავაბარე. წასვლისას მოიბოდიშეს. ოთახში რომ შემოვბრუნდი, დედა ბატონო, სიცილი ვერ შევიკავე, ისეთი სანახავი იყო ჩვენი ბოქაული. გათენებისას წავიდნენ ხობში ასე დამშვენებული.

— კიდევ კარგი, რომ მშვიდობიანად გათავებულა ეს საქმე. შენ ეს მითხარი, ქუთაისში რას ამბობენ, რისთვის დაგიბარეს, რა დაადგინეთ?

— ჩვენ ვინ რას გვეკითხება? გვიბრძანეს არ ავყვეთ ხალხის ფეხის ხმას, ვებრძოლოთ ერთობას, მივცეთ მთავრობას ერთობაში შემჩნეული პირები.

— ეს როგორ, ვერ გავიგე. ერთობის ხალხი და მათი წინამძღოლები სად არიან, რას აპირებენ, ყრიან იარაღს?

— დედა, იარაღი სად ჰქონდათ და რა უნდა დაყარონ? რევოლუცია რუსეთში დამარცხდა და საქართველოში რაღა იქნება. ახლა ბრძანებაა, ყველგან გენერალ-გუბერნატორები დაინიშნოს და მოეწყოს სამხედრო სასამართლოები. სტაროსელსკიც გადაყენეს. მის მაგივრად გენერალი ანდრონიკაშვილი დანიშნეს. იგი ძალიან სუსტი გამოდგა. ამიტომ ფაქტიურად გუბერნიის მართვა-გამგეობა ხელთ იგდო ალიხანოვ-ავარსკიმ.

— გამოდის, რომ ჩვენ არაფერი ვყოფილვართ, თუ ჩვენი ხალხის შვილებს ვერ დავიფარავთ და ვერ დავეხმარებით. შენ მარშალი ხარ, უნდა ითავო, თავზე იდო მათი გამოქომაგება. უჩა ვიხმოთ, მივწეროთ. ჩვენ გაჟლეტა არ დაგვკლებია თათრისაგან და გვეყოფა.

— დედა ბატონო, მე მერიდება მოგახსენო, ჩვენზე ისედაც ცუდი აზრის არიან გუბერნატორი და მაზრის უფროსები. პირადად შენზე მელაპარაკებოდნენ ქუთაისში: დიდად პატივს ვცემთ მის ღირსებებს, წლოვანებას, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ვეღარ მოვითმენთო. ნამდვილად ვიცით, რომ მფარველობს ერთობის ხალხსო, მისი სასახლის კარი მუდამ ღიაა მეფისა და კანონის მოღალატეებისათვისო. მე პირდაპირ მითხრეს, კი არ მითხრეს, მიბრძანეს, გამოვასწორო ეს მდგომარეობა, თორემ შენც პასუხს მოგთხოვენ და ჩვენც, შენს შვილებს.

— ჩემს ადგილზე შენ და უჩას რატომ მოგთხოვენ პასუხს,— თქვა ცივად მაიამ, — შენ შენი ოჯახი გაქვს, უჩა ხელმწიფის კარს ემსახურება. მე არავისი სამეურვეო არ ვარ და არც არავის ვთხოვ მფარველობას. ჯერ კიდევ შემწევს ძალა ჩემს თავს ვეპატრონო. ვისაც ჩემი მოქმედება არ მოსწონს, აქ მობრძანდეს, პასუხს მე გავცემ.

— შენ ალბათ იმის იმედი გაქვს, რომ ანგარიშს გაგიწევენ, მაგრამ დამერწმუნე, გიგიშას და სხვა მსახურებს ყველას დაეპატიმრებენ, გაგვლანძღავენ. რატომ ინებებ ასეთ სათაკილო საქმეში მონაწილეობას?

მაიამ წარბები შეკრა, შვილს მრისხანედ გადახედა, ოთახში სიარული დაიწყო, ახლა ისე ღელავდა, რომ კრიალოსანიც ვერ მოიშველია და ხელებს უმიზნოდ ასავსავებდა.

— აბა ის აჯობებს, ხალხმა აქედან განმდევნოს, გადამწვას, ოჯახი გამინადგუროს? მე მირჩევნია შემაწუხონ, ვიდრე მოყვასს, ბედით დაჩაგრულს არ მივხედო. თქვენ ტყუილა გისწავლიათ, ისიც არ იცით, ადამიანს რისი უფლება აქვს და რისი არა. — განმგმირავი თვალებით ჩახედა შვილს თვალებში, — „რომ ბედში მყოფი შენს ძმად მიგაჩნდეს...“ თქვენ კი ყოველთვის ბედში მყოფთ ეგებით ფეხქვეშ, ბედით დაჩაგრულთ კიდევ უფრო ჩაგრავთ, ლევანის მოდგმისა ხართ, ვერ შეითვისებთ

ადამიანურ აზრებს. აგერ სალომე ევროპაში აღიზარდა, თითქმის ნახევარი ცხოვრება იქ გაატარა, ისიც ვერ შეითვისა, რომ დამორჩილებულთან ბრძოლა არ უნდა იკადროს. რას ჰგავს სალომეს საქციელი! სოფელი ააწიოკებინა მთავრობას. ამას არ სჯობდა ხალხის ცხოვრება ოდნავ ხეირიანად მაინც მოეწყო? სხვისი შრომა მხოლოდ თავისი გამდიდრებისთვის და თავის მოსაწონებლად უნდა. გეუბნები, ბევრჯერ ნათქვამს, არაფერი კარგი და სამართლიანი საქმე არ სჩვევია მთავართა შტოს. სულ ტყუილია, დაიმსხვრა ჩემი იმედები!

— დედა, ჩვენ ქვეყანას ვერ დავაწყობთ, თორემ ვის არ უნდა ცვლილება მოხდეს სახელმწიფოში, და, კერძოდ, საქართველოში, მაგრამ ჩვენ ამას არავინ გვეკითხება. კიდევ გთხოვ, საეჭვო პირებისგან ოჯახი გაწმინდო. თუ ვისმეს დახმარება დასჭირდა, მე დავეხმარები. გიგიშას დღესვე წავიყვან, ჩემთან ვიყოლიებ და შენც დაწყნარდები, ყველაზე უფრო ეჭვის თვალით მას უყურებენ, თითქოს ეგ გყავდა მიჩენილი ერთობის ხალხის მომვლელად.

— გიგიშა სადაც გინდა იქ წაიყვანე, ხოლო ძალიან გთხოვ ჩემს ოჯახურ საქმეებში ნუ ერევი. მე ჯერ კიდევ მაქვს გონება, ისიც კარგად ვიცი, რა ერთგულებითაც ზრუნავს ჩემზე ყველა. შენ რა დამითმე, რომ მე ყველაფერი დავთმო?! გინდა გული გამიხეთქო, მალე მოვკვდე, რომ მერე...

გრიშამ დედას სიტყვა არ დაამთავრებინა, იფეთქა:

— რაა?! რა თქვი, დედა?! რა იკადრე ან მე რა მაკადრე? დღეის იქით ჩვენი დედაშვილობა არაფრად ვარგა, ის არც ოდესმე ყოფილა შენთვის სასიამოვნო. ამიერიდან არ გეჩვენები, შორიდან გემსახურები, რითაც შემიძლია.

— არავისი სამსახური არ მინდა! შენ შენს ცოლ-შვილს ემსახურე. ათ სულს რომ გააჩენ, უნდა გესმოდეს, რომ მათ მოვლა და პატრონობა უნდა, უსწავლელი არ დაგირჩენ. სწავლა შენთვის არ ინდომე და ალბათ შვილებსაც ისე მოექცევი, არავითარი შრომით არ შეაწუხებ.

გრიშა მიხვდა, რომ დედა მისადმი მთელი გულისტკივილის გამჟღავნებას ახლა აპირებდა, აღარ დაუცადა, მხოლოდ საყვედურით ესროლა:

— თუ ასე გებრალებით მე და ჩემი შვილები, ერთისთვის მაინც მოგეკიდა ხელი და გაგეზარდა. ჩემთვის ვერაფერს შეელევი, თორემ თავზე ხელაღებულებისთვის რომ დაგჭირდეს, სასახლესაც გაყიდი! — თქვა გრიშამ და დედას არ გამოეთხოვა, ისე წავიდა.

შვილის დაუმშვიდობებლად წასვლამ კიდევ უფრო გააბრაზა მაია.

„არ გაპატიებ ამ საქციელს, გითა, — ამბობდა გულში მაია, — შენ ყოველთვის ურჩი იყავი, ახლაც მეურჩები, მაგრამ დამაცადე. მთლად ამოგირეცხავ გულიდან ცოლიან-შვილიანად“.

ასე მწარედ კი გაიფიქრა მაიამ, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში სიბრალულმა გაჰკრა, შემდეგ იკითხა, — „გითა წავიდა თუ არაო“.

— კი, ბატონო, — უპასუხა ვერამ. — გიგიშაც თან გაიყოლა.

— ყველა მატყუებს. ვითომ ჩემს ამბავს გუბერნატორები და მაზრის უფროსები კითხულობდნენ. ჩემს ვაჟს უნდა სიცოცხლეშივე ჩამომართვას ყოველგვარი უფლება, არა, ბატონო! სანამ სული მიდგას, ოჯახიც ჩემს ნებაზე უნდა იყოს და ქონებაც. ვისაც მინდა, იმას მოვახმარ. გლეხებს დავურიგებ, გაჭირვებულს მივეხმარები. ქეიფში და დროს ტარებაში არავის გავაფლანგვინებ ხალხის ნაშრომს. ამაზე ნუ დამემდურებიან ნურც გუბერნატორი და ნურც ჩემი შვილები.

ვერას უნდოდა დაეწყნარებინა მაია და უთხრა:

— ბატონიშვილი შენზე ზრუნავს, შენ არაფერი აგიტეხონ.

ამ საუბრის შემდეგ გრიშა მაიას მართლაც არ გაჰკარებია, დედას შორიდან ადევნებდა თვალყურს, რომ მოხუცს რამე საწყენი არ შეხვედროდა.

მაიას საწყენი არაფერი შეხვედრია, მაგრამ საზრუნავი და ყურადსაღები თანდათან ემატებოდა: მაზრაში რევოლუციური მოძრაობა ძლიერდებოდა, მთავრობის პოლიტიკა სულ უფრო მკაცრი ხდებოდა. ზუგდიდის მაზრის უფროსმა კეღამოვმა, რომელიც განთქმული იყო თავისი სიმკაცრითა და შავრაზმული სულისკვეთებით, ყაზახებით აავსო სოფლები: აბასთუმანი, კახათი, ჭაქვინჯი, მუხური. გლეხები ხედავდნენ, რომ ზოგიერ-

თი თავადი და აზნაური პოლიციის დამქაში გახდა. ისინი ვლეხებს აბეზღებდნენ, აჭერინებდნენ, რის გამო წოდებათა შორის პოლიტიკური ბრძოლის გარდა, შინაური მტრობა და კინკლაობა ჩამოვარდა.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში ზუგდიდში ჩამოვიდა ახალი გუბერნატორი თავადი ჯამბაკურ ორბელიანი, რომელიც ხალხს თითქოს კარგად ეექცეოდა, მაიამ დიდად გაიხარა ამ ამბით: რაც არ უნდა იყოს, ქართველი კაცია, შეაჩერებს მტრობასა და ქიშპობას ძმათა შორისო.

მაგრამ მაია მალე დარწმუნდა, რომ ვერც ორბელიანმა მოაგვარა საქმე რიგიანად. ხალხის შევიწროება გრძელდებოდა. საზოგადოების ნაძირალები ყოველნაირად ცდილობდნენ ერთობის დამარცხებას, სულ სხვა სულისკვეთება დამყარდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკურ ფრაქციაში. რეაქციის შემოტევის დროს ბოლშევიკები კიდევ მეტ მუშაობას ეწეოდნენ მოწინავე გლეხთა შორის, რათა ხალხი სულით არ დაცემულიყო, რევოლუციურ მოძრაობაზე გული არ გატეხოდა, არ გაჰყოლოდა იმ პარტიებს, რომელთაც რევოლუცია საბოლოოდ დასამარებული ეგონათ. ამ დროს კიდევ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ პოლიტიკურ წრეებს, რომლებშიც მოწინავე გლეხები იყვნენ გაერთიანებული. წრის წევრებს უხსნიდნენ, ასწავლიდნენ, რაში მდგომარეობდა პარტიათა შორის უთანხმოება და ვის უნდა გაჰყოლოდა გლეხობა.

* * *

გიგიშა დიდი ხანი არ დარჩენილა გრიშასთან. დედის არაფერი გაუჭირდესო, უთხრა გრიშამ და ზუგდიდში დაბრუნების მესამე დღეს ხიბულაში გამოისტუმრა.

— ახლა გვანჯ ჩიქოვანს და მუშნი დადიანს მიშა დადიანიც მიკედლებია და ისიც მხურვალე მონაწილეობას იღებს თურმე ერთობის მოძრაობაში, — უთხრა გიგიშამ მაიას, როცა გრიშას ოჯახის ამბების მოყოლა მოათავა.

— ტყუილად კი არ არის ჩემი საყვარელი ძმისწული მუშნი. იმას რომ კარგი სწავლა-განათლება ჰქონდეს, საქვეყნო კაცი

იქნებოდა, — თქვა ღიმილით მაიამ, — მიშა დადიანს მუშნი ჩაითრევდა ერთობის საქმეში...

— სწორედ ასე ამბობენ, — დაუდასტურა გიგიშამ, — მიშა კი არა, ბევრი სხვა თავადი და აზნაური აუყოლებია. ლეო შენგელაია* ვნახე, ბატონო, ზუგდიდში, თბილისიდან ახალი ჩამოსული იყო. აი სწორედ ლაპარაკი იმას სცოდნია და განათლებაც იმას ჰქონია. წიგნებსაც წერს თურმე. მუშნი და გვანჯისთვის უთქვამს: თქვენ თუ არ ამოუდექით მხარში გლეხობას, მარტო თავის მოვლა გაუჭირდებათო. რევოლუციას ნასწავლი ადამიანები უნდაო. თავისი ერის და თავისი ხალხისათვის თავდადებული. ყველა იმას უსმენდა, ყველა იმას შესციცინებდა თვალებში.

— ქუთაისში ლეო შენგელაიაზე ბევრი ქება გამიგონია, — შეაწყვეტინა მაიამ გიგიშას. — ჯერ სულ ახალგაზრდაა თურმე. ამბობენ კალამი უჭრისო. ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას მაგისთანა სასახელო შვილები.

— გვერდიდან არ იშორებდა მუშნის...

— ეს მითხარ, გიგიშა, სალომეს რა უნდა მუშნისაგან, რატომ გადაჰკიდებია ეს ქალი ჩემს ძმისწულს? — ჰკითხა მაიამ და წარბი შეიკრა. მისმა სახემ მრისხანე გამომეტყველება მიიღო. მას არ უყვარდა პრინცესა და არც მისი ხსენება, მაგრამ იძულებული იყო მასზე ჩამოეგდო ლაპარაკი.

— გადაჰკიდებია რაფერ მერე... უარესი მტერი ღმერთმა დაგიფაროს, — უთხრა გიგიშამ ქალბატონს. — რომ შეუტყვია, თქვენი ძმისწული ერთობას მიემხროო, დაუბარებია თავისთან და შავი ღღე დაუყენებია.

— მაგას ვინ კითხავს, ვის მიემხრობა ჩემი მუშნი, — უფრო შეიკრა წარბი მაიამ. — თავს გასულხარ, სალომე ბატონო! — თქვა მუქარით, — მერე, მერე?

— მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, — განაგრძო გიგიშამ. — რჯულისა და გვარის მოღალატე ხარო. თავს გვჭრი დადიანებს. უნიფხო ყაზახებს ამოუდექი მხარში და ჩვენს წინააღმდეგ მოუძღვები, რომ მოგვსპონ, მიწასთან გაგვასწორონო. ეს ყაზახები,

---

* ლ ე ო შ ე ნ გ ე ლ ა ი ა — მწერალი ლეო ქიაჩელი.

სანამ ჭირდები, მანამ გეფერებიან, თორემ მერე შენც მიგაყოლებენ მეფის მოხელეებსო...

— ვითომ ასე იქნება, გიგიშა? — შეფიქრიანდა მაია, — დუტუ და ლუკა კიტია ან ივა ქარცხია ჩემზე აღმართავს იარაღს? ეს როგორ დავიჯერო.

— ძნელი დასაჯერებელი კია, მაგრამ, — ერთხანს გაჩუმდა გიგიშა და მერე განაგრძო: — იმ ლეო შენგელაიამ თქვა ამას წინათ მიტინგზე: თუ რევოლუციას დასჭირდა, ჩვენ არავის არ დავინდობთ, თუნდაც ჩვენი ღვიძლი ნათესავიც რომ იყოსო.

— რევოლუციას უდანაშაულო სისხლი რატომ დასჭირდება ვითომ. არა, გიგიშა, გლეხმა იცის ამაგის დაფასება. დუტუ, თუ არ უღალატეს, ისე არც მუშნის წინააღმდეგ აღმართავს ხმალს და არც სალომესი. დაეტიოს ის ქალბატონი თავის ტყავში. ნუ ერევა ქვეყნის საქმეში.

— არ ერევა, ბატონო, ხედავს ერთობის გამარჯვება არას მოუტანს და რა დასვამს გულხელდაკრეფილს. მუშნის რომ უარი უთქვამს მისი წინადადებისათვის — თავი დაენებებინა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაზე, დაქადნებია: მე სალომე არ ვიქნები თუ შენ ციმბირი არ გაჩვენოო. ხომ გახსოვს რა ვუქენი გეგელიებსო, შენ უარესს გიზამო. მეორე დღეს ამდგარა და ქუთაისში წასულა გუბერნატორთან.

— მაგას კი ვერ დავიჯერებ, რომ სალომემ ასე გაიმეტოს მუშნი, — თქვა მაიამ.

— რავა ვერ დაიჯერებ, ბატონო! — გაიკვირვა გიგიშამ. — ჩვენ არც ის გვჯეროდა, რომ გეგელიებს იმას უზამდა...

— რა უქნა გეგელიებს, კი არ მახსოვს კარგად? — ჰკითხა მაიამ.

— როგორ არ გახსოვს, მაია ბატონო, — უთხრა გიგიშამ მაიას, — სულ ოცდახუთი წლის ამბავია და რამ დაგავიწყა. სალომეს მოურავმა ესტატე დარასელიამ, ქალბატონის დაუკითხავად ოცდახუთი კომლი ჭოჭუები გადაასახლა თავიანთი მიწიდან, რომ იქ ოჯალეში გაეშენებინა. ფარნა გეგელიამ რომ ეს გაიგო, ახტა და დახტა. ხომ გახსოვთ რა კაცი იყო. უსამართლობას არავის აპატიებდა, შვილსაც კი. აზნაურიშვილი იყო, მაგ-

რამ გლეხს უფრო ესარჩლებოდა, ვინემ თავისიანს. ჰოდა, მიუვარდა პრინცესას, ერთი ამბავი დააწია, თუ უკან არ დაგიბრუნებია ოცდახუთიანი კომლი, მეფესთან ფეხით რომ მომიწიოს წასელამ, არ დავიზარებო. გადაემტერა ამაზე სალომე, ჭირივით შეიჯავრა. ამ ამბის წინ კიდევ, როცა აშილ მიურატმა თავი მოიკლა და ვიღაცამ საფრანგეთში წერილი გაგზავნა, რომელშიც სალომეს ამბავი იყო მხილებული და საფრანგეთის გაზეთებში ერთი ამბავი ატეხილა, იმ წერილის გაგზავნას სალომე ხომ ფარნა გეგელიას აბრალებდა.

— მახსოვს, მახსოვს, როგორ არ მახსოვს, მაშინ სალომემ არა მარტო აშილ მიურატს მოჭრა თავი, მთელი სამეგრელო შეგვარცხვინა.

— დიახ, ჩემო ბატონო, და იმ ძველ შურს ახალიც რომ მიემატა, ეს ვეღარ მოითმინა პრინცესამ, ფარნას პირდაპირ ვერაფერი გაუბედა, მაგრამ ფარნა გეგელია და მისი მეზობლები კალანდიები ერთმანეთს გადაჰკიდა და აი როგორ: გეგელიების ახლოს იყო რამდენიმე ქცევა მიწა, კალანდიების მიწა კი გეგელიების მიწას ესაზღვრებოდა. მათ ეს მიწები გაცვალეს. შემოდგომაზე, როდესაც სიმინდის მოტეხის დრო მოვიდა, სალომეს მოურავმა კალანდიები დაიბარა:

— თქვე უბედურებო, ასე როგორ გაგასულელეს გეგელიებმა. გლახა მიწა კარგში გაგიცვალეს, მათი ყანა თქვენს ყანას სჯობს. თუ გინდათ ყოველთვის თქვენი დამხმარე ვიყო, მიდით, გეგელიას ყანა მოტეხეთ, სიმინდი სახლში წაიღეთ, — უთხრა მოურავმა.

— არ ღირს, ბატონო, გეგელიები კარგი ხალხია, არც ჩვენი ყანაა ისეთი ცუდი, რომ ამისათვის აყალმაყალი ავტეხოთ,— უპასუხეს კალანდიებმა. არ მისცა საშველი მოურავმა. მეორე დილით, გეგელიებმა დაინახეს კალანდიები, რომ მათ ყანას ტეხდნენ. ფარნა გაემართა მათკენ. რას შვრებით, კაცო? ეს რა საქციელია, როგორ გეკადრებათ, — მიმართა ფარნამ. კალანდიებს ჯოხები ჰქონიათ მომაგრებული, დაესივნენ ფარნას, დაუწყეს ცემა. ფარნამ შესაშინებლად რევოლვერი დასცალა, ვიღაცას ტყვია ფეხში მოხვდა. კალანდიებმა კი ფარნას თავი გაუტეხეს. ეს ამბავი ფარნას ძმას გაეგო და გამოქცეულა ძმის და-

სახმარებლად. დაერია კალანდიებს ჯოხით, ერთი მაოგანი ხელში შემოაკვდა. ფარნა და მისი ძმა სამუდამოდ ციმბირში გადაასახლეს, იქ რევოლუციონერებს გაეცნო თურმე ფარნა, მათთან ერთად მუშაობდა. მალე ციმბირიდან შეებულებით ჩამოვიდა აქ, თავისი და თავისი ძმის საქმე დაარღვია, მალე გათავისუფლდნენ და თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ. ფარნა რომ მოხერხებული კაცი არ ყოფილიყო, ხომ დაიღუპებოდა ციმბირში. აი, ასეთია ჩვენი პრინცესა, მაია ბატონო. მე ძალიან მეშინია არაფერი აუტეხოს მუშნის. დღეს თუ ხვალ ის სისხლისმსმელი ალიხანოვი თავისი რაზმით სამეგრელოში შემოვა და სალომე მას პურმარილით შეხვდება უთუოდ. რასაც უნდა იმას გააკეთებინებს.

— ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო გიგიშა. სანამ სული მიდგას, მუშნის, მიშა დადიანს, გვანჯ ჩიქოვანს და მათი საქმის კაცებს არაფერს გავუჭირვებ. მთელ ჩემს ქონებას შევწირავ, თუ მათ დასჭირდათ...

* * *

სოფლის სკოლა მაღლობზე იდგა. ის იყო დუტუმ სკოლას ჩაუარა და გაიფიქრა, ჩემი კაკო ახლა გაკვეთილზეაო, რომ კაკო და მისი ამხანაგი, ქვრივი მაიკო ქუთელიას ვაჟი შოთა შემოხვდა.

— სად მიხვალთ, კაკო? — ჰკითხა დუტუმ შვილს, — ასე ადრე გაგითავდათ გაკვეთილი?

— არა, მასწავლებელმა გაგვათავისუფლა, — მიუგო კაკოს მაგივრად შოთამ დუტუს. — წუხელ ძროხა დაგვეკარგა. მთელი ღამე ვეძებდით, ამ დილითაც შემოვიარეთ ეს არემარე მე და დედამ და ვერ ვნახეთ. მგელი დაგლეჯდაო, ვიფიქრეთ, მაგრამ ახლა კაკომ მითხრა, დილით რომ თხები გადავდენე, თქვენი ძროხა ჩვენი ეზოს უკან ტყეში ვნახე დაბმულიო.

— კი, მამა, ჩემი თვალით ვნახე. შოთას ძროხა იყო ნამდვილად.

— ვინ დამალავდა იქ! — გაიკვირვა დუტუმ. დაფიქრდა და მერე ბავშვებს უთხრა: — თქვენ სკოლაში დაბრუნდით. ძროხის ამბავს ნურავის ეტყვით. ამაღამ მე თვითონ მოვიყვან, შოთა, ძროხას. — დაამშვიდა ბავშვი.

კაკომ და შოთამ გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ დუტუს არაფერი უპასუხეს, შებრუნდნენ და სკოლისაკენ გასწიეს.

სოფელში ყველამ იცოდა, რომ მაიკოს ძროხა დაკარგოდა. წვრილი შვილები ჰყავდა სარჩენი. სოფელმა რომ მაიკოს ძროხის დაკარგვის ამბავი გაიგო, ყველა შეწუხდა. რაღა ობოლსა და ღატაკს მოპარესო, იმ წყეულებმა, — წუხდა ქალი და კაცი. მეზობლები კი მაიკოს გულს უკეთებდნენ — თავს ნუ იღლი, ამაღამ ვინმეს ძროხას ჩაყვება ოჯახში, დილით აქ მოგიყვანენო. ერთობის შემდეგ ქურდობა მოსპობილაო. ახლა ვინ აღმოჩნდება ისეთი ურჯულო, რომ შენისთანა გაჭირვებულს ერთადერთი მარჩენალი ძროხა მოგპაროსო.

დუტუ კი შეღამებისთანავე ტყის ბილიკს დაადგა, თან კაკო წაიყვანა, რომ ადგილი ეჩვენებინა, სადაც ქვრივის ძროხა იყო დაბმული.

შემდეგ ვაჟი შინ გაუშვა, თვითონ შტაბში მივიდა, ორი შეიარაღებული რაზმელი თან წაიყვანა და იმ ადგილთან შორიახლო ჩასაფრდნენ. შუაღამე გადასული იქნებოდა, რომ ტყეში ხმადაბალი ლაპარაკი მოისმა. ვიღაცამ ჭრაქიც აანთო, უცნობები ახლოვდებოდნენ. დუტუმ იცნო ერთი მათგანი, მაგრამ თვალს არ დაუჯერა, გარკვეულად გაიგონა მათი ლაპარაკი:

— როგორც ჩანს, ჩემო ბეჩუ, ძროხას სოფლიდან ვერ გავიყვანთ, ყველგან ჩვენი რაზმელები დგანან, თორემ გავკეთდებოდით, ძალიან მსუქანია ეს ოხერი და ზუგდიდში კარგ ფასში გაიყიდებოდა.

— როგორ, ხორცად არ წაიღება თუ? თავ-ფეხი და ტყავი აქვე დავმარხოთ, მერე მე მოვუვლი მაგათ, შენ სულ არ შეგაწუხებ, ბესა!

დუტუს თავში აუვარდა სისხლი. იცნო, რომ ეს ბესარიონ მხეიძე იყო, მისი ერთ-ერთი საიმედო რაზმელი. ბეჩუ კი ცნობილი იყო ცხენის ქურდობით, ერთობის შემდეგ ბოიკოტგამოცხადებული.

— ბიჭო, არ გაუწყრეთ ღმერთი და მართლა არ დაკლან ძროხა! — მიუბრუნდა დუტუ რაზმელებს და მოულოდნელად მიიჭრა

ქურდებთან იმ დროს, როდესაც ბეჩუმ მეშის ქარქაშიდან ალესილი დიდი დანა ამოიღო.

— არ დაიძრეთ, თორემ გაგათავეთ! — შესძახა მან მხეიძეს და გულზე რევოლვერი მიაბჯინა. ორივე რაზმელი ბეჩუს წინ გაჩნდა.

— არამზადავ, აღარ ტოვებ ძველ ხელობას? — შეანჯღრია ერთმა მათგანმა ბეჩუ.

— ღმერთი, ხატი, მე მაგ საქმე მიტოვებული მაქვს, მაგრამ საშველი არ მომცა ბესამ: დაკვლასა და გატყავებაში მომეხმარეო.

— ბესა, შე უსინდისო, რატომ შემარცხვინე კაცი, ერთ ძროხაში როგორ გაცვალე პატიოსანი სიტყვა და ვაჟკაცობა? ამას ჰქვია ერთობის სამსახური? — მიუბრუნდა დუტუ ბესას.

— დამანებე თავი, გაწიე იქით რევოლვერი, შე ლაწირაკო, შენი ერთობაც და შენი... — და გაცოფებულმა მხეიძემ დუტუს უდიერი სიტყვით შეაგინა, თან იარაღის წართმევა მოუნდომა. რევოლვერი გავარდა, გულგაგმირული მხეიძე მოცელილივით დაეცა. ამ არეულობაში ჭრაქი ჩაქრა. ბეჩუმ სიბნელით ისარგებლა და ძუნძულით თავის სახლისკენ მოკურცხლა. სროლის ხმაზე რაზმელები შტაბიდან გამოცვივდნენ, აღელვებული დუტუ შტაბისკენ წავიდა, გზაზე შეხვედრილ რაზმელებს ყველაფერი უამბო და არეული ნაბიჯით გზა განაგრძო.

უკვე აშკარა ხდებოდა, რომ ერთობა მარცხდებოდა. დუტუს გადაწყვეტილი ჰქონდა, რაკი ამას საქმის ვითარება მოითხოვდა, ყველაზე გვიან დაეყარა იარაღი. „მაგარ ბიჭებს“, როგორც თვითონ ეძახდა, გოშუას, ქუთელიას და დგებუაძეს არ იშორებდა.

გუდუ გოშუა, ავქსენტი ქუთელია და ჯოღორია დგებუაძის შვილიშვილი, ნესტორ დგებუაძე როგორც კი დარწმუნდნენ, რევოლუცია მარცხდება, თვითმპყრობელობას მიემხრნენ ჩუმად. მაზრის უფროსის კელამოვის მარჯვენა ხელი გახდნენ. დუტუ მათ ენდობოდა, განუყრელად მათთან დადიოდა და დამალვასაც მათთან ერთად აპირებდა. ის ვერ შორდებოდა თავის კუთხეს, ჰირიქით, ერთობის საქმეში მონაწილეებს თვით უფრთხილდებოდა, აქეთ-იქით დასამალავად აგზავნიდა საიმედო პირების

ოჯახებში. არ იცოდა, რომ პოლიციის მეშვეობით გახრწნა თვით მის რაზმში იყო დაწყებული.

დუტუს ბევრჯერ უთხრა მამამ, ნესტორ დგებუაძეს ნუ ენდობი, პაპამისის ჯავრი შენზე არ იყაროსო. მაგრამ ბუნებით გულკეთილმა დუტუმ გულში არ გაიელო მამის შიში. დუტუ ძმასავით ენდობოდა ნესტორს.

კელამოვი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ალიხანოვ-ავარსკისათვის თავი დიდ მოღვაწედ ეჩვენებინა და მის შემოსვლამდე ისეთი რამ გაეკეთებინა, ავტორიტეტს აიმაღლებდა და მთავრობისადმი ერთგულებას დაამტკიცებდა.

ნარაზენის მაღლობი, სადაც ასწლოვანი რცხილების დიდი შტოები გადაშლილა, ერთობის დროს კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა. აქ ეწყობოდა ღამღამობით კრებები და გაისმოდა სიტყვები, რომლებიც ხალხს გულზე მალამოდ ეფინებოდა. ჩამოიელიდნენ სოფელში ათისთავები და ხმამაღლა დაიძახებდნენ:

— ამხანაგებო, ამაღამ ნარაზენში ძალიან კარგ პროპაგანდისტს ველით, ყველა უნდა შევიკრიბოთო.

მართლაც, სოფელი აფუსფუსდებოდა. ყოველი ოჯახი სახელდახელოდ ივახშმებდა. მარტოხელა ქალები ბავშვებიანად მიდიოდნენ ერთობის კრებაზე. ნარაზენი სოფლის საყვარელ ადგილად გადაიქცა.

ბოიკოტგამოცხადებული თავადაზნაურები და ბობოლა გლეხები დაცინვით უყურებდნენ კრებაზე მიმავალთ და გული მტრული გრძნობით ევსებოდათ. ახლა ყველაზე დაღვრემილად ეს ნარაზენის მაღლობი გამოიყურებოდა. რცხილები მწვანე ფოთლებიდან გაძარცულიყო, ობლად ქანაობდნენ მისი ტოტები. მხართეძოზე წამოწოლილი დუტუ სივრცეს გასცქეროდა. რაზე არ ფიქრობდა იმ წუთში იგი, მაგრამ რევოლუციის დამარცხებას ვერასგზით ვერ ურიგდებოდა. წითელი რაზმის ხელმძღვანელს არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა რაზმის დაშლა, ბრძოლის მიტოვება. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ მოვიდა სამაზრო კომიტეტის განკარგულება, რომ რაზმები დაეშალათ და რაზმის წევრების გადარჩენაზე ეზრუნათ. დუტუ ფიქრებიდან მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა სამი შეიარაღებული კაცი რცხილებს მოუახლოვდა. ესენი დუტუს „მაგარი ბიჭები“ იყვ-

ნენ. მათ ცხენის ქურდი ბეჩუ ახლდათ. ისინი დიდი ხანია ეძებდნენ ხელსაყრელ დროს დუტუს მოსაკლავად და აი ახლა მოულოდნელად წაადგნენ თავზე მარტოდმარტოს.

დუტუ ამხანაგების ნახვამ ძლიერ გაახარა, მაგრამ ბეჩუ რომ მათთან დაინახა, არ მოეწონა. არც მისალმებია მას.

— თქვენც ვერ ტოვებთ ამ ადგილს, ბიჭებო? უთხრა მან მოსულებს. — არა მჯერა, რომ დაიღუპა ის იმედები, რომლებსაც ჩვენ ამ ცაცხვების ქვეშ გამოვთქვამდით. ნუთუ ტყუილად ჩაიარა ამდენმა შრომამ და ჯაფამ. ნუთუ დავმარცხდით. დაგვაშინა ალიხანოვის რაზმმა და სოროებში უნდა შევძვრეთ... გუშინ ზუგდიდში ვიყავი. ლეო შენგელაიამ და ესტატე ნაჭყებიამ დამიბარეს. იცით რა მითხრეს: იარაღს კი არა ვყრით, იატაკქვეშ ბრძოლაზე გადავდივართ. არ იფიქროთ ბრძოლა წაგებულია, გული არ გაიტეხოთ.

— მერე შენს სახლს რომ იატაკი არა აქვს, დუტუ ბატონო!— უთხრა დაცინვით ნესტორ დგებუაძემ.

დუტუს არ მოეწონა მისი კილო. შეხედა და დაინახა, რომ მარჯვენა ხელი წინ, ქამარში გარჭობილი რევოლვერის ვადაზე ედო.

— ჩემს სახლს თუ არა აქვს, შენს სახლს ხომ აქვს ნესტორ!

— ბაბუაშენის ჯარგვლის ცეცხლს რომ არ დაეწვა ჩემი სასახლე, მაია დადიანსა და პრინცესასაც კი არ ექნებოდა ახლა ისეთი სასახლე, — მუქარის კილოთი მიუგო ნესტორმა.

— რაში დაგჭირდა ჯოღორიას სასახლის გახსენება, ნესტორ? — თვალებში შეხედა დუტუმ, მერე გუდუ გოშუას და ავქსენტი ქუთელიას გადახედა.

იმათაც რევოლვერის ვადაზე ედოთ ხელი. დუტუმ იგრძნო, რომ „მაგარი ბიჭები“ სასიკეთოდ არ იყვნენ მოსული.

— იმისათვის დამჭირდა ამის გახსენება, რომ კედამოვმა შემოგითვალა, მე კარგად ვიცი რისთვის დაგიბარა ლეო შენგელაიამ და ესტატე ნაჭყებიამ, ის ვაჟბატონები უკვე გაბაწრული მყავს ციხეშიო.

— რავა, ლევუშკა და ესტატე დაიჭირეს? — წამოიძახა უცებ დუტუმ.

— საჩუქრად უნდა მიართვას ალიხანოვს, — უპასუხა ნესტორმა. — შენ კი რახან ხის იატაკიანი სახლი არა გაქვს, ამიტომ მიწის იატაკის ქვეშ უნდა ჩაბრძანდეო.

— რას ჩერჩეტობ, ბიჭო! — შეუბღვირა უცებ დუტუმ და ცაცხვზე მიყუდებულ თოფისკენ გადახტა, მაგრამ გავარდა ნესტორის რევოლვერი.

დუტუმ მოასწრო, ცაცხვს ამოეფარა, ტყვია აიცდინა, თოფს ხელი წამოავლო და პირდაპირ შუბლში ესროლა ნესტორს.

— მომკლა ურჯულომ! — ამის წამოძახებაღა შესძლო ნესტორმა. მისმა ამხანაგებმა კი გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ მათ ზურგში ცივი ლულის შეხება იგრძნეს და ხელები ასწიეს.

გაღიმებული და გახარებული დუტუ საფარიდან გამოვიდა. „მაგარი ბიჭების“ უკან გვანჯი ჩიქოვანი, მუშნი დადიანი და მიშა დადიანი იდგნენ.

— კარგ დროს მოვუსწარით, — უთხრა მუშნიმ დუტუს. — ამ ვირთხებს ზუგდიდიდან გამოვყევით. გავიგეთ რა დავალებით მოვიდნენ შენთან.

— ღმერთი მოწმეა, არ მინდოდა ამ ოხრის მოკვლა, — სინანულით თქვა დუტუმ და ნესტორის უსულო სხეულს დააცქერდა. — ძაღლის მოდგმაა და ძაღლურად შემომაკლა თავი.

— ამათ რაღა ვუყოთ? — იკითხა მიშამ.

— ოღონდ სიცოცხლე გვაჩუქეთ და სამუდამოდ თქვენი მონები ვიქნებით, — მუხლებზე დაეცნენ „მაგარი ბიჭები“, ფეხებქვეშ ჩაუვარდნენ დუტუს.

— რაღად ღირს თქვენი სიცოცხლე, თქვე ღორის შვილებო! — უთხრა მათ გვანჯი ჩიქოვანმა. — თქვენი ხელით უნდა მოიკლათ თავი.

— მაგდენი ვაჟკაცობა მაგათ ვინ მისცა, — გაიცინა მიშა დადიანმა და ბეჩუს დააცქერდა. დიდუ, ეს ბეჩუია ცხენის ქურდი არ არის? რა დიდებული კომპანია შეყრილა. ვინ შეუკედლებიათ ამ ოხრებს. ხომ გახსოვს, დუტუ, რომ გეუბნებოდი, ესენი სანდო კაცები არ არიან-მეთქი, არ მიჯერებდი.

— შევცდი, ბატონო მიშა.

— ბატონო კი არა, ამხანაგო-თქო, შე კაცო!

— კარგი კაცი ამხანაგიც არის და ბატონიც, — გაუღიმა დუტუმ, — რა ვუყოთ ახლა ამ ოხრებს.

— რა ვუყოთ და გავუხვრიტოთ ეგ უტვინო თავები, რავარც ნესტორს გაუხვრიტე შენ.

— არა, ნუ ვიზამთ მაგას, — იუარა დუტუმ, — ამის ცოდვა რომ დავიდე, ის მაწუხებს და ესენიც რავა დავხოცოთ.

— მოღალატეს სხვა სასჯელი არა აქვს, ბიჭო, — უთხრა დუტუს მუშნიმ. — გაიხსენე რისთვის მოკლა მამაშენმა ჯოღორია.

— მახსოვს, მაგრამ მან ომში, ბრძოლაში ულალატა სამშობლოს.

— ამათ, რავა, ქეიფის დროს გიღალატეს თუ? — გაიცინა გვანჯიმ.

— არა, მაგრამ კაცის მოკვლა მაინც ცოდვაა. — ყოყმანობდა დუტუ.

— მე გეტყვით რა ვქნათ, — სახე გაუბრწყინდა მუშნის. — ამ ქურდმა, — ფეხი წაკრა ბეჩუს, — ისეთი დაღის დასმა იცის, ისე გადააკეთებს მოპარულ ცხენის თეძოზე დაღს, რომ ეშმაკი ვერ იცნობს.

— მერე, დაღი რა შუაშია აქ?! — გაიკვირვა გვანჯიმ.

— შუბლზე დააწეროს ამ ყურუმსაღებს, რომ მოღალატეები არიან.

— დააწერ, წიე? — ჰკითხა გვანჯიმ ბეჩუს.

— ოღონდ არ მომკლათ და ყელს გამოვჭრი ორივეს.

— მაგას კი იზამ, შე ავაზაკო, აბა სიკეთე შენგან ვის გაუგია, — შეუბღვირა მიშამ. — მაშ, შეუდექი შენს საქმეს, იცოდე, ისე დააწერე, რომ ადვილი წასაკითხი იყოს. წერა ხომ იცი?

— რავა არ ვიცი, — დაიღრიჯა ბეჩუ, — მითხარით რა დავაწერო და ისე დავხატავ, რომ ბავშვმაც კი წაიკითხოს.

— დააწერე შუბლზე — „მოღალატე".

— უი, ჰედგამოჭრილი მათი სახელებია, — წათამამდა ბეჩუ.

— ამ ვირთხას უყურეთ, რავა გამოცოცხლდა, — შუბლი შეიკრა მუშნიმ. — შენ რაღა გიყოთ? ამას არ იკითხავ?

— მე ქურდობის მეტი ჩემს სიცოცხლეში სხვა სიგლახე არაფერი ჩამიდენია. ამათ შემაცდინეს. მარტო ის ვუთხარი, თუ სად იყო ახლა დუტუ. მის მოკვლას ისე არ ვიფიქრებდი, რავარც ჩემი შვილის მოკვლას არ ვიფიქრებ.

— კარგი, კარგი მორჩი მალე შენს საქმეს! — წამოაგდო ზეზე გვანჯიმ ბეჩუ.

რამდენიმე წუთში დადაღული „მაგარი ბიჭები“ ბეჩუმ წინ წაუყენა დუტუს და მის მეგობრებს.

— კარგად გიმუშავნია, ყოჩაღ! — შეუქო მუშნიმ ხელობა. — ახლა ხელი რომ არ მოიკიდონ და შენი ოსტატობა არ გააფუჭონ, ხვანჯრები დააჭერი და წინ გაირეკე.

— კი ბატონო. კიდევ რას მიბრძანებ.

— მეტს არაფერს. თავისუფალი ხარ. თქვენ კი, — მიუბრუნდა გუდუ გოშუას და აქვსენტი ქუთელიას. — თუ ერთ კვირაში ლეო შენგელაია და ესტატე ნაჭყებია ციხიდან არ გაგიპარებიათ, თქვენს სახლ-კარს ცეცხლს მივცემთ, ცოლ-შვილს კი ამოგიწყვეტთ. აბა, ისე ძოკურცხლეთ ახლა, რომ უკან არ მოიხედოთ.

სოფელმა იმ დღესვე გაიგო „მაგარი ბიჭების“ ღალატის ამბავი. ხალხის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. დიდი და პატარა დუტუს მარჯვენას ლოცავდა. ქებითა და აღტაცებით იხსენიებდნენ გვანჯი ჩიქოვანს, მუშნი და მიშა დადიანებს. მათ მაიამ სამეგრელოს სამი მუშკეტერი უწოდა.

მესამე დღეს ლეო შენგელაია და ესტატე ნაჭყებია ციხიდან გააპარეს. მაზრის უფროსი კელამოვი ცოფს ყრიდა. რა საჩუქარი მქონდა ალიხანოვისთვის და ახლა ხელცარიელი უნდა დავხვდეო. არ აკვირვებდა დუტუ ჯგერენაია და მისი საქმე, მაგრამ არაფრით არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მთავრის გვარის შთამომავალნი დადიანები და ისეთი დიდგვაროვანი თავადი, როგორიც იყო გვანჯი ჩიქოვანი, სოციალისტებს იყვნენ აყოლილები. ნუთუ ისეთი ბეცები არიან ეს მუშკეტერები, — ამბობდა იგი დაცინვით, — რომ ვერა ხედავენ თავიანთი ხელით სამარეს ითხრიან.

მაიას ყურამდე მიაღწია კელამოვის გაკვირვებამ. ეამა მოხუცს, რომ ასე ფიქრობდა მეფის მოხელე, თან გული ეტკინა, —

რატომ მისი შვილები არ ჰგავდნენ მუშნისა და მიშა დადიანს.

„ჩემი ბრალია, ვერ გავზარდე ისინი, — ადანაშაულებდა მაია თავის თავს, — ძიძებს მივეცი გასაზრდელად... ვითომ მე რა ქვეყნის საქმეებს განვაგებდი, რომ შვილების მოვლის დრო არა მქონოდა. ვინ ეშმაკმა მოიგონა შვილის გაძიძავება! მოიწყვეტ ძუძუდან ბავშვს და სხვის ანაბარა მიატოვებ რამდენიმე წლით... არ დაემსგავსნენ ჩემი უჩა და გრიშა მამაჩემს...“

მაია ფიქრიდან ონისიმე ქვარცხიამ გამოიყვანა. ის მაიას ჰყავდა დაბარებული. ონისიმე ივას ამბის გასაგებად იყო წასული ზუგდიდში და ამ დილით დაბრუნებულიყო იქიდან. მაიას ისე ესწრაფებოდა ივას ამბის გაგება, რომ შეიტყო თუ არა ონისიმე ჩამოვიდაო, მაშინვე ბიჭი აფრინა მასთან.

ივა ქარცხია და ლუკა კიტია ზუგდიდის ციხეში ისხდნენ. კელამოვი მათ გასამართლებას დღიდან დღეზე სდებდა, რომ ალიხანოვს მოესწრო და სამხედრო ტრიბუნალს გაესამართლებინა.

ამოვიდა თუ არა ონისიმე აივანზე, მაიამ პირველად შვილის ამბავი ჰკითხა.

— რა ქენი, ონისიმე?

— რას ვიზამდი, ქალბატონო, — მიუგო ნაღვლიანად მოხუცმა. იგი შვილის ამბავს ისე გაეტეხა, რომ ათი წელი ხანი მომატებოდა. — ალიხანოვს ახალ სენაკში უკვე მოუთავებია თავისი საქმე. ხობისკენ წამოსულა თურმე, მაგრამ ის ღვთისნიერი ხობის ბოქაული, სამსონ ჩიქოვანი შეგებებია ქვალონში და ისე გაუცილებია ხობიდან, ერთი თოფი არ გავარდნილა, ერთი სახელი არ დაუწვავთ. დღეს ალიხანოვის რაზმი ცაიშში დათარეშობს ალბათ.

— მერე, მერე, რა ეშველება ივასა და ლუკას? — შეეცინა მაიამ. — დაჯექი, ადამიანის ფერი არ გადევს. — სკამი დაუდგა.

ონისიმემ გაკვირვებით შეხედა. მაიამ დაუდგა სკამი!.. გული აუჩუყდა მოხუცს, თვალებზე ცრემლი მოადგა. ერთხანს ორივე ჩუმად იჯდა. მერე მაიამ დაარღვია მყუდროება.

— გიგიშას უთხარი ეტლი მომიმზადოს. სულიც რომ არ მიმ-

ყვეს ზუგდიდამდე, მაინც წავალ, ვნახავ ალიხანოვს. ადამიანის შვილია, ქაჯი ხომ არ არის. ვთხოვ სიცოცხლე მაინც შეუნარჩუნოს ივას და ლუკას.

ონისიმე ყურსა და თვალს არ უჯერებდა. მაია, ეს თითქმის ას წელს მიღწეული ქალი, საკუთარი შვილისთვისაც რომ არ დაიმცირებდა თავს სხვასთან, ზუგდიდში მიდის იმ ბიჭების გამოსახსნელად, რომლებიც თავადებსა და მემამულეებს უპირებენ მოსპობას.

— შენ რომ ჩემი ბიჭის დასახსნელად ზუგდიდში წასვლა მოინდომე, ამით ისეთი პატივი დამდე, თითქოს უკვე შინ მოგეყვანოს ივა, — უთხრა ათრთოლებული ხმით ონისიმემ მაიას,— მაგრამ ტყუილად წაბრძანდები, მაია ბატონო. ის წყეული გენერალი, ღმერთი რომ ჩამოვიდეს ციდან, იმის თხოვნასაც არ შეიწყნარებს თურმე.

— მაშ, რა გვეშველება, ონისიმე? ასე გულხელდაკრეფილი ხომ არ უნდა ვუყუროთ ამ ამბავს.

— დუტუ ზუგდიდშია. ამ საღამოს კეღამოვი და მისი „სტრაჟნიკები“ ჭითა წყართან შეეგებებიან ალიხანოვს. ამ დროს დუტუ, მუშნი, მიშა და გვანჯი ციხეს დაეცემიან. თუ ბედი მაქვს, დაიხსნიან ჩემს ბიჭს, თუ არადა, თავი რაღად მინდა მერე ცოცხალი.

— ეს კარგად მოუფიქრებიათ, — შუბლი გაიხსნა მაიამ. — ნუ გეშინია, ონისიმე, დუტუს და მუშნის რაზმი ზუგდიდის ციხეს რავა ვერ გატეხენ. მაგრამ ერთი ეს მითხარი, შენ რამ წამოგიყვანა ამ დროს ზუგდიდიდან? — ჰკითხა გაკვირვებულმა მაიამ.

— არ გამაჩერა მუშნიმ. წადი შინ, აქ მაინც არაფერში გამოგვადგები, ოჯახი გახიზნე, სახლს დაგიწვავენ, შენც დაიმალე, თორემ მოგკლავენო.

— ნუ გეშინია, ონისიმე, შენ სახლ-კარს არ დავაწვევინებ. არც ისე დაცემულა მაია დადიხე, რომ თავისი სოფელი ვერ იპატიოს. ოჯახი კი გახიზნე და შენც თავს უშველე. ქარიშხალი გაივლის. ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგება. ჩვენ ვერ მოვესწრებით, თორემ ასე კი არ იქნება ყოველთვის, გლეხობა გაიმარჯვებს, მოიკრებს ღონეს და ისევ გაილაშქრებს მეფის წი-

წააღმდეგ. გლეხს შემდეგში მეტი გამოცდილება ექნება ამ საქმეში. შეადარე აბა ახლანდელი ამბავი, ჩვენი გლეხობის ცოდნა და გამჭრიახობა უტუ მიქავას აჯანყებას. გლეხთა აჯანყება მაშინ უფრო ძლიერი იყო თუ ახლა?

— რა შედარებაა, ბატონო, ალბათ, თუ თვითონ პარტიებმა არ შეუშალეს ხელი ერთმანეთს; თურმე ერთი პარტია ამბობს: რევოლუცია არ არის საჭირო, საკმარისია მეფემ ცვლილებები მოახდინოს და მეფე დავტოვოთ, მეორე კი ამბობს: იარაღით ვიბრძოლოთ, მეფის მთავრობა დავამხოთ, ჩვენ მიერ არჩეულ მთავრობას დავავალოთ ქვეყნის საქმე ისე მოაწყოს, რომ მოისპოს უთანასწორობა, ჩაგვრა და ყველას კარგი ცხოვრება ექნესო.

— ამათ კარგად უთქვამთ, — მოეწონა მაიას, — ყველამ უნდა იცხოვროს კარგად, რატომ უნდა იტანჯოს ერთმა და იფარფაშოს მეორემ... ჰო, წადი, ონისიმე, ნუ აგვიანებ... მოდი აქ, გაკოცებ, მშვიდობის გზას გისურვებ. ოჩხომურს შეაფარე თავი. ივასი ნუ გეშინია. მუშნი და დუტუ ცხრა კლიტიდან გამოიყვანენ...

* * *

როცა მაზრის უფროსი კელამოვი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის ზუგდიდიდან ექვსი კილომეტრის მოშორებით მდინარე ჭითა წყართან პატაკს აძლევდა, ამ დროს დუტუ და მუშნი დადიანი ორი მხრიდან დაეცნენ თავიანთი მცირე რაზმით ზუგდიდის ციხეს. გაათავისუფლეს ყველა პოლიტიკური პატიმარი და ისე გავიდნენ ზუგდიდიდან, არც თვითონ მოუკლავთ ვინმე, არც მათი რაზმის წევრი დაჭრილა.

ასეთი წარმატება მუშნი დადიანის მოხერხებულობის და ვაჟკაცობის შედეგი იყო. ალიხანოვის დამსჯელი ექსპედიციის ოფიცრის ფორმაში გამოწყობილმა, შავი ულაყი მიაგდო ციხის ჭიშკართან. გუშაგმა დაინახა თუ არა „ოფიცერი“, გამოიჭიმა და სამხედრო სალამი მისცა. გააღე ჭიშკარი, უბრძანა სუფთა რუსულით მუშნიმ. გუშაგმა არ დააყოვნა, ფართოდ გაუღო ჭიშკარი ულაყს, რომელსაც ძლივს აკავებდა „ოფიცერი“ და

თვითონ განზე გადგა, რომ არ გაეტანა გადარეულ პირუტყვს.

— ვაშა-ა! — დასჭექა მუშნიმ და ვერ მოასწრო ულაყის ადგილიდან მოწყვეტა, რომ ოცი ცხენოსანი, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, ლანქერივით მოაწყდა ციხის ალაყაფის კარს.

— ვაშა-ა! — გამოეხმაურნენ პატიმრები, რომლებიც ამ დროს ეზოში სასეირნოდ იყვნენ გამოყვანილი. მათ წინასწარ იცოდნენ მუშნის გეგმა და მზად იყვნენ. იცოდნენ, შემოიჭრებოდნენ თუ არა მუშნის კაცები ციხის ეზოში, მაშინვე უკან უნდა შემოსხდომოდნენ ცხენზე რაზმელებს, ვინც ვისთან მოხვდებოდა.

— აქეთ, ივა! — დაუძახა დუტუმ ივას, რომელიც პირველი მიეგება მოსულებს, ხელი შეაშველა ივას და უკან მოიგდო.

გუშაგებმა და ციხის უფროსმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ რაზმელები ისეთივე თავბრუდამხვევი სისწრაფით გაიჭრნენ ციხის ეზოდან თავისი ნადავლით, როგორითაც შემოიჭრნენ ხუთი წუთის წინ.

მოთარეშენი

ციხიდან პატიმრების გატაცებით გაბოროტებული ალიხანოვ-ავარსკი ყველაზე სასტიკად მოექცა ზუგდიდის მაზრას. სოფლებში გმინვა და კვნესა ისმოდა. ცეცხლი და კვამლი სახლიდან სახლზე გადადიოდა. ისმოდა ქალების კივილი, ბავშვების ტირილი, მოხუცთა მოთქმა და გოდება.

პლასტუნები აუპატიურებდნენ ქალებს, ძარცვავდნენ ოჯახებს, აპატიმრებდნენ გლეხებს მიზეზით თუ უმიზეზოდ. ხიბულაში მაიას შიშით არ შემოსულან ალიხანოვის პლასტუნები, მაგრამ კელამოვმა ღამით ჩუმად შემოგზავნა რამდენიმე პლასტუნი და ცეცხლი წაუკიდა დუტუსა და ონისიმეს სახლ-კარს. ისე გადაწვეს მათი სახლები, ბოსლები, სასიმინდეები და საქათმეებიც კი, რომ პირტიტვლად მოწმინდეს იქაურობა.

მაია მაშინვე მიხვდა, რომ ეს კელამოვის გაკეთებული იყო, მაგრამ აბა ვისთან უჩივლებდა.

ალიხანოვმა ხიბულას გვერდი აუარა და პირდაპირ ჭაქვინ-ჯისაკენ წავიდა. ხალხს მაიას სასახლეში დამალვის და ხიბ-ულაში თავის შეფარების იმედი მიეცა.

დამარცხების შემდეგ დარბეული ახალგაზრდობა ტყეს შე-ეხიზნა. მათ, ვინც მტკიცე რწმენისა და შეგნების იყვნენ, არ შეუბღალავთ ერთობის სახელი. ზოგი კი ასცდა გზას, ისარ-გებლეს შერჩენილი თოფ-იარაღით, გადავარდნენ და, ხალხის სახელით სამოღვაწეოდ გამოსულებმა, ხალხის ძარცვა და-იწყეს.

ყოფილი რაზმელების უმრავლესობა იმედიანად შეჰყურებ-და მომავალს, ერთგულად განაგრძობდა თავისი იდეის ხალხში განმტკიცებას, რომ ხალხს გული არ გატეხოდა, მისი რწმენა არ შერყეულიყო. ბევრი მათგანი დააპატიმრეს, ზოგი უთანასწორო ბრძოლაში მამაცურად იღუპებოდა.

დუტუსა და მუშნის რაზმმა სოფელ ხორშს შეაფარა თავი. ტყეში იმალებოდნენ. ასე გაატარეს მთელი შემოდგომა. ზამ-თარში, როცა ალიხანოვ-ავარსკი სამეგრელოდან გავიდა, რაზ-მელები თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდნენ.

მაიას დახმარებით და მისი ყველაზე დიდი ამაგით, სოფელ-მა გელა ჯგერენაიას და ონისიმე ქარცხიას ფული შეუგროვა და სამ თვეში ახალი სახლი დაუდგეს.

ამ დროს დუტუ და მისი მეგობრები ქუთაისში იყვნენ წა-სული პარტიის გაწვევით და იქ მუშაობდნენ.

მაია სულ მარტო დარჩა. ერთადერთი საზრუნავი, რომელ-საც გულს აყოლებდა, ეს გელასა და ონისიმეს სახლების მშენებ-ლობა იყო. აი დადგეს სახლები, ჩასახლდნენ შიგ მოხუცები და მაიას აღარაფერი დარჩა საზრუნავი. ერთობის საქმე დამარცხე-ბულად მიაჩნდა. მუშნის, დუტუს, მიშასა და სხვების ქუთაისში გადასახლება იმას მიაწერა, რომ აქ არაფერი ჰქონდათ გა-საკეთებელი და იქ თავიანთი ცხოვრების მოსაწყობად წა-ვიდნენ.

მაიას ცხოვრება კი ისევ ერთფეროვანი რჩებოდა, ხალხისა-გან მიტოვებული და მივიწყებული. აღარავის ჩამოსვლას აღარ ელოდა. გრიშა ნაწყენი იყო, რადგან მაია აშკარად ეხმარებოდა

და მხარს უჭერდა ერთობის ხალხს და არ მოდიოდა დედის სანახავად. უჩა კი წერილებსაც არ იწერებოდა.

„აბუჩად მიგდებენ შვილები. გრიშა მამულების გამოყოფას მოითხოვს, უჩა უთავბოლო ხარჯებსა და ვალებშია გადავარდნილი. მამულების შემოსავალი მას უნდება, ცოლის შერთვაზე, წესიერ ოჯახის შექმნაზე არ ფიქრობს, მე რომ ხელმწიფის სასახლეში მგონია, ის ქუთაისში დანავარდობს, ფუქსავატ ცხოვრებას დაწაფებული, მაგრამ, ღმერთო, რაც მჭირს, იმის უარესისაგან დამიფარე, — ამბობდა მაია, მთრთოლარე ხელით პირჯვარს იწერდა.

ერთხელ ასეთი ფიქრებით მოცული მაია თავის ოთახში იჯდა, როცა მას მოახსენეს, უჩას ამალის უფროსი პროფი ფიჩხაია გეახლათ ქუთაისიდან, თქვენი ნახვის ნებას თხოულობსო. პროფის უჩას წერილი ჩამოეტანა. წერილი ალერსითა და სიყვარულით იყო სავსე, ბოლოს მაინც ფულის თხოვნით თავდებოდა.

მაია აღელდა.

— უჩას ხარჯებს, ჩემო შვილო, — უთხრა მაიამ ფიჩხაიას,— სამეურატო მამულების შემოსავალიც არ ეყოფა, ჩემმა საცოდავმა ხიბულამ აბა რა შემოსავალი უნდა მომცეს ისეთი, რომ უჩას ხარჯებს ეყოს. ხალხი დღედაღამე წელზე ფეხს იდგამს, რომ თავი შეინახოს და შიმშილით არ დაწყდეს, აბა მე რა უნდა მოვთხოვო გაჭირვებულებს.

შემდეგ წყნარად უჩას ამბების გამოკითხვა დაუწყო. ჯერ პეტერბურგის შესახებ ეკითხებოდა, შემდეგ ხელმწიფის სასახლისა და უჩას სამსახურზე, როგორ არის მიღებული ჩემი ვაჟი სასახლეში, როგორი მოწონებული და პატივცემულიაო.

ფიჩხაიაც უპასუხებდა, რაც შეეძლო გადაჭარბებულად, რათა მისი დედ-მამის გაზრდილი საფიცარი უჩა ძლიერ კარგად მოეჩვენებინა მაიასათვის, გული მოელბო მისთვის, იქნებ ბევრი ფული გაემეტებინა, ამით უჩა გაეხარებინა.

— ბატონო, უჩა, მისი ჭირიმე, ყველას უყვარს სასახლეში, ერთხელ მწყალობელო ბატონო, ხელმწიფის სასადილოში სუფრა იყო გაშლილი, სუფრა სავსე იყო ბოთლებით, მაღალი საყვავილეებით, მაგიდის ირგვლივ მაღალზურგიანი სკამები იყო

ჩამწკრივებული, ხელმწიფემ უჩას მიმართა: ვაჟკაცი მაშინ გერქმევა, თუ ამ სუფრას ისე გადაახტები, რომ არაფერს არ წააქცევ.

— თუ ნებას მომცემთ, ვცდიო, — უპასუხა უჩამ.

მოტრიალდა, დედოფალს ნება სთხოვა, ხელზე ეამბორა, სრულიად მოულოდნელად ისკუპა და გადაახტა ისე მსუბუქად, რომ ყველანი განცვიფრებაში მოიყვანა. ხელმწიფის შვილები გარს ეხვეოდნენ და ეფერებოდნენ, თან ეკითხებოდნენ, ხომ არაფერი „ეტკინაო“ ბიძიაო, ძალიან უყვართ სასახლეში, ბატონო, — დაამთავრა ფიჩხაიამ.

— ჯამბაზობა დაუწყია ჩემს შვილს, — გაშრა ამ ამბის გაგონებაზე მაია, — როგორ იკადრა, როგორ დაეცა ასე ჩემი უჩა?! ითელი ქვეყანა მეფეს ებრძვის, ჩემი შვილი კი ყარაზე დვება ‘ის წინ, რომ მას და მის ცოლ-შვილს აამოს.

— რას იზამ, ბატონო, მეფე მაინც მეფეა.

— სახელითაა მეფე, თორემ საქმით ხალხის ჯალათია. თუმცა, დავანებოთ ამას თავი. მეყოფა ეს ამბავი სირცხვილად.

მაია ერთხანს დაფიქრებული იჯდა. დანა პირს არ უხსნიდა. მერე როდის-როდის ძლივს ამოიღო ხმა.

— იქნებ ცოლის შერთვამ დაადინჯოს, — თქვა ისე, თითქო თავის თავს ელაპარაკებაო. — კაცი რომ ოჯახს მოეკიდება, სხვა ჭკუაზე დადგება. წესიერ და ზრდილ ქალს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ქმარზე.

— მართალი ბრძანდებით, ქალბატონო. ქალს რომ შეუძლია, იმდენს ხშირად ათი ვაჟკაცი ვერ იზამს, — დაუმოწმა ფიჩხაიამ და მის ხმას რაღაც შეკრთომა დაეტყო, სახეზე შეიცვალა სტუმარი და მაიას თვალი მოარიდა.

მაია პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა და უმალ მიხვდა, რომ ფიჩხაია რაღაცას უმალავდა.

— მეეჭვება, რომ უჩამ ცოლი შეირთოს, ვერ გაუსხლტება ხელიდან იმ ქმრისა და ოჯახის შემარცხვენელ ერისთავის ქალს.

გაკვირვებული ფიჩხაია დუმდა.

„ჩიტი მოუტანს ამ დალოცვილს ამბავს, თუ საიდან იცის

ყველაფერი? იქნებ ისიც იცის, გუშინ დილას რომ უჩამ დიდი წერილი გადასცა ბაბილინას და პასუხიც გამოართვა? — გაიფიქრა მოსულმა.

უჩა ერთგულ მხლებელს არაფერს უმალავდა. ფიჩხაიამ ისიც იცოდა, რომ უზომოდ შეყვარებული უჩა დადეშქელიანის ცოლის გატაცებას აპირებდა საზღვარგარეთ. ამისათვის საჭირო იყო უჩას სამსახურიდან გათავისუფლება, საზღვარგარეთული პასპორტების შოვნა. ყველაფერი ეს კი დიდ საიდუმლოდ უნდა გაკეთებულიყო, საქმეს დიდი თანხები სჭირდებოდა. არც ისე ადვილი იყო უჩასთანა კაცისათვის საპატიო კაცის მოტაცებული ცოლით საზღვარგარეთ წასვლა, გაპარვაც ეთაკილებოდა, არც კანონი იქნებოდა ამის მომხრე.

ყველაფრის მოგვარებას ფული უნდოდა, დიდძალი ფული. სწორედ ამ ფულს თხოვდა დედას უჩა ფიჩხაიას პირით, რა თქმა უნდა, სიმართლეს უმალავდა, ფულის საჭიროებას სხვა მიზეზით ასაბუთებდა.

ფიჩხაიამ ისიც იცოდა, თუ რარიგად უჭირდა ბაბილინას ექვსი შვილის მიტოვება, მათთან საუკუნოდ კავშირის გაწყვეტა, არც ალექსანდრეს შიში ასვენებდათ შეყვარებულთ. ვერც გრძნობას ერეოდნენ, ვერც დაბრკოლებანი გადაელახათ.

— იცის თუ არა ჩემმა უბედურმა ბიძაშვილმა, ალექსანდრემ, რომ მისი უღირსი მამიდაშვილი ცოლის წართმევას უპირებს? — ჰკითხა მოულოდნელად მაიამ ფიჩხაიას.

— საიდან ეცოდინება, ბატონო, ღმერთმა დაგვიფაროს! ეს რომ მან ნამდვილად იცოდეს, ან მოკლავს უჩას ან შეაკვდება. — ფიჩხაია უცებ გაჩუმდა, მიხვდა, რომ ზედმეტი წამოსცდა.

მაიამ საწადელს მიაღწია, კამოტეხა გამოუცდელი ფიჩხაია.

„ნუთუ უჩას მართლა გადაწყვეტილი აქვს ბაბილინას შერთვა?“ — გაიფიქრა ძრწოლვითა და ზიზღით მაიამ. — ფიჩხაიას კი ცივად შეხედა და ასე უთხრა — ვისესხებ ფულს და გავუგზავნი, რამდენსაც შევძლებ.

ფიჩხაიამ მდაბლად დაუკრა თავი და ოთახიდან გავიდა.

მაია ისევ თავის ფიქრებს დაუბრუნდა:

„ნუთუ ცოდვილი ქალი ვარ, ეგებ უჩა მომიკლან! ჩემი ურჩი შვილის გრიშას ბედიც სანატრელი შემექნა უჩასთვის! უმწიკვლო და სათნო მაინც არის ჩემი რძალი ციცუ, ერთგული მეუღლე და თავდადებული დედა. მოსწრებული შვილები ეყოლება მალე გრიშას. ბაბილინა ორმოც წელიწადს გადაცილებული ქალია, არც შვილი, არც ძირი ჩემს უჩას. მგონი, მართლა მომერია წლოვანება, საღად ვეღარ ვაზროვნებ, შვილსა და ფუძეზე ვფიქრობ, როდესაც კარზე მომდგარი სიკვდილი თვითონ უჩას წართმევას მიპირებს“.

წარუხოცელი ლაქა

დეკემბერი დაღგა.

ქუთაისში ზამთარიც ისეთივე მომხიბვლელი იცის, როგორც გაზაფხული. ბაღის ასწლოვანი ხეები ახლა თეთრად იყო დაბურული. ქუთაისისათვის ჩვეულ მყუდროებას ქუჩებში მოსიარულე მარხილების ეჟვნების ჟღარუნი არღვევდა.

ვაჟთა გიმნაზიის მახლობლად ზედიზედ სროლის ხმა გაისმა. წუთიც და ქალაქი საზარელმა ამბავმა მოიცვა.

„ალექსანდრე დადეშქელიანი მოუკლავთ“, — იძახდა ხალხი და ყველა იმ ადგილისაკენ გარბოდა, სადაც ეს ბუმბერაზი ვაჟკაცი გაშოტილიყო თოვლზე, მკერდიდან სისხლი მოჩქეფდა, არწივისებური სახე თანდათან უფითრდებოდა. სიკვდილი დასადგურებულიყო მის გოლიათურ სხეულში. გული ჯერ კიდევ სვანური შეუდრეკლობით ებრძოდა სიკვდილს. ხელებს ასავსავებდა, იარაღს ეძებდა. ხანჯალთან მიტანილი ხელი უღონოდ ეცემოდა თოვლზე. სინათლედაკარგული თვალებით ვიღაცას ეძებდა, შურისძიებას ლამობდა...

რამდენჯერმე დაეშვა მიზანმიუწვდომელი ხელი, წამოდგომა სცადა, ვერ შეძლო. დიდხანს არ გაგრძელებულა სიკვ-

ღალისწინა გაბრძოლება. ექიმისა და პოლიციის წარმომადგენელთა მისვლისას ის გარდაცვლილი იყო.

ალექსანდრე ჯერ თავის სახლში არ გადაესვენებინათ, რომ ხალხში უკვე ხმა დაირხა: უჩა დადიანმა მოაკვლევინა დაღეშქელიანი, რადგან ცოცხალს ცოლის წართმევა ვერ გაუბედავ. სულ სხვადასხვაგვარად წარმოადგენდნენ უჩასა და ბაბილინას რომანს, მკვლელობის მოწყობაში — უჩას და მის ერთგულთა მონაწილეობას.

ერთნი ამბობდნენ: უჩას და ბაბილინას ერთმანეთი გაგიჟებით უყვარდათ, უკვე ათ წელზე მეტია მათ ხელს უშლიდათ ალექსანდრე, რომლის თავმოყვარეობა ვერ მოითმენდა ასეთ შეურაცხყოფას. ის ცოლსაც მოკლავდა და უჩასაც. დადიანი დაარწმუნეს, ალექსანდრეს ყურამდე მიაღწია შენი და ბაბილინას მიჯნურობის ამბავმა. ის არ გაპატიებს ოჯახის სახელის შელახვას, აუცილებლად მოგკლავს, თავს გაუფრთხილდიო.

იმასაც ამბობდნენ, დადიანი შეშინდა, მკვლელები შეუჩინა დადეშქელიანს, ორი საქმე ერთად გაიკეთა: სიკვდილის საშიშროებაც მოიშორა და ბაბილინაც დაისაკუთრაო.

ზოგი იმასაც ამბობდა, რომ, თითქოს ალექსანდრეს დიდი შეტაკება მოუვიდა ცოლთან უჩას გამო, ცოლს უდიერადაც მოექცა, თან დაექადნა: რაკი შენ ჩემს სახელს ჩირქი მოცხე, ტყუილია თუ მართალია ეს ჭორები, ჩემთვის სულ ერთია, სასტიკად დაგსჯი. ამ ზამთარშივე წაგიყვან სვანეთში, თხილამურებით გატარებ სადადეშქელიანო ციხემდე, იქ ჩაგკეტავ, ქუთაისს არასოდეს არ გაჩვენებ. არათუ უჩა და მისი მხლებლები, მთელი მისი წინაპარი რომ მკვდრეთით აღდგეს, შენს თავს იქიდან ვერ დაიხსნის, შეილებს მე თვითონ ვასწავლი, პანსიონებში მივაბარებ, შენგან რა სიკეთეს ისწავლიანო.

ბაბილინა კი ცხარე ცრემლებით ეფიცებოდა ქმარს თავის სიმართლეს, ყველაფერს მტრებსა და ბოროტ ენებს აბრალებდა. მაშინ მართალი და კეთილი გულის ალექსანდრე მოლბებოდა, ცოლს უფრო ნდობით უცქერდა. მაგრამ მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა დადიანის თავიდან მოშორებაო.

ზოგნი იმასაც წუსდნენ, თუ რატომ შეუმალეს ხელი ალას წინათ ალექსანდრეს დუელს, იქნებ მაშინ უფრო უმსხვერპლოდ და ლამაზად გათავებულიყო ეს საქმეო.

ალექსანდრეს სიკვდილის დღეს უჩა ქუთაისში იყო. ის როგორც ამ ოჯახის ნათესავი და მეგობარი, დიდ მწუხარებასა და თანაგრძნობას ამჟღავნებდა, ქუთაისის საზოგადოება კი გულცივად ხვდებოდა უჩას ნათესაურ გრძნობებს. ვინც უჩას ვერ ელეოდა ასეთი ბოროტმოქმედებისათვის, ბრალს ბარტო ბაბილინას დებდა ქმრის სიკვდილში.

უჩამ მხოლოდ ახლა იგრძნო თავს დატეხილი უბედურება და თვითონ მოინდომა გაეგო სინამდვილე, ვისი თაოსნობით მოკლეს ალექსანდრე. მას არაევისთვის დაუვალებია ეს ბოროტი საქმე. ის ფიქრობდა: ნუთუ სიყვარულით დაბრმავებულმა ბაბილინამ ჩემდა დაუკითხავად მოახდინა ეს საშინელებაო. ვერც უჩა იმეტებდა ბაბილინას ასეთი ბოროტებისათვის. ის დაკვირვებით შეუდგა მკვლელობის საქმის გამორკვევას. გაიგო: ალექსანდრეს მისი მოკვლა გადაეწყვიტა, ერთხელ თითქოს დაქირავებული მკვლელი ქუთაისიდან ტყიბულში გაჰყოლოდა უჩას. რაკი უჩა არასოდეს მარტო არ დადიოდა და თვითონაც ხელსწრაფი და იშვიათი მსროლელი იყო, ვერ მოეხერხებინა მისი მოკვლა.

ეს უჩას ერთგულმა მსახურებმა გაიგეს, გამოიბეჭნეს მოხერხებული დრო, ალექსანდრეს დაასწრეს ბოროტების ჩადენა და მოკლეს.

უჩა დიდად დაეღონა ამ ამბავმა. ეს რა დათვური საქმეა ჩემთვისო, — ეუბნებოდა ფიჩსაიას. მე მოგეკალით და ეს არ ჩაგედინათ. ან ვინ დაიჯერებს, რომ ეს თქვენ ჩემი დავალებით არ გააკეთეთ. ქალის სიყვარულისათვის ძმას არ მოვკლავდი, ისიც მიპარვით, თავი ბომბერით, საბრალმდებლო სკამზე დამსვით, შემარცხვინეთო.

უჩა ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა, ქალაქიდან წასვლა ვერ გადაეწყვიტა, რადგან მეტი საბაბი მიეცემოდა ხალხს ჭორებისათვის. მისი გული ვერ უძლებდა დედის მოგონებას და მასზე ფიქრს, მორიდება და სიბრალული დედისადმი მეტად აწუხებდა, რომ გაეცა მკვლელები — ეს არ იქნებოდა ერთგუ-

ლების სამაგიერო. ეს სხვისი კალთის ქვეშ თავის ამოფარება და ლაჩრობა იქნებოდა.

დაჯავრიანებული დახვდა უჩა თავის უფროს ძმას, გრიშას, რომელსაც ნათესავის სიკვდილი შემთსვევით გაეგო სენაკში და მაშინვე ქუთაისს წამოსულიყო.

გრიშას ვერ გაუბედეს სენაკში ეთქვათ უჩაზე გავრცელებული ხმები. ქუთაისში გაიგო, თუ რა სამარცხვინო საქმე დატეხოდა თავზე მათ ოჯახს.

სირცხვილით წელმოტეხილი გრიშა მხოლოდ ერთხელ მივიდა ალექსანდრეს სატირლად, ისიც ღამით; დაიტირა და წამოვიდა, დაკრძალვას არც დაესწრო. არც ბაბილინა მოიკითხა.

ბაბილინა ქმრის სიკვდილის დღესვე ლოგინად ჩავარდა, ხალსში არ გამოდიოდა.

ხალხი კიდევ იმ აზრისა იყო: ბაბილინას სინდისის ქენჯნა არ აძლევს ნებას ქმრის ცხედარი დაიტიროსო.

უჩამ იცოდა, თუ როგორ აძაგებდნენ ბაბილინას. წერილებს სწერდა, რომლებშიც არწმუნებდა: ჩვენს დიად სიყვარულს ვერაფერი ვერ შებღალავს, რადგან თვითონ დარწმუნებული ვართ, რომ ბოროტება ჩვენ არ ჩაგვიდენია. ვისაც რა უნდა, ისა თქვას, სიმართლე გაიმარჯვებს, მე კი მუდამ შენს ერთგულად მიგულეო. ეს წერილები ამხნევებდა სულით დაცემულ ქალს.

ყველაფერი, რაც ქუთაისში ხდებოდა, მაიას ყურამდეც აღწევდა. რამდენიმე დღეს უმალავდნენ, შემდეგ ეჭვად უთხრეს დადეშქელიანის სიკვდილი.

ქუთაისიდან დაბრუნებულმა გრიშამ დაწვრილებით უამბო მაიას ალექსანდრეს სიკვდილისა და უჩას გალანძღვის ამბავი.

მაიას კინაღამ გონება დაეკარგა. დიდხანს იჯდა ჩუმად, თავი მძიმედ დაეხარა, თითქოს თვალის გახელისა და ქვეყნის შეხედვისა რცხვენია, რომ ასეთი ულირსი შვილის დედა გამხდარაო.

გრიშას მათ შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნების შემდეგ დედა არ ენახა. ძლიერ მოტეხილად მოეჩვენა ახლა, შეებრალა გულწრფელად. სანამ გრიშა დედას სიბრალულით სავსე

თვალით უცქერდა, მაია დუმდა. მისი მღელვარება-დუმილი ყველას გადაედო. გრიშა სულ უფრო და უფრო იმსჭვალებოდა დედისადმი თანაგრძნობით. იცოდა, რა მწარეა შვილის სიყვარული და უფრო მწარე — შვილის მიერ სამარცხვინო საქმის ჩადენა. არც თვითონ ემადლიერებოდა ძმას, რომ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი.

„ახლა ეს კიდევ რა დაგვატყდა თავზე, კაცის მკვლელის სახელი დაგვედო. უჩას გამო მთელი ოჯახი ჩირქმოცხებულია. რამდენ ხანსაც არ უნდა იცოცხლოს, სამარცხვინო ლაქა აძევს უჩას. რად გვჭირდებოდა ჩვენ ეს საშინელი ამბები: კაცის კვლა, დევნილთა მფარველობა. პატიოსნების მეტი სხვა არაფერი სიმდიდრე გამაჩნდა. ჩემს შვილებს ოჯახიშვილობას მაინც დავუტოვებდი მეგონა, ესეც შეილახა და გამიცრუდა. მე დედისაგან დაჩაგრული კაცი ვარ, ყოველგვარ გაჭირვებას ვიტანდი, ოღონდაც წმინდა სახელი შემრჩენოდა“.

ამ წუთში, როდესაც სასოწარკვეთილ დედას უცქერდა, გრიშა გულისწყრომით ფიქრობდა დედასა და ძმაზე. შემდეგ მის გულს თანდათან დედის სიბრალული დაეუფლა და ხელი მოხვია.

— რა დაგემართა, დედა, დამშვიდდი. უჩა რომ ამის ჩამდენი არ არის, ყველანი დარწმუნებული ვართ. უბრალო ბორება. დამიჯერე, დედა, უჩას არაფერი არ შეეხება ამ საქმით, — ეუბნებოდა და თან ხელებს უკოცნიდა.

მაიამ თავი აიღო, გრიშას თავი ხელებში მოიმწყვდია და თვალებში ჩახედა. დედის თვალები ახლა სრულებით არ ჰგავდა იმ რისხვის გამომხატველ თვალებს, რომლითაც რამდენიმე წლის წინათ ვაჟი გააცილა. უმწეო, უსიცოცხლო ელფერი გადაჰკვროდა მის სახეს, ულონოდ უყურებდა შვილს თვალებში და დუმდა, თითქოს ენა ჩაუვარდაო.

— მე, გარდა იმისა, რომ საყვარელი ადამიანები შემომეცალნენ, ორი საყვარელი შვილიც დავკარგე, — ამოიღო ბოლოს ხმა მაიამ. — ბევრი ტანჯვა და ბედის დაცინვა გადამიტანია, მაგრამ ასეთ საშინელებას არ მოველოდი. დიდ არს, უფალო, სახელი შენი, მომეც ძალა გავუძლო ცდუნებას, არ

ვგმო გაჩენა ჩემი! მოგიტევოს, უჩა, უფალმა ჩემი მოსუცებულობის გამწარება, — თქვა და თვალებში ცრემლი აუციაგდა, — მარტო დამტოვე, შვილო!

— არა, დედა, შენთან მინდა ვიყო.

— რისი გეშინია? მე სიკვდილს სრულებით არ ვაპირებ. ბოლომდე უნდა შევსვა ცხოვრების შხამი. მე დარწმუნებული ვარ, უჩასაც დაიჭერენ, იმ შეჩვენებულ ქალსაც პასუხს მოითხოვენ. თუ ჩემი შვილი ოდესმე ციხიდან გამოვიდა, იმ ქალს შეირთავს. ამიერიდან ჩემთვის აღარაფერს მნიშვნელობა აღარა აქვს. ყველაზე უფრო საშინელი და თავისმომჭრელი უკვე მოხდა; ჩემს საამაყო შვილს, უჩას, კაცის მკვლელობას აბრალებენ, უღირსი ქალისათვის? მე თქვენ გეტყვით, სამშობლოს დაცვისათვის მოკლა კაცი, ან მოღალატე და ფლიდი ვინმე გამოასალმა წუთისოფელს. ალექსანდრე, პატიოსნებითა და ვაჟკაცობით ცნობილი, დედამისის სისხლი და ხორცი. ვაი, ვაი, თუნდაც ათასჯერ გამართლდე, უჩა, ჩემს გულში დამნაშავე და მკვდარი ხარ! შენ მოკალი თუ სხვამ, სულ ერთია, ხომ ითქვა... როცა შენი ღვიძლი დედა ასე ფიქრობს შენზე, სხვები სულ არ დაგზოგავენ. ხმა ღვთისა და ხმა ერისა საუკეთესო მსაჯულია შენი, შე უბედური დედის შვილო, აქაც მიმტყუნა ბედმა.

მაიას ცუდი ამბები მოსდიოდა: უჩა და ბაბილინა დააპატიმრეს, აგრეთვე მხლებლებიც — ძმები ფიჩხაიები. უჩა, როგორც უგანათლებულესი თავადი და იმავე დროს სამხედრო პირი, ჰაუპტვახტში იჯდა, სრული თავისუფლებით სარგებლობდა, ხოლო ბაბილინას და უჩას მხლებლები ციხეში ისხდნენ.

უჩა პატიმრობაშიც დიდკაცურ ცხოვრებას განაგრძობდა. მამულების ვექილი აფაქიძე ხშირად ჩადიოდა მასთან, ჩაჰქონდა ფული მამულიდან შემოსული თანხებიდან.

მაია სრულიად გულგრილი გახდა შემოსავალ-გასავლისა და მამულების მიმართ.

— როგორც გინდათ, ისე ხარჯეთ, ნურაფერს მეკითხებით! — ეტყოდა ის გიგიშას. გულს კიდევ იმას აყოლებდა თუ ვინმე მთავრობის მიერ დევნილს ხელს შეუწყობდა. რამდენიმე კაცი კიდევ შერჩა ამ სასახლეს საზრუნავად.

გრიშას კვლავ აგულისებდა დედის ეს საქციელი. დედაშვილს შორის მუდამ უსიტყვო ბრძოლა იყო გაბმართული.

მაია ცხოვრებაზე მთლად გულგატეხილი დარჩა, როდესაც გაიგო, რომ უჩას ოცი წლის პატიმრობა მიუსაჯეს, ღირსება ახადეს, ციხეში ჩასვეს. დანარჩენ ბრალდებულებს, როგორც უჩას ხელში იარაღად გამოყენებულთ, ნაკლები ჰქონდათ მისჯილი.

„ნეტა დუტუ გამეზარდა უჩას მაგივრად, — ფიქრობდა მაია, — გლეხის შვილია დუტუ, მაგრამ რომელ თავადის შვილს ჩამოუვარდება. ქვეყნის საქმეს აკეთებს. ხალხს უყვარს, ხალხის შვილია. უჩა... უჩას კი ზიზღით იხსენებს ხალხი...“

უჩამ საქმე სენატში გადაიტანა, მას გამოჩენილი ვექილი ჰყავდა დამცველად, რომელიც უჩას გავლენას ხელმწიფის სასახლის კარზე და უჩას დიდკაცობას მოხერხებულად იყენებდა, რათა გაემართლებინა ბრალდებულები.

არც ალექსანდრეს ძმა ოთარ დადეშქელიანი ზოგავდა თავის გავლენას პეტერბურგის მაღალ წრეებში, რომ უჩა გაეშვებინა, ალექსანდრეს მკვლელობა პირადად მისთვის დაეშტკიცებინა, დამსახურებულად და სასტიკად დაესაჯა ის.

ოთარი ცდილობდა რბალი ბრალდებიდან გაეთავისუფლებინა, ძმის ოჯახის შებღალული სახელი აღედგინა. დადეშქელიანის მოწმეები იმასაც კი ამტკიცებდნენ: უჩამ ბაბილინასთან ინტიმური კავშირის დამყარება ვერ შეძლო და სიყვარულით გახელებულმა ქმარი მოუკლა, უმწეო ქალი გააუბედურა, სამარცხვინო საქმეში გახვიაო.

ამ მხრივ ოთარის ცდა გაბათილდა, როდესაც სასჯელისგან გათავისუფლებული უჩა და ბაბილინა შეუღლდნენ.

საქმე მაინც დიდხანს გაჭიანურდა.

უჩამ სრული თავისუფლება და ყველა თავის საზოგადოებრივ უფლებებში აღდგენა მაშინ მიიღო, როდესაც მსოფლიო ომი დაიწყო.

შვილის პატიმრობის დროს მაიას ბევრი სხვა უბედურებაც დაატყდა თავს: ერთ დღეს ხორშიდან ქვეითად მოსული, სახედაკაწრული ქალები — გრიშას ძიძიშვილები წიეილ-კიევ-

ლით შემოცვივდნენ მაიას ეზოში და უკითხავად მის ოთახში შეეარდნენ, გრიშას სიკვდილს გაჰკიოდნენ, თან ყველაფერს აბეგრევდნენ, ლეწავდნენ, მაიასაც უყვიროდნენ: სირცხვილი შენი, შენ მოკალი გრიშა, შენ ცოცხალი ხარ, გრიშა აღარა გვყავს, უნა ციხეში გილპება, შენც მოკვდი ახლავეო.

მწუხარებას გონება დაეკარგა მათთვის, უდიერად ექცეოდნენ მუდამ მორიდებასა და პატივისცემას მიჩვეულ ქალს. ერთი რომ გაათავებდა წყევლა-კრულვას, მეორე დაიწყებდა:

— შენი მოძულებული შვილი გრიშა ხუთ წუთში მოკედა, გული გაუსკდა უბედურს, შენ და შენმა არჩეულმა შვილმა უნამ გაუხეთქეთ გული. ვაი, ჩვენი ცოდვა, ვაი ჩვენი ცოდვაააა! — მოთქვამდნენ ქალები, თან იწყევლებოდნენ, მაიას სახლის გადაწვით იმუქრებოდნენ.

მაიას მსახურებმა ძლივძლივობით დაამაგრეს ეს ქალები და ოთახიდან გაიყვანეს.

ახლა ეზოში კიოდნენ. მთელი სოფელი წივილ-კივილით გაავრუეს, მერე წყევლა-კრულვით ეზოდან გავიდნენ და ხორშში დაბრუნდნენ.

მთელი ხიბულა უკან დაედევნა ამ ქალებს. ყველას მწუხარებას გვრიდა გრიშას უეცარი და უდროო სიკვდილი, ეჩქარებოდათ თავისი თვალით ენახათ მიცვალებული.

ხიბულაში გრიშა ძლიერ უყვარდათ, მისი შვილები იქაურებს ჰყავდათ გაზრდილი, მრავალი ძიძა-მორდუ, ნათლული, ნათლიდედ-ნათლიმამა ფეხშიშველი გარბოდა ხორშისკენ. გულგამგმირავად კიოდნენ და მოთქვამდნენ.

მაია გაქვავებულივით იდგა თავის ოთახში. გარინდული უცრემლოდ და უმიზნოდ იცქირებოდა აქეთ-იქით. უსაშინლესი მწუხარებით გარემოცული ქალი წასაქცევად ქანაობდა, რომ მოახლემ სავარძელი დაუდგა და ის უგონოდ ჩაეშვა შიგ. აკანკალებული .თავი რომ დაემაგრებინა, ხელებზე დაეყრდნო. აზრს თავი ვერ მოუყარა მაინც, არ იცოდა, რა ჭირდა, თითქოს ახლა გამოერკვაო, მოახლეს ჰკითხა:

— გრიშა მართლა მოკვდა თუ იმ უმსგავსო ქალებმა მომატყუეს? იქნება გული შეუწუხდა და ცოცხალი იყოს ჩემი

მზესავით შვილი? — თქვა და წამოდგა, მოახლეს ჩააკივლა: მართალი მითხარიო.

— მოკვდა, ბატონო!

მაია ისევ სავარძელში დაეცა, ერთი საცოდავად დაიკვნესა და თვალებიდან ცრემლები ნაკადულივით წამოუვიდა.

მოახლე დატრიალდა, ოთახიდან სამზარეულოში გაიქცა: იქნებ ვინმე ჩამოვიდა ხორშიდანო. სახელები გასძახა ბიჭებს, მაგრამ ოჯახში არავინ დარჩენილიყო.

ყველაზე ადრე ონისიმე ქარცხია მოვიდა, ისიც დაკაწრული სახით, ლაპარაკის ღონე აღარ ჰქონდა, ბუხართან მიეგდო, სლუკუნებდა, გულზე ხელს ირტყამდა, ჟღალ წვერ-ულვაშს იგლეჯდა. მალე გელა ჯგერენაია და გიგიშაც მოვიდნენ. მათ ეს ამბავი სადღაც გზაზე გაეგოთ და ხორშში წასულიყვნენ. ახლა ნამტირალევი, ძლიერ შეწუხებული მოვიდნენ მაიასთან.

პირის ხოკვით და ვაი-ვაის ძახილით შეეიდნენ მაიასთან, რომ ბატონი მოენახულებინათ და ისევ ხორშში გაბრუნებულიყვნენ. დაწვრილებით უამბეს მაიას გრიშას მოულოდნელი სიკვდილის ამბავი.

მაიას ტანჯვა იმდენად ძლიერი იყო, რომ გიგიშა და გელა თვალს ვერ უსწორებდნენ. ამ მოხუც ქალს მთელი დღე არაფერი არ უჭამია, არც არაფერს კითხულობდა, თუ როდის კრძალავდნენ, რას აპირებდნენ.

— შენი აზრი გვიბრძანე, ბატონო! — უთხრა გიგიშამ.

— არ შემიძლია, მე მკვდარი გრიშა ვნახო. მე ნურაფერს მკითხავთ. ორი წელია, რაც ერთმანეთს ვემდურით, ვითომ ახლაც დამდურებული ვართ. ჩემი ფართო მხარბეჭიანი, ჩემი ლამაზი გითა მემდურის, მეც ვემდური. ამიტომაც ვერ ვნახავ, ასე უნდა მოვკვდე.

კვლავ ცრემლები წასკდა თვალებიდან. გელა და გიგიშა გულხელდაკრეფილი იდგნენ, კედელზე აკრული ზლუქუნებდნენ, ცრემლად იღვრებოდნენ.

ნაშუაღამევი იქნებოდა, მაიამ რომ ყველანი დაითხოვა.

სურათებიან მაგიდას მიუახლოვდა. ღვთისმშობლისა და

წმინდა ნინოს ხატი მიცვალებულთა სურათებს დაჰყურებდა ზევიდან. ვერცხლის შანდლებში სანთელი ჩადო, სურათებს გადასედა, უჩას მეტი ახლა ცოცხალი აღარავინ დარჩენილიყო ამ დიდი საგვარეულოდან. მაიას არც უჩა მიაჩნდა ცოცხლად, მაინც მისი სურათი თავის პატარა მაგიდაზე დასდო, სასთუმალთან რომ ედგა; მაგიდის თეჯირი აიღო, იქვე კედელს მიაყუდა და ცოცხალი ადამიანივით გაუმართა საუბარი.

— ახლა აღარ ხარ საჭირო. ხომ ხედავ, ყველა წავიდა, შენ კი უცვლელი დარჩი... მთელი ღამე იჯდა, იცრემლებოდა და მხურვალედ ლოცულობდა.

მოწამლული ფუტკარი

ერთმა წელმა განვლო გრიშას სიკვდილის შემდეგ. სოფელს შემოდგომა კარს მოდგომოდა, ბუხარს ცეცხლი მონატრებოდა.

დაღვრემილი მაია გიზგიზა ბუხართან მოშორებით იჯდა, უცქერდა ნაპერწკლებს, რომელთა შუქი და ციმციმი სასიამოდ იჭრებოდა მის დაღლილსა და მწუხარე გულში. ცეცხლის ტკაცუნი კიდევ უფრო აშფოთებდა მაიას, გარდასულ დროს მოაგონებდა.

მისი ფიქრები შორიდან იწყებოდა, ფიქრთა რვეულს ის ალექსის სიკვდილის დროიდან ხსნიდა, შემდეგ თანდათან ფურცლავდა ამ რვეულს, კრიალოსანთან ერთად მარცვლავდა მოგონებებს.

შემოდგომის გრძელი საღამო წარსულის ტკბილ-მწარე მოგონებებში დაილია... მაიამ ოთახში მიმოიხედა, თავისი უფერული ცხოვრება ზედმეტად მიიჩნია, მაგრამ იმ წუთსვე მოაგონდა უჩა, რომლის თუნდაც ერთი შეხედვა უზომოდ ენატრებოდა და რომლის ნახვის იმედიც კვლავ გაუჩნდა.

ყოველდღე ელოდა შვილს. გამართლებულმა და განთავისუფლებულმა უჩამ ორი თვის წინათ მას სურათი გამოუგზავნა. ამ სურათს მაია ჩუმად, რომ არავის შეეხედა, გულში ჩა-

იკრავდა, წარწერას ხშირად წაიკითხავდა და თვალები სიხარულით გაუბრწყინდებოდა.

მაიამ იცოდა, რომ უჩა ომში უნდა წასულიყო. მას ისიც მოახსენეს მორიდებულად: უჩა დიდი ყურადღებით ეჭცევა ბაბილინას, პატრონობას უწევს უმწეოდ დარჩენილ ქვრივ-ობლებსო.

მაიას ფიქრები ცხენის ფეხის ხმამ დაარღვია. მოხუცი ქალი ფანჯარასთან მივიდა. რამდენიმე ცხენოსანი შეჩერდა ეზოში.

მიუხედავად შემოდგომის საღამოს ბინდისა, ერთ-ერთ ცხენოსანში უჩა შეიცნო, გული სიხარულით აუტოკდა, მაგრამ მხოლოდ წუთით.

— გვერდით არ მოგყვება შენი უბედური გითა, კენტად ხარ დარჩენილი ამ ქვეყანაზე! — თქვა და გამობრუნდა, სელის საკარძელში უღონოდ ჩაეშვა.

ბევრი ცრემლი ღვარა უჩამ დედის მკერდზე: ჩემი ძვირფასი გრიშა რად არ დამხვდაო, მთელი ღამე უძილოდ გაათენა.

დილით ხორშში წავიდა ძმის საფლავზე სატირლად, რძლისა და ძმისწულების სანახავად.

ხორშიდან დაბრუნებული უჩა არც დედასთან დარჩენილა დიდხანს, იმ კვირასვე ომში წავიდა.

დედა-შვილს ერთი სიტყვა არ უთქვამთ არც დადეშქელიანის სიკვდილზე, არც უჩას სამარცხვინო ბრალდებაზე, არც ბაბილინა უკითხავს მაიას. მათი საუბარი მხოლოდ გრიშას სიკვდილსა და მამულების საკითხებს ეხებოდა.

უჩა ველურ დივიზიაში გაამწესეს. ეს დივიზია ფრიად სახელგანთქმული იყო იმ დროს. მეტწილად შედგებოდა მთიელთა ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან, რომელნიც თებერვლის რევოლუციას მხარში ამოუდგნენ. უჩამ გრიშას დავაჯკაცებული ვაჟებიც თან წაიყვანა. ის ერთ-ერთი ნაწილის უფროსად იქნა დანიშნული.

— სიკვდილს ნუ მოვესწრები მისას და სხვა ყველაფერი უმნიშვნელოა ჩემთვის. რაში მეჭირვება, როგორ უყურებს მას რუსთა ხელმწიფე ან ჯარის სარდალი?

მაიამ ისიც კი გაიგო, რომ ბაბილინა მოწყალების დათ მუშაობს ჯარშიო.

— ძლიერ მოწყალე გულის არის, ალბათ, ერისთავის ქალი! — დაცინვით თქვა და ხელი ჩაიქნია მაიამ, ლაპარაკიც არ სურდა ამ ქალზე.

მაიას ხანდახან შვილიშვილების ცოლები მოაკითხავდნენ. პირველად უმცროს რძალს ხუთი ცხენოსანი მოჰყვა, შემდეგ ორი, შემდეგ — ერთი, ბოლოს ქვეითი ბიჭი მოჰყეებოდა.

მაიას ეს შეუმჩნეველი არ დარჩა. რძალი მოუყვა: ეს ბიჭი ძლივს ვიშოვე, კინაღამ მარტო წამოვედი. კაცები ყველა ომშია, დედა მონასტერში გახლავთ, უფროსი რძალი ოჯახში დარჩა, ხოლო მე ამბად მომიტანეს თქვენი შეუძლოდ ყოფნა და გეახელითო.

ხიბულაში პატარძლის ყოფნის დროს ჯარიდან შვებულებაში წამოსული მისი მეუღლე ჩამოვიდა და ბებიას უჩას წერილი მოუტანა. წერილი სავსე იყო სიყვარულის გრძნობით, მალე ნახვის ნატვრით.

უჩა დაღლილობას უჩიოდა. დედას სწერდა: როგორც კი ომი გათავდება, ჩამოვალ, სოფლის მეურნეობას მოვკიდებ ხელს, არასოდეს არ მოგშორდები, თუ ვინმე მოხუცი რძალი ჩამოგიყვანო, ისიც ჩემსავით მიიღე და შეიყვარეო.

არ ეამა მაიას სიტყვა „მოხუცი რძალი". შვილიშვილს თვალში გაუყარა თავისი გამჭრიახი თვალი და ჰკითხა:

— გადაწყვიტა ბიძაშენმა ბაბილინას შერთვა ხომ? რას მიმალავთ? მამაშენი მოკვდა და ის გადავიტანე, შავიც არ ჩამიცვამს. საზოგადოდ შავის ჩაცმა სისულელეა, მეტ ჭუჭყს იჭერს, პატრონი ვერ ამჩნევს, იშვიათად რომ რეცხავს, თავს იმით ინუგეშებს. — თქვა და თეთრი ბაიკის კაბა ტანზე გაისწორა. — მომერია მოხუცებულობა, შავებზე ლაპარაკს შევრჩი, მთავარი სათქმელი დამავიწყდა. დიახ, იმას ვამბობდი, უჩა რომ ბაბილინას შეირთავდა, იმ წუთიდან ვიცოდი, რა წუთსაც ალექსანდრეს სიკვდილი მითხრეს.

— კი ბატონო, — უპასუხა შვილიშვილმა, — უჩა ბიძია და ბაბილინა ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი არიან, თითქმის ორი წელია.

მაიამ იქვე მდგომ პატარძალს უკმაყოფილოდ შეხედა:

— შენც ძიღალატე? ამას არ მოველოდი, რატომ არ მითხარი?

— ყველას მოგვერიდა, ბატონო, თქვენი შეწუხება, დანამდვილებით არ ვიცოდით.

— გაიგეთ, შვილებო, მე არაფერი მაკვირვებს და მაწუხებს. გაკვირვებას, მწუხარებას თავისი დრო ჰქონია. გული გადაიღალა. ალბათ, იქამდე მივიდა ჩემი მწუხარება, რომ შეტის შეგრძნობა აღარ შემიძლია. ვაი, დაღუპულო იმედებო! ვაი, უჭკუოდ დაკარგულო შვილო! მთლიანად გრძნობა იყავი, ახლა ეს რა გიქნია? თუ ამღენ ხანს საეჭვო იყო შენგან ძმის მოკვლა, ახლა შენმა საქციელმა ხომ ყველაფერი დაადასტურა. რამ მოგწამლა, ჩემო კეთილო და უჭკუო შვილო?— თქვა და თვალწინ შვილის სახე წარმოუდგა. ისე ძლიერ ენატრებოდა მისი ნახვა, რომ ადგა, სურათს დახედა, გულში ჩაეკრა მოინდომა, მაგრამ არ უნდოდა გული სისუსტე სხვებთან გამოეჩინა და სურათი ისევ მაგიდაზე დადო. სურათზე დასედვამ დააიმედა, გული მოულბო და ისევ იქ მყოფ მიმართა:

— ჩემო ბატონებო, ჩემ შვილს ისე მოუვიდა, როგორც ფუტკარს მოსდის ხოლმე: არის ერთი ყვავილოვანი ხე, რომელსაც აზალია ეწოდება. ჩრდილოვანი და მიმზიდველია იგი. მისი ყვავილები სურნელოვანი, ნათელი ფერისაა. როგორც კი ფუტკარი ამ მომხიბლველ ხეს დაინახავს, მისკენ გაეშურება, ხარბად წუწნის ყვავილების ტკბილ ნექტარს, გახარებული თავის ბანაკისკენ მიფრინავს, რომ თაფლი თაფლს მიუმატოს. ის სკამდე ვერ აღწევს, ნექტარით მოწამლული გზაშივე კვდება. ასე დაემართა უჩასაც, მოიხიბლა ერისთავის ქალის გარეგნობით, მისი ცეცხლოვანი თვალებით, გედის ყელით დაიპყრო ის ჯადოქალმა. ჩემი ფიქრით, ახლა უჩა მოწამლული ფუტკარივითაა, რომელმაც აზალია იგემა. უჩაც ვეღარ დაუბრუნდება თავის ოჯახს, თავის სამშობლოს. ის თავისი ქვეყნისათვის მკვდარია. მარტო ხორციელი სიცოცხლე როდია საკმარისი ადამიანისათვის, მთავარია სულის სიხპეტაკე, ვაჟკაცობა, რაინდობა. უჩა ყველას თვალში ძმის მკვლელია.

— დიდედა ბატონო, — უთხრა მორიდებით რძალმა, — ხომ იცით, ნერვიულობა გავნებთ, დამშვიდდით. რაც მოხდა, გვესმის, მძიმეა თქვენთვის, მაგრამ თქვენი ძლიერი ხასიათით უნდა მოერიდოთ წყენას.

— ეჰ, ჩემო შვილო, წლებმა, განვლილმა მრავალმა უბედურებამ ხასიათიც შემიცვალეს და ჯანმრთელობაც. სიცოცხლის გმობა მაინც არ მიყვარს, არც სიკვდილს ვესწრაფვი. ვნახავ კიდევ, რამდენ უბედურებას გადავიტან, რა მოელის ქვეყანას.

— ქვეყანას, ბატონო ჩემო, როგორც მოგეხსენებათ, დიდი ამბები მოელის, დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, — მოახსენა ჯარიდან ჩამოსულმა შვილიშვილმა.

— რას ელიან ვითომ, რუსთა ხელმწიფის ტახტს შეარყევენ თუ მეფეს სულ ჩამოაბრძანებენ?

— რას ბრძანებთ, ბატონო! ასეთი სიტყვისა და აზრისათვის ხალხს ხვრეტენ, ძალიან საშიშია ამაზე მსჯელობა, ფრთხილად ვიყოთ, — უთხრა შვილიშვილმა.

— თქვენ იყავით ფრთხილად, მე ვინ დამიჭერს, ვის სჭირდება ჩემი აზრი? მე საიქიოდან ვლაპარაკობ, სააქაო რაღა მაქვს!

— იქნებ ჩვენც არ გვიყვარდეს, ბატონო დიდედა, ნიკოლოზ მეფე, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავსო. მით უფრო ჩვენ, ახალგაზრდებსა და სამხედროებს, მაგრად გვკიდებენ ხელს. ჩვენც მივეჩვიეთ სიფრთხილეს.

არ მოეწონა მაიას ეს სიფრთხილე, აღარ გააგრძელა ლაპარაკი, აღარაფერი უპასუხა, სავარძელში ღრმად ჩაჯდა და კრიალოსნის მარცვლა დაიწყო, ფიქრებს მიეცა, შვილიშვილს აკვირდებოდა, მის მსჯელობას, მის მიხრა-მოხრას.

„აი, როგორი ვაჟკაცები გამოუზარდა ჩვენს ოჯახს რუსთა ხელმწიფემ: დამფრთხალი, შეშინებული, რომელოაც არც თავისუფალი აზროვნება შეუძლიათ, არც თავის დაცვა. ესენი ასე ბრმა იარაღად დარჩებიან ხელმწიფის ხელში მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ამათ ახლა ყოველი კიტია და ჯგერენაია ჯობია, რომელიც ხელმწიფესთან ბრძოლას გაბედავს და თავისი რწმენისათვის, თუ საჭირო იქნა, თავსაც და-

დებს. გადაგვარდა, ბატონო, ჩვენი ჯიში. განა უჩაც ასეთი არ არის? ჩემი უბედური გრიშაც ასეთი არ იყო? ისიც ისე არ ჩამოშორდა საზოგადოებრივ ცხოვრებას?!" — ფიქრობდა მაია და მისი სახე სასოწარკვეთილებას ამჟღავნებდა.

უმცროსებმა საჭიროდ დაინახეს მარტო დაეტოვებინათ ფიქრებში წასული მაია. შვილიშვილმა და მისმა მეუღლემ ღამე ნებისა უსურვეს მოხუცს და ოთახიდან გავიდნენ.

მაიამ დილით კვლავ გააგრძელა რძალთან და შვილიშვილთან დაწყებული საუბარი.

— შვილო ჩემო, ძველ დროში ომი უფრო წესიერად წარმოებდა, ძველ ომებში მჟღავნდებოდა ახალგაზრდობის ვაჟკაცობა და გულადობა.

— რატომ, ბატონო, ხელჩართული ომი ახლაც ხშირია, რუსის ჯარი სწორედ ცნობილია ხელჩართული ბრძოლით.

— არა, ხელჩართული ბრძოლაც სხვანაირია ახლა. წინათ ფარი ეკიდა მებრძოლს, მტრის მოქნეულ ხმალს იმით იგერიებდა, ამიტომაც ამბობდა ხალხი: დროზე ნახმარი ფარიო, იგივე ხმალი არიო. ძველ ომებში მებრძოლი აღტაცებული იყო იმით, რომ იცოდა მოპირდაპირე გმირებისა და მებრძოლების ვაჟკაცობა. მათთან ბრძოლა თავმოყვარეობას აღვიძებდა, ბრძოლის ჟინს მატებდა. განსვენებული ჩემი ძმის დავითის წიგნი „რუხის ბრძოლა" უნდა წაგიკითხო, იქ ნახავ შესანიშნავ სურათს, თუ როგორ იბრძოდა მამაჩემი გიორგი დადიანი, უტუ მიქავა, გელა ჯგერენაია და სხვა გმირები სამშობლოს დასაცავად.

— წაკითხული მაქვს, ბატონო დიდედა, დავითის წიგნი. ქართველი ახლაც გმირულად დაიცავს თავის სამშობლოს. უჩას ვაჟკაცობის და გმირობის ამბავი მთელმა რუსის ჯარმა იცის.

— მისი სამარცხვინო ამბავი კი მთელმა საქართველომ, — ნაღვლიანად ჩამოართვა სიტყვა შვილიშვილს მაიამ და განაგრძო: — არა, როგორ წახდა უჩა ისე, რომ იმ ქალზე ჯვარი დაიწერა? საქართველოში აპირებს ჩამოსვლას, ალბათ, აქ მომიყვანს „სასახელო" რძალს: დამიჯაბნა. რა ძნელი ყოფილა სიბერე, რა გამიბედა უჩამ?!

— მართალია, ბატონო, ცუდი საქმეა, ხალხი გაკიცხავს, მაგრამ თქვენ ხომ სიყვარულის ძალა წარმოდგენილი გაქვთ. უნდა მიუტევოთ. თუ ადამიანმა თავი ისე გასწირა, რომ სულ ერთი გახდა, მასზე ვინ რას იტყოდა, როგორც ჩანს, მისთვის ყველაზე ძვირფასი ყოფილა ის, ვისთვისაც ეს გააკეთა. ის ყოფილა მისი ბედნიერება. ყველაფერს უნდა შევურიგდეთ. ბიძია უჩას ბედნიერება თქვენთვის სასიხარულო უნდა იყოს... თქვენ ხომ მისი სიცოცხლით ცოცხლობთ ახლა. — მორიდებით უთხრა რძალმა.

— შენ, ჩემო რძალო, ახალი რომანების ენით მსჯელობ, მე ბევრჯერ და გულახდილად მითქვამს შენთვის მთელი ჩემი ცხოვრების თავგადასავალი. სიყვარულს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მე ყველაფერს იმას ვაფასებ, რაც ადამიანის ღირსებას არ დაამცირებს და არ შებღალავს. ხომ იცი, როგორი თავდავიწყებით მიყვარს უჩა, როდესაც ის ვიღაც დიდმა თავადმა დუელში გამოიწვია, მგონი თბილისში, კარგად არ მახსოვს, მე წასვლით არ წავსულვარ, მაგრამ ჩემი რძლის ძმა გავგზავნე და თან მივწერე, რომ არ შერცხვენილიყო, უკან არ დაეხია, იქ ვაჟკაცური სიკვდილი მერჩია, ასეთი სირცხვილით მისი ცხოვრების დამოავრებას.

— ბატონო დიდედა, ბიძიას რომ ის ქალი არ შეერთო, ვინ დარჩებოდა დამცირებული?

— ისევ ჩემი შვილი, — თქვა მაიამ ჩაფიქრების შემდეგ. — ქალს რომ სახელს უტეხ, ოჯახს უნგრევ, პატრონს უკლავ, ვალდებული უნდა იყო, უპატრონო მერე.

— ხომ, ბატონო? აბა მეტი რა დააშავა უჩა ბიძიამ! მან ადამიანური მოვალეობა მოიხადა.

— ბიძაშენმა ის დააშავა, რომ თავიდანვე უსინდისოდ მოიქცა, ძმას უღალატა. მერე ის დააშავა, რომ მისი მიზეზით მშვენიერი ვაჟკაცი უდროოდ გამოესალმა წუთისოფელს, მესამე ის, რომ მან ფეხი დააბიჯა საზოგადოების აზრს. უნდა იცოდე, შვილო ჩემო, სანამ საზოგადოებაში ურევიხარ, საზოგადოების აზრს პატივს უნდა სცემდე. საერთოდ რაღა ადამიანია ის, ვინც გრძნობას ვერ მოერევა?

— ჩემი ფიქრით, ქალი თვითონ არ უნდა გაჰყოლოდა უჩა

ბიძიას ამდენი უბედურების შემდეგ. თუ იდეალურად უყვარდა მას ბიძია, უნდა შეეწირა საკუთარი ბედნიერება, გაეხსნა გზა მისთვის ახალი ცხოვრებისაკენ, ჩამოშორებოდა თვითონ. ბიძია შემდეგ, ალბათ, ცოლს შეირთავდა.

— რა ბავშვი და გამოუცდელი ხარ! შენ წაკითხული რომანები გგონია ცხოვრება! ასეთი ქალები განა სპეტაკ გრძნობებზე ფიქრობენ? ისინი თაეიანთი პირადი ბედნიერების გარდა ვერაფერს ხედავენ.

— ბატონო, დიდედა, თქვენ, ალბათ, ღირსეული დედამთილი იქნებით, როგორც ყველა განვლილ უსიამოვნებას, ამასაც სულგრძელად გადაიტანთ.

— არც ღირსეული ვიქნები, არც არაფერი. ამ ოთახიდან კი, ვიცი, სიკვდილამდე არავინ გამაგდებს, ჩემი გიგიშა არ მომშორდება, ეს ჩემი გაზრდილი და დანასახლები გლეხებიც მომხედავენ, აწი სიკვდილიც მოახლოებულია, — თქვა და ჩაფიქრდა. კრიალოსანზე რაღაც დათვალა, შემდეგ ხმამაღლა თქვა: — თებერვალში ოთხმოცდათვრამეტი შემისრულდება. — წამოდგა, დინჯად გაიარ-გამოიარა.

რძალი გაკვირვებული უყურებდა, თან ფიქრობდა: „ნუთუ ბებიას ხნის რომ გავხდე, სამოცდათოთხმეტი წელი კიდევ უნდა ვიცოცხლოო“. ძალიან დიდად მოეჩვენა ეს დრო, ბებიას დაემშვიდობა და თავის ოთახში გაეიდა.

საერთო და პირადი

დუტუ ჯგერენაია იშვიათად ჩამოდიოდა ქუთაისიდან. იცი ხან თბილისში იყო პარტიის დავალებით, ხან ბაქოში, ბათუმში, ჩრდილოეთ კავკასიაში და იქიდან სერგეი კიროვის და სერგო ორჯონიკიძის დავალებით ბრუნდებოდა. ძლიერ აწუხებდა ღრმად მოხუცებულ დედ-მამის უპატრონოდ მიტოვება, მაგრამ რა ექნა, თავის მოსაფხანადაც არ ეცალა და როგორ მიეხედა მშობლებისათვის. თავის შვილს, უკვე თვრამეტ წელს მიღწეულ კაკოს აგზავნიდა შინ და თუ რამეს იშოვნიდა, მშობლებთან და ცოლთან ატანდა. კაკო ქუთაისის გიმნაზიაში

სწავლობდა და მამას პარტიული დავალებების შესრულებაშიც ეხმარებოდა.

მაია ხშირად იხსენებდა დუტუს. იცოდა მისი ამბები. როცა კაკო ჩამოვიდოდა, დაწვრილებით გამოკითხავდა მამის შესახებ თუ რამე იცოდა. კაკოს უსათუოდ რაიმეთი დაასაჩუქრებდა და ისე გაისტუმრებდა ხოლმე ქუთაისში.

სამი წელიწადი გრძელდებოდა ომი. მილიონობით ადამიანი ეცემოდა ბრძოლის ველზე. ადამიანთა სიცოცხლე მიჰქონდა არა მარტო ტყვიასა და ხმალს, შიმშილს, ეპიდემიას. მოიშალა მეურნეობა; მუშახელი ქალაქიდან და სოფლიდან ჯარში იყო გაწვეული. ომს კი ბოლო არ უჩანდა. მეფის არმია მარცხს მარცხზე განიცდიდა. გერმანელთა არტილერია, შეიარაღებული უკანასკნელი ტექნიკის ქვემეხებით, ყუმბარებს სეტყვასავით აყრიდა მეფის ჯარს, რომელსაც არ ყოფნიდა არც ქვემეხები, არც ყუმბარები და შაშხანებიც კი.

გერმანელთა წარმატებას ხელს უწყობდა მეფის სამხედრო მინისტრის სუხომილნოვის ღალატი. ეს სამშობლოს გამცემი „რაინდი" გერმანელთა დაზვერვის აგენტი იყო და სხვა მინისტრებთან, თვით დედოფალთან ერთად, ყოველნაირად ცდილობდა რუსეთის ფრონტის იარაღით და სურსათით მომარაგების ჩაშლას.

გერმანელებმა დაიპყრეს პოლონეთი, ბალტიისპირეთის ნაწილი და ჯიქურ მოიწევდნენ წინ. ეს საშინელ აღშფოთებას იწვევდა როგორც რუს ხალხში, ისე კავკასიის ხალხებშიც. აძლიერებდა და აღრმავებდა მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას ომისა და ცარიზმის წინააღმდეგ. რევოლუციური მოძრაობა ერთნაირი სიძლიერით ვითარდებოდა როგორც ფრონტებზე, ისე ქალაქად და სოფლად.

ნიკოლოზ მეორის ჯარების მარცხი არა მარტო ხალხს აღაშფოთებდა, იგი დიდ უკმაყოფილებას იწვევდა რუსეთის ბურჟუაზიაშიც. ყველა ხედავდა, რომ კატასტროფის გზაზე დამდგარი მეფე, დღეს თუ ხვალ სეპარატულ ზავს შეკრავდა გერმანელებთან, რათა ამით თავისი ტახტი დამხობისაგან გადაერჩინა. ამიტომ რუსეთის ბურჟუაზიამ გადაწყვიტა მეფის სასახლეში გადატრიალება მოეწყოთ, ჩამოეგდოთ ტახტიდან

ნიკოლოზ მეორე და მის ადგილზე ბურჟუაზიის მოკავშირე მიხეილ რომანოვი დაესვათ: ბურჟუაზიას სურდა იმპერიის კრიზისი სასახლეში გადატრიალებით გადაეწყვიტა, მაგრამ ხალხმა იგი თავისებურად გადაწყვიტა.

სურსათის, ნედლეულისა და სათბობის ნაკლებობამ იქამდე მიაღწია, რომ რუსეთის ქალაქებში ერთიმეორის მიყოლებით ზედიზედ იხურებოდა ფაბრიკები და ქარხნები. ეს იწვევდა უმუშევრობას. ხალხი თანდათან დარწმუნდა, რომ ამ კატასტროფული მდგომარეობიდან გამოსვლა მხოლოდ მეფის ტახტიდან ჩამოგდებით შეიძლებოდა.

დაიწყო გაფიცვები. საყოველთაო გაფიცვების იდეა დღითიდღე სულ ახალ და ახალ მომხრეებს პოულობდა და ისეთივე პოპულარული ხდებოდა, როგორც 1905 წელს იყო. გაფიცვა და დემონსტრაცია გადაიზარდა აჯანყებაში. დაიწყო აჯანყებულ მუშათა და ჯარისკაცთა შეტაკება, მაგრამ 27 თებერვალს ჯარისკაცებმა იარაღი თავის ოფიცრებს შეუბრუნეს. აჯანყდნენ ჯარისკაცებიც. მუშათა კლასის მხარეზე ჯარის გადასვლამ უცებ გადაწყვიტა მეფის თვითმპყრობელობის ბედი.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

ეს ამბავი უცებ მოედო მთელს იმპერიას.

ერთხელ კაკო ქუთაისიდან ჩამოვიდა და შინმიუსვლელად პირდაპირ მაიასთან მივიდა. ამ დროს მაია წინა ოთახის ღია ფანჯარასთან იჯდა და ეზოს გადაჰყურებდა. კაკო რომ დაინახა, ჩემოდნით ხელში, აჩქარებული ნაბიჯით მომავალი, მიხვდა, ბიჭი რაღაც ამბით იყო აღელვებული. წამოდგა მაია და აივანზე გამოვიდა. დაინახა თუ არა მაია, კაკოს სახეზე ღიმილი მოეფინა.

— ბიცოლა მაია, — დაუძახა ეზოდან, — რუსეთში რევოლუცია მოხდა, მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს. — ამოირბინა კიბე, შემოვიდა აივანზე, ჩემოდანი დადგა და მაიასკენ გაემართა. ისინი ისე შეხვდნენ ერთმანეთს როგორც დიდი ხნის უნახავი დედა და შვილი.

მაიამ კაკოს შუბლზე აკოცა.

— გმადლობთ, ჩემო შვილო, კარგი მახარობელი ხარ, — უთხრა და დაჯდა. — ველარ გადაწვავენ აწი გენერლები ჩვენს სოფლებს, ველარ გააციმბირებენ ჩვენს შვილებს, — თქვა ბედნიერი ადამიანის ხმით. კაკო გვერდზე მოისვა. — მერე, ვინ დაუსვამთ ახლა მეფის ადგილზე?

— დროებითი მთავრობა.

* * *

რუსეთში დროებითი მთავრობა და საქართველოში მენშევიკური მთავრობა რომ ჩაუდგა სათავეში სახელმწიფო მართვა-გამგეობას, მაიას ეგონა, აწი მაინც დაწყნარდება ქვეყანა და ველირსები უჩას ნახვასო, მაგრამ იმედები გაუცრუვდა. ოქტომბრის რევოლუციამ მაია ისევ საგონებელში ჩააგდო. რა საჭირო იყო მეორე რევოლუცია? დუტუ ისევ ქუთაისში იყო. ვისთვის ეკითხა რაში იყო საქმე? „არაფერი მესმის რა ხდება ქვეყანაზე, — ფიქრობდა მაია. — ჯერ მეფეს ებრძოდნენ ერთად მენშევიკები, ბოლშევიკები, ესერები, კადეტები; მეფე რომ დაამარცხეს, ახლა ერთმანეთს ებრძვიან ისინი ვინც ერთი, საერთო საქმისათვის იბრძოდნენ!.. არა, მე უჩას ნახვა არ მეღირსება, ნეტა ის მაინც ვიცოდე, რომელ პარტიაშია ჩემი შვილი, ვის ებრძვის?“

მაია ამ ფიქრში რომ იყო, უჩა თავისი ცოლითა და გერებით სამშობლოსკენ მოიჩქაროდა, რადგან იცოდა, საქართველოს მთავრობა უფრო ტკბილად შეივრდომებდა. უჩა მოხერხებული კაცი იყო. თუ სალაპარაკოდ ვინმეს ჩაიგდებდა ხელში, თუნდ მოსისხლე მტერიც ყოფილიყო, ენამჭევრობით და გარეგნობით უცებ მოინადირებდა მის გულს. თბილისში ჩამოსვლისთანავე მთავრობასთან გამოცხადდა, ზოგთან დავიწყებული მეგობრობა აღადგინა, ზოგი მთავრობის კაცი ნათესავიც აღმოჩნდა, ზოგი მოყვარე. სამ დღეში თავის სოფელში ცხოვრების ნება აიღო.

— შედით ჩემს მდგომარეობაში. ასი წლის დედა უპატრონოდ მიკვდება, არა ჰყავს მოსამსახურე, არც მომვლელი. მინდა ჩემს ხელში დალიოს სული, — არწმუნებდა ყველას უჩა.

თხოვნა შეუსრულეს, ბოდიშიც კი უთხრეს, რომ მარტო თვრამეტ დესეტინა მიწას უტოვებდნენ.

— ნუ წუხართ, ნეტავ მაგის დამუშავებას შეეძლებდე, მე ხომ მარტო უნდა დავამუშავო ყველაფერი.

მაიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა უჩა ჩამოკიდა მასთან. ეზოს მოადგა ორი ეტლი და ორი ურემი, ძალმიანებით, ბარგით, ყუთებითა და სურსათ-სანოვაგით დატვირთული.

მაია ცივად შეხვდა ბაბილინას. შვილის სიყვარულით მაინც ზრდილობიანად მიიღო. როცა გადახედა მამით ობლებს, გული შეეკუმშა. თვალწინ ალექსანდრე დადეშქელიანის ვაჟკაცურმა სახემ გაუქროლა, თვალები დაენამა და თავის ოთახში შებრუნდა.

— სიხარულმა ააღელვა, ნურავის შეუშვებ მასთან, — უთხრა მოახლე ქალს ვერას უჩამ და ძალგამოლეული დედა ოთახში შეიყვანა.

* * *

ცხოვრებისაგან დაღლილ უჩას რუსეთში მაინც აღარ ეღგომებოდა. ენერგიულად შეუდგა სოფელში მეურნეობის მოწყობას.

თვრამეტი დესეტინა მიწის შემოსავალი მრავალრიცხოვანი ოჯახის მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებდა, თუ არ გაუმჯობესებდა მიწის მეურნეობას. უნდა შეემცირებინა მოსამსახურეთა და მოახლეთა რიცხვი. ასეც მოიქცა, მაგრამ მათთან შეგობრული კავშირი არ გაუწყვეტია არც მას და არც დედამისს, მეტადრე გიგიშასთან, რომელიც სულ ახლო ესახლა და ამ ოჯახის ხშირი სტუმარი იყო.

მაია ხშირად უჩიოდა სიღარიბეს შვილთან და ყველა თავისიანთან. უჩას ჩამოსვლის შემდეგ შვილიშვილები და მათი ცოლები ახლა მხოლოდ სტუმრად თუ მოვიდოდნენ რამდენიმე დღით. ეს მაიას არ მოსწონდა. სულ არ მინდა ჩემი უმანკო რძლების მაგივრად ბაბილინას ვუცქიროო, — იტყოდა. არ უყვარდა რძალი, არც გულს გადაუხსნიდა არასოდეს.

ოჯახის წევრებმა იცოდნენ, რომ მაიას ბევრი ძვირფასი ნივთი, თვალმარგალიტი ჰქონდა შენახული პატარა ოთახში, რომლის კედელი ძალიან საიმედოდ იყო გაკეთებული. ოთახი აივნის მხრიდან რკინის სალტეებით იყო შემოჭედილი, ხოლო შესავალი კარი ერთი ჰქონდა, ისიც მაიას საწოლი ოთახიდან. ძიძის სიკვდილის შემდეგ იქ ფეხი არავის შეუდგამს ვერას მეტს. მაია თვითონაც არ შედიოდა, დახუთულ ჰაერს ერიდებოდა, ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე ყველაფერს გამოამზეურებდა ვერას დახმარებით, თავის ოთახში გააშლევინებდა ატლასითა და ხავერდგამოკრულ ყუთებს, ძვირფას ნივთებს ტყვეობიდან გაათავისუფლებდა. ოქროს, ვერცხლს, ალმასს, ლალს, ბრილიანტს, მარგალიტებს, — ყველაფერს თავისი ხელით თეთრი ტილოთი გაწმენდდა, ისევ ჩაკეტავდა და შეანახვინებდა.

ნოხები, ფარდაგები, დიბა-ფარჩები, სპარსული და თათრული ქსოვილები, ზოგი თხელი და ჭრელი, ზოგიც დიდი მოცულობის ხალიჩები იმავე საკუჭნაოში მაღლა გაბმულ ბაწრებზე ეკიდა. ამათ უფრო ხშირად ამზეურებდნენ. არც დამალვა ხერხდებოდა მათი, ხოლო ძალიან დიდი ნოხები, რომლებიც ოთახების იატაკებს ფარავდნენ, ყველასათვის თვალსაჩინო იყო.

მაიას თავისი სიმდიდრე და ნივთები მოსვენებას არ აძლევდა მენშევიკების ხელისუფლების დროს. მთავრობას არ ჰქონდა საკმაო ავტორიტეტი. სოფლებში მრავლად იყო შეიარაღებული ახალგაზრდა, რომლებიც აჯანყების სამზადისში იყვნენ. ხშირად ამათი სახელით ისეთებიც შეიარაღდებოდნენ, რომლებიც ხალხის ძარცვა-გლეჯას არ ერიდებოდნენ. მაიას სასახლეშიც ეშინოდათ ასეთი პირების.

უჩა ბოლშევიკებს გაურბოდა, უგანათლებულესი თავადი, პოლკოვნიკის ჩინით, დამფრთხალი იყო რუსეთში ნახული სამოქალაქო ომით. ცდილობდა უსიამოვნებისათვის თავი აერიდებინა. სოფელს არც იმდურებდა, არც უახლოვდებოდა. მაია დიდი პატივისცემით ეკიდებოდა იმათ, ვის გამოც გრიშასთან უსიამოვნება მოუვიდა.

დუტუ და მისი ამხანაგები ახლა ზუგდიდის მაზრაში მოქმედებდნენ. ისინი საქართველოს ბოლშევიკებთან ერთად მენ-

შევიკების ხელისუფლების დასამხობად ემზადებოდნენ. უჩამ იცოდა რას მოასწავებდა მისთვის მენშევიკების დამარცხება და ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა დედა, ჩამოშორებოდა დუტუს და მის ამხანაგებს.

— დედა, მათ ხალხისათვის უბედურება მოაქვთ. მათ მხოლოდ ძარცვა და ნგრევა შეუძლიათ, — ეუბნებოდა უჩა მაიას.— მალე აღგვიან მაგ ავაზაკებს მიწის პირიდან. დაწყნარდება ქვეყანა.

— არა, თუ ასე გაგრძელდა, ქვეყანა არ დაწყნარდება. მე ვერ მოვესწრები ქვეყნის დაწყნარებას. შენი მეშინია, შვილო. შენ არაფერი აგიტეხონ მაგ ბოლშევიკებმა, თორემ მე ჩემს თავს არ ვუფრთხილდები, ისე კი მგონია, რომ დუტუ ჯგერენაია მძარცველების და მნგრეველების პარტიაში არ შევიდოდა. ან ლენინი უხელმძღვანელებდა ასეთ პარტიას?

— შენ საიდან იცი, დედა, ლენინი? — გაოცდა უჩა.

— შენს მტერს დააკლდა, შვილო, იმდენი, რამდენიც მე ვიცი... მაგრამ აწი ჩემი ცოდნა ვის რაში სჭირდება.

ახალგაზრდები

გრიშას სიკვდილისა და უჩას ცოლშვილიანად სოფელში ჩამოსვლის შემდეგ გრიშას ცოლ-შვილისკენ უფრო უწევდა გული მაიას. უყვარდა რძლები. გრიშას სამი უფროსი ქალიშვილი გათხოვილი იყო, ისინი და მათი შვილები ქვეყანას ერჩივნა. შვილიშვილები ზაფხულობით თავისთან ჰყავდა. ყველაზე უმცროსი გოგონა — ქეთინო მესამე კლასში იყო ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში. როდესაც მაიამ ის ზაფხულის არდადეგებზე ხიბულაში მოაყვანინა, მაშინ კაკო ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. მაიას თხოვნით კაკო ხშირად ამეცადინებდა ქეთინოს.

გოგონას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა კაკო სამეცადინოდ მოვიდოდა. ის ასჯერ უკეთ ითვისებდა კაკოს მიერ ახსნილ საგანს, ვიდრე მასწავლებლისას. ხიბულაში ჩამოსვლა ქეთინოსათვის დღესასწაული იყო, რადგან იქ ნახავდა კაკოს, იმეცადინებდა მასთან.

მაგრამ აი კაკომ გიმნაზია დაამთავრა. თბილისის უნივერსიტეტში შევიდა და უკვე სტუდენტი იყო. ამავე დროს კომკავშირის ორგანიზაციის აქტიური წევრი. ერთხელ ის კომკავშირის ორგანიზაციის დავალებით ქუთაისში ჩავიდა და სიდგურიდან პირდაპირ წმინდა ნინოს სასწავლებლის პანსიონისკენ გაეშურა. იქ ქეთინო ეგულებოდა, მისკენ მიისწრაფოდა.

ქეთინო უკვე თექვსმეტი წლის ქალიშვილი იყო. არც ისე ლამაზი, მაგრამ ისეთი ეშხიანი, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე, რომ მარტო მისი სიცილი და საუბარი მოხიბლავდა მამაკაცს.

პანსიონის ქალიშვილებს კაკო ნანახი ჰყავდათ და ახლა სტუდენტის ფორშაში რომ დაინახეს, თვალები გაუფართოვდათ. ისინი ჟივილ-ხივილით გაიქცნენ ქეთინოს დასაძახებლად.

— ქეთინო, ქეთინო, შენი ლამაზი ნათესავი მოვიდა!

მგონი ზოგნი განგებ ხმამაღლა იძახდნენ, კაკოს რომ გაეგონა. გახარებული ქეთინო ბავშვივით მორბოდა, მაგრამ მიუახლოვდა თუ არა კაკოს, ფეხი აერია, თითქოს დამუნჯდა. შედგა კაკოს წინ გულამომჯდარი და გაფითრებული.

— გამარჯობა, ქეთინო, — პირველმა კაკომ დაარღვია უხერხული დუმილი.

— კაკო, არ გელოდი...

— გეწყინა ჩემი მოსვლა?

— არა, რას ამბობ... ისე გამიხარდა... დიდი ხნით ჩამოდი?

ისინი გრძნობდნენ, რომ ქალიშვილები რომლებიც აქეთ-იქით მიიმალნენ ხის ქვეშ, დერეფნებში, კიბესთან, შორიდან თვალს ადევნებდნენ მათ და ბაღის კუთხისკენ წავიდნენ.

— რა საქმეზე ჩამოდი, კაკო? — ჰკითხა ქეთინომ. ვერ ფარავდა სიხარულს. ლოყა ეწვოდა.

— შენს წასაყვანად.

— სად?!

— ჩემთან.

— შენთან?! — ვერ გაიგო რას ეუბნებოდა ვაჟი.

— ჰო, ჩემთან.

— რატომ?!

— იმიტომ, რომ ჩემად მეგულები.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. იდგნენ თავდახრილები და ვერც ერთი ვერ ბედავდა შეეხედა თვალებში. ქეთინო ვერ ბედავდა, რადგან მიხვდა რას ეუბნებოდა ვაჟი და სიხარულისაგან სული შეუგუბდა. ვაჟს კი ეშინოდა უარი არ ეთქვა ქალს და გული გაუჩერდა პასუხის მოლოდინში. ბოლოს ისევ კაკომ აიღო თავი.

— არ წამომყვები, ქეთინო?

— მე ხომ ვსწავლობ...

— სწავლას რომ დაამთავრებ?

— მაშინ კი... მაგრამ ბიძია უჩამ ნება რომ არ მომცეს... იმას ხომ მამაშენი არ უყვარს, ბოლშევიკიაო.

— იქნებ არც შენ გიყვარს ბოლშევიკები?

— მე... მე არ ვიცი. მე შენ მიყვარხარ და სხვა არაფერი მინდა.

— მეც რომ გავხდე ბოლშევიკი?

— თუ ეს კარგია, მე მხოლოდ გამიხარდება.

ცეცხლის ალი

მენშევიკების მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ზუგდიდში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, არალეგალური ბოლშევიკური სამაზრო კომიტეტი არსებობდა და ეს კომიტეტი ხელმძღვანელობდა მაზრის გლეხთა მოძრაობას, მიმართულს არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. მთავრობას ჯერ მათი კვალისთვის ვერ მიეგნო.

კომიტეტის თავმჯდომარე დუტუ ჯგერენაია, პროპაგანდისტ-ორგანიზატორები: ლუკა კიტია და ივა ქარცხია ზუგდიდის მაზრის გლეხობაში დიდი პოპულარობითა და ნდობით სარგებლობდნენ.

მთავრობის წარმომადგენლები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ გლეხთა მოძრაობა ჩაეხშოთ. ამ მიზნით თვით ზუგდიდის შეიარაღებული ძალები ხშირად დადიოდნენ სოფლებში, მაგრამ რაკი რწმუნდებოდნენ ხალხი მასობრივად ამხედრებუ-

ლია მთავრობის წინააღმდეგ, იძულებული გახდნენ თბილისი-სათვის მიეცათ ცნობა.

საქართველოს ყოველ კუთხეში ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორც ზუგდიდის მაზრაში, მთავრობა ვერ აუდიოდა ხალ-ხის დაწყნარებას, მისი ერთადერთი დასაყრდენი მენშევიკური გვარდია იყო.

ხიბულაში ჩამოვიდა გვარდიის ერთი ნაწილი, რომელიც ერობის შენობაში დაბინავდა და ხალხის შეკრებაც აქ მო-ითხოვა. მთელი დღის ნაშრომი მოსახლეობა ჩაუცმელ-დაუ-ხურავი, სიღარიბით წელმოწყვეტილი, საცოდავ შთაბეჭდი-ლებას ახდენდა. მაგრამ გვარდიელებს და მათ ხელმძღვანე-ლებს გაძვალტყავებული გლეხობის ჯავრი არა ჰქონდათ. ისი-ნი სოფლად ბოლშევიკებს ეძებდნენ, მკაცრად მოითხოვდნენ ხალხისაგან მოეძებნათ და მოეყვანათ ბოლშევიკები კრებაზე, ეჩვენებინათ სად ჰქონდათ იარაღი და ვინ აერცელებდა ბოლ-შევიკების პროკლამაციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწ-გითა და დაპატიმრებით იმუქრებოდნენ. გვარდიის ოფიცერი, რომელიც ჩამოსულებს ხელმძღვანელობდა, მრისხანედ გამო-იყურებოდა. ხელში ქაღალდის ნაგლეჯი ეჭირა, რამდენიმე გვარი ამოიკითხა, ზოგი მათგანი აქვე იყო, ზოგი კი არ ჩანდა.

— აქ ხომ არ არის დუტუ ჯგერენაია, ავაზაკ კაკო ჯგერე-ნაიას მამა?

— არ გახლავთ, ბატონო, — უპასუხა სასოფლო ერობის განყოფილების თავმჯდომარემ.

— სად არის?

— ეშმაკმა იცის იმისი თავი და ფეხი, — განგებ ძაგებით უპასუხა ოფიცერს გლეხმა, — ის ყოველთვის შფოთისა და ამ-ბოხების ამტეხი იყო, მეფის დროსაც, ჩვენი მთავრობის დრო-საც და ასე იქნება სიკვდილამდე.

— ნუ გეშინიათ, მალე ჩავაძაღლებთ, — დაამშვიდა გლეხი გულუბრყვილო ოფიცერმა და მერე ჰკითხა, — შორს ცხოვ-რობს აქედან ის ავაზაკი ჯგერენაია?

— არც ისე ახლოს.

— ვინა ჰყავს ოჯახში?

— ხანში შესული ცოლი, რომელსაც პარტიების არაფერი გაეგება.

— ჩვენ გავაგებინებთ, ამ წუთში აქ მომგვარეთ! — ყვიროდა ოფიცერი.

ამრიგად, მთელი ღამე, განურჩევლად წლოვანებისა, მოპყავდათ სოფლელები გვარდიელების დროებით შტაბში. როგორც მათ თვითონ უწოდეს ერობის შენობას, აწარმოებდნენ მკაცრ დაკითხვას, ოდნავ საეჭვო პირებს კი ბეორე ოთახში ამწყვდევდნენ და გვარდიელებს აყენებდნენ დარაჯად.

ხალხი, რომელიც თვით შენობაში ველარ ეტეოდა, გარეთ იდგა სიცივით გათოშილი. არავინ იცოდა, ვის რა ბედი მოელოდა. გვარდიელების მრისხანება ყოველგვარ ადამიანურ საქციელს მოკლებულიყო. გინება, ცემა, ადამიანის დამცირება უკვე სისტემად იყო გადაქცეული მათ ხელში. გათენებისას, როდესაც ხალხის დაპატიმრებით გული იჯერეს, გვარდიელების ნაწილი წინასწარ მითითებულ ოჯახებში გაიბნა დასასვენებლად და ვახშმის მისართმევად, ხოლო ნაწილი თავისი უფროსით იმავე შენობაში დარჩა. გიზგიზა ბუხართან სოფლის მიერ მოტანილი ვახშმის ჭამას შეუდგნენ, კარგად შეზარხოშდნენ ღვინითა და არყით. შემდეგ თავიანთ ბუშლატებზე გაგორდნენ და ხვრინვა ამოუშვეს.

დილით გვიან გაღვიძებულ გვარდიელებს სოფელში გაბნეული ამხანაგები საძებარი გაუხდათ. ღვინით გამობრუჟულ გვარდიის ოფიცერს ყველაზე გვიან გაეღვიძა. შენიშვნები და უხეში საყვედურები მიაყარა თავის ხელქვეითებსა და თვით ერობის განყოფილების თავმჯდომარეს. შემდეგ მკაცრად ჰკითხა:

— წაუკიდეთ თუ არა ცეცხლი შენიშნულთა სახლებს?

— თქვენს ბრძანებას ველოდით, ბატონო!

— პირველ რიგში დუტუ ჯგერენაიას სახლი გადაწვით!

ერობის განყოფილების ერთ-ერთი ახალგაზრდა მუშაკი ოფიცერს გაბედულად შეესიტყვა:

— ჩვენ რომ ახლა დუტუს სახლი დავწვათ, მთელი მაზრა ფეხზე დადგება.

— გინდ ფეხზე დადგეს, გინდ თავდაყირა. უნდა დაიწვას მისი სახლ-კარი, — მკვახედ მიუგო ოფიცერმა. — არა მარტო მისი, ყველა ბოლშევიკის სახლ-კარი ცეცხლში უნდა გავხვიოთ, ახლავე შეასრულეთ ბრძანება!

ამ ამბის შემდეგ ერთი საათი არ იქნებოდა გასული, რომ ოფიცერთან გიგიშა მივიდა და მოახსენა:

— დიდი ქალბატონი, მაია დადიანი გთხოვთ ეახლოთ შინ.

— რომელია ეს დიდი ქალბატონი დადიანი? — იკითხა ოფიცერმა. — უჩა დადიანის დედა ხომ არაა?

— დიახ, უჩა დადიანის დედაა.

ოფიცერი მაშინვე გამოცხადდა მაიასთან. მაიამ იგი პატივისცემით მიიღო, ხილით და ოჯალეშით გაუმასპინძლდა.

— ჩემო შვილო, — დაუწყო მაიამ ფარული მღელვარებით, ოფიცერმა რომ რამდენიმე ჭიქა დალია. — როცა ამ თხუთმეტი წლის წინათ მეფის გენერალი ცეცხლითა და მახვილით შემოვიდა გურიასა და საქართველოში, ჩვენ ოსმალთა შემოსევა გაგვახსენდა და აღშფოთებით ვწყევლიდით მეფის ხელისუფლებას და თვით იმ ჯალათ ალიხანოვ-ავარსკის. რა უნდა ვთქვათ ახლა, როცა სოციალისტური მთავრობის ზარბაზნები უშენენ სოფლებს და ცეცხლს უკიდებენ ჩვენს სახლებს.

ოფიცერი ისე განაბული უსმენდა მაიას და თან ისე მორჩილი, რომ გეგონებოდათ მას დედოფალი ესაუბრებოდა და არა ას წელიწადს მიღწეული უმწეო დედაბერი.

— მაშინ ალიხანოვმა დაწვა დუტუ ჯგერენაიას სახლი. ახლა შენ უპირებ გადაბუგვას შენი მიწის, შენი სისხლ-ხორცის, შენი ერის შვილის სახლ-კარს.

— მე ბოლშევიკების სახლს ვწვავ, ქალბატონო.

— იმ ოჯახში ახლა მოხუცი ქალის მეტი არავინაა, შვილო. ნუ ჩავარდებით იმის ცოდვაში... ასი წლის ქალი გავხდი და თხოვნით არასოდეს მიმიმართავს არავისათვის. მე მხოლოდ ვბრძანებდი და მოვითხოვდი აქამდე. ახლა შენ პირველი კაცი ხარ, რომელსაც გთხოვ, ეცი პატივი ჩემს ჭაღარას. ნუ დაწვაე დუტუ ჯგერენაიას ოჯახს.

— ბატონო ჩემო, — წამოდგა აღელვებული ოფიცერი. — სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, მე თქვენს თხოვნას

უარს ვერ ვეტყვი. გარდა ამისა, ბატონი უჩას პატივისცემით... კიდევ რას მიბრძანებთ, ქალბატონო?

— მეტს არაფერს, შვილო...

ოფიცერი წავიდა, კმაყოფილი და გახარებული მაია მთელი დღე კარგ ხასიათზე იყო. წარამარა უჩას კითხულობდა. სახლში ყველა გააფრთხილა, რომ უჩასთვის არ ეთქვათ თუ ოფიცერი იყო მასთან.

უჩა გრიშას ოჯახში იყო წასული, ხორშში, თავისი ცოლ-შვილით და დღეს უნდა დაბრუნებულიყო. იგი საღამოს დაბრუნდა. დაღლილობა მოიმიზეზა, უვახშმოდ დაწვა.

მაიას ძილი არ ეკარებოდა, მისი საწოლი ოთახის ფანჯარა მთელ სოფელს გასცქეროდა. ძილი რომ გაუტყდა, ლოგინში წამოჯდა, ბალიში ასწია, ზურგით მიეყრდნო და ასე საათობით გასცქეროდა ფანჯრიდან სოფელს. კრიალოსანს მარცელავდა ფიქრებში წასული, რომ უცებ ცეცხლის ალი აენთო სოფელში.

— დუტუს სახლი იწვის! — მაშინვე მიაკივლა მაიამ. — ვერა, ვერა! — დაუძახა მოახლე ქალს.

გულგახეთქილი შემოვარდა მოახლე ქალი.

— რა ამბავია, ქალბატონო?

— ვერა, ხედავ, როგორ გამაბრიყვა იმ უსინდისო ოფიცერმა!

— უიმე, უიმე, ეს რა საცოდაობაა! — შემოიკრა ლოყაზე ხელი ვერამ. — ქრისტიანი იყო, თუ ურჯულო ის ოფიცერი. რავა გპირდებოდა: სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდესო... სიცოცხლე გაუმწარდეს, ღმერთმა შინ ცოცხალი ნუ მიიყვანოს!..

სოფლიდან წივილ-კივილი და შეძახილი ისმოდა. ეტყობოდა ცეცხლს აქრობდნენ, მაგრამ იგი თანდათან ძლიერდებოდა. მერე ერთბაშად მოწყდა ალს წელი. სახურავი ჩაიქცა ალბათ.

მაია ქანდაკებასავით უძრავად იჯდა.

„ოფიცერმა გატეხა სიტყვა, — ფიქრობდა ის და არ სჯეროდა, — შევარცხვინე მე ასეთი ოფიცერი. მოდი, ვეტყვი უჩას და დუელში გამოვაწვევინებ... მაგრამ, როგორ იკადრებს ჩემი შვილი მაგისთანა ძაღლისთვის ხელის გასვრას...“

არ იცოდა მაიამ, რომ სწორედ უჩამ დააწვევინა იმ ოფიცერს დუტუს სახლი. მაიას სახლიდან დაბრუნებულ ოფიცერს გზაში ხორშიდან მომავალი უჩა შემოხვდა. ოფიცერმა უთხრა, რომ მაიასთან იყო, რომ მაიამ თხოვა, არ დაეწვა ჯგერენაიას სახლი, რომ მან ეს თხოვნა მიიღო, როგორც ბრძანება და უარი თქვა სახლის დაწვაზე.

— რა ნება გაქვთ უარი თქვათ, — წარბი შეიკრა უჩამ და უბრად შეხედა ოფიცერს. — ნუ დაგავიწყდებათ ჯარისკაცი სართ და ნაბრძანები გაქვთ გადაწვათ ბოლშევიკების სახლები, თქვენ კი იჩენთ სულგრძელობას, მოხუცი ქალის კაპრიზს აყოლილი, უარს ამბობთ თქვენი მოვალეობის შესრულებაზე. ამას არ გაპატიებენ. პირველი მე არ გაპატიებთ.

გაოცებული უსმენდა ოფიცერი.

— ჰო, მაგრამ, ის ბოლშევიკი თქვენ გენათესავებათ თურმე.

— ჩვენ გვენათესავება დუტუ ჯგერენაია, როგორც ადამიანი, მე არ ვცნობ ნათესავად დუტუ ჯგერენაია-ბოლშევიკს.

— გასაგებია...

— დედაჩემს თქვენთვის არაფერი უთხოვია.

— გასაგებია.

— მე თქვენ არ შემხვედრიხართ.

— გასაგებია.

— გისურვებთ წარმატებას.

— გმადლობთ.

მაიამ რომ მიაკივლა, უჩას გაელვიძა. ცეცხლის დანახვაზე ერთი წამით ეტკინა გული, მაგრამ უმალვე გადაუარა. „დუტუ და მისი შვილი თავისი საქმით ახლა მოყვარე კი არა, მტერია ჩემი და ჩემი ოჯახის. მტერი არ უნდა შეგებრალოს". გაიფიქრა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და მალე ჩაეძინა.

დუტუ ჯგერენაიას ოჯახზე უჩა სხვა მხრივაც იყო გაბოროტებული. ხორშში გრიშას მეუღლემ ცუდი ამბავი დაახვედრა. კაკო ჯგერენაიას ქეთინო გაუტაცნია თბილისშიო. ქეთინოს დედა ციცუ ლოყებდაკაწრული დახვდა უჩას და მის

ცოლს. ეს რას მოვესწარი, გლეხუჭას შვილმა ქალიშვილი მომტაცა. სანამდე დავეცით, ჭირიან გლეხებზე ფასიანებიან ჩვენი შვილებიო.

მეორე დღეს უჩამ ეს ამბავი დედას უთხრა, მაიას ძალიან ეწყინა, ამ ამბავმა დუტუს სახლი და ის ოფიცერი უცებ დააეიწყა.

— დააფარე ახლა ხელი ჯგერენაიებს, — უთხრა მორიდებით, მაგრამ მაინც საყვედურით უჩამ მაიას, — სომ ხედავ, როგორ დაგიფასეს შენი ღვაწლი და კეთილი გული. თავი მოგვჭრეს. ხვალ კიდევ უარესს უნდა ველოდოთ მაგათგან. ტილს რომ ფეხზე დაისვამ, თავზე აგიღოღდება.

მაია და უჩა ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ეზოში რამდენიმე თმაგაწეწილი ქალი და მოხუცი გლეხი შემოვიდა. ისინი აჩქარებით წამოვიდნენ სახლისკენ. მაიამ და უჩამ ისინი ფანჯრიდან დაინახეს და აივანზე გამოვიდნენ.

უჩა და მაია მაშინვე მიხვდნენ, რისთვის მოდიოდნენ ისინი. უჩამ წარბი შეიკრა.

— არაფერი არ უთხრა, უჩა, — სთხოვა დედამ, — დაეხმარე, რითაც შეგიძლია.

მოსულებს წინ დუტუს მეუღლე — ირინე მოუძღოდა.

— დაგვწვეს, ბატონო, აგვაწიოკეს. — უთხრა ირინემ, სახე დაკაწრული ჰქონდა, თვალები ნამტირალევი.

— ჯერ თურქი გვწვავდა, მერე გენერლის პლასტუნები, ახლა ჩვენები გვწვავენ და გვაწიოკებენ, — ჩამოართვა სიტყვა ირინეს ლუკა კიტიას ბაბუამ, ღრმად მოხუცმა გლეხმა, — გვიშველე, უჩა ბატონო, რამე. — შესთხოვა უჩას, — გადაგვარჩინე, შვილო, მიწასთან გასწორებას, გვიხსენი, დაგვიფარე.

— ყოველგვარ ღონეს ვიხმარ... ვეცდები, ბაბუა პაველ. — ეუბნებოდა ამ სიტყვებს და სინდისი ქეჯნიდა.

— შენ თუ მოინდომე, შვილო, ყველაფერს შეძლებ. რა გული გითმენს, შორიდან რომ უყურებ ჩვენს საცოდაობას. ხუთი სახლი დაწვეს წუხელ, დღეს რა მოგველის, აღარ ვიცით!

— ნამეტანს შეეპიარ, ბაბუა პაველ, — დაიწყო უკმაყოფილო ხმით უჩამ, — ჯერ მეფე არ უნდოდათ და იმას ებრძოდნენ

თქვენი შვილები. ახლა მენშევიკები არ გვინდაო. რას ვერჩით? ხომ ხედავთ, მენშევიკებმა თავადები და გლეხები ერთ რიგზე დაგვაყენა, გაგვათანასწორა. რაღა უნდა ამაზე მეტი ამ ბოლშევიკებს? კარგით, წავალ, ვთხოვ, აკმარონ, რაც სასჯელი მიაყენეს სოფელს. ვთხოვ დღესვე დატოვონ სოფელი.

უჩამ იცოდა, რომ ამ საღამოს გვარდიელები სოფლიდან გასვლას აპირებდნენ. მას უხაროდა, რომ თავისი პირობით ორ კურდღელს იჭერდა. ცალკერძ დედას გაახარებდა, რომ დაეხმარა სოფელს, გამოადგა ხალხს მისი შვილი, ცალკერძ ხალხის და ბოლშევიკების სიყვარულს მოიპოვებდა.

— უთხარი ეტლი მომიმზადონ, ვერა! — მიმართა იქვე აივანზე მაიას უკან მდგარ მოახლეს.

მაია გაბრწყინებული სახით გადასცქეროდა თავის მეზობლებს.

— ნუ გეშინიათ, ღმერთი მოწყალეა, — ეუბნებოდა იგი მათ და ცრემლს ძლივს იკავებდა. — შენ, ირინა, ჩემთან გადმოდი, არ იდარდო, კაკო დიდი კაცი გახდაო, ჩამოვა და თბილისში წაგიყვანს. ყველას დაგეხმარებათ, ყველას ეშველება...

მაიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ერთხელ მაინც გამოადგა ჩემი შვილი თავის კუთხესო, ფიქრობდა და ის კი არ იცოდა, რა ხმა დადიოდა სოფელში უჩაზე.

ზუგდიდის მაზრაში გვარდიელთა დამსჯელი ექსპედიციის შემოსვლას უჩა დადიანს აბრალებდნენ, მან გამოითხოვა თბილისიდან გვარდია, ახლა კი სოფელს თაეს ისე აჩვენებს, თითქოს დიდი გულშემატკივარია ხალხისო.

გლეხობა ეჭვის თვალით უყურებდა უჩას, მაგრამ არც უჩა გრძნობდა თავს კარგად. თანდათან რწმუნდებოდა თავის კლასის უბადრუკობასა და დაქვეითებაში. უჩა ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას დარწმუნდა, რომ ძველმა, დრომოჭმულმა კლასმა ადგილი უნდა დაუთმოს ახალ, მზარდ, მოწინავე იდეებით შეიარაღებულ, ხალხის ინტერესების დამცველ კლასს, მაგრამ თავის კლასობრივ ინსტინქტს ვერ ღალატობდა, სადღაც გულის სიღრმეში იმედი უღვივოდა: შეიძლება ბოლშევიკები დამარცხდნენო.

მაიას ახლა იშვიათად თუ მიაკითხავდა ვინმე. არავის ეცა-

ლა მისთვის, მხოლოდ გიგიშა და მისი ცოლი არ ივიწყებდ-ნენ. მოსამსახურენიც ცოტაღა დარჩა, აღარც ძიძიშვილების შვილები, აღარც ნათლულები არ ნახულობდნენ.

ᲬᲘᲜᲐᲓᲦᲘᲗ

რევოლუციური კომიტეტები, ანუ, როგორც შემოკლებით ამბობდნენ, „რევკომები", სამეგრელოს თითქმის ყველა სოფელში იყო ჩამოყალიბებული. აჯანყებულ გლეხებს უშუალოდ რევკომები ხელმძღვანელობდნენ. ბოლშევიკები განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ, სიფხიზლითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ პარტიაში უცხო, არასაიმედო ელემენტების შემოპარვას.

ხალხი საჭიროებდა და მოითხოვდა იარაღს, რომელიც ხშირ შემთხვევაში არასაიმედო ადამიანებს უვარდებოდა ხელში. ეს ხალხი იარაღს პირადი სარგებლობისათვის იყენებდა. თავის თავს კი ბოლშევიკებს უწოდებდა. ამის გამო რევკომის კრებებზე დიდი შეხლა-შემოხლა ხდებოდა.

— ვინ მისცა, ამხანაგებო, იარაღი ელეფთერ ქარცხიას? — იკითხა ერთ-ერთ კრებაზე რევკომის თავმჯდომარემ დუტუ ჯგერენაიამ.

ყველანი დუმდნენ.

— თქვით! შეცდომას გამოსწორება უნდა! — ხმას აუწია დუტუმ.

— მე მივეცი. — წამოიძახა მიშა დადიანმა უკანა რიგიდან.— მჯერა, რომ ის ამ იარაღს სასარგებლო საქმეს მოახმარს.

— პირადად მე, — დაიწყო კვლავ დუტუმ, — ელეფთერის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ასეა ეს თუ ისე, სახელგატეხილი კაცია და გაგეგონებათ ალბათ: სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობიაო. ელეფთერი ჩვენ არ გვიღალატებს, ვთქვათ, მაგრამ ხალხი როგორ შეაფასებს ჩვენს რიგებში ასეთი კაცის ყოფნას, რომელსაც ბევრი გაუძარცვავს, ბევრი მოუკლავს პირადი ანგარიშებისათვის. ჩვენი პარტია უნდა იყოს წყაროსავით სუფთა, ანკარა. საჭიროა იარაღი ჩამოერთვას

ყველას, ვისაც წარსულში რაიმე ჩირქი სცხებია. ამავე დროს უნდა ვეცადოთ ისინი ჩვენი გავლენის ქვეშ ვიყოლიოთ.

— მე თქვენ გარწმუნებთ, იარაღის დატრიალების დროს ელეფთერი ბარე ორს აჯობებს, — ჩაურთო სიტყვა ერთმა ძველმა პარტიზანმა.

— არ გედავები, ამხანაგო, ელეფთერს მეც ვენდობი, მაგრამ როგორც გითხარით, აქ მთავარია ჩვენს პარტიას ჩირქი არ მოვცხოთ. ჩვენ ისედაც დაძაბული მდგომარეობა გვაქვს. მენშევიკების მთავრობამ მობილიზაცია გამოაცხადა. ვისთან აპირებს ბრძოლას მთავრობა? თითქოს მას მტერი ესხმოდეს თავს. აჯანყებულ ხალხთან მთავრობის ჯარებით ბრძოლა ხომ ნამდვილი სამოქალაქო ომი იქნება. მენშევიკებს სურთ აქაც ისე გაუსწორდნენ მუშებსა და გლეხებს, როგორც რუსეთში თეთრგვარდიელები უსწორდებოდნენ მათ. მაგრამ არ ვიცი, რა ძალით, ვისი იმედით ბედავენ მობილიზაციის გამოცხადებას. განა ჯარში ხალხის შვილები არ არიან, არ იციან რა დღე ადგია ხალხს უთავო მთავრობისაგან?

— რაც მეტს გაიწვევენ, ისა ჯობია. ხალხი შეიარაღდება, მთავრობა თავისივე მოცემული იარაღით დამარცხდება. მაშინ უფრო გაბედულად და ფართოდ გაუღებენ მამისონისა და დარიალის კარს ჩვენს რუს ძმებს, — ამბობდა ერთი ბოლშევიკთაგანი.

ახალგაზრდა ვაჟი, რომელსაც თოფი მხარზე ეკიდა, წამოდგა და კრებას ასე განუცხადა:

— ამხანაგებო, დღეს ჩამოვედი თბილისიდან, ამ დღეებში ჩამოვა აქ კაკო ჯგერენაია. მისი ხელმძღვანელობით იმუშავებს ზუგდიდის რაიონი. ცხადია, მთავრობის ჯარი გაიხრწნა. ისინი ახლა ბატინკებისა და ბუშლატების ქურდობის მეტს არაფერს აკეთებენ. მთავრობის იმედს მხოლოდ გვარდია შეადგენს. მერე რას გაუძლებს გვარდია აზღვავებულ ხალხს? ჩვენი საქმე უკვე მოგებულია.

მენშევიკების მთავრობის მომხრენი კი მრავალ ჭორს ავრცელებდნენ ბოლშევიკებზე. ცდილობდნენ ხალხის დაფრთხობას მათი სიმკაცრით. თვით ერობის თავმჯდომარეებიც არ იყვნენ იმედიან განწყობილებაზე. ყოველ ქალაქში, ყოველ და-

ბაში, მთავრობის წარმომადგენელთა ბინებში შეკრული ნოხები და სავსე ყუთები ელაგა. რა წუთშიც ბრძანებას მიიღებდნენ თბილისიდან, იმ წუთსავე ბათუმისკენ უნდა გამგზავრებულიყვნენ.

უჩა ხიბულაში აღარ ცხოვრობდა. ხან თბილისში იყო, ხან ქუთაისში, სენაკში, ზუგდიდში, სად არ ნახავდა მას კაცი იმ ხანებში. ცოლი და გერები ხიბულაში ჰყავდა, თვითონ ეძიებოდა იქ ჩასვლა.

მაია უგუნებოდ იყო შვილის სიშორით, არასასიამოვნო რძლისა და მისი შვილების სიახლოვით.

რღვევის დასასრული

მაიამ 102 წლამდე მიაღწია, მეხსიერება ისევ საღი ჰქონდა.

რეაქციის მწვავე სუსხი და ალიხანოვ-ავარსკის მიერ ხალხის აწიოკება მთელი თავისი გრძნობებით განიცადა.

უჩას დაჭერამ, მისმა პასუხისგებაში მიცემამ, გრიშას სიკვდილმა — ყველაფერმა ამან ქარბუქივით გადაიარა მის თავზე. გრიშას სიკვდილით გაცეცხლებულმა მოხუცმა მაგიდაზე დადგმული თეჯირი, რომელიც მიცვალებულთა და ცოცხალთა მიჯნად მიაჩნდა, კედელს მიანარცხა და გაუწყრა:

— გეყოფა, ამდენი კაცი მოილიე, შენ კი ისევ ისე გამოიყურები, როგორც ამ ნახევარი საუკუნის წინათ, როცა პირველად დაგდგი ამ მაგიდაზე, — თქვა და თავის ნათესავთა სურათებს გადახედა.

— ყველანი წასულან და მე ასე მარტო დავრჩენილვარ ამქვეყნად. მხოლოდ უჩა დამრჩენია ცოცხალი! — დასძინა ნაღვლიანად და უჩას სურათი პაწია მაგიდაზე დადგა, სადაც მხოლოდ ვერცხლის ზარი ედგა.

— უჩა, უჩა, საყვარელო, ვერც შენ გაამართლე ჩემი იმედები. სად მყავხარ? როგორ აგერია ცხოვრების გზა-კვალი?

ამ მწარე ფიქრებით ათენებდა და აღამებდა მაია.

თებერვლის სუსხიანი ღამე იყო. სწორედ ასეთ ღამეზე იტყვიან: კაცი თვალში თითს ვერ მიიტანდაო.

მაიას სასახლეს ქარი აწყდებოდა, ვეებერთელა სახურავს გადაგდებას უპირებდა. ლაწანი გაჰქონდა სახურავიდან ავარდნილ ყავარს. ბარაქიანად, წყვილ ფანტელებად ცვიოდა თოვლი. ტყიდან ისმოდა ტურების კივილი, რომელსაც ქარის უსიამო სისინი ერთვოდა.

მაია ძველებურ ბუხარს მიჯდომოდა და კაუჭა ჯოხით ნაკვერცხლებს ადგილს უნაცვლებდა, ხანდახან იქვე მჯდარ ვერას გამოეხმაურებოდა:

— ერისთავის ქალი დაწვა, ვერა?

— კი ბატონო, ორი დღეა, რაც თქვენი რძალი უგუნებოდ ბრძანდება. ძალიან ცუდი ამბები მოდისო, ბატონო! მენშევიკების მთავრობა მალე თბილისს დატოვებსო, ბოლშევიკები იმარჯვებენ თურმე. თქვენს რძალს ეშინია, რომ ბატონ უჩას რაიმე ხიფათი არ დაატყდეს.

— შენ ეს მითხარი, ხალხი მოელის თუ არა ბოლშევიკების გამარჯვებას?

— ბატონო, სოფელში მოხუცებისა და ბავშვების მეტი არავინ არის. ისინიც ასე ამბობენ: აუცილებლად ბოლშევიკები გაიმარჯვებენო. თქვენს რძალს იმის შიშიც კი აქვს: შეიძლება უჩა გაწვეულიც კია მენშევიკების ჯარშიო.

— ვაი ჩემს დღეს! ვერ მოისვენა ჩემმა უჩამ მაგის ხელში. ეს ქალი და მისი უთავბოლო შვილები რომ არ ბორკავდეს, უჩა თავს უშველიდა ამხანაგებთან ერთად. რაკი ისე გაუწყრა ღმერთი მამაჩემის შთამომავალს, რომ ნიკოლოზ მეფის მხლებელი გახდა, ბარემ სხვებთან ერთად მასაც შეეფარებინა სადმე თავი.

— აღარც იმათ ადგიათ კარგი დღე, ბატონო, ხელმწიფე მთელი ამალით დახვრეტილია თურმე.

მოხუც ქალს არ იამა მოახლის მიერ ამის თქმა. მას ერჩია უჩას ყოველგვარი უბედურება რძლისთვის დაებრალებინა. მაია ადგა და ლოგინისკენ წავიდა. ვიდრე ვერა ლოგინს გაასწორებდა და მოხუცს ტანისამოსის გახდაში მოეხმარებოდა,

ძლიერმა ელვამ გაანათა იქაურობა. მას ისეთი ჭექა-ქუხილი მოჰყვა, რომ სახლი შეინძრა.

. — სადღაც ახლოს დაეცა მეხი. — თქვა დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ვერამ.

— ვაი მისი ცოდვა, ვინც ახლა გარეთაა, — ჩაილაპარაკა მაიამ და პირჯვარი გადაიწერა.

ათ წუთსაც არ გაუვლია, რომ ყურშამ გამეტებით შეუტია ვიღაცას, რომელიც ძაღლს მოეფერა და მერე სახელიც დაუძახა.

მაიამ უჩას ხმა შეიცნო.

— ვერა, მგონია უჩა მოვიდა! — მოხუცის გული ისეთმა სიხარულმა მოიცვა, ისეთი ბედნიერება იგრძნო, თითქოს მის გულს არასოდეს დარდი არ გაჰკარებოდა.

დადუმებული სასახლე სულ რამდენიმე წუთში ასმაურდა. უჩას ცოლი და შვილებიც წამოდგნენ. ყველა ბარგის ჩალაგებას შეუდგა. თავს უყრიდნენ ყველაფერს, რაც კი გაინდათ. ბაბილინასაც ეტყობოდა აღელვება, თუმცა არაფერს ამბობდა. საერთოდ სიტყვაძვირი ქალი იყო. ახლაც გაჩუმებული ალაგებდა ყუთებში ნივთებს, ქსოვილებს და თან ფიქრობდა: „არ ყოფილა ჩემი საშველი, არ გათავდა ჩემი ტანჯვა. სრული თერთმეტი წელიწადია, რაც ასე გზააბნეული დაევსეტებით მე და უჩა ერთი ადგილიდან მეორეზე...“

ვინ იცის, იქნებ სინანულის გრძნობასაც დაეჩრდილა ახლა ის აკრძალული სიყვარული, ოცი წლის წინათ რომ თავდავიწყებით განიცადა. ახლა განვლილ წლებსა და საკუთარ ხანდაზმულობას გაენელებინა სიყვარულის ცეცხლი ამ ლამაზი ქალის გულში. მას ამ თოვლქარიან ღამეს სახლიდან გასვლა და ისევ უგზო-უკვლოდ ხეტიალის მოლოდინი აწუხებდა, გულს შიში უვსებდა, განვლილ საშინელებას ავიწყებდა.

უჩა დედის წინ იჯდა, უხსნიდა: მენშევიკურმა მთავრობამ თბილისი დატოვა და ბათუმში გადავიდა იმ ვარაუდით, რომ ვინძლო ბოლშევიკებთან ბრძოლაში დამარცხდა, საზღვარგარეთ წავიდეს.

— მეც იძულებული ვარ, ცოლ-შვილით ბათუმში წავიდე. თუ გაჭირდა, საზღვარგარეთ გავყვებით საქართველოს მთავ-

რობას. გრიშას შეილებიც მიმყავს. შენც აუცილებლად უნდა წამოხვიდე ჩვენთან ერთად. აქ ვისი იმედით უნდა დაგტოვო, დედა.

— მეც უნდა წამოვიდე? რამ გაფიქრებინა ეს, უჩა?! მე, ასი წლის ქალი ტვირთად აგეკიდოთ, რატომ და რისთვის? ჩემი ხიბულა მივატოვო, სადღაც ჩავკვდე, სხვის მიწას მივებარო. არა, შენი ჭირიმე, გითქვამს და მეტი არ გაიმეორო! მე ისიც მიკვირს, რომ შენი ძმისწულები მიგყავს.

— დედა, არ შეიძლება მათი დატოვება. სამეგრელოს მთავრის შვილიშვილები არიან. ბოლშევიკებს არ უყვართ მთავრების მოდგმა. მე რუსეთში ძლივს დავიხსენი თავი მაგათი ხელიდან, ახლა არ შემიძლია აქ არათუ ადამიანის დატოვება, ერთი მანეთის საღირალიც არ მინდა დავტოვო სახლში. ყველაფერს წაიღებენ, გაგძარცვავენ. შენ თვითონ გაწამებენ, დედა! არ იცი, რა შეუბრალებელი არიან ისინი. დილით ხობში უნდა ვიქნეთ, რომ საღამოს ბათუმში მიმავალ მატარებელს სენაკში მივუსწროთ.

— რას იზამ, თუ ასეა, უნდა წახვიდე. ვაი ჩემს დღეს, არ მეღირსა შენის ხელით თვალების დახუჭვა!.. არაფერია, შენ იყავი კარგად.

— ახლა, დედა ბატონო, უბრძანეთ: თუ სადმე რამე ნივთებია, თავი მოვუყაროთ, თოვლ-წვიმაც გადაიღო, ნაქირავები ცხენები მიგვყავს ბარგის წასაღებად.

გამოიტანეს საგვარეულო განძეულობით სავსე ყუთები, აბგა-ხურჯინები, სპარსული ნოხ-ხალიჩები...

უჩამ და ვერამ გახსნეს დიდი ყუთები. იქიდან პატარა კოლოფები ამოიღეს თვალ-მარგალიტით, ოქროთი და ლალით სავსე, დიდი ყუთებიდან კი — ყელმადალი ვერცხლის სურები, თასები ოქროთი მოსევადებული, დანა-ჩანგალი, ჭინჭილები და მრავალი პატარა ძვირფასი ნივთი: საყურეები, ბეჭდები, საათები, სამაჯურები, ძეწკვები და ვინ მოთვლის რამდენი რა...

ახლა თეთრეულის სკივრები გახსნეს. რაც უხმარი ტილო, ბატისტი, დიბა-ფარჩა და აბრეშუმი იყო, ამოიღეს. წასაღებ ნივთებს შეუერთეს.

მაია თვალს ადევნებდა, როგორ გადიოდა მის ოჯახიდან

სიმდიდრე, რომელიც მას შეუძენია თავისი განვლილი ოთხ-მოცი წლის ცხოვრების გზაზე. პატივმოყვარე მაიას ბევრჯერ უსიამოვნებაც მოსვლია ქმართან, რომ მამა-პაპათა განძეული პატივით შეენახათ და შეენარჩუნებინათ.

თვალწინ წარმოუდგა ბრილიანტის გულქანდა, ბაჯაღლო ოქროს გრძელჯაჭვიანი საათი რომ ჩამოჰკიდა სამეგრელოს მთავარმა დავითმა მოღერებულ ყელზე. საათს ეკიდა შესანიშ-ნავი ნახელავი ოქროს გული, რომელშიც კონსტანტინეს სუ-რათი ჩაესვა მის უფროს ქმას. მოაგონდა დავითისაევე ნაჩუ-ქარი ბეჭედი, ქმარზე გულმოსულობისას სხვა ნივთებში რომ გაურია. და ეს ყველაფერი ახლა უჩას უცხოეთში მიჰქონდა, ვინ იცის, რომელ გადამთიელს ჩაევარდებოდა ხელში...

მაიას გულში ბოღმა ტრიალებდა.

— ვერ გავატან! — გადაწყვიტა, შემდეგ წარბებშეკრული მიუბრუნდა უჩას:

— სად წაიღებ ამ ნივთებს, უჩა?

— ჯერ ბათუმში, თუ ბოლშევიკები ამ დროებით ვერ და-ვამარცხეთ, მეც საზღვარგარეთ წავალ, ნივთებსაც დროებით იქ წავიღებ.

— საზღვარგარეთ ვერ გაგატან, შვილო! იქ რა უნდა ჩვენს საგვარეულო ქონებას. შეაჩერე, ვერა, ძვირფასეულთა ყუ-თების გახსნა, გახსენით მხოლოდ ის ყუთები, სადაც ქსოვი-ლებია, ზოგიერთი ნოხიც გააყოლეთ, ხოლო ძვირფას ნივთებს ხელი არ ახლოთ!

გაკვირვებული უჩა მაიასკენ მიბრუნდა, გააოცა დედის თვა-ლების ძალამ, სახის გამომეტყველებამ და ისევ ალერსით მო-ინდომა დედის დაყოლება, მის ლოგინს მიუახლოვდა და მორ-ჩილად დადგა.

— მომიტევე, დედა, რა გეწყინა, რატომ შეიცვალე გადა-წყვეტილება? აკი ნება მომეცი განძეულობა წამეღო?

— სად მიგაქვს? — კიდევ შეეკითხა შვილს.

— ჯერ ბათუმში, თუ უცხოეთში წასვლა მომიხდა, თან წა-ვიღებ, მალე დავბრუნდები, ყველაფერს უკლებლივ ჩამოგი-ტანი. ბოლშევიკები, მერწმუნე, ბევრი-ბევრი, ორი-სამი თვე თუ დარჩნენ საქართველოში და რუსეთშიც.

— ჰმ, — ამოიხვნეშა მაიამ, — შენ, შვილო, მე მანუგეშებ, თუ მართლა ასე ფიქრობ? მე შენ გარწმუნებ, ესენი არასოდეს არსად არ წავლენ, გვსურს თუ არა, ეს ასე იქნება, განმტკიცდებიან. რუსეთი დიდია და ძლიერი. მოიგონე, რა უყვეს ნაპოლეონს. შენ ნასწავლი კაცი ხარ და მე გასწავლო? ჩემი უკანასკნელი სურვილი მაინც ამისრულე: წაიღე მხოლოდ ის, რაც გაჭირვების დროს გასაყიდად გამოგადგება.

— თუ ჩემს გაჭირვებას მოელი და მასზე ზრუნავ, ოქრო და ვერცხლი უფრო არ გამომადგება, თვალ-მარგალიტი უფრო არ გაიყიდება? — შეკითხა უჩა.

— შენ ნუ დაგავიწყდება, უჩა, — მკაცრად უთხრა მაიამ შვილს, — ნივთები და განძეულობა საგვარეულო ქონებაა, ის უცხოეთში არ უნდა წავიდეს, საქართველოშივე უნდა დარჩეს! მომიტანე ვერა, ჩემი რძლის — ეკატერინე დედოფლის მონალოცი ნივთები!

ვერამ ხავერდგადაკრული ძვირფასი ყუთი გახსნა.

მაიამ შვილს ბრილიანტის გულქანდა აჩვენა.

— უჩა, შეხედე! ეს გარსევან ჭავჭავაძის დიდი ოჯახიდან მომივიდა.

უჩამ შეხედა გულქანდას. „მართლა დიდ ფასად გაიყიდებაო", — გაიფიქრა და დედას კი ასე უთხრა:

— თქვენი ნებაა, ბატონო! თუ გენანებათ, არც იმას წავიღებ, რასაც მთავაზობთ, მაგრამ გახსოვდეთ: ყველაფერს ბოლშევიკები წაიღებენ.

— სად წაიღებენ, შვილო, ბოლშევიკები? ისინი ხომ არ მიდიან უცხოეთში? ისინი ხომ აქ რჩებიან, ნივთებიც აქ დარჩება საქართველოში.

— კარგი, დედა, როგორც გინდა. დარჩეს ბოლშევიკებს დადიანების განძეულობა. შენ ფიქრობ შენს ხალხს შეუნახავენ ამ ნივთებს? ღმერთმა ქნას... ისევ გიმეორებ ჩემს თხოვნას: — თუ ჩემი ძვირფასი დედა ხარ, წამომყევი ბათუმში. ამაღამ არ შეგაწუხებ, ხვალ ეტლს გამოგიგზავნი, გიგიშა ისე მოაწყობს წამოსვლას, რომ სრულებით არ დაიღლები.

— ხომ გითხარი, მაგ საგანზე არც ერთი სიტყვა-მეთქი. მე არსად არ წავალ!

— აბა ჩემი თხოვნა ეს იქნება: არაფერზე იჯავრო, მეც მალე დაგიბრუნდები. რაც მიბოძე, უკლებლივ ჩამოგიტან. ეს სულ მალე იქნება, დედა, როგორც კი ბოლშევიკები წავლენ.

— ბოლშევიკები არ წავლენ, შვილო, და ველარც შენ გნახავ, — ამოიკვნესა დედამ. მას დაღლილობითა და ღელვით ხმა უსუსტდებოდა, ცუდი ფერი ედებოდა.

უჩამ დრო იშოვა, ვერას გადაუჩურჩულა:

— დედის სიტყვებს შენ ყურს ნუ უგდებ. ის აღელვებულია. შენ სწორედ ის ძვირფასი ნივთები ამოიღე დიდი ყუთიდან, ზეწარში გახვიე და მეშის აბგაში ჩამიდევი.

ვერა შეყოყმანდა.

— არ გებრალები, ბატონიშვილო? რა პირით შევხედო მერე ქალბატონს?! ცოდვა არა ვარ?

— ნურაფრის გეშინია, მე ნივთებს არ დავკარგავ, სულ მოკლე ხანში უკან ჩამოვიტან. დედას სულ ნუ გააგებინებ, რომ ძვირფასი ნივთები მიმაქვს. სანამ ის შეიტყობს, მეც აქ ვიქნები და ნივთებიც.

დიდი ყოყმანის შემდეგ ვერამ უჩას სურვილი შეასრულა: მაიას ძვირფასი ნივთებით აბგის ორივე პირი გაავსეს.

უჩა ხშირად მიდიოდა დედის ლოგინთან, ტკბილად ეჩურჩულებოდა, ხან მკერდზე კოცნიდა, ხან ხელზე, მაიაც ალერსით უპასუხებდა.

უჩას და მის მხლებლებს ეჩქარებოდათ წასვლა. ყველაფერი მოგვარებული იყო წასასვლელად. უჩას მხოლოდ დედის მოშორება, მასთან გამომშვიდობება ეძნელებოდა, გამოთხოვებას აგვიანებდა.

მაია უჩას ცოლ-შვილს უგულოდ გამოეთხოვა, ხოლო უჩა დიდხანს ჰყავდა გულში ჩაკრული.

— მალე განახავ, დედა, გენაცვალე, ჩემო ძვირფასო, საყვარელო! — ისევ ჩაეხვია შვილი დედას.

მაიას დაუძლურებულმა გულმა საოცარი სიბრალული იგრძნო დასაკარგავად გამზადებული შვილისადმი და იგი რომ გაემხნევებინა, ძალა მოიკრიბა:

— გამაგრდი და ივარგე. მე არა მიჭირს რა, ბევრი კარგი და ბევრი ცუდიც გადამხდენია თავს. ბევრი ამაღლება და დამცირება გამომივლია. იგივე დაგემართა შენ, და ყოველ არსებას ბუნებისას შეხვდება ეს. ხომ დაკვირვებული ხარ, როგორ ცვივა ხეს ფოთოლი შემოდგომაზე? გაზაფხულზე კი კვლავ შეიმოსება ქვეყანა. ახლა თებერვალია, გაზაფხულის წინამორბედი. მიყვარს თებერვალი, რადგან ის ზამთრისა და გაზაფხულის ბრძოლაა. მე თებერვალში ვარ დაბადებული, შენ თებერვალში გშორდები ალბათ, თებერვალში მოვკვდები. ასემც მოხდეს, ნეტავ! — თქვა და უკვე ხმამ უღალატა.

— დედა, გენაცვალე, დაწყნარდი!

— ჰო, რა მინდოდა მეთქვა და სხვაზე გადავედი. არაფერმა არ გაგაკვირვოს, არც სიხარულმა, არც მწუხარებამ...

— კარგი, დედა, დამშვიდდი, გზა დამილოცე.

მაიამ პირჯვარი გადასწერა. მისი ოდესღაც ლამაზი, ახლა კი სიბერით გამომშრალი თვალები ცრემლით აევსო, წაღმ შემოტრიალდა შვილი. მერე გამგმირავი თვალებით მიაჩერდა.

— გრიშას შვილები და მათი ცოლ-შვილი არ წაიყვანო უცხო ქვეყანაში, დაიბნევიან, ვერ შეეგუებიან იქაურ ცხოვრებას. ახალგაზრდები არიან, საკუთარ მიწას მოგლეჯილი ვერსად მოიდგამენ ფეხს! საკუთარ ნიადაგს მოშორებული მცენარეც ვერ ხარობს. თხოვე მათ ჩემს მაგივრად, ხშირად მინახულონ, თუ წავიდნენ, ისინიც შენებრ დამილოცნია!..

როდესაც უჩა და მისი ცოლ-შვილი დატვირთული ცხენებით ეზოდან გადიოდნენ, მაია ბურანში იყო, თითქოს არ ესმოდა ეზოში ატეხილი ხმაური, ხალხის ლაპარაკი, ცხენების თქარუნი. გიგიშა და ვერა მთელი ღამე თავს დასტრიალებდნენ ძილგატეხილ და მშფოთვარე მოხუცს... გათენებისას ჩაეძინა მხოლოდ მაიას.

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა მაიამ თავისებური ომახიანი ხმით დაუძახა ვერას, თან ვერცხლის ზარი ააწკარუნა.

— გეგონა წუხელის მოვკვდებოდი, მაგრამ, ხომ ხედავ,

გაღვიძება მოგასწარი. ადგომა და ჩაცმა მინდა, ლოგინი მეჯავრება.

მაიამ ჩაიცვა, ისაუზმა, შემდეგ გიგიშა მოიკითხა, სად არისო.

— გიგიშა, ბატონო, ოჯახის თადარიგს შეუდგა. ამ წუთში წისქვილში წავიდა. მალე გეახლებათ.

— კარგი, კარგი, წადი, ისაუზმე. მე კარგად ვარ, მაია ბატონიშვილს სიკვდილი არ უწერია.

მარტო დარჩენილი მაია ჯერ უჩას სურათს დაწვდა, ეალერსა, შემდეგ ოთახში გაიარ-გამოიარა, კუთხეში უწესრიგოდ დაყრილი ხავერდგადაკრული ყუთები შენიშნა, ჩანდა, ვერას მათი გატანა ვერ მოესწრო.

— ეს კიდევ რა ამბავია? — გაიფიქრა მაიამ და ხმადაბლა დაუძახა ვერას.

ვერა იმ წუთში შემოვარდა და დამნაშავესავით დადგა კედელთან.

— ვერა, სად არის ჩემი განძეული! სად არის ოქროს ზედაპირიანი ძვირფასი ყუთები. — ჰკითხა და თვითონ დაიხარა, რამდენიმე ცარიელი ყუთი აიღო. ამ ყუთებში ძვირფასი სამკაულები ეწყო. — ნუთუ არაფერი არ ეყო ჩემს უბედურ შვილს? ვერა, არ მეტყვი, მართლა წაიღო უჩამ ის განძეული თუ სადმე შეინახე?

— წაიღო, ბატონო! პატიოსანი სიტყვა მოგცათ უკანვე დავაბრუნებო.

ამის გაგონებაზე მაიას მიცვალებულის ფერი დაედო, სავარძლისკენ ძლივს მობრუნდა, ვერამ მხარი შეაშველა.

— დამეყრდენით, ბატონო! — უთხრა და სავარძელთან მიიყვანა. მაია ისე უღონოდ დაეშვა, რომ ვერას შეეშინდა, ხელში არ შემომაკვდესო.

— რამ შეგაშინა? მოვკვდები გგონია? არ მოსულა ჯერ ჟამი ჩემი სიკვდილისა, თორემ ამ დილით არ უნდა გამლვიძებოდა. უჩა საუკუნოდ მომშორდა. ვერასოდეს ვეღარ ვიხილავ, წავიდა, ოჯახიც გაძარცვა, ვაი სირცხვილო, ვაი გაცრუებულო იმედებო! — წამოიძახა ხმის კანკალით და ადგომა მოინდომა, მაგრამ ვერ შეძლო, ჩაიკეცა და მიწისფერი დაედო.

დიდი ხნის დუმილის შემდეგ უჩას სურათი აიღო ხელში. ვერას უკვე ვერ ამჩნევდა. დიდი ხანი უცქირა შვილის სახეს.

— სირცხვილეული მიდიხარ, შვილო, სამშობლოდან გაქცევა არ ეკადრებოდა მამაჩემის შვილიშვილს. ვაი ჩემს სიცოცხლეს, რომ ველარ გნახავ. — მიამ გულში ჩაიკრა სურათი. — სიცოცხლის უკანასკნელი წუთებიც მომიწამლა შენმა საქციელმა, ჩემო თავქარიანო შვილო! — თქვა და სურათი თავის ადგილას დადო, ოთახში მიმოიხედა, მის თვალს ისევ ცარიელი ყუთები მოხვდა.

— კიდევ არ მომაშორე, ვერა, ეს ცარიელი ყუთები. სად წასულა, დალოცვილის შვილი! ალბათ, ყუთებსაც წაიღებდნენ, რომ სიმძიმეს არ მორიდებოდნენ. ცარიელი იბადება ადამიანი და ცარიელი კვდება. მიწა ვარ, მიწად ვიქცევი, განვიძარცვე ახალგაზრდობიდან, პატივისაგან, სიყვარულის, სიხარულისა და სიმდიდრისაგან. რაღა დამრჩა მე ამქვეყნად, ამაოება ამაოებასა ზედა. უფალო, მომიტევე შეცოდებანი ჩემი! — თქვა და მარჯვენა ხელი რომ აიღო პირჯვარის გადასაწერად, ჩამომხმარ არათითზე ძეწკვით მიმაგრებული ოქროს ბეჭედი შეიგრძნო.

მაიამ წაიძრო ბეჭედი. თითქოს პირველად შეამჩნია, რომ ბეჭედი ესოდენ დალეულიყო, გათხელებული ოქრო აკვირვებდა. უყურებდა ბეჭედს, ხან ისევ ცარიელ ყუთებს გადახედავდა. ერთ წუთს თავში გაუელვა მოგონებამ... დამშვიდებულ მდგომარეობაში ის ამ მოგონებებს გაურბოდა, ახლა კი სიამოვნებით ჩაიძირა წარსულში... სიამოვნებით აღიდგინა მეხსიერებაში ის დრო, ის განცდები.

— ალბათ, გარდასულ დღეთა მოგონება, თუნდაც არცთუ ისე ბედნიერი ყოფილიყო, მაინც ეამება კაცს, თორემ რა დროს ამოვარდა ეს ფიქრი: როდესაც არ ვიცი, რა მოელის ქვეყანას, რა მოელის ჩემს უჩას, ჩემს გრიშას შვილებს! ჩემი პირადული რამდენი ხანია გათავდა. ო, რამდენი ხანია?.. ჩემი ნამდვილი სიმდიდრე მაინც შენ ყოფილხარ. — ადამიანივით გამოელაპარაკა ბეჭედს. — თანამგზავრად მხოლოდ შენ შემრჩი, სხვა ყველა და ყველაფერი წავიდა, დაიკარგა, მხოლოდ შენ

და შენი უტეხი. გულიღა შემრჩა, ერთნაირად ვილევით და ვპატარავდებით მე და შენ. ორივე გაჩანაგებული ვართ, არ ვუღალატებთ ერთმანეთს. ეჰ, ეჰ, ადამიანს მხოლოდ სპეტაკი გრძნობა რჩება გულში იმედად. შენ, ჩემო ძვირფასო, სპეტაკ გრძნობათა მოგონება ხარ! — თქვა და ბეჭედი ისევ თითზე წამოიგო და დაამაგრა. გაეღიმა, მაგრამ მის ღიმილში რაოდენი სევდა-ვარამი გამოკრთოდა. ისევ უჩას სურათი აიღო, გულში ჩაიკრა, დიდხანს დაყურებდა, შემდეგ თავი მაღლა ასწია. თვალებში უიმედობა კრთოდა. საოცარ სიმარტოვეს გრძნობდა, გული ცარიელი ეგულებოდა ისე, როგორც კუთხეში მიყრილი ყუთები, მზის სხივებით განათებული ოთახი კი — ჩაბნელებულად და უკაცურად.

„რა მოგველის ნეტავ?" — ამის გაფიქრება მოასწრო, რომ კარები გაიღო.

კარის ზღურბლზე მაღალი და ლამაზი ვაჟკაცი იდგა. მისი სახის ყოველი ნაკეთი ძალასა და მხნეობას გამოხატავდა. მისი თვალები მზის სხივებივით ელვარებდნენ. მაიას ჯერ გაუკვირდა, რომ მის ოთახში დაუკითხავად უცხო კაცი შემოვიდა, კარგად დაკვირვების შემდეგ იცნო.

— კაკო, შენა ხარ? რა ამბავი მოგვიტანე, შვილო?

— კარგი ამბავი, დედა ბატონო! საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ბოლშევიკებმა გავიმარჯვეთ. საქართველო თავისუფალია.

— გამარჯვება ნუ მოუშალოს, შვილო, ღმერთმა ჩვენს ქვეყანას, — უთხრა კაკოს და გაუღიმა. დიდხანს უყურებდა დაფიქრებული. მერე ფანჯრისკენ გაიხედა. ბუნება თოვლისგან თავისუფლდებოდა. მზე ბრწყინავდა ხის დაბერილ კვირტებზე. იღვიძებდა ყოველი სულდგმული.

თოვლზე მზის სხივების ბრჭყვიალმა დაუძლურებული თვალები აუჭრელა. მიწაზე გართხმული მზის სხივები მას ოქროს ბეჭდებად მოეჩვენა. ეს მოჩვენებითი ბეჭდები, ხან გუნდ-გუნ-

დად ცვიოდა, ხან ქრებოდა. ერთ წუთს თავისი ბეჭედიც მათ შორის გაერია. შეკრთა, უსახელო თითს ხელი შეავლო; დარწმუნდა, რომ მილეული ოქროს ბეჭედი ისევ თითზე იყო ძეწკვით მიმაგრებული. თვალებში ხელი ამოისვა, კაკოსკენ შემობრუნდა.

„ასეთ მძიმე წუთებში, როდესაც ჩემს უჩას საუკუნოდ განეშორდი, როდესაც ჩემთვის ერთადერთი იმედიც გაჰქრა, მე მსხვერპლად მომიტანია ჩემი უკანასკნელი იმედი, ჩემი უკანასკნელი გრძნობები, შვილო ჩემო!.. მაგრამ სადღა მყავს შვილი, სად ხარ ყოველთვის გზააბნეულო, შვილო უჩა!..“ — ამოიკვნესა, თვალებიდან ცრემლი მოწყდა, დამჭკნარ ლოყებზე ჩამოუცურდა და ზედ შეაცივდა.

მხატვარი სპ. ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი მ. დედანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორები: ნ. ბურჯანაძე, მ. მგალობლიშვილი
გამომშვები ნ. ხავთასი

ს. ბ. 4337

ჩაბარდა წარმოებას 17.11.88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.04.89 წ. ფორმატი 84×108 1/32. ქაღალდი საბეჭდი № 2. გარნიტურა ლიტერატურული. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 22,68. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 20,46. პირობითი საღებავგატარება 22,68. ტირაჟი 80.000. შეკვეთა № 2438.

ფასი 5 მან.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის პრ. 42, თბილისი 1989.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირ № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7